გიორგი მჭედლიძე

ისტორია უდისტანციოდ

(მღელვარე 1988–1995 წლების ქრონიკები)

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბის“
საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
1999

თავისუფლებას—ყველაზე უძვირფასეს
სიკეთეს—ვუძღვნი ამ წიგნს
ავტორი

ყურაფერი შეიძლება თავისუფლებას, ყურც დედამიწის ქვეს-კნელში დამარხული საუნჯენი, ყურც დიდება, ყურც სხვა რამ. თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არ-სებობს.

სერვანტესი

„ისტორია უდისტანციოდ“ 1988-1995 წლების ქრონიკებია. მასში ძირითადი ადგილი უჭირავს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის ფაქტოლოგიურ გაშუქებას. ავტორს მიაჩნია, რომ ეს ეტაპი სპონტანურად წარმოშობილი არ ყოფილა, არამედ მას წინ უძღოდა მოვლენები, რომლებიც განხილულია თავში—„წინამორბედი მოძრაობანი“. ფაქტობრივად, ესაა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოკლე ისტორია.

ამ ნაშრომში გ. მჭედლიძე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს, აგრეთვე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გაშუქებას. ამჟამინდელთან ერთად, საკმაოდ ვრცლად აქვს გადმოცემული ქართველი ხალხის აფხაზებთან და სამხრეთელ ოსებთან ურთიერთობის ისტორიაც.

გარდა ფაქტობრივი მასალის გადმოცემისა, ავტორი თავის წიგნში იძლევა რიგი მოვლენების შეფასებებს და განზოგადებებს. მკითხველს აწვდის ინფორმაციებსა და მოსაზრებებს მეზობელ ქვეყნებში განვითარებული იმ პროცესების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ან არიან ჩვენს ქვეყანასთან.

„ისტორია უდისტანციოდ“, ჯერჯერობით, ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელშიაც ამ საუკუნის უკანასკნელი წლების საქართველოს ისტორიაა გადმოცემული, ამიტომ, ვფიქრობთ, მისდამი მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება.

ISBN 99928-46-12-7

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ისტორია იმდენად წარსულისათვის
არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის,
ვაჟა-ფშაველა

წინამდებარე წიგნს „ისტორია უდისტანციოდ" დავარქვი, რამდენადაც მასში გადმოცემულია სრულიად ახალი დროის—1988-1995 წლების მოვლენები.

მეცნიერებაშიც და მწერლობაშიც სხვადასხვაგვარი შეხედულებებია გამოთქმული განსახილველი მოვლენების დროითი დისტანციის გათვალისწინების შესახებ. ერთნი აუცილებლად თვლიან, ჯერ ეპოქამ შეაფასოს ისტორიული მოვლენა და შემდეგ იქცეს იგი აღწერის თემად, მეორენი კი, პირიქით, ცხელ კვალზე დაწერილს უფრო ობიექტურად მიიჩნევენ, რადგან თვითმხილველმა გაცილებით მეტი იცის მომხდარის შესახებ, ვიდრე არქივებში დაცული მასალით შეიძლება იქნეს იგი გაგებული.

პირველის მომხრეებს მოჰყავთ ხოლმე ფრანგი პუბლიცისტის ჟაკ მალე დიუ-პენის მოხდენილი გამოთქმა: „წერდე თანამედროვეობის ისტორიას, იგივეა ხატო პეიზაჟი ნისლიან ამინდში". აკაკი სურგულაძე უმატებდა—„ისტორია რთული, მრავალწახნაგიანი, კომპლექსური მეცნიერებაა. ისტორიულ მოვლენათა აღქმას, მის ყოველმხრივ გააზრებას სჭირდება სამზერი მანძილი, დისტანცია" („კომ" 1988:96)[1].

ქართულ მწერლობაში ისტორიულ თემატიკაზე წერის ყველაზე დიდი ოსტატი კ. გამსახურდია გახლდათ. ერთ-ერთ თავის წერილში იგი აღიარებდა:

„1923 წელს მე წამოვაყენე ე.წ. დისტანციის თეორია.

ვამბობდი, სანამდის რევოლუციის ფონზე წარმოშვებული ტიპაჟი, სინამდვილეში არ ჩამოყალიბდება, სანამ ამ ტიპების კრისტალიზება არ მოხდება, რევოლუციის ეპოპეა ვერ დაიწერება-მეთქი. დიდ მოვლენებს დიდი ჭვრეტა უნდა, დიდ ტილოს დიდხანს მუშაობა" (გამსახურდია 1965:252). მაგრამ მოგვიანებით მან ზედიზედ დაწერა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები, ხოლო თეორიული მსჯელობის დროს მიუთითებდა: „მოსაწონი არ არის რომანის ჟანრის დაყოფა თანადროულად და ისტორიულად. რადგან, ყველა რომანი ოდესმე ისტორიულად იქცევა; თეკერეის, ფლობერსა და ტოლსტოის არასოდეს არ უწოდებიათ თავიანთი რომანებისათვის „ისტორიული",

---

[1] დამოწმებულ ლიტერატურაში, თუ გაზეთზე მითითება ყველგან ტექსტში გვაქვს მოცემული, ფრჩხილებში ჩასმით, ნაჩვენებია: ავტორის გვარი (ან გაზეთის სახელწოდება), გამოცემის წელი და გვერდი (ან გაზეთის ნომერი). მათი სრული რეკვიზიტები მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში.

ისინი, პირიქით, წარსულს აქცევდნენ აწმყოდ" (იქვე: 538). მაშასადამე, თანამედროვეობის ისტორიად ქცევა ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ აწმყო, როგორც ფაქტობრივი დრო, არ არსებობს, ვიდრე ჩვენ მას აღვიქვამთ, იგი უკვე წარსულადაა ქცეული. ამიტომაც ისტორიის წერისათვის დისტანციის დაჭერა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის. ჩვენი მემატიანეები და მწერლები ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. იაკობ ხუცესი, იოანე საბანის ძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, დიდი თამარის ცხოვრების აღმწერნი და ბევრი სხვაც იმ მოვლენების მომსწრენი, „თანადამხდურნი" არიან, რომელთა შესახებაც მოგვითხრობენ. ეს მათს ნაწარმოებებს მხოლოდ ღირსებას სძენს.

თანამედროვეებს რომ ნაკლებ არ შეუძლიათ გაიაზრონ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ვიდრე მათგან დროით უფრო დაშორებულ თაობებს, ამის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ჯ. ბაირონის პოეტური შედევრები ნაპოლეონის შესახებ. აღტაცებას ნაპოლეონის პიროვნებით მისთვის ხელი არ შეუშლია, ვატერლოოს ბრძოლიდან ორი თვის შემდეგ დაწერილი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი" ასე დაესრულებინა: „ქვეყნად ეს იყო ერთადერთი, პირველიც, ბოლოც, შემარცხვენელი კაცთა მოდგმის, ერთი ხარ მხოლოდ" (თარგმანი ი. მერაბიშვილისა).

დროითი დისტანციის თავისებურ ახსნას იძლევა თანამედროვეობის ერთერთი გამოჩენილი მოაზროვნე უმბერტო ეკო. იგი შენიშნავს: „სიახლე ისე სწრაფად მოდის ამ დღეებში, რომ მხოლოდ ახალგაზრდას შეუძლია მისი გადაყლაპვა და გადამუშავება. უფროსი კაცი ამას ნელა აკეთებს. რატომ? იმიტომ, რომ დიდი გამოცდილება აქვს, ბევრი რამ იცის და უკეთესად შეუძლია მუშაობა დადგენილ პრობლემებზე" („ლს" 1998: 6).

თანამედროვეობის შესახებ წერას დადებითთან ერთად უარყოფითი მომენტებიც ახასიათებს. მათგან უმთავრესია სუბიექტურობისაგან თავდახსნის დაბალი კოეფიციენტი. თანამედროვეობა პირდაპირ მოქმედებს ადამიანებზე. მისი აღქმა უშუალო და ემოციურია. ეს კი განსჯის სუბიექტურობას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე ჰეშმარიტების იმ შემთხვევაშიაც კი აღიარებას, თუნდაც იგი არ მოგვწონდეს. ალბათ, ამის გამო ამბობდა ჰეგელი ისტორიას დროის დისტანცია სჭირდებაო.

ძნელია წერო თემაზე, რომელიც შენი ტკივილიანი ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. მით უფრო, რომ პოლიტიკურ კატაკლიზმებში მონაწილე თითქმის ყველა პიროვნება ნაცნობია. ბევრი მათგანი ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებულნი არიან. შენ კი მათ სიმართლე უნდა უთხრა და ამით ან ერთის მხარეს უნდა დადგე ან მეორისა. სიმართლე ხომ მხოლოდ ერთი არსებობს. ჩვენდა სამწუხაროდ, ყველას თავისი პოზიცია ჰგონია სწორი და შეცდომის აღიარება თითქმის არავის სურს.

მართალია, მოვლენებისა და ფაქტების შეფასებისას, პირადი მოსაზრებების აბსოლუტური გამორიცხვა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ, თუ მოვლენები და ფაქტები რეალურადაა გადმოცემული, მთხრობელის მიერ მოცემულ შეფასებას მკითხველი ყოველთვის როდი იზიარებს.

მე ეს გავითვალისწინე და შევეცადე მოვლენების კომენტარი ხშირად ოდენ კონსტანტაციის დონეზე გამეკეთებინა. მესმის, რომ ამან შეიძლება ზერელობის შთაბეჭდილება დატოვოს, მაგრამ ყოველმხრივ დასაბუთებული კომენტირება რომ მომენდომებინა კიდეც, სუბიექტური და ზოგჯერაც ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელი გახდა. სუბიექტურობაში ვგულისხმობ ყველა საკითხში კომპეტენტურობის შეუძლებლობას, ხოლო ობიექტურში—რიგ დოკუმენტურ მასალებზე ხელმიუწვდომლობას.

„ისტორია უდისტანციოდ", როგორც ქვესათაურშიცაა მითითებული—1988-1995 წლების ქრონიკებია. მაშასადამე, იგი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის ისტორიაა. ამ ეტაპზე ბრძოლამ აშკარად მძაფრი და აქტიური ხასიათი მიიღო. უკვე 1988 წლის ნოემბრის აქციის დროს ასპარეზზე გამოვიდა მთელი ქართველი ხალხი და თავისი ნება, ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა, მტკიცედ გამოაცხადა. მერე და მერე მოძრაობა კიდევ უფრო აზვირთდა. და ამ დროიდან, როგორც რ. მიმინოშვილი წერდა: „ არ დაგვკლებია არც სამოქალაქო ომი, არც ინტერვენცია, არც გამანადგურებელი მიწისძვრები და მეწყერი, არც სიცივე და შიმშილი. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი: არარაობიდან სახელმწიფოს შექმნის გარდაუვალობამ, არ არასებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე „გადასვლამ", დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობამ, დემოკრატიის არა მარტო ჩასახვის, არამედ განვითარების საჭიროებამ" („ს რ " 1994:26).

ეს მოვლენები ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჯერჯერობით, შეუსწავლელია. ისტორიკოსები და პუბლიცისტები მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის ცხელ კვალზე გაანალიზების ცდას იძლევიან. ამ წიგნის წერის დროს, მე შევეცადე ისინი გამეთვალისწინებინა და გამომეყენებინა, მაგრამ ასეთი ნაშრომები ისე მცირე მონაცემებს შეიცავს, რომ მათი მიხედვით ეპოქის მთლიანი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. ამიტომ ჩემი მონათხრობის უდიდესი ნაწილი პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვითაა გადმოცემული. ამის გამო გაჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა პრესაზე დაყრდნობით ეპოქის ისტორიის შესწავლა! ამ ნაშრომით მე ვცდილობ დავამტკიცო, რომ ძირითადი ფაქტობრივი ასპექტების გადმოცემისა და საერთო სურათის წარმოსადგენად ეს შესაძლებელია. შემიძლია უფრო მეტიც ვთქვა: გამოუქვეყნებელი თუ სხვა საიდუმლო დოკუმენტები, ჩვენს დროში განვითარებული მოვლენების შეფასებაში, არსებითად, ვერაფერს შეცვლიან, ისინი მხოლოდ შეავსებენ ჩვენს წარმოდგენებს. ე.ი. რაოდენობრივად გაზრდიან ჩვენს ცოდნას და არა თვისობრივად.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ პრესა ჩვენს დროში ყოველდღიური ინფორმაციის გამავრცელებლიდან მრავლისმომცველ პუბლიკაციების ასპარეზად გადაიქცა. თანაც, რადგან წარსული, ყოველდღიურობისაგან შედგება, ცალკეულ დღეებში განვითარებული მოვლენების თუნდაც პრაგმატული გადმოცემით, საერთო სურათის აღდგენა საკმაოდ შესაძლებელია. ამისათვის კი ყველაზე საუკეთესო საშუალებას ყოველდღიური პრესა იძლევა.

ვინც ამაში დაეჭვდება შემიძლია შევახსენო: წარმოვიდგინოთ რამდენად უფრო სრულყოფილი, შეიძლება ითქვას, ამომწურავი იქნებოდა ჩვენი ცოდნა შუა საუკუნეების საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) შესახებ, მაშინ რომ პრესა არსებულიყო!

ეპოქის ჭეშმარიტი სურათის აღსადგენად ისტორიკოსს, ჩვეულებრივ, დოკუმენტური მასალა არ ყოფნის. ეს ყველაზე დიდად შემაფერხებელი მომენტია მეცნიერულ კვლევაში. ამ მხრივ ჩემი მდგომარეობა გაცილებით მომგებიანი იყო. მე მომიხდა შემესწავლა უდიდესი რაოდენობის გაზეთი და ჟურნალი, რის გამოც ზღვა ფაქტობრივი მასალა დამიგროვდა. შევეცადე მათგან ძირითადი ამერჩია და შემეხსენებინა მკითხველისათვის.

მიუხედავად ასეთი მეთოდისა, თხრობა მაინც დაწვრილებითი გამოვიდა. მოსალოდნელია, მასალის ამნაირი გადმოცემა ზოგჯერ ზედმეტობის შთაბეჭდილებასაც კი ქმნიდეს. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა და პროფესიული დეტალიზაციის გარეშე სინამდვილე მკვდარია. სხვა საკითხია რამდენადაა ეს მოთხოვნა მიღწეული ჩემ მიერ. მაგრამ, როგორც ამ პერიოდის ისტორიის გადმოცემის პირველი ცდა, დაშვებული ლაფსუსები მკითხველმა დიდსულოვნად უნდა მაპატიოს.

ვფიქრობ, განსაკუთრებული დასაბუთება არ სჭირდება რატომ არის აღებული შესწავლის საგნად 1988-1995 წლები. პირველი, 1988 წელი—ესაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი მძლავრი ეტაპის დასაწყისი. ხოლო 1995 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. სახელმწიფო შეუდგა ფუნქციონირების თვისობრივად მაღალ საფეხურს. ამით დამთავრდა კიდეც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასახელებული ეტაპი. ქვეყანასა და ხალხს გაუჩნდა თავისუფალი, დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივა. მიუხედავად ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისა და ცალკეული ტერორისტული აქტების რეციდივებისა, ცხოვრება სწორედ ასეთი ნაკადით მიემართება. ამ გზაზე, მართალია, მოკრძალებული, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯიცაა გადადგმული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში რთული და წინააღმდეგობრივი გზით განვითარდა. ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისედაც ძნელი პროცესი კიდევ უფრო გაართულა მოწინააღმდეგეთა შორის დაპირისპირებამ, რასაც თავიდან ხელი შეუწყო უამრავი პარტიისა და პოლიტიკური ჯგუფის წარმოშობამ, ხოლო შემდეგ წინააღმდეგობა შეიარაღებულ კონფლიქტამდე და კანონიერ საფუძვლებზე არჩეული ხელისუფლების დამხობამდეც კი მივიდა. ამის პარალელურად ქვეყნის წინაშე დაისახა სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნებისა და ავტონომიურ ერთეულებთან ურთიერთობის პრობლემები, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზური და ოსური უკიდურესი ფორმის სეპარატიზმის ჩამოყალიბება. ორივე ამ რეგიონში პრობლემის გადაწყვეტისათვის საომარი მოქმედებები გაჩაღდა. ომები ცარიელ ადგილზე არ იწყება. ამიტომ მე შევეცადე გადმომეცა არა მარტო კონფლიქტების მსვლელობა, არამედ ქართველ-აფხაზთა და ქართველ-ოსთა ურ-

თიერთობის ისტორიის ის მომენტებიც, რომლებმაც ეს ხალხები დაპირისპირებამდე მიიყვანა. ამის შესახებ მკითხველს წიგნის „შესავალში“ მოვუთხრობთ. აქვეა გადმოცემული ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ინტელიგენციის როლის შესახებ ჩემი მოსაზრება და თემასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნაშრომის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.

რადგან ეს წიგნი უახლოესი წარსულის ისტორიას წარმოადგენს, ყოველთვის მხოლოდ ფაქტების გადმოცემით დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. შევეცადე მათი შეფასებისა და განზოგადებისთვისაც შეძლებისდაგვარად დამეთმო ყურადღება. მაგრამ საყოველთაო პოლიტიზაციის პირობებში ხშირად ვერ ავცდი პრუბლიცისტურ მსჯელობებსაც. ამის გამო „ისტორია უდისტანციოდ“ მხოლოდ მეცნიერულ ნაღვაწად ვერ ჩაითვლება.

სიძნელის წინაშე ვიდექი იმის გამოც, რომ უნდა მეამბნა ცალკეული მოღვაწეებისა თუ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ლიდერების შესახებ, რომლებიც დღესაც განაგრძნობენ საქმიანობას და პოლიტიკოსად თავის გასაღების ამბიციებიც აქვთ. ჯერ ერთი, ჩემი მონათხრობი არ შეიძლება ყველა მათგანისათვის მოსაწონი იყოს, მე ეს არც მიცდია. თუმცა ყოველთვის ვითვალისწინებდი კ. გამსახურდიას შეგონებას: „ჩვენ უფლება გვაქვს, ისტორიულ გმირს ზედმეტი სიკეთე მივაწეროთ, მაგრამ ზედმეტი ცუდის მიწერის უფლება არა გვაქვს“ (გამსახურდია 1965:540).

მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, ბევრს მაინც ვერ ვუშველე, რადგან იგივე ავტორი გვასწავლიდა: „ისტორია ერის პასპორტია და ამას ანგარიში უნდა გაეწიოსო“. ანგარიშის გაწევა კი იმას ნიშნავს, რომ პასპორტში მოქალაქის შესახებ მონაცემების შეცვლით, მისი ვინაობაც იცვლება. ასევე, პიროვნების ნაღვაწის არაობიექტური გადმოცემით, ისტორია ყალბდება. რაც, ცხადია, კეთილქმედებად არ ითვლება.

მეორეც, მოწონება-არმოწონებას რომ თავი დავანებოთ, ბევრი მოვლენა თუ ფაქტი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, საბოლოო სახე არ მიუღია და ამდენად, მის შესახებ მსჯელობაც, ჯერჯერობით, არ შეიძლება სრულყოფილი იყოს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათზე საერთოდ არაფერი ვთქვათ. მოვლენა, თუკი უკვე არსებობს, აღნიშნული უნდა იქნეს. მისი ყურადღების გარეშე დატოვებას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. ჩემს ნაშრომში მრავალ ასეთ მოვლენაზეა საუბარი. მე გადმოვეცი მათ შესახებ ჩემეული კომენტარი, სხვას შეიძლება სხვაგვარი ინტერპრეტაცია ჰქონდეს. ეს კონფრონტაციის საგანი არ უნდა გახდეს. შეხედულებებისათვის პიროვნებას, მით უფრო მეცნიერს, არ ჰკიცხავენ.

თანამედროვე მოვლენების ისტორიულ ფაქტებად დაფიქსირება რომ ფუჭი საქმე არ არის, ამას უახლესი პრესის პუბლიკაციებიც ადასტურებს. მაგალითად, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 1998 წლის 5-11 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მ. კახაძე „თბილისის ომის“ თარიღად 1990 წლის ბოლოს აჩვენებს. ეს, რომ არც „ლაფსუს კალამია“ და არც კორექტურა, იქიდან ჩანს, რომ იმავე ნომერში ყოფილი პრემიერი თ. სიგუა აფხაზეთში რკინიგზისა და საავტომობილო-საინჟინრო ნაგებობათა დასაცავად შეიარაღებული

ფორმირებების გაგზავნის შესახებ სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თარიღად 1991 წლის 10 სექტემბერს ასახელებს. სინამდვილეში კი ორივე ეს თარიღი ერთი წლით გვიან უნდა იყოს გადაწეული. ასეთი შეცდომები დოკუმენტების შეუმოწმებლობით და მეხსიერების ნდობითაა გამოწვეული. ხოლო, როცა თარიღები ყოველდღიურად ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არის დაფიქსირებული, ამით შემოწმების უფრო იოლი საშუალებაც იქმნება და შეცდომის დაშვების ნაკლები კოეფიციენტიც ჩნდება.

ამ წიგნში თავები წლების მიხედვითაა გამოყოფილი. ცხადია, წლის დასაწყისი ან დასასრული არ ემთხვევა ხოლმე საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ეტაპებს. ფაქტი შეიძლება ერთბაშად მოხდეს, ზოგჯერ პროცესი რამდენიმე წლით გახანგრძლივდეს. ამიტომ წლების მიხედვით დასათაურება მხოლოდ პირობითი ხასიათისაა. იგი იმითაცაა გამართლებული, რომ „ისტორია უდისტანციოდ" 1988–1995 წწ. ქრონიკებს წარმოადგენს. წლების მიხედვით თხრობა ისტორიოგრაფიაში უპრეცედენტო ფაქტი არ არის. ბერძენი ისტორიკოსების ნაწილი ნარატულ თხრობას თავს არიდებდა და ქრონიკალურ აღწერას მიმართავდა. ჯერ წელს დაწერდა და შემდეგ მომხდარ მოვლენას გადმოცემდა. ასეთ ნაწერებში ზოგჯერ მხოლოდ წელია ნაჩვენები. ამის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ წელს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ანდა ავტორი ფაქტს არ იცნობდა და იმედოვნებდა, შეტყობისთანავე შეევსო ამისათვის დატოვებული ცარიელი ადგილი. ასეთივე მეთოდითაა შედგენილი ძველი რუსული მატიანე „გარდასულ წელთა ამბავიც". ნათქვამი, ნათელია, სრული ანალოგიისათვის არ გამოდგება, მაგრამ პრეცედენტურ ფაქტად მაინც შეიძლება იქნეს დასახელებული. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისი ნაშრომის დასათაურებაში ავტორს ნებისმიერი ქცევის უფლება აქვს, ოღონდაც, შინაარსი უნდა ამართლებდეს სათაურს. ამ მხრივ, ვფიქრობ, მკითხველს ჩემ მიმართ პრეტენზია ნაკლებად ექნება.

წინამდებარე წიგნის წერისას ჩემი მიზანი იყო მკითხველისათვის შემეხსენებინა ფაქტები და მოვლენები, რომელთა მომსწრეც ბევრი ჩვენგანია. სისტემაში მომეყვანა, ადგილით და დროით განმესაზღვრა ისინი, რითაც დაინტერესებულ პირთათვის საშუალება მიმეცა საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ ცნობა საძიებელი არ ჰქონოდა სხვადასხვა გამოცემასა და დოკუმენტში.

ვფიქრობ, კადნიერებად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ ეს წიგნი გათვლილია მომავალი თაობებისთვისაც. დროის გასვლასთან ერთად მოვლენ ისტორიკოსების ახალი თაობები, ჩვენს მღელვარე ეპოქაზე შეიქმნება ნარკვევები და მონოგრაფიები, მაგრამ დიდად სათუოა, რომ მაინცდამაინც იმ შვიდ წელიწადზე, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება, ასე დაწვრილებითი თხრობა კიდევ ვინმემ გაიმეოროს.

ზემოთაც ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, რომ პირუთვნელი მკითხველი ყურად იღებს, რა დიდ, ერთი კაცისათვის თითქმის დაუძლეველ მასალას შეეჭიდა ავტორი და ამის გათვალისწინებით მის მიმართ ნაკლებპრეტენზიული იქნება. რაც იმას არ ნიშნავს, რომ მე სამართლიან შენიშვნებს არ მოველოდე და მათ ანგარიშგასაწევად მზად არ ვიყო.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ისტორია ძლიერ უნდა გიყვარდეს,
რომ ყოველთვის გაბსოვდეს.

საქართველო 1988 წელს სსრ კავშირში შემავალი თხუთმეტთაგან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო. საკავშირო კონსტიტუციის 76-ე მუხლით საქართველო სუვერენულ, სახელმწიფოდ ცხადდებოდა, მაგრამ მისი სახელმწიფოებრივი სტატუსი შეზღუდული ავტონომიის ფარგლებს ვერ სცილდებოდა.

ეს ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე კონსტიტუციის ძალით საქართველოს სსრ-ს ჰქონდა იურიდიული, მაგრამ არ გააჩნდა ფაქტობრივი სუვერენიტეტი. ვინაიდან მას არ ჰქონდა მინიჭებული სახელმწიფოს უზენაესობისათვის დამახასიათებელი არც ერთი ატრიბუტი. რესპუბლიკას არ გააჩნდა საკუთრების უფლება ეროვნულ ტერიტორიასა და ბენებრივ რესურსებზე. არ შეეძლო ხელისუფლების ფორმისა და მმართველობის წესის განსაზღვრა, დამოუკიდებელი საკანონმდებლო მოღვაწეობა, სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. არ ჰქონდა თავისი ფული, არ ჰყავდა საჯარისო შენაერთები. მის კომპეტენციაში არ შედიოდა სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა, საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა, საგარეო პოლიტიკის წარმოება და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დამოუკიდებლად მონაწილეობა. ამიტომაც საქართველოს სსრ და, მაშასადამე, ქართველი ერი არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, ე.ი. ქართველ ხალხს არ ჰქონდა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორია უდრიდა 67,7 ათას კვადრატულ კილომეტრს. ხოლო, როცა სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს ტერიტორია 91,1 ათასი კმ² იყო.[1]

1989 წლის აღწერით საქართველოში 5443359 მცხოვრები ირიცხებოდა.[2] მათგან მამაკაცი იყო 2581411, ქალი—2861948. ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 3035748 კაცს, სოფლისა—2407611.

---

[1] ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ იმასაც ვიტყვით, რომ 1220 წლისათვის საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია 246 ათას კმ²-ს აღემატებოდა.

[2] ცნობისათვის: იმავე წელს აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენდა 7.131 ათას კაცს, სომხეთისა—3300 ათასს. ჩრ. კაკაბაძე, მცხოვრები ხალხები, თავიანთი ავტონომიების ფარგლებში. ასეთი

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მოსახლეობა ასე ნაწილდებოდა: ქართველი––3787393, სომეხი––437211. რუსი––341172, აზერბაიჯანელი––307556, ოსი––164055 (აქედან ე. წ. სამხრეთ-ოსეთში––65077, მთელი მოსახლეობის 66,2%), ბერძენი––100324, აფხაზი––95853 (აფხაზეთში––93267, 17,8%) და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი 1979 წელთან შედარებით უახლოვდებოდა საერთო-საკავშიროს, მაგრამ ორჯერ ჩამორჩებოდა აზერბაიჯანისას, ხოლო ოთხჯერ ტაჯიკეთისას.

საქართველოს მოსახლეობის ზრდის ყველაზე კარგი მაჩვენებელი ჰქონდა 20-30-იან წლებში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი საქართველო მთელ საბჭოთა კავშირში სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩეოდა (8,8 პრომილე, ე.ი. მეათასედი), საკმაოდ დიდი იყო შობადობაც (27,4 პრომილე).

ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით, 1950 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის დანაკლისი ომის ზეგავლენით 300 ათას აღემატებოდა („კომ" 1989:138). 1970 წლიდან იგრძნობოდა სოფლის მოსახლეობის კლების ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის ზრდა. თანაც, დაჩქარებული ურბანიზაციის პროცესი უარყოფითად მოქმედებდა შობადობაზე. თბილისში შობადობა 3,1 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე საქართველოს სოფლებში.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა გარე ემიგრაციული პროცესები. მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე არაქართველი მოსახლეობა დიდი რაოდენობით სახლდებოდა ჩვენს მიწა-წყალზე. ეს პროცესი არც მიმდინარე საუკუნის I ნახევარში შემცირებულა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 50-იანი წლებიდან. 1959-1989 წწ. საქართველოდან სხვაგან საცხოვრებლად 271700 კაცით მეტი წავიდა, ვიდრე მოვიდა. შეინიშნებოდა, რომ უფრო მეტი არაქართველი მიდიოდა და ქართველი ბრუნდებოდა. ამის შედეგად ქართველი მოსახლეობა რესპუბლიკაში 1959 წლის 64,3 პროცენტიდან 1989 წლისათვის გაიზარდა 70,1%-მდე.

როგორია ეს ვითარება ამჟამად ამას მოსახლეობის 2001 წლის აღწერის შედეგები აჩვენებს, მაგრამ საქართველოს დემოგრაფიული

რაოდენობისანი იყვნენ: ადიღეელები––195 ათასი, ყარაჩაელები––129, ჩერქეზები––40, ყაბარდოელები––365, ბალყარელები––71, ოსები––385, ჩეჩნები––784, ინგუშები––164, სუნძები––496, ლეკები––204, ლაკები––92, დარგინელები––280, კუმიხები––282, ტაბასარანელები––78, ნოღაელები––28 ათასი.

საზოგადოების დემოგრაფიული ინსტიტუტის მონაცემებით ცნობილია, რომ საქართველოდან 90-იანი წლების შემდეგ 1998 წლის ზაფხულამდე გასული იყო დაახლ. 400 ათასი კაცი („რეზონანსი“ 1998:179).

იმიგრირებულთაგან ყველა სამუშაოს საძებნელად როდია წასული. ბევრი მათგანი დამნაშავეთა სამყაროს ეკუთვნის. მათ, ძირითადად ჩვეულ ადგილს, რუსეთის ფინანსურ ცენტრს—მოსკოვს მიაშურეს. გაზეთი „დრონი“ (1997, №17) წერდა: „უფრო ადრე კი, აქვე ჩამოვიდნენ ყოფილი პარტაპარატჩიკები, კარგი, საჭირო კავშირებითა და გატენილი ჯიბეებით. მოსკოვი ქართული დიასპორის ცენტრად იქცა, რომელიც ამჟამად საბელგანთქმულია არა მხოლოდ ნაციონალური ინტელიგენციის ელიტით, არამედ ბნელი წარსულისა და საეჭვო აწმყოს მქონე პიროვნებებით“.

შვიდი წელიწადი კაცობრიობის ისტორიაში მცირე დროა, მაგრამ XX საუკუნეში დროის ისე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, როგორიც 80-90 წლების მიჯნა გახლდათ, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა. ვერც პირველი და მეორე მსოფლიო ომების წლები და ვერც სამეცნიერო-რევოლუციის ეპოქა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით მას ვერ შეედრება. ამ პროცესებით ხომ 1917 წელს დაწყებული სოციალისტური ექსპერიმენტის მცდარობა დამტკიცდა და ე.წ. სოციალისტური ბანაკი არათუ დაიშალა, არამედ, საერთოდ, უარყოფილ იქნა, კაცობრიობის ეს ნაწილი თავისი განვითარების ბუნებრივ გზას დაუბრუნდა.

განვითარების ასეთი შემობრუნება სსრ კავშირში დაწყებულმა ე.წ. გარდაქმნამ („Перестроика“) გახადა შესაძლებელი.

1985 წელს საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელობა შეიცვალა. ხელისუფლების სათავეში მოვიდა შედარებით ახალგაზრდა და ჯანმრთელი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი მ.ს. გორბაჩოვი. პირველსავე პლენუმზე (გაიმართა 1985 წლის აპრილში) მან წამოაყენა გარდაქმნის მოთხოვნა. მაშინ ეს გაგებული იყო, როგორც საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტემპების დაჩქარება. უმთავრესად წარმოების სფეროში.

1986 წლის თებერვალში მოწვეულმა სკკპ XXVII ყრილობამ დაადასტურა ამ კურსის აუცილებლობა და მიიღო პარტიის პროგრამის ახალი ვარიანტი. სადაც განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაზე უკვე ლაპარაკიც კი აღარ იყო. მაგრამ

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა საზოგადოება პროგრამის ამ ვარიანტითაც არ ვითარდებოდა და მას სრულიად სხვა ამოცანები ჰქონდა გადასაწყვეტი.

მ. გორბაჩოვი ყოველი გამოსვლის შემდეგ აცხადებდა, რომ დამთავრდა გარდაქმნის ერთი ეტაპი და დაიწყო ახალი. მაგრამ 1987 წლის ნოემბრამდე (როცა ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ჩატარდა), „პერსტროიკა“ საერთოდ არ დაწყებულა.

ამ სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. გორბაჩოვმა ახლებური შეფასება მისცა წარსულს და, მართალია, თვითონ მისი მთლიანად უარყოფა არ მოუხდენია, მაგრამ, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ამ პროცესს. მას შემდეგ საყოველთაო ლოზუნგად გამოცხადდა: „საჯაროობა“, „მეტი დემოკრატია—მეტი სოციალიზმი!“

საჯაროობის დროშით წამოვიდა ჯერ მორიდებული, შემდეგ კი დაუფარავი კრიტიკა, საერთოდ სოციალიზმისა და კერძოდ, პარტიის პოლიტიკისა.

გარდაქმნის მსგავსი ღონისძიება რუსეთის ისტორიაში არასოდეს გატარებულა. საერთაშორისო თანამეგობრობამ ამას ადრევე აუღო ალღო. მ. გორბაჩოვისადმი ნობელის პრემიის მინიჭება ამიტომ იქნა სამართლიანად ცნობილი. მაგრამ ეს უმაღლესი ჯილდო თავად ავტორისათვის ვერ გახდა აღტაცების საგანი. ვინაიდან მის ღონისძიებებს სსრ კავშირის დაშლა მოჰყვა. გორბაჩოვს კი ორი შეუთავსებლის, დემოკრატიისა და იმპერიის, ერთმანეთთან შეთავსება სურდა. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა და არც არასოდეს მოხდება. ამიტომ მის მარცხს ალტერნატივა არ ჰქონდა. დიდმა პოლიტიკამ, მიუხედავად დამსახურებისა, იგი მოისროლა და არარაობად აქცია. მ. გორბაჩოვმა თვით მიიღო ის, რითაც ბ. ელცინს ემუქრებოდა[1].

გარდაქმნასთან დაკავშირებულ დასავლეთსა და აღმოსავლეთს

[1] 1987 წლის 21 ოქტომბერს სკკპ ცკ-ის პლენუმზე ბ. ელცინმა ცკ-ს მეორე მდივანს მ. ლიგაჩოვსა და სამდივნოს უსაყვედურა „პერესტროიკის“ კურსისათვის ფიხის ჯერ აწყობა და გენმდივნის მ. გორბაჩოვის მიმართ მლიქნელობა. რისთვისაც იგი გათავისუფლეს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან. გორბაჩოვი მაშინ ბ. ელცინს დაემუქრა: „ბორის ნიკოლაევიჩ, შე შენ დიდ პოლიტიკაში ალარ შემოგიშვებო“. პოლიტბიუროს წევრთაგან ყველაზე არაორდინარულად პლენუმზე გამოვიდა ე. შევარდნაძე. ლიგაჩოვი მან დახასიათა, როგორც „უკრისტალურესი პიროვნება და უმაღლესი მორალური და ზნეობრივი პრინციპების ადამიანი“. რაც შეეხება პირფერობას, განაგრძო მან, „იცით შეიძლება ამაღლებული სიტყვები კიაც, მაგრამ მართლაც ბედნიერებაა, რომ ჩვენს კოლექტივს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი ხელმძღვანელობს“ („სრ.“ 1991:48).

შორის დაწყებულ დაახლოების პროცესშიაც დიდი დამსახურება მიეწერებოდა მ. გორბაჩოვს. სინამდვილეში აქაც ყველაფერი მისი სურვილების წინააღმდეგ მიმდინარეობდა. მას, ცხადია, არ უნდოდა სოციალისტური ბანაკის რღვევა, ამ ბანაკიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩამოცილება, სოციალისტურ ორიენტაციაზე მათ მიერ უარის თქმა. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში ხელმძღვანელთა ახალი ძალების მოსვლა, არასოციალისტური კურსით მათი სვლა და სხვა ასეთები. იძულებითი იყო სკკპ ცკ-ს გენერალური მდივნის თანხმობაც გერმანიის გაერთიანებაზე. ყველაფერი ხდებოდა წინასწარ გაუთვალისწინებელი სცენარით, მაგრამ დასავლეთის ლიდერებისათვის ძლიერ ხელსაყრელად. ამიტომ ბუშიც, ტეტჩერიც, მიტერანიც, კოლიც და სხვანი ვალდებულად თვლიდნენ თავს მხარი დაეჭირათ მ. გორბაჩოვისათვის, თუნდაც მას ანტიდემოკრატიული, ავტორიტარული პოზიცია დაეკავებინა ამა თუ იმ საკითხში.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემდეგ. მ. გორბაჩოვმა მათ სასტიკი ბლოკადა მიუსაჯა და იძულებითი ღონისძიებებით ამოხრჩობა დაუპირა. დასავლეთის ქვეყნებმა ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ნაციონალისტებად და სეპარატისტებად მონათლეს, მათ მხარი არ დაუჭირეს. თავიანთი უკადრისი და საჩოთირო პოზიციით, ფაქტობრივად, გორბაჩოვს აქეზებდნენ და, როგორც ვთქვით, მასთან ასეთი დამოკიდებულების გამო სსრ კავშირის პრეზიდენტმა 1990 წელს ნობელის პრემიაც კი მიიღო მშვიდობის დარგში. ეს იმ დროს, როცა მას უკვე ჰქონდა ხელი სისხლში გასვრილი თბილისისა და ბაქოს ამბების გამო.

„ინტერნეიშელ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ა. როზენდალი წერდა: „ბატონმა გორბაჩოვმა ფანჯარა გამოიღო, სუფთა ჰაერის შემოსაშვებად. ეს იყო უდავოდ ბრძნული გადაწყვეტილება, რომელმაც ხელი შეუწყო ისტორიის შეცვლას. მაგრამ ნიავის ნაცვლად მისთვის მოულოდნელად ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც ისე დაახანზარა მთელი კომუნისტური სტრუქტურა შინ და აღმოსავლეთ ევროპის დამონებულ ხალხებში, სანამ თავზე არ ჩამოემხოთ“ (ციტ. გაზ. „ახალი საქართველო“ 1990:№16-17-ის მიხედვით).

ასეთ ვითარებაში 1987 წელი გახდა ის წელიწადი, როდესაც ჯერ კიდევ აკრძალული ხილის სურნელის გამო საგანგებოდ მიმზიდველი

ტელე და პრესრეკოლუცია ულმობელი ისტორიული კანონზომ... რებით ამზადებდა იმ მოვლენებს, იმ სინამდვილეს, რომლის გარეშე... მომდევნო ხანებში წარმოუდგენელი გახდა მოვლენების განვითარება.

1988 წლიდან კი ეროვნული ენერგია უკვე ქუჩაში გადმოიღვარა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მომდევნო წელი. სსრ კავშირში მანამდე არნახული გაქანება მიიღო კომუნისტური „კერპთაყვანისცემისა“ და დაკანონებული სტერეოტიპების რღვევამ. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა საგაზეთო პუბლიკაციებსა და სატელევიზიო გადმოცემებში, რომლებიც უჩვეულო სითამამითა და პრინციპულობით იწვევდნენ საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის აღტაცებას.

დაწყებულ მძლავრ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავდაპირველად ხელისუფლებამ სამხედრო ძალა დაუპირისპირა. სისხლი დაიღვარა თბილისში, რიგასა და ბაქოში. მაგრამ ასე გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ერთი მხრით, საჯაროობა და დემოკრატია და, მეორე მხრით, ტანკები საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში შეუთავსებელი აღმოჩნდა. ხელისუფლებამ სხვა გზების ძიება დაიწყო. მას ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობის სახით ყველა რესპუბლიკაში ჰყავდა მეხუთე კოლონა. ხოლო ავტონომიური ფორმირებანი უდიდეს შესაძლებლობებს იძლეოდნენ სეპარატისტული მოძრაობის გაშლისათვის.

არარუს ხალხებზე რუსული იმპერიალიზმის აშკარა გამოვლინება იყო „შემოერთებულ“ ტერიტორიებზე რუსი მიგრანტების კოლონიზაცია. ამ სფეროში მას დიდი მიღწევები ჰქონდა. რუსი ხალხის საცხოვრისი არნახული სისწრაფით ფართოვდებოდა. XVII ს-ის შუა ხანებში ვოლგაზე გაშენებული ქალაქი სიმბირსკი, როგორც ამას მისი სახელწოდება აჩვენებს, აზიის ვრცელ ქვეყანასთან ციმბირთან სასაზღვრო პუნქტს წარმოადგენდა, ხოლო უკვე 1860 წელს უკიდურეს აღმოსავლეთში, რუსულ ქალაქს—ვლადივოსტოკს ჩაეყარა საფუძველი.

რუსული კოლონიზაციის ყველაზე აგრესიული ტალღები იმ არარუს ხალხებს ეხეთქებოდა, რომელთა ეროვნული დაუმორჩილებლობა ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევდა. ამ მხრივ საგულისხმოს წარმოადგენდნენ ბალტიისპირეთის მცირემიწიანი პატარა რესპუბლიკები, სადაც ათიოდე წლის მანძილზე მილიონზე მეტი რუსი შეასახლეს.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველო მარტო თავისი მკვეთ-

ახად გამოხატული „ურჩობით“ კი არ იყო საშიში, არამედ მისი ცივილიზაციის დონე თუ რუსეთისაზე მაღლა არ იდგა, ყოველ-შემთხვევაში მას არაფრით ჩამორჩებოდა. ეს კი არანაკლებ საშიში ფაქტორი იყო, ვიდრე ქართველი ხალხის „მეამბოხე სული“. ამიტომ თუ სადმე სურდა საბჭოთა ხელისუფლებას დემოგრაფიული სიტუაციის თავის სასარგებლოდ შეცვლა—ეს საქართველო გახლდათ. მაგრამ მიუხედავად ასეთი სწრაფვისა რუსულმა კოლონიზაციამ საქართველოში რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს მაინც ვერ მიაღწია. უფრო მეტიც, 70-იანი წლებიდან საქართველო გახდა ერთადერთი რესპუბლიკა, რომელშიაც რუსულენოვანი მოსახლეობის რაოდენობამ მოიკლო. კრემლს დაგეგმილი ჰქონდა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (სამეგრელო, გურია, გარეკახეთი...) რუსი მოსახლეობის კოლონიზაცია, მაგრამ მას ამ მხრივ არ გაუმართლა. გამონაკლისი მხოლოდ აფხაზეთი გახდა, სადაც 1989 წელს თითქმის იმდენივე რუსი და სომეხი ცხოვრობდა რამდენიც აფხაზი.

რუსული კოლონიზაციის გაძლიერებას ისახავდა მიზნად გიგანტური ქარხნების მშენებლობაც. რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ცენტრის ჩანაფიქრის მიხედვით მუშახელის უმრავლესობა რუსები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ქართულ საქმეს აქაც გაუჩნდა თავისი მოსარჩლეები. გავიხსენოთ თუნდაც მაშინ შუახნის ასაკს გადაცილებული კ. გამსახურდია, როგორ მიმოდიოდა თავისი „ვილისით“ საქართველოს დიდთოვლიან გზებზე, ახალგაზრდობას მოუწოდებდა ახალმშენებლობებზე წასულიყო სამუშაოდ, ქართული ტექნიკური ინტელიგენციისა და მუშათა კლასის რიგები შეევსო. ქართული პრესის გაყვითლებული ფურცლები ახლაც ინახავს მის ნაოცნებარს: ჩვენი უმდიდრესი ენა ტექნიკური ტერმინოლოგიით შევსებას მოითხოვს და ეს წარმოებაში ჩაბმულმა ქართველმა ინჟინერმა და მუშამ უნდა გააკეთოსო. პარტიულ და საბჭოთა ფუნქციონერებს (რომელთა ერთი ნაწილი მისი მეგობარი და თაყვანისმცემელი გახლდათ) იგი ურჩევდა ხელი შეეწყოთ დაწყებული პროცესებისათვის. ბ-ნი კონსტანტინე ამ მხრივ შემოქმედებით ინტელიგენციაში გამონაკლისს როდი წარმოადგენდა.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურულ მუშაკთა ძირითადი ბირთვი, მიუხედავად ინტერნაციონალიზმის ხმამაღალი აღიარებისა, „ძნელად გასატეხი კაკალი“ გამოდგა ცენტრისათვის. ცხადია, სხვადასხვა პიროვნებას მეტ-ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში,

მაგრამ, საქართველო რომ რუსული კოლონიზაციისაგან დაცული ქვეყანა აღმოჩნდა, ეს ყველაზე ნათლად 80-90-იანი წლების მიჯნაზე გამოვლინდა: მიუხედავად დაბეჯითებითი და ხანგრძლივი ცდისა, კრემლმა ვერ შეძლო ჩვენში „ინტერფრონტის" შეკოწიწება, რასაც მან ერთი ხელის მოსმით მიაღწია იმ პოსტკომუნისტურ რესპუბლიკებში, სადაც ასეთის შექმნა აუცილებლად მიიჩნია.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ მთელი პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა ამ პროცესის მონაწილე იყო და მათში კომუნისტური იდეალებისადმი თავდადებული, თუნდაც რუსიფიკაციის მომხრე პიროვნებები არ ერივნენ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეროვნულ-პატრიოტული საქმისაგან განმდგარი ფუნქციონერები ყოველგვარ ხელისუფლებაში მოიპოვება. მათგან დაზღვეული არ აღმოჩნდა თავისი დანიშნულებით ისეთი სპეტაკი მიმდინარეობაც კი, როგორიც ჩვენი თანამედროვე ეროვნული მოძრაობა უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მოძრაობის ბევრი მონაწილის გადაგვარებისა და ღალატის შედეგი იყო ის დიდი მსხვერპლი, რაც ქართველმა ხალხმა უკანასკნელ ათწლეულში გაიღო.

რაც ვერ გაკეთდა ინტერფრონტის იმედით, წარმატებით შესრულდა სეპარატისტული მოძრაობის გაშლის გზით. ამ მოძრაობას დიდი ხნის წინათ ჩაეყარა საფუძველი. მათგან უფრო ხანგრძლივი აფხაზური სეპარატიზმი იყო. იგი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში დაიწყო ქართველთა და აფხაზთა გაუცხოებით. განსაკუთრებით კი გაღრმავდა რუსული და საბჭოური იმპერიალიზმის მეოხებით.

აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიურ დასაბუთებას წარმოადგენდა 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში, აფხაზთა თავყრილობაზე მიღებული ე.წ. „ლიხნის მიმართვა". მისი შედგენის გარემოებებზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი. უნდა ითქვას, რომ მისი მოკლე ვარიანტი „აფხაზური წერილის" სახელით მანამდეც არსებობდა და საიდუმლოდ ერცელდებოდა.

ამ დროს უკვე გამოცხადებული იყო საჯაროობა და ქართველ მეცნიერებს, მწერლებსა და ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ შედარებით თავისუფლად ემსჯელათ აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე, რომელიც ადრე ტაბუდადებულ თემას წარმოადგენდა.

კამათში მონაწილე მაღალი მეცნიერული კვალიფიკაციისა და დიდი ავტორიტეტის მქონე სპეციალისტების მიერ გაცემული პასუხების გათვალისწინებით საჭიროდ აღარ მიმაჩნია ყველა იმ სა-

კითხზე შეჩერება, რასაც „ლიხნის მიმართვა“ შეიცავს. ამის აუცილებლობა ახლა იმიტომაც აღარ არის, რომ ბევრმა მოვლენამ, აფხაზეთში გაჩაღებული ომისა და იქიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ აქტუალობა დაკარგა, ვინაიდან აფხაზი სეპარატისტები მაშინ მათ აყენებდნენ საკავშირო ხელისუფლების წინაშე ერთგულების გამოჩენისა და ამ გზით თავის მხარეზე გადმოყვანის მიზნით. ახლა კი აღარც სსრ კავშირი არსებობს და არც აფხაზეთის მაშინდელი სტატუსის შეცვლის დასაბუთების აუცილებლობა.

მაგრამ, ამ წარმავალი კატეგორიების გარდა, არსებობენ გარდაუვალნიც, რომელთა გამო მსჯელობა რამდენჯერაც არ უნდა გამეორდეს არასოდეს დაჰკარგავს თავის ღირებულებას. ასეთ კატეგორიათა შორის უპირველესია ქვეყნის ისტორია. პოლიტიკური და ეროვნული კონფლიქტების წარმოშობის დროს ისტორიულ წარსულს მოწინააღმდეგეები ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებენ და ამით საკუთარ პოზიციას განამტკიცებენ. ცხადია, ისტორიის პრობლემებზე კამათში მოწინააღმდეგეების დამარცხება კონფლიქტსა და ომში გამარჯვებას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა თავის მნიშვნელობას მაინც არ ჰკარგავს, ვინაიდან მოწინააღმდეგეს ამით ერთმევა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე თავისი მოქმედების გამართლების ერთ-ერთი არსებითი არგუმენტი. ამიტომ იყო, რომ „ლიხნის მიმართვის“ საპირისპიროდ გამოქვეყნებულ მასალაში უდიდესი ადგილი დაიჭირეს ისტორიის საკითხებმა. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება და, ალბათ, მომავალშიც არ შენელდება, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა საბოლოოდ არ აღდგება. მართალია, როგორც ვთქვით, ისტორიული ჭეშმარიტების დადგენით, ეს პრობლემა ვერ გადაწყდება და მას ამის პრეტენზია არცა აქვს, მაგრამ ამით აფხაზეთის ახლანდელ არალეგიტიმისტურ ხელისუფლებას ხელიდან გამოეცალა აფხაზეთიდან ქართველი მოსახლეობის გამოდევნის ერთადერთი არგუმენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს: სსრ კავშირის დაშლამდე გამოქვეყნებული „ლიხნის მიმართვის“ საპასუხო წერილების ავტორებს უდიდესი შრომის გაწევა მოუხდათ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებები ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასა და დაწყებული „პერესტროიკის“ პროცესს. იმ დროს ეს იდეოლოგიური მოთხოვნითაც იყო გამოწვეული და მოპირდაპირე მხარის ყალბი მტკიცებების უარსაყოფადაც. სსრ კავშირის დაშ-

ლისა და აფხაზ სეპარატისტთა ხროვის აშკარა აგრესიაზე გადასვლის შემდეგ ასეთის საჭიროება გაქრა, რაც ჩვენ შედარებით გვიმსუბუქებს ამოცანას. მაგრამ აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის ისტორიაში იმდენი პრობლემატური საკითხია, რომ ასპარეზი მაინც ფართო რჩება.

„ლიხნის მიმართვისა“ და მისთვის დართული „ცნობის“ მთავარ დანიშნულებას ისტორიის გაყალბება წარმოადგენდა. ამიტომაც მისმა „ავტორებმა ყველაფერი იკადრეს, რისი კადრებაც კი ადამიანს შეუძლია“ (რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, 1990:11). ისტორიის გაყალბებას ჩვეულებრივ ფალსიფიკაციას უწოდებენ, ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ფანტასტიკურ ფალსიფიკაციასთან, რომლის ავტორთა აულაგმავმა ფანტაზიამ არავითარი საზღვრები არ იცის.

აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შეფასდეს „მიმართვის“ დასაწყისში მოცემული მტკიცება „აფხაზები წარმოადგენენ დასავლეთ კავკასიის უძველეს ავტოქტონურ მოსახლეობას[1], რომლებიც ამ რე-

---

[1] თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი ეთნოსების ვინაობის პრობლემა დღემდე გადაუჭრელია. მეცნიერთა შორის განსაკუთრებულ დავას იწვევს ახ.წ.ა. I-II საუკუნეებიდან ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული აფსილებისა და აბაზგების ეთნიკური ვინაობის დადგენა. სწავლულთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ისინი ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ისტორიული აფხაზეთის რეგიონში და ჩერქეზულ-ადიღეური მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მეორე კონცეფციის მიხედვით, აფსილები და აბაზგები ქართული მოდგმის ტომები იყვნენ და აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე ცხოვრობდნენ. თანამედროვე აფხაზები (აფსუები) კი XVI-XVII საუკუნეებიდან ჩამოსახლდნენ მთებიდან, შეერივნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და მათი ქვეყანა მიწიან-სახელიანად მიითვისეს. როგორც მეცნიერულ ჰიპოთეზას ახასიათებს, ორივე ამ მოსაზრების მომხრეები უამრავ არგუმენტებს იშველიებენ, მაგრამ არც ერთი მათგანი საკითხის გადასაწყვეტად საკმაო არ არის. თუ იმის გარკვევას მოვინდომებთ, რომელი უფრო დასაბუთებულია მათ შორის, ვფიქრობთ, მეორის სასარგებლოდ უნდა გადავწყვიტოთ. ამისათვის მოტივს ის წარმოადგენს, რომ, როცა ხალხის ეთნიკური ვინაობის უთუო დადგენისათვის აუცილებელი ლექსიკური მასალა არა გვაქვს, გამოსავალი ტოპონიმიკაში უნდა ვეძიოთ. ისტორიული აფხაზეთის ძველ ტოპონიმიკაში კი წერილობით წყაროებში დამოწმებული ტოპონიმები მხოლოდ ქართველური (სვანური, ზანურ-მეგრული, ქართული) ენების მეშვეობით ამოიხსნება. არც ერთი მათგანი აფსუა-ადიღეური წარმოშობისა არ არის (გოგოლაძე 1995:30). წარმოუდგენელია ხალხს 15 საუკუნე ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ეცხოვროს და XVII საუკუნემდე წერილობით წყაროებში მის მიერ დარქმეული ერთი პუნქტის სახელი მაინც არ შემორჩენილიყოს.

აფსუათა გვიან ჩამოსახლების მომხრეებს უსაყდრურებენ, რომ ისინი ამ ხალხს შეურაცხყოფენ და მათ სამშობლოს არამჭრნელ მიიჩნევენ. მაგრამ ეს ასე არაა. ამ ბოლო ხანს მკვლევართა ყურადღება მიიქცია I საუკუნის ბერძენი ავტორის პლინიუს უფროსის ცნობამ, რომ მის დროს აბსოა ტომი კასპიის ზღვის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროსთან ცხოვრობდა („ლს“ 1997:5; უფრო დაწვრილებით: მჭედლიძე 1996:62). რადგან მსოფლიოს ხალხების უდიდესი ნაწილი თანამედროვე საცხოვრისზე მიგრაციული პროცესების შედეგადაა დამკვიდრებული, არგუმენტი აფსუათა უსამშობლობის გამო შეურაცხყოფის შესახებ, ამის გათვალისწინებით, თავისთავად ცხსნება.

გიონში ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III ათასწლეულებიდან ბინადრობენ“ და თანაც, ისინი ამ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე იყვნენ და რჩებიან დამოუკიდებელ ხალხად, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს“.

ასეთი მტკიცების აბსურდულობაზე მსჯელობაც კი არ ღირს. ვინაიდან, თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, ძვ.წ.ა. IV-III ათასწლეულებში შეუძლებელია დანამდვილებით გაარკვიო, სად რომელი ტომები ცხოვრობდნენ. „ენეოლითის ეპოქაში ნავარაუდევია მოსახლეობის მხოლოდ დასავლეთ კავკასიური ერთიანობის გამოყოფა და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ დიდი ეთნოკულტურული არეალების წარმოქმნაზე“ (ედ. ხოშტარია-ბროსე, გაზ. „სახ. განათ.“ 6.5.1989).

ეთნიკური კუთვნილების დადგენა ხდება ლექსიკური მასალის ანალიზისა, არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების საშუალებით. მაგრამ ყოველთვის ისინიც არ იძლევიან გადაჭრით პასუხის შესაძლებლობას. თუმცა ბერძნული წერილობითი ძეგლების მოშველიებით იმის მტკიცება კი ნამდვილად შეიძლება, რომ დასავლეთ კავკასია მათთვის თვალმისაწვდომ ეპოქებში მონოეთნიკური რეგიონი არ იყო. კერძოდ, ძვ.წ.ა. VI-IV სს. ავტორები ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდო სკილაქს კარიანდელი და სხვ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახლებენ კოლხებს (მათ ტერიტორიაზე მდებარე ქ. დიოსკურიას...) და მათგან ჩრ. დასავლეთით მცხოვრებ: კორაქსებს, ჰერიოხებს, აქაველებს, კერკეტებს. ამათგან ზოგიერთებზე მიუთითებენ, რომ ისინი „მრავალტომიანები“ იყვნენ, რაც ნიშნავს მათს კრებითს შემადგენლობას. კოლხებზე, რომ არაფერი ვთქვათ, ასეთები უნდა ყოფილიყვნენ ჰენიოხები, რაც გვაძლევს საფუძველს, რომ მათ შემადგენლობაში უნდა ვიგულისხმოთ დასავლეთ-ქართველური ტომები, რომლებიც მრავალრიცხოვანობისა, კულტურული და პოლიტიკური განვითარების დონის გამო თავიანთ სახელს აძლევდნენ სხვა ტომებსაც.

„აფხაზური წერილებიდან“ კი, როგორც ზემოთ მოტანილი ციტატაც აჩვენებს, გამომდინარეობს, რომ მთელი დასავლეთ კავკასია და კერძოდ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია IV-III ათასწრეულებიდან დასახლებული იყო მხოლოდ აფხაზებით. ყოველშემთხვევაში რომელიმე სხვა მოსახლეობაზე აქ ლაპარაკი არ არის.

აფხაზი ისტორიკოსების ერთი ნაწილი თავისი ქვეყნის ისტორიას ადრეც „აძველებდა“, მაგრამ ასე შორს არ მიდიოდნენ და ახალი

წელთაღრიცხვის დასაწყისს იქით იშვიათად თუ სცილდებოდნენ. 60-იანი წლებიდან კი მათ აღმაფრენას ფრთები შეასხა შავი ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროს ქვიშაზე ხშირი ჩოქვის გამო აფხაზეთის სიყვარულში მუხლებდაღლეტილმა ლენინგრადელმა პროფესორმა გ.თ. ტურჩანინოვმა. კოზმა პრუტკოვის ამ ღირსეულმა შთამომავალმა „შეძლო" მაიკოპში 1960 წელს შემთხვევით აღმოჩენილი, ქვაზე გაკეთებული ისეთი ამონაკაწრები, რომლებსაც სერიოზული მეცნიერები საერთოდ არ მიიჩნევენ წარწერებად[1], „აშუურ" ენაზე „ამოეშიფრა". ეს უკანასკნელი გ. ტურჩანინოვის გამოგონებაა. მის მიხედვით, „აშუური" ენა არის თავისებური ნარევი დღევანდელი აფხაზური, აბაზური და უბიხური ენების არქაიზებული სიტყვებისა და „არა თანამედროვე გენეტიკური ლინგვისტიკის მეთოდების შესაბამისად რეკონსტრუირებული დასახელებულ ენათა წინაპარი ენა", წერს აკად. თ. გამყრელიძე („ლს" 1989:13).

თვით ტურჩანინოვი კი პირდაპირ აცხადებდა, რომ მაიკოპის ჭურჭლის „სილაბურ-პიქტოგრამულ" წარწერათა ენა, „ეს იგივე ენაა, რომელზედაც მეტყველებენ აფხაზები დღესაც და რომელზედაც შედგენილია ზრინჯაოს ფირფიტების წარწერები, სპატულები და ბიბლოსის (XIX-XVI სს. ძვ. წ.) სტილები. ეს არის ენა, რომელზედაც შესრულებულია მაიკოპის ფილა (XIII-XII სს. ძვ. წ.), სინოპის საბეჭდავი (I ათასწლეულის მიჯნა), აქვინის (სოხუმის) პირველი წარწერა და მრავალი სხვა" (იქვე). როგორც ვხედავთ გ. ტურჩანინოვი „აშუურად" კითხულობს არა მარტო უძველეს წარწერებს კავკასიიდან, არამედ ე.წ. ფსევდოიეროგლიფურ წარწერებს ბიბლოსიდან (და არა ბიბლიურს, როგორც ზოგიერთი შეცდომით წერს. ბიბლოსი ტოპონიმია ლიბანში), რომელსაც მკვლევრები ერთ-ერთ დასავლურ-სემიტურ ენაზე შედგენილად თვლიან.

გარდა იმ წინააღმდეგობისა, რომელიც სემიტურ ენაზე შედგენილი ტექსტის აფხაზურად წაკითხვის შეუძლებლობაში მდგომარეობს, თ. გამყრელიძის შენიშვნით: „ყველაზე საოცარი ამ „დეშიფრირებაში" არის ის, თუ როგორი შესაშური სიმსუბუქით და თავისუფლად „კითხულობს" ავტორი „აშუურად" ყველა ამ უძველეს წარწერას... უძველეს ენათა დამწერლობათა მკვლევარებმა იციან, რამდენად არარეალურია ეს" (იქვე).

---

[1] მაგალითად, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის, ენებისა და დამწერლობათა გამოჩენილი სპეციალისტი, პროფ. ი. დიაკონოვი წერდა: „ამაზე დროს არ შეიძლება საკუთით გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ „მაიკოპის წარწერა" საერთოდ არაა წარწერა, არამედ მარტოოდენ იმიტაციაა წარწერისა, ანდა მაგიური თუ სამკითხაო მიზნით გაკეთებული ნახაზია, ანდა რაღაც ამდაგვარი" (ციტ. გ. გოორგაძის წერილის მიხედვით, „ლს" 1989:13).

მაგრამ გ. ტურჩანინოვი მარტო ლინგვისტიკაში როდი არის ვირტუოზი ყალბისმქნელი, აკადემიკოსი გრ. გიორგაძე იმოწმებს არქეოლოგ პ. აუტლევის 1966 წელს გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც დამაჯერებლადაა დამტკიცებული: მაიკოპის „წარწერა“ ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებს კი არ მიეკუთვნება, როგორც ამას გ. ტურჩანინოვი აჩვენებს, არამედ „საუკეთესო შემთხვევაში III საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე“ (იქვე).

ქართველმა მეცნიერებმა (ნ. ლომოური, მ. ლორთქიფანიძე...) კი გაარკვიეს, რომ გ. ტურჩანინოვის მიერ ძვ. წ. II ს-ით დათარიღებული სოხუმის (იგი აქვინისას უწოდებს) წარწერა, სინამდვილეში არ შეიძლება იყოს ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეზე ადრინდელი (იქვე). მაგრამ გ. ტურჩანინოვისათვის სულ ერთია ვინ რას ამტკიცებს. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა მისი ის დასკვნა, რომელიც აკად. გრ. გიორგაძეს აქვს მოტანილი გაზეთ „აფხაზსკი უნივერსიტეტ-ის“ 1989 წლის 17 თებერვალის ნომერში გამოქვეყნებული სტატიიდან—„მაიკოპის მონაპოვარი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამონაწერი საკმაოდ ვრცელია, გ. ტურჩანინოვის ფანტასტიკურ გაქანებაზე შთაბეჭდილების შესაქმნელად იძულებული ვარ მკითხველი მაინც შევაწუხო მისი წაკითხვით. ინტერვიუერი იწყებს იმით, რომ მის მიერ „აღმოჩენილი“ დამწერლობა ეკუთვნოდათ „...აფხაზების, აბაზინებისა და უბიხების წინაპრებს, რომლებიც ოდესღაც თავიანთ თავს აშუელებს უწოდებდნენ, ხოლო თავიანთ ქვეყანას აშუეთს და განაგრძობს: „ძვ. წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ეს ქვეყანა განივრცობოდა შავი ზღვიდან სამხრეთით დღევანდელ მაიკოპამდე ჩრდილოეთით... აშუეის ცივილიზაციის უძველესი არქეოლოგიური რეალიები იყო მაიკოპის დოლმენური კულტურები. აშუეის ენის წერილობითი ძეგლები მოიცავს პერიოდს III ათასწლეულის შუა ხანებიდან ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4-5 საუკუნეებამდე...მაიკოპური წარწერა არქეოლოგიური მონაცემებით მე დავათარიღე ძვ. წელთაღრიხცვის III ათასწლეულის შუახანებით (დაავიწყდა, რომ რამდენიმე აბზაცით წინ, „მაიკოპის წარწერას“ ძვ. წელთაღრიცხვის XIII-XII საუკუნეებით ათარიღებს.—გ.მ.). ხოლო, როგორც ამას წინათ გვამცნო მაიკოპის ყორღანების ახალმა გამთხრელმა რეზეპკინმა, ახლა მაიკოპური კულტურა ერთი ათასწლეულით უფრო ადრე თარიღდება. მაშასადამე, მაიკოპური კულტურა შეიძლება მიეკუთვნოს ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულს. და, ამრიგად, ბიბლოსური დამწერლობა აფხაზური წარმოშობისა აღმოჩნდა.

მაგრამ რაკიღა ბიბლოსურმა დამწერლობამ მისცა საწყისი ფინიკიურ დამწერლობას, რომლისგანაც წარმოიშვა მთელი ევროპული დამწერლობა ძალაუნებურად გვიხდება იმის თქმა, რომ ფინიკიური დამწერლობის წარმოშობაში ბრალი მიუძღვის არა ფინიკიელებს, არამედ აშუებს, ე.ი. ძველ აფხაზ მონებს, რომელთაც თან მოიტანეს ეს დამწერლობა" („ლს" 1989:13).

იმ მიზნით, რომ არ დაგვბრალდეს თითქოს გ. ტურჩანინოვის ნაცოდვილარს მხოლოდ ქართველები იწუნებენო, დავიმოწმებთ რუსი მკვლევრის ი. დიაკონოვის შემდეგ შენიშვნას: „აშკარაა, რომ საგანთა ამგვარი მდგომარეობის დროს მაიკოპის წარწერის ამოშიფრა პროტო ბიბლოსური წარწერების მეოხებით გახლავთ ცდა ამოუცნობის დახმარებით ამოუცნობის გარკვევისა" (იქვე). ეს სტრიქონები 1966 წელსაა დაწერილი. მას შემდეგ, როგორც ვნახეთ გ. ტურჩანინოვმა 180 გრადუსით შეაბრუნა კომპასის ისარი და ბიბლოსური წარწერების აფხაზურ წარმოშობაში დაგვიწყო დარწმუნება. ცხადია, ამით, გარდა „აფხაზური წერილების" (ასე ვუწოდოთ ყველა მათ საჩივარს) ავტორებისა, არავინ ტყუვდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს არც მათ სჯერათ, მაგრამ მეცნიერული სიყალბისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ არსებობს და ისინიც თავიანთი ანგარებიანი ზრახვებისათვის თავისუფლად იყენებენ გ. ტურჩანინოვის „აღმოჩენებს" და აფხაზეთის დამწერლობის ისტორიას ბრინჯაოს ხანიდან, ძვ. წ. IV-III ათასწლეულებიდან იწყებენ.

ეს კი შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე კონტროლდაკარგულ ადამიანებს მოუვიდეს. თორემ რით უნდა იქნეს გამართლებული ის 5-6 ათასწლიანი ხარვეზი, რომელიც აფხაზურ დამწერლობაში შეინიშნება. აფხაზური დამწერლობა ხომ XIX ს-ის დამლევს შეიქმნა. პირველი წიგნი ამ ენაზე თბილისში გამოვიდა 1912 წელს და თუ მათ დამწერლობა ძვ. წ. IV-III ათასწლეულებში ჰქონდათ რატომ ერთი სიტყვაც არ დაწერეს მაიკოპის წარწერის შემდეგ? განა ასეთი რამ მომხდარა დამწერლობის ისტორიაში?

ისიც საკითხავია, საკუთარი დამწერლობის მქონე აფხაზები სახელმწიფო და რელიგიის ენად მთელი შუა საუკუნეების მანძილზე რატომ იყენებდნენ ქართულს. ანდა, იმავე ხანებში აგებულ საკულტო თუ სხვა სახის არქიტექტურულ ძეგლებზე რატომ წერდნენ ქართულად? ანდა, კიდევ, მსოფლიოს წინაშე ესოდენ დამსახურებული აფხაზები დამწერლობის მქონე წინა აზიის ხალხებმა

და ძველმა ბერძნებმა ჩვ. წელთაღრიცხვის II საუკუნემდე როგორ ვერ შენიშნეს და ერთხელ მაინც არ ახსენეს?

ამ კითხვებზე პასუხი მარტივია: არც აფხაზური დამწერლობა არსებულა და არც აფხაზები ყოფილან ისეთნი, როგორადაც მათ გ. ტურჩანინოვის ავადმყოფური ფანტაზიის მიხედვით თავი აქვთ წარმოდგენილი.

ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე ასურული წერილობითი წყაროები იცნობენ დაიაენის ქვეყანას, რომელსაც ურარტულ წერილობით ძეგლებში „დიაუხი" ეწოდება (სი61970:364). იგი ე.წ. „ნაირის ქვეყნებს" შორის ყველაზე ძლიერი ჩანს ძვ. წ. XII ს-ის მიწურულს. ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნის მემკვიდრე, ძველი ბერძნული ავტორების მიხედვით, ტაოხები იყვნენ, მისი ქართული სამყაროსადმი მიკუთვნების დასტურს წარმოადგენს. ამასვე აჩვენებს დიაუხის ტოპონიმიკა და მმართველთა სახელები.

ეთნიკური თვალსაზრისით უფრო გამოკვეთილად ქართულია დიაუხის ჩრდილოეთით მდებარე ადრეკლასობრივი სახელმწიფო, რომელიც ურარტულ წყაროებში კოლხად მოიხსენიება. ადგილობრივ მას კოლხეთი უნდა რქმეოდა (ძველბერძნულად—„კოლხიდა"). მის არსებობას ძვ. წ. X-VIII სს. ვარაუდობენ (იქვე:389). ამ სახელმწიფოს ძლიერება უნდა იყოს ასახული მითში არგონავტების შესახებ.

კოლხას სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ პოლიტიკურმა ცენტრებმა, ჩრდილოეთით, ახლანდელი დას. საქართველოს ტერიტორიაზე გადაინაცვლეს, სადაც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ ცნობილი კოლხეთის სამეფო, „რომლის ტერიტორია დაახლოებით სოხუმ-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდებოდა" (ლომური 1968:5). ძვ. წ. I საუკუნიდან კოლხეთის სამეფო მითრიდატე VI ეკვატორის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ხოლო პონტოს მეფის რომაელთა მიერ დამარცხების შემდეგ დასავლეთ საქართველო რომის ვასალი გახდა.

ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში რომის ქვეშევრდომობაში მყოფ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეული არსებობდა. მათგან IV საუკუნეში განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზიკის (ქართული წყაროებით—ეგრისის) სამეფო. „IV

ს-ის ბოლოსათვის ლაზეთის (ეგრისის) სამეფო აერთიანებს უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე ვრცელდება, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთსაც" (იქვე:72). VI ს-ში ბიზანტიელთა და სპარსელთა მიერ დასავ. საქართველოში გაჩაღებული მუდმივი ომების შედეგად ეგრისის სამეფო დასუსტდა. კიდევ უფრო ცუდი გავლენა მოახდინა აქაურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე არაბი სარდლის მურვან ყრუს შემოსევამ VIII ს-ის 30 წლების მიწურულს.

„აფხაზური წერილების" ავტორები მთელ ამ ისტორიას, არ ცნობენ. უფრო სწორად, გვერდს უვლიან, როგორც კოლხეთის სამეფოს, ისე ეგრისის სამეფოს არსებობის დროინდელ აფხაზეთის ისტორიას. მაშინ, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სახელმწიფოები შეიცავდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიასაც. „წერილებში" თხრობა ძვ. წ. IV-III ათასწლეულის ამბებიდან პირდაპირ გადადის ზოგად მსჯელობაზე იმის შესახებ, რომ „აფხაზმა ხალხმა გამოიარა ისტორიული განვითარების ხანგრძლივი გზა. იგი იცავდა თავისი არსებობის უფლებას, რომაელ, ბიზანტიელ, არაბ, თურქ და სხვა მჩაგვრელთაგან ბრძოლაში. უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში აფხაზეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. VI ს-ში აფხაზეთში დამკვიდრდა ქრისტიანობა". გამოდის რომ ამ ბრძოლაში აფხაზეთი ყოველთვის მარტოდმარტო იყო და არასოდეს არავის მისთვის დახმარების ხელი არ გაუწვდია. ავტორები თავს არ იწუხებენ დაასაბუთონ, როგორ ახერხებდა ამას სხვის ქვეშევრდომობაში მყოფი ხალხი. ქართული და ბიზანტიური წყაროებიდან კი ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლას ერთობლივად აწარმოებდა, მხოლოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ბრძოლის შემთხვევებს ისტორია იმ ხანაში არ იცნობს. ეს საკითხი დაწვრილებითაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში.

მომდევნო ხანის 10 საუკუნის აფხაზეთის ისტორია „წერილების" ავტორებს ასე აქვთ წარმოდგენილი: „VIII ს-ში წარმოიშვა აფხაზეთის სამეფო, რომელმაც მიაღწია თავის უმაღლეს ძლიერებას, X საუკუნეში, როცა შემოიერთა დასავლეთ საქართველოს მიწები. XIII საუკუნეში გაერთიანებული აფხაზურ-ქართული სახელმწიფო, რომელიც კარგად არის ცნობილი არაბულ, სპარსულ, სომხურ, ქართულ

და სხვა წყაროებში, როგორც აფხაზური სამეფო, მონღოლებმა დაანგრიეს და დაიშალა. შემდგომში აფხაზეთი არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო XVI საუკუნეში თურქეთის მიერ დაპყრობამდე. XVIII ს. დასასრულს აფხაზეთის სამთავრო იმყოფებოდა ოტომანთა პორტისადმი ნომინალური დაქვემდებარებაში, რისგანაც განთავისუფლებას ცდილობდნენ „რუსული ორიენტაციის“ აფხაზეთის მთავრები“.

ამ ნათქვამში არსებულ ყველა შეცდომაზე ყურადღების გამახვილებას, მათი ელემენტარული უვიცობიდან გამომდინარეობის გამო, საჭიროდ არ ვთვლი. მაგრამ ერთ ტენდენციაზე მაინც უნდა შევჩერდეთ. როგორც ვნახეთ, ავტორების თქმით, მონღოლებს XIII საუკუნეში დაუნგრევიათ „გაერთიანებული აფხაზურ-ქართული სახელმწიფო“, რომელსაც თურმე უამრავ ძველ წყაროში „აფხაზური სამეფო“ რქმევია. ე.ი. XI-XII საუკუნეების ქართული ფეოდალური მონარქია „აფხაზურ-ქართული სახელმწიფო“ ყოფილა. ამის საფუძველს მათ, ალბათ, ის აძლევთ, რომ, რადგან საქართველოს გაერთიანების დაწყების დროისათვის ბაგრატ III „აფხაზთა“ (ე.ი. დას. საქართველოს) მეფედ იწოდებოდა, საქართველოს მეფეების ტიტულატურაში მათი სამფლობელოების ჩამოთვლა აფხაზეთით იწყებოდა. ეს კი ნიშნავდა—მიუხედავად იმისა, რომ ამ სამეფოში აფხაზები, ქართველები, ჰერები, შარვანელები (შარვანშა) და სომხები (შაჰანშა) შედიოდნენ, იგი პოლიტიკურად და კულტურულ-ისტორიულად ქართული სახელმწიფო იყო. ეს აღინიშნა კიდეც მის X ს-ის დასასრულს წარმოშობილ ერთსიტყვიან სახელწოდებაში—„საქართველო“ (მჭედლიძე 1996:335-344).

უფრო მეტიც, ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერი აფხაზ ისტორიკოსთა შორის ზ. ანჩაბაძე მიიჩნევდა, რომ ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შესვლამდე. "Абхазское царство (Западная Грузия) являлось грузинским, по своему характеру политическим образованием" (Анчабадзе 1959:170). მით უმეტეს, ელემენტარული ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ XI–XIII საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებული სამეფო იყო სწორედ ქართული და არა აფხაზურ-ქართული სახელმწიფო, რომელიც მართალია, შეიცავდა საკუთრივ აფხაზეთსაც, მაგრამ უკანასკნელი მასში შედიოდა სამეგრელოსთან, სვანეთთან, გურიასთან, რაჭა-თაკვერთან, იმერეთთან ერთად—დასავლეთ საქართველოში; ჯავახეთთან, მესხეთთან, ტაო-კლარჯეთთან ერთად—ქვეყნის სამხრეთში; ქარ-

თლთან, კახეთთან, ჰერეთთან ერთად—აღმოსავლეთ საქართველოში.

მომდევნო პერიოდში (XIII-XVI სს.) „აფხაზური წერილების“ ავტორებს აფხაზეთის ისტორია წარმოდგენილი აქვთ, როგორც დამოუკიდებელი სამთავროს არსებობის ხანა. რაც ისეთივე ფალსიფიკაციაა, როგორც სხვა დანარჩენი. საქმე ისაა, რომ აფხაზეთი 1259 წლიდან დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში გადასულ მეფე დავით ნარინის სამეფოში შედიოდა. ასე გაგრძელდა, ვიდრე მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346) კვლავ არ შემოიერთა მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთითურთ, ხოლო ამ სახელმწიფოს დაშლა XV ს-ის 60-იანი წლებიდან მოხდა. თუმცა ამჯერად იმერეთის სამეფო შეიქმნა. აფხაზეთიც, როგორც საბედიანოს ნაწილი, მეფის სამკვიდრო იყო (იქვე:240).

აფხაზეთი სამეგრელოსაგან დამოუკიდებელი სამთავრო მხოლოდ XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა. ამ დროს მან ოდიშის სამთავროს ჩამოაჭრა კოდორსა და ენგურს შორის მდებარე მიწები (იქვე:271). მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ნომინალური იყო, რამდენადაც XVII-XVIII საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველო (იმერეთის სამეფო; სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) ოსმალეთის სასულთნოს ექვემდებარებოდა და მას ხარკს უხდიდა. თანაც, თუ იმერეთის სამეფო, სამეგრელო და გურია დროდადრო ახერხებდნენ თურქთა ბატონობისაგან თავის დაღწევას, აფხაზეთი და აჭარა მათი სრული ბატონობის ქვეშ იყო. ამის შედეგად ამ კუთხეების მოსახლეობის ნაწილი გამაჰმადიანდა. ქართველობას ისინი არასოდეს არ ჩაუტოვებია მტრების ხელში. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დახმარებით აფხაზებს არაერთხელ გაურეკიათ თურქები თავიანთი ქვეყნიდან.

ეს ყველაფერი დროსა და სივრცეში მომხდარი ობიექტური ჭეშმარიტებაა და რამდენიც არ უნდა უგულვებელყოს იგი ზოგიერთმა აფხაზმა, არსებობას მაინც არ შეწყვეტს. აფხაზებისათვის ქართველების მიერ გაწეულ დახმარებასა და კეთილისმყოფელ კულტურულ გავლენას ხშირად პატივისცემით მოიგონებდნენ ხოლმე თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტები დ. გულია, გ. შარვაშიძე და სხვები, რომელთაც ქართულ-აფხაზური სულიერი სამყარო ერთ განუყოფელ კატეგორიად ჰქონდათ წარმოდგენილი.

„აფხაზური წერილების“ ავტორებს არც თავისი ქვეყნის XIX ს-ის ისტორია აქვთ სწორად წარმოდგენილი. მათი მონათხრობით

1810 წელს ხორცი შეისხა აფხაზთა დიდი ხნის მისწრაფებამ და მათი ქვეყანა შეუერთდა რუსეთს. აქაც რამდენიმე უზუსტობაა. ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთება იძულებითი პროცესი იყო და არა ნებაყოფილობითი[1]. მეორე, სამურზაყანოს მთავრებმა მანუჩარ და ლევან შარვაშიძეებმა თავი სამეგრელოს მთავრის ქვეშევრდომებად სცნეს (აქტები, ტ. IV, გვ. 514), ამ სამთავროს კი 1803 წლიდან რუსეთთან მფარველობითი აქტი ჰქონოდა გაფორმებული და ამ გზით სამურზაყანოც რუსეთის მფარველობაში შევიდა, ასეთი სტატუსი ვრცელდებოდა 1857 წლამდე, სამეგრელოს სამთავროს სრულ ლიკვიდაციამდე. მესამეც, აფხაზეთის რუსეთთან ფაქტობრივ-სამართლებრივი შეერთება 1864 წელს განხორციელდა, როცა იმპერატორმა საბოლოოდ გააუქმა აფხაზეთის სამთავრო.

1810 წლიდან, როცა რუსეთმა აფხაზეთი დაიქვემდებარა, აფხაზებს საიმპერიო ხელისუფლება არ თვლიდა სრულყოფილ ხალხად. მას, მართალია, დაუტოვეს ავტონომიური სამთავროს სტატუსი, მაგრამ ქ. სოხუმი განიხილებოდა აფხაზ ხალხზე და შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მბრძანებლობის ციტადელად[2]. ფაქტობრივად, აფხაზეთზე ვრცელდებოდა რუსეთის სამხედრო მოხელის—იმერეთის მმართველის, ძალაუფლება, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ პოლიტიკური ზედამხედველობა ჰქონოდათ აფხაზეთზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში იარაღიც გამოეყენებინათ (გ. ძიძარია). რადგან აფხაზეთის მოსახლეობა განაგრძნობდა ბრძოლას კოლონიზატორთა წინააღმდეგ, მათი დასჯის მიზნით რუსთა მიერ იარაღის გამოყენების არაერთი შემთხვევაა აღრიცხული. მაშასადამე, აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულს არ წარმოადგენდა და შარვაშიძეებს ძალაუფლება ფორმალურად ჰქონდათ დატოვებული.

ეს ფორმალობა შენარჩუნებული იყო, ვიდრე რუსეთმა კავკასიის სხვა ხალხები არ დაიპყრო. შამილის კაპიტულაციის შემდეგ, 1864

[1] ეს მოსაზრება ვრცელდება აფხაზეთზედაც. ვინაიდან, მისი ტახტის მაძიებელმა საფარ-ბეგ (ქრისტიანობაში--გიორგი) შარვაშიძემ რუსთა კარნახით დაწერილი „სათხოვარი პუნქტები" იმპერატორთან იმიტომ წარადგინა, რომ მას იმის სანაცვლოდ მთავრის ტახტზე აყვანას დაპირდნენ. ალექსანდრე I-მა 1810 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა ეს დოკუმენტი, მაგრამ სოხუმკალეს სიმაგრე 1808 წლის მაისიდან მაჰმადკულელ ასლან-ბეგს ეკავა. იმიტომ რუსთა მთავრობისა და დადიანის ცდები გიორგის უომრად გამთავრებისა მარცხით დამთავრდა. 1810 წლის 10 ივლისს რუსთა ჯარს თერიშით მოუხდა სოხუმის აღება. გიორგი შარვაშიძემ კი რუსული ხიშტების მეოხებით მხოლოდ იმავე წლის ოქტომბერში მოახერხა თავის სატახტოში შესვლა. რუსეთის ჯარშევრდომი მთავარი შეზღუდულ საშინაო თვითმმართველობას ინარჩუნებდა (ს ი ნ 1973:873).

[2] Очерки истории Абхазской АСР, Сух., 1960, с. 142.

წელს, იმპერატორმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა. მისი ყოფილი ტერიტორია სოხუმის ოლქად გამოაცხადა და ქუთაისის გუბერნატორს დაუქვემდებარა. აფხაზი ხალხისადმი უნდობლობა კი გრძელდებოდა. მან კულმინაციას 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს და მას შემდეგ მიაღწია. „მეფის რუსეთი..., —წერს ჯ. გამახარია—სასტიკად გაუსწორდა აფხაზეთსა და აფხაზებს, გამოაცხადა ეს უკანასკნელი დამნაშავე ერად (1880 წ.), მოსპო იგი, როგორც რეალური პოლიტიკური ძალა, და აფხაზთა მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაასახლა თურქეთში (გამახარია 1991:12).

ამ დროს საქართველოში ძალებს იკრებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მასთან დაპირისპირების მიზნით რუსეთის ხელისუფლება სხვა ძალებთან ერთად აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის გამოყენების გზას დაადგა. კოლონიზატორები შეეცადნენ მუჰაჯირების ნაცვლად ამ მხარეში სლავური მოდგმის მოახალშენეები ჩაესახლებინათ, ხოლო აფხაზთა გარუსება დაეჩქარებინათ. ეს ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირებას აღრმავებდა. შოვინისტებმა კარგად გამოიყენეს სამეგრელოს გლეხობის ერთი ნაწილის ოდინდელ ქართულ მიწაზე ჩასახლების მისწრაფება. მათი აზრით, რუსებს ამის უფლება ჰქონდათ, ქართველებს კი არა. მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შესაძლებლობის მიხედვით ებრძოდნენ მუჰაჯირობასა და აფხაზეთის რუსულ კოლონიზაციას[1]. მაგრამ ოფიციალურ ხელისუფლებას გაცილებით დიდი საშუ-

[1] ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტის არსებობის მიუხედავად, თბილისში ისტორიის მეცნ. კანდიდატად ნაკურთხი სტ. ლაკობა ცდილობს თვალში ნაცარი შემოგვაყაროს და თავის ნაყალბევში (გახ. „სახ. განათ." 1990:24) იაკობ გოგებაშვილს მუჰაჯირების მიერ დატოვებულ მიწებზე მეგრული გლეხობის ჩასახლების იდეოლოგიაში სწამებს ცილს. საბუთად იგი მოიწმებს დიდი პედაგოგის წერილებს გაზ: "Тифлиски вестник"-ში (მიუთითებს 1877 წელს, უნდა იყოს 1878) და მკითხველს უმალავს რის გამოც დაიწერა ეს წერილები.

თვით ი. გოგებაშვილი 1902 წელს („იერია", №102) განმარტავდა: „როცა აფხაზები გადასახლდნენ ოსმალეთში უკანასკნელის--1877-1878 წწ. ომის შემდეგ, მათი სამშობლო თითქმის მთლიანად დაცარიელდა, თუ ვისმე უპრიანი იყო ეს ქვეყანა, სწორედ ქართველებისა, რადგან აფხაზეთი წინა საუკუნეებში ხშირად შეადგენდა საქართველოს ნაწილსა და ამ კუთხის დასაცავად მტერთაგან ქართველობას მრავალი სისხლი დაულვრია". თანაც, დასავლეთ საქართველოს გლეხობა მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდა. 60-იანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ და მათ შორის მეც საჭიროდ მივიჩნიეთ ჭეროვანი სამსახური გაგვეწია გაჭირვებული გლეხობისათვის. რადგან ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა მთავრობაზე იყო დამოკიდებული, მე წერილები გამოვაქვეყნე „ტიფლისკი ვესტნიკში", სადაც ვასაბუთებდი, რომ აფხაზეთში დაცარიელებულ ადგილებზე ჩასასახლებელ საკვლევო კონტიგენტს „შეადგენდნენ მეგრელები, ბარის ობერლები და ბარისკე გურულები-მეთქი".

ამ წერილს წინააღმდეგ „ივერიაში" წერილი დაბეჭდა მაშინდელმა სოხუმის ოკრუგის უფროსმა ვედენსკიმ. მაშინ მე ამაკე გაზეთში გამოვაქვეყნე 12 წერილი. ისინი ისე საბუთიანად მოიხინია ვედენსკიმ, რომ „ივერიის" რედაქტორს ბებუთოვს განუცხადა: „ვიდებ კალამს და არამც თუ ერთ სიტყვასაც ალარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ დღიდან მოსარჩლე შევიქნები თქვენს გაზეთში გატარებული აზრისაო".

ალებები ჰქონდა აღებული კურსის განსახორციელებლად და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია ქართველთა და აფხაზთა დასაპირისპირებლად. ჩემი თხრობის მიზანმიმართულებიდან გამომდინარე აღარ შევუდგები ამ პროცესის დაწვრილებით აღწერას. სურათის წარმოსადგენად კი საკმარისად მიმაჩნია დავიმოწმო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ჯანაშიას მიერ „დროებაში“ გამოქვეყნებული გულისტკივილი. „ეხლა მინდა აღვნიშნო,—იტყობინებოდა იგი,—როგორ იცვალნენ დრონი და გარემოებანი. აქამდე თუ აფხაზებს (ხელისუფლება—გ.მ.) ერეკებოდნენ „მოგეშორდით თავიდანო“, ეხლა ვითომ მათ ულოლიავებენ, და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოუღონ და მოსპონ ის მცირეოდენი ნაშთი ისტორიული კავშირისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში აერთებდა აფხაზთა და ქართველთა“ (ციტ. გამახარია 1991:12-ის მიხედვით).

ცარიზმის მიერ აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის, მხარის კოლონიზაციისა და აფხაზთა ასიმილაციის პოლიტიკის შედეგები ერთბაშად გამოვლინდა რუსეთში მეფის ხელისუფლების მოშლის შემდეგ. 1917 წლის გაზაფხულზე, როცა აფხაზეთში თავისი მოქმედების სფერო გააფართოვა ისლამისტურმა ორგანიზაციამ—მთიელთა კავშირმა, აფხაზეთის ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ანტიქართული პოზიცია დაიჭირა და ემხრობოდა პროთურქულ და რუსულ ორიენტაციას.

1917 წლის 7-8 ნოემბერს შედგა აფხაზეთის გლეხთა პირველი ყრილობა. მან დაადასტურა აფხაზეთის შესვლა გაერთიანებულ მთიელთა კავშირში და შექმნა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც აშკარად ანტიქართულ პოზიციაზე იდგა. ამ დროს საქართველოს თავისი ხელისუფლება არ ჰყავდა. ქართველი პოლიტიკოსები შეშფოთდნენ. ყრილობაზე დასასწრებად ინტერპარტიული საბჭოს დელეგაცია გაიგზავნა ა. ჩხენკელის, ივ. გომართელისა და ვ. ჯუღელის

იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებებს უფრო გაჟღენთილი დამცველიც გამოუჩნდა მთიანი კავკასიის სამმართველოს უფროსის დ.ს. სტაროსელსკის (იგი, ფაქტობრივად, მეორე პირი იყო სამეფისნაცვალოში) სახით. მან შეადგინა აფხაზეთის დასახლების პროექტი, იქ დაცარიელებულ ადგილებში დას. საქართველოს მოსახლეობის ჩასახლების გათვალისწინებით. „სტაროსელსკის პროექტი გაიგზავნა პეტერბურგში,--წერდა ი. გოგებაშვილი,--და ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ იგი შეწყნარებული იქნებოდა უმაღლესი მთავრობისაგან“. მაგრამ საჭმეში ჩაერია რეაქციული „მოსკოვსკოე ვედომოსტის“ ცნობილი შოვინისტი რედაქტორი მ. კატკოვი. მისმა დიდმა გავლენამ თავისი გაიტანა და გადაწყვიტეს აფხაზეთში ჩამოესახლებინათ გლეხები შიდა რუსეთის გუბერნიებიდან.

ასეთია სიმართლე!

შემადგენლობით. ყრილობაზე დელეგაციას, მტრულად შეხვდნენ, ხოლო სამურზაყანოელი ქართველებისაგან მხარდაჭერა მოითხოვეს. მართალია, ამას ვერ მიაღწიეს, მაგრამ სოხუმიდან დაბრუნებული ივ. გომართელი გაზ. „ალიონში“ იუწყებოდა: „აფხაზეთის ორიენტაცია დღეს არის მთიულ-ოსმალური, მათ ქართული არაფერი მოსწონთო“.

აფხაზთა სახალხო საბჭო არ იყო აფხაზეთში მოქმედი ერთადერთი ორგანო. არსებობდნენ: ქართველთა, რუსთა, სომეხთა და ბერძენთა ეროვნული ან სახალხო საბჭოები (გამახარია 1991:44). რაც აფხაზეთის ტერიტორიული დაშლის საფრთხეს ჰქმნიდა. ამ საფრთხისაგან იგი იხსნა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ. 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მან სცნო საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სრული ავტონომიური უფლებებით შესვლა. „ერთიანი განუყოფელი აფხაზეთის“ ტერიტორიის საზღვრებად კი გამოაცხადა ერთი მხრივ მდ. მზიმთა, ხოლო მეორეთი—მდ. ენგური“ (იქვე:43). მომდევნო ხანებში ცარიზმის მიერ დაწყებული ქართველ-აფხაზთა დაპირისპირება ბოლშევიკებმა განაგრძეს.

მათი პირველი ავანტიურა აფხაზეთში 1918 წლის თებერვალში შედგა. 16 თებერვალს ეფრემ ეშბამ რუსი მეზღვაურების დახმარებით სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და რევკომი შექმნა. მაგრამ 21 თებერვალს დამხმარე ძალის წასვლისთანავე მისი ხელისუფლება დაემხო.

8 აპრილს ბოლშევიკებმა იერიშით კვლავ აიღეს სოხუმი, საოლქო რევკომი შექმნეს და საბჭოთა ხელისუფლება ამ გზით დაამყარეს. წყაროებით ცნობილია: ეს აქცია განახორციელა სოჭიდან ჩამოსულმა წითელგვარდიელთა რაზმმა ნ. პოიარკის მეთაურობით და ტუაფსიდან—ი. რუდის ხელმძღვანელობით. ეს იყო ანექსიის ტიპური მაგალითი (Очерки Истории Абхазской АССР, II, Сух., 1964, с. 30 და შმდ). მათ გააფართოეს მოქმედების ასპარეზი, ხელთ იგდეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია. მოსახლეობას 2 მილ. მან. კონტრიბუცია შეაწერეს. ემზადებოდნენ საქართველოზე შემოსატევადაც.

სოხუმის დეპუტატთა დელეგაციამ ნატანებში მყოფ გენ. გიორგი მაზნიაშვილს თხოვა დახმარება ბოლშევიკების განსადევნად, ეს მაშინ მან ვერ შეძლო. ამიერკავკასიის სეიმმა აფხაზეთში გაგზავნა სამხედრო ნაწილები და გვარდიელები პოლკ. კონიაშვილისა და ვ.

ჯულელის მეთაურობით. მათ 1918 წლის 17 მაისს სოხუმი ბოლშევიკებისაგან გაწმინდეს, ქალაქის მოსახლეობა გამათავისუფლებლებს ზეიმით შეხვდა. აფხაზთა სახალხო საბჭოს ფუნქციონირება აღდგენილ იქნა.

მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს მთავრობას მიმართა დახმარებოდა აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში. თანაც გვარდია დაეტოვებინა მის განკარგულებაში. საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად თბილისში გაიგზავნა დელეგაცია. (Ментешашвили, Сургуладзе 1989:149).

ხუთდღიანი მოლაპარაკების შემდეგ, 10 ივნისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველოს მთავრობა აფხაზეთს ანიჭებდა ფართო ავტონომიას[1]: ხელშეკრულების მესამე მუხლით მას მიეცემოდა კრედიტი და ფული, ხოლო მეოთხეთი—აფხაზთა სახალხო საბჭოს დასახმარებლად და მის განკარგულებაში იგზავნებოდა გვარდიის რაზმი.

სოხუმიდან გაქცეული ბოლშევიკები გაგრაში იყვნენ დაბანაკებული. მათ მოულოდნელად წამოიწყეს შეტევა, გუდაუთა აიღეს და ახალ ათონს მოადგნენ. კვლავ აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნით, საქართველოს მთავრობამ, ახლა უკვე გენ. გ. მაზნიაშვილის სარდლობით თავისი ჯარი გაგზავნა აფხაზეთიდან ბოლშევიკების განსადევნად. ქართულ ჯარს შეუერთდნენ აფხაზეთის შეიარაღებული მეომრებიც. ოპერაცია დაიწყო 1918 წლის 27 ივნისს. იგი წარმატებით განვითარდა. მდ. ფსოუზე გასულმა გ. მაზნიაშვილმა მიიღო ბრძანება გაეგრძელებინა შეტევა. მის ხელთ აღმოჩნდა სოჭისა და ტუაფსეს რაიონებიც:

ცხადია, ბოლშევიკებსა და ანტიქართულად განწყობილ აფხაზებსაც არ მოსწონდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღწეული ასეთი წარმატებანი. ყოველმხრივ ცდილობდნენ აფხაზეთში მყოფი ქართული ჯარისა და მისი სარდლის დისკრედიტაციას, რათა მიეღწიათ მათი გაყვანისათვის. ამ მიზნით თურქეთის გამოყენებასაც კი შეეცადნენ. 1918 წლის 27 ივნისს სოფ. წყურვილში, თავად ა. შარვაშიძის მამულში, ოსმალთა დესანტი

[1] აქამდე ბოლშევიკები არათუ აფხაზეთის ავტონომიას არ აღიარებდნენ, არამედ ყოველგვარ ასეთ მოთხოვნას ნაციონალისტურს უწოდებდნენ. მათს დოკუმენტებში „აფხაზეთი" არ იხსენიებოდა. ცნობდნენ მხოლოდ „სოხუმის ოლქს".

გადმოსხდა. გ. მაზნიაშვილმა ამ ჯგუფთან მოახერხა საქმის უსისხლოდ მოგვარება. კოდორსა და ოქუმიდან კი ოსმალები იარაღის ძალით იქნენ განდევნილნი (იქვე:148).

იმავე ძალებს ცდა არ დაუკლიათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ თეთრგვარდიული რუსეთის გამოყენებისათვის. ეს ძნელი არც იყო. კავკასიაში მოქმედი გენერლები მ. ალექსეევი და ა. დენიკინი აღშფოთებულნი იყვნენ ქართველთა ჯარის მიერ ტუაფსეს დაკავების გამო. ამ დროს მათ დახმარებისათვის მიმართეს აფხაზთა ანტიქართულმა წრეებმაც. მდგომარეობა დაიძაბა. მისი განმუხტვის მიზნით, საქართველოს მთავრობის სახელით, თეთრგვარდიელ გენერლებს 1818 წლის 25 სექტემბერს შეხვდნენ ევგ. გეგეჭკორი და გ. მაზნიაშვილი. გენერლებმა მოითხოვეს ქართველთა მიერ აფხაზეთის (მდ. ენგურამდე) დატოვება, ხოლო რუსეთის საზღვრებში გაგრის შეყვანის აღიარება. (მიმინოშვილი, ფანჯიკიძე 1990:53-54). ე. გეგეჭკორმა და გ. მაზნიაშვილმა ეს წინადადებები არ მიიღეს.

აფხაზთა სახალხო საბჭოს პროთურქული და პრორუსული ორიენტაციის მქონე წევრები გაერთიანდნენ და გენ. ალექსეევის მხარდაჭერით, 1918 წლის დასაწყისში, შეეცადნენ აფხაზეთში სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინათ. მათ გადააყენეს კიდეც აფხაზთა სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი. მაგრამ ქართველთა ჯარმა მალე მოუსწრო, წესრიგი აღადგინა. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრთა ჯგუფმა საქართველოს მთავრობისაგან დეპეშით ითხოვა საბჭოს დაშლა, ახალი არჩევნების ჩატარება და შეთქმულების მონაწილეთა გარეკვა (გამახარია 1991:72).

1918 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ აფხაზთა სახალხო საბჭო დაშლილად გამოაცხადა და არჩევნების ჩასატარებლად კომისია შექმნა. შედგა საარჩევნო დებულების პროექტიც, რომელიც 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა. მის საფუძველზე სახალხო საბჭოს არჩევნები ჩატარდა 1919 წლის თებერვალში, ხოლო პირველი სხდომა გაიმართა 18 მარტს.

20 მარტს, დემოკრატიული არჩევნების შედეგად დაკომპლექტებულმა აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, სადაც დადასტურებულია, რომ ეს ავტონომია არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენელი ერთეული.

1919 წლის დასაწყისში ა. დენიკინმა ისარგებლა საერთაშორისო ვითარებით, რაც ამიერკავკასიაში გერმანელთა ინგლისელებით შეც-

ვლაში გამოიხატა, გაგრის რაიონში შეტევაზე გადმოვიდა და ცდილობდა ქართული ჯარი მდ. მეხადირთან მიემწყვდია (Ментешашвили, Сургуладзе 1989:153). მან მოხალისეთა არმიის ინგლისის მისიას გაუგზავნა მემორანდუმი, რომლითაც მოითხოვდა ქართული ჯარისა და ადმინისტრაციის დაუყოვნებლივ განდევნას სოხუმის ოლქიდან, საქართველოსთან საზღვრად მდ. ენგურის დაწესებას. აფხაზთა სახალხო საბჭომ გადაჭრით უარყო ეს მოთხოვნები. საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა დიპლომატიურ და პოლიტიკურ ბრძოლას დენიკინის აგრესიის ასალაგმავად და თეთრგვარდიელი გენერლის დამარცხებამდე არ შეუწყვეტია ომი.

საქართველოს დემოკრ. რესპ-ის მთავრობა რომ ყოველმხრივ მხარს უჭერდა აფხაზეთის ავტონომიას, ეს ჩანს იქ გატარებული რიგი პოლიტიკური ღონისძიებებიდანაც. აფხაზთა სახალხო საბჭომ 1919 წლის 13 მაისს დაადგინა შექმნილიყო აღმასრულებელი ორგანო —კომისარიატი. იმავდროულად აფხაზთა სახალხო საბჭოს ეწოდა აფხაზეთის სახალხო საბჭო, სოხუმის ოლქს—აფხაზეთი (გამახარია 1991:82). დაიწყო კონსტიტუციის შემუშავების პროცესი. იგი გაჭიანურდა. საკამათო გახდა აფხაზეთისა და საქართველოს დამოკიდებულების საკითხი. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდე აფხაზეთის კონსტიტუციის საკითხის გადაწყვეტა გადაიდო.

1919 წლის ნოემბერში ნ. ჟორდანიამ მოიწონა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის წინადადება, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღებამდე აფხაზეთში ემოქმედა დებულებას ავტონომიური რესპუბლიკის მართვის შესახებ. კონსტიტუციის საკითხის გადაწყვეტის გახანგრძლივებამ ქართულ ოპოზიციას აფხაზეთში საბაბი მისცა საქართველოს მთავრობისათვის წამოეყენებინა მიუღებელი წინადადებანი, რაც ქართველ-აფხაზთა დაპირისპირებას უწყობდა ხელს. მაგ., ამ საკითხის გადადება ოპოზიციისაგან განიხილებოდა, როგორც ორი მხარის მიერ 1919 წლის 20 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა. ეს ფაქტი გამოყენებული იქნა კონფრონტაციისათვის—1920 წლის 5 დეკემბერს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციის წევრთა ნაწილმა დატოვა თბილისი (Ментешашвили, Сургуладзе 1989:151).

აფხაზეთის საკითხის გამო უთანხმოება სუფევდა საქართველოს პოლიტიკურ წრეებშიაც. ეროვნულ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ბრალად სდებდნენ ზედმეტ დემოკრატიულობას

აფხაზეთის მიმართ, რაც, მათი აზრით, ხელს უწყობდა აფხაზეთის სრული სუვერენიტეტის გამოცხადებისაკენ სწრაფვას, ქართველთა გავლენის დაცემას აფხაზეთში, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, უარყოფას და მის სრულ განდევნას აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებებიდან. თანაც, აღნიშნავდნენ ისინი, ეს ხდება იმ პირობებში, როცა აფხაზეთს საქართველოს ხაზინა ინახავს.

მიუხედავად პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული წინააღმდეგობებისა, საქართველოში მაშინ არ არსებობდა პოლიტიკური ძალა, რომელიც აფხაზეთისათვის ავტონომიის მინიჭების აუცილებლობას არ აღიარებდა.

ეს აისახა საკანონმდებლო გზითაც. 1920 წლის დეკემბერის მიწურულს საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ დებულების“ პროექტი. იგი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო დამფუძნებელმა კრებამ.

მარტო ეს ფაქტიც საკმარისია, აფხაზი სეპარატისტებისა და მათი იდეოლოგების იმ ნაყალბევის საწინააღმდეგოდ, რომ თითქოს საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება აფხაზეთს თავისი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად არ თვლიდა და 1921 წლის კონსტიტუციაში ამ მხარის შესახებ არაფერია ნათქვამი. ცხადია, შემადგენელ ნაწილად ჩათვლის იმაზე უკეთესი ფაქტი, ვიდრე პოლიტიკური ერთეულისათვის საკუთარ კონსტიტუციასთან ერთად მართვის ცალკე დებულების დამტკიცებაა, ძნელად შეიძლება გამოინახოს. თანაც, ამ დებულების დამტკიცებას ხომ თვით აფხაზეთის სახალხო საბჭო ითხოვდა. მაშასადამე, ისიც საქართველოში შემავალ ერთეულად თვლიდა აფხაზეთს.

1918 წლის გაზაფხულზე განცდილი მარცხის შემდეგ ბოლშევიკებმა აქა-იქ გამოცოცხლება დაიწყეს დენიკინის მიერ გაგრაზე შემოტევის შემდეგ. მათ გააქტიურებას ხელი შეუწყო 1919 წლის მარტში აფხაზეთში გამოცხადებულმა ამნისტიამ. მათ ჯერ დროებითი კომიტეტი შეადგინეს, ხოლო აგვისტოში ახალი არალეგალური კომიტეტი აირჩიეს. ცხადია, ამ კომიტეტების დანიშნულებას მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, რაც, ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობისათვის მოქმედებას, აფხაზეთიდან მისი ფეხის ამოკვეთას ნიშნავდა.

ბოლშევიკებს თავიანთი საქმიანობის ლეგალურად გაშლის საშუალება რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად მიეცათ.

ასე რომ, 1921 წლის მარტში IX წითელი არმიის ნაწილებს, როცა მათ საქართველოს ოკუპაცია ამ მხრიდან მოახდინეს, აფხაზეთში, ბოლშევიკების სახით, საკმაოდ ძლიერი მეხუთე კოლონა დახვდა. სოხუმი ოკუპანტებმა 4 მარტს აიღეს. 6 მარტს აფხაზეთში ხელისუფლება კავბიუროს მიერ შედგენილმა რევკომმა გადაიბარა (სინ, ტ. VI, 1972, გვ. 697).

ახალმა ხელისუფლებამ იმთავითვე დაიწყო ხმაური იმის თაობაზე, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის იმდენად ღრმა ეროვნული შუღლი არსებობს, მისგან თავის დაზსნა მხოლოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებით ან მისი რუსეთთან შეერთების გზით შეიძლებაო. თან იმასაც უმატებდნენ—ამით წითელი არმიის განმათავისუფლებელი მისიაც დადასტურდებაო. აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარემ ე. ეშბამ და მისმა მოადგილემ ნ. ლაკობამ მიაღწიეს ს. ორჯონიკიძის თანხმობას და 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის რევკომმა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა (გამახარია 1991:117). თვით ამ „დამოუკიდებელი აფხაზეთის" შემქმნელებს ეს ფორმალურ და დროებით ღონისძიებად მიაჩნდათ. ნ. ლაკობა 1922 წლის იანვარში ამბობდა: „როცა ჩვენ, აფხაზეთის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, ვუთხარით პარტიაში ჩვენს უფროს ამხანაგებს, რომ იმისათვის, რათა მცირე ეროვნებათა შორის, როგორც მაგალითად, აფხაზთა შორის, შენარჩუნებულ იქნას საბჭოთა ხელისუფლების იდეა, საჭიროა ერთი წუთით(!) გამოცხადდეს აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად,—ხოლო საბჭოთა აფხაზეთი, რომელიც არსებობს როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ამბობს: „ისტორიული და ეკონომიკური პირობები მოითხოვს, რომ მშრომელი მასები ამ ორი ხალხისა ერთმანეთთან მტკიცედ იყვნენ შედუღებულნი" (Н. Лакоба, Статьи и речи, Сух., 1987:25).

ასევე მკაფიოდ მსჯელობდა იგი 1925 წელსაც: „აფხაზეთში საკითხის დაყენება იმის თაობაზე, რომ ის მართლაც „დამოუკიდებელია და საქართველოდან უნდა წავიდეს, იმას გამოიწვევდა, რომ აფხაზეთი და საქართველო წარმოადგენენ ერთ მთლიანობას, რომ აფხაზეთი დაიშლება, როგორც ცელქი ბიჭუნას ხელით აგებული ხუხულა" (იქვე:177).

აფხაზი სეპარატისტები და მათი „თეორეტიკოსები" ამტკიცებენ, რომ, როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკად იქცა. 1921 წლის 16 დეკემბერს დაიდო „საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ-ს შორის სამოკავშირო ხელშეკრუ-

ლება“, რომლითაც ათი წლის განმავლობაში, 1931 წლის თებერვლამდე იგი საკავშირო რესპუბლიკას წარმოადგენდა.

ასეთი მტკიცება აშკარა სიცრუეა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1922 წლის 22 დეკემბრამდე სსრ კავშირი არ არსებობდა და როგორ შეიძლებოდა 1921 წლის მარტიდან აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა ყოფილიყო. რაც შეეხება „სახელშეკრულებო რესპუბლიკას“, ასეთ იურიდიულ სუბიექტს საერთაშორისო სამართალი არ იცნობს, თუ აწი არ წარმოიშობა იგი აფხაზეთის ყალბი ისტორიის „გამართლების“ მიზნით. მართლაც, აფხაზეთი მოკავშირე რესპუბლიკა რომ ყოფილიყო, მას უნდა ჰყოლოდა თავისი კომპარტია, წითელი არმია, საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა ატრიბუტები, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს გააჩნდათ. მას კი ისინი არ ჰყავდა იმიტომ, რომ იგი სუვერენული (ამ ცნების საბჭოთა გაგებითაც კი) სახელმწიფო არასოდეს ყოფილა.

ჭეშმარიტება კი ის იყო, რომ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, რასაც ადრე აფხაზი ისტორიკოსებიც არ უარყოფდნენ.[1] მართალია, მას „აფხაზეთის სსრ“ ერქვა, მაგრამ მისი სტატუსი, ფაქტობრივად, ავტონომიური რესპუბლიკისას უდრიდა, რაც 1931 წლის თებერვალში სცნო კიდეც აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ, რომელმაც აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად გამოაცხადა.

ისმება კითხვა: რატომ დათანხმდნენ ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ბოლშევიკები თუნდაც დროებით აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი აქვს გაცემული ჯ. გამახარიას. მისი აზრით, ამ შემთხვევაში მოქმედებდა რამდენიმე ფაქტორი. 1. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებით აფხაზებს უფართოესი ავტონომიური უფლებები მიანიჭა. ამის გამო „ბოლშევიკები, რომლებიც ადრე სულ მენშევიკების მიერ აფხაზების „ჩაგვრა-შევიწროებაზე“ გაჰყიროდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ წითელი არმიის ხიშტებით „განთავისუფლებული“ აფხაზეთისათვის სულ უფრო მეტი უფლებების მინიჭების ილუზია შეექმნათ“ (გამახარია 1991:127).

[1] იხ. მათ მიერ დაწერილი ისტორიული ნარკვევი ჭყ-ის ცალკე ტომში, რომელსაც „საქართველოს სსრ“ ჰქვია. იქ წერია: 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით „აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. შემდეგ კი (1922 წ. 13 დეკ.)--ამიერკავკასიის სფსრ-ში, როგორც საქ სსრ-ს ნაწილი“ (გვ. 315, რუს. გამოც. გვ. 327)

2. აფხაზეთის რევკომი აყენებდა საკითხს აფხაზეთისათვის ან დამოუკიდებლობა მიეცათ, ანდა რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე დათანხმებოდნენ. კავბიურომ 1921 წლის 16 ნოემბერს წინადადება მისცა ე. ეშბას წარმოედგინა თავისი საბოლოო დასკვნა სახელშეკრულებო საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან რსფსრ-ში ავტონომიური ოლქის სტატუსით შესვლის შესახებ[1]. მოსალოდნელია აქ გათვალისწინებულ იქნა: რადგან აფხაზი სეპარატისტები საქართველოს შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგი იყვნენ ამაზე დასათანხმებლად მათი სტატუსი რამდენადმე აემაღლებინათ. 3. რუსეთს თავის შემადგენლობაში აფხაზეთის მიღება მაინცდამაინც არ იზიდავდა, რადგან ამას მოჰყვებოდა აფხაზეთის ინტეგრაცია მთიელთა რესპუბლიკასთან. ასეთ გაერთიანებაზე კი რუსეთი ვერ წავიდოდა „ვინაიდან ეს ნიშნავდა სამხრეთის საზღვრებთან ძლიერი მუსულმანური, თურქული ორიენტაციის სახელმწიფოს შექმნას". რასაც რუსეთი ვერ დაუშვებდა. თანაც, „მას იგი (აფხაზეთი—გ.მ.) საქართველოს შემადგენლობაში უფრო სჭირდებოდა როგორც დაყოვნებული მოქმედების ბომბი" (იქვე:126). 4. მოსკოვმა „დამოუკიდებლობის" ბოძებით თავის მხარეზე გადმოიბირა აფხაზები. თუ აქამდე ისინი არ სწყალობდნენ კომუნისტურ იდეოლოგიას, „დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აფხაზები ადრე საძულველი წყობილებისა და პარტიის დამცველნი გახდნენ, რაც მათი „დამოუკიდებლობის" შენარჩუნებისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა „შესაბამისად ბოლშევიკური რეჟიმის მოწინააღმდეგეს იგი საკუთარ მტრად აღითქვამდა" (იქვე:126).

ცხადია, იყო სხვა მიზეზებიც, რომელთაგან მაშინდელი საქართველოს სსრ-ის ხელმძღვანელობის ამ საკითხისადმი უყურადღებობისა და სხვათა დასახელება შეიძლება. მაგრამ ასეთ არგუმენტებს ახლა აფხაზი სეპარატისტები ანგარიშს არ უწევენ და ისტორიის გაყალბების გზით საკუთარი პოლიტიკური ამბიციების გამართლებას ესწრაფვიან.

საკავშირო ხელისუფლება მთელი თავისი არსებობის პერიოდში გამუდმებით ცდილობდა შეენარჩუნებინა დაძაბული ურთიერთობა ქართველთა და აფხაზთა შორის. გამოეყენებინა ეს კოზირი „ურჩი"

---

[1] ავტონომიურ ოლქად აფხაზეთის გამოცხადება განპირობებული იყო რუსეთის მასშტაბებთან შედარებით მისი მოსახლეობის რაოდენობით. კავბიუროში აფხაზეთის რკპ(ბ) ორგბიუროს მიერ გაგზავნილი ცნობით აფხაზეთის მოსახლეობა 1914 წელს 181382 კაცს შეადგენდა. მათგან ქართველები იყვნენ 70114 (38,5%), მთიელები და აფხაზები--45705 (25%), სხვადასხვა აზიური ხალხები--20196 (11,1%), რუსები--18027 (9,9%), სხვა ევროპული ხალხები--13784 (7,6%), სომხები--13038 (7,5%), ებრაელები--448(გამახარია 1991:124).

ქართველების დასასჯელად. როცა 1957, 1967, 1978 და 1988-1989 წლებში აფხაზები სხვადასხვა სახის ანტიქართულ „ბუნტს" აწყობდნენ მოსკოვი ყოველთვის მათ უჭერდა მხარს. ადრე თუ ეს გასაიდუმლოებულ ვითარებაში ხდებოდა, ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ საბჭოეთის ნამდვილი ზრახვები არ დაუფიცავს ისეთ „დემოკრატ მოღვაწესსაც" კი, როგორადაც მ. გორბაჩოვს მოჰქონდა თავი. სატელეფონო საუბარში მან არაერთხელ გააფრთხილა ზ. გამსახურდია: „თუ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერთ, ცუდად გექნებათო საქმე არა მარტო სამხრეთ ოსეთში, არამედ აფხაზეთშიც" („სრ" 1991:52). 1991 წლის მარტში, ერთ-ერთი „გაფრთხილების" შემდეგ, „აფხაზეთში 250 შეიარაღებული მედესანტე შემოიყვანეს და პანსიონატში დააბინავეს" (იქვე). ასეთ პირობებში საქართველოს მარიონეტული მთავრობა იძულებული იყო განუწყვეტელ დათმობებზე წასულიყო. ამ გზით აფხაზეთი მთელ საბჭოთა სივრცეში აგრესიული მოფაშისტო ნაციონალიზმის სათბურად გადაიქცა, ხოლო აფხაზობა ელიტარული სოციალური ჯგუფი გახდა. ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითია დამოწმებული ქართველი ისტორიკოსების, პოლიტიკურ მოღვაწეებისა და პუბლიცისტების მიერ მთელ 1990 წლის შემდგომ გამოცემულ წიგნებსა, ბროშურებსა და წერილებში. ამიტომ მათს გამეორებას აღარ გამოვუდგები, მაგრამ მოვიყვან ეროვნებით აფხაზის, ძველი ნომენკლატურული მუშაკის, ამ კუთხის უძველესი გვარის წარმომადგენლისა და პატრიოტის ლორიკ მარშანიას მოსაზრებას. ჩამოთვლის რა იმ უპირატესობებს, რაც აფხაზებს ჰქონდათ მინიჭებული, იგი დაასკვნის: „და ეს კიდევ არასრული ნუსხაა აფხაზების თვით აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში „შევიწროების" ფაქტებისა. საინტერესოა, ყოფილი ავტონომიებიდან, ამჟამად კი რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებიდან, რომელს შეუძლია მიუახლოვდეს ამ დონეს" (მარშანია 1995:16-17).

სამწუხაროდ, აფხაზეთის ინტელიგენციის უმრავლესობა როდი მსჯელობს ასე. სწორედ მათ მიუძღვით ლომის წილი აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში. გიორგი ჭანტურია ამას შემდეგნაირად ხსნიდა: „აფხაზი ინტელიგენცია არ დგას ინტელექტუალურად მაღალ დონეზე, ამიტომ ცენტრმა ამ ხალხის სახით იპოვა თავისი მოკავშირე" („ლს" 1989:41).

ძლიერ სარისკო პოზიციაა, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნო, რომ იგივე უნდა ითქვას აფხაზ ხალხზეც. მე ვიცი, რომ დამნაშავე

ხალხი არ არსებობს, არიან დამნაშავე ხელისუფლები. მაგრამ აფხაზი ხალხი, რომ ასე იოლად აჰყვა თავის ლიდერებს და მასობრივი გენოციდი მოუწყო საკუთარ უძველეს მეზობელს, მასთან ნათესაური კავშირებით ყველაზე უფრო ახლო მყოფ ქართველ ხალხს, ეს მას ღირსებებს არ ჰმატებს. ბოლოს და ბოლოს ხომ აქსიომატური მტკიცებაა: „ყოველ ხალხს ისეთი ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იგი იმსახურებს". გამოჩნდებიან ოპონენტები და დამაყენებენ—ისევე იქცევი, როგორც „ლიხნის წერილის" ავტორები, რომლებმაც ქართველი ხალხი გამოიყვანეს დამნაშავედ ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში, რაც კი აფხაზეთის მიმართ ვინმეს ჩაუდენია არ ჩაუდენიაო. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ქართველ ხალხს არაფერი სიკეთის მეტი არ გაუკეთებია აფხაზთათვის, საკუთარ მიწაზე დასახლებიდან ცივილიზაციის თანამედროვე მიღწევების ზიარებაში უანგარო დახმარებამდე, აფხაზებმა კი 250 ათასი ქართველი გაიმეტეს ამოსაჟლეტად და საკუთარ სამშობლოში დევნილებად აქციეს.

თვით აფხაზების მიერ 1994 წელს მოსკოვში გამოცემული „აფხაზეთის თეთრი წიგნი (1992-1993)", რომლის მესამე თავში გამოქვეყნებულია ბრძოლის ველზე დაცემულთა სია, ადასტურებს, რომ დაღუპულთა შორის უმრავლესობას აფხაზები შეადგენენ. ეს ნიშნავს—საომარ ოპერაციებში აფხაზები განსაკუთრებით აქტიურობდნენ. ისინი ედგნენ სათავეში დაქირავებულებს, მიუთითებდნენ მათ გასანადგურებელ ობიექტებზე და აჩვენებდნენ გზებს. ომის მონაწილენი იგონებენ, რომ შამილ ბასაევიც კი უკმაყოფილო იყო აფხაზთა მიერ ქართველებისადმი გამოჩენილ სისასტიკით. მათ ამის გამო კიდეც საყვედურობდა და ლმობიერებისაკენ მოუწოდებდა ხოლმე.

მაგალითად, ომის მონაწილე, თსუ-ის სოხუმის ფილიალის პროფესორი თ. მიბჩუანი, გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აფხაზიას" დამოწმებით წერს: „ხალხში დარხეულია ხმა, რომ ქართველების მიმართ განსაკუთრებით სისასტიკეს იჩენდნენ ჩეჩნები, რასაც აფხაზეთის სსს (საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური.—გ.მ.) უარყოფს და იუწყება, რომ იყო შემთხვევები, როცა ჩეჩნები ქალების და ბავშვების მოკვლის უფლებას არ აძლევდნენ აფხაზებს, ბლოკირებული სოფლებიდან გამოჰყავდათ ხალხი, ეხმარებოდნენ დაჭრილებს. სამაგიეროდ მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდნენ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები, შემდეგ ყველაფერ ამას ჩეჩნებს აბრალებდნენ" (მიბჩუანი 1994:72).

ომში ჩაბმული აფხაზები ისე იყვნენ გატაცებულნი ანტიქართუ-

ლი სადიზმით, რომ საკუთარი დედაქალაქი და მათი მომხრეების სოფლებიც კი არ დაინდეს ნგრევა-აწიოკებისაგან. იგივე ავტორი იგონებს: „1993 წლის იანვრიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე ქ. სოხუმი ყოველდღიურად იბომბებოდა ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან. თვით სამამულო ომის მონაწილეებსაც მსგავსი რამ არაფერი ენახათ. ქალაქში ხშირად დღეში ათასზე მეტი ჭურვი სკდებოდა. ამ დროს სოხუმი ზღვის ზედაპირზე მოტორტმანე გემივით ქანაობდა. იწვოდა სახლები, ინგრეოდა მაღლივი კორპუსები, იღუპებოდნენ ადამიანები“... (იქვე:27).

განა ყველაფერ ამაში მხოლოდ ვ. არძინბასა და მის ხროვას დაადანაშაულებს ისტორია? ვფიქრობ, აფხაზი ხალხის კულტურულ რენომესაც მათ გამო მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. ისტორიას, როგორც ნ.მ. კარამზინი ამბობდა, ბოროტი მეხსიერება აქვს.

ამით ვამთავრებ აფხაზეთში კონფლიქტის წინა პერიოდის მოვლენების გადმოცემას. რაც შეეხება თავად კონფლიქტს, იგი წინამდებარე წიგნში საკმაო სისრულითაა გაშუქებული.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმწვავესია ოსებთან ურთიერთობის საკითხი. ქართველ პოლიტიკოსებსა და ისტორიკოსებში არის მიდრეკილება ეს საკითხი ბოლშევიკების მიერ 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის საშუალებით პროვოცირებულად იქნეს ახსნილი. ხშირად წერენ და ამბობენ, რომ ეს ავტონომიური ოლქი დაყოვნებული მოქმედების ბომბს წარმოადგენდა და მას საკავშირო ხელისუფლება საჭიროების მიხედვით იყენებდა ქართველ-ოსთა კონფლიქტის გასაჩაღებლად. იჭერდა რა ოსთა მხარეს, აშინებდა ქართველებს და ამით მორჩილს ხდიდა მათ.

ასეთ მსჯელობაში ჭეშმარიტებას მოზრდილი ხვედრითი წილი აქვს, მაგრამ იგი გაზვიადებულად არ უნდა წარმოვადგინოთ და თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცარიელ ადგილზე სერიოზული პროცესები არ ვითარდებიან. მით უფრო, მეზობელ ხალხთა მეგობრული თუ კონფლიქტური ურთიერთობა ვინმეს სურვილით არ შეიძლება ხანგრძლივად გაგრძელდეს. ისტორიულ პროცესებს ისტორიული ფესვები აქვთ, ასე იყო მოცემულ შემთხვევაშიც. ქართველ-ოსთა ურთიერთობის პრობლემა არც ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლისშემდეგ წარმოშობილა და არც საბჭოთა წყობილების გადაშენების შემდეგ დამთავრებულა.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოს ტერიტორიაზე შექმნას, იგი მხოლოდ საბაბი იყო და არსებულ ურთიერთობათა გარეგნულ გამოვლინებას წარმოადგენდა. მას არ შეეძლო გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ქართველთა და ოსთა კონფლიქტში. საკავშირო ხელისუფლება ამ ავტონომიას თავისი ნამდვილი ზრახვების შესანიღბავად იყენებდა. თორემ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და უშიშროების სამსახური რასაც ბრძანებდა მის წინააღმდეგ ხმის ამომღები არავინ იყო. ასეთ შემთხვევაში მოჩვენებითი დემოკრატიაც კი აღარ იხსენიებოდა. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი ხომ უნივერსალურ პოსტულატს წარმოადგენდა. თანაც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ადეპტებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა ცხინვალი სამხრეთ ოსეთისა იქნებოდა, საქართველოსი თუ რუსეთისა. ოსიც და ქართველიც ხომ სოციალისტური მსოფლიოს უეროვნებო მოქალაქე უნდა გამხდარიყო. ასე რომ, როცა ს. ორჯონიკიძე ქართულ მიწებს მეზობლებზე გულუხვად არიგებდა, მისთვის ეროვნული საკითხი მართლაც არ არსებობდა. ეს მიწები ხომ ამიერკავკასიიდან ვერსად წავიდოდნენ. ის კი ამ მხარეში ყოვლისშემძლე „მეფისნაცვალი“ იყო და ამდენად, ფაქტობრივად, თვითონ არაფერს ჰკარგავდა. ძნელი წარმოსადგენია ვეტფერშალ სერგოს ისე შორს გაეხედა და გაეანგარიშებინა, რომ 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომია, 90-იან წლებში შეიძლებოდა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული. მანამდე კი იგი, როგორც ფეთქებადი ძალა, არავის სჭირდებოდა.

იმის მტკიცებაც არაა სწორი, რომ ქართველები და ოსები უხსოვარი დროიდან მოყვარული მეზობლები იყვნენ და მხოლოდ 1989 წლიდან გადაეკიდნენ ერთმანეთს. ასე მსჯელობა ე.წ. ლენინური ეროვნული პოლიტიკის რეციდივსა და მოვლენათა გაუბრალოებულ ახსნას წარმოადგენს.

მეზობელ ხალხთა ურთიერთობა ურთულესი პროცესია. მასში ხშირად დაპირისპირება სჭარბობს თანხმობასა და მშვიდობას. მეზობელთა ურთიერთობებში უმთავრესია მიწისა და საზღვრების საკითხი. ეს ისეთი რამ არის, რომ ღვიძლ ძმებსაც კი ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებს ერთმანეთს. მეზობელ ხალხებს შორის ამის გამო წარმოიშობა ხოლმე ომები. მეგობრულად და ძმურად ასეთი საკითხების მოგვარება თითქმის არ ხდება. მით უფრო ძნელია ურთიერთობის გარკვევა, როცა ერთი ხალხი მეორის

ტერიტორიაზე სახლდება. თუ აბორიგენი ხალხი სუსტია, მაშინ დამპყრობელი მის ასიმილაციას ახდენს. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელი იქვემდებარებს მოსულს და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იყენებს მას. ასეთ ვითარებაში უცხოტომელებს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სტატუსი ეძლეოდათ.

საქართველოში ისტორიულად მოქმედებდა ეროვნული და სარწმუნოებრივი ტოლერანტობის პრინციპი.[1] ცხადია, ეს დიდად კეთილშობილი პრინციპია, მაგრამ ყველა შემოხიზნულ ხალხს როდი ყოფნიდა ზომიერების გრძნობა მისი გონივრულად გამოყენებისათვის. ასეთ პირობებში მოსულსა და ქართველს შორის ურთიერთობა იძაბებოდა, იგი აშკარა დაპირისპირებამდე—ომამდე მიდიოდა.

ქართველებისა და ოსების ურთიერთობაშიც შეტაკებებს ეპიზოდური ხასიათი როდი ჰქონდა. ალან-ოსებს ხანგრძლივად ებრძოდა დიდი ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი. აგრესორი მხარე ამ შემთხვევაში ოსები იყვნენ. ქართველობა ერთხანს მათგან თავს იცავდა. შემდეგ კი ვახტანგ მეფე შეტევაზე გადავიდა. „იალბუზზე ფეხი შედგა და დიდმა მთებმა იწყეს დრეკა". ოსთა პრობლემა მაშინ ქართველთა სასარგებლოდ გადაწყდა. ქართლის მეფეები საიმედოდ აკონტროლებდნენ დარიალანს—ოვსთა კარს.

როგორც ოსი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, ოსების წინაპარ ალანებს XI საუკუნეში ჩრდ. კავკასიის მთისწინეთში სახელმწიფოებრივი გაერთიანება უნდა ჰქონოდათ. ამ პოლიტიკური ერთეულის ხელისუფლებასთან ქორწინებითი კავშირები ჰქონდათ საქართველოს მეფეებს გიორგი I-სა (1014-1027) და ბაგრატ IV-ს (1027-1072).

დავით აღმაშენებლის დროინდელმა (1089-1125) ძლიერმა ფეოდალურმა მონარქიამ ჩრდ. კავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში აქტიური პოლიტიკური კურსი აიღო. ასეთი კურსის ერთი ეპიზოდი აღწერილი აქვს დავითის ისტორიკოსს. მისი ცნობით, 1118 წელს ყივჩაყთა გადმოსახლებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ოსთა ტერიტორიაზე მათი მშვიდობიანი გამოტარების უზრუნველყოფა. ამ მიზნით დავით მეფე გიორგი ჭყონდიდელთან ერთად გაემგზავრა ოსეთს. მან, ალბათ, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალაც გაიყოლა თან (შ. მ ე ს ხ ი ა). ოსებს ყივჩაყებთან ხანგრძლივი მტრობა ჰქონდათ, მაგრამ ძლიერი ქართველი მეფის სტუმრობამ ისინი მოათვინიერა. „მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა" („ქ." ც ხ. 1955:337).

[1] ტოლერანტობის პრინციპის შესახებ იხ. ქვემოთ გვ.189-194

ჩანს, დავით აღმაშენებლის ოსეთში გადასვლა მხოლოდ ყივჩაყთათვის გზის უზრუნველყოფას არ ისახავდა მიზნად. არსებითი იყო ჩრდ. კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების დაკავება. დავითმა აიღო და დაიჭირა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისანი“. ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო. ამ პერიოდიდან, თუ უფრო ადრე არა, ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა გახდა (მეტრეველი 1990:282).

შემთხვევითი არ იყო, რომ დავით მეფემ ოსეთში ყოფნისას თან იახლა გიორგი ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესი. X საუკუნიდან ოსეთში ქრისტიანული ეპარქია არსებობდა. თავდაპირველად იგი ბიზანტიის გავლენის სფეროში შედიოდა. დიდი ქართველი მოძღვრის მისია ამ გავლენის შესუსტება და ოსეთში ქართული ეკლესიის ინტერესთა გაფართოება უნდა ყოფილიყო.

ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლებამ ჩრ. კავკასიაში ძალთა თანაფარდობის შეცვლა გამოიწვია. ყივჩაყები წარმატებით ლაშქრავდნენ რუსეთისა და ოსეთის მიწებს. მათი ორასიათასიანი ურდოს საქართველოში გადმოსახლება ორივე მხარისათვის დიდი შეღავათი იყო. მართლაც, მონღოლთა შემოსევამდე ოსები წინაკავკასიაში ყივჩაყებს აღარ შეუვიწროებიათ. გიორგი III-ისა (1156-1184) და თამარის (1184-1210) დროს მთელი ოსეთი თუ არა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, საქართველოს მეფის ყმადნაფიცად რჩებოდა. „ქართლის ცხოვრება“ გვაცნობებს: გიორგი მესამეს „ჰმონებდეს...სკვითნი, ხაზარნი, ალანნი...“ და სხვებიო (II, გვ. 23). რ. მეტრეველს კი დამტკიცებული აქვს, რომ XIII ს-ის დასაწყისში, საქართველოს ყმადნაფიცები იყო ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა ქვეყანა: ქაშაგეთი, ოვსეთი, ძურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი (მეტრეველი 1991:206).

ოსი მკვლევარების მტკიცებით, ოსეთის სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის დაცემა მონგოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევებმა გამოიწვია. ამავე მიზეზით ოსები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ კავკასიის მთისწინეთი და ცენტრალური კავკასიის მთიანეთში გადმოენაცვლებინათ (Калоев 1967:25). მონგოლთა მიმართ ეს მტკიცება სწორი შეიძლება იყოს, მაგრამ თემურ-ლენგი, თვით კალოევის აღიარებით, სამხრეთიდან უტევდა კავკასიონის კალთებს და, საკვირველია, როგორ აიძულებდა ოსებს თერგისა და არაგვის სათავეებისაკენ გადმოენაცვლებინათ?

მონღოლებისაგან შევიწროებული ოსები მართლაც მოეძალნენ კავკასიონის ქედის გადმოლმა ფერდობებს. ამის გამო ჟამთააღმწერელი წერს: „ამათ ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი, დედაკაცი საკვირველი, სახელით ლიმავაჩ... და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფის (დავით VII ულუს, 1247-1270. —გ.მ.) წინაშე, ხოლო მან პატივითა ისტუმრნა, და წარავლინა ყაენს ულოს წინაშე, და ყაენმაც შეიწყნარა ფრიად, და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამბრძოლად განაჩინა. და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინნა, ხოლო მეფემან დახსნა რომელნიმე დმანისსა, და სხუანი ჟინვანს“ („ქ.ც ხ.“ 1959:251). ხიზნად დასმულებმა ფარეჯანის მოთავეობით „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად, და რბევად, და ტყუევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად... და მიერთაგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგათქმულმან გიორგი (1314-1346.—გ.მ.) განასხნა და აღფხრუნა“ (იქვე:296).

თემურ-ლენგის შემოსევებმა საქართველოს მთიანეთიც დიდად დაარბია. ოსებს კი ჩრდილო-დასავლეთიდან მტკიცედ უტევდნენ ყაბარდოელები ხოლო ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა შთამომავალი ყუმუხები. კავკასიის მთისწინეთიდან გამოდევნილმა ოსებმა თავი მაღალმთიან ხეობებს შეაფარეს. შემდეგ კი მათ კავკასიონის სამხრეთ კალთებზედაც დაიწყეს გადმოსვლა.

XVII-XVIII საუკუნეებიდან შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში ოსთა დასახლებები წარმოიშვა. არსებობისათვის მეტად არახელსაყრელი პირობების გამო სარჩო-საბადებლის მაძიებელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას და ხშირად ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნებად სახლდებოდნენ. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახლეობა გარეშე მტრების შემოსევის შედეგად და ბარის ეკონომიკური ზემოქმედების გამო დაბლობისაკენ ინაცვლებდა.

ასე დაიწყო მთიელთა დასახლებების წარმოშობა. რომელსაც შემდეგ სამხრეთ ოსეთი ეწოდა.

1989 წელს შიდა ქართლში, პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის გამო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთხოვნით, გამოიყო კომპეტენტური კომისია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შესასწავლად, რომელშიაც მონაწილეობდნენ ავტორიტეტული მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. კომისიამ შეადგინა დასკვნა, რომელიც ზ. გამსახურდიას მოხსენების სახით გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (1990, №5-6). ქვევით, ძირითადად, ამ მასალის მიხედვით გადმოვცემ საკითხის მოკლე ისტორიას.

ჩრდილოეთიდან გადმოსული ოსები უმთავრესად სახლდებოდნენ დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა მაზრებად დაყოფა განხორციელდა, ოსებით დასახლებული ტერიტორია მოექცა გორისა და დუშეთის მაზრებში. 1838 წელს გამოიყო ოსთა საბოქაულო. მისი ცენტრი გახდა ჯავა. 1842 წელს შეიქმნა ოსთა ოკრუგი. ეს იყო პირველი შემთხვევა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებაში ტერმინ „ოსეთის“ გაჩენისა. ოკრუგის მმართველი სოფ. ქვეშეთში იჯდა. მომდევნო ხანებში არსებულ მაზრებსა და ოკრუგებს შორის სოფლების გადანაწილება რამდენჯერმე მოხდა. 1843 წელს ოსეთის ოკრუგი ოფიციალურად გაიხსნა. იგი დაყვეს ჯავის, მცირე ლიახვისა და ნარის უბნებად. ოკრუგის უფროსს რეზიდენცია ჰქონდა ჯავაში.

1858 წელს ოსეთის ოკრუგის ნარის უბანი თერგის ოლქის შემადგენლობაში შეიყვანეს. ჯავისა და პატარა ლიახვის უბნები კი თბილისის გუბერნიას დაუტოვეს. შემდეგში იგი ოსეთის უბნის საერთო სახელწოდებით გორის მაზრაში იყო გაერთიანებული, უბნებად დაყოფის გაუქმების გამო ოსებით დასახლებული ტერიტორია სოფლის საზოგადოებებში ირიცხებოდნენ.

ხიზანი ოსები ცივილიზაციას ქართული კულტურის მეოხებით ეზიარნენ. რელიგიურ რიტუალს ისინი ქართულ ეკლესია-ტაძრებში ეწეოდნენ. მათი ბავშვების პირველი მასწავლებლები ქართველები იყვნენ. შიდა ქართლელ ოსებს XX ს-ის ათიან წლებამდე სეპარატისტული ზრახვები არ ჰქონდათ.

რუსეთში მეფის ხელისუფლების დამხობამ არსებულ პოლიტიკურ პარტიებს მოქმედების თავისუფლების საშუალება მისცა. ბოლშევიკები მუშებს ფაბრიკებს დაპირდნენ, გლეხებს—მიწას, არარუს ერებს დამოუკიდებლობას.

მათ პირველსავე პროგრამაში ჰქონდათ შეტანილი ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რომელსაც ნებისმიერად განმარტავდნენ. სხვათა ხელისუფლების პირობებში ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას ნიშნავდა, ხოლო, როცა თავად მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, დამოუკიდებლობის სასტიკი წინააღმდეგნი გახდნენ და კვლავ შეჰყარეს ხალხები მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში, რომელსაც მათი ბელადი ადრე „ხალხთა საპყრობილეს“ უწოდებდა.

ამ ტალღაზე ბოლშევიკები, თავიანთი საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ მოხერხებულად იყენებდნენ ეროვნულ უმცირესობებს და მათ თვითგამორკვევისაკენ მოუწოდებდნენ. ასეთი დაპირებებით ისინი არაფერს ჰკარგავდნენ. სამაგიეროდ ეროვნული უმცირესობები თავიანთ მხარეს გადაჰყავდათ.

ეს ტენდენცია გამოვლინდა 1917 წლის ივნისში სოფ. ჯავაში ჩატარებულ საქართველოს ოსთა პირველ ყრილობაზე, რომლის რეზოლუციაში პირველად ჩაიწერა ოსებისათვის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა. ამ ეტაპზე ისინი, მართალია, ოსი მოსახლეობის ცალკე საერობო ერთეულად გამოყოფას მოითხოვდნენ, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიულ დაშლას ნიშნავდა. ყრილობამ აირჩია ოსთა ეროვნული საბჭო.

იმავე წლის დეკემბერში შეკრებილ ოსთა დელეგატების მეორე ყრილობაზე უკვე დაისვა ეროვნული პოლკის შექმნის საკითხი. ასე, თანდათანობით, ყრილობიდან ყრილობამდე (1919 წლის სექტემბრამდე ჩატარდა 9 ყრილობა) ოსები უმატებდნენ მოთხოვნებს. მაგ., მე-4 ყრილობამ ავტონომიური სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სოფლის მასების პოლიტიკურ შემეცნებაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრონტიდან დაბრუნებულმა ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა. ისინი გლეხობას მოუწოდებდნენ ებრძოლათ მიწისა და აგრარული გარდაქმნებისათვის. 1918 წლის გაზაფხულიდან საქართველოში გლეხთა რამდენიმე გამოსვლა მოხდა. მათ შორის შიდა ქართლშიაც.

1918 წლის 20 მარტს „აჯანყებულებმა“ დაიკავეს ცხინვალი და გლეხთა კომიტეტმა ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლა გამოაცხადა (ცოტნია შვილი 1998:13).

ცხინვალის გამოსვლებს პირველ ხანებში აგრარული ხასიათი ჰქონდა. ამ დროს სამხრეთ ოსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციები არ არსებობდა. პირველი ასეთი უჯრედი—რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის

საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო 1918 წლის 20 ივლისს შეიქმნა სოფ. ჯავაში.

ამის შემდეგ მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გააქტიურდა. 1918 წლის ივნისში, როცა თურქმა ოკუპანტებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნეს საქართველოს დამოუკიდებლობას, ბოლშევიკებმა გლეხთა აჯანყება მოაწყვეს დუშეთში. მათივე ხელმძღვანელობით 1918-1920 წლებში, სამაჩაბლოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად სამჯერ მოეწყო გლეხთა აჯანყება. ეს „რევოლუციური“ მოძრაობა, ფაქტობრივად, იყო ბრძოლა დემოკრატიისა და ქართველების წინააღმდეგ, ნაციონალისტური გამოსვლა. კერძოდ, 1920 წლის 8 მაისს სოფ. როკში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო საბჭოთა ოსეთი—რსფსრ-ის შემადგენელ ნაწილად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ცხადი იყო ოსების ნამდვილი მიზანი—საქართველოდან შიდა ქართლის ნაწილის გამოყოფა და მისი ავტონომიური ერთეულის სახით რუსეთის შემადგენლობაში შეყვანა. მთავრობა ხანგრძლივად აწარმოებდა მოლაპარაკებას ამ საკითხზე ოსთა ეროვნულ საბჭოსთან. ხოლო, როცა 1920 წლის მაისში აჯანყებული ოსების დასახმარებლად ჩრდილოეთიდანაც გადმოვიდნენ მათი შეიარაღებული თანატომელები, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ გაელაშქრა („სრ“ 1990:5-6). შეთქმულთა ასალაგმავად გაიგზავნა სახალხო გვარდია ვ. ჯუღელის მეთაურობით. შემდეგში ბევრს წერდნენ იმ სიმკაცრის შესახებ, რაც მაშინ გამოიჩინეს აჯანყების ჩაქრობის დროს, მაგრამ არავინ იხსენებდა „რევოლუციონერი“ ოსების მიერ მეზობელი ქართველების მიმართ ჩადენილ იმ საშინელებებს, რაზედაც დიდი გულისტკივილით წერდა თანადროული ქართული პრესა.

აჯანყება ჩაქრობილ იქნა. საქართველოს მთავრობამ თავისი ხელისუფლების ერთგულ ოსებს სამხედრო მოქმედებათა შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება აღუთქვა. მერყეე ელემენტებს კი მათთვის სასურველ რაიონებში გადასახლების უფლება დაუტოვა.

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ აღებულ თბილისში ხელისუფლება გადაიბარა მოსკოვში შედგენილმა საქართველოს რევკომმა. 5 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა „სამხრეთ ოსეთშიც“: საქართველოს რევკომის დადგენილებით ოსური მოსახლეობის მიერ დაკავებულ ადგილებში დაარსდა სამხრეთ ოსეთის რევკომი, შერეული მოსახლეობის რაიონებში—შერეული რევ-

კომები. 1921 წლის ივლისისათვის სამხრეთ ოსეთის რევკომს 7 სოფელი ემორჩილებოდა (იქვე).

1921 წლის სექტემბერში სამხრეთ ოსეთის რევკომმა ოფიციალურად დააყენა საკითხი სამხრეთ ოსეთის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფის შესახებ. ეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნდა. თანაც, იქ მცხოვრები ქართველები დაბეჯითებით ითხოვდნენ არ დაეჩაგრათ და ოსეთის შემადგენლობაში არ შეეყვანათ. მაგრამ ეს მოსაზრებები საქართველოს რევკომმა არ გაიზიარა.

იმავდროულად სამხრეთ ოსეთის რევკომმა და პარტიის საოლქო კომიტეტმა გაერთიანებულ სხდომაზე მიიღო დადგენილება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე. 31 ოქტომბერს კავბიუროს პრეზიდიუმმა, ტერიტორიული და მოსახლეობის სიმცირის გამო, ოსეთის დამოუკიდებელი სუვერენული ერთეულის შექმნაზე უარი განაცხადა და ეროვნული თვითგამორკვევის ფორმად ავტონომიური ოლქის შექმნა გადაწყვიტა.

ნაციონალ-უკლონისტები წინ აღუდგნენ ცხინვალისა და მომიჯნავე ქართული სოფლების ოსთა ავტონომიური ერთეულისათვის გადაცემას. მაგრამ საქართველოს ცკ ცენტრალურმა კომიტეტმა ქართველი ხალხის ინტერესებთან შედარებით უპირატესობა მისცა ოსების მოთხოვნებს. 1921 წლის 17 ნოემბერს მან დაადგინა შექმნილიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ცენტრით ცხინვალში.

ეს დადგენილება საკანონმდებლო წესით გაფორმდა 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით. საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მის ცენტრად გამოცხადდა ცხინვალი, სადაც იმ დროს მხოლოდ და მხოლოდ ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამ 1922 წლიდან გარკვეული ცვლილებები განიცადა.

1929 წელს, საქართველოს დარაიონებასთან დაკავშირებით, ოლქი დაიყო სამ რაიონად—ჯავის, ცხინვალისა და ახალგორის. 1931 წლიდან დაემატა ყორნისის (ზნაურის) რაიონი. ახალგორს კი ლენინგორი დაერქვა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ ავტონომიური ოლქის სტატუსი გააფართოვა. საკავშირო ეროვნებათა საბჭოში მათ, ნაცვლად ერთისა, ხუთ-ხუთი წარმომადგენელი ჰყავდათ. თანაც, თუ

აქამდე ავტონომიური ერთეულების შექმნა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია იყო, ახლა მათი ჩამოყალიბება უნდა დამტკიცებულიყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

1980 წლამდე ყველა საკანონმდებლო აქტით (მ.შ. კონსტიტუციებით) ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბლიკათა უშუალოდ ქვემდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო. 1980 წელს მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება ავტონომიური ოლქების სტატუსში, რაც ოლქის სტატუსს ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსთან ათანაბრებდა. ამ წლის 12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ". რომელიც ეყრდნობა სსრ კავშირის შესაბამის კანონს. მუხლში—„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ", აქ პირველად გვხვდება დებულება: „ავტონომიური ოლქის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თანხმობის გარეშე". რაც შეეხება ახალი სასოფლო, სადაბო და სხვა ოლქის ადმინისტრაციული ერთეულების და ორგანოების შექმნას, საქართველოს კონსტიტუცია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში ტოვებდა.

საქართველოში ოსებს ჰქონდათ რიგი უპირატესობანი, რაც მათ სოციალური და კულტურული წინსვლის გარანტიას აძლევდათ. ამას შემდეგი მონაცემებიც აჩვენებს: 1989 წლის აღწერით საქართველოში სულ 164 ათასი ოსი ცხოვრობდა, ეს საქართველოს მოსახლეობის 3,0 პროცენტს შეადგენდა. ავტონომიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 65077 ოსი (ოლქის მოსახლეობის 66,2%), რაც რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის 40 პროცენტი იყო. ასეთ პირობებში მათ დიდი ხვედრითი წილი გააჩნდათ პარტიულ და საბჭოთა აპარატში. პირველში რიცხული 140 კაციდან ოსი იყო 85, ქართველი—34; მეორეში––227 ადგილიდან ოსებს ეკავათ 178, ქართველებს––49.

საქართველოს ბიუჯეტიდან სამხრეთ ოსეთს ეყოფოდა დიდძალი დამატებითი დაფინანსება (ცოტნიაშვილი 1998:16), რომ არაფერი ვთქვათ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის სფეროში არსებულ მიღწევებზე, რასაც ოსი სეპარატისტებიც ვერ უარყოფდნენ, აღვნიშნავ მხოლოდ განათლების სფეროს ასეთ ფაქტს: 1990-1991 წწ. საქართველოში 97 სკოლაში ოსურ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება, მაშინ, როცა ჩრ. ოსეთში, მისი ყოფილი პრეზი-

დენტის ა. გალაზოვის თქმით, 1988 წლამდე არ გახლდათ არც ერთი სკოლა ოსურ ენაზე სწავლებით, მხოლოდ ქალაქის სკოლებში იყო შეტანილი ოსური ენის გაკვეთილები, ფაკულტატური სწავლების ფორმით („Правда, 11, XI, 1989)

ნათქვამი და უამრავი სხვა ფაქტიც მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკეთეს პირობებში, ვიდრე ოსები, რესპუბლიკის ძირითადი ერი—ქართველი ხალხი არ ცხოვრობდა. ახლა სეპარატისტები გაჰყვირიან: ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მას შემდეგ დავიწყეთ, რაც საქართველოში სსრ კავშირისაგან გამოყოფის მოძრაობა წარმოიშვაო. ამ მტკიცებაში ორგვარი სიყალბეა. ჯერ ერთი, ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეწევა საკუთარი ისტორიული სამშობლოს განთავისუფლებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებელ ქართულ მიწაზე აღდგენის მიზნით. ოს ხალხს ასევე აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ არა ქართულ მიწაზე, სადაც იგი ხიზნადაა ჩამოსახლებული, არამედ კავკასიონის მთებს გადაღმა, იმ ქვეყანაში, რომელიც მისი უძველესი საცხოვრისია, რატომღაც „ჩრდილოეთ ოსეთად" და არა უბრალოდ ოსეთად იწოდება.

მეორეც, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფაზე ოსთა მიერ საჩივრების წერა 1989 წელზე გაცილებით ადრე დაიწყო. თანაც იმ დროს, როცა ამისათვის სეპარატისტებს არავითარი საბაბი არ გააჩნდათ: კერძოდ, 1983 წლის 10 მაისს ქ. სტავროპოლიდან სკკპ ცკ-ს გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ანდროპოვის მისამართზე, ოსეთის საზოგადოებრიობის სახელით, ს. ჯიოევის, ზ. დრაევის, ტ. კაჩმაზოვისა და სიუკაევის ხელმოწერით გაიგზავნა წერილი, რომელშიაც სხვა ზოგად მსჯელობებთან ერთად გამოკვეთილი იყო ორი ოსეთის გაერთიანების საკითხი. ავტორების აზრით, „პოლიტიკურ და ეკონომიკურ აბსურდად" მიიჩნეოდა „ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს ფარგლებში ოსეთის მცირერიცხოვანი ხალხის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა", ამიტომ ისინი მოითხოვდნენ განეხილათ და გადაეწყვიტათ „სამხრეთ და ჩრდილო ოსეთის გაერთიანების პრობლემა".

ეს წერილიც არ იყო საკითხის პირველად დაყენების პრეცედენტი. 1925 წლის ივლისში საქართველოს ცეკას (იგი იყო უმაღლესი საკანონმდებლო და მაკონტროლებელი ორგანო საბჭოების ყრილობათა შუა პერიოდში) სხდომაზე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-

ქის (იგი რესპუბლიკად გადაკეთდა 1935 წლის 5 დეკემბერს) თავმჯდომარის ტალოევის წინადადებით გადაწყდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება საქართველოს ფარგლებში. ეს საკითხი წინასწარმომზადებული იყო და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებშიც განიხილებოდა.

1925 წლის იანვარში ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოების ყრილობამ მიიღო დადგენილება—აღძრულიყო ცენტრალური ხელისუფლების წინაშე საკითხი ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ. იმავე წლის 25 მარტს კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც გამოთქმული იყო სურვილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების თაობაზე. ამის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთმა საკითხი აღძრა რუსეთის ფედერაციის ცაკის პრეზიდიუმის წინაშე. საკითხი დაისვა „შემდეგ საფუძველზე: ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთიანდებიან ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და შედიან საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში“ („კომ“, 13. XII. 1989). სრულიად რუსეთის ცაკმაც წინასწარი დასტური მისცა. ასეთი გაერთიანების თანახმა იყო ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტიც. ასე რომ, საკითხი ყველა ინსტანციაში თითქოს დადებითად გადაწყდა.

საქართველოს ცაკის ზემოთ აღნიშნულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ა. ჯატიევი. მან აღფრთოვანება გამოთქვა „საღი და მშვენიერი საქმისადმი“ ერთსულოვანი მხარდაჭერის გამო. სხდომის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ გამოიჩინა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ბოლშევიკური ერთგულება და ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება დიდ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია, „დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ რესპუბლიკაში მოხდება ეს გაერთიანება“.

მაგრამ მას იქვე უპასუხეს: ეს გაერთიანება იმის მაჩვენებელია, რომ „საქართველო კი არ ჰკარგავს ტერიტორიას, არამედ აფართოებს მას. ამ გზით ჩვენს მტრებს ხელიდან გამოეცლებათ სააგიტაციო მასალა ჩვენს წინააღმდეგ. ისინი ველარ გაბედავენ სთქვან—საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მიწა-წყალი გააჩუქაო“. (იქვე)

თუ ვინმე იკითხავს, რატომ არის აღებული ორიენტაცია საქართველოზეო, თქვა ჩრ. ოსეთის წარმომადგენელმა ტაკოევმა, ჩვენ ვუპასუხებთ, იმიტომ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელები თვალნათლივ ხედავენ საქართველოში ნაციონალური პო-

ლიტიკა გაცილებით უფრო მიზანშეწონილად ხორციელდება, ვიდრე სადმე სხვაგან. მანვე დაიმოწმა მეტად საგულისხმო მიზეზიც: „სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთთან, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შესვლაზე" (იქვე).

საქართველოს ცაკის სესიამ კენჭისყრით ერთხმად მიიღო ტაკოევის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია. მაგრამ შემდეგში იგი არ განხორციელებულა. ორი ოსეთი კვლავინდებურად დარჩა.

ი. ფუტკარაძე, რომლის საგაზეთო სტატიიდანაც ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ ციტატები, იძლევა შეფასებას, განხორციელების შემთხვევაში, მართლაც, კარგი იქნებოდა თუ არა საქართველოსათვის ორი ოსეთის გაერთიანება. ცხადია, თუ იგი არ შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაშინ სათუო არაფერი იქნებოდა, საქართველო დაჰკარგავდა შიდა ქართლის მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც იმ დროისათვის ქართული მოსახლეობა სჭარბობდა ოსურს. მაგრამ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულების გაერთიანება, მათი საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლის შემთხვევაშიც, არ იქნებოდა სასურველი მოვლენა. რამდენადაც, გაერთიანებული სახელმწიფო წარმონაქმნის შიგნით მოსახლეობის გადანაცვლება უფრო გაიოლებულია, ჩრდილოელი ოსები უფრო ნაყოფიერ და საცხოვრებლად ხელსაყრელ კავკასიონის სამხრეთ კალთებს მთლიანად მოედებოდნენ. არსებითად შეიცვლებოდა დემოგრაფიული სიტუაცია, რაც ოსთა შორის სეპარატიზმის ზრდის საუცხოო ნიადაგს შექმნიდა. მისთვის მხარდასაჭერად კი ანტიქართულ ძალებს საუკეთესო მიზეზები მიეცემოდათ.

„ამგვარად,—დაასკვნის ი. ფუტკარაძე,—ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის შეერთების ჩანაფიქრი, „გაერთიანებული ოსეთის" საქართველოს შემადგენლობაში შესვლის პირობითაც კი, აბსოლუტურად მიუღებელია ქართული ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით" (იქვე).

ჩემი მხრით კი მინდა დავამატო, რომ არათუ „გაერთიანებული ოსეთის" საქართველოს შემადგენლობაში შესვლას შეეძლო ქართული ეროვნული ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, არამედ მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მნიშვნელოვნად შეცვალა დემოგრაფიული ვითარება ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე და

ოსური სეპარატიზმის განვითარების პირობები გააუმჯობესა. ყოველივე ეს კი, რა დაუჯდა საქართველოს, საყოველთაოდაა ცნობილი. მომავალში კიდეც რომ სასიკეთო შემობრუნება მოხდეს, ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც ამ კონფლიქტს შეეწირა, რაღა აანაზღაურებს. განა ოლქის არსებობა ან არარსებობა ღირს იმად, რომ მას ადამიანები ეწირებოდნენ?

ამ ისტორიიდან საგულისხმო მაინც ის არის, რომ აშკარად ჩანს ორივე ოსეთის მოსახლეობის პოზიცია რუსეთიდან გამოყოფისა და საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისა. როგორ არ ჰგავს ყველაფერი ეს ოსი სეპარატისტების მოთხოვნებსა და მოქმედებას 90-იან წლებში!

ქვემოთ შეძლებისდაგვარად შევეცდები გადმოვცე ოსური სეპარატიზმის გამო გაჩაღებული კონფლიქტი და მასთან დაკავშირებული მოვლენები.

აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემასთან შედარებით ნაკლებდაძაბული, მაგრამ პოლიტიკურად ასევე მწვავეა აჭარის ავტონომიის საკითხი. მართალია, იქ სეპარატიზმი არ არის და არც შეიძლება იყოს, მაგრამ სახეზე გვაქვს ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი პარტიკულარიზმი. აჭარის ახლანდელი ლიდერი ეურჩება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ახალ-ახალ საბაბს ეძიებს მისგან რაც შეიძლება მეტი დათმობების მისაღწევად და ამასთანავე, ხელისუფლების მქონე ცალკეულ პირებზე განაწყენებული, მუქარით უქნევს თითს ქართველ ხალხს. მისი ასეთი სითამამის წამქეზებელი ძალა იგივეა, რაც სეპარატისტებისა. ბათუმში განლაგებული რუსული დივიზიის ოფიცრები და ჯარისკაცები გაცილებით უფრო შელავათიან პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში დამშეული, უსახლკარო მათი კოლეგები და მზად არიან „აჭარის ლომის“ თმის ერთი ღერის ხელყოფისათვის საქართველოში ქვა ქვაზე აღარ დატოვონ.

ამით გაგულადებული ა. აბაშიძე თავს აჭარის ნამდვილ პატრონად გრძნობს. თავისი სურვილის მიხედვითა და ერთპიროვნულად მართავს ავტონომიურ რესპუბლიკას. სწორედ ისე იქცევა, როგორც აჭარის ბეგების პირდაპირ შთამომავალს ეკადრება. თბილისიდან შიმშილის გამო განდევნილი და მასთან თავშეფარებული ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი თავგამოდებით იცავს თავის „მამა-მარჩენალს“, დითირამბებს უმღერის მას და განუწყვეტლივ

გაიძახის, რომ მისი ხელისუფლების დროს აჭარა ომს გადაურჩა, იქ დიდი მშენებლობები ჩატარდა, ბათუმი კულტურის პირველხარისხოვანი ცენტრი გახდა, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ასეთი საქმიანობა ავტორიტარული ძალაუფლების მქონე ხელისუფალთ თავისი პიროვნების განსადიდებლად და კარიერისტული ზრახვების დასაფარავად სჭირდებათ. განა ცოტა გააკეთა ი. სტალინმა რუსეთისათვის და ლ. ბერიამ თბილისის არქიტექტურული იერ-სახის შეცვლისათვის? მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რას წარმოადგენდნენ ისინი, როგორც „ხალხის მსახურნი“.

აჭარის ლიდერი თავის მოქმედებებს იმით ამართლებს, რომ იგი ავტონომიური აჭარის სახელით გამოდის და საქართველოს ინტერესებისათვის იბრძვის. ეს, რომ სინამდვილეში ასე იყოს, კარგის მეტი რა გვეთქმის. მაგრამ განა აჭარისათვის აუცილებელია სუვერენიზმის ის დონე, როგორც ეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აქვს წარმოდგენილი? ეროვნული თვალსაზრისით აჭარის ავტონომია ხომ პირობითი სტრუქტურაა და გაუგებარიც კია, რა საჭიროა საქართველოში ქართველების ავტონომია.[1]

თუ დავინტერესდებით, როგორ დაარსდა იგი, უნდა გავიხსენოთ, რომ პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ შექმნა 13 სექცია. ერთი მათგანი იყო „ქართველ მუსულმანთა საქმეების სექცია“. მისი პირველი სხდომა ჩატარდა 13 დეკემბერს. განიხილებოდა ქართველ მუსულმანთა თვითმმართველობის საკითხი. მართვის ასეთ ფორმას მხოლოდ აჭარისათვის მოითხოვდა მემედ აბაშიძე. გიორგი გვაზავა თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ მერე შეიცვალა პოზიცია. წინადადებას მხარს უჭერდნენ ს. ფირცხალავა, პ. საყვარელიძე, პ. გოთუა, გრ. ვეშაპელი, აკ. ჩხენკელი („С Г" 1994:94). შეთანხმდნენ: თვითმმართველობა ეძიათ მხოლოდ აჭარისათვის. ამ საკითხზე სამსჯელოდ ბათუმში მოეწვიათ ახალციხისა და აწყურის მუსულმანთა წარმომადგენლებიც. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ეროვნული საბჭოს მუსულმანი მოსახლეობის მიმართ მოწოდების შედგენა მიანდვეს მემედ აბაშიძეს, ივანე გომართელს, გრ. ვეშაპელს და პავლე საყვარელიძეს.

როგორც ვხედავთ, თავიდან საუბარი იყო თვითმმართველობაზე და არა, შემდეგდროინდელი საბჭოთა გაგებით, ავტონომიაზე.

---

[1] აჭარის ავტონომიის შემდგომში თავგამოდებული დამცველი დ. ხახუტაიშვილი 1991 წელს წერდა: „ისედაც პატარა საქართველოში ორი ქართული სახელმწიფო რა საჭიროა“-ო („ლ ს“ 1991:28).

1918 წლის მარტში გაფორმებული ბრესტის ზავის შემდეგ, ოსმალეთმა აპრილ-მაისში დაამარცხა ამიერკავკასიის ჯარები და სამხრეთ საქართველოს სრული ოკუპაცია განახორციელა. თურქების ხელში აღმოჩნდა მთელი ისტორიული მესხეთი, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით (ნოზაძე 1989:33).

ბათუმისა და აჭარის ოკუპაციის შემდეგ, რეგიონში მტკიცედ დამკვიდრებისათვის, ოსმალეთის მთავრობა აჭარას ავტონომიას სთავაზობდა (აბ. სურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1989:54). მათ აქ მხარდამჭერი ჰყავდათ გაზეთ „სეიდა მილეთის“ („ხალხის ხმა“) ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფი. მაგრამ აჭარლები დარწმუნდნენ, რომ ოკუპანტები მათ არ ენდობოდნენ, ბევრად არ ასხვავებდნენ ქრისტიანი ქართველებისაგან და ამიტომ უფრო გაბედულად გადადიოდნენ მემედ აბაშიძის მეთაურობით არსებული „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ პოზიციებზე.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში გაფორმებული ზავით ბრესტის ზავის პირობები გაუქმდა. დამარცხებული ოსმალეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. რასაც მოჰყვა ქართველ მუსულმანთა ბათუმის ყრილობის დადგენილება, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამუსულმანო საქართველო საქრისტიანოს ნაწილია და ავტონომიურად უერთდება საქართველოს. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის არჩეული იქნა მეჯლისი მემედ აბაშიძის მეთაურობით. მათ მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, ვინაიდან ოსმალო ოკუპანტები ინგლისელებმა შეცვალეს. თანაც, თეთრგვარდიელი, თუ ბოლშევიკური რუსეთი ყოველმხრივი ინსინუაციებით ცდილობდა თავისი რეჟიმი დაემყარებინა აჭარაში.

1919 წლის ივლისში ინგლისელებმა დატოვეს აჭარა. მაგრამ აქ დემოკრატიული საქართველოს კომპეტენცია დიდხანს არ გაგრძელებულა. რუსეთი და თურქეთი შეთანხმებულად მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. წითელი არმიის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციასთან ერთად, ოსმალო ასკერებმა 1921 წლის 11 მარტს ბათუმი აიღეს. მაგრამ გენერალმა გ. მაზნიაშვილმა ისინი ქალაქიდან გარეკა.

1921 წლის 16 მარტს რუსეთ-თურქეთის (მოსკოვის) ხელშეკრულებით რუსეთმა სცნო ყარსის, არდაგანისა და ართვინის ოლქების თურქეთისათვის, ხოლო ბათუმის საქართველოსათვის გადაცემა. ეს

პირობები დადასტურდა 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში, რუსეთის მონაწილეობით გამართული თურქეთისა და ამიერკავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკის მოლაპარაკების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით.

1921 წლის მარტში, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საზღვარგარეთ წასვლის წინ, ბათუმში იმყოფებოდა თურქეთის დელეგაცია. იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა მეჯლისთან აჭარის თურქეთთან შეერთების თაობაზე. დიპლომატებს იმედი ჰქონდათ მეჯლისის შიგნით არსებული პროთურქული დაჯგუფებისა, მაგრამ მემედ აბაშიძემ და მეჯლისის წევრთა უმრავლესობამ საკითხი საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის სასარგებლოდ გადაწყვიტა (ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათ., 1997, გვ. 136).

1921 წლის 16 ივლისს, საქართველოს რევკომის დეკრეტით, აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ცხადია, ეს მოხდა მოსკოვთან შეთანხმებით, სხვაგვარად საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება ამას ვერ გააკეთებდა. მეჯლისს, რომელმაც, ფაქტობრივად, შეუნარჩუნა საქართველოს აჭარა, ღვაწლი იმით დაუფასეს, რომ „შავად" გამოაცხადეს და ახალი „წითელი მეჯლისი" შეადგინეს.

პოლიტიკური ელფერის მქონე ირონია იყო ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე მებრძოლი ათეიზმის დამცველმა მთავრობამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყო საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდებოდა თანამემამულეთაგან, რომ სხვა სარწმუნოებას აღიარებდა. არ შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მშრომელთა რელიგიურ გრძნობებზე ზრუნვით აიხსნას.

ასე გახდა აჭარა საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა. საბჭოთა ხელისუფლების მოსპობის შემდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღაზე, ამ ავტონომიის არსებობისა და მისი მიზანშეწონილობის საკითხიც დაისვა. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულმა რეფერენდუმმა და იმავე წლის აპრილში შექმნილმა დოკუმენტებმა, ფაქტობრივად, მისი გაუქმება დააფიქსირეს (ტ. ფუტკარაძე, ვისგან და რატომ იწირება აჭარა, ჟურნ. „კარდუ-2000", თბ., 1997, №4, გვ. 38). თავდაპირველად პრეზიდენტი ზ. გამსახურდიაც აპირებდა ამ რეკომენდაციათა აღსრულებას. მაგრამ შემდეგ, როცა ა. აბაშიძის აჭარის

ხელისუფლების სათავეში მისვლას დაეთანხმა, როგორც ბევრი სხვა რაიმე, ესეც გადაიფიქრა. „აჭარის ლომმაც" შესძლო კლანური მმართველობის შექმნა. მას და მის გუნდს, ხელისუფლება ისე გაუტკბათ, რომ ახლა არათუ აჭარის ავტონომიის ხელისხლებას გააბედვინებენ ვინმეს, არამედ სამცხე-ჯავახეთის თავისთან მიერთების გეგმებს ხლართავენ და 2000 წლის არჩევნების დროს ასლან „ბაბუს" გაპრეზიდენტებაზეც ოცნებობენ.

ასეთი პატივმოყვარული ჩანაფიქრის განსახორციელებლად დიდი საქმეების კეთებაა საჭირო. აჭარის დეპუტატთა ფრაქციამაც საქართველოს პარლამენტისაგან თავისუფალი ზონის დაკანონება მოითხოვა, რომელიც თურმე საქართველოს ერთბაშად 3,5 მილიარდი ამერიკული დოლარის შემოსავალს გაუჩენს. ისედაც თავისუფალ და დამოუკიდებელ ა. აბაშიძეს ამ ამბიციურ და მითიურ თხოვნაზე უარი უთხრეს. ფრაქცია „აღორძინებამაც" პარლამენტი დატოვა. „აჭარის ლომი" კი აჭარიდან თითის მრისხანედ ქნევას განაგრძნობს[1].

1998 წლის 12 ოქტომბერს თბილისში, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ თქვა: „სხვათა შორის, დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე აწყობილ ქვეყანაშიაც კი, სადაც კონსტიტუციითა თუ სხვა საკანონმდებლო აქტებით ყველაფერი ზუსტად არის რეგლამენტირებული, ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონს შორის, არცთუ იშვიათად, უპრობლემო არ არის"-ო

---

[1] ალბათ, დაკარგული არ იქნება ფაქტი, რომელიც 1998 წლის ნოემბერში არაერთჯერ აჩვენა ტელევიზიის სხვადასხვა არხმა. მასში შესანიშნავად ჩანდა აჭარის ლიდერის ნამდვილი სახე. შეუძლებელია აკადემიკოსებს მ. ლორთქიფანიძეს, რ. მეტრეველს, კანონიერმყოფლებს – ე. შენგელაიას, გ. ლორთქიფანიძეს, მუსიკოსს ა. ერქომაიშვილსა და ჭართული ინტელიგენციის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებს ოდესმე დაავიწყდეთ მრისხანება, ტონი და ჟესტიკულაცია, რომლითაც მათ შეეგებათ ბათუმელი მასპინძელი.

„აჭარის ლომის" მადა სრულიად გამოჩნდა საქართველოს საბაჟოზე ბრიტანული კომპანია „ალფა-ეს"-ის ზედამხედველად მოწვევის შემდეგ, რაც მას უდიდეს შემოსავლებს დაუპირგავს. 23 თვლისს ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებას. 26-ში კი ა. აბაშიძემ რუსულ ენაზე (სხვა დროს იგი პრესკონფერენციებს ჭართულ ენაზე ატარებს) განაცხადა, რომ აჭარის ავტონომია აამოქმედებს ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს თურქეთიდან აჭარაში საქონლის უბაჟოდ შემოტანას! მან ისტორიის უცოდინარობაც გამოავლინა. თქვა, რომ ეს ხელშეკრულება თითქოს დემოკრატიული საქართველოს მთავრობას გაფორმებინოს თურქეთთან. 1921 წლის 13 ოქტომბერს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დროს საქართველოში განა კვლავ ნ. ჟორდანიას მთავრობა იყო? ნუთუ აჭარის ავტოკრატორმა არც ის იცის, რომ ეს ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორისაა გაფორმებული და მისი ცალმხრივად ამოქმედების უფლება ამ სახელმწიფოთა რეგიონებს არა აქვთ?

თანაც საქართველოს ხელისუფლებამ 1992 და 1997 წლებში თურქეთთან ორი ხელშეკრულება გააფორმა, რომელთა მიხედვითაც ყარსის ხელშეკრულების მუხლებიდან ძალაში დარჩა, ძირითადად საზღვრების საკითხების განმსაზღვრელი პირობები. საქონლის გატანა-შემოტანა კი ახალი ხელშეკრულებებით გვარდება.

ასე რომ, ა. აბაშიძის ეს განცხადება ყოველგვარ საფუძვლისაა მოკლებული და „მანია გრანდიოზას" კომპლექსის ახალი პრეცედენტია.

(„ლს“ 1998:42). მაგრამ პრობლემაც არის და პრობლემაც. არა მგონია, აშშ-ის რომელიმე შტატის გუბერნატორმა ცენტრალური ხელისუფლებისაგან კიდევ ორი შტატის მასთან მიერთება მოითხოვოს, ანდა ინგლისის თემთა პალატის ვიცესპიკერად არჩეული რომელიმე რეგიონის წარმომადგენელი ლონდონში არც ერთხელაც არ ჩავიდეს და პარლამენტის სხდომას არ დაესწროს, როგორც ამას გამომწვევად აკეთებს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ახლა იმის შიშით, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დარად, აჭარაც არ დაიკარგოს, არათუ მისი ავტონომიის საჭიროებაზე აღარ მსჯელობენ, არამედ მისი უფლებების განუსაზღვრელად გაფართოებაზეა საუბარი. მაგრამ კიდევ რაღა უფლებები უნდა გაფართოვდეს, როცა ცენტრალური ხელისუფლების პირველ პირებსაც კი აჭარაში ისე ღებულობენ, როგორც უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს, ხოლო ბათუმის მიდამოებში საქართველოს საზღვაო აკვატორიის დაცვის მიზნით, შესულ სასაზღვრო გემს სანაპიროდან ცეცხლის გახსნით დაემუქრნენ და ეკიპაჟმა საფრთხეს ძლივს გამოასწრო. ორი დღის შემდეგ სოხუმიდან გამოძევებული რუსეთის სამხედრო ხომალდები ბათუმის ნავსადგურში უპრობლემოდ შეიფარეს.

ზემოთქმული ზოგადი მსჯელობაა და მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც ამ თემაზე შეიძლება ითქვას. იცის ღმერთმა, ამ სტრიქონებს გულისტკივილით ვწერდი. მაგრამ სავსებით გვერდის ავლაც არ შემეძლო. ისტორია ხომ იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, როგორც ამას დიდებული ვაჟა გვასწავლიდა.

საზოგადოების პროგრესული განვითარების, ე.ი. ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალად მარქსიზმს ხალხთა მასები, კაპიტალიზმის დამკვიდრების შემდეგ კი, პროლეტარიატი მიაჩნდა. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ხალხთა მასებისა და მით უფრო პროლეტარიატისათვის ასეთი როლის მიკუთვნება კომუნისტებს, საზოგადოების უმრავლესობის თავის მხარეზე გადმოსაყვანად ესაჭიროებოდათ. თორემ პროლეტარიატს, ძალიანაც რომ მოინდომოს, მაინც არ შეუძლია საზოგადოების წინსვლაში რაიმე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, რადგანაც ეს პროგრესი კულტურულ, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში მნიშვნელოვანი გარდატეხის მოხდენას ნიშნავს, რაც, ცხადია, პროლეტარიატის საქმიანობისაგან შორს მდგომი სფეროებია.

ისტორიის გამოცდილება აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინტელიგენციაა. მისი დამსახურებაა ევოლუციური განვითარებისა და რევოლუციური გარდატეხის ყველა მიღწევა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი არსებობის მანძილზე შიშით ეპყრობოდა ინტელიგენციას, ცდილობდა დათრგუნვილი ან მოთვინიერებული ჰყოლოდა იგი. ინტელიგენციასთან დამოკიდებულების ფორმალურად წამახალისებელი და შინაარსობრივად ჯოჯოხეთური საბჭოთა სისტემა, კაცობრიობის ისტორიაში, ერთ-ერთმა უდიდესმა ინტელექტუალმა ი. სტალინმა შეიმუშავა. შემდგომში ამ კურსს თავგამოდებით, მაგრამ ნაკლები წარმატებით ახორციელებდნენ ნიჭიერების დეფიციტით შეპყრობილი დიდი ავტოკრატორის ის მემკვიდრენიც კი, რომლებმაც სიცოცხლის ღღენი თავისი გენიოსი მასწავლებლის ძაგებაში დააღამეს.

გავიხსენოთ, რა მოუწონა ყველაზე უფრო საქართველოს კპ ცეკას მაშინდელ პირველ მდივანს ჩვენში გასაბჭოების 60 წლისთავზე, 1981 წელს ჩამოსულმა ლ. ბრეჟნევმა. მან თქვა: „თქვენ გამონახეთ ქართველ ინტელიგენციასთან ურთიერთობის საუკეთესო ფორმებიო". გამოთაყვანებულმა გენერალურმა მდივანმა არ იცოდა, რომ ინტელიგენციასთან ლოიალური დამოკიდებულება კომუნისტური ნომენკლატურისათვის ლ. ბერიას დროიდან დამკვიდრებული ტრადიცია იყო და, როცა ე. შევარდნაძე „ფორმით ინტერნაციონალური, ხოლო შინაარსით, ეროვნული კულტურის" აღმავლობისათვის იღვწოდა, მის საქმიანობაში ამ ლოზუნგის მეორე კომპონენტს ლომის წილი ეჭირა. ნუ დავუკარგავთ მას ამ დამსახურებას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ქართულ ინტელიგენციასთან სხვაგვარი დამოკიდებულება არ შეიძლებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ინტელიგენციამ 20-30-იანი წლების ჯოჯოხეთი გამოიარა, იგი აღზრდილი იყო XIX საუკუნის დემოკრატიული ინტელიგენციის: ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას ტრადიციებზე და ეროვნული ქართული კულტურის შექმნაში წინსვლის ნაბიჯებს დგამდა. ეროვნულ-პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის მიმართ რეპრესიული ზომების მიღება სრული კრახის გამომწვევი გახდებოდა, ვინაიდან მათ შემოქმედებაზე აღზრდილი ხალხი გაურიყავს არ დატოვებდა თავის, ეროვნული სიამაყის ხელმყოფთ. ასეთი რამ მან არ აპატია მის მიერვე ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის ლიდერად აღიარებულ

ზ. გამსახურდიასაც კი[1]. ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ქართველ ინტელიგენციას ნოყიერი ნიადაგი, საუკეთესო პირობები ჰქონდა შექმნილი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. პირიქით, მას უხდებოდა თავისი საქმე მოხერხებულად შეენიღბა კომუნისტური იდეოლოგიის გარსში. თავისი შემოქმედებითი პროდუქციის დიდი ნაწილი საბჭოური ცხოვრების წესის ხოტბისადმი მიეძღვნა და ამით საკუთარი მორალის საწინააღმდეგოდ, იძულებითი ხარკი გადაეხადა ოპოზიციისათვის. ეს იყო უთანასწორო, სამართლიანი ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, არსებობისა და ამ გზით ეროვნული ღირსების შენარჩუნებისათვის. ქართველი ინტელიგენცია ამ ბრძოლიდან მნიშვნელოვანი დანაკარგით, მაგრამ ღირსეულად გამოვიდა.

ეს რთული პროცესი საგანგებო კვლევას, დადინჯებულ შესწავლას მოითხოვს. იგი მომავლის საქმეა, რაც ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო იქნება. ვიდრე იგი შესრულებული არ არის, მე თავს ვიკავებ ამ პროცესის აღწერა-შეფასებისაგან. მაგრამ ზოგიერთი, უკვე ცნობილი მომენტის აღნიშვნა შესაძლებლად მიმაჩნია.

1921 წელს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა ხელახლა დაიწყო და ძირითადად ისეთივე იყო, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ანექსიის შემდეგ. მაგრამ 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ დაამტკიცა, რომ არც ქართველებს და არც საბჭოეთში შემავალ სხვა რომელიმე ხალხს ამ სისტემის ბრძოლის ველზე დამარცხება არ შეეძლო. სახალხო აჯანყებებისა და გამოსვლების გზა უარსაყოფი გახდა. ვერ ვიტყვით, რომ ქართველი ინტელიგენციის ძირითადმა ნაწილმა გეგმაზომიერად და სისტემური ორგანიზებულობით აირჩია არალეგალური ბრძოლის მეთოდი. მაგრამ შედეგების მიხედვით მან შესანიშნავი ნიადაგი მოუმზადა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგალურ ბრძოლაზე გარდამავალ საფეხურს.

ყველაზე დიდი როლი ამ პროცესში იმ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების დამკვიდრებამ შეასრულა, რომელიც ქართული ლი-

---

[1] „ინტელიგენცია ბატონმა პრეზიდენტმა და მისმა თანმგზავსულმა მომხრეებმა გაყვეს ორ ნაწილად.—წერდა გ. ფანჯიკიძე.—ქართულ ნამდვილ ინტელიგენციად და ორღნოსან, წითელ არიჰართველ საბჭოთა კრიმინალურ ინტელიგენციად" („ლ ს" 1991:47). რაც ითქმის „მთმომხილველის" ფსევდონიმით თბილისის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში, რომელშიაც ოპოზიციონერ მწერლებს წაუნებებული ჰქონდათ უმრავი ბრალდება, სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის ჩათვლით (იქვე:41).

ზ. გამსახურდიას ასეთი დამოკიდებულება ინტელიგენციასთან ბევრით არ განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. ცნობილია, რომ ლენინმა ინტელიგენციას „ჯანგალი" („გოვნო") უწოდა. მარქსისტებმა დღითიდღე ითქლეს ინტელიგენციის ლენინური განსაზღვრა და პრაქტიკულად სახელმძღვანელოდ გაითვალისწინეს იგი (გ. ბარნოვი, გაუსრულებელი წიწამური, „ლ ს" 1997:48).

ტერატურისა და ხელოვნების მთავარ მოტივს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამ მხრივ ქართული ლიტერატურა იმდენად მდიდარი იყო, რომ ქართველი კაცის შეგნებაში სასკოლო ასაკიდანვე ღვივდებოდა, ხოლო სიმწიფის ჟამს ღრმად აღიბეჭდებოდა სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა. მართალია, ზოგჯერ სამშობლოში მოჩვენებითად დიდი ქვეყანა იგულისხმებოდა, მაგრამ ისტორიულ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებში მხოლოდ ქართული თემატიკა სჭარბობდა და შეუძლებელია თუნდაც ისეთ „თანამედროვე“ პოემას, როგორიც გ. ლეონიძის „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“ იყო, დიდი რუსეთის სიყვარული აღეძრა ვინმესთვის. არც ისაა გასაკვირი, რომ სამამულო ომის თემაზე შექმნილი ნაწარმოებების იმ პასაჟების აღწერაში, რომლებიც უშუალოდ საბრძოლო ეპიზოდებს შეეხებოდა, ხელი მოეცარათ ისეთ დიდოსტატებსაც კი, როგორებიც კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე ლორთქიფანიძე იყვნენ (რომ არაფერი ვთქვათ—მათთან შედარებით ნაკლებად პოპულარულ ბელეტრისტებზე, რომელთა ნაწარმოებები, დაბალი მხატვრული დონის გამო, საერთოდ დავიწყებასაა მიცემული).

ეროვნულ-პატრიოტული თემატიკა ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისათვის, არამედ იგი საჯილდაო ქვად გადაიქცა ქართული მეცნიერებისა და, საერთოდ, შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, თავდადებული მოწინააღმდეგე ისტორიული თემატიკისა, კერძოდ კი—ეროვნულ-პატრიოტულისა, თუ იგი რუსეთის ცხოვრებას არ შეეფერებოდა, იძულებული გახდა პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭებინა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ დაწერილი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოსათვის, მ. ჭიაურელის ფილმისათვის „გიორგი სააკაძე“.

რეტროსპექტულად დღევანდელობის გადასახედიდან ასეთი და მსგავსი ფაქტები ჩვეულებრივად მოჩანს, მაგრამ პარტიული დიქტატურის ეპოქაში, როცა სკკპ ცეკას იდეოლოგიური განყოფილებისა და სუკის „ფხიზელ გუშაგებს“ ა. ახმატოვა და მ. ზოშჩენკოც კი ძელზე ჰყავდათ გაკრული ნახევრადმკრეხელური ნაწარმოებებისათვის, ქართული ინტელიგენციის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა გმირობის ტოლფასი იყო. მისი საქმიანობა ხომ უფრო ძლიერი, დაყოვნებული მოქმედების ბომბი გამოდგა საბჭოთა სახელმწიფოსათვის, ვიდრე აშკარად აღიარებული ტროცკიზმი შეიძლებოდა

გამხდარიყო. ვინაიდან, ტროცკიზმი კომუნისტური დიქტატურის სახესხვაობას (მაგრამ მაინც კომუნისტურს) ქადაგებდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბებულ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეოლოგიას შედეგად სოციალისტური წყობილების სრული ლიკვიდაცია მოჰყვა.

არსებობისა და ეროვნული შემეცნებისათვის ბრძოლის ამ გზაზე, ეპოქისათვის ხარკის გადახდაც აუცილებელი იყო. იქმნებოდა ნაწარმოებები პარტიაზე, ლენინზე, სტალინზე, ე.ი. „წმინდა“ საბჭოთა თემებზე, მაგრამ თვით ლ. ბერიაზე დაწერილ თხზულებებშიაც კი იმგვარად წარიმართებოდა თხრობა, რომ მკითხველში ეროვნული სიამაყის გრძნობა ღვივდებოდა. ეს იყო ნეგატიური ფაქტების საქართველოს სამსახურისათვის მოხერხებული გამოყენება. ამგვარი კონკრეტული მაგალითების მოყვანა, სიმრავლის გამო, შეუძლებელია და საჭიროც არ არის, რამეთუ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ისინი კარგად არის ცნობილი.

ზოგადად კი უნდა დასახელდეს ქართველი ისტორიკოსების, ლიტერატურათმცოდნეების, ფილოსოფოსების, ხელოვნებათმცოდნეების და სხვათა მიღწევები.

ცნობილია, რომ სოციალიზმის, შემდეგ კი განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად „საბჭოთა ხალხის“ შექმნა ითვლებოდა. ერთიან ხალხს, ერთი ენა უნდა ჰქონოდა. მოქმედებდა თანმიმდევრული პოლიტიკური კურსი, გარდა რუსულისა, ყველა სხვა ენის გასაქრობად. ენობრივი ასიმილაციის ერთ-ერთ რეციდივზე, 1978 წლის 14 აპრილის ამბებთან დაკავშირებით ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ყველაზე მძიმე პერიოდში, 20-30-იან წლებში, საქართველოში იქმნება მსოფლიოში სახელგანთქმული საენათმეცნიერო სკოლა (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია). იგი ფუნდამენტურად იკვლევს ლინგვისტიკის უზოგადეს პრობლემებს. ქართველური ენების ყოველმხრივ შესწავლასთან ერთად, საფუძველი ეყრება კავკასიის მთიანეთის ხალხთა ენების მეცნიერულ კვლევას, იზრდება კადრები ადიღეურ-აფხაზურ, ნახურ-დაღესტნურ და ოსურ ენათმეცნიერებაში. ე.ი. მიმდინარეობდა ბრძოლა არა მარტო კავკასიური ენების გადარჩენისათვის და, რადგან ენა ეროვნების ბურჯია, ეს, ფაქტობრივად, წარმოადგენდა მოღვაწეობას ერების გადასარჩენად.

არანაკლებ თვალსაჩინოა ქართველი ისტორიკოსების ღვაწლიც.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შექმნილმა სკოლამ ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი სახალხო სიყვარული მოუპოვა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული, „ქართლის ცხოვრების I–II და IV ტომების ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემა, არქეოლოგთა მიერ ქართველთა უძველესი მატერიალური კულტურის გამომზეურება-კვლევა, ჩვენი ხალხის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ახალ საფეხურზე, აყვანის ნიშანსვეტებია.

საბჭოთა პერიოდში ერთადერთ იდეოლოგიად, მაშასადამე, ფილოსოფიად დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი იყო მიჩნეული. ფილოსოფიის სხვა მიმდინარეობების არათუ პოზიტიური გაშუქება, არამედ მათი ხსენება, ისტორიულად არსებული ფაქტის აღნიშვნაც კი მძიმე ცოდვად—იდეალისტურად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, იქმნებოდა შ. ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ 2 ტომი. დ. უზნაძე, ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, ა. ბოჭორიშვილი ქართველ ერს აცნობენ საკაცობრიო სიბრძნეს უძველესი ანტიკურობიდან მოყოლებული· უახლესი ფილოსოფიური მიმდინარეობების ჩათვლით, ქმნიან ახალ მიმართულებებს სიბრძნისმეტყველებაში, ახერხებენ თარგმნონ და კომენტირება გაუკეთონ ისეთ „რეაქციონერ“ მოაზროვნეებსაც კი, როგორადაც მიჩნეულნი იყვნენ: შოპენჰაუერი, ნიცშე, კირკეგორი, ჰაიდეგერი, ფროიდი...

ეროვნული შეგნების განვითარებისათვის ლიტერატურასა და მეცნიერებასთან შედარებით უკეთესი შესაძლებლობები გააჩნია ხელოვნების დარგებს: თეატრს, კინოს, ქანდაკებას.

ქართული ეროვნული თეატრი, მისი პროფესიულად გადაქცევის დროიდან, ზრდიდა ხალხს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით. საბჭოთა პერიოდში, მიუხედავად არსებული მძიმე ცენზურისა, თეატრს არ უღალატნია თავისი ამ ძირითადი მოწოდებისათვის. თავი რომ დავანებოთ პატრიოტული სპექტაკლების დადგმებს ქართულ თეატრებში, რ. სტურუასეული ინტერპრეტირება პ. კაკაბაძის კომედიისა „ყვარყვარე“ საუკეთესო მხილება იყო ურაპატრიოტულ დემაგოგიას ამოფარებული უზურპატორისა და გზამკვლევს წარმოადგენდა ქართველი მაყურებლისათვის ტირანიისა და დიქტატურასთან ბრძოლაში.

ქართულმა თეატრმა საზღვარგარეთული გასტროლებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანას აჩვენა, რომ კავკასიაში არსებობს ქვეყანა, რომელსაც, უძველეს კულტურასთან ერთად, თანამედროვე ხელოვ-

ნების ისეთი დონე გააჩნია, რომ იგი, ამ მხრივ, არაფრით ჩამორჩება ცივილიზაციით თავმომწონე ბებერ ევროპას, რომელიც ამის გამო იძულებულია აღიაროს ამ „არასაბჭოთა ფენომენის“ არსებობა და მიუწვდომელი დონე.

ასევე საერთაშორისო აღიარების დასტური იყო ქართული კინოს ჯილდოები სხვადასხვა ქვეყნის კონკურსებსა და კინოს ფესტივალებზე. შედარებით ახალგაზრდა კინოსკოლა ერთ-ერთი ავტორიტეტულია მსოფლიოში. „ნატვრის ხე“, „მონანიება“, „ცისფერი მთები“, „ჯარისკაცის მამა“, „დათა თუთაშხია“ ფელინისა და მაზოლინის ფილმების გვერდით სახელდებიან. ამ, თითქმის არაპატრიოტულმა, ფილმებმა შესაშური სკრუპულოზურობით აჩვენეს, როგორი მაღალი ნიჭიერებით ემსახურება კინოხელოვნება ქართველი კაცის ბედის ჩვენებას, როგორი ამაღლებული სულია საჭირო „ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე“ დასადგომად. ტაძარი ხომ მხოლოდ სულიერი განსაწმენდელი არაა, იგი თავისუფლების ნავთსაყუდელიცაა. ამდენად, ტაძრისაკენ მიმავალი გზა თავისუფლებასთან მიმყვანიცაა. ვინც ერს ამ გზას უჩვენებს და წარუძღვება, მას ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიჰყავს. რადგან ქართველი ინტელიგენცია „ტაძრისაკენ მიმავალი გზის“ მაძიებელი გახდა, იგი ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფლაგმანსაც წარმოადგენდა.

ქართველი ხალხის ეროვნული გამოღვიძების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ. ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ელ. ახვლედიანის ფერწერული ტილოები; მ. ბერძენიშვილის, ე. ამაშუკელის, გ. ოჩიაურის მეფეთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, მეომართა და ერისკაცთა ჯგუფური თუ მონუმენტური სკულპტურები ქართველ კაცს დიდებულ წარსულს მოაგონებდა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სულისკვეთებით აღავსებდა.

როგორც ვთქვით, ამ მონათხრობში ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს ყველა დარგის ქართველი ინტელიგენციის დამსახურების ჩამოთვლა, არამედ ზოგიერთი მათგანის მაგალითზე მინდა ნათელვყო ის დიდი ღვაწლი, რაც მას აქვს გაწეული ქართველი ხალხის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

თანაც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობას ფუჭად არ ჩაუვლია. კომუნისტების მიერ მიზანდასახული ქართული ეთნოკულტურის განადგურების გეგმა ჩაიშალა.

საქართველო შედარებით ნაკლებდაზიანებული გამოვიდა ამ პროცესიდან. მაგალითისათვის ისევ კინო ავიღოთ. „ქართულ ფილმში“ გა-

დაღებული ყველა სურათი მშობლიურ ენაზე ხმოვანდებოდა, მაშინ როცა, ორმოცდაათმილიონიან უკრაინაში გადაღებული არც ერთი ფილმი არ გახმოვანებულა მათ ენაზე. იქ მხოლოდ ხუთიოდე უკრაინული თეატრი არსებობდა. საქართველოში კი 60-მდე სახელმწიფო თეატრიდან მხოლოდ ორი იყო რუსული. ბელორუსიაში არ იყო არც ერთი ბელორუსული სკოლა. ამ ათმილიონიან რესპუბლიკაში 1953 წლიდან არ დაარსებულა არც ერთი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო ბელორუსულ ენაზე. აზერბაიჯანის ქალაქებში მცხოვრებ ბავშვთა 80 პროცენტზე მეტი რუსულ სკოლებში სწავლობდა. შუა აზიაში გააერთიანეს რუსული და ეროვნული ჟურნალები და მათ რედაქტორებად რუსები დანიშნეს. გამოჩენილი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნალოლიავები ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი „იზვესტიაში“ სიამაყით წერდა, რომ ორივე ენაზე ქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს, მაგრამ „უდიდეს შემოქმედებით ნეტარებას განვიცდი, როცა რუსულ ენაზე ვწერ, რადგან ყირგიზულ ენაზე ყველაფრის გამოთქმა მიჭირსო“, მსოფლიოს გასაგონად გაჰყვიროდა იგი. რა დღეში იქნებოდნენ მასზე უფრო ნაკლებნიჭიერები, დაშინებულები და დამცირებულები?!

მსგავსი ფაქტების მოყვანა დაუსრულებლივ შეიძლება. ეს ფაქტები აჩვენებენ, რომ ქართული ეთნოკულტურის მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ერთა ეთნოკულტურებისა. ეროვნული ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის ისეთი მებრძოლებიც კი, როგორიც ბალტიისპირელები არიან, აღიარებდნენ, რომ ომის შემდგომ ათწლეულებში ქართველებმა ყველაზე უკეთ შესძლეს თავიანთი ენის, სკოლის, კულტურის მოვლა–განვითარება. ამას კეთილი შურით ამბობდნენ იმ ხალხთა წარმომადგენლები, რომელთაც არ გაუვლიათ საკუთარი ინტელიგენციის 1924 და 1937 წლების დაპატიმრება–განადგურებანი და არც მეორე მსოფლიო ომის ტოტალური მობილიზაცია შეხებიათ. მართალია, ძნელია, მაგრამ ერთი თვალის გადავლებით ფანტაზიაში წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა საქართველო რეპრესიების წლებსა და ომის დროს ქართული გენოფონდისათვის მიყენებული აუნაზღაურებელი ზარალის გარეშე. მაშინ ხომ ყველაზე უფრო პოტენციური შესაძლებლობების მქონე ადამიანები (უპირატესად–სიმწიფის ასაკში მყოფი მამაკაცები) დაიღუპნენ.

როგორც „წინათქმაშიაც“ შევნიშნე, ამ წიგნში მიმოხილული პერიოდი ჯერჯერობით მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე პირობებში, როცა სახელმწიფო გამომცემლობები ვეღარ ფუნქციონირებენ და უამრავი კერძო გამომცემლობა შეიქმნა, წიგნის გამოქვეყნებაზე თვალის მიდევნება შეუძლებელი გახდა. ბიბლიოთეკებს წიგნების შესაძენად თანხები არა აქვთ. ამიტომ მათს კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებში არსებული ლიტერატურის შესახებ სრულყოფილი ცნობების მიღება—ამაო ცდას წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით წინამდებარე წიგნში ლიტერატურის მიმოხილვა ღარიბულად გამოიყურება. მხოლოდ ზოგიერთ გამოცემაზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ჩემ მიერ გამოყენებულ მომიჯნავე თემებზე არსებული წიგნებისა და წერილების სია წიგნს დართული აქვს. ბოდიშს მოვახსენებ ავტორებს, რომელთა ნაშრომები ჩემთვის უცნობი და ხელმიუწვდომელი დარჩა და ამიტომ მათი მოსაზრებების გათვალისწინება ვერ შევძელი.

აფხაზებთან და ოსებთან დემოკრატიული საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე, გარდა საჟურნალო სტატიებისა, 1990 წელს ორი წიგნი გამოსცა ავთანდილ მენთეშაშვილმა. პირველი რუსულ ენაზე გამოვიდა. მას ჰქვია—„ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან", ხოლო მეორე—„მღელვარებანი კავკასიაში", ნიუ-იორკში გამოიცა ინგლისურ ენაზე.

რამდენადაც ამ ნაშრომების ქრონოლოგიური ჩარჩო სცილდება ჩემ მიერ გამოსაკვლევად აღებულ პერიოდს, მოკლედ შევჩერდები მათზე.

ავტორს გასაშუქებელი საკითხების შესასწავლად გამოყენებული აქვს ჰარვარდის უნივერსიტეტში დაცული მასალები. ეს მას საშუალებას აძლევს წარმოადგინოს აფხაზური და ოსური სეპარატიზმის ჭეშმარიტი, და თანაც, ადრე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულისაგან განსხვავებული სურათი.

მკვლევარი ამტკიცებს, რომ 1918–1921 წლებში აფხაზებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ჰქონიათ ფაქტობრივი ავტონომია, რომელიც იურიდიულად დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს კონსტიტუციაში, მაგრამ ეს კონსტიტუცია მხოლოდ 1921 წლის თებერვალში დამტკიცდა და ვერ მოესწრო აფხაზეთის ავტონომიის იურიდიული დაკანონება.

რაც შეეხება გასაბჭოების შემდგომ პერიოდს, მართალია, დროებით აფხაზეთი ფორმალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მაგრამ, როგორც ა. მენთეშაშვილი დოკუმენტალურად ამტკიცებს, მაშინაც აფხაზეთი არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის

სუბიექტი და მოსკოვში, ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციებში განიხილებოდა საქართველოს ავტონომიად.

წიგნში დაწვრილებითაა გაანალიზებული სამხრეთ ოსეთში 1918, 1919 და 1920 წლებში მიმდინარე აჯანყებები, ნაჩვენებია, რომ ისინი ინსპირირებული იყო ბოლშევიკების მიერ, რომლებიც აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის საკითხში დენიკინის მემკვიდრენი აღმოჩდნენ.

დაახლოებით ამავე თემატიკას ეძღვნება ჯ.გამახარიას ნაშრომი—„ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან" (თბ., 1991). ავტორი თავდაპირველად განიხილავს მეფის რუსეთის პოლიტიკურ კურსს XIX ს–ის საქართველოსა და აფხაზეთის მიმართ და მიუთითებს, რომ აფხაზებთან ცარიზმის დამოკიდებულებებში გარდატეხა მოხდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ხელისუფლებამ ისინი დამნაშავე ერიდან, ქართველების წინააღმდეგ გამოყენების ობიექტად აქცია. ამის შემდეგ დაიწყო გაუცხოების პროცესი ქართულ–აფხაზურ ურთიერთობებში, რის საფუძველზეც აფხაზები საბოლოო ჯამში ქართველების მტრებად იქცნენ.

ჯ. გამახარია უფრო ვრცლად იკვლევს ქართველ–აფხაზთა ურთიერთობას დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში. მას ამისათვის გარდა უკვე გამოქვეყნებულისა, გამოყენებული აქვს საარქივო დოკუმენტები, მათ შორის დაცული აფხაზეთის ასსრ-ს ცენტრალურ სახელმწიფო არქივშიაც, რომელიც ახლა განადგურებულია და ამიტომ იქაური მასალებიდან შემორჩენილი ცნობები უფრო ღირებული ხდება.

ჩემის აზრით, წიგნში კიდევ ბევრი რამ არის საყურადღებო. ყველა მათგანზე შეჩერებას საჭიროდ არ ვთვლი. მაგალითისათვის დავასახელებ ერთ ფაქტს, რომელიც ზემოთ, ისევე როგორც ზოგიერთი სხვაც, უკვე დავიმოწმე. ცნობილია, რომ აფხაზი სეპარატისტები გაჰყვირიან, რომ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ იხსენიება, რადგან იგი ამ ქვეყნისაგან დამოუკიდებელი იყო. ჯ. გამახარიამ დაამტკიცა, რომ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციასთან ერთად ცალკე კანონად მიიღო „დებულება აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის შესახებ" (გვ. 89). რაც, ცხადია, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

ჯ. გამახარიას, ასევე, გარკვეულობა შეაქვს წითელი არმიის მიერ

1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგდროინდელი აფხაზეთის ისტორიის ბევრ აქამდე სადავო საკითხებშიაც.

აფხაზეთში კონფლიქტის შესახებ მთელ ლიტერატურაში, ჯერჯერობით, ერთ–ერთი საუცხოოა სვეტლანა ჩერვონაიას—„აფხაზეთი—1992: პოსტკომუნისტური ვანდეა". ეს წიგნი თავდაპირველად რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1993 წელს. შემდეგ კი ითარგმნა ქართულად და, რამაც მას საერთაშორისო რეზონანსი მისცა, ყველა ძირითად ევროპულ ენაზე.

ცხადია, წიგნის არსებით ღირსებებს ფაქტობრივი მასალის სიუხვე, მათი საინტერესო სტილში გადმოცემა, ლოგიკურობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს, მაგრამ ყველაფერ ამას ღირებულებას სძენს ის ფაქტი, რომ მისი ავტორი ეროვნებით ნეიტრალური პიროვნებაა, თანაც, რუსული ინტელინგენციის იმ წრეებიდან, სადაც, როგორც თვითონ წერს, მისი ცდა, სიმართლე ეთქვა „აფხაზეთის მოვლენებზე სრული შეუსმენლობის ყრუ კედელს აწყდებოდა" (გვ. 14).

ავტორი თავის წიგნს ენთოპოლიტოლოგიის ჟანრს მიაკუთვნებს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ იგი მნიშვნელოვნად სცილდება ამ სფეროს. ისეთ საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა აფხაზეთში ომის დაწყების მიზეზები, კონფლიქტის არაერთაშორისო ხასიათი, რუსეთის შეიარაღებისა და სამხედრო კადრების მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში, ბ.ელცინის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა საქმიანობის შეფასება და მრავალ სხვა საკითხს, ეთნოპოლიტოლოგიის სფეროს აშკარად ვერ მივაკუთვნებთ. ისინი პოლიტიკური ისტორიის ყოველმხრივი კვლევის ნიმუშად უნდა ჩავთვალოთ. ცხადია, ეს ავტორსა და მის წიგნს კიდევ უფრო მეტ ღირსებას, სძენს.

პრეტენზია არა მაქვს ჩემს გაკვრით მსჯელობაში ზოგადი შეფასებაც კი წარმოვადგინო სვ. ჩერვონაიას ამ ფასდაუდებელ ნაღვაწზე. ქვემოთ, აფხაზეთის მოვლენებზე მონათხრობში, იგი ხშირად მაქვს გამოყენებული და ამიტომ ავტორისაგან ორმაგად ვარ დავალებული, როგორც ქართველი კაცი და ისტორიკოსი.

უახლეს დემოგრაფიულ ლიტერატურაში აფხაზეთის პრობლემატიკაზე შექმნილ ნაშრომთა შორის უთუოდ საყურადღებოა ცნობილი დემოგრაფის ანზორ თოთაძის წიგნი–„აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა" (თბ., 1995). ავტორი ამომწურავად განიხილავს აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების, აფხაზთა ეთნოგენეზისის, სხვადასხვა პერიოდში ქართველი

და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობითი თანაფარდობის, აფხაზეთის მოსახლეობის თანამედროვე ეთნიკური მდგომარეობის საკითხებს.

ნაშრომში გაანალიზებული და შეფასებულია შეხედულებანი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების შესახებ, ანტიკური ხანიდან დაწყებული, თანამედროვე ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მოსაზრებათა ჩათელით, განსაკუთრებით აღსანიშნავია მთელი რიგი სიახლენი ტოპონიმიკური და ანთროპოლიტიკური მასალების განხილვისას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობის პრობლემის კატეგორიულად გადაჭრა, ენობრივი მასალის უქონლობის გამო, შეუძლებელია, მაგრამ დიდძალი მოსაზრებებისა და ტოპონიმების დამოწმების საფუძველზე ა. თოთაძე მაინც მიდის იმ დასკვნამდე, რომ „თანამედროვე აფხაზების წინაპრები არიან აფსუები, რომლებიც იტორიული აფხაზების ტერიტორიაზე ძირითადად XVI–XVII საუკუნეებში ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიიდან და მიიღეს ადგილობრივი ძირძველი ეთნიკური სახელწოდება აფხაზი. აფსუები დროთა განმავლობაში შეერივნენ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას". ეს დებულება, როგორც ვთქვით, უდავოდ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მის ოპონენტებს უფრო ნაკლები არგუმენტები მოეპოვებათ საწინააღმდეგოს დასასაბუთებლად.

მწერალ დავით მჭედლურის წიგნში–„თავისუფლების სახელით" (თბ., 1995), როგორც ავტორი წერს, მისი დაკვირვებები და შეხედულებებია მოცემული 1988–1993 წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებზე. მართალია, წიგნი პუბლიცისტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მასში უამრავი მოვლენა და ფაქტია მოხმობილი და თუმცა ისინი, უფრო ხშირად, დოკუმენტირებული არ არის, მაინც დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს დასახელებულ წლებში განვითარებული პროცესების შესახებ სწორი წარმოდგენის შესაქმნელად.

დ. მჭედლური თავის მიზნად არ ასახელებს, მაგრამ მის წიგნს წითელ ხაზად გასდევს ზ. გამსახურდიას პოლიტიკური პორტრეტის გადმოცემის ცდა. მე ამას აღვნიშნავ, როგორც ფაქტს, თორემ, რადგან ყოველგვარი პორტრეტი და დახასიათება სუბიექტურია, თუ ავტორის მიერ გადმოცემულის შეფასებას მოვინდომებ, რა თქმა უნდა, მსჯელობა ობიექტური არ გამომივა.

ავტორი თვითონაა მონაწილე თბილისში განვითარებული მოვლენებისა. მას ჩანაწერებიც ჰქონია გაკეთებული, ამიტომ ზოგიერთი ფაქტი (1991-1992 წ.წ. დეკემბერ–იანვრის ამბები, ზ. გამსახურდიას გარდაცვალება...) დაწვრილებით აქვს გადმოცემული, რაც მე მათა-ვისუფლებს მათი ასეთივე აღწერისაგან.

1995 წლის მიწურულს პეტერბურგში გამოვიდა კრებული „ჯვარცმული საქართველო“. იგი შეადგინა ჟურნალისტმა ბესიკ ფიფიამ და პარლამენტის წარმომადგენელმა დსთ–ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში ზურაბ ჩიკვილაძემ.

კრებულში შესულია ქართველ და რუს პოლიტიკოსთა (ე. შევარდნაძე, ბ. ელცინი, ვ. გოგუაძე...), ჟურნალისტთა (ბ. ფიფია, ა. ებანოიძე, ვ. ჩერტინოვი, ი. კალინინა, ი. რუდინი და სხვა.), მეცნიერთა (მ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე, ლ. მარშანია, სვ. ჩერვონაია), მწერალთა სტატიები, რეპორტაჟები და წერილები, რომლებიც აშუქებს აფხაზეთის მოვლენებს, გვიამბობს იქ განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტის ისტორიისა და მიზეზების, 1992–1993 წლების საომარი მოქმედების, ომის შედეგების, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ცდების შესახებ. კრებულში შესულია ილუსტრაციები, საქინფორმის, იტარ-ტასის, მოსკოველ და პეტერბურგელ კორესპოდენტთა ფოტომასალები, დაბეჭდილია აფხაზეთის ტრაგედიის მონაწილეთა და მოწმეთა პორტრეტები.

„ჯვარცმული საქართველო“ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს 1991-1993 წლებში საქართველოში განვითარებული (განსაკუთრებით აფხაზეთში) მოვლენების კვლევისა და შესწავლისათვის.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ არსებულ ლიტერატურაში დოკუმენტური მასალის სიუხვით გამოირჩევა 1996 წელს გამოცემული თამაზ ნადარეიშვილის წიგნი „Геноцид в Абхазии“. ავტორს, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ხელი მიუწვდებოდა თითქმის ყველა დოკუმენტზე, ისეთებზედაც კი, რომლებიც ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. ამდენად, მათი შეტანითა და თავმოყრით ერთ წიგნში მან დიდად სასარგებლო საქმე გააკეთა.

რაც შეეხება კონფლიქტის წინა პროცესების ისტორიასა და აფხაზეთში ომის გაჩაღება–მიმდინარეობას, აქ თ. ნადარეიშვილი უხვად სარგებლობს ქართველი ისტორიკოსებისა და სვ. ჩერვონაიას „ვანდეით“, რაც მას საშუალებას აძლევს საკმაოდ ობიექტური მონათხრობი წარუდგინოს მკითხველს. ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ავტორი, რო-

გორც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავად არის მონაწილე და მნახველი აღწერილი მოვლენებისა და ფაქტებისა.

ეთნიკურად აფხაზ ლორიკ მარშანიას კარგად იცნობენ ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის, სახელისუფლო სტრუქტურებსა და სამეცნიერო წრეებში. 1997 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში „აფხაზეთის ტრაგედია“ იგი ცდილობს ამოხსნას 1989-1993 წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო წარმოშობილი პრობლემების არსი.

ბროშურაში განხილულია გუდაუთური სეპარატიზმის წარმოშობის მიზეზები და მიზანდასახულობანი. მათი აგრესიული მოქმედებების შედეგები. ნაჩვენებია აფხაზეთის ომში რუსეთის დესტრუქციული ძალების მონაწილეობის, ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობებში ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები.

ნაშრომისადმი ინტერესს აღრმავებს ის, რომ ამ პრობლემებზე მსჯელობს თვით აფხაზი მოღვაწე, სეპარატისტებს ამხელს მათივე თანამემამულე. თანაც, ეს არის არა მხოლოდ მისი პირადი, არამედ ჭეშმარიტი პატრიოტი აფხაზების პოზიციიდან დანახული სინამდვილე.

ჩემი ყურადღება ამ პუბლიკაციაში მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ ლ. მარშანიას მიერ დასახელებული მონაცემებით 1991 წლის აპარტეიდულ არჩევნებში დეპუტატის მანდატი მიიღო არა საერთოდ ქართულმა მოსახლეობამ, არამედ „მრგვალმა მაგიდამ“, ხოლო ვინც იყო ამ ბლოკის სპიკერი, ყველასათვის ცნობილია. მათვე წარუდგინეს თავიანთ პრეზიდენტს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვ. არძინბას კანდიდატურა, როგორც ყველაზე უფრო შესაფერი.

ავტორს მიუტევებელ შეცდომად მიაჩნია იმავე ქართული დეპუტაციის მიერ არძინბას წინაშე პოზიციების სისტემატური დათმობა, რამაც თავისუფალი მოქმედების სარბიელი შეუქმნა სეპარატისტთა ლიდერს.

ჩემის აზრით, დასაბუთება აკლია აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების ლ. მარშანიასეულ ახსნას. იგი ამაშიაც ქართულ დეპუტაციას ადანაშაულებს და ქართული ჯარის შეყვანა 1992 წლის 14 აგვისტოს ნაჩქარევ და დანაშაულებრივ აქტად მიაჩნია (გვ. 35). იგი ამ შემთხვევაში არ ითვალისწინებს, რომ კონფლიქტი პროვოცირებული იყო არძინბას ხროვის მიერ. ქართულ ჯარზე თავდასხმა პირველად მათ მოახდინეს და კონფლიქტი, თუ მაშინ არა, სხვა დროს მაინც

გაჩაღდებოდა. თუმცა არც თ. კიტოვანის თავხედობაზე შეიძლება გაჩუმება.

ლ. მარშანია იძლევა რეკომენდაციებს კონფლიქტის მოგვარებისათვის, ისინი კეთილმოსურნეობის პრინციპებზეა აგებული. მათი დიდი ნაწილი კარგა ხანია უშედეგოდ ისინჯება, ასე რომ ნაკლებ პროდუქტულია.

წინამდებარე წიგნში გამოყენებული მაქვს როსტომ ჩხეიძის ოთხი ნაშრომი. მათგან ერთი თავისი თემატიკით პირდაპირაა დაკავშირებული ჩემს პრობლემატიკასთან. ესაა „თუ საწუთრომან დამამხოს“ (თბ., 1998). მას ქვესათაურად აქვს—„ზვიად გამსახურდიას ბედისწერა. ისტორიული ცდა.“ ავტორის მთავარი საზრუნავია პრეზიდენტ–ყოფილის ქმედებათა ყოველმხრივი გამართლება. თავის გმირს იგი წარმოადგენს, როგორც მოწაფეობის წლებიდანვე საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თანამიმდევრულ მებრძოლ, თავგანწირულ პიროვნებას, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ან მორალური ხასიათის შეცდომები არ ჩაუდენია. რ. ჩხეიძეს ზ. გამსახურდია წარმოდგენელი ჰყავს არა მარტო ალ. ბატონიშვილის, ალ. ორბელიანსა და ქ. ჩოლოყაშვილის სულიერ მემკვიდრედ, არამედ პოლიტიკურ მოღვაწედ, რომელსაც ისეთ საქართველოში მოუწია საქმიანობა, სადაც მას შემცვლელი არ ჰყავდა და ამიტომ თითქმის თავისი სურვილის წინააღმდეგ აიღო ხელთ ხელმძღვანელობა „სახელმწიფოსი, რომლის საფუძვლებიც თავიდანვე უნდა შეექმნა და ორსაუკუნოვანი წყვდიადის მანძილზე მეორედ შეესხა ხორცი თაობათა ოცნებისათვის“ (გვ.111). ამ მხრივ მას „ისტორიულმა პირობებმა“, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთაგან განსხვავებით, არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვეს—„ზვიად გამსახურდიას კი ვისთვის გადაებარებინა მართვის სადავეები? სად მოეძებნა თავისზე უფრო დიდი ავტორიტეტი?“ (გვ. 155), კითხულობს რ. ჩხეიძე.

ჩემს ამოცანას არ შეადგენს ვუპასუხოთ ავტორის მიერ დასმულ კითხვებს, ანდა ვეკამათო მას წიგნში გამოთქმული სხვა მოსაზრებისა გამო, ოღონდაც ის კი უნდა შევნიშნოთ: ასეთი პრინციპებით დაწერილი წიგნი საეჭვოა ობიექტურობით რომ გამოირჩეოდეს.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ჭარბობს ლიტერატურა აფხაზეთში კონფლიქტის შესახებ. ამ ფონზე მისასალმებელია მამუკა ცოტნიაშვილის 1998 წელს გამოცემული ნაშრომი—„ოსური სეპარატისტული მოძრაობა საქართველო-

ში და მისი არსი". იგი საკანდიდატო დისერტაციად წარადგინა ავტორმა. საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მეცნიერმა თავი გაართვა ასეთ სარისკო თემატიკას. ახლა, როცა ქართულ–ოსური ურთიერთობანი შედარებით „დათბა", ოსურ სეპარატიზმზე წერა თითქოს აქტუალური აღარ უნდა იყოს. მაგრამ ისტორია ობიექტური მეცნიერებაა და ისტორიული ფაქტის, მით უფრო აგრესიული სეპარატიზმის სათანადო შეფასების გარეშე დატოვება არა მარტო მეცნიერული, არამედ ქართველი და ოსი ხალხების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია.

მ. ცოტნიაშვილი თანამიმდევრობით და ფაქტობრივი მასალის დამოწმებით აანალიზებს კონფლიქტის მიზეზებს, მის განვითარებას, გადმოსცემს „ადამონ ნიხასის" ლიდერების მტრულ საქმიანობას, გვიამბობს როკის გვირაბის აგების, მისი იარაღისა და ნარკოტიკების შემოზიდვის გზად გადაქცევის შესახებ.

ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტიც, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიას, რომელმაც ავტონომიური ოლქის სუვერენიტეტის შესახებ მიიღო დადგენილება, 137-დან 95 დეპუტატი არ ესწრებოდა (გვ. 66). მაშასადამე, ეს აქტი არაკანონიური იყო.

ასე რომ, შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომის გამოცემით მ. ცოტნიაშვილმა ძლიერ სასარგებლო საქმე გააკეთა.

ამით ვამთავრებ წინამდებარე წიგნის „შესავალში" განსახილველი საკითხების გადმოცემას.

თავი პირველი

წინამორბედი მოძრაობანი

„თავისუფლება და ბედნიერება ერთი და ორივე“
ვ ა ჟ ა

1921 წლის 25 თებერვლის აქტი იყო „ინტერვენციაც, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი, ანექსიაც“ (ლ. თოიძე), ამიტომ მას ბრმად არ დამორჩილებია ქართველი ხალხი.

ძალაუფლების ხელთგდების პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკები ავრცელებდნენ ვერსიას—ქვეყანაში მოხდა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, მისი დამოუკიდებლობა კი ძალაში რჩება, საქართველო განთავისუფლდა მენშევიკური დიქტატურისაგან, იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოაო. მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ ეს დაპირებანი მტკნარ სიცრუეს წარმოადგენდა. კომუნისტების სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკით უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ხოლო ეროვნული პოლიტიკით არა მარტო ოპოზიციური პარტიები, არამედ თვით თანაპარტიელებიც არ იყვნენ კმაყოფილნი.

რუსეთის ხელისუფლება თავისი სახელშეკრულებო აქტებით, ხოლო მისი სრულუფლებიანი რწმუნებული კავკასიაში—ს. ორჯონიკიძე, რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებებით, ხელგაშლილად არიგებდა ქართულ მიწებს.

საბჭოთა რუსეთი მაშინ დაინტერესებული იყო ქემალისტურ თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით. ამიტომ, მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, მან სცნო ართვინის, არდაგანის, ოლთისის ოლქებისა და ფოცხოვას თემის თურქეთისათვის გადაცემა. სულ 12,115 კმ² ტერიტორია, 164 ათასი მცხოვრებით (მ ა ნ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი 1938:17).

იმავდროულად სომხეთმა საქართველოსაგან მიიღო ბორჩალოს მაზრის ნაწილი (3,812 კმ²), ხოლო აზერბაიჯანმა–3,564 კმ² ტერიტორია, ზაქათალის ოლქის სახით (ი ქ ვ ე:18). ამ მიწების გაცემა უყოყმანოდ ხდებოდა, რადგან ს. ორჯონიკიძისა და ბოლშევიკებისათვის სულ ერთი იყო, რომელ სოციალისტურ რესპუბლიკას მიეკუთ-

ვნებოდა ესა თუ ის ტერიტორია. მათთვის მთავარს წარმოადგენდა ამ მიწებზე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. არსებობს არადოკუმენტირებული გადმოცემა, რომ თვით ი. სტალინიც კი უკმაყოფილო იყო ს. ორჯონიკიძის მიერ ქართული მიწების გასაჩუქრებით. ამის მიზეზს, ალბათ, დიდი ბელადის პატრიოტული სისუსტენი კი არ წარმოადგენდა, არამედ მან, როგორც შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, კავბიუროს თავმჯდომარეზე უკეთ იცოდა ამ წინდაუხედავი გამოხდომების თვით ბოლშევიკებისათვის წამგებიანობა.

მართლაც, ს. ორჯონიკიძის ასეთი ნაბიჯები და, განსაკუთრებით, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა, გახდა ქართველი ბოლშევიკების ერთი რაზმის უკმაყოფილებისა და ე.წ. „ნაციონალ-უკლონიზმის“ მიზეზი.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ გამოიწვია შესაბამისი ბიუროკრატიული სისტემის ჩამოყალიბება. სისტემისა, რომლის ყველა ორგანო მეტისმეტად ცენტრალიზებული იყო. კომპარტიის სამხარეო კომიტეტი ხელს უწყობდა რესპუბლიკური დაწესებულებების შთანთქმას ფედერაციის შესაბამისი უწყებების მიერ. ამის გამო ამიერკავკასიისა და საქართველოს დაწესებულებებს შორის უფლებების გაფართოებისათვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. დიდხანს გაგრძელდა დავა ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიებს („ჩეკას“) შორის. ბოლოს იგი მხოლოდ მოსკოვმა გადაწყვიტა ფედერაციის ჩეკას სასარგებლოდ. ასევე შთანთქეს ზემდგომმა უწყებებმა საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების ვაჭრობის, ფინანსთა და სხვა კომისარიატები.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ უკმაყოფილების ახალი მიზეზი გაუჩინა ქართულ ინტელიგენციასაც. ფედერალურ ორგანოებსა და სასწავლო დაწესებულებებში საქმის წარმოება და სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ამ მხრივ რუსულენოვან ინტელიგენციას პრიორიტეტი ჰქონდა. ამას გარდა, ქართველის ეროვნული თვითშეგნება ვერ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ატრიბუტების თანმიმდევრული ლიკვიდაციის ფაქტს.

ფართო მასების აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა სამეურნეო ცხოვრების არნახული მოშლა. 1921-1924 წლები ამ მხრივაც უმძიმეს პერიოდს წარმოადგენდა. ეკონომიკის ყველა დარგი—მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ფინანსები, ტრანსპორტი მძიმე კრიზისს განიცდიდა. ბაზარზე გლეხური პროდუქციის ღირებულება გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საფაბრიკო ნაწარმისა. ეს სცემდა შრომის ნაყოფიერებას,

თავის მხრივ ძლიერ დაბალი იყო მუშათა, მოსამსახურეთა და ინტელიგენციის ხელფასებიც. მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა „ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრის“ პრაქტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, სავალდებულო ეკონომიკურ სანქციას წარმოადგენდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში რევკომები მოვიდნენ. ე. ი. არჩევითი ხელისუფლება ყველა რგოლში ძალად დანიშნულმა მმართველებმა შესცვალეს. თვითნებურად დანიშნულთა აბსოლუტურ უმრავლესობას ხელმძღვანელობის არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნდა. ბევრიც, უბრალოდ, ავანტიურისტი იყო და ძალაუფლების წყურვილის გამო მიეტმასნა ახალ რეჟიმს.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხს უამრავ სიკეთეს ჰპირდებოდა. სინამდვილეში კი პროგრესი არ იგრძნობოდა. უფრო მეტიც, რევკომებმა თავიდანვე შექმნეს უნდობლობის ატმოსფერო ხელისუფლებასა და ხალხს შორის. მდგომარეობა არც მას შემდეგ გამოსწორებულა, რაც მუშათა და გლეხთა საბჭოების არჩევნები ჩატარდა. ამ კომპანიას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, „არჩეულთა“ უმეტესობა ძველი რევკომელები იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ და ქართველმა კომუნისტებმა აშკარად წააგეს ბრძოლა მენშევიკ სოციალ-დემოკრატებთან, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის–სოფლის მოსახლეობაზე გავლენის მოპოვების საკითხში. მიმდინარე აგრარულმა რეფორმამ მათ წინააღმდეგ განაწყო არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ გლეხობის ფართო მასებიც: მიწები ჩამოერთვა ისეთ ხელმოკლე აზნაურებსაც კი, რომლებიც თავიანთ მიწაზე თვითონ შრომობდნენ და თავს ძლივს ირჩენდნენ. ამასთან, თავადთა და აზნაურთა მიწებთან ერთად გლეხთა კომიტეტები, აგრარული რეფორმის გატარებისას იტაცებდნენ საშუალო გლეხთა ნაკვეთებსაც. იყო შემთხვევები, როცა სამიწათმოქმედო კომისიების წევრები და სოფლის კომუნისტთა ლიდერები კონფისკებული მიწების საუკეთესო ნაკვეთებს თვითონ ითვისებდნენ.

მდგომარეობა სოფლად ძლიერ გაამწვავა საქართველოს ცაკის 1922 წლის 22 დეკემბრის საგანგებო ცირკულარმა. იგი მოითხოვდა სოფლად მემამულეთა და თავადაზნაურთა ბატონობის დაუყონებლივ და საბოლოოდ დამხობას. გლეხებს ისინი საკუთარი ინიციატივით უნდა გამოერეკათ თავიანთი სახლ-კარიდან. ამ ოფიციალურ დოკუმენტს მოჰყვა 1923 წლის 25 იანვარს გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული ს. ორჯონიკიძის წერილი–„სოფლად არსებული უკანონობისა

და მისი დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ". ავტორი მოითხოვდა სასწრაფოდ აღკვეთილიყო ინტელიგენციისა და თავადაზნაურობის პარპაში და უსიტყვოდ განხორციელებულიყო დასახელებული ცირკულარი.

ამის „შემდეგ საქართველოს სოფლებში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა,—წერდა ა. სურგულაძე,—ადგილობრივი პარტიული ორგანოების მიერ წაქეზებული გლეხობა შეესია თავად-აზნაურთა და მემამულეთა ოჯახებს. ყოფილ თავადებს, აზნაურებს, სასულიერო პირებს, ერეკებოდნენ სახლებიდან. მათ ქონებას იტაცებდნენ და ინაწილებდნენ, წინააღმდეგობის გამწევთ ადგილზევე კლავდნენ"(„სახ. განათ", 5. VII, 1989). თუ ამ ღონისძიებებამდე, თვით ს. ორჯონიკიძის გამოთვლით, თავადაზნაურობა საქართველოს მოსახლეობის 5 პროცენტს წარმოადგენდა („სრ", 19.2. 1991), საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ. ღოღობერიძე გარკვევით ამბობდა–მიწის რეფორმის შემდეგ თავადაზნაურობის „პროცენტი საქართველოში ნულამდე დავიყვანეთო". ამიტომაც, ასკვნის ა. მუჯირი, „ექსპროპრიირებული აზნაურობა, რა თქმა უნდა, აშკარად მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და გაყვებოდა ყველას, ვინც ამ ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა („ქუთ" 1990:37).

ხელისუფლებისადმი ხალხის მასობრივი უკმაყოფილების გამომწვევი გახდა „მარქსისტული მებრძოლი ათეიზმი". მართალია, რელიგიური შემწყნარებლობით არც მენშევიკი სოციალ-დემოკრატები გამოირჩეოდნენ, მაგრამ ლენინელმა კომუნისტებმა ყოველმხრივ მოლოდინს გადააჭარბეს. მათ ნამდვილი ათეისტური დიქტატურა დაამყარეს. საკითხი ეხებოდა არა მარტო ქართველი კაცის, როგორც მორწმუნე ქრისტიანის, ისტორიულად ჩამოყალიბებული იდეალების რღვევას, იმ იდეალებისა, რომელიც ქრისტიანობის სახით ერის ერთიანობისა და ქვეყნის გადარჩენის სიმბოლოდ წარმოიდგინებოდა, ხოლო ეკლესიები, გარდა საღვთო რიტუალების, შესასრულებელი საკურთხევლისა, მოსახლეობისათვის წარმოადგენდა თავშეყრის, ჭირისა და ლხინის აღნიშვნის, ისტორიული განძის დაცვის ადგილს. ამის გარდა, ცრურწმენად გამოცხადებულ რელიგიასთან ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული ბრძოლა, ხელისუფლების განმახორციელებლებმა ადგილებზე გაიგეს, როგორც რეპრესიები კულტის მსახურთა მიმართ და თვით საკულტო დაწესებულებათა ნგრევა-განადგურება დაიწყეს. მაგ., გურიაში ყველა მოქმედი ეკლესია დაკეტეს, ამას

თან მიაყოლეს მათთან არსებული სასაფლაოების მოთხრა-შებილწვა, მარტო 1922-1923 წლებში საქართველოში 1500 ეკლესია დაანგრიეს, თავლებად, ან უკეთეს შემთხვევაში, კლუბებად გადააკეთეს („ქუთ“ 1990:37). ამ მხრივ მაზრებსა და ცალკეულ რაიონებს შორის ერთდაგვარი შეჯიბრებაც კი იყო გაჩაღებული.

ს. ორჯონიკიძეს სასულიერო პირები კონტრევოლუციურ ძალად ჰყავდა გამოცხადებული. კომუნისტური ხელისუფლების განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ცნობილმა წერილმა გენუის კონფერენციისადმი. არ დასჯერდნენ მის წინააღმდეგ რეპრესიებს და 1924 წლის 28 აგვისტოს ქუთაისში დახვრიტეს მიტროპოლიტი ნაზარ ლეჟავა, მღვდლები: გერმანე ჯაფარიძე, ირათეოზ ჯაჯანიძე, სიმონ მჭედლიძე და არქიდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ისინი ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩამოთვლილი მიზეზები ნათელყოფენ, რომ 1924 წელს საქართველოში სახალხო უკმაყოფილების რამდენიმე ისეთი პირობა არსებობდა, რომლებიც აღავსებდნენ მასების მოთმინების საწყაულს და საუკეთესო ნიადაგს ჰქმნიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამას აღიარებდა საქართველოს კპ ცეკას მაშინდელი მდივანი მ. კახიანი, როცა წერდა: „1924 წლის აგვისტოს აჯანყება ჩვენი პარტიის პოლიტიკის ნაყოფია და გამოწვეულია ჩვენი შეცდომებით“ („სახ. განი“. 5. 7. 1990).

საპროტესტო მოძრაობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის გამო მაშინვე წარმოიშვა, როგორც კი წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს ოკუპაცია დაიწყეს. ეს მოძრაობა გაცილებით უფრო მწვავე იქნებოდა, დამხობილ ხელისუფლებას რომ უკეთესი ავტორიტეტი ჰქონოდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა კმაყოფილი არ იყო ნ. ჟორდანიას მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსით. ამას ემატებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმეში ჩადენილი შეცდომებიც. განსაკუთრებით კი არაპოპულარული განკარგულება თბილისის დატოვების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეებში ქართულმა ჯარმა წარმატებით მოიგერია და დაამარცხა კიდეც XI წითელი არმიის შემტევი ნაწილები.

ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლას, როგორც ითქვა, მთელი რიგი უარყოფითი პროცესები მოჰყვა, მაგრამ მათს

ყველაზე საზიზღარ დანაშაულს, როგორც იქნა საქართველოდან გაძევებული რუსეთის საოკუპაციო ჯარების ხელახლა შემოყვანა და ქვეყანაში დაბანაკება წარმოადგენდა. თანამედროვეთა სულისკვეთება კარგად აქვს გადმოცემული ვლასა მგელაძეს. იგი წერდა: „რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესებულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალი საუკუნეობით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა და ოჯახის სამკაულები ავტომობილებით თბილისის სადგურზე დღიან-ღამიანად გაჰქონდათ... ლენინს ვუგზავნით საჩუქრადო“ (მგელაძე 1991:7). ავტორი იმასაც შენიშნავდა, რომ ასეთი რამ საქართველოში აღამაჰმად-ხანის დროიდან აღარ ახსოვდათო.

ის, რასაც ზეობის დროს არაფრით არ აპატიებდნენ, განდევნის შემდეგ მენშევიკ-სოციალისტთა მთავრობისათვის მოწამებრივ შარავანდედით შემოსვის საფუძველი გახდა. ეს იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ თვით ჟორდანიას თანაპარტიელებისთვისაც მოულოდნელობას წარმოადგენდა. ერთ-ერთი მათგანი შენიშნავდა: „რაც ხანი გადის, მით უფრო ძლიერდება შინაური ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ეს კი ხალხის მასებში ყოფილი მთავრობისადმი სიმპათიას ქმნის. ჟორდანიას სახელი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო ხდება. ვინც საქართველოს პოლიტიკურ კულისებს იცნობს, იმისათვის ჟორდანიას ასეთი შეფასება ისტორიული კურიოზია, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება“ (ციტ. კირთაძე 1996:32-ის მიხედვით). ე. ი. თავიანთი მტერი და მუდმივი გაკიცხვის ობიექტი ნ. ჟორდანია თვით ბოლშევიკებმა აქციეს ეროვნულ გმირად. ხოლო მოწამებრივი შარავანდედით მისი შემოსვის არცთუ სამართლიანი პროცესი დღემდე გრძელდება.

ბოლშევიკების ხელისუფლების წინააღმდეგ პირველი მასობრივი პროტესტი იყო 1921 წლის ზაფხულში დაწყებული სვანეთის აჯანყება. ნ. კირთაძის თქმით: აჯანყებამ მოიცვა მთელი სვანეთი. „ადგილობრივი რევკომები დაამხეს. აჯანყებულებმა მილიციის პუნქტები განაიარაღეს, სვანეთისაკენ მიმავალი გზები შეკრეს და გადაკეტეს“(კირთაძე 1996:36). აჯანყების ჩასაქრობად 15 ათასი(?) რუსი ჯარისკაცი გაუგზავნიათ. აჯანყებულებს ისინი დაუმარცხებიათ, მათგან ხუთასი ტყვედ ჩაუგდიათ. იგივე ბედი სწვევია 1922 წლის ადრე გაზაფხულზე სვანეთში გაგზავნილ წითელ ლეგიონსაც. ოღონდ, ამჯერად ტყვედ აყვანილთა რიცხვი 270 ყოფილა. გაზეთი „თავისუფა-

ლი საქართველო“(1922, №2) გვატყობინებს აჯანყებულთა ძირითად მოთხოვნებს: რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან და ხელისუფლების დასაკომპლექტებლად თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.

ნ. ჟორდანიას მიერ II ინტერნაციონალის ლიდერებისათვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ 1922 წლის გაზაფხულზე აჯანყებას ფართო ხასიათი მიუღია. იგი მოსდებია რაჭა–ლეჩხუმს, საქართველოს სხვა კუთხეებს და, განსაკუთრებით, გურიას (იქვე: 21).

საქართველოს ოკუპაციისა და კერძოდ, სვანეთის აჯანყების საკითხი მსჯელობის საგანი გახდა გენუის (10.V–19.V. 1922) საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ამბროსი ხელაიას და ემიგრანტული მთავრობის მეთაურის ნ. ჟორდანიას მიმართვები რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოში დამკვიდრებული აუტანელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ.

ამას აღვნიშნავ როგორც ფაქტს სვანეთის აჯანყების შეფასებისათვის, თორემ კონფერენციაზე ამ საკითხის აღძვრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სხვისი დახმარების მოიმედეობა ფუჭი საქმეა. გენუის კონფერენციაზე საკმაოდ პათეტიკური გამოსვლების მოსმენის შემდეგ რუსეთის დელეგაციისათვის მიცემული მხოლოდ „მეგობრული“ რჩევით დაკმაყოფილდნენ (იქვე).

კომუნისტური პარტიის პროგრამისა და მარქსისტულ–ლენინური თეორიის მიხედვით, სანუკვარი მიზანი იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ამიტომ მათი მოქმედების ქვაკუთხედს თითქოს ყოველთვის წარმოადგენდა მუშათა კლასის ინტერესები, ხოლო საყრდენს—ეს კლასი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აღმოჩნდა რომ ბოლშევიკების პოლიტიკური კურსით სწორედ თბილისელი მუშები არ იყვნენ კმაყოფილნი.

გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაცული მასალებით ირკვევა, რომ მუშათა ეს უკმაყოფილება პოლიტიკური მოთხოვნების სახით ყოფილა ჩამოყალიბებული და 1922 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში წარუდგენიათ საქართველოში მაშინ მოქმედი პოლიტიკური პარტიებისათვის (გარდა კომუნისტებისა). 24 ოქტომბერს კი იგივე მოთხოვნები მუშათა დელეგაციამ მიართვა საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს. რაც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად ჩაითვალა და დელეგაცია დააპატიმრეს.

ამას თბილისის მუშების ფართო საპროტესტო აქციები მოჰყვა.

დაიწყო გაფიცვები და მიტინგები. მარტო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა მიტინგს 10 ათასი კაცი ესწრებოდა. მიტინგზე დაგმეს რევკომის ძალადობა 24 ოქტომბერს მუშათა დელეგაციის დაპატიმრების გამო. ეს აქტი შეფასებულ იქნა „თბილისის პროლეტარიატზე თავდასხმად“ და პროტესტის ნიშნად გამოაცხადეს ერთი დღით გაფიცვა (იქვე: 13). მასობრივი მიტინგები ეწყობოდა ქალაქის სხვა საწარმოებსა და მუშათა უბნებშიაც. მოძრაობა იმდენად ანგარიშგასაწევი იყო რომ პარტიულ–პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეშფოთებაც კი გამოიწვია.

მოვლენის ექსტრავაგანტურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მუშათა კლასი მუშათა ხელისუფლებას (რევკომს) ეკონომიკურ ანდა წმინდა პარტიულ–პოლიტიკურ მოთხოვნებს კი არ უყენებდა, არამედ აშკარად გამოხატულ ეროვნულ–პატრიოტულს.

მუშათა დელეგაციის მიერ 24 ოქტომბერს წარმოდგენილ განცხადებაში ნათქვამი იყო: „მიუხედავად თქვენი საჯარო განცხადებისა, რომ დაცული იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა არსებითი თვისებები, და ქართველი ერის სუვერენული და ისტორიული უფლებები ყველა სახელმწიფოების და მათ შორის რუსეთის მიერ აღიარებული, თანდათან საქართველოს დაპყრობიდან და რევკომის ხელისუფლების შემოღებიდან ქართველი მშრომელი ხალხი, როგორც ეროვნულად, სოციალურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად, ისე კულტურულად დაიჩაგრა და იჩაგრება.

საქართველოს მიწა-წყალი, ქართველი ერის ტერიტორია დაქუცმაცებულია და დაჭრილია. მთელს აფხაზეთში წარმოებს რუს–შოვინისტთა პოლიტიკა... ქართველები განიცდიან უდიდეს ტანჯვას, ეროვნულ დევნა-შევიწროებას. ბათომის ოლქი საესებით ოსმალეთის სამხედრო და სასულიერო აგენტების ხელშია... ამ მხრით ერის ...ტერიტორიის მთლიანობას უნუგეშო მომავალი ელის...სამხრეთ ოსეთში ოს ნაციონალისტების ბარბაროსული მოქმედებით ქართული სოფლები გაპარტახებულია... ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი ფაქტიურად საქართველოს ჩამოაშორეს. საქართველოს დედაქალაქის თფილისის კარებს სხვები დაეპატრონენ. მთელს ჯავახეთში ქართული სოფლები შევიწროებულია. ქართველები განიცდიან ნაციონალისტურ დევნას, დამცირებას... ზაქათალის ოლქი, რომელიც ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად შეკავშირებული იყო თფილისთან და ყარაიაზის რაიონი... საქართველოს ჩამოშორდა, დღეს აქ ბატონობენ ყაზახის მაზრის რევკომები. უცხოელების შემოსევამ,

ჩამოსახლებამ ისეთი ხასიათი მიიღო. რომ ცარიზმის ხანაშიაც არ ყოფილა ასეთი კოლონიზაცია და საქართველოს მიწა–წყლის დატაცება" (ციტ. კირთაძე 1996:48-49 მიხედვით). „განცხადებაში შემდეგ ასეთივე სიმწვავით გრძელდება იმ ნეგატიურ მოვლენათა ჩამოთვლა, რაც საქართველოს გასაბჭოებამ მოუტანა. გულისტკივილითაა აღნიშნული, რომ ქვეყანა, რომელიც გაერთიანებული იყო და ეროვნული განვითარების გზაზე იდგა, „დღეს დაქუცმაცებულია, გაჩეხილია და მის თანამედროვე ტრაღიკულ აწმყოსთან ერთად მისი მომავალიც განსაცდელშია".

დამოწმებული ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ანტისამთავრობო მოძრაობაში ჩაბმულ მუშათა წრეებს თავიანთ მოთხოვნებში პირველ ადგილზე ეროვნული თავისუფლების საკითხები ჰქონდათ დასმული. ე.ი. 20-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავსუფლებელ მოძრაობაში, პოლიტიკურ პარტიებთან და ინტელიგენციასთან ერთად, მუშათა წრეებიც მონაწილეობდნენ. რაც ამ მოძრაობის სიახლეს და თავისებურებას წარმოადგენდა.

ჩემ მიერ ზემოთ მოტანილ ტექსტში მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა, რომ მაშინაც, როგორც 90-იანი წლების დასაწყისში ქართული საზოგადოებისათვის წინა პლანზე წამოწეულ მწვავე საკითხს წარმოადგენდა აფხაზეთის, ოსეთის, აჭარისა და ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის პრობლემები.

გასაბჭოების შემდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ არალეგალურ მდგომარეობაში გადასული პოლიტიკური პარტიები. მათ შორის ყველაზე აქტიურნი და გავლენიანნი იყვნენ: სოციალ-დემოკრატიული მუშათა (მენშევიკური) პარტია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, მას გამოეყო ე. წ. „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია" (თედო ღლონტის ჯგუფი), რის გამოც იგი. მნიშვნელოვნად დასუსტდა. მცირერიცხვოვნობის გამო, მოვლენებზე სუსტი გავლენა ჰქონდათ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებს (ყოფილ „სხივოსნებს") და სოციალისტ-რევოლუციონერებს. ეს პარტიები იმდენად არაორგანიზებულნი და სუსტნი იყვნენ, რომ, როგორც „დამკომის" თავმჯდომარე კოტე ანდრონიკაშვილი 1925 წლის 22 ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა

„პარტიულ კომიტეტში“ თავიანთი წარმომადგენლობის გამოგზავნაც კი ვერ მოახერხეს (კირთაძე 1996:407)[1].

სოციალ-დემოკრატები, მიუთითებდა კ. ანდრონიკაშვილი, „უწევდნენ რა ანგარიშს ფიზიკურ ძალას, რომელმაც საქართველოს მოუსპო დამოუკიდებლობა, შეეცადნენ გამოენახათ ახალ ხელისუფლებასთან შემათანხმებელი გზა და ენა სადაო საკითხების გადასაწყვეტად საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში“. ამ მიზნით მისი დელეგაცია ეწვია რევკომის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს. რომელმაც დელეგაციის მოსაზრებანი საკმარისად არ მიიჩნია და შეთანხმების პირობებზე პარტიის საერთო გადაწყვეტილების წარდგენა მოითხოვა. მართლაც, თბილისში ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა, რომელმაც 10 აპრილს მიიღო რეზოლუცია, რომ პარტია წინააღმდეგია ყოველგვარი ინტერვენციისა და შინაური ბრძოლისა ხელისუფლების მიმართ. პირიქით, ადგას მასთან მოლაპარაკების გზას (იქვე:402).

საპასუხოდ, ხელისუფლებამ გამოაცხადა შეურიგებლობა პოლიტიკურ პარტიებთან, აუკრძალა მათ ლეგალური მუშაობა და გააძლიერა რეპრესიები. ხოლო თბილისში, ი. სტალინის ჩამოსვლის შემდეგ (1921 წლის ივლისში), კომუნისტური პარტიის ცეკამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ პასუხისმგებელი მენშევიკები. როგორც ჩანს, ამ მკაცრი კურსის გამტარებლად შედარებით ლიბერალი ფ. მახარაძე არ გამოდგებოდა და იგი რევკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე უფრო პრინციპული ბუდუ მდივნით შეცვალეს. დაპატიმრებები შეეხო სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც. იმის გამო, რომ სათანადო სამხილი არ ჰქონდათ, დაპატიმრებულთათვის ბრალდებაც კი არ წარუდგენიათ. იუსტიციის კომისარმა ს. ქავთარაძემ და ჩეკას თავმჯდომარე კ. ცინცაძემ ოფიციალურად დაადასტურეს, რომ „იზოლაციას უკეთებდნენ ხელისუფლების მავნე ელემენტებს“, რაც ნიშნავდა: „ქართულ პოლიტიკურ პარტიების, გარდა კომუნისტურისა, ლეგალურ არსებობას ვერ ითმენდა საბჭოთა ხელისუფლება“ (იქვე:403).

პოლიტიკური პარტიები იძულებით გადავიდნენ არალეგალურ მუშაობაზე. რაც შეეხება გაერთიანებულ ბრძოლას საბჭოთა ხელი-

[1] როგორც ცნობილია, 1991-1992 წწ. მიჯნის „თბილისის ომის“ დროს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივი ან განადგურდა, ანდა გაიტანეს ქვეყნიდან. მანამდე იქ მასალების გაცნობა და ქსეროქსზე გადაღება რამდენიმე პირმა მოასწრო. ნაწილი მის ხელთ შემორჩენილი მასალებისა თავის წიგნს „1924 წლის აჯანყება საქართველოში“ (ქუთ. 1996) დაურთო ნესტან კირთაძემ (გვ. 197-458). ვსარგებლობ ამ პუბლიკაციით.

სუფლების წინააღმდეგ, ასეთი თანხმობისათვის მათ ერთბაშად არ მიუღწევიათ. სხვა პარტიები ჯერჯერობით ნდობით არ ეკიდებოდნენ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც ქვეყანას „სამარცხვინო კრახი განუმზადეს“.

1921 წლის აპრილში პარტიათა წარმომადგენლების შეკრების ინიციატორად თვით სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ. თავდაპირველად ისინი ასეთი შეხვედრების მიზნად პარტიათა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას და ქვეყნის რეგიონებში შექმნილი ვითარების გაცნობას სახავდნენ, მაგრამ პარტიათა წარმომადგენლების რამდენიმე თათბირზე ასეთ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ. შემდეგ ისევ „სოცდეკებმა“ წამოაყენეს პარიტეტულ საფუძველზე ინტერპარტიული ცენტრის შექმნის მოთხოვნა. ეს ცენტრი შეასრულებდა დროებითი მთავრობის ფუნქციებს, მოახდენდა დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი რეჟიმის რესტავრაციას (იქვე:81). სხვა არგუმენტებთან ერთად, ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ევროპაში მხოლოდ ნ. ჟორდანიას მთავრობას უჭერდნენ მხარს და საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა გამოიწვევდა საერთაშორისო მასშტაბით თანაგრძნობისა და დახმარების დაკარგვას. მაგრამ სხვა პარტიები ასეთი სახის რესტავრაციის მომხრენი არ იყვნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, 1921 წლის 21 აგვისტოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნ. ჟორდანია ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში შეადგენდა ახალ კოალიციურ მთავრობას. ამით დამთავრდა პარტიების წარმომადგენლობათა შორის მოლაპარაკებების პირველი ეტაპი (იქვე:83).

1922 წლის 5 თებერვალს შედგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური კონფერენცია. მან საჭიროდ ცნო უფრო აქტიური მუშაობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებთან რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის შეთანხმების მისაღწევად. დაახლოებით ამ დროიდან განახლდა საერთოპარტიული შეხვედრები. შეთანხმებას მიაღწიეს 1922 წლის მაისში. ჩამოყალიბდა „ინტერპარტიული“ ერთიანი ორგანო—საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი („დამკომი“), რომელიც, მასში პარტიათა თანაბარი წარმომადგენლობის გამო, დოკუმენტებსა და ზეპირმეტყველებაში ხშირად „პარიტეტულ კომიტეტად“ იწოდებოდა ხოლმე.

ხელშეკრულება „დამკომის“ შექმნისა და მისი უფლება-მოვალეობის შესახებ გაფორმდა სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელ სოცი-

ალ-დემოკრატიულ პარტიებს შორის. ხუთივე ამ პარტიას, მიუხედავად წევრთა რაოდენობისა და საზოგადოებაზე პოლიტიკური გავლენისა, კომიტეტში ჰყავდა ერთი წარმომადგენელი. სხდომებს თავმჯდომარეობდა სოც. დემოკრატთა დელეგატი. ნ. კირთაძე ასკვნის, რომ კომიტეტის სხდომებზე, თავმჯდომარეობის გარდა, დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს სხვა უპირატესობა ან სხვა უფლება არ ჰქონია (კირთაძე 1996:95), მაგრამ მის მიერვე გამოქვეყნებულ „დამკომის" თავმჯდომარის—კ. ანდრონიკაშვილის სიტყვიდან ჩანს, რომ თავმჯდომარის კომპეტენცია მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული პიროვნებაზე. კერძოდ, იგი სასამართლოს მოუთხრობს, როგორ გარდაქმნა მან, თავმჯდომარედ მოსვლის შემდეგ, ამ კომიტეტის ორგანიზაციული და სამხედრო საქმიანობა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა რიგი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, „დამკომმა" საკონტაქტო ხასიათის ორგანოდან სადირექტივო-მაორგანიზებლის სახე მიიღო. იგი „ჩემი თავმჯდომარეობის დროს ხელისუფლებასთან აქტიური ბრძოლის" ტაქტიკაზე გადავიდაო—მიუთითებდა ბრალდებული (იქვე:407). ე. ი. დასახელებული კომიტეტის თავმჯდომარე მარტო სხდომების სპიკერს არ წარმოადგენდა, მასზე ბევრად იყო დამოკიდებული კომიტეტის მრავალმხრივი საქმიანობის წარმართვა და მიღებულ გადაწყვეტილებათა ამოქმედებაც კი.

მიუხედავად ხელისუფლებასთან აქტიური ბრძოლის ტაქტიკისა და „დამკომის" სხდომებზე აჯანყების საკითხის დასმა-განხილვისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ, 1923 წლის ოქტომბერში საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მთავრობას მიმართა წინადადებით ჩაეტარებინათ რეფერენდუმი საქართველოში პოლიტიკური წყობილების რაგვარობის თაობაზე, თუნდაც მხოლოდ მუშებისა და გლეხობის მონაწილეობით და თუ კომუნისტები გინდაც ხმების ერთმესამედს მიიღებდნენ, მენშევიკები ხელს იღებდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ბრძოლაზე (იქვე).

ეს წინადადება გაზ. „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნებული წერილით აბუჩად იქნა აგდებული. „დამკომმა" მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა ერთადერთ ტაქტიკურ გზად. მიუხედავად იმისა, რომ „დამკომი" პარიტეტული ორგანო იყო, აჯანყებით გამოსვლას ყველა პარტია როდი უჭერდა მხარს. ფედერალისტი ალ. ბოკერია დაკითხვაზე აჩვენებდა: „ჩვენი ცეკა აჯანყების საკითხს მუდამ სკეპტიკურად უყურებდა და

უფროსი ამხანაგებიც კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ... რადგან ხსენებულ ნაბიჯს ავანტიურად სთვლიდნენ, რომელიც ეროვნული საქმის გაკეთების ნაცვლად--ერს ფიზიკურად გაანადგურებდა" (იქვე:388).

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარეობდა „დამკომის" გადაწყვეტილების გარეშეც. ამ ორგანოს მდივანი ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი 1925 წლის 31 ივლისს აჩვენებდა, რომ ხევსურეთის აჯანყება, 1922 წლის 22 აგვისტოს, იყო გამოსვლა ყოველგვარი კარნახის გარეშე. ესე იგი მაშინ დაიწყო ერის სტიქიური ბრძოლა (იქვე: 429). გამოსვლის დაწყების შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, „დამკომმა" აჯანყების შეწყვეტის განკარგულებაც კი გასცა, ვინაიდან იგი უდროოდ და მოუმზადებლად მიაჩნდათ.

ეს მოძრაობა იყო 1922 წლის ზაფხულის მთიანეთის აჯანყების ერთი ეპიზოდი. შეიარაღებული გამოსვლის საერთო ხელმძღვანელობას ქაქუცა ჩოლოყაშვილი ახორციელებდა. მას ეგონა, რომ ასრულებდა საქართველოს პარტიზანთა მთავარი სამხედრო-ოპერატიული შტაბის ბრძანებას. სინამდვილეში კი მასთან გაგზავნილი დოკუმენტის (20 აგვისტოს ბრძანება №1) ავტორი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დავით ვაჩნაძე, რომელიც ამ შემთხვევაში „სამფერის" ფსევდონიმს იყო ამოფარებული. შემდგომში გამოირკვა, რომ ეს მხოლოდ მისი პირადი ინიციატივა იყო (შეთანხმებული ჰქონდა კ. აფხაზთან და რ. მუსხელიშვილთან), რისთვისაც იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრობიდანაც კი გარიცხეს.

ქ. ჩოლოყაშვილმა მიწოდებული გეგმით დაიწყო მოქმედება. აჯანყების ცენტრი გახდა დუშეთი. ამბოხებულებს მარტო ქაქუცას ძალების ამარად არ ტოვებდნენ. რუსეთის ჯარის ამ რაიონში გამოჩენისთანავე, მათ ზურგიდან დაარტყამდა მიხეილ ლაშქარაშვილი და ფალავანდიშვილი. ორმხრივი შეტევით მტრის განადგურების შემდეგ ქართველი პარტიზანები თბილისს გაათავისუფლებდნენ. აჯანყების გეგმის ავტორები, ს. ზალდასტანიშვილის გადმოცემით, საბრძოლო ოპერაციებს ერთდროულად გეგმავდნენ, კერძოდ, განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ქართლსა და კახეთში.

ხელისუფლებამ ჯარი დაძრა ქ. ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ. მის სარდლად პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი დანიშნეს. იგი სო-

ციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, „დამკომის“ სამხედრო ცენტრში შედიოდა და თავისი მოქმედების თაობაზე თანაპარტიელები საქმის კურსში ჰყავდა. სოც. დემოკრატიული პარტიის ცეკამ აჯანყების დაწყება ნაადრევად მიიჩნია. ქ. ჩოლოყაშვილის მისაშველებლად გამზადებული ლაშქარაშვილისა და ფალავანდიშვილის რაზმები დაიშალა.

თავისი ძალების ანაბარად დარჩენილმა ქ. ჩოლოყაშვილმა მოწინააღმდეგე მაინც დაამარცხა, მცხეთამდე მისდია, თბილისზე იერიში უაზროდ ჩათვალა და დუშეთს დაბრუნდა (ზალდასტანიშვილი 1989:14). მთავრობის ჯარებმა დახმარება მიიღეს. ქაქუცას ალყა შემოარტყეს. მან მოახერხა მოწინააღმდეგეს გაქცეოდა და თავისი რაზმით კახეთისაკენ წავიდა. რუსთა რაზმები ხევსურეთის სოფლებში შეიჭრნენ და ახლა იქ დაატრიალეს სისხლის კალო.

აჯანყების ინიციატორები და თანამგრძნობები პროვოკატორმა კ. მისაბიშვილმა გასცა. 1923 წლის დასაწყისში ისინი დააპატიმრეს. ყველაზე აქტიურად მიჩნეული 15 კაცი დახვრიტეს. სიკვდილით დასჯილ სამ გენერალს შორის იყო ილია ჭავჭავაძის დისწული, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე კ. აბხაზი, ხოლო 5 პოლკოვნიკში ერია, ზემოთ დასახელებული როსტომ მუსხელიშვილი.

ჯაშუში კ. მისაბიშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრი იყო, როგორც სოც. ფედერალისტთა პარტიის წევრის ტერორისტ მიხ. კოღუაშვილის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, მან და ვანო ყარანგოზიშვილმა გამცემი კ. მისაბიშვილი 1923 წლის 1 აპრილს (ე.ი. მის მიერ გაცემულთა სიკვდილით დასჯამდე თვენახევრით ადრე) თბილისში მოკლეს. ასეთი გადაწყვეტილება მიუღიათ სოც.-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს და სოც.-ფედერალისტებს (კირთაძე 1996:313-314).

მთიულეთის აჯანყების მარცხმა და ჩატარებულმა რეპრესიებმა დამთრგუნველი გავლენა მოახდინა არა მარტო ფართო საზოგადოებაზე, არამედ მოძრაობის სახელმძღვანელოდ შექმნილ „სამხედრო ცენტრზედაც“. მისი რეგულარული სხდომები შეწყდა.

1921 წლის დასასრულსა და 1922 წელს საქართველოში ყველაზე მწვავე პოლიტიკური დებატები გამოიწვია კავბიუროს მიერ შემოგდებულმა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხმა. ასეთი ხელოვნური სახელმწიფო წარმონაქმნის დაფუძნების წინააღმდეგი

იყვნენ არა მარტო ოპოზიციური პარტიები, არამედ საქართველოს კპ(ბ) ცეკაც, რომელსაც შემდეგ ნაციონალ-უკლონიზმის ფირნიში მიაკერეს და ფიზიკური განადგურებით გაუსწორდნენ.

„დამკომი" ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგი იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მოსაზრებებით. მას მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანებით საქართველო დაჰკარგავდა „პოლიტიკური დამოუკიდებლობის იმ ნატამალსაც, რომელიც შერჩა მას გასაბჭოების შემდეგ". ხოლო ეკონომიკურად ჩვენი ქვეყანა გაცილებით მაღლა იდგა აზერბაიჯანსა და სომხეთზე. ამდენად მათთან გაერთიანება საქართველოსათვის წამგებიანი იქნებოდა. ზემოთ დამოწმებული კ. ანდრონიკაშვილი ამის დასადასტურებლად ასახელებდა ფულად-საკრედიტო სისტემას და მიუთითებდა, რომ ქართული ფული ორჯერ უფრო მტკიცე იყო, ვიდრე აზერბაიჯანული. სათანადო დასაბუთების შემდეგ იგი ასკვნიდა: ეს ყველაფერი „ნიშნავდა იმას, რომ აზერბაიჯანელი მუშა თუ გლეხი ყვლეფდა ქართველ მუშა-გლეხს... ამიერ-კავკასიის ფედერაციამ მოუსპო საქართველოს ეკონომიური დამოუკიდებლობა და გააღატაკა" (იქვე:405).

იმავე ბრალდებულის ჩვენებით––„ქართული პოლიტიკური პარტიები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა წარმოადგენს უბრალოდ წყლის ნაყვას... მათ დაებადათ იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, უკვე, ბრძოლის საშუალებით".

ამ ეტაპზე განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა დაუკავშირდა ემიგრაციაში მყოფი მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის თბილისში ჩამოსვლას, 1922 წლის ნოემბერში. იგი სათავეში ჩაუდგა „დამკომთან" არსებულ „სამხედრო კომისიას". ფაქტობრივად კი, როგორც საქართველოს ჩეკაში მისი დაკითხვის მასალებიდან ირკვევა, ჩამოსვლის შემდეგ მან „ხელში აიღო მთელი საორგანიზაციო სამუშაო, არალეგალური გამოცემანი და ა.შ. თავის თავს უწოდებდა საზღვარგარეთის ბიუროს განსაკუთრებულ რწმუნებულს" (იქვე:392).

მენშევიკების ცეკას ნ. ხომერიკის ჩამოსვლამდე სათავეში ედგა სეით დევდარიანი, შემდეგ კი ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, მან ჩაიბარა. უფრო მეტიც, საზღვარგარეთის ბიუროსთან ცეკას სახელით მიმოწერას ხომერიკი ისე აწარმოებდა, რომ ს. დევდარიანმა და სხვა ხელმძღვანელებმა არაფერი იცოდნენ. იგი, როგორც ეტყობა,

კმაყოფილი არ იყო მის ჩამოსვლამდე გაწეული მუშაობით და გარდა ს. დევდარიანის რედაქტორობით გამომავალი გაზეთისა, დაიწყო ახალი ორგანოს „ჩვენი ერთობის ფურცლის გამოცემა (იქვე:393).

ნ. ხომერიკს, მოცემულ ეტაპზე, საქმიანობის ძირითად უბნად მიაჩნდა აჯანყების სამხედრო თვალსაზრისით უზრუნველყოფა. ამ მიზნით, 1923 წლის აპრილში, საიდუმლოდ ჩაატარა სამხედრო ყრილობა. მას ესწრებოდნენ თითქმის ყველა შეიარაღებული ჯგუფის წარმომადგენლები. ყრილობაზე „მოწონებულ იქნა აჯანყების საერთო გეზი, დამუშავდა და დაზუსტდა მისი მოსამზადებელი მუშაობის ფორმები და მეთოდები. მიღებული იქნა, რომ აჯანყებისა და შეიარაღებული შეტაკების მთავარი სამიზნეები უნდა ყოფილიყვნენ თბილისი და ბათუმი“ (იქვე:136).

სამხედრო კომისიაში თავიდანვე იყვნენ ნ. ხომერიკი, ეროვნულ–დემოკრატი მიხ. ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი მალე დააპატიმრეს და იგი თანაპარტიელმა გ. წინამძღვრიშვილმა შეცვალა. სამხედრო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ იას. ჯავახიშვილი აჩვენებდა: კომისია „დაუკავშირდა ყველა პროვინციას. სამხედრო წესების მიხედვით გარდაქმნა ყველა საბაზო ორგანიზაცია“ და სხვა. (იქვე:379). მაგრამ ყველა მონაცემებით ჩანს, რომ აჯანყების მომზრეთა მთავარ იმედს ქ. ჩოლოყაშვილი წარმოადგენდა. იგი თავის „შეფიცულებთან“ ერთად, ტყეში იყო გასული და მთავრობისათვის მოუხელთებელი გახდა. ქ. ჩოლოყაშვილის რაზმი 1923 წლის იანვრიდან „დამკომის“ განკარგულებაში გადავიდა. პირობა დადო, რომ მისი დასტურის გარეშე შეიარაღებულ აქციას არ ჩაატარებდა და ადგილის გამოცვლასაც სამხედრო კომისიასთან შეთანხმებით აწყობდა ხოლმე (იქვე:153). მისივე მეშვეობით დაისახა ჩრ. კავკასიელებისა და აზერბაიჯანლების მხრივ დახმარების აღმოჩენის სუსტი იმედებიც, რაც ნ. ხომერიკს მაინცდამაინც არ სწამდა და არც გამართლდა.

როგორც ვხედავთ, აჯანყების მზადების საქმე თითქოს აეწყო, მაგრამ საქართველოს ჩეკას საიდუმლო–ოპერატიული განყოფილების უფროსი ლ. ბერიაც არ თვლემდა. 1923 წლის 9 ნოემბერს ნ. ხომერიკი დააპატიმრეს. უფრო ადრე მის გზას გაუყენეს „დამკომის“ თავმჯდომარე ნიკ. ქარცივაძე. „დააპატიმრეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, ასევე—ახალგაზრდა მარქსისტების არალეგალური ცენტრალური კომიტეტი; თბილისის კომიტეტის მთლიანი შემადგენლობა; მოახდინეს ლიკვი-

დაცია რამდენიმე რაიონული პარტიული ორგანიზაციისა, ჩატარდა რეკვიზიცია ოთხი არალეგალური სტამბისა და სხვა" (ი ქ ვ ე : 135).

ნ. ხომერიკი სამხედრო კომისიაში მისმა თანაპარტიელმა გოგიტა ფაღავამ შეცვალა. სამხედრო კომისია ავტონომიური უფლებების მქონე გახლდათ და მაზრებში მას თავისი ქვეკომისიები ჰყავდა, რომლებიც ათეულებად აღრიცხავდნენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მომავალ მებრძოლებს, მაგრამ, კონსპირაციის მიზნით, მათგან არ ადგენდნენ შეიარაღებულ რაზმებს. „ჩვენ ეკმაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით, როგორც თბილისში,—აჩვენებდა კ. ანდრონიკაშვილი,—ისე პროვინციაში, იყვნენ არჩეული მხოლოდ ათის თავები, რომლებიც ცალ-ცალკე იყვნენ დაკავშირებულნი სამხედრო კომისიასთან, მომავალ მებრძოლებმა არც იცოდნენ—ირიცხებოდნენ ისინი რაზმში თუ არა, მაგრამ ვინაიდან ათის თავებს ჰყავდათ აყვანილი აღრიცხვაში მებრძოლთა განსაზღვრული რიცხვი, საკმარისი იყო (სამხედრო კომისიას) აჯანყების ორი სამი დღის წინ ეცნობინებინა მათთვის, რომ შეიარაღებული რაზმიც მზად ყოლოდა... მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიდიოდა კარგათ"... (ი ქ ვ ე : 408).

საფრანგეთში ემიგრირებულ საქართველოს მთავრობას, რომელიც, ფაქტობრივად, აჯანყების ხელმძღვანელობის საზღვარგარეთულ ბიუროს წარმოადგენდა, ესმოდა, რომ განმათავისუფლებელი ბრძოლის წაძღოლისათვის უფრო ავტორიტეტული პირები და დიდი ძალები იყო საჭირო. ამიტომ 1924 წლის თებერვალში საქართველოში გამოაგზავნეს: ვალიკო ჯუღელი, ვიქტორ ცენტერაძე, ვლასა მგელაძე.

ასეთი გაძლიერების შემდეგ საზღვარგარეთული ცენტრი, ნოე ჟორდანიას სახით, აჯანყების დაწყებას შესაძლებლად თვლიდა და ივნისის მიწურულს სათანადო სადირექტივო წერილიც კი გამოაგზავნა. ნ. ჟორდანია მოითხოვდა არ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ საკუთარი ძალებით, დაემყარებინათ მჭიდრო კავშირი კავკასიის მეზობელ ქვეყნებთან და ერთიანი ძალებით უზრუნველეყოთ აჯანყების წარმატება. „დამკომის" გაფართოებულმა სხდომამ მოიწონა ეს წერილი.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებულთაგან ყველაზე უფრო აქტიურობდა ვალიკო ჯუღელი. იგი ეროვნულ-დემოკრატებს, როგორც „რეგულარული სამხედრო ძალების ორსისტემიანობის (არმიისა და სახალხო გვარდიის) მომხრე და, როგორც სახელმწიფოებრიობის განადგურების დამნაშავე ძველი მთავრობის დროს" (იასონ ჯავახიშვი-

ლი), მაინცდამაინც არ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ მენშევიკების დაჟინებული მოთხოვნით მაინც შეიყვანეს სამხედრო კომისიის წევრად (კირთაძე 1996:380).

ვ. ჯუღელის მონაწილეობით ორჯერ შედგა „დამკომისა“ და სამხედრო კომისიის გაერთიანებული სხდომა. ივლისის დასაწყისში გამართულ სხდომაზე (ესწრებოდნენ: კ. ანდრონიკაშვილი, იას. ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი, ჯუღელი, ზალდასტანიშვილი, შ. ამირეჯიბი) განიხილეს ს. ზალდასტანიშვილის მოხსენება აჯანყების მზადების შესახებ. მომხსენებელმა ასეთი სურათი დახატა: აჯანყებას აღმ. საქართველოში თავის თავზე იღებს ჩოლოყაშვილი, რომელსაც შეიარაღებელი ჰყავს 600 კაცი. გარე კახეთში აჯანყებას უხელმძღვანელებენ მენშევიკები. მათივე ხელმძღვანელობით გამოვა გურია (700 კაცი), პარტიების გაერთიანებული ორგანიზაციები უმეთაურებენ აჯანყებულებს ბათუმში (300 კაცი), სვანეთში გამოიყვანენ 600 შეიარაღებულ მებრძოლს, სამეგრელო—რამდენიმე ასეულს. გამარჯვების შემთხვევაში სვანეთ-სამეგრელოს ძალები აიღებენ აფხაზეთსაც. შეიარაღებულთა ერთგვარ რაოდენობას მოელოდნენ იმერეთიდანაც. კერძოდ, შორაპნის მაზრიდან. თბილისიდან 500 მებრძოლი უნდა გამოეყვანათ მენშევიკებს, 150–ეროვნულ-დემოკრატებს და 60—ესერებს (იქვე:380-381).

მეორე გაერთიანებული სხდომა გაიმართა ივლისის ბოლოს. იგი პირველის გაგრძელებას წარმოადგენდა. გადაწყდა შეიარაღებული აჯანყების საკითხი გადაეტანათ პარტიების ცენტრალურ კომიტეტებში.

მალე, ამ სხდომის შემდეგ, 7 აგვისტოს დააპატიმრეს ვ. ჯუღელი. იგი ჩქარა დარწმუნდა, რომ აჯანყების მზადების მთელი პროცესი გაცემული იყო. დაკითხვაზე მას აჩვენეს „დამკომის“ სხდომაზე განხილული აჯანყების გეგმა. პატიმარი მიხვდა, რომ საქმე საბოლოოდ წაგებული იყო და მარცხენა ხელის მყისები გადაიჭრა. მაგრამ სისხლისაგან დაცლამდე მიუსწრეს და სიკვდილს გადაარჩინეს. შემდეგ იგი შეეცადა უაზრო მსხვერპლი აეცდინა და ციხიდან წერილიც გამოგზავნა, რომელშიაც „დამკომს“ და მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს ემუდარებოდა: ვიღაცამ აჯანყება გასცა, გამოსვლაზე ხელი აიღეთ, უაზრო სისხლისღვრა აცდინეთ ხალხსო.

მაგრამ „დამკომმა“ წერილი ჩეკას მიერ მოწყობილ პროვოკაციად ჩათვალა, ჯუღელი მის მონაწილედ მიიჩნია და წერილი უკანვე გაუგზავნა პასუხით: არავითარ აჯანყებას არ ვაპირებთ, შენთან კი ყოველგვარ კავშირს ვწყვეტთო (ზალდასტანიშვილი 1989:31).

სინამდვილეში კი 17 აგვისტოსათვის დანიშნული აჯანყება აგვისტოს მიწურულისა ან სექტემბრის დამდეგისათვის გადაიტანეს. თავდაპირველად, პარიტეტული კომიტეტის 16 და 18 აგვისტოს სხდომებზე, „სხივისტებისა“ და ფედერალისტების წინააღმდეგობის გამო, ერთსულოვან გადაწყვეტილებას ვერ მიაღწიეს. 22 აგვისტოს კი ჩატარდა „დამკომის“ უკანასკნელი სხდომა, რომელსაც მხოლოდ კ. ანდრონიკაშვილი, იას. ჯავახიშვილი და შ. ამირეჯიბი ესწრებოდნენ. სწორედ მაშინ დაადგინეს აჯანყების ზემოთ დასახელებული თარიღი (კირთაძე 1996:381-382).

თითოეულმა პარტიამ შესაბამისი დირექტივები გაუგზავნა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს. ეროვნულ-დემოკრატებმა აჯანყების თარიღი აცნობეს თავის წარმომადგენლებს: აღმ. საქართველოში—ქ. ჩოლოყაშვილს, ხოლო დასავლეთში—გ. ჭაჭიაშვილს. „ჩავარდნის“ თავიდან აცილების მიზნით, პარიტეტულმა კომიტეტმა თბილისი დასტოვა. შემდეგ იასონ ჯავახიშვილი დედაქალაქიდან წასვლას იმითაც ხსნიდა, რომ თბილისში მყოფებს მათ პროვინციებთან კავშირი ჰქონდათ გაწყვეტილი და ახლა შესაძლებლობა მიეცემოდათ ეს ნაკლი გამოესწორებინათ. მაგრამ ამ ნაბიჯით ისინი საერთო ხელმძღვანელობასაც მოსწყდნენ და პროვინციებსაც ვერაფერი არგეს.

„დამკომის“ წევრებმა საფრად შიო მღვიმის ტყე გამოიყენეს. 25–26 აგვისტოს ქაქუცამ მათ აცნობა, რომ ნაცვლად 600-ისა, მასთან მხოლოდ 60 კაცი მოვიდა და მანგლისზე თავდასხმა ამის გამო მარცხიანი გამოდგა, თვითონ ქ. ჩოლოყაშვილი ახლა დუშეთის ასაღებად წავიდა. 3 სექტემბერს იას. ჯავახიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ბოჭორიშვილი და ონიაშვილი დააპატიმრეს (იქვე:383). ამ დროს ხელისუფლებას აჯანყებულებთან მკაცრად ჰქონდა ანგარიში გასწორებული.

„დამკომს“, მისი თავმჯდომარის, კ. ანდრონიკაშვილის თქმით, აჯანყების ვადად დაწესებული ჰქონდა 29 აგვისტოს 2 საათი. ამ დროს გამოსვლები ერთდროულად უნდა დაწყებულიყო მთელ საქართველოში. მაგრამ მოხდა „საბედისწერო შეცდომა“ და ჭიათურაში ერთი დღით ადრე დაიწყო აჯანყება. ამან მთავრობა გააფრთხილა. მან დროზე მიიღო საწინააღმდეგო ზომები. „სწორეთ ამან გადაწყვიტა აჯანყების ბედი“, თორემ „ჩვენ ვიყავით საკმაოდ მომზადებულნი და კიდევაც გავიმარჯვებდი-ო“ (იქვე:410).

ამ მტკიცებაში თავის მართლების ტონი გამოსჭვივის თორემ აჯანყების მზადებაზე ყურადღებით დაკვირვება აჩვენებს, რომ იგი

სათანადოდ დაგეგმილი არ იყო. „დამკომმა“, თბილისიდან გასვლის შემდეგ, აჯანყების ხელმძღვანელის ფუნქციები დაჰკარგა. თვით კ. ანდრონიკაშვილის აღიარებით, სამხედრო კომისიამ რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ამოცანები არ შეასრულა. თანაც ვ. ჯუღელის წერილის გაუთვალისწინებლობა მძიმე შეცდომას წარმოადგენდა. ყველაფერი ამის გამო მოძრაობამ ქაოტური ხასიათი მიიღო და ხელისუფლება მთლად მტყუანი არ იყო, როცა აჯანყებას ავანტიურას უწოდებდა. ასეთის ელემენტები მასში მნიშვნელოვანი დოზით იყო წარმოდგენილი.

მოვლენები კი ასე წარიმართა: აჯანყება დაიწყეს ჭიათურლებმა 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე[1]. მეამბოხეებმა დაიკავეს პარტიული კომიტეტის შენობა. კომუნისტები დააპატიმრეს. დღის ორი საათისათვის ქალაქი მათ ხელში იყო. ს. ორჯონიკიძე საკ. კპ (ბ) ცეკას პლენუმს მოახსენებდა, რომ ჭიათურის აჯანყებაში მონაწილეობდა 30-40 კაცი („სრ“ 19. 2. 1989), მაგრამ სინამდვილეში მოძრაობაში იყო მოსული ქალაქის და მისი შემოგარენის მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოსვლებს სათავეში ედგნენ: გ. წერეთელი, გ. ჩაჩანიძე, ე. წერეთელი, გ. ჩუბინიძე და სხვები. მათთან ბრძოლაში ადგილობრივი ძალები ვერაფერს გააწყობდნენ, მაგრამ ინფორმირებული იყო რა შესაძლო ამბოხების შესახებ, ცენტრმა ჭიათურაში გადაისროლა სამხედრო ნაწილები, რომლებმაც ლ. ბერიას კრეატურის, ცნობილი ჯალათის, ვ. ტალახაძის მეთაურობით, სასტიკად ჩაახშეს აჯანყება. იმ დღესვე დააპატიმრეს მაზრის ყველა თავადი და აზნაური, ეჭვმიტანილი პირები. ისინი თითქოს თბილისში გაგზავნის მიზნით ვაგონებში ჩაყარეს და შემდეგ ზესტაფონის სადგურთან ახლოს, ტყვიამფრქვევებით ვაგონებშივე ჩაწყვიტეს. შემორჩენილია დახვრეტილი 95 კაცის სია, რაც ადასტურებს, რომ ისინი სოციალურად მაშინ საქართველოში მცხოვრებთა ყველა ფენას წარმოადგენდნენ. მათ შორის იყვნენ მუშა—40, სოფლის მუშები—13, სტუდენტები და მოწაფეები—11, მასწავლებლები—8, დაწესებულებათა

[1] არაერთხელ აღნიშნულა, რომ 1924 წლის აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჭიათურელთა ერთი დღით აღრე გამოსვლა იყო. მაგრამ უნდა ვიფიქროთ: აღდგილებზე კარგად არ იცნენ ინფორმირებულნი აჯანყების დაწყების დროის შესახებ. უფრო სწორად, იგი შეიძლება აბსოლუტურად დაზუსტებული არც ჰქონდათ. „დამკომის“ თავმჯდომარის კ. ანდრონიკაშვილის ჩვენებით „გამოსვლა კი საერთოდ დანიშნული იყო ღამის ორ საათზე-28-დან 29-მდე“ (ქართაძე 1996:410). მაშ, ჭიათურელებს რატომღა უნდა ეცადათ ერთი დღე თანაც აჯანყებისათვის საუკეთესო დროდ გამოცხადებული იყო მარიამობის დღესასწაული, როგორც ხალხის ეკლესიასა და სხვა ადგილებში შეკრების მიზეზი, რომელიც სწორედ 28 აგვისტოს აღნიშნება.

მოსამსახურენი—12, სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრები—3, ესერები—2, ეროვნულ-დემოკრატები—2, უპარტიოები—4 (კირთაძე 1996:188-190).

ჭიათურელთა გამოსვლა ხელისუფლების სიფხიზლის გაძლიერების სიგნალი გახდა. მთელ საქართველოში საგანგებო და საგანგაშო წესები გამოცხადდა. განსაკუთრებული ყურადღება თბილისსა და ბათუმზე იქნა გადატანილი, მაგრამ დიდი საფრთხე დედაქალაქს არ ემუქრებოდა. „დამკომმა" მხედველობაში მიიღო, რომ ადრე აჯანყებისათვის დანიშნულ დღეს „16 თუ 17 აგვისტოს მოულოდნელად თბილისი გაივსო ჯარებით. გამოსვლა თბილისში ამ პირობებში გამოიწვევდა საშინელ სისხლისღვრას და ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ ცენტრი გადავიტანეთ პროვინციაში"-ო, ამბობდა კ. ანდრონიკაშვილი, სასამართლო პროცესზე. როცა აჯანყება სხვაგან ყველგან გაიმარჯვებდა ქართლის, კახეთისა და ბორჩალოს შეიარაღებული ძალებით, ვაზიანში განლაგებული არტილერიით უნდა აეღოთ დედაქალაქი (კირთაძე 1996:410-411).

29 აგვისტოს აჯანყებამ მოიცვა დასავლეთ საქართველოს ბევრი მაზრა და ქალაქი. დიდი აქტიურობა გამოიჩინა გურიის გლეხობამ. აჯანყებას აქ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. გამოსვლებს მეთაურობდნენ ს. მათითაიშვილი, გ. მუხაშავრია, ღლონტი და სხვები. სამაზრო ცენტრის—ოზურგეთის აღება აჯანყებულებმა ვერ მოასწრეს. აქ უფრო ადრე შემოიყვანეს მთავრობის ძალები ბათუმიდან. საჭიროების შემთხვევაში მათ დასახმარებლად ნატანებში ჯავშნიანი მატარებელი და 400 კაციანი რაზმიც იდგა. დაწყებიდან მესამე დღეს ოზურგეთში აჯანყების ყველა კერა ჩააქრეს. იქვე დახვრიტეს 8 მონაწილე („ლს", 25. 8. 1989).

მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო სამეგრელოშიც. ამის მიზეზად ს. ორჯონიკიძე, სიმინდის გაიაფების გამო, აქაური გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ასახელებდა. მისი თქმით, „მენშევიკების დროს, როცა პური არ შემოჰქონდათ, მეგრული სიმინდი დიდად ფასობდა. ჩვენ დროს, დიდი ქალაქები სიმინდს აღარ ხმარობდნენ და ძალიან ხშირად გლეხიც ყიდულობს ხორბლის პურს. საშინლად გაიაფდა სიმინდი და სამეგრელოს გლეხობას... ურჩევნიათ ის ხელისუფლება, რომლის დროსაც მეტს უხდიდნენ სიმინდში" („სრ", 19. 2. 1991). მიუხედავად ასეთი „საფუძვლიანი" დასაბუთებისა, იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ აჯანყება „დამოუკიდებელი საქართველოს დროშით დაიწყო" და ეროვნულ საკითხს მოძრაობაში მეორეხარისხოვანი როლი არ ეჭირა.

სამეგრელოში აჯანყებას მეთაურობდნენ გენერალი თოფურია, როტმისტირი დავით მხეიძე და ეროვ-დემოკ. შ. კალანდარიშვილი. მეამბოხეებმა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს სენაკის მაზრაში. 29 აგვისტოს მათ აიღეს სენაკი, პატიმრები გამოუშვეს და ჩეკისტებისათვის ჩამორთმეული იარაღით შეაიარაღეს. შეძლეს დახმარება გაეგზავნათ ფოთსა და სამტრედიაში აჯანყებული თანამოაზრეებისათვის. მაგრამ მეორე დღესვე ვითარება მათ საწინააღმდეგოდ შეიცვალა. მთავრობის ძალებისაგან დამარცხებულნი იძულებულნი გახდნენ მთებისა და ტყეებისათვის შეეფარებინათ თავი.

უფრო მეტი წარმატება ჰქონდათ აჯანყებულებს სვანეთში. აქ მოძრაობამ მოიცვა იფარი, კალა, უშგული, ცაგერა და სხვა სოფლები. მათ მეთაურობდნენ ნ. გარდაფხაძე, კაპიტანი მიხ. ჭიჭინაძე და ეროვნ. დემოკრ. ბ. პირველი. 29 აგვისტოს მთელი ქვემო სვანეთი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. რთული რელიეფის გამო, მთავრობის ჯარებს გაუჭირდათ სვანეთში შეღწევა. ადგილობრივმა სამაზრო კომიტეტმა ს. ორჯონიკიძეს სთხოვა ჩრ. კავკასიაში სამუშაოდ გადასული 500 სვანის მძევლებად აყვანა, რათა ამით იძულებული გაეხადათ მათი ნათესავები დაეყარათ იარაღი. ეს სწრაფად განსახორციელებელი ღონისძიება არ იყო და ამასობაში სვანებმა 500 მებრძოლი ქუთაისს მიაშველეს, მაგრამ ქალაქი გამაგრებული იყო და ისინი იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. ზემო სვანეთში კი ბრძოლა 25 სექტემბრამდე გრძელდებოდა. ს. ორჯონიკიძის მოხსენების მიხედვით: „ქუთაისის მაზრაში გამოსვლები მოხდა მხოლოდ ორ რაიონში–ბაღდათსა და ვანში. ორივე ამ რაიონში საკმაოდ მრავალრიცხოვანია თავადაზნაურობა და ვაჭრები. აჯანყების მთავარი წამომწყებნი ისინი იყვნენ“ (იქვე). კონდოტიერი აქაც ჩქმალავდა ვითარებას და არ აღიარებდა, რომ ამბოხება შეეხო მაზრის სხვა დასახლებულ პუნქტებსაც. განსაკუთრებით კი სამტრედიას, სადაც იძულებული გახდნენ მთავრობის ძალები ჯალათ ვ. ტალახაძის მეთაურობით გაეგზავნათ.

ამ დამსჯელმა ექსპედიციამ ბრძოლით განელო გზა ფოთამდე. შემდეგ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ ქუთაისში, საიდანაც მთელ დასავლეთ საქართველოს აკონტროლებდნენ.

გაცილებით მცირე მასშტაბი ჰქონდა მოძრაობას აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ითქვა, აჯანყების ხელმძღვანელობას აქ ქ. ჩოლოყაშვილის ყველაზე დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ მას დაპირებულის მხოლოდ მეათედი მებრძოლი მოუვიდა. ამ მცირე ძალებით

მანგლისი ვერ აიღო, მაგრამ 4 სექტემბერს დუშეთის დაუფლება შეძლო. ამ დროს აჯანყება თითქმის ყველგან დამარცხებული იყო. მთავრობამ დიდი ძალები მიუსია „შეფიცულებს“. ისინი იძულებულნი გახდნენ კვლავ ტყეებს შეფარებოდნენ.

ქ. ჩოლოყაშვილმა საქმე წაგებულად ჩათვალა და სპ. ჭავჭავაძესთან, ე. ვაჩნაძესთან, ალ. სულხანიშვილთან, ალ. ჩიქოვანთან და სხვა „შეფიცულებთან“ ერთად, თრიალეთ-ჯავახეთის გზით თურქეთში გადავიდა („ლს“, 25. 8. 1989). იქიდან საფრანგეთს შეაფარა თავი და გარდაცვალებამდე უცხოობაში დარჩა.

„დამკომის“ მეორე იმედს–პოლკოვნიკ ცაგურიასაც არაფერი გამოუვიდა. აჯანყების გეგმის მიხედვით, მას ვაზიანში განლაგებული არტილერია უნდა ეგდო ხელთ და თბილისისათვის შეეტია. მაგრამ რაზმი, რომლითაც იგი არტილერიის დაუფლებას აპირებდა, არ მოუვიდა. მან უფრო მცირე ძალით პატარძეულის მილიციის განიარაღება სცადა, ვერც ეს შესძლო და ს. ზალდასტანიშვილს მიეკედლა.

1924 წლის 4 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭომ გამოაცხადა: „მენშევიკურ–თავადაზნაურული ბანდიტიზმი დამარცხებულია, ბანდიტთა ხროვა განადგურებული“ (გაზეთი „კომუნისტი“). ხოლო მეორე დღეს თბილისის საბჭოს სხდომაზე ს. ორჯონიკიძემ „სამოქალაქო ომი“ მოგებულად ჩათვალა და მოუწოდა მაგრად დაეკრათ დარჩენილი „ნაციონალ–დემოკრატთა და მენშევიკური ბანდებისათვის“. ეს მოწოდება კიდევ ერთი წაქეზება იყო ისედაც გააფთრებული „რევოლუციურად განწყობილი“ ჯალათებისათვის.

1924 წლის აჯანყება ისედაც არნახული სისასტიკით ჩაიხშო. აწამებდნენ და ხვრეტდნენ არა მარტო აჯანყების უშუალო მონაწილეებს, არამედ სრულიად უდანაშაულო ადამიანებსაც. ხელისუფლება „მტრებთან“ ანგარიშის გასწორებას აჯანყების დაწყებამდე შეუდგა. 1924 წლის მაისში დახვრიტეს ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, კ. აფხაზი, მ. ზანდუკელი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი, ს. ჭიაბრიშვილი, ა. მაჭავარიანი, ქ. გულისაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, დ. ჩრდილელი („ლს“, 21. 4. 1989).

აჯანყების დღეებში, 30 და 31 აგვისტოს, 1-2 და 3 სექტემბერს თბილისის საპყრობილეებიდან, ამიერკავკასიის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლით, ანუ „ბანდიტიზმში“ ბრალდებულ პირთა საქმეების განმხილველი სამეულის განაჩენით დახვრიტეს 98 კაცი. ამ სამეულის შემადგენლობაში შედიოდნენ ლ. ბერია, ა. ენუქიძე და ა. ხატისოვი. ამ სამეულის განაჩენით დახვრეტილთა შორის იყვნენ: ალ. ჩიქოვანი, ალ. სულხანიშვილი, ე. ვაჩნაძე, ს. ჭავჭავაძე, ალ. ლორთქიფანიძე, ალ. ჯაფარიძე, ალ. ჯაფარიძე, ალ. ჯაფარ

იქნენ დიდი ხნის წინ, 1922, 1923 და 1924 წლებში დაპატიმრებულები–146 კაცი. მათ შორის ნაწილს მოხდილი ჰქონდა სასჯელი, ელოდნენ განთავისუფლებას და ნაწილის საქმეები (არა აჯანყებასთან დაკავშირებული) იყო ძიებაში (იქვე, 25. 8. 1989).

1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის დახვრეტილთა რაოდენობა დადგენილი არ არის. ორჯონიკიძე იმ მიზნით, რომ დაეფარა მოძრაობის მასობრივი ხასიათი და თანაც აეცილებინა საყვედურები განუკითხავი მოქმედებისა და დახვრეტილთა დიდი რაოდენობის გამო, ასახელებდა 980 კაცს, რომელთაგან, თითქოს, 95 პროცენტი თავადაზნაური იყო („სრ“, 19. 2. 1990).

კ. ანდრონიკაშვილი პროცესზე წარმოთქმულ სიტყვაში აჩვენებდა 4000 დახვრეტილს და უმატებდა: „მათ შორის უმრავლესობას შეადგენდნენ მუშები და გლეხებიო“ (კირთაძე 1996:411). ნ. ჟორდანიას ერთ-ერთ წერილში აჯანყების მსხვერპლთა ციფრად 5000-ია მიჩნეული („სახ. გან“, 12. 7. 1989).

უფრო სწორი უნდა იყოს მეტეხის ციხის პატიმართა მიერ ინგლისის ტრედუნიონების დელეგაციისათვის გაგზავნილ წერილში დასახელებული დახოცილთა და დახვრეტილთა რაოდენობა—სამიათას ცხრაას თვრამეტი კაცი. ეს წერილი საქართველოს ს. დ. პარტიის ჟურნალ „ბრძოლის“ 1926 წლის №9-ში გამოქვეყნდა და 1989 წლის 25 აგვისტოს გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ გადმობეჭდა. მართალია, „დამრგვალებულის“ ელფერს ატარებს ამ მასალაში დასახელებული ადგილზე დახვრეტილთა რაოდენობა, მაგრამ სწორად ასახავს იმას, თუ სად როგორი მასობრივი ხასიათი ჰქონდა აჯანყებას. ამ ცნობის მიხედვით, ქ. ქუთაისში სიკვდილით დასაჯეს 300 კაცი, მის მაზრაში–150, ჭიათურასა და ზესტაფონში–200, რაჭა–ლეჩხუმის მაზრაში–300, გორის მაზრაში–500, ქ. გორში–400, დუშეთსა და მის მაზრაში–150, თელავისა და სიღნაღის მაზრებში–300, მანგლისსა და სართიჭალაში–200 და ა.შ.

როგორც ვხედავთ, რეპრესიებს ხალხთან ანგარიშსწორების ხასიათი ჰქონდა და არა მხოლოდ „კლასობრივ მტერთან“ ბრძოლისა, იგი ი. სტალინსაც კი გადაჭარბებულად მიუჩნევია და მ. კახიანისათვის, უთქვამს: „Расстрелять надо было, может быть, не так много. цифра (იგულისხმება 980 კაცი.–გ. მ.), все же очень велика для Грузии,“ ხოლო ამ რეპრესიების სავსებით სწორი შეფასება მოცემული აქვს პროფ. აკაკი სურგულაძეს. იგი წერდა: „1924 წლის აჯანყებისადმი ანგარიშსწორებამ მიიღო იმდენად შეუზღუდველი ხასიათი და იმდე-

ნი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა, რომ რესპუბლიკის მაშინდელ ხელმძღვანელობას იგი უნდა ჩაეთვალოს დიდ დანაშაულად, რასაც ვერასოდეს ვერ აპატიებს ისტორია“ („ს ა ხ. გ ა ნ“, 12. 7. 1 9 8 9).

რაც შეეხება 1924 წლის აჯანყების ადგილს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში (და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში ყოფნის მთელ პერიოდშიაც) ყველაზე მნიშვნელოვანი, მასობრივი ხასიათის შეიარაღებული აჯანყება, რომელმაც, მიუხედავად დამარცხებისა, სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში. სწორედ, რომ წინასწარმეტყველური სიტყვები წარმოთქვა კ. ანდრონიკაშვილმა: „ჩვენ დავმარცხდით და დამარცხდა აჯანყება ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა“. მართლაც, მიუხედავად უსასტიკესი რეჟიმისა, ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ჯაჭვი საქართველოში არასოდეს არ გაწყვეტილა. ეს 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა და დაღუპულთა უკვდავებაც იყო.

1924 წლის აჯანყებაში ილუზია და რომანტიზმი მეტი იყო, ვიდრე რეალიზმი. ვეებერთელა სსრ კავშირში ჩათრეულ საქართველოში, აჯანყებულებს კიდეც რომ გაემარჯვათ, მათ ხელისუფლებას საბჭოთა იმპერია დიდხანს არ შეარჩენდა. ეს კარგად ესმოდა ნ. ჟორდანიასაც. იგი აჯანყებამდე ერთი წლით ადრე გამოგზავნილ ბარათში იწერებოდა: რუსეთში შინაგანი კრიზისისა და კავკასიის სხვა რეგიონებში აჯანყების დაწყების გარეშე, საქართველოში „გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები“-ო („ქ უ თ“ 1 9 9 0 : 3 7). ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ კი პოლიტიკური ბრძოლის თუნდაც არალეგალური გაგრძელება შეუძლებელი გახდა. მაგრამ თავისუფალი აზრი კლავ არსებობდა და სხვადასხვაგვარი სახით იკაფავდა მოქმედების გეზს.

ასეთი იყო, კერძოდ, მწერალთა ერთი ჯგუფის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა. რად ღირდა თუნდაც კ. გამსახურდიას წერილი ვ. ლენინისადმი, რომელიც, მართალია, 1921 წლის 8 მაისს გამოქვეყნდა, მაგრამ საუკეთესოდ გამოხატავდა მწერლის ეროვნულ პოზიციას, რაც მას შემდგომში არასოდეს შეუცვლია. ისიც ხომ ცნობილია, რომ აგვისტოს აჯანყების დამარცხების გლო-

ვის ნიშნად პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა შავი ჩოხა ჩაიცვა. ხოლო ოთხმა მეგობარმა–ვახტანგ კოტეტიშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და პაველე ინგოროყვამ, არა მარტო თბილისის ქუჩებს დაამახსოვრეს თავი შავჩოხიანობით, არამედ ამის დასტურად ისტორიულად ქცეული სურათიც შემოგვინახეს. არც უკვდავ ლადო ასათიანს წამოსცდენია შემთხვევით: „შაეგვრემანებს შავი ჩოხა დაგემშვენდება“-ო. პოეტი, ალბათ, მგლოვიარეებს გულისხმობდა.

მწერალი და მკვლევარი რ. ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პავლე ინგოროყვა, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, 1924 წლის აჯანების შემდეგ, რამდენიმე ისეთ საქმეს ჩაუდგა სათავეში, რომელთაც აშკარად დიდმნიშვნელოვანი საზოგადო და ეროვნული დანიშნულება ჰქონდათ. ერთი ეს იყო ჟურნალ „ახალი კავკასიონის“ გამოცემა, რაც „გახლავთ იმის მრავალმეტყველი ნიმუში, რომ ხელისუფლებასთან დაახლოება მხოლოდ ფანდი იყო და სხვა არაფერი“ (ჩხეიძე 1994:166). ჟურნალის სარედაქციო წერილის აღთქმა, ხელისუფლებასთან თითქოსდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ და „ახალი კავკასიონის“ იდეურ-შემოქმედებითი მიმართულება არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს და ჟურნალის გამოცემა აკრძალეს. ახალი ნომრისათვის მოძიებული და გამზადებული მასალები პავლე ინგოროყვას ხელში შეატოვეს“. (იქვე: 170).

მაგრამ იგი ამ სარბიელის დათმობას არ შეურიგდა და ბეჭდვითი საქმის კოოპერაციული საზოგადოება „ქართული წიგნი“ დააარსა. ამ დიდი წამოწყების სათავეში მისი თხოვნით ნიკო ნიკოლაძე იდგა. რომელმაც დიდად აუმაღლა ავტორიტეტი საზოგადოებას. „ქართული წიგნის“ გამოცემათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის ათტომეული. მისი გამოქვეყნება პ. ინგოროყვას დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. მან, ალ. აბაშელთან ერთად, უდიდესი მუშაობა ჩაატარა ამ გამოცემის სრულყოფისათვის. მაგრამ საქმე მარტო საგამომცემლო-სარედაქტორო მუშაობის სირთულე როდი იყო, „არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს,—წერს ჯ. კორძაია,—რომ, ეს ის დროა, როცა საქართველოში ილიას სახელს ტაბუ აქვს დადებული. მას სკოლაში არ ასწავლიან და მის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ იდეებს ებრძვიან“ (იქვე: 319). პავლე ინგოროყვას მოქალაქეობრივი გმირობის აღიარებისას ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ილიას დაუძინებელი მტერი (და ვინ იცის, მკვლელიც!) ფილიპე მახარაძე ამ დროს ყოვლისშემძლე ხელისუფალია, მას საქართველოს ცაკის თავმჯდომარის თანამდებობა უჭირავს.

გამოცხადებული იყო, რომ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა მოქმედებდა. სინამდვილეში ეს გახლდათ ერთი პარტიის, კომუნისტების პარტიის დიქტატურა. იდეურ-პოლიტიკური მოწინააღმდეგეების 1924 წელს განადგურების შემდეგ ბოლშევიკებმა ურთიერთშორის დაიწყეს ანგარიშის გასწორება. რაც დრო გადიოდა ეს პროცესი მით უფრო ტრაგიკული და სისხლისმღვრელი ხდებოდა. წარმოქმნილი ვითარება უსაჩინოეს პროზაიკოსს ჭაბუა ამირეჯიბს ასე აქვს შეფასებული: „საქართველოში მყოფმა და რუსებთან თავშეფარებულმა ბოლშევიკებმა ურთიერთშეთანხმებით მოიყვანეს რუსის ჯარები, დაიპყრეს საქართველო და მერე ერთმანეთს დაერივნენ... სამბრძანებლო ვერ გაიყვეს“ (,,გორა მბორგალი“, 1995:242).

როგორც ითქვა, პირველი პარტიული შეტაკებისას განკითხვის მსხვერპლნი გახდნენ ნაციონალ-უკლონისტები, ანუ, როგორც მათ დამცირებით უწოდებდნენ, „ბუდუ მდივნის ჯგუფი“. იგი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საწინააღმდეგოდ გაჩნდა და საქ. კპ ცეკას უმრავლესობას შეადგენდა. ისინი 1922 წლის 22 ოქტომბრის ცეკას წევრობიდან გადადგომის შემდეგაც განაგრძობდნენ ბრძოლას. მოითხოვდნენ საქართველოს სსრ კავშირში უშუალოდ, ამიერკავკასიის გარეშე შესვლას, მისთვის სუვერენული უფლებების შენარჩუნებას. მათი არგუმენტაცია ისე ძლიერი იყო, რომ ლენინი ორჯერ გახდა იძულებული კომისია გამოეგზავნა საქართველოში შექმნილი ვითარების შესასწავლად. ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს მხარს უჭერდნენ–ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი. ტროცკი ამიერკავკასიიდან ს. ორჯონიკიძის გაწვევასაც კი მოითხოვდა. მაგრამ ბოლოს ძალდატანებამ გაიმარჯვა. უკლონისტები ჯერ გაკიცხვას და თანამდებობებრივ ჩამოქვეითებას დააჯერეს. ხოლო 1937 წელს პიატაკოვისა და სერებერიაკოვის საკავშირო ტროცკისტულ ცენტრთან კავშირისა და საქართველოში ასეთივე ცენტრის შექმნისათვის ბ. მდივანი, მ.ტოროშელიძე, ს. ქავთარაძე, კ. ცინცაძე, ს. ჩიხლაძე, მ. ოკუჯავა, ნ. კიკნაძე, გ. ყურულაშვილი, თ. ჟღენტი, მ. მათიკაშვილი და სხვები დააპატიმრეს. მათგან მხოლოდ ს. ქავთარაძე გადაურჩა სიკვდილს.

ცხადია, ნაციონალ-უკლონისტებს ისევე, როგორც 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებად ვერ ჩავთვლით, მაგრამ მაშინ ტერორსა და განუკითხაობას შეეწირა უდანაშაულო ადამიანთა აღურიცხავი რაოდენობა.[1] მათ შორის დიდი უმრავლესობა მოსამსახურეები და ინ-

[1] გ. ციცეშვილს მოტანილი აქვს ცნობები, რომ არასრული მონაცემებით 1921-1941 წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში დახვრიტეს 11917 კაცი. მათგან 1937-1938 წლებში 10 ათასზე მეტი. მისი თქმით, დაზუსტების შემდეგ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება (,,სარ“ 1995: 114).

ტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და განმანათლებელთა იდეებზე აღიზარდნენ და თვითონაც საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდნენ, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები. ნათქვამის ნათელსაყოფად მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ევგენი მიქელაძის, ვახტანგ კოტეტიშვილისა და სხვათა დასახელებაც იკმარებს. ასეთი დანაკლისი ასუსტებდა ეროვნულ შეგნებასა და კულტურას. ცოცხლად დარჩენილებს კი შიშის დამთრგუნველ გრძნობას უნერგავდა და აიძულებდა მორჩილ ქვეშევრდომობაში გაეტარებინა ცხოვრება. მაგრამ თავისუფლების სული უკვდავია. სულ მოკლე ხანში საქართველოში გაჩნდა ახალგაზრდა მოღვაწეთა სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებეთა ჯგუფი.

1990 წლის 2 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული აკაკი სურგულაძის წერილით ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა 1942 წელს ანტისაბჭოური ახალგაზრდული ჯგუფის არსებობა.

მომდევნო წელს წერილები გამოაქვეყნეს ამ ჯგუფის სასამართლო პროცესის მონაწილეებმა ლ. კვაჭაძემ და თ. თუშმალიშვილმა. ხოლო 1992 წელს გამოიცა როსტომ ჩხეიძის წერილების კრებული „დაწყევლილი თაობა (1942 წლის შეთქმულება)“, რომელიც ამ შეთქმულების შესახებ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ისეთ დოკუმენტებს ეყრდნობა, ახლა დაკარგულად რომ ითვლება. ჩემი მონათხრობის ეს ნაწილიც, რადგან სხვა არ არსებობს, ძირითადად, ამ წიგნის მასალებზეა დაფუძნებული.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდათა ჯგუფმა ორგანიზაციად ჩამოყალიბება ვერ მოასწრო. თუმცა საბჭოთა მართლმსაჯულებამ მისი მონაწილენი სწორედ ისეთი სამხედრო-მეამბოხური ორგანიზაციის შექმნისათვის გაასამართლა, „რომელიც შეიარაღებული აჯანყების გზით აპირებდა საბჭოთა წყობილების დამხობას და ფაშისტური გერმანიის პროტექტორატით კაპიტალისტური წყობილების აღდგენას“ (ჩხეიძე 1992:151).

სინამდვილეში არათუ ასე შორსმიმავალი გეგმების მქონე ორგანიზაცია მათ არ შეუქმნიათ, არამედ გასამართლებულთაგან ყველანი არც იცნობდნენ ერთმანეთს და პირველი შეხვედრა მხოლოდ სასამართლო პროცესზე ჰქონდათ.

რაც შეეხება შეთქმულთა მიზნებს, თ. თუშმარიშვილის თქმით,

დაპატიმრებამდე პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობის „საქმიანობა ლაპარაკს არ გასცილებია“ და მათ სურდათ, „თუ გერმანელთა ჯარები საქართველოს მოადგებოდა, ყველაფერი ელონათ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლისღვრა. საქართველოს მოეპოვებინა თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ (,,ლ ს“ 1991:16).

ამასვე ადასტურებს რ.ჩხეიძე სუკის დოკუმენტების ანალიზის შედეგად და უმატებს: „გარდამავალ პერიოდში საქართველო მათ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ ესახებოდათ“ (ჩხეიძე 1992:111), თუმცა ესმოდათ, რომ „დამპყრობელი დამპყრობელია და რუსი დაგიმონებს, გერმანელი თუ სხვა, არავითარი განსხვავება არა აქვს“ (იქვე:57) მაგრამ ნახსენები „გარდამავალი პერიოდი“ პროტექტორატის დროებითობას ნიშნავდა, რაც მათ გერმანელთაგან თავდახსნაში აიმედებდა, თორემ ფაშიზმი, ცხადია, არ ეჭაშნიკებოდათ. უფრო მეტიც, უფრთხოდნენ კიდეც და ხანდახან ინგლისელებისათვის თავშეფარებაზედაც მსჯელობდნენ.

შეთქმულების იდეა განჯაში დაიბადა ჯარში გაწვევის შემდეგ იქ მოხვედრილ კოტე ხიმშიაშვილსა და გიორგი იმერლიშვილს შორის. ერთს თბილისის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მეორეს კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ასპირანტურა––მოსკოვში. მათ ნაცნობთა ფართო წრე გააჩნდათ, რომლის ერთი ნაწილი, აგრეთვე, არმიაში იყო გაწვეული და ავჭალაში იდგა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კ. ხიმშიაშვილი გორში გაამწესეს, გ. იმერლიშვილი კი ფრონტზე გაუშვეს. წასვლამდე მან მოახერხა ავჭალაში მდგომ მომავალ შეთქმულებთან დაკავშირება, რისთვისაც იგი ფრონტის ხაზიდან მოხსნეს და დაპატიმრებული თბილისის საპყრობილეში ჩამოიყვანეს.

შეთქმულები ძირითადად ავჭალის სამხედრო ნაწილში მსახურობდნენ. ამიტომ მათ გამოძიებამ „ავჭალის ორგანიზაცია“ შეარქვა. მისი სტრუქტურული მონახაზი კოტე ჯოგლიძეს შეუდგენია. ჩანაფიქრით, ორგანიზაცია ღრმად არალეგალური უნდა ყოფილიყო, თითოეულ შეთქმულს ყველა მონაწილის სახელი და წევრთა რაოდენობაც კი არ უნდა სცოდნოდა (ჩხეიძე 1992:107). თვითონ კ. ჯოგლიძე ცენტრისა და ბიუროს ხელმძღვანელობას თაობდა. მდივანი შალვა შავიანიძე იქნებოდა, ხოლო წევრები გიორგი ძიგვაშვილი, მიხეილ იმერლიშვილი იყვნენ. ამ ბირთვის ირგვლივ შემოიკრიბა კიდევ რამდენიმე ჯარში მოსამსახურე და თბილისში დარჩენილი მათი ნაცნობი.

კოტე ხიმშიაშვილი, მართალია, ავჭალის სამხედრო ნაწილში არ მსახურობდა, მაგრამ ჯგუფის იდეურ ხელმძღვანელად რ. ჩხეიძე მაინც მას თვლის (იქვე:98). შეთქმულთა ქსელის გაფართოების შემთხვევაში, ფიქრობდნენ, პარტიად ჩამოყალიბებულიყვნენ. მის სახელწოდებაზე შეთანხმებული არ იყვნენ. კოტე ჯოგლიძე სთავაზობდათ: „ნაციონალურ პარტიას“, რომელიც ქართველი ერის აყვავებისათვის მებრძოლი იქნებოდა. შემდეგში თუშეთის ტყეებში გასულმა ჯგუფმა სახელად „სამანი“ დაირქვა, რაც გაშიფვრით ნიშნავს: „საქართველოსათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“, რომლის ვარიაცია „სამნო“ „ავჭალელთა ჯგუფის“ შესაძლო სახელწოდებიდან გამომდინარეობს“. (იქვე:109).

კოტე ხიმშიაშვილმა და გ. იმერლიშვილმა განჯაში, როცა პირველად დაიწყეს შეთქმულების მიზნის განსაზღვრა, ურთიერთს გაუზიარეს აზრი მომავალი საზოგადოების საფუძვლების შესახებ. მათ სურდათ კოლმეურნეობის დაშლა და კერძო საკუთრების აღდგენა, რაც მომავალი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკური საფუძველი უნდა გამხდარიყო. კ. ხიმშიაშვილის მსჯელობით, საქართველოს სახელმწიფო უნდა აღდგენილიყო ისტორიულ საზღვრებში. მას მიაჩნდა, რომ აფხაზებს და ოსებს შეიძლებოდა მისცემოდათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, ხოლო აჭარის ავტონომია, როგორც ენითა და ზნე-ჩვეულებებით ქართული, უნდა გაუქმებულიყო (იქვე:104).

ეს შორეულ გეგმებს წარმოადგენდა, თორემ როგორც ითქვა, შეთქმულთა ძირითადი საზრუნავი იყო გერმანელების შემოსვლის შემთხვევაში მათთან მოლაპარაკების გამართვა, რათა ქართველ ხალხს, რაც შეიძლება, ნაკლები მსხვერპლი გაეღო და დესტაბილიზაციისათვის თავი აერიდებინა. ასეთი საფრთხე რეალურად ესახებოდათ, რადგან კარგად „უწყოდნენ, რომ ბოლშევიკები კბილებით ჩაებღაუჭებოდნენ ყველაფერს, არაფერს არ დაერიდებოდნენ და დიდ სისხლისღვრას გამოიწვევდნენ“ (იქვე:109).

შეთქმულებს არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, თორემ მართლაც არსებობდა უმაღლესი ხელისუფლების საიდუმლო ბრძანება, რომელიც კავკასიონის ქედის გერმანელების მიერ გადმოლახვის შემთხვევაში, პარტიის რაიკომებისაგან მოითხოვდა დაეხოცათ მათი აზრით არასაიმედო პიროვნებანი, გადაეწვათ ქალაქები და სოფლები, გაემართათ პარტიზანული ბრძოლები. ადგილებზე უკვე არსებობდა დავალებანი, ვის ვინ უნდა მოეკლა და ვის რა უნდა დაეწვა. „რაკიღა

გერმანელებმა ვერ შემოაღწიეს, ასე გადავრჩით გაჟუჟების კიდევ ერთ ტალღას და გადაბუგვებს“ (იქვე).

შეთქმულთა საქმიანობის გაცნობისას იბადება ბუნებრივი კითხვა: რა საფუძველი ჰქონდათ მათ გერმანელებთან მოლაპარაკებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რ. ჩხეიძის დამსახურებაა. მან დაადგინა, რომ „თურმე არსებობდა საიდუმლო დაშიფრული ბარათი, შედგენილი გერმანულ ენაზე“ (იქვე:59). იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გადაუცია თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სოლომონ თევზაძისათვის.

გერმანელები ომის წინ ზვერავდნენ და კავშირებს ეძიებდნენ მეზობელ სახელმწიფოებში, ცდილობდნენ იქ ჰყოლოდათ თავიანთი მომხრეები. ამისათვის ისინი იყენებდნენ ყველა შესაძლებელ მოხერხებულ შემთხვევას. 30-იან წლებში უნივერსიტეტში გერმანულ ენას ასწავლიდა იოჰან ბეკმანი. მას სამშობლოდან მოაწოდეს დაშიფრული ბარათი, რომელიც უნდა გადაეცა ანტისაბჭოურად განწყობილი და, თანაც, საიდუმლოს შემნახველი პირისათვის, ვინც გერმანელთა საქართველოში შემოსვლის შემდეგ ამ ბარათს გადასცემდა მათს სამხედრო კომენდანტს, თვითონ განსაკუთრებულ უფლებებს მიიღებდა, გერმანელთა ჯარების მოქმედებას ხელს შეუწყობდა და სამშობლოს განადგურებას გადაარჩენდა.

ი. ბეკმანმა ასეთ პიროვნებად შეარჩია სოლომონ თევზაძე, ვისაც იგი გერმანულ ენას ასწავლიდა. ბარათი შედგენილი იყო, ორი, თბილისში ადრე დიპლომატად ნამყოფი, პიროვნების სახელზე. შიფრით იგულისხმებოდნენ ფრანც ფონ პაპენი და ალფრედ როზენბერგი, რომელთაც სწერდნენ: „ამის წარმომდგენი არის დიდი მეხსიერებით დაჯილდოებული პიროვნება. გამოსაყენებელია ყველაფერში. ენდეთ“.

ბარათის არსებობა ბეკმანის გარდა იცოდა მხოლოდ პოეტმა ა. საჯაიამ. იგი ჭლექით დაავადების გამო ჯარში არ გაუწვევიათ, მაგრამ კავშირი ჰქონდა შეთქმულებთან. კერძოდ, მან ბარათის არსებობა ამცნო კოტე ხიმშიაშვილს, ამ უკანასკნელისაგან კი კიდევ რამდენიმე შეთქმულმა შეიტყო. მათ იმედი გაუჩნდათ ამ წერილის საშუალებით გერმანელებთან დაკავშირებისა და მომავალი ქართული მთავრობის შემადგენლობაზე ფიქრიც კი დაიწყეს.

შეთქმულთა საქმის გამოძიების დროს ეს საიდუმლო ბარათი ნახსენები არ ყოფილა. ამიტომ სოლ. თევზაძე და ალ. საჯაია დაპატიმრებას გადაურჩნენ (ჩხეიძე 1995:76).

სოლ. თევზაძე სოფლის მასწავლებლობას შეუდგა და „სამანის“ ორგანიზაციის წევრებს დაუკავშირდა. როცა ეს ორგანიზაცია ჩავარდა, კვლავ თბილისში დაბრუნდა. იგი თბილისის უნივერსიტეტის II კორპუსის სარდაფში საიდუმლო სტამბის მოწყობას შეუდგა, მაგრამ 1943 წლის ზაფხულში დააპატიმრეს[1] და 1944 წლის 31 მარტს დახვრეტა მიუსაჯეს. მაშინ სიკვდილით დასჯა შეჩერებული იყო და 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს. ვორკუტის ბანაკებში სასჯელის მოხდის შემდეგ შინ დაბრუნება აუკრძალეს. ი. სტალინის გარდაცვალებას რეპრესიების შესუსტება მოჰყვა და 1956 წელს საქართველოში დაბრუნდა. რ. ჩხეიძეს გამოქვეყნებული აქვს მასთან ორი ინტერვიუს ტექსტი.

შეთქმულებს ორგანიზაციის ჩამოყალიბება კი არა, მოქმედების მიზნები სრულყოფილად შემუშავებული არც ჰქონდათ, როცა გერმანელთა წარუმატებლობა დაიწყო. ისინიც გერმანელთა ხელახლა გააქტიურებას, ანდა სხვა ხელსაყრელ მოვლენებს უნდა დალოდებოდნენ. მაგრამ აღარ დასცალდათ. მათი ჯგუფის არსებობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გამცემისაგან იცოდნენ და შეთქმულთა თანდათანობით დაპატიმრებას შეუდგნენ. სამწუხაროდ, პირველი დამსმენის ვინაობა ცნობილი არ არის. ხოლო შემდეგ სუკის დავალებით გამცემთა მთელი ქსელი მოქმედებდა. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითო შეთქმულზე თითო ან ორი გამცემი მოდიოდა“ (ჩხეიძე 1992: 98). ამ სტრიქონების ავტორს ისიც აქვს ნავარაუდევი, რომ რადგან ყველა შეთქმულზე საკმარისი სამხილი არ ჰქონდათ, მათ აცალეს, პროვოცირება მოუწყვეს და შემდგომ დააპატიმრეს (იქვე).

1941 წლის 20 დეკემბერს პირველი დააპატიმრეს დიმიტრი ბერდიაშვილი. უკანასკნელი დაპატიმრება კი 1942 წლის 20 მარტს შედგა. სულ საპყრობილეში 30 შეთქმული აღმოჩნდა. მათი დაკითხვა საბჭოთა გამოძიებისათვის დამახასიათებელი სისასტიკით ჩატარდა. ამ გზით, პროვოცირებით თუ სხვა მეთოდებით სასურველ ჩვენებებს მიაღწიეს და 1942 წლის 9-დან 20 სექტემბრამდე სასამართლო პროცესი გაიმართა. ტრიბუნალის სხდომებს თავმჯდომარეობდა კრასნოდარიდან მოვლინებული ვინმე ფომინი. დამცველი არავის ჰყოლია (,,ლს“ 1991:15).

პატიმართაგან 17-ს დახვრეტა მიუსაჯეს, 13-ს სხვადასხვა დროით პატიმრობა, ხოლო სამი წაყენებულ ბრალდებაში უდანაშაულობის

[1] გერმანელთა ბარათიც მაშინ ჩაიგდეს ხელთ და სუკის ჯურღმულებში დაიკარგა.

გამო გაათავისუფლეს. „განაჩენი 20 სექტემბერს გამოგვიცხადეს ღამით,—წერს ლ. კვაჭაძე,—დაახლოებით 10 საათზე, შინსახკომის მიწისქვეშა ოთახსა თუ დარბაზში“ (იქვე). იგი არ გამოქვეყნებულა. მსჯავრდებულებს, როგორც ვთქვით, ბრალს სდებდნენ სამხედრო-ეამბოხური ორგანიზაციის შექმნაში, რომლის მეშვეობითაც თითქოს აპირებდნენ საბჭოთა წყობილების დამხობას და ფაშისტური გერმანიის პროტექტორატით კაპიტალისტური წყობილების აღდგენას (ჩხეიძე 1992:151).

სიკვდილით დაისაჯნენ: დიმიტრი ბურდიაშვილი, მიხეილ იმერლიშვილი, ლევან თორაძე, შალვა შავიანიძე, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ჯოგლიძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი იმერლიშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, რომან ბატიაშვილი, გიორგი ახობაძე, მიხეილ კაციტაძე, ზურაბ მისაბიშვილი, გივი თარგამაძე, მიხეილ საბაშვილი; 10 წლით გადასახლება მიესაჯათ: ივანე ლაპიაშვილს, აბო ფარეშიშვილს; 7 წლით—გრიგოლ კოკილაშვილს, გიორგი არსენიძეს, კიტა ბუაჩიძეს, გიორგი ციბალაშვილს, ისაკ იმერლიშვილს, ავქსენტი უთურგაიძეს, ვახტანგ შიხაშვილს, იოსებ იმერლიშვილს, გიორგი კალანდაძეს, სიმონ გერგიშვილს; 5 წელი—თინათინ გონიაშვილს. დაპატიმრებას ასცდნენ: თინათინ თუშმალიშვილი, მიხეილ არეშიძე და ლეო კვაჭაძე. ისინი ციხეში კიდევ 3 თვეს ამყოფეს და შემდეგ გაათავისუფლეს (,,ლ“ 1991:15).

გადასახლებიდან მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ: თ. გონიაშვილი, კ. ბუაჩიძე, გ. კალანდაძე, ა.უთურგაიძე, ვ. შიხაშვილი, გრ. კოკილაშვილი. ისაკ იმერლიშვილი გადასახლებამდე გარდაიცვალა ციხეში, დანარჩენებმა ციმბირსა და უზბეკეთში ჰპოვეს სამარე.

დაბრუნებულთა რეაბილიტაცია გაჭიანურდა და სხვადასხვა დროს მოხდა—1956, 1978 და 1988 წლებში (იქვე).

1942 წლის შეთქმულების შეფასებისათვის უნდა ითქვას, რომ მისმა მონაწილეებმა მოქალაქეობრივი გმირობა გამოიჩინეს, როცა 1937 წლის რეპრესიებით დათრგუნვილ ქვეყანაში პროტესტი გაბედეს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს გაბედულება მით უფრო დასაფასებელია, რომ მათთვის უცნობი არ იყო, რომ იგი სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდათ. მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა ყველაფერი დააძლევინათ. ამის გათვალისწინებით მათი ღვაწლის მნიშვნელობა იზრდება და ამ შეთქმულებას ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებულ რგოლად აქცევს.

დასასრულს, 1942 წლის შეთქმულებაზე საუბრისას საჭიროდ მიმაჩ-

ნია ერთი ქრონოლოგიური დაზუსტება. რ. ჩხეიძე შეთქმულების ჩასახვისათვის „მარჯვე პირობების მაცნეთ გერმანელთა მოახლოებას“ მიიჩნევს და შენიშნავს: „გერმანელთა ჯარები ელვისისწრაფით მოსდგომოდა კავკასიონს, მოსალოდნელი იყო კიდეც გადმოელახათ“-ო (ჩხეიძე 1992:56). მაგრამ ეს გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე შეთქმულება ჩაისახებოდა (1941 წლის ივლისი) და გაიშლებოდა (იმავე წლის გვიანი შემოდგომა). 1941 წლის დასასრულს ფრონტის ხაზი ქ. როსტოვის იქეთ 40–50 კმ-ზე გადადიოდა. გერმანელები კავკასიონს მოადგნენ 1942 წლის ზაფხულში, როცა შეთქმულნი კარგა ხნის დაპატიმრებულნი იყვნენ.

1942 წლის შეთქმულებასთან იდეურად გადაჯაჭვულ, ქრონოლოგიურად უშუალოდ მომდევნო ანტისაბჭოთა ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენდა სამანი („საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“). თელავის სუკის არქივში დაცული ე. წ. „საბრალდებო დასკვნის“ მიხედვით, მისი ჩამოყალიბების მოთავე ყოფილა თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანში მცხოვრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გიორგი ქადაგიძე[1]. მას მიუმხრია თანასოფლელები და ამხანაგები. ორგანიზაციის დარბევისა და გ. ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ სამანურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ადამ ბობღიაშვილი (მწერალი ადამ ალვანელი). იგი ჰუმანისტური და პაციფისტური მრწამსის პიროვნება გახლდათ[2] და როცა ჯარში გაწვევა, მისი აზრით, სხვისი ქვეყნის ინტერესებისათვის ძალმომარეობით კაცისკვლაში ჩათრევა მოუნდომეს, ხელში თოფი აიღო და მშობლიური კუთხეს, თუშეთს, შეაფარა თავი.

სამანის აღორძინების მეორე მოთავე—მიხეილ (ფანცალა) იმედაძე, პროფესიით მეტყევე აგრონომი, ა. ბობღიაშვილის მეზობლად ცხოვრობდა თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში.

სამანური ორგანიზაციის პირველ სამეულში შედიოდა, აგრეთვე, ალვანელი ალექსანდრე ჭელიძე, მაგრამ იგი ადრე დააპატიმრეს.

თბილისიდან გაქცეული ადამ ბობღიაშვილი 1942 წლის თებერვლიდან 29 ოქტომბრამდე თავის გარე ბიძაშვილ ევა ჭყოპიაშვილ-ოჟილა-

---

[1] გ. ქადაგიძეს დარჩენია დღესდღეობით დაკარგული სადისერტაციო ნაშრომი ვაჟა-ფშაველაზე, აგრეთვე--ლიტერატურული ნარკვევი აკაკის „ბაში-აჩუკზე“. წერდა ლექსებსაც (ჩხეიძე 1992:77). იგი 1942 წლის შეთქმულების მონაწილეებთან ერთად დახვრიტეს.

[2] აჭვ უნდა ითქვას: მართალია, თავად შეადგ იარაღით იყო, შეიარაღებული ჭაუფი შექმნა და თავსაც მედგრად იცავდა, მაგრამ „ადამს კაცის ცოდვა არ დასდებია: მდევრებს ასე გაუსხლტებოდა ან დაფანტავდა რომ არავინ მოეკლათ“ (ჩხეიძე 1992:22).

ურის ოჯახში იმალებოდა და ტყეში ოქტომბრის მიწურულს გავიდა, როცა შეთქმულთა დაპატიმრებები დაიწყეს და მასაც შეიძლება მიწვდომოდნენ.

რ. ჩხეიძის თქმით, სამანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ: „თუ კავკასიონის კალთებს მომდგარი გერმანელები შემოიჭრებოდნენ, დახვედროდნენ არა როგორც იმპერიის განაპირა მხარის, რუსეთის პროვინციის მკვიდრნი, არამედ როგორც სრულუფლებიანი სახელმწიფოს წარმომადგენელნი და მოლაპარაკება გაემართათ—იქნებ ქვეყანა როგორმე ეხსნათ ახალი რბევისაგან, თუ არა და, პირველნი თვითონ დაცემულიყვნენ მის მიწაზე“ (ჩხეიძე 1992.:21), ხოლო „წარმატების შემთხვევაში მოეშალათ ის (სოციალისტური—გ.მ.) ეკონომიკური სისტემა და აღედგინათ ცხოვრების განვითარების ბუნებრივი გზა, საბჭოური პროპაგანდის მიერ დაგმობილი ბურჟუაზიული წეს-წყობილება“ (ჩხეიძე 1995:12).

ამ მიზნით გადაწყვიტეს მძლავრი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნა და შესაფერი მუშაობა გაშალეს თელავისა და ახმეტის რაიონებში. ა. ბობღიაშვილსა და მიხეილ იმედაძეს შეუერთდა მათი სოფლელი ელიზბარ აბაშიძე. მას დაავალეს ალ. ჭელიძის ნახვა თბილისში, მაგრამ ეს არ მოხერხდა მისი თბილისიდან გაქცევისა და დაპატიმრების გამო.

აგვისტოს მიწურულს ა. ბობღიაშვილი შეეცადა თუშეთს თავშეფარებული 5 დეზერტირის გადმობირებას. მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი—ირაკლი გარსევანიშვილი მიიმხრო.

დეზერტირთა გადმობირების მიზნით სოფ. ალვანის მახლობლად გამართულ არალეგალურ შეკრებაზე სამანელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელებად აირჩიეს: ა. ბობღიაშვილი, მიხ. იმედაძე, გიგო ქაადე და ელ. აბაშიძე.

სამანელთა მთავარი ბირთვი ტყეებსა და გამოქვაბულებს იყო თავშეფარებული. მთელი ორგანიზაცია კი ჯგუფებად იყოფოდა . უმრავლესობას იარაღიც ჰქონდა. ამდენად, მათთან ბრძოლა ხელისუფლებას გაუჭირდა და გაუხანგრძლივდა. უნდა ითქვას, რომ არც ჩქარობდნენ, ლოდინის ტაქტიკას ადგნენ, სურდათ წინააღმდეგობის მოძრაობის ქსელი მთელ თუშეთს მოსდებოდა, რითაც შემდგომ რაც შეიძლება დაემძიმებინათ შეთქმულთა დანაშაული, თანაც, ჩეკას თუშეთში თავისი ხალხი ჰყავდა შეგზავნილი, რომელთაც პროტესტანტთა სახელის გასატეხად და მათთვის საყრდენის გამოსაცლელად ხალხში საუბრები უნდა ჩაეტარებინათ. ასეთი გამცემლური მუშაობის გამწევნი თვით

თუშებში შეირჩეოდნენ. რ. ჩხეიძე ასახელებს ყველაზე ცნობილ ანტისამანელებს—გაბრიელ კურდღელაურს, კოლა იჭირაულს (იქვე:17). სხვებიც არაერთი ყოფილან. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა თვით სამანელთა გადმოსაბირებლადაც.

სამანელები კი ერიდებოდნენ თავისიანების სიცოცხლეს. ასეთი რამ მომხდარა: ხუფრის მთას შეფარებულმა სამანელებმა შეიტყვეს მათ წინააღმდეგ საგანგებო რაზმის გამოგზავნის შესახებ. ამ უკანასკნელთა შეჩერება ელ. აბაშიძეს დაავალეს. ისიც თავისი ბიჭებით ჩაუსაფრდა მომხდურებს. მაგრამ შეიტყო, რომ საგანგებო რაზმი თუშთაგან იყო შედგენილი და უბრძოლველად შებრუნდა ტყეში.

თავის მხრივ, არც სამანელები იჯდნენ გულხელდაკრეფილნი. ისინი—წერს რ. ჩხეიძე—„კვლავ მტკიცედ განაგრძობდნენ თავიანთი ეროვნული მრწამსის ქადაგებას და კომუნისტური რეჟიმის აღსასრულის მოახლოებას და ხალხს პირდებიან მიწისა და პირადი ქონების თავისუფლებას“ (იქვე:21).

ახალი, 1943 წლის, ახლო ხანებში ზემო ალვანში რამდენიმე სამანელი შეიპყრეს. ხოლო თუშეთში თავშეფარებული მათი თავკაცების წინააღმდეგ კი საგანგებო ჯგუფი გაამზადეს ალიოშა კვაშალის მეთაურობით, ვინაც შემდეგ სამანელთა წინააღმდეგ მთავარი შემტევი გახდება.

თანდათან პირიქეთის გადასასვლელში მთავრობის ჯარების დიდი ნაწილები დაბანაკდნენ. „ერთ მომენტში მთავრობის ჯარი დაღესტნის მთიდანაც შემოვიდა და ფართო შეტევისათვის ემზადებოდა გომეწრის ხეობისაკენ, სადაც დაბანაკებული იყვნენ ა. ბობღიაშვილის მებრძოლები“.—წერს კოტე ჭრელაშვილი (,,ლს“ 1991:25). ომალოში ერთხანს საგანგებო დავალებით მიელინებული შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე შალვა წერეთელიც იდგა.

დამსმენთა ქსელიც თავის საქმეს აკეთებდა. დაიწყო სამანელთა დაპატიმრება ომალოსა და დართლოში. დაპატიმრებულთა განთავისუფლების მიზნით სამანელები პირიქეთისა და გომეწრის ხეობების გამყოფ უღელტეხილზე ჩასაფრდნენ. რუსის ჯარმა ეს შეამჩნია და ცეცხლი გაუხსნა. ჩასაფრებულებმა მოიგერიეს თავდასხმა და სამი ჯარისკაციც მოჰკლეს, რამდენიმე შაშხანაც იგდეს ხელთ (ჩხეიძე 1996:25).

მაგრამ სამანელთა ირგვლივ წრე თანდათან ვიწროვდება. ზედიზედ აპატიმრებენ მათი ორგანიზაციის რამდენიმე წევრს. გერმანელთა კავკასიიდან განდევნის შემდეგ ანტისამანელთა პროპაგანდა უფრო და უფრო წარმატებული ხდება.

გაზაფხულის მიახლოებისას, როცა მთავრობის ძალებს მოქმედება გაუადვილდებოდათ და ხალხის მხრით მსხვერპლი გაცილებით გაიზრდებოდა, სამანელებმა აშკარა ბრძოლაზე ხელი აიღეს. ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადეს. რ. ჩხეიძე ვარაუდობს, რომ ისინი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მსგავსად, საქართველოდან წასვლასაც კი გეგმავდნენ (იქვე:27).

ხალხთან ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა იყო ჭანჭახოვანის ხეობის მცხოვრებთა შეკრება ნაციხარში. იქ სიტყვები წარმოთქვეს გიგო ქააძემ და ადამ ბობღიაშვილმა. მათ ხალხი დააიმედეს—გერმანელები რუსებს დაამარცხებენ და ზაფხულისათვის ჩვენამდე მოაღწევენო. თანაც მიწისა და საქონლის კერძო მესაკუთრეობის აღდგენა აღუთქვეს. შეკრებილთათვის ფიცის ტექსტიც გაუგზავნიათ. ზოგიერთი წინასწარმიგზავნილის გარდა, ყველას მოუწერია ხელი. მთავრობის ჯარების შესაჩერებლად მოითხოვეს გომეწრისა და ჭანჭახოვანის ხეობების შეკავშირება. შესასვლელების უკეთ დაცვის მიზნით ხახაბუში საყარაულო უნდა დაეწესებინათ, მომხდურთა გამოჩენა ხალხისათვის ეცნობებინათ, მაშველი ძალა მოეხმოთ.

სამანელთა რიგებში შეპარული შოთა ბაკურიძე და გარსევან კურდღელაიძე ახერხებენ ჯერ რამდენიმე სამანელის (პლატო უშიძე, მათე წვერაიძე...) გადმობირებას, ხოლო შემდეგ ჩამოივლიან სოფლებს: „ჩილაგურთას, ჟველურთას, შემრულთას და ხისოს და ყველას დაიყოლიებენ, თავიანთ ჭკუაზე გადმოიყვანენ“ (იქვე:31). ამ თავის წარმატებებს ომალოში მყოფ კვაშალს ამცნობენ. ისიც არ დააყოვნებს და შაშხანებით, ტყვიამფრქვევებითა და ნაღმტყორცნებით შეიარაღებულ 50 კაცს ხახაბუს მიუსევს. სოფელს ორიოდე კაცი იცავდა, მაგრამ მათ შეძლეს ჯარისკაცების შეჩერება და კვაშალი იძულებული გახდა უკან ხელმოცარული გაბრუნებულიყო.

ამ ეპიზოდის შემდეგ გამცემებმა და გადაბირებულებმა სამანის თავკაცებს ხაფანგის დაგება დაუპირეს. ხახაბუში მიტინგი იყო დანიშნული. იქ მოსული სამანელები და გომეწრელები თვით მომიტინგეებს უნდა დაეპატიმრებინათ და ომალოში კვაშალისათვის ჩაებარებინათ. თუ ხალხის ნაწილი შეყოყმანდებოდა, მაშინ საქმეში იქვე ჩასაფრებული ჯარის ნაწილი ჩაერეოდა, ხოლო თუ გაუმართლებდათ, სამანელთა ლიკვიდაცია ხალხის სახელით მოხდებოდა. ეს კი მთავრობას ძლიერ აწყობდა.

მაგრამ ვიდრე ხალხის შეკრება მოთავდებოდა, სამანელთა ერთი

თანამგრძნობის, თუში ლევან თათარაიძის, რძალმა შეატყობინა ადამ ბობღიაშვილსა და მის თანმხლებლებს, რაც მოელოდათ. მათაც გაქცევით უშველეს თავს. ამჯერადაც ხაფანგი არ გამოვიდა. მისი დამგებნი სააშკარაოზე აღმოჩნდნენ და შურისგების შიშით განზე გადგნენ. კვაშალმა კი ოცდაათიოდე შეიარაღებული თუშის თეატრალიზებული შემორიგება მოაწყო და ამით სამანელთა გომეწარში ყოფნას ნიადაგი გამოაცალა. ადამმა და მისმა თანამზრახველებმა კახეთში გადასვლა და იქედან საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეს (იქვე:36).

სამანელთა თავკაცებს კვალში გადაბირებული თუშები (მათ შორის ზემოთ დასახელებული მათე წვერაიძეც) ჩაუყენეს. ისინი შეთქმულებს შეღამებისას თორღვას აბანოებთან წამოეწივნენ. კ. ჭრელაშვილი მოგვითხრობს: „უღელტეხილი გადალახეს, პირი კახეთისაკენ ქნეს, დაიქანცნენ, ბინდიც დაეცა, ღამის გასათევად გამოქვაბულს მიაშურეს (,,ლს“ 1991:25).

მდევრებმა შესანიშნავად იცოდნენ ადგილმდებარეობა. დილით მათე წვერაიძემ თავისიანებს უთხრა—თქვენ სროლა არ შეწყვიტოთ, მე კი მაღლა ავალ და იქედან გავუხსნი ცეცხლსო. მართლაც, მან მოხერხებული ადგილიდან ამოწყვიტა ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედაძე და დევნოზ თავბერიძე. დანარჩენებმა კლდეებს შეაფარეს თავი. ესენი იყვნენ: გიგო ქააძე, არჩილ კიტოშვილი, ძმები პეტრო და ბიჭიკო ბუჟაიძეები (,,ლს“21.6.1991) ეს მოხდა 1943 წლის 18 მარტს.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მკვდარ სამანელებზეც კი იძიეს შური. ადამ ბობღიაშვილს და მიხ. იმედაძეს თავები მოჰკვეთეს, ხოლო გვამები გადაყარეს.

კვაშალმა თუში მოსახლეობა ომალოში შეკრიბა. ჯერ მოხსენება წაიკითხა. ფრონტზე საბჭოთა ჯარების წარმატება ამცნო. შემდეგ კი გამოაცხადა, რომ ჭანჭახოვანის ხეობის მცხოვრებნი სამანელებთან მიმართებაში კარგად მოიქცნენ, ამიტომ თავისუფალნი არიანო, ხოლო გომეწრელებმა გვიღალატეს და ისინი უნდა დაისაჯონო. ორმოცამდე თუში დააპატიმრეს კიდეც. შეკრებილ თუშებს წინ ა. ბობღიაშვილისა და მიხ. იმედაძის მოკვეთილი თავები დაუწყვეს. მერე ეს თავები ყოფილ სამანელს სამსო ინაურიძეს ღრმა ხევში დააგორებინეს (ჩხეიძე 1996:40).

სამანელთა საქმის „საბრალდებო დასკვნაში“ 33 დამნაშავეა დასახელებული. მათგან 1943 წლის ოქტომბერში დაუხვრეტიათ: გიგო

ქააძე, არჩილ კიტოშვილი, ელიზბარ აბაშიძე, გოგალე მინდაძე, ილია ცისკარიშვილი[1], გიორგი ვეშაგურიძე.

საპატიმროში გარდაიცვალნენ: ივანე არინდაული, ირაკლი გარსევანიძე და როსტომ ბეგოიძე. საერთოდ კი რ. ჩხეიძე 22 მსჯავრდებულს ასახელებს. ესენია: ელიზბარ აბაშიძე, აბაშო აბაშიძე, კიმოთე ლაგაზიძე, ამირან ქადაგიძე, ევა ოჟილაური, ივლიანე თუგიშვილი-ცისკარიშვილი, ვახტანგ ცისკარიშვილი, სამსონ სულაკაური, ფირუზ ბექაურაძე, არჩილ მამუკიშვილი, კიმოთე ლუხუმანიძე, ილია ჭარელიშვილი, ვახტანგ ფილიშვილი, გაბრიელ ლაგაზიძე, ივანე იმედაძე, იოსებ ბელუმიშვილი, ივანე არინდაული, ირაკლი გარსევანიძე, დიმიტრი ბაკურიძე, გოგალე მინდაძე, ბესარიონ ყვითელაშვილი და როსტომ ბეგოიძე (იქვე:40).

ორგანიზაცია სამანის მოღვაწეობა უთუოდ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ჰეროიკულ-რომანტიკული აქტია ქართულ ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

გარდა ზემოთ აღწერილი ომისდროინდელი ორი ძლიერ მნიშვნელოვანი ანტისაბჭოთა ეროვნული შეთქმულებისა, მათ პარალელურად და მომდევნო ხანებშიაც მოქმედებდნენ შედარებით მცირემასშტაბიანი ჯგუფები, რომლებიც თავიანთი განზრახვით ასევე პატრიოტული მიმართულებისანი იყვნენ და საქართველოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე სამშობლოს ერთგულ შვილებს აერთიანებდნენ.

როგორც ჩანს[2], 1942 წლის შეთქმულებას ქრონოლოგიურად წინ უძღოდა ანტისაბჭოური და ეროვნული იდეების მქონე კიდევ ერთი ფარული ორგანიზაციის ჩამოყალიბების ცდა. მისი სამი წევრი: შოთა გოგიშვილი, გიორგი დუმბაძე და ნოდარ იაშვილი ადრევე დაუპატიმრებიათ. როცა მათ მოთხოვეს, ჩამოეთვალათ დანარჩენი თანამონაწილენი, დაასახელეს გივი აბრამიშვილი, რადგან იცოდნენ, რომ მისგან გამომძიებლები ორგანიზაციის სხვა წევრების დასახელებას ვერ ელირსებოდნენ. მართლაც ასე მოხდა და დაპატიმრება-სასჯელს

[1] ილია ცისკარიშვილს ქუთაისის პედაგოგიური ინტიტუტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ასევე, ამაჟე უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო ლეიტენანტი ალექსი ცისკარიშვილი. მას დავალებული ჰქონდა სამანელთა დევნა. მაგრამ ამის ნაცვლად, ილიას თხოვნით, საშინელო ნაწილი მიუტოვებია, გაუტაცნია რამდენიმე ავტომატი და სამანელებს შეურთებია (,,ლს" 1991:25).

[2] რ. ჩხეიძის მიერ ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, გივი აბრამიშვილისადმი, მიძღვნილი წერილიდან (ჩხეიძე 1995:120-129) მხოლოდ ზოგიერთი მინიშნებით შეიძლება გავიგოთ, როდის საქმიანობდა ეს ჯგუფი. ავტორი პირდაპირ თარიღს არ ასახელებს.

გადაურჩნენ: მარიკა ლორთქიფანიძე, ნუგეშა მაყაშვილი (პოეტ კოტე მაყაშვილის მეორე ქალიშვილი. ერთი—მარო 1921 წლის თებერვალში, ბოლშევიკების შემოსევისას დაიღუპა), ვლადიმერ გაბაშვილი, ფარნაოზ იმედაშვილი, აკაკი ვასაძე, ვახტანგ მოდებაძე, გაგი მოსეშვილი, გიორგი ცაბაძე, ოთარ ჯაფარიძე (იქვე: 121).

დამოწმებულ ავტორს წამოწყების არსი ასე აქვს განსაზღვრული: „რუსეთის სამხედრო ძლიერებას ჯერ არაფერი ემუქრებოდა და ამიტომ ერთადერთი გზა და მიზანი წინააღმდეგობის სულის ეროვნული მრწამსის შენარჩუნება იყო“ (იქვე: 122). მათ ორგანიზაციის სახელწოდებაც კი არ ჰქონდათ მოფიქრებული. გამომძიებლებმა კი შეარქვეს—„საქართველოს ახალგაზრდების სულისჩამდგმელები საბჭოთა წყობის წინააღმდეგ“.

ჯგუფის ოთხი წევრის დაპატიმრების შემდეგ, დარწმუნდნენ რა ჩავარდნის შესაძლებლობაში და თავგანწირვის უაზრობაში, გარეთ დარჩენილებმა ორგანიზაცია თანდათან დაშალეს.

დაპატიმრებულები დახვრეტისაგან გერმანელთა უკანდახევამ იხსნა. მათგან გივი აბრამიშვილი 10 წლით გაასახლეს ვორკუტაში. სასჯელის მოხდის შემდეგ, 1949 წელს, ყაზახეთში დასახლების უფლება მისცეს. იქ დაოჯახდა. გვიან სამშობლოშიც დაბრუნდა (იქვე: 127-129).

პოლიტიკური ჯგუფის „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტის“ შექმნის ბრალდება წაუყენეს ცნობილ ქართველ მწერალს ლევან გოთუას. იგი ადრე 1924-1936 წწ. იმყოფებოდა პატიმრობაში, ჯერ აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის შეთითხნილი ბრალდებით, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ გაქცევის ცდისათვის.

1946 წლის 1 აგვისტოს ლ. გოთუა კვლავ დააპატიმრეს. თავიდან წარუდგინეს ბრალდება, რომ შინსახკომის ხელთ არსებული სიის მიხედვით იგი გერმანელების გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტად იყო გათვალისწინებული[1]. ეს დიდი სასჯელისათვის არ კმაროდა. მოსკოვის „განსაკუთრებულმა თათბირმა“ პროპაგანდისა და აგიტაციის გაწევის გზით სსრ კავშირის დამხობის ცდისა და სამშობლოს ღალატის მუხლით დახვრეტა მიუსაჯა, რაც შეეცვალა 10 წლის პატიმრობით. გადაასახლეს ვორკუტაში, საიდანაც საშინელი ტანჯვა-წვალების გამოვლის შემდეგ 1955 წელს დაბრუნდა.

ლ. გოთუას საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს პირები, რო-

[1] თ. გოთუა და ალ. გოთუა, თავგადასავალი ლევან გოთუასი, თბ., 1995, გვ. 267.

მელთაც მასთან კონტაქტი ჰქონდათ. მათ შორის: კოტე ჯავრიშვილი, გრიგოლ გიორგობიანი, ილია სარჯველაძე, ბონდო ემუხვარი, მაყვალა რამიშვილი, გიორგი ლომთათიძე, ვალოდია ვაშაკიძე, ბესო ვაშაკიძე, ვახტანგ ბეწუკელი, ნინო ყარანგოზიშვილი, გრიგოლ ლალიაშვილი, იოსებ ხუციშვილი, სპირიდონ ჭყონია... (იქვე: 259). მიუხედავად ხანგრძლივი წამებისა, მათმა უმრავლესობამ, ისევე როგორც თვით ლ. გოთუამ, ცრუ ბრალდება არ სცნეს და მასზე ხელი არ მოაწერეს. მხოლოდ მცირე მათგანი გატყდა. დაპატიმრებულებს სხვადასხვა ხნით გაციმბირება მიუსაჯეს. თუმცა ვინც ცოცხალი გადარჩა, სამშობლოში მხოლოდ 1955 წლის შემდეგ დაბრუნდა.

თ. და ა. გოთუების გადმოცემით, ხანგრძლივი ძიების შემდეგ, სასჯელს გადაურჩნენ გ. ლომთათიძე და ვ. ბეწუკელი (იქვე: 271).

პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებები ხდებოდა არა იმდენად იმის გამო, რომ ცალკეული პირები ან პატარ-პატარა ჯგუფები საშიშროებას წარმოადგენდნენ სახელმწიფოსათვის, არამედ შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებიდან ხალხის ყურადღების გადასატანად. დაპატიმრებებს ჰქონდა სხვა მიზანიც. ამით შინსაკომის ორგანოები აჩვენებდნენ, რომ ისინი ფხიზლად და ერთგულად იდგნენ სახელმწიფოს ინტერესთა სადარაჯოზე. ინარჩუნებდნენ თანამდებობებსა და კარიერას. ფაქტობრივად, ცხადია, ეს თავისუფალი აზრის დევნას წარმოადგენდა.

ასე, თავისუფალი აზროვნების გამო, დააპატიმრეს და 1943 წელში ციმბირის გზას გაუყენეს ჭაბუა ამირეჯიბი, 1946 წელს—ტატული წულუკიძე[1]. პოლიტიკური ჯგუფის „საქთამეკას" (საქართველოს თავისულების მებრძოლთა კავშირის) შექმნისათვის პატიმრობაში მოხვდა მუსტაფა შელია, ხოლო პირადი პოლიტიკური აქტივობისათვის—სოლომონ თევზაძე (ჩხეიძე 1992:4)... პირველი მათგანის შესახებ შთამბეჭდავად მოგვითხრობს „გორა მბორგალში" ჭ. ამირეჯიბი.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა ხელისუფლებას სამი-ოთხი კაცის რამდენჯერმე შეხვედრა პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის რეციდივად ელანდებოდა. ასე გაიწირა ოტია პაჭკორიასა და მისი ახალგაზრდა მეგობრების ლიტერატურული წრე. რ. თვარაძის მონათხრობით, ლიტერატურის მოყვარული ჭაბუკები ო. პაჭკორიასთან იმიტომ იკრიბებოდნენ, რომ მას მყუდრო სამოთახიანი ბინა ჰქონდა. შეკ-

1 რ. თვარაძე, ოტია პაჭკორია და მისი ძმაკაცები, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1990, №1, გვ. 172.

რებილთა კონტინგენტიც კი არ იყო სტაბილური. მან და თ. ჩხენკელმა რამდენიმე სხდომის შემდეგ მიატოვეს წრე, რომელსაც დადგენილი სახელიც კი არ ჰქონდა. იხსენიებოდა „ქართულ სამრეკლოდ“ და „საქართველოს სამრეკლოდაც“.

მოგვიანებით საიდუმლო სამსახურის უწყებამ ჯგუფში პროვოკატორი შეგზავნა, რომელმაც „წმინდა ლიტერატურულ საქმიანობას პოლიტიკური მიმართულება მისცა“ (თვარაძე 1990:173). ცხადია, ათიოდე პირტიტველა ჭაბუკი ფაშისტური გერმანიის დამამარცხებელ იმპერიას ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ უწყებამ 1948 წლის შემოდგომაზე ისინი დააპატიმრა, უმაღლესი სასჯელი—25 წლით გადასახლება მიუსაჯა. ოტიას გარდა ამ ბედში მოხვდნენ: გივი მაღულარია, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ალეკო მელაძე, ჟორეს ცინცაძე, შოთა ჯიჯაძე... დანარჩენ ხუთს რ. თვარაძე ვერ იხსენებს. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ისინი გულაგიდან დაბრუნდნენ. ზოგი მათგანი ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწე გახდა.

1956 წლის 9 მარტის ამბები ეროვნული ტრაგედია იყო, რადგან ამ ერთი შეხედვით უვნებელ აქციას ათეულობით ქართველი ახალგაზრდა შეეწირა. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ, ისევე როგორც ზემოთ აღწერილი მოვლენების უმრავლესობა, ეს სისხლისღვრაც ხელისუფლების მიერ პროვოცირების შედეგად მოხდა.

უსიტყვო მიტინგები თბილისში სანაპიროზე მდგომ ი. სტალინის ძეგლთან უკვე მისი გარდაცვალების ერთი წლისთავზე, 1954 წლის 3-9 მარტს, მოეწყო. ექვსი დღის მანძილზე ხალხს ძეგლთან განუწყვეტლივ მიჰქონდა ყვავილები. მიმსვლელები ერთხანს ბაღში ჩერდებოდნენ. ე.ი. გამოდიოდა საკმაოდ ხანგრძლივი შეკრება. მონაწილეთა რაოდენობა, ნ. ნათაძის თქმით, „რამდენიმე ათასი იქნებოდა და შესაძლებელია მეტიც“ („სახ. გან.“1989:28). ეს შეკრებები ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იმდენად შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც მაშინ ი. სტალინის უარყოფა უკვე დაწყებული იყო. მის ძეგლთან შეკრებაც პროტესტს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ამ უსიტყვო მიტინგებს ხელს არავინ უშლიდა.

მომდევნო წლის მარტამდე ი. სტალინის საწინააღმდეგო კამპანია უფრო ფართოდ გაიშალა. 1955 წლის მარტშიც „ძეგლთან ხალხი შეუდარებლად მეტი იყო და უტყვი მიტინგიც შეუდარებლად უფრო დიდი“ (იქვე). ახლა ეს შეკრებები ყველასაგან გააზრებული იყო, როგორც არსებული ვითარებისადმი პროტესტი. სიტუაციის დამამძიმებელ ფაქტორს ისიც წარმოადგენდა, რომ სტალინის კრიტი-

კას ანტიქართული გამოხდომებიც ემთხვეოდა და ეს ტენდენცია თანდათან ძლიერდებოდა. რუსეთის მოსახლეობას შთააგონებდნენ: ქართველები სსრ კავშირში ყველაზე უკეთ ცხოვრობენ, მათ კოლმეურნეობებიც კი არა აქვთ, ომში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან თანამემამულე სტალინი იფარავდათო.

1956 წლის თებერვლიდან, როცა სკკპ XX ყრილობა ჩატარდა და მასზე სტალინის პიროვნების კულტის საწინააღმდეგო დადგენილება მიიღეს, ქართული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ოფიციალური პოზიცია გაიგო, როგორც გადამწყვეტი იერიშის სიგნალი თავისი ხალხის წინააღმდეგ. მათ თვალში სტალინი, რომელიც სიცოცხლეში გალმერთებამდე განდიდებული იყო, ახლა წამებული კერპი გახდა.

მაშინდელ სიტუაციას სწორად აფასებდა თ. ბუაჩიძე. იგი წერდა: „ქართველი ხალხი იმ დღეებში, მართლაც რომ, ამაყობდა სტალინით, მისი როლით, მისი პიროვნებით, მისი საქმეებით, მის მიერ მოპოვებული გამარჯვებით, რომ სტალინი წარმოშობით მაინც ქართველი იყო. თუმცა მას ამ ხალხისთვის არავითარი კერძო და სხვებისაგან გამორჩეული სიკეთე არ მოუტანია, გარდა თავს დატეხილი განუწყვეტელი რეპრესიებისა“ („ლს“ 1988:15).

ჩვენც ვფიქრობთ, რომ 6. ნათაძისა და 9 მარტის მოვლენების სხვა მონაწილეთა მიერ უკანა რიცხვით გაკეთებული რეტროსპექტრული ახსნა–მოძრაობაში იმიტომ ვმონაწილეობდით, რომ შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის ინტერესებს ვიცავდითო, უბრალოდ გულწრფელი არ არის. მაშინ ძირითადი მამოძრავებელი სტიმული იყო სტალინის დაცვა. ერთი მონაწილე იგონებს: „იქა–აქ გაისმოდა ლოზუნგები—„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“, „ძირს მჟავანაძე“, მაგრამ ყოველთვის—„დიდება დიდ სტალინს“ („სრ“ 1991:13).

ამასვე ადასტურებს გორის თეატრის მსახიობების მიერ იმპროვიზებული სტალინისა და ლენინის მეგობრობის სცენა და კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში მყოფი ჩინეთის თავდაცვის მინისტრის მარშალ ჯუდესადმი მომიტინგეთა მიმართვა. მას და ჩინეთს დაეცვათ სტალინი უსამართლო თავდასხმებისაგან.

ასე რომ, 1956 წლის მარტის მიტინგები ი. სტალინის დიდების აღსადგენად, მისი სახელის რეაბილიტაციისათვის მიმდინარეობდა. იგი სტიქიურ, გაუაზრებელ მოძრაობას წარმოადგენდა. სხვაგვარი ინტერპრეტაცია ჭეშმარიტებისაგან დაცილების მცდელობად უნდა მივიჩნიოთ.

დასაწყისს თითქოს არ ეტყობოდა, რომ ტრაგედია დატრი-

ალდებოდა. 3 მარტს, მართალია, სტალინის ძეგლთან უზარმაზარი ბრბო (15-20 ათასი კაცი) შეიყარა, მაგრამ ხელი მათთვის არავის შეუშლია. ჯ. გვასალია მარტის დღეების ამბების აღწერისას მიუთითებს, რომ „მოვლენები სტიქიურად ვითარდებოდა, მაგრამ ჰქონდა ერთი სისტემური ორგანიზაცია. ყველაზე უფრო აქტიურობდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობა... 5 მარტს შუადღის 12 საათისათვის სტუდქალაქიდან სტუდენტთა კოლონა ჭავჭავაძის პროსპექტით დაიძრა უნივერსიტეტისაკენ. ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით „დიდება დიდ სტალინს",. სტალინის სურათები და გვირგვინი" („ლს" 1990:10). გზად მათ დაეწიათ წყნეთიდან მომავალი ვ. მჟავანაძის მანქანა. იგი დემონსტრანტებმა შეაჩერეს. საქ. კპ ცეკას პირველი მდივანი მანქანიდან გამოიყვანეს და აიძულეს დემონსტრანტებთან ერთად ძახილით „დიდება დიდ სტალინს" გამოევლო უნივერსიტეტის შენობამდე დარჩენილი ნახევარი კილომეტრი. ვ. მჟავანაძეს ახლდა შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალი ვ. ჯანჯღავა. მას, ამ მსვლელობაში მონაწილეობის გარდა, სხვა ღონე აღარ დაუტოვეს. დემონსტრანტები უნივერსიტეტთან შეჩერდნენ. მათ აქ ახალი დიდი მასა შეუერთდა. გენერლებმა კი გზა განაგრძეს.

„3, 4, 5, 6, რიცხვებში მიტინგები გრძელდებოდა და მათი მასშტაბი უფრო და უფრო იზრდებოდა".—იგონებს ნ. ნათაძე („სახ. გან." 1989:28). ხალხში თანდათან განმტკიცდა აზრი, რომ წინა წლებში მიტინგების ხელშეუხებლობა მთავრობის მიერ ტრადიციად იქცა და წელსაც ასევე გრძელდებოდა. შეკრებები ეწყობოდა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში ბევრი ხალხი ირეოდა ვაგზლის მოედანზე. მაგრამ ტრიბუნა აღმართული იყო მხოლოდ ორგან—სტალინის ძეგლთან და ლენინის მოედანზე, სადაც 7 მარტს 70–80 ათასი კაცი მუდმივად იდგა (იქვე).

მთავრობისა და მოსახლეობისათვისაც ცხადი იყო, რომ ამ აქციების ფინალი სტალინის დასაფლავების დღეს, 9 მარტს, უნდა შემდგარიყო. ამ დღეს შეკრების ორივე ადგილზე მომიტინგეთა უზარმაზარი მასა იდგა.[1] დააბლოებით ათ საათზე ლენინის მოედნის ტრიბუნიდან სიტყვით გამოვიდა ვ. მჟავანაძე. იგი „ტრიბუნებზე რომ ავიდა,—იგონებს ზ. ბიწაძე,—სიტყვა ჯერ ქართულად დაიწყო, ხოლო მეორე წინადადებაზე რუსულზე გადავიდა. ხალხმა სიტყვა შეაწყვეტინა და მისი ქართულად გაგრძელება მოთხოვა" („ახკომი"

[1] შ. ნოზაძე ოფიციალურ ცნობებზე დაყრდნობით 50-60 ათას კაცს ასახელებს (ნოზაძე 1992:7), მაგრამ ეს რიცხვი ოფიციოზის მიერ აშკარად შემცირებულის ელფერს ატარებს.

1989:120). ცეკას მდივანმა დამტვრეული ქართულით ახალგაზრდობას ურჩია დაშლილიყვნენ. „წადით, შვილებო, სახლში, დამიჯერეთ, წადით სახლში“,—იხვეწებოდა იგი. გვიან გავრცელებული ცნობის მიხედვით, პოლიტბიუროს წინა დღით მიეღო მიტინგების დახვრეტის გადაწყვეტილება. ვ. მჟავანაძემ ეს იცოდა, მაგრამ პირდაპირ ვერ გაბედა ეთქვა. იგი მხოლოდ იმეორებდა: „წადით, თორემ თქვენ არ იცით, რა მოხდებაო“. ცხადია, იგი ულონო იყო, უფრო მეტის გაკეთება არ შეეძლო. ხოლო ჯოჯოხეთური მანქანა კი მუშაობდა. ნ. ნათაძეს და შ. ბიწაძეს მოჰყავთ ფაქტები, რაც ამტკიცებს, რომ მიტინგებზე მოქმედებდა პროვოკატორთა ჯგუფები, რომლებიც ცდილობდნენ მდგომარეობის იქამდე დაძაბვას, რომ სროლა აუცილებელი ყოფილიყო. მათ მოაწყვეს „შეტევა“ კავშირგაბმულობის სახლზე, სადაც რამდენიმე რიგად დაწყობილი ჯარისკაცები იდგნენ და ელოდნენ, როდის დაიწყებოდა ხალხის ასვლა შენობის კიბის საფეხურზე, რათა მათ ტყვიებით დახვედროდნენ.

ზ. ბიწაძეს შემჩნეული ჰყავს ერთი ჭრელკაშნეანი ახალგაზრდა, რომელმაც ჯერ სტალინის ძეგლთან მომიტინგეებს მოუწოდა კავშირგაბმულობის სახლის ასაღებად წასულიყვნენ, ხოლო შემდეგ კინოთეატრ „რუსთაველის“ კედელს ამოფარებულმა კავშირგაბმულობის სახლისაკენ გაისროლა რევოლვერით, რაც ნიშანი აღმოჩნდა, რომ ამ შენობის სახურავზე მყოფ ჯარისკაცებს ხალხისთვის ტყვიამფრქვევების ცეცხლი გაეხსნათ (იქვე).

პირველი და სხვა ადგილებთან შედარებით დიდი მსხვერპლი კავშირგაბმულობის სახლთან იქნა გაღებული. დაახლოებით 10 საათის შემდეგ ამ სახლის უიარაღო იერიში რამდენჯერმე განმეორდა. იგი ჯარისკაცებმა ყოველთვის მოიგერიეს. მოიერიშეთა მოცელვის შემდეგ კი მოტრასირე ტყვიების ჯერებს კომუნარების სახელობის ბაღის ხეების კენწეროებისაკენ უშვებდნენ. მიუხედავად მსხვერპლისა, მაინც გაისმოდა შეძახილები „ბიჭებო მივიდეთ!“ და იერიში გრძელდებოდა, თუმცა იყო შემაკავებელი მოწოდებებიც. ნ. ნათაძე ასახელებს ჩეკას ორ სამოქალაქო ტანსაცმელიან თანამშრომელს—თენგიზ ზუმბაძეს და გივი მაისურაძეს, რომლებიც იხვეწებოდნენ: „ბიჭებო, არ გინდათ!“ და შესასვლელთან 70 მეტრში აჩერებდნენ, ვისაც შეეძლოთ („სახ. გან.“ 1989:29).

მისივე თქმით, ოპერაციის მთელი მსვლელობა რომ წინასწარ იყო დაგეგმილი, ეს იქედან ჩანს, რომ „რუსთაველის მთელი გამზირი საგანგებოდ ჰქონდათ აყვანილი და გათოფილი...ჯარით სავსე იყო ზედა

პარალელური და გამზირის პერპენდიკულარული ქუჩები“ (იქვე).

კავშირგაბმულობის სახელის ერთსაათიანი უშედეგო იერიშის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე ხალხი მნიშვნელოვნად შეთხელდა. ჯარის სარდლობაც კონტრიერიშზე გადავიდა. ჯარისკაცები პროსპექტს ავტომატების სროლით გაუყვნენ და მასზე მომიტინგეთა რიგები ძლიერ შეთხელდა. ამით მასის გაყოფა განხორციელდა. 12 საათსა და 30 წუთზე რეპროდუქტორებიდან, ნაცვლად მომიტინგეთა სიტყვებისა, გაისმოდა დირექტორის ხმა ქალაქში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.[1] მოიერიშე სამხედროებმა ძალის დემონსტრაციის მიზნით მოედნის მხრიდან პროსპექტზე ტანკები შემოიყვანეს. ახალგაზრდათა ერთი ნაწილი მათაც არ მოერიდა, ლუკების ახდა მოინდომა, ზოგმაც ზარბაზნების ლულაში დროშები ჩაარჭო. ზ. ბიწაძე იგონებს, რომ მან ტანკებს პიონერთა სასახლის წინ ნაპოვნი თუნუქის ვედრო ესროლა („ახკომი“ 1989:120).

ჯარისკაცებმა ტანკების მიყოლებით ხალხი მოედნისაკენ გარეკეს. დაახლოებით სამის ნახევარზე ტანკები ლესელიძის ქუჩით თუ სოლოლაკის მიმართულებით გაუჩინარდნენ. ხალხი კი პუშკინის ქუჩისაკენ შებრუნდა და მისი გავლით სტალინის ძეგლისაკენ გაემართა. მათ მიჰყვებოდა ჯარისკაცთა ხიშტებმომარჯვებული ასეული. მარცხნივ გასვლის უფლებას კი მოტოქვეითი ნაწილები არ აძლევდნენ.

როცა მოედნიდან მორეკილი მთელი მასა მონუმენტთან შეიკრიბა, ძეგლის უკან მდგომმა შერჩეულმა სამხედროებმა კვარცხლბეკზე მდგომთა ხიშტებითა და კონდახებით ჩამოყრა დაიწყეს. სხვები კი შეგროვილ მასას ხიშტებით მიაწვნენ და ხალხმა ერთმანეთი გადათელა. როცა მასამ გასასვლელი იშოვნა და გაქცევა დაიწყო, სწორედ ამ დროს კვარცხლბეკის მხრიდან მორბენალ ადამიანებს ცეცხლი გაუხსნეს. „ქვეგანაყოფებმა გზა ხიდის გაღმიდან შეუკრეს,—წერს ნ. ნათაძე,—მეორემ გამოღმიდან და ხიდზე მომწყვდეულები ხიშტებით და ავტომატებით დახოცეს“ („სახ. გან.“ 1989:29).

ხალხის გადარჩენილი, მარჯვენა სანაპიროზე მყოფი, ნაწილი ქალაქის ცენტრისაკენ გაატარეს. აქ უკვე საქმეში მილიცია და უშიშროების მუშაკები ჩაერიენენ. ქუჩაში მყოფი ყველა მოქალაქე და-

[1] სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და მთელი ამ ქლეტის ჭალათი იყო თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალი გლადკოვი.

1991 წლის 15 მარტს საინტერესო ცნობა გვაუწყა საქართველოს ტელევიზიამ: ყოფილმა პატიმარმა ინგუშმა მასწავლებელმა გაიხსენა, რომ, გადასახლებაში მასთან ერთად იმყოფებოდა გენერალი დარბაიძე, რომელიც 9 მარტს ჯარისკაცებს გადადგომია წინ და შეუძახნია: „შეჩერდით!“. ამ ერთი სიტყვისათვის მას 15 წლით დატუსალება მოესაჯა და სული ჯახახეთში პატიმრობაში განუტევა.

იჭირეს და უშიშროების შენობაში შეყარეს. მათგან ვინც ტრიბუნაზე არ იყო გამოსული, 5-12 დღეში გაათავისუფლეს, ხოლო ორატორებად აღნუსხულნი, დაახლოებით 4 თვეში.

დაზოცილების რაოდენობა დაზუსტებული არ არის. გაზეთ „მამულში“ (1991:5) გამოქვეყნდა უეჭველად დაზოცილთა სია.[1] მკვდრები პატრონებს არ გაატანეს. მათ ნება მისცეს ჩუმად ღამით გაეყვანათ და მილიციის წარმომადგენლების თანდასწრებით სხვადასხვა სასაფლაოზე დაეკრძალათ (იქვე).

განუსაზღვრელად დიდი იყო დაჭრილთა და დაშავებულთა რაოდენობა. მათ მკურნალობას ქართველი ექიმები ვერ აუდიოდნენ. როგორც პროფესორი აკოფ აკოფიანი 1991 წელს გამოქვეყნებულ ცნობაში იუწყება, 9 მარტს დაჭრილთა და დაშავებულთა სამკურნალოდ სომხეთიდან მოუწვევიათ ტრავმატოლოგ–ორთოპედ ექიმთა 5 კაციანი ბრიგადა ამიერკავკასიის მთავარი ორთოპედის ქრისტეფორ პეტროსიანის მეთაურობით. ისინი დღედაღამ შეუსვენებლად მუშაობდნენ. მხოლოდ მორიგეობით ეძინათ. „დაჭრილთა ნაკადები უწყვეტად მოდიოდა,— იგონებს ა. აკოფიანი,–პიკმა მხოლოდ განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ მეორე კვირის ბოლოს ჩაიარა“ („თბილისი“ 1991:178). დასასრულ, სამშობლოში გამგზავრების წინ სომეხი ექიმები საქ. კპ ცეკაში მიუღიათ და დაუვალებიათ არსად წამოცდენოდათ ეს საიდუმლო. ამიტომ გახდა ეს ფაქტი ცნობილი ასე გვიან.

თბილისური მიტინგები მხოლოდ დედაქალაქში განვითარებულ პროცესს არ წარმოადგენდა. მასში ჩართული იყო რაიონებიდან ჩამოსულ მონაწილეთა დიდი რაოდენობა. ზოგიერთი მტკიცებით, ასეთთა რიცხვი კიდეც სჭარბობდა თბილისელებს. ამასთან, მიტინგები მოეწყო საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებშიაც. შეკრებები განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო გორში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში... ქუთაისში მიმდინარე მოვლენების განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ აქ მიტინგებში აქტიურად მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში განლაგებული 74-ე ქართული დივიზიის მრავალი ოფიცერი (ნოზაძე 1992:9). ეს ამ დივიზიის დაშლის ერთ–ერთი მიზეზი გახდა.

---

[1] იგი 26 პირს მოითვლის: თენგიზ შანიძე, კიაზო ჭანტურიძე, გულიკო სვანი, ვალერი ალფიძე, ჯიმშერ მაშალაძე, რუზო გოგია, იუზა წერეთელი, უშანგი მერკვილიშვილი, ლუკან სანგულოვი, ნაზი ბენიძე, ანზორ ჭანკვეტაძე, გურამ ტუნიევი, კლიმენტი რევაზიშვილი, ოთარ გობეჯიშვილი, რაულ ლოლუა, შენგელი ნოზაძე, თემურ თოფურია, ამბროსი ჯაბრაშვილი, ნუგზარ ხეთისთავრი (ინგუში თუ ჩეჩენი?), შოთა ელიზბარაშვილი, კოტე ბაჯიაშვილი, თემურაზ ბურდული, ბორის ზაჭარიაძე, ვალერი შენდლიძე.

1956 წლის 9 მარტი საბჭოთა ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილ დანაშაულებათა მხოლოდ ერთი ეპიზოდია. ამ დანაშაულის სიმძიმეს ზრდის ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ დახვრიტა და დაარბია დემონსტრაცია, რომელიც არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა მის საფუძვლებს. პირიქით, ი. სტალინის დაცვა, ფაქტობრივად, საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერას ნიშნავდა, რამდენადაც „ხალხთა დიდი ბელადი" მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის (და არა მხოლოდ საქართველოში) საბჭოთა ხელისუფლების არსისა და სიძლიერის განსახიერებას წარმოადგენდა. „ეს იყო ე.წ. სახაზინო პატრიოტიზმით დაბანგული ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური სინდრომი,—წერდა ა. სურგულაძე,—რომელსაც სამშობლოს ცნება ერთ პიროვნებაში ჰქონდა გააზრებული და გულწრფელად სჯეროდა (რაც ახალგაზრდობის ბრალი, ბუნებრივია, არ არის), რომ სტალინის საქმიანობის ახლებური შეფასება... უპირისპირდებოდა სოციალიზმის მონაპოვარს, ამასთან ერთად შეურაცხყოფდა მის ეროვნულ სიამაყეს" („კომ" 1988:96).

ამ აქციის ეროვნულ მიმართულებაზე ლაპარაკი იმდენად შეიძლება, რამდენადაც სტალინი წარმოშობით ქართველი იყო. თვითონ ჯუღაშვილს თავის ქართველობის გამხელისა ერიდებოდა, თავი ინტერნაციონალისტად მოჰქონდა და პატრიოტობისაგან შორს იდგა, ამდენად, მისთვის ისეთი თავგანწირვა, რაც მაშინ ქართველმა ახალგაზრდობამ გამოიჩინა არ ღირდა.

თავისთავად 1956 წლის მარტის მოვლენებმა, რომლებიც ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მთელს სოციალისტურ სამყაროში პირველი დიდი ხალხმრავალი გამოსვლები იყო, მიუხედავად მსხვერპლისა, აჩვენეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მასობრივი პროტესტის გამოცხადება არათუ შესაძლებელი, არამედ რეალური ფაქტს წარმოადგენს.

9 მარტის ტრაგედიით მიღებული შიშის სინდრომი 20 წელზე მეტხანს მოქმედებდა. მისი დაძლევის პირველი სიმპტომები შესაძლებელი გახდა 1975 წლის ზაფხულში ჰელსინკში ჩატარებული ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე მიღებული დასკვნითი აქტის შემდეგ. იმავე წელს მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ, ვიქტორ რცხილაძემ, ბეგო ბეჟუაშვილმა, ირაკლი კენჭოშვილმა შექმნეს „ჰელსინკის ჯგუფი".[1] მასში ითვლებოდნენ,

[1] მერაბ კოსტავას გადმოცემით (გაზ. „საქართველო" 27. 2. 1990), „ჰელსინკის ჯგუფის" წინამორბედი იყო 1974 წელს ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, თემურაზ ჯანელიძე, ნიკოლოზ სამხარაძე, გიგი მაღულარია.

აგრეთვე, თბილისელი ძმები გ. და ი. გოლშტეინები. ჯგუფმა მოასწრო ორიოდე თვითგამოცემის გამოშვება. მათ შორის საინფორმაციო ჟურნალისა „საქართველოს მოამბე“. 1977 წელს „ჰელსინკელები“ დააპატიმრეს. მათმა საქმიანობამ და დაპატიმრებამაც კი ერთგვარად გამოაცოცხლა უძრაობას მიჩვეული ქართული საზოგადოება.

70-იანი წლების მეორე ნახევარში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში დამთავრდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა და ამის გამო სოციალიზმის მშენებლობის გარიჟრაჟზე მოქმედი კონსტიტუცია აღარ შეესაბამება არსებულ სინამდვილესო. 1977 წლის ოქტომბერში მიიღეს სსრ კავშირის კონსტიტუცია. მომდევნო წელს საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტიც. ხალხი მიჩვეული იყო, რომ ასეთი დოკუმენტები მოსკოვის კარნახით კეთდებოდა. შემდეგ მასში ცვლილებები აღარ შეჰქონდათ. ამიტომ გამოქვეყნებული პროექტებისათვის ყურადღება ბევრს არც მიუქცევია.

ახლა ვიეთნი იბრალებენ, რომ მათ შეგნებულად გამოიწვიეს უნივერსიტეტის ახალგაზრდობის გააქტიურება. მაგრამ მაშინდელი ვითარების რიგითი მონაწილენი ნამდვილ სურათს სხვაგვარად აღადგენენ. კონსტიტუციის პროექტის ე.წ. საყოველთაო–სახალხო განხილვისას საქ. კპ ცეკასათვის მთავარი იყო ინტელიგენციის, კერძოდ კი თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებლთა და სტუდენტთა მხარდაჭერა. ეს მოითხოვეს კიდეც ცენტრალურ კომიტეტში შეკრებილი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელებისაგან.

იმდროინდელი სტუდენტი ნ. გრიგალაშვილი იგონებს: „უნივერსიტეტს დავალებული ჰქონდა მოეწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა და მიეღო იგი წარმოდგენილი სახით, რომ არა ეს პროცედურა, შესაძლოა სტუდენტებს ვერაფერი შეგვეტყო, რადგან იმ დროში კომკავშირელთა გარდა პოლიტიკისაგან ყველანი შორს ვიდექით“ („ახ. ივ.“ 1990:32).

კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლში აღნიშნული არ იყო, რომ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართულია, როგორც ეს წინა, ე.წ. სტალინური კონსტიტუციიდან მომდინარეობდა. ზემოხსენებულ თათბირზე ცეკას პირველმა მდივანმა განმარტა: ამის საკომპესაციოდ ვცდილობთ ესა და სხვა პუნქტებიც სხვა მხრივ გავაძლიეროთო („სრ“ 1998:88).

უნივერსიტეტში განხილვა მაინც ჩვეული თანხმობით და მო-

წონებით მიმდინარეობდა. ფაკულტეტებისა და კათედრების დიდმა ნაწილმა პროექტი წაუკითხავად მოიწონა. მაგრამ მყუდროების დამრღვევნი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები აღმოჩნდნენ.

„ერთ მშვენიერ დღეს,–გვიამბობს ნ. გრიგალაშვილი,–უნივერსიტეტის ეზოში ვიდექით ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები–ნუგზარ ლეჟავა, ვასილ მაღლაფერიძე, ნიკა სანებლიძე, თამაზ ხარაიშვილი და მე. ნუგზარ ლეჟავამ იკითხა ენას რომ გვართმევენ არაფერი მოვიმოქმედოთო? მოვიმოქმედეთ: ავედით უნივერსიტეტის მესამე სართულზე, ვესტიბიულის ფანჯრის რაფაზე დავწერეთ საპროტესტო ტექსტი და დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება[1] („ახ. ივ.“ 1990:32).

ხელმოწერილი ტექსტის ერთი ცალი ცეკას პირველ მდივანს გაუგზავნეს და ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ მას პირადად ჰქონდა მიღებული გაგზავნილი ეგზემპლარი, მანამდე იმუქრებოდნენ: ამაში თუ არ დავრწმუნდებით მეორეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გავუგზავნითო.

საკითხავია, რატომ არ გატარდა ზომები მათ მიმართ? ჯერ ერთი, მოძრაობას გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავდა. მეორე, მას ხალხის ფართო მასა უჭერდა მხარს და ყველას დასჯა შეუძლებელი იყო. მესამეც, საკითხი ქართულ ენას შეეხებოდა და ვის უნდოდა მისი მოწინააღმდეგის სახელით შესულიყო ისტორიაში?

სტუდენტთა ასეთი აქტივობის შემდეგ პროფესორ–მასწავლებლებმაც ხმა ამოიღეს. მათაც შეადგინეს ტექსტი. ერთმა ნაწილმა ხელიც მოაწერა. 7 აპრილს, ვ. გოგუაძის თქმით, გამზადებული იყვნენ იგი წარედგინათ ცეკაში. მაგრამ რექტორმა დ. ჩხიკვიშვილმა ურჩიათ უფრო ფართო წრისათვის გაეცნოთ ტექსტი, რის შემდეგაც იგი თვითონ წაიღებდა მას ზემდგომებთან. ასეც მოქცეულან („თბილისი“ 1990:85).

1956 წლის 9 მარტის მომსწრე თაობის ერთი ნაწილი შეშინებული იყო, სხვებსაც დიდ ბედენად არ მიაჩნდათ ეწერებოდა თუ არა კონსტიტუციაში–ქართული სახელმწიფო ენა არისო. ძირითადად კანონსა და სხვა დოკუმენტებში უამრავი დემოკრატიული პრინციპი იყო გამოცხადებული, მაგრამ ყველაფერი ფარატინა ქაღალდად რჩებოდა. ამიტომ უფროსი თაობისათვის ახალგაზრდობის სიცოცხლის დაზოგვა უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ფიქტიური ჩა-

[1] ნ. გრიგალაშვილის გადმოცემით, ზოგს გაუჭირდა ხელმოწერა, მაგრამ ნამუსზე შეაყენეს და ისე დააყოლიეს. „ვინც ხელი მოგვაწერა კომკავშირის ლიდერთაგან, მათ შემდგომში საკედურები მიიღეს კომკავშირის ცეკას მაშინდელი პირველი მდივნის შარტავასაგან“..., ამბობს იგი და უმატებს..ისინი ჩვენ „დამღუპველს“ გვიწოდებდნენო („ახ. ივ.“ 1990:32). ესეც ამუნებს როომ 14 აპრილის აქცია რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან მხარდაჭერილი არ ყოფილა, თორემ უბრალო ხელმომწერებს რალას ერჩოდნენ?

ნაწერი. მათაც თავი არ გამოუდვიათ სტატუსის ცვლილების გამო. ასე მოიქცა მწერლობის უდიდესი ნაწილიც[1]. რის გამოც 14 აპრილის დემონსტრაციის დროს შეძახილებში ზოგიერთი გამოჩენილი ენათმეცნიერისა და მწერლის გვარი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებოდა. ამის მომსმენთაგან მოწმე დღესაც ბევრია ცოცხალი, მაგრამ ამჯობინებენ მხოლოდ პირად საუბრებში გაიმეორონ ეს ფაქტი, დაწერილი კი არსად წამიკითხავს. ამიტომ მეც ასევე მოვიქცევი, გვარებს არ დავასახელებ.

ყველაზე ცუდ დღეში ნომენკლატურული მუშაკები, განსაკუთრებით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იყო. მათ თანამდებობის დაკარგვა მოელოდათ. ისინიც ცდას არ აკლებდნენ მართვადი გაეხადათ პროცესი. ნ. გრიგალაშვილი შენიშნავს: „მთელი ერთი კვირის მანძილზე იხვეწებოდნენ 14-ში ნუ გამოხვალთო. ვინც არ იცოდა საერთოდ რა ხდებოდა იმათაც ყურები ცქვიტეს“ („ახ. ივერ.“ 1990:32). რაც შეეხება პროფესურას, ინტერვიუერი გვიამბობს: „ლექტორების ნაწილი კი სულით და გულით მხარს გვიჭერდა, თვითონაც იბრძოდა, მაგრამ გამოსვლის, დემონსტრაციის სასტიკი წინააღმდეგი იყო, რადგან ხელისუფლებამ დაარწმუნა, რომ გვესროდნენ, ხელისუფლებამ ამაში ჩვენც დაგვარწმუნა და ფაქტობრივად, 14-ში ახალგაზრდობის ნაკადი წავიდა აშკარა რისკზე. უნივერსიტეტიდან გასული პირველი ჯგუფის წინა რიგებში, რომელმაც მილიციის კორდონი გაარღვია, ჩემი კურსელები ზვიად ნოდია, ედიშერ ჭელიძე, რევაზ აბაშიაც იყვნენ.“

აშკარად შელამაზებულად აღწერს 14 აპრილის აქციას მ. გიგინეიშვილი. უფრო სწორად, მის ნათქვამში მონაწილეთა ჩამონათვალია გაზვიადებული, თორემ სხვა ყველაფერი თავის ადგილზეა. იგი გვამცნობს: „ენას გვართმევდნენ და ყველამ ერთად გადავდეთ თავი: სტუდენტობამ, ინტელიგენციამ, მუშებმა, მშრომელებმა, მოსწავლეებმა. პირველ კლასელებმა ჩანთებზე ცარცით „აი ია“ წაეწერეს დედაენის სადიდებლად. ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით, ერი ერთიანი დიდი იდეით იყო გაერთიანებული, ერთმანეთი გვიყვარდა, თავი გვქონდა განწირული და სულში ბედნიერება გვქონდა ჩაღვრილი. თავკაცობას არავინ იჩემებდა. მეგაფონს არავინ ეპოტინებოდა. ერთი წინამძღვარი გვყავდა—ჩვენი ქართული ენა“ („სრ“ 1993:76).

14 აპრილს უნივერსიტეტი მოძრაობის ეპიცენტრს წარმოადგენდა. უნივერსიტეტელებს მხარს უჭერდნენ და დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა,

[1] ჩვენი გადაწყვეტილება ზოგიერთ მწერალსაც გავაცანით, მათგან „მას სიბარულით რევაზ ჯაფარიძე შეხვდაო“, იხსენებს ნ. გრიგალაშვილი („ახ. ივერ.“ 1990:32).

თითქმის ყველა საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. გრანდიოზულმა დემონსტრაციამ გაარღვია ოპერის თეატრთან მდგომი მილიციის კორდონი და უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომის (რომელიც კონსტიტუციის პროექტს განიხილავდა) დაწყების წინ მთავრობის სახლთან მოედანზე შეჩერდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დემონსტრაციაზე არ გამოვლენილა ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილება, რადგან ეს ხელს შეუშლიდა მთავარი მიზნის მიღწევას და მოსკოვს აქციის დარბევის საბაბს მისცემდა.

იდგა მოლოდინის მძიმე წუთები. კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენების კითხვაში დრო ძლიერ ნელა გადიოდა, რუსთაველის პროსპექტი რადიოფიცირებული იყო და ყველა შეშფოთებით მოელოდა როდის დაიწყებოდა საუბარი 75-ე მუხლზე. 20 წლის შემდეგ ე. შევარდნაძემ თქვა, რომ ამ მუხლის შესახებ იგი ნასაუბრევი იყო სკკპ პოლიტბიუროს წევრებთან და კერძოდ, ლ. ბრეჟნევთან, მაგრამ იმ დროს ეს სხვამ არავინ იცოდა, მან ისიც დაუმატა—თბილისის გარნიზონი მხოლოდ მოსკოვს ემორჩილებოდა და საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად სამხედროებმა თბილისის ქუჩებში დიდძალი ჯავშანტექნიკა გამოიყვანეს. ტრაგედიის საფრთხე შეიძლებოდა რეალობად ქცეულიყო.

„ახალგაზრდობა სულგანაბული და გაოგნებული ელოდა რა მოხდებოდა,—იგონებს ე. შევარდნაძე,— რით დამთავრდებოდა ეს მოვლენები. რომ წამეკითხა ის ტექსტი, რომელიც მომზადდა და დამტკიცდა აქაც და მოსკოვშიც, და რომლის მიხედვითაც ქართული ენას სტატუსი არ უნარჩუნდებოდა, თბილისი სისხილსღვრას ვერ გადაურჩებოდა. ამიტომაც მადლობელი ვარ იმ ძალის, რომელმაც შთამაგონა და მათქმევინა, რომ ვითათბირეთ (თუმცა არავისთან გვითათბირია) და გადავწყვიტეთ, რომ ქართული ენა ინარჩუნებს, სახელმწიფო ენის სტატუსს“ („სრ“ 1998:89).

იმ დროისათვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი მიღწევა, რომელსაც ქართული ენის კონსტიტუციურად აღიარების გარდა, ქართველი ხალხის ეროვნული სულისა და თვითშემეცნების გამოღვიძების დანიშნულებაც მიეცა. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში უზარმაზარი მასების მონაწილეობამ და მიღწეულმა გამარჯვებამ, ფაქტობრივად, საფუძველი დაუდო ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსთან დაკავშირებით ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღების დროს დიდი

დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა გაგრაში, სოხუმში და ბათუმში. ყველაფერმა ამ ქალაქებშიაც მშვიდობიანად ჩაიარა.

ახლა ხშირად ამბობენ და წერენ, რომ ე. შევარდნაძემ წინასწარგანზრახულად შეუწყო ხელი 14 აპრილის დემონსტრაციის მოწყობას. მე, ცხადია, ამის დასადასტურებლად ან საპირისპიროს დასამტკიცებლად არავითარი მასალა არ გამაჩნია, მაგრამ თვით მომხდარი ფაქტი—ქართული ენის სტატუსი რომ შენარჩუნებული იქნა და, რაც მთავარია, ყველაფერი მშვიდობიანად, უსისხლოდ და ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა საქ. კპ ცეკას პირველი მდივნის უდიდესი დამსახურებაა. ბევრი სხვა ასეთი რომ არ ჰქონდეს ე. შევარდნაძეს, მარტო ამ ღვაწლს არ დაუვიწყებს მშობელი ხალხი.

1978 წლის 14 აპრილის აქციამ შესაძლებელი გახადა დისიდენტური მოძრაობის ჩასახვა. დისიდენტები პატარ–პატარა ჯგუფებად არსებობდნენ და არალეგარულ აქციებს ახორციელებდნენ. ხოლო ლეგალურთაგან აღსანიშნავია 1981 წლის 13 მაისს ზ. გამსახურდიას მიერ ლ. ბრეჟნევისა და ე. შევარდნაძისათვის გაგზავნილი მიმართვა, რომელიც შეეხებოდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს, ქართველთა მდგომარეობას აფხაზეთში, საინგილოში, მესხეთსა და ჯავახეთში, სინდისის თავისუფლებას, რელიგიის დევნას (ჩხეიძე 1998:49).

იმავე, 1981 წელს ერთ–ერთმა ასეთმა თანამოაზრეთა ჯგუფმა არარეგალურად მოახდინა ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის რესტავრაცია. ამ პარტიის დამფუძნებელი კრება, ასევე არალეგალურად, შედგა 1983 წლის თებერვალში. პარტიის მთავარი კომიტეტის წევრებად აირჩიეს: გიორგი ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ავთანდილ ანთიძე და ბესარიონ გუბელაძე, თუ პარტიაში 1981 წელს 40-მდე ენთუზიასტი იყო, ახალა იგი 200-ზე მეტ კაცს აერთიანებდა. ხუთეულებად დაყოფილი ეს კონტინგენტი, ძირითადად, პროკლამაციების გაკვრით კმაყოფილდებოდა.

1983 წელს მათ ანტისამთავრობო დემონსტრაციის მოწყობაც სცადეს. ამის გამო გიორგი ჭანტურია დააპატიმრეს და გადაასახლეს, ხოლო მ. გიორგაძე და ავთ. ანთიძე ჯარში გაამწესეს.

1988 წლიდან ეროვნულ–დემოკრატიული პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ანტისაბჭოთა აქციებში, რის შესახებაც ქვემოთაა მოთხრობილი.

1986 წლის მიწურულს ფართო საზოგადოებრიობამ შეიტყო, რომ საქართველოს ემუქრებოდა ეკოლოგიური კატასტროფა, რისი გამომწვევიც გახდებოდა ე.წ. ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრა-

ლის მშენებლობა. სამუშაოები მისი გაყვანისათვის დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 17 მაისის დადგენილებით. მაგრამ აქამდე მხოლოდ იმ სიკეთეზე მსჯელობდენ, რასაც ეს მაგისტრალი მოიტანდა. თანაც, არცთუ ისე ფართო და ხმაურიანი მასშტაბით, როგორც ეს ე.წ. „საუკუნის მშენებლობების“ შესახებ კეთდებოდა ხოლმე. ასეთ პირობებში მოულოდნელად დაიბეჭდა აკაკი ბაქრაძის რეპლიკა, რომელშიაც ყურადღება გადატანილი იყო იმ უარყოფით ეკოლოგიურ ზიანსა და ისტორიულ ძეგლთა ხელყოფაზე, რომელიც ამ მშენებლობას მოჰყვებოდა. მალე ამ პროექტის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა წამოიწყო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა (დ. ტურაშვილი, ფ. ჩიხრაძე, თ. ისაკაძე, ლ. ჯაფარიძე, ნ. ბოკუჩავა, ნ. ნიკოლოზიშვილი, ბ. გრიგალაშვილი და სხვა).

ოპოზიციურად განწყობილ სტუდენტობას თანაგრძნობა გამოუცხადა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა. უნივერსიტეტში შეიქმნა სტუდენტთა პრესკლუბი. მისი ხელმძღვანელი გახდა პროფ. ვ. გოგუაძე, რომელიც მაშინ უნივერსიტეტის პრორექტორი იყო. პრესკლუბის მცდელობით მიღწეულ იქნა უნივერსიტეტის გაზეთში ალტერნატიული სტუდენტური ფურცლის გამოშვება.

ხელისუფლება ჯერ იხტიბარს არ იტეხდა. საქ. კპ ცეკას ახალი მდივანი ჯ. პატიაშვილი ირწმუნებოდა—ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის წინააღმდეგ გამოსვლა ხალხის მტრობის ტოლფასიაო. მაგრამ საპროტესტო პუბლიკაციების გავლენით 1987 წლის 3 სექტემბერს იძულებული გახდა ტელევიზიით გამოსულიყო და გაეცხადებია—„უკვე მიღებულია გადაწყვეტილება რომ მშენებლობა ერთ წლის მანძილზე არ გაფართოვდესო“. (ჩხეიძე 1998:59).

ტრანსკავკასიის რკინიგზის პროექტი და დავით გარეჯის მონასტრის სამხედრო პოლიგონის მხრიდან დანგრევის პრობლემა მთავრობის საწინააღმდეგო პოზიციებზე დგომის ერთ–ერთი ძლიერი კოზირი გახდა დამსახურებული დისიდენტების—მ. კოსტავასა და ზ. გამსახურდიასათვის. პირველი ახლახან დაბრუნდა გადასახლებიდან და კვლავ ჩაება ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1987 წლის 11 დეკემბერს ყოფილი პოლიტპატიმრები და დისიდენტები შეიკრიბნენ და პირველი არაფორმალური, ლეგალური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ შექმნეს. დამფუძნებელმა კრებამ ორგანიზაციის წევრად მ. კოსტავა აირჩია. ზ. გამსახურდია კი მის გარეშე დარჩა, მას არ აპატიეს ე. წ. „ტელემონანიება“.

თავი მეორე

1988 წელი

თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს—
წყარო ანკარა.

გალაკტიონი

როგორადაც არ უნდა გაიგოთ სსრ კავშირში 1985 წელს გამოცხადებული გარდაქმნა და საჯაროობა, მისი უშუალო შედეგი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა. თუ ამ მოვლენას 1988 წლამდე სტიქიური არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, ამ წელს იგი მიზანმიმართული და ხელისუფლებისათვის თითქმის მოუხელთებელი გახდა. ყველაზე დიდი დარტყმა იყო ყარაბაღში გაჩაღებული ომი, რომელსაც დაერთო სუმგაიტის ცნობილი ტრაგედია, მღელვარებები ბალტიისპირეთში, საქართველოსა და სომხეთში, სამიტინგო მღელვარებების დაწყება საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში—მოსკოვში.

თავდაპირველად ხელისუფლებამ ალღოც კი ვეღარ აუღო, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა და მის შესაჩერებლად 1988 წლის 28 ივლისს მიიღო კანონი „მიტინგების, ქუჩაში მსვლელობის, დემონსტრაციების ორგანიზაციის და გამართვის წესის შესახებ". მისი დარღვევისათვის წესდებოდა სანქციები. მაგრამ ასეთი ღონისძიებების მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულზე დაბლა იდგა. მალე გამოვლინდა, რომ „იმპერიის სიღრმეებიდან დაძრული ვულკანური ძალები ყოველგვარ კანონსა და კანონიერებას წალეკავდა" (მჭედლური 1995:44).

ამ მოძრაობაში „ჯანყით დამუხტული საქართველო" „მყუდროების" დარღვევის დამწყებსა და მასობრივ გამოსვლათა ავანგარდს წარმოადგენდა.

1988 წლის პირველი მნიშვნელოვანი აქცია გახლდათ 24 თებერვალს თბილისის უნივერსიტეტის შესასვლელთან ჩატარებული მიტინგი. იგი მიმართული იყო დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მახლობლად მდებარე სამხედრო პოლიგონზე საარტილერიო აფეთქებების წინააღმდეგ.

გარეჯასთან პოლიგონის აგება გადაწყდა 1948 წელს. მაშინ ეს სამონასტრო კომპლექსი რუკებზე „ნანგრევებად“ იყო აღნიშნული. ერთ-ერთი პირველი პროტესტი პოლიგონის მავნე მოქმედებათა შესახებ კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებმა გამოაქვეყნეს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (2.3.1973) სათაურით: „დავით-გარეჯა ველარ მოიცდის (მონასტრის დაცვის შესახებ)“ მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა.

1987 წელს შესაძლებელი გახდა პოლიგონის გადატანის შესახებ საკითხის საკავშირო მთავრობის წინაშე დასმა, სტუდენტთა პროტესტებმა აიძულა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობა დროებით აეკრძალა სროლა მონასტრის მიმართულებით და მძიმე ტექნიკის გადაადგილება მის სიახლოვეს. საკითხის შესასწავლად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფიც. მათი დასკვნით—პოლიგონი საფრთხეს უქმნიდა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ ძეგლს. მაგრამ არტილერისტები სროლას მაინც განაგრძობდნენ. რამაც სტუდენტთა დიდი აღშფოთება გამოიწვია, მისი გამოხატულება იყო 24 თებერვლის მიტინგიც. მაგრამ მაშინ ხელისუფლება ჯერ კიდევ არ უწევდა ანგარიშს ასეთ აქციებს.

იგივე საკითხი ფიგურირებდა ერთპიროვნულ აქციაში, რომელიც ზ. გამსახურდიამ გამართა, საქმე იმით დაიწყო, რომ იგი მოსკოვში დანიშნულ დისიდენტთა საერთაშორისო ფორუმზე მიიწვიეს. მიემგზავრებოდა კიდეც, მაგრამ სუკმა მატარებლიდან ჩამოსვა და წასვლა აუკრძალა. ზ. გამსახურდიამ შიმშილობა გამოაცხადა. მისი ძირითადი მოთხოვნები იყო: ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის შეჩერება, ხუდონჰესისა და მინაეჰესის პროექტების შეწყვეტა, გარეჯის პოლიგონის აღკვეთა, პოლიტპატიმარ ბორის კაკუბავას განთავისუფლება. შიმშილობა 28-ე დღეს შეწყვიტა, როცა აღუთქვეს, რომ მის მოთხოვნებს ძირითადად შეასრულებდნენ.

„განვითარებული სოციალიზმის“ პირობებში უამრავი პრობლემა, რომელიც ადრეც არსებობდა, გამომზეურდა და დაჩქარებული გადაჭრა მოითხოვა.

გიგანტომანია საბჭოთა ხელისუფლების ოდინდელი სენი იყო. მის უამრავ უარყოფით მხარეებში, ყველაზე მნიშვნელოვანს აგებული დიდი ობიექტების გავლენით მიმდებარე ტერიტორიების ადამიანის საცხოვრისად უვარგის გარემოდ გადაქცევა წარმოადგენდა. ცნობილია, ენგურჰესის აგებით გამოწვეული ეკოლოგიური სიტუაცია, არადა

იმავე მდინარეზე იგეგმებოდა კიდევ ოთხი ვარდნილჰესი[1]. 1960 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით, ხუდონჰესის კაშხალის სიმაღლე უნდა ყოფილიყო 196,5 მეტრი, ხაიშჰესის—204, ტობარისჰესის—173, ფარისჰესის—173. ამ მშენებლობების განხორციელების შემთხვევაში წყლის დონე მიაღწევდა მესტიამდე და დატბორავდა მის ნაწილს, ცხადია, წყლით დაიფარებოდა უფრო ქვევით მდებარე უამრავი სოფელი.

1988 წლის შემოდგომისათვის ხუდონჰესის მშენებლობაზე უკვე ჩატარებული ჰქონდათ 100 მილიონი მანეთის (დაახლ. 25 მილ. დოლარი) სამუშაოები ისე, რომ მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა შესაძლო ეკონომიკური ეფექტი სჭარბობდა თუ არა მიყენებულ ეკოლოგიურ ზიანს, ან, საერთოდ, რა გავლენას მოახდენდა ხუდონჰესის მშენებლობა ეკოსისტემაზე, დამპროექტებლების აზრით. ეს მოხდა იმის გამო, რომ პროექტის დამტკიცების დროს ჯერ კიდევ არ ითხოვდნენ ეკოლოგიური ვითარების გათვალისწინებას („ახ. კომ"-1988:106).

ადამიანებისა და ბუნებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მიტინგი 1988 წლის მაისში. გამოსვლების დროს სტუდენტები ხმას იმაღლებდნენ თელავისა და გარდაბნის რაიონებში არაქართული მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების უკანონოდ გაცემის წინააღმდეგ. სტუდენტთა გააქტიურების საბაბი იყო 1988 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 70 წლისთავი. იგი პირველი საზეიმო აქტი იყო 1926 წლიდან, როცა ეს თარიღი უკანასკნელად აღინიშნა. მაშინ ხელისუფლებამ არჩია მდუმარედ შეხვედროდა ამ აქციებს. 25 ოქტომბერს კი იძულებული გახდა ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტა გამოეცხადებინა.

ხელახლა ამოტივტივდა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. ასეთი მაგისტრალის გაყვანის გეგმა რუსმა კოლონიზატორებმა ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაამუშავეს. მისი მიზანი იყო ამიერკავკასიის ვრცელი ეკონომიკური რეგიონის რუსეთის მონოპოლიური გაერთიანებისადმი უფრო მტკიცედ დაქვემ-

[1] მათი აუცილებლობა საბუთდებოდა რესპუბლიკის ენერგეტიკული დეფიციტით. მაშინ საქართველოს ელექტროსადგურები აწარმოებდნენ 14,5 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას (აქედან თბილისის თბოელექტროსადგური აწარმოებდა 7 მილიარდამდე კილოვატსაათს). რესპუბლიკას სჭირდებოდა 18,2 მილიარდი კვტ საათი, ე.ი. დეფიციტი შეადგენდა 20 პროცენტს. ზამთარში იგი იზრდებოდა 30 მილიარდ კვტ საათამდე („კომ" 1988:266).

დებარება, სამხრეთ რუსეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის გაუმჯობესება, რკინიგზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე რუსი მუშახელის დასაქმებით ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების დაჩქარება.

ამ მიზნებისაგან არც ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საბჭოთა პროექტი განსხვავდებოდა, მათ დაემატა მაგისტრალის სამხედრო-სტრატეგიული ფუნქცია. საბჭოთა ხელმძღვანელობას განსაკუთრებული მისწრაფებები ჰქონდა ნავთობით მდიდარი არაბული აღმოსავლეთისაკენ. ბოსფორი და დარდანელი მისი სამხედრო გემებისათვის, ომის შემთხვევაში, ჩაკეტილი იყო, ავღანეთის გზით სპარსეთის ყურესთან მიახლოება უშედეგო ავანტურა გამოდგა. დარჩა სამხრეთის საზღვრების მილიტარიზაცია და არმიის დიდი კონტიგენტისა და სამხედრო ტექნიკის ამიერკავკასიის რეგიონში სწრაფი გადმოსროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც ტრანსკავკასიის მაგისტრალით უნდა განხორციელებულიყო. ასეთი სამხედრო ძალით მუდმივი მუქარის ქვეშ იქნებოდნენ „ძმურ ოჯახში“ ძალად შეყვანილი ხალხები, ისინი მეტ მორჩილებასა და ქვეშევრდომულ ერთგულებას გამოიჩენდნენ „ცენტრის“ მიმართ.

პროექტის დამკვეთებსა და ავტორებს ეს ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები კარგად ჰქონდათ გათვლილი, მაგრამ არად დაგიდევდნენ რა დაემართებოდა გარემოს ეკოლოგიას. მშენებლობის განხორციელების შედეგები პოლიტიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა საქართველოსათვის. პოლიტიკურისა—იმიტომ, რომ იგი ხელს შეუწყობდა კავკასიონის ქედის ორივე კალთებზე მცხოვრები ოსების ერთ სახელმწიფოში გაერთიანების მისწრაფების განხორციელებას (მარტო როკის გვირაბი არ კმაროდა!), ხოლო ეკოლოგიურად—ვინაიდან, რკინიგზის გაყვანისათვის საჭირო აფეთქებები და ტყის ჭრა განადგურებით ემუქრებოდა საქართველოს მთიანეთის უნიკალურ ბუნებას და ტრასაზე განლაგებულ ისტორიულ ძეგლებს.

შესაძლებლობის მიხედვით პრესაში, ხოლო უფრო მკვეთრად შეხვედრებსა და შეკრებებზე ქართული ინტელიგენცია, უფრო კი მისი ახალგაზრდული ნაწილი, შეშფოთებას გამოთქვამდა და პროტესტს აცხადებადა ამ მშენებლობის გამო, ხელისუფლებამ „დემოკრატიულობა“ გამოიჩინა და 1988 წლის 9 ივლისს, კავკასიონის საუღელტეხილო მაგისტრალის სავარაუდო ტრასაზე მოაწყო საქ. კპ ცეკას ბიუროს წევრების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგე-

ნელთა მოგზაურობა („ლ.ს.“ 1988:29), რომლის მიზანი იყო გზის გაყვანის მოწინააღმდეგენი ადგილზე დაერწმუნებინათ მათი შეხედულებების მცდარობაში. მაგრამ შთაბეჭდილება იმდენად საპირისპირო იყო, რომ ჯ. პატიაშვილმა მოგზაურობის დასასრულს თქვა: „ასეთი დიდი მშენებლობა დიდ პრობლემასთანაა დაკავშირებული და მისი გაგრძელება მხოლოდ საფუძვლიანი ანალიზისა და დასაბუთების შემდეგ უნდა მოხდესო“. ნუთუ ამის გასაგებად ამდენი ხალხის აყრა და ხეტიალი იყო საჭირო.

20 ივლისს, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხის განსახილველად საქ. მეცნიერებათა აკადემიაში შეიკრიბნენ როგორც ზემოთ დასახელებული დათვალიერების მონაწილენი, ისე სხვა დაინტერესებული პირები. 500-მდე კაცი დარბაზში ვერ მოხვდა. მათ გამართეს მიტინგი. მილიციამ ისინი გარეკა. 21 მომიტინგე დააპატიმრეს და 8 საათის შემდეგ, როცა ირგვლივ სიმშვიდე იყო გაათავისუფლეს („სრ“ 1991:45).

1988 წლის 28-30 ივნისს მოსკოვში მიმდინარეობდა სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია. მის მუშაობაში უკვე დაისახა პირველი კრიზისული მოვლენები პარტიასა და საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ეროვნებათა შორის ურთიერთობებს, რომელიც ცალკე საკითხად განიხილა კონფერეციამ, მაგრამ ვერ მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც ამ მტკივნეულ პრობლემას კერძოდ—ყარაბაღისას, ნაწილობრივ სიმწვავეს მაინც დააკლებდა.

საჯაროობის გამოცხადებამ ხელისუფლებას დიდი თავსატეხი გაუჩინა. მთელ საბჭოეთში აგორდა მიტინგებისა და საჯარო გამოსვლების ტალღა. ამ პროცესის შესაჩერებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ზემოთ დასახელებულმა ბრძანებულებამ, რომელიც, ფაქტობრივად, აკრძალვით ღონისძიებას წარმოადგენდა, პროცესის შეჩერების მაგივრად მისი გააქტიურება გამოიწვია. ხელისუფლება, რაც შეეძლო, თავს იმართლებდა. მაგალითად, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თედო ნინიძე განმარტავდა და ამართლებდა რა ახალ წესებს, იმოწმებდა ვ. ი. ლენინის გამონათქვამს. „რომ ცხოვრობდე საზოგადოებაში და მისგან თავისუფალი იყო შეუძლებელია“. დიდ ბელადსაც ავიწყდებოდა და მინისტრის მოადგილესაც, რომ ცხოვრება თავისუფალ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება და ტოტალიტარულში ერთი და იმავე საზომით არ შეფასდება.

30 სექტემბერს, თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის დადგენილებით მიტინგების ჩატარების ადგილად დაწესდა ჰიპოდრომი. ეს

ნაბიჯი მიტინგების ვიწრო წრის საქმედ გადასაქცევად იყო ჩაფიქრებული. ჰიპოდრომზე მომიტინგეების გარდა ხომ ვერავინ შეიტყობდა, რომ აქცია ჩატარდა!

საჯარობის გამოცხადების მიუხედავად, თავისფალი პრესის არარსებობის პირობებში, მწვავე სოციალურ თემებზე წერა შეუძლებელი იყო. მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გაჩნდა პუბლიკაციების შესაძლებლობა ეროვნებათშორის ურთიერთობების საკითხებზე. თავდაპირველად ქართული სამეცნიერო აზრი და პუბლიცისტიკა, ესმოდა რა ამ პრობლემებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობა, ძირეულ და მასშტაბურ საკითხებს არ ჩასჭიდებია. დიდი იყო ტრადიციის ძალა. შიშობდნენ, ასეთ პრობლემებზე მსჯელობა მათ უფრო გაამწვავებდა და მოგვარების შესაძლებლობას ხელს არ შეუწყობდა.

ეს როდი ნიშნავს, რომ საკითხები, რომლებიც მაშინ განიხილებოდა, საყურადღებო არ იყო, პრესის ფურცლებზე დიდი ადგილი დაიკავა ჰუჯაბის მონასტრის კუთვნილების თემამ. მის გაშუქებაში საპატიო წვლილი შეიტანეს კ. ხარაძემ. ს. აბაშიძემ, ვ. ცინცაძემ და სხვებმა.

ჰუჯაბის მონასტერი მდებარეობს მარნეულის რაიონის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, სოფ. ახკერპიდან (ასე უწოდეს თურქულად სოფლებს ზემო და ქვემო ჰუჯაბს. ახკერპი თეთრ ხიდს ნიშნავს) 1,5 კმ-ზე. იგი XIII ს-ის ძეგლია. ყოველთვის შემოდიოდა საქართველოს საზღვრებში, 30-იანი წლების დასასრულს დამთავრდა საზღვრების საკითხების მოწესრიგება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. 40-იან წლებში შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე საქართველოს საზღვარმა საკმაოდ გადმოიწია, მაგრამ მიუხედავად ამისა ჰუჯაბი კვლავ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩა. ოფიციალური საზღვარი აქედან ასიოდე მეტრზე გადის.

ვ. ცინცაძე მიუთითებდა: ჰუჯაბი 1944 წელს შევისწავლეთ. არავის დაგვბადებია ეჭვი, რომ იგი ქართული არქიტექტურის ნიმუშია. „უხვი ორნამეტული მორთულობა, სარკმლების განაწილება და კიდევ ათასი რამ მხოლოდ და მხოლოდ მის ქართულობაზე მეტყველებს“-ო, ამტკიცებდა იგი („ახ.კომ“ 1988:128), 60-იან წლებამდე ჰუჯაბის საქართველოსადმი კუთვნილება არავის გაუხდია სადავოდ. მონასტრის თაღზე შემორჩენილია ქართული წარწერის ფრაგმენტი. იკითხება მხოლოდ ორი ასო (იქვე: 139).

60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო სომეხ მეცნიერთა შეტევა ჰუჯაბის მონასტერზე. იქ დანიშნეს სომეხი მცველი. მიაკრეს სომხურ-

წარწერიანი დაფები. თუმანიანის რაიონის კულტურის განყოფილებამ შეადგინა ძეგლის სომხური პასპორტი.

1979 წელს, ჰუჯაბში სარესტავრაციო სამუშაოების საწარმოებლად ჩავიდა სამხატვრო აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა 20 კაციანი ჯგუფი. მაგრამ სომხეთის ხელისუფლებამ ისინი გამოაძევა.

სომხურ სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში ჰუჯაბი თუმანიანის რაიონში მდებარე სომხური არქიტექტურის ძეგლადაა გამოცხადებული. „ახლა ამდგარან და ხეხილის ბაღებისათვის (რომელშიც მონასტერი მდებარეობს.—გ.მ.) თვითნებურად „ჩამოუჭრიათ" 100 მეტრი ფართობი, დაუსვამთ ხის პალოები და გაჰყვირიან საზღვარი აქ გადისო" წერს კ. ხარაძე (იქვე: 124).

ჰუჯაბის მონასტერი დაზიანებულია და შეკეთებას მოითხოვს. ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსს ი. ციციშვილს უცდია ძეგლის რესტავრაციის ჩატარება, სომეხთა მონაწილეობით, მაგრამ პირველად დათანხმებული სომეხი კოლეგები შემდეგ უარზე წასულან. უთქვამთ: სომხური ძეგლია და ჩვენ თვითონ აღვადგენთო.

ჰუჯაბის მონასტერი ერთადერთი გამონაკლისი არ არის. სომეხ მეცნიერთა (პარუირ მურადიანი და სხვ.) შემოტევა ქართული კულტურის მისათვისებლად გრძელდება. ლამის ნახევარი საქართველო სომხეთის ისტორიულ რუკაზეა დატანილი. გვართმევენ „შუშანიკის წამებას". რაფიელ დანიბეგაშვილს სომეხად აცხადებენ. ჯავახეთი სომეხ ნაციონალისტთა—„დაშნაკთა" თავშესაფრადაა გადაქცეული. საზოგადოება, „ჯავახნქმა" ჰუმანიტარულ ნობათად ახალქალაქში მესროპ მაშტოცის ძეგლი მოგვიძღვნა, ხოლო გრიგოლ პართელის მონუმენტისათვის ქვა ჩამოტანილი აქვთ („ა-ს" 1997:26). 1998 წლის ოქტომბერში ჯავახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიც გამოაქვეყნეს.

ქართველი კაცის გულისტკივილს ასეთი ფაქტები, ცხადია, მალამოდ არ ედებოდა, მაგრამ კიდევ უფრო საწყენი იყო ის რაც ქართულ მიწაზე ხდებოდა. 1988 წლის ზაფხულში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. აგუბერდიაში ბედიის მონასტრის რესტავრაციაზე მომუშავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფს ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელობამ მუშაობის გაგრძელება აუკრძალა. საბაბად ის დაასახელეს, რომ სტუდენტებს ჰქონდათ რესტავრაციის ნებართვა გაცემული საქ. მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ა. აფაქიძის მიერ, რომელიც თურმე შეთანხმებული არ ყოფილა სოხუმის ხელმძღვანელობასთან. („აბკომი" 1988:128). მაშასადამე, გამოდის: საქარ-

თეელოს ხელისუფლების იურისდიქცია ჯერ კიდევ მაშინ არ ვრცელდებოდა ოჩამჩირის რაიონში. არადა ბედიის ტაძარი სავალალო მდგომარეობაში იყო. იგი 1957 წელს გადახურეს თუნუქით, მაგრამ შენობაში წყალი ჩამოდიოდა. ზიანდებოდა ინტერიერი, ლეონ III-ის, ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის ფრესკები. ნეტავ რა დღეშია ბედიის მონასტერი? 1997 წლის 12-15 ივნისს აფხაზეთის ისტორიული ძეგლები იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფმა ინახულა. აღნიშნა მათი სავალალო მდგომარეობა („სრ" 1997:138). გამონაკლისი არც დიდი მეფის, საქართველოს გამაერთიანებლის, ბაგრატ III-ის მიერ აგებული ბედია იქნება.

უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტიურობამ თავისებური ასახვა ჰპოვა საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურული საქართველოს" ნომრის (№ 41,1988) მათი პუბლიკაციებისათვის მიძღვნაში. ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც მაშინ სტუდენტთა პრესკლუბმა დააყენა იყო უნივერსიტეტისათვის ავტონომიის მინიჭება.

ოფიციალური პრესა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ყოველთვის ასეთ დამოკიდებულებას როდი იჩენდა. მარნეულში, 1988 წლის 4 ოქტომბერს, გააუპატიურეს 18 წლის ქართველი გოგონა. მაშინ არ გაუმხელიათ, მაგრამ დამნაშავე აზერბაიჯანელი, ვინმე გასანოვი იყო. 6 ოქტომბერს ამ საზიზღრობის გამო სოფელ ორჯონიკიძეში (სადაც დაზარალებული ცხოვრობდა) გაიმართა სოფლის ყრილობა. იმავე დღეს, ისარგებლეს რა საყოველთაო აღშფოთებით, არაფორმალებად წოდებული ორგანიზაციების ლიდერებმა ზ. გამსახურდიამ, მ. კოსტავამ, გ. ჭანტურიამ, ი. წერეთელმა თბილისში ჰიპოდრომზე შეკრიბეს უზარმაზარი საპროტესტო მიტინგი. მისი მასალებიდან ჩანდა, რომ მარნეულში მომხდარი ფაქტი მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, მოძრაობა აშკარა ანტიიმპერიულ რელსებზე იდგა. ეს არ გამორჩენია ოფიციოზს. გაზ. „კომუნისტში" (№ 234) გამოქვეყნებული კორესპონდენციაში ზაურ გვაზავა ამ აქციას ნაციონალისტურსა და ხალხთა შორის შუღლის ჩამომგდებს უწოდებდა. იქვე მას მოჰყავდა რესპოდენტთა პასუხები, რომლებშიაც ზემოთ დასახელებული პირები „არაკეთილსინდისიერ ადამიანებად არიან გამოცხადებული, მათ თურმე უსარგებლიათ „ლამის ისტორიამდელი გაცვეთილი ხერხით, თავისი მიზნებისათვის გამოუყენებიათ—ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული გულისწყრომა, შეეცადნენ ესარგებლად ამ ავკაცობით თავის ბინძურ თამაშში".

მალე „ეროვნებათაშორის შურისგამჩაღებელთა დასჯა" მოითხოვეს

„შრომითმა კოლექტივებმა“. შედეგად არაფორმალთა ლიდერები ვეღარ დააპატიმრეს, მაგრამშთამ ბეჭდავი ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

22 ოქტომბერს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა პროექტი „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ იგი წინანდელზე მეტად ზრდიდა ცენტრის უფლებებს. პროექტის XV თავის 108-ე მუხლში ეწერა: „მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გამგებლობას განეკუთვნება... გადაწყვეტილებათა მიღება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე“ („კომ“ 1988:243). ამით, ფაქტობრივად, უკუგდებული ხდებოდა 1936 წლის „სტალინური“ კონსტიტუციით აღიარებული უფლება, რომელიც 72-ე მუხლად ასეთი ფორმულირებით შევიდა ე.წ. „უძრაობის პერიოდის“ 1977 წლის კონსტიტუციაში: „ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება“. ასეთი უფლება ფორმალურად, მაგრამ მაინც, გამოცხადებული იყო სკკპ-ის პოლიტიკურ კურსად. კერძოდ, ბოლშევიკთა სრულიად რუსეთის VII პარტკონფერენციაზე (1917 წლის აპრილი) ხაზგასმულ იქნა თეზისი: „რუსეთში შემავალ ყველა ერს აქვს უფლება თავისუფლად გამოიყენოს და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო“. შემდეგ კი გრძელდებოდა: „ასეთი უფლების უარყოფა და იმ ზომების, მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის პრაქტიკულ განხორციელებას, უდრის დაპყრობათა ანუ ანექსიის პოლიტიკის მხარდაჭერას“ (სკკპ...რეზოლუციებში, ნაწ. I, გვ. 487).

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების დარღვევას გულისხმობდა პროექტის 119-ე მუხლი. მის მე-13 პუნქტში ეწერა: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი... აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის ინტერესებისათვის და აუცილებლობის შემთხვევაში აწესებს მართვის განსაკუთრებულ ფორმებს“. როგორც ვხედავთ, ეს მუხლი საგარეო საფრთხისაგან კი არ იცავდა ქვეყანას, არამედ „საგანგებო წესების“ და „მართვის განსაკუთრებული ფორმების“ შემოღებით, „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის“ და მის შენარჩუნებას ემსახურებოდა. ამასთანავე ყველაფერი ეს კეთდებოდა რესპუბლიკების და რეგიონების ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. ამ და სხვა შესწორებებით სსრ კავშირის ფედერალური სახელმწიფო უნი-

ტარულისკენ მიექანებოდა[1]. უარყოფილი იყო საბჭოთა ფედერაციის შეზღუდული პრინციპიც კი, რომელიც კონსტიტუციის 70-ე მუხლში ასე იყო გამოთქმული: „ფედერაცია—სახელმწიფოთა კავშირის ნაირსახეობაა, იგი საკავშირო სახელმწიფოა—მოიცავს რამდენიმე სახელმწიფოს, რომლებიც გადასცემენ ცენტრალურ, ფედერალურ ხელისუფლებას თავისი სუვერენული უფლებების გარკვეულ ნაწილს საერთო ინტერესების ერთობლივი დაცვის მიზნით, ამავე დროს მათ რჩებათ საკუთარი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სუვერენული პოლიტიკური ორგანიზაციის სხვა ატრიბუტები".

წლების განმავლობაში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვა-გამგებლობის საშუალებით ფედერალური ორგანოები ნერგავდნენ უნიტარული სახელმწიფოს მმართველობის წესებს, რაც ზღუდავდა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს, მათ დამოუკიდებლობას იმ სფეროებშიც, რომლებიც საკავშირო კომპეტენციის ფარგლებს გარეთ იყო.

ახლა შესწორებების პროექტმა, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა. საქართველოში განსაკუთრებით არ იწონებდნენ ზემოთნახსენებ მუხლებს. მათით აღშფოთებული იყვნენ სხვა რესპუბლიკებშიც. კერძოდ, ესტონეთის საზოგადოებრიობამ გაზეთ „სოვეტსკაია ესტონიაში" გამოქვეყნებული წერილის მიხედვით, ეს მუხლები მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის ხელყოფად გამოაცხადა („ახკომი" 1988:135).

თავიდან რესპუბლიკის ახალგაზრდობის ხელმძღვანელობამაც კი ვერ აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. საქ. ალკკ ცეკას პირველი მდივანი ჯ. მარგველიძე უარყოფდა ახალგაზრდობის შეშფოთებას. რასაც შესწორებების 108-ე მუხლი იწვევდა და თვითდაჯერებულად წერდა: „ეს ფორმულირება სწორად გამოხატავს საბჭოთა კავშირის, როგორც სუვერენულ რესპუბლიკათა არსს"-ო („კომ" 1988: 261).

პროექტის გამოქვეყნებისთანავე საქართველოში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. მათი ნეიტრალიზების მიზნით ხელისუფლება შეეცადა მოვლენების განვითარება თვითონ ემართა და მისთვის სასურველი მიმართულება მიეცა. ამ ცდების რეალიზაცია ხდებოდა

[1] მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა უნიტარულია. სსრ კავშირის გადაქცევა უნიტარულ სახელმწიფოდ შეუძლებელი იყო, რადგან იგი მოკავშირე და ავტონომიური ერთეულებისაგან შედგებოდა. უნიტარულ სახელმწიფოდ გადაქცევის უაზრო ცდებმა მასი დაშლა დააჩქარეს.

სხვადასხვა დონის თათბირების მოწვევით და ნახევრად დემოკრატიული უმტკივნეულო დადგენილებათა მიღება-გამოქვეყნებით.

ასეთ ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნებოდა 22 ოქტომბერს მოწვეული თათბირი, რომელზედაც შეეხნენ: „რთულ დემოგრაფიულ სიტუაციას რესპუბლიკაში, ეროვნებათშორის ურთიერთობათა სფეროში დაგროვილ პრობლემებს", მიწათსარგებლობის წესების დარღვევებს, „გამოითქვა შეშფოთება ეკოლოგიის მდგომარეობისა და გარემოს დაცვის ორგანიზაციის გამო. კერძოდ, ხუდონის ჰიდროსადგურისა" და სხვა მშენებლობებთან დაკავშირებით (იქვე:246).

თათბირზე არ დავიწყებიათ ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი. გააკრიტიკეს პ. გილაშვილი ქ. მარნეულში შეკრებაზე გაკეთებული „ცალკეული გამონათქვამების" გამო. მეტი ვერ გაუბედეს მაშინ საქ. სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც მარნეულში ანტიქართული გამოხდომებით შეურაცხყო ქართული საზოგადოებრიობა[1].

1988 წლის 21 ოქტომბერს, აჭარის პრობლემებთან დაკავშირებით, ქ. ბათუმში გაიმართა დემონსტრაცია და მიტინგი. იგი სანქციონირებული არ იყო და დააპატიმრეს 11 მოქალაქე. ამის საპასუხოდ პედინსტიტუტის შენობასთან შეიკრიბა 600-ზე მეტი კაცი. მათი მოთხოვნით პატიმრები გაათავისუფლეს. ამ აქციაში მონაწილე მერაბ კოსტავა ბათუმიდან გააძევეს. ზვიად გამსახურდია და მისი ოჯახი სუკის მანქანით ჩაიყვანეს თბილისში („სრ" 1991:45).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით წარმოშობილი დათმობა იყო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პროექტი, რომელიც პრესაში 1988 წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა. ეს პრეცედენტი შემდგომში ხელისუფლების რუპორებს არაერთხელ მოუყვანიათ ქართული ენისა და სხვა ეროვნულ ღირებულებებზე საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ზრუნვის გამოვლინებად,

ოფიციოზი თავისი მიზნებისათვის იყენებდა რუსთაველის საზოგა-

---

[1] სახელდობრ, მარნეულის რაიონის სოფ. ორჯონიკიძეში გამართულ, ზემოთ მოხსენიებულ შშრომელთა ყრილობაზე პ. გელაშვილმა ადგილობრივ ქართველებს მიმართა: „თქვენ, მარნეულის ქართულ მოსახლეობას, თურმე ის გაგიუბებთ, რომ აჭარელმა აზერბაიჯანელებმა ქართული არ იციან და არც ცდილობენ მას შესწავლას... თუ ისინი არ სწავლობენ ქართულს თქვენ ისწავლეთ აზერბაიჯანული, თქვენ ცოტანი ხართ, ისინი ბევრნი არიან". ეს განაცხადა პიროვნებამ, რომელსაც, ფაქტობრივად, საქართველოს პრეზიდენტის პოსტი ეჭირა, მას თუ არა ვის უნდა დაეცვა ქართული ენის კონსტიტუციური უფლება?

ბევრს წერდნენ და ამბობდნენ პ. გილაშვილის პიროვნული მოუსყიდველობისა და პატიოსნების შესახებ. მაგრამ განა პატიოსნებაა ასეთი განაცხადების შემდეგ სანგრძლივად იჯდე შენ მიერ შეურაცხყოფილი ერის უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე?

დოებასაც, რომელიც ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით შეიქმნა, არაფორმალების მიერ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დაფუძნების საპირისპიროდ. 1988 წლის 10 ნოემბერს შედგა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. ირ. აბაშიძე საზოგადოების პირველი ყრილობის მოწვევამდე განთავისუფლდა თავმჯდომარის თანამდებობიდან. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (აკაკი ბაქრაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, სარგის ცაიშვილი). მათ დაევალათ საზოგადოების პროგრამისა და წესდების შემუშავება.

უსათუოდ ასეთივე გავლენის შედეგი იყო ისიც, რომ ოდიოზურ ფიგურად ქცეული გ. ციციშვილი, 10 ნოემბერს გაათავისუფლეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან და მის მაგივრად აირჩიეს ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებთან ახლო მდგომი მუხრან მაჭავარიანი („ლს“ 1988: 47), რომლის პოეზია ადრიდანვე გამოირჩეოდა ოპოზიციურობით და რადიკალიზმით, მაგრამ რუსთაველის პრემიითა და სხვა ჯილდოებით მოათვინიერეს და ხელისუფლების სასარგებლოდ ამღერეს. შემდეგშიც მან თავისი ეს წაჯექ-უკუჯექობა ერთხანს შესანიშნავად გამოიყენა. ასეა, ღვთის მადლით მოსილი პოეტებიც არ არიან დაზღვეული ცოდვებისაგან.

დასახელებული პროფილაქტიკური ღონისძიებები საკმაო არ აღმოჩნდა უკვე აგორებული ეროვნული მოძრაობის ტალღის შესანელებლად. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში აქამდე არნახული საპროტესტო მანიფესტაცია მოეწყო. მასში მონაწილეობდა 100 ათასამდე კაცი. გადაკეტილი იყო რუსთაველის, ჭავჭავაძისა და გურამიშვილის ქუჩები. მანიფესტაცია დამთავრდა მიტინგით ჰიპოდრომზე. აქცია სანქციონირებული იყო, რადგან შეეშინდათ მიტინგი არ გამართულიყო მთავრობის სახლის წინ. ეს ადგილი და ძერჟინსკის (ახლა ინგოროყვას) ქუჩა გადაკეტილი ჰქონდათ სამეხდროებს.

დემონსტრანტების ძირითადი მოთხოვნები იყო: 1. გაეუქმებინათ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულება დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობის აკრძალვის შესახებ, 2. არ დაეშვათ კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტით გათვალისწინებული შესწორებანი, რომელთა მიხედვითაც სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლა მხოლოდ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეროგატივა იყო; 3. შეეწყვიტათ სვანეთში გიგანტური წყალსაცავებისა და ჰიდროსადგურების მშენებლობა.

დემონსტრაციებს მოჰქონდათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები: „გა-

უმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს", „შეწყდეს საქართველოს რუსიფიკაცია", „შეწყდეს ქართული მიწებით ვაჭრობა" და სხვ. მომიტინგეები დაიშალნენ იმ პირობით, რომ 19 ნოემბრისათვის მათი მოთხოვნები გადაწყვეტილი იქნებოდა („სრ" 1991:45).

20 ნოემბერს ასეთივე მოთხოვნებით 30 ათასიანი მიტინგი მოეწყო ბათუმში.

ხელისუფლება წავიდა ზოგიერთ რადიკალურ დათმობაზე. 19 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება—„სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" პროექტის განხილვის დროს წამოყენებული წინადადებების გათვალისწინების შესახებ". კერძოდ, აუცილებლადაა ცნობილი შეიცვალოს პროექტით გათვალისწინებული ნორმა, რომ „გადაწყვეტილება სსრ შემადგენლობის საკითხზე" სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ კი არ მიიღოს, არამედ უნდა დარჩეს ძველი კონსტიტუციის 72-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირიდან გასვლის საკითხს სწყვეტს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ასევე მიუღებლადაა მიჩნეული პროექტის მოთხოვნა სამხედრო და საგანგებო წესებისა და მართვის განსაკუთრებული ნორმების შემოღების უფლების მხოლოდ საკავშირო უმაღლესი საბჭოსათვის მინიჭების თაობაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინადადებით, სამხედრო და საგანგებო წესების გამოცხადება უნდა დარჩეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეროგატივად, მაგრამ „რომელიმე რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მმართველობის განსაკუთრებული ფორმების შემოღება უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თხოვნით და მასთან შეთანხმებით („კომ" 1988:267).

ვნებათა ღელვა ამ ბრძანებულების გამოქვეყნებამ ვერ ჩააქრო, არავითარი გარანტია არ იყო, რომ საკავშირო ხელისუფლება მათ გაითვალისწინებდა, თბილისში კიროვის სახელობის პარკსა და მთავრობის სახლის წინ უწყვეტად ეწყობოდა ხალხმრავალი მიტინგები. თავდაპირველად შიმშილობა გამოაცხადა რამდენიმე ახალგაზრდამ, შემდეგ ასეთთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 22 ნოემბერს 200-ს გადააჭარბა[1].

[1] შეშფოთებულმა ხელისუფლებამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით საქ. სსრ უზენაესი საბჭოს სესია მოიწვია. 23 ნოემბერს სესიამ მოიწონა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 19 ნოემბრის ბრძანებულების ყველა ძირითადი დებულება.

ოფიციალური პრესა არ ამხელდა ამ აქციის არსებობას. მართალია, გაზეთ „კომუნისტში“ 23 ნოემბერს გაჩნდა ხელმოუწერელი წერილი, სადაც ლაპარაკია ახალგაზრდობის შეკრებებზე კიროვის სახელობის პარკსა და მთავრობის სახლის წინ, მაგრამ მასში ახალგაზრდობის მოქმედებას არ ამართლებენ. პირიქით, საყვედურობენ კიდეც, რომ უსანქციო აქციებს ატარებენ და, თანაც, ნებადაურთავ ადგილებზე. თურმე ყველაფერი ეს ფუჭი ძალისხმევაა, რამდენადაც, როგორც წერილში ვკითხულობთ: „გულზე ხელი დავიდვათ და ვთქვათ, განა ეს გულისტკივილი (ლაპარაკია კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის 108-ე და 119-ე მუხლებზე.—გ.მ). ჩვენზე ნაკლებად აღიქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, უმაღლესმა საბჭომ“ (იქვე: 269). ამ რიტორიკული კითხვით ისიცაა ნათქვამი მეტი რაღა გინდათ, ასეთი კარგი ხელისუფლება გვყავს, დაუფასეთ მას თავდადება, რა უმადურები ხართო.

რაც შეეხება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“, რომლის უშუალო დანიშნულებასაც ახალგაზრდობის ცხოვრებისა და ინტერესების გაშუქება წაროადგენდა, პირველად მხოლოდ 29 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა თბილისში გამართული მიტინგებისა და შიმშილობის შეასახებ. მდგომარეობის სიმწვავის გამო გაზეთში გამოთქმულია შეშფოთება საქმე სისხლისმღვრელ შეტაკებამდე არ მივიდესო და აქციის მონაწილეებს მოუწოდებენ დაფიქრებისა და თავშეკავებული მოქმედებისაკენ. გამამხნევებელია ქ-ნ ლანა ღოღობერიძის წერილი. „მე ვამაყობ თქვენით,—მიმართავდა იგი ახალგაზრდობას,—ვამაყობ, რომ ასეთი მძლავრი აღმოჩნდა თქვენში ეროვნული იდეა, ამიტომ მჯერა, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ საქმეებს გავაკეთებთ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ („ახკომი“ 1988:142).

25 ნოემბერს, აქციის მიმდინარეობის აღმავლობის ეტაპზე, მოხდა იმ დროს გაუგონარი და სენსაციური ფაქტი: კოოპერატივ „საბურთალოს“ თანამშრომელმა გაბრიელ ისაკაძემ ჩამოაგდო მთავრობის სახლის შენობაზე მოფრიალე წითელი დროშა. „დამნაშევე“ შეიპყრეს. ნაცვლად საპატიმროსა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. შემდეგ ორი წელი საპყრობილესა და საგიჟეში ამყოფეს. 1993 წელს გ. ისაკაძე „მხედრიონელებმა“ მოკლეს. 4 შვილის მამის მოკვლისათვის არავინ დაუსჯიათ.

22-29 ნოემბრის აქციების დროს პროტესტების თემა გასცდა კონსტიტუციის კანონპროექტისა და გარეჯის მონასტრის ნგრევის აღკვე-

თის პრობლემებს და დამოუკიდებლობის მოთხოვნის სახით უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ოფიციალური ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემის კვალობაზე,—წერს დ. მჭედლური,—უზომოდ გაიზარდა „არაფორმალთა“ ბელადების განსაკუთრებით ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას ავტორიტეტი. საერთოდ აღიარებულია, რომ ოქტომბერ-ნოემბრის აქციების ორგანიზატორები იყვნენ გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და ეროვნული მოძრაობის სხვა ახალგაზრდა მოღვაწენი, მაგრამ იმ დროს საზოგადოების ფართო წრეები მათ თითქმის არ იცნობდნენ და ყოველივე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელს უკავშირდებოდა“. (მჭედლური 1995:47).

მაშინვე მოხდა ერთი სიმპტომატური ფაქტი. 28 ნოემბერს რესპუბლიკის პროკურორმა გაფრთხილება გამოაქვეყნა: აქციის დაუშლელობის შემთხვევაში მკაცრი სასჯელით იმუქრებოდა. სამხედროებს კი ჯავშანტექნიკა გამზადებული ჰყავდათ. ასეთ პირობებში კინოს სახლში შეკრებილმა დისიდენტთა უმეტესობამ ზ. გამსახურდიას თხოვა დასთანხმებოდნენ აქციის შეწყვეტას. მაგრამ მათ უარი მიიღეს (ჩხეიძე 1988:78). მაშინ მომიტინგეები დარბევას გადაურჩნენ, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილს, როცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ შეკრებილებს მოუწოდა—დიდი საფრთხეა მოსალოდნელი, აქცია შეწყვიტეთ და ტაძარში ჩემთან ერთად სალოცავად წამოდითო, მათ მღვდელთმთავრის ვედრება არ შეისმინეს და ტრაგედიაც დატრიალდა. ცხადია, დისიდენტი ლიდერები, რომ 1978 წლის 14 აპრილსა და 1988 წლის ნოემბრის დაუსჯელობის სინდრომით არ ყოფილიყვნენ გათამამებული, უფრო ფრთხილნიც იქნებოდნენ და უფრო მომსმენიც!

აქციას შედარებით უკეთ აშუქებდა საქართველოს ტელევიზია. ყოველ საღამოს აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. მენაღარიშვილი. აქციის შეწყვეტის წინა დღის ცნობით ასზე მეტი მოშიმშილე იყო გადაყვანილი საავადმყოფოში („ახკომი“ 1988:142).

28 ნოემბერს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების განსახილველად შეიკრიბა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია. იმავე ღამით თბილისში დარეკა საბჭოთა კავშირის საგარეოსაქმეთა მინისტრმა ედ. შევარდნაძემ და გადმოსცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის თხოვნა შეეწყვიტათ აქცია, რამდენადაც წამოყენებულ პირობებს აკმაყოფილებდნენ. ამ „წყალობის“ რეზონანს შემდეგში მწერალი რევაზ ჯაფარიძე ასე აღწერდა:

29 ნოემბერს, როცა ეს მომართვა მომიტინგეებს გააცვნეს „თვალსეირის საყურებლად მოგროვილმა მრავალათასიანმა ლიანგმა მოედანი დატოვა“, მაგრამ რადგან „პარტიების“ გადაწყვეტილი ჰქონდა აქცია 11 საათამდე არ შეეწყვიტათ. ათზე მეტ მოშიმშილეს ნება არ დართეს მოედანი დაეტოვებინათ. ამით პარტიული დისციპლინიანობა უნდა დამტკიცებულიყო („კომ“ 1988:290).

XI სესიამ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების 108-ე და 119-ე მუხლები საქართველოს დეპუტაციის მიერ წარდგენილი ფორმულირებით მიიღო. ამას საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. სსრ კავშირის კონსტიტუციაში რამდენი რამ ეწერა, მაგრამ, ფაქტობრივად, არ სრულდებოდა, ასე დაემართებოდა ახლად შეტანილ ცვლილებებსაც. ეს შესანიშნავად მოეხსენებოდა მ. გორბაჩოვს, რომელსაც ასეთი რამეები ვ. ლენინისაგან ჰქონდა ათვისებული, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი კი 1922 წელს წერდა: „ასეთ პირობებში ძალიან ბუნებრივია, რომ „კავშირიდან გასვლის თავისუფლება“, რითაც ჩვენ თავს ვერ ვიმართლებთ, ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის „სხვატომელები“ (თხზ., ტ. 36, გვ.689). მისი სიკვდილის შემდეგ ბოლშევიკებს ასეთი მუხანათობა არ დავიწყებიათ, პირიქით, თავის სასარგებლოდ ბევრი ახალიც ისწავლეს.

საერთო შთაბეჭდილება კი ისეთი იყო, რომ ხელისუფლება დათმობაზე წავიდა. თუმცა პრესაში არ წყდებოდა ჩატარებული აქციებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამომმხატველი წერილები. 30 ნოემბერს „კომუნისტი“ მიიჩნევდა—მიტინგებმა და შიმშილობამ დაარღვია ცხოვრების ნორმალური რიტმი და მხოლოდ ზარალი მოიტანაო. „ახკომი“ (1. XI) ასეთ აქციებს მოქმედების „მიუღებელ ფორმად“ აცხადებდა. ერთხმად იძახდნენ: დემოკრატია და საჯაროობა უნდა ვისწავლოთო, სინამდვილეში კი გულისხმობდნენ—ჩვენ უკვე ვიცით, ხომ ხედავთ რა სამართლიანად ვიქცევით, სწავლა თქვენ გჭირდებათო!

ფაქტობრივად კი საკითხი სულ სხვა სიბრტყეში უნდა დასმულიყო. ნოემბრის ამბებმა დაადასტურა, რომ ქართულ საზოგადოებას არ გააჩნდა ერთიანი თვალსაზრისი, ერთი გამოკვეთილი პრინციპი, ყოველმხრივ ღრმად გააზრებული, გულდასმით აწონილ-დაწონილი, რეალურ ვითარებას მისადაგებული სამოქმედო პროგრამა. არ ჰქონდა იგი არაოფიციალურად არსებულ პარტიებსა და საზოგადოებებსაც. ამიტომ ისინი მაშინ გააქტიურდებოდნენ ხოლმე, როცა კატალიზატორი გაჩნდებოდა. აქედან გამომდინარეობდა მთელი ეროვნულ-განმა-

თავისუფლებელი მოძრაობის სტიქიური ხასიათი და დაქსაქსულობა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში მკაფიოდ გამოხატული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორია და ტაქტიკა არც შემდგომში დამუშავებულა, ხოლო მრავალპარტიულობა და მისგან გამომდინარე მოქმედების დაქსასულობა კიდევ უფრო გაიზარდა. ყველაფერმა ამან მწვავე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩიხამდე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვამდე მიგვიყვანა.

არსებობს ნოემბრის მოვლენების შეფასების რამდენიმე ცდა. მათგან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ორზე. დ. მჭედლური: „ამიერიდან ხელისუფლებამ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველგვარი გავლენა დაკარგეს; საზოგადოებრივი წესირიგი საბოლოოდ მოიშალა, „ეროვნული მოძრაობა“ იქცა გაბატონებულ, დამთრგუნველ ძალად. საქართველოში „არაფორმალთა“ დიქტატურა დამყარდა“ (მჭედლური 1995:48). რ. ჩხეიძეს კი სურს დაამტკიცოს, რომ ამიერიდან გაქარწყლდა ზ. გამსახურდიასადმი ცნობილი ტელემონანიებით მიმდგარი ჩრდილი, მან საბოლოოდ აღიდგინა ავტორიტეტი და მის ხელში აშკარად „გადადის მოვლენათა სადავეები“ (ჩხეიძე 1998:75). ორივე ეს შეხედულება, ჩვენის აზრით, მხატვრული სიტყვის ოსტატებისათვის დამახასიათებელ პუბლიცისტურ სტილშია გამოთქმული და დამატებით მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვს. ცხოვრებამ მთელი სისასტიკით დაამტკიცა, რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროსაც არ დაანებეს ეროვნული მოძრაობის სადავეების სრულყოფილი მართვა. ეს სფერო მისთვის ბოლომდე მოუხელთებელი დარჩა, რამაც მისი დაღუპვა დააჩქარა.

ნოემბრის აქციებში მონაწილეობდა რაიონებიდან ჩამოსული მრავალი მოქალაქე. ამან საშუალება მისცა არაფორმალთა ლიდერებს იმ მიზნით, რომ მოძრაობას ტემპი არ დაეკარგა, მოქმედება ცენტრიდან ადგილზე გადაეტანათ. ამას ხელისუფლება მომზადებული შეხვდა. ეს ცხადი გახდა ქუთაისში 3 დეკემბერს გამართულ მიტინგზე. თბილისიდან ჩამოსულები ძლიერ აქტიურობდნენ, მათგან გამოირჩეოდა გ. ჭანტურია, მაგრამ ადგილზე კარგად მომზადებული დაახვედრეს არაფუნქციონერი, თუმცა საზოგადოებისათვის ცნობილი რამდენიმე პირი, რომელთაც ჩატარებულ მიტინგს „მშვიდი“, ხელისუფლებისათვის მოსაწონი მიმდინარეობა მისცეს. „სტუმრებმა“ სცადეს

ქალაქში მსვლელობის მოწყობა. რაც „ხულიგნურ გამოხტომად“ ჩაითვალა და, ფაქტობრივად, ჩაიშალა. მიუხედავად ამისა, ქუთაისში ჩატარებულ ამ აქციაზე ბევრმა ანტისაბჭოთა ლოზუნგმა და მოთხოვნამ გაიჟღერა („კომ“ 1988:278).

„არაფორმალებს“ უფრო არასტუმართმოყვარედ შეხვდნენ აჭარაში. 10 დეკემბერს მათ სურდათ მიტინგი ჩაეტარებინათ ქ. ბათუმში. მაგრამ სპიტაკის მიწისძვრასთან[1] დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის მომიზეზებით სანქცია ვერ მიიღეს, მოინდომეს მაინც გაემართათ აქცია. ამის საწინააღმდეგოდ წინასწარ მომზადებულმა ძალებმა მიტინგი ჩაშალეს. პრესა იტყობინებოდა: „გონივრული რჩევითა და საუბრით მათ ვერაფერი გააგებინეს, მოსახლეობა იძულებული გახდა ისინი აჭარიდან გაეძევებინა“ (იქვე:285).

5 დეკემბერს საქ. კპ ცეკამ შეკრიბა პარტიული ხელმძღვანელობისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა თათბირი. საგულისხმოდ იყო ფორმულირებული მისი დღის წესრიგი: „რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ექსტრემისტული გამოვლინებისათვის დასწრების ღონისძიებანი“. არ დარჩენილა საქართველოში ცოტათი მაინც ავტორიტეტული პიროვნება, თათბირზე რომ სიტყვა არ წარმოეთქვას. გამომსვლელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ცენტრალურ კომიტეტს და არა მომიტინგეებს. შეხვედრაზე ხშირად იმეორებდნენ, რომ ასეთი აქციები აშკარად ეწინააღმდეგება მოქმედ კონსტიტუციას. და არ შეიძლება არ გამოიწვიოს საყოველთაო აღშფოთება და გმობა („ლს“1988:50). ამიტომ სრულიად ბუნებრივად მოჩანს ოფიციოზის კმაყოფილებით საესე შეფასება: „23-29 ნოემბრის მოვლენების და სხვა მიმდინარე პროცესების ანალიზი მოწმობს, რომ სარგებლობენ რა დემოკრატიით, მათი ორგანიზატორები აშკარად უგულვებელყოფენ საბჭოთა კანონებს, განზრახ აზვიადებენ სიძნელეებსა და პრობლემებს. ამწვავებენ ემოციებს, ცდილობენ თავიანთი მოქმედებით განხეთქილება შეიტანონ საზოგადოებაში“ („კომ“ 1988:280).

გამომსვლელთა ერთმა ნაწილმა შემდეგში პრესაშიც გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება. მათში ცხადად იგრძნობა „არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის“ სურვილი. მოვიტანთ მათ შორის ყველაზე ტიპიურს. თ. ბუაჩიძე მომხდარ მოვლენებს „ქართველი ერის საწინააღმდე-

[1] სპიტაკის მიწისძვრა მოხდა 1988 წლის 7 დეკემბერს. უკანასკნელი 80 წლის მანძილზე იგი ყველაზე ძლიერი (8 ბალი) იყო კავკასიაში მომხდართა შორის. დაღუპა 50 ათასზე მეტი კაცი, მიწისძვრამ მოიცვა 700 ათასი მცხოვრებით დასახლებული ტერიტორია („კომ“ 1988:281).

გო ექსტრემისტულ მოქმედებას“ უწოდებდა, მაგრამ იქვე შენიშნავდა: თუ ხელისუფლება დაიწყებს მიტინგებისა და მანიფესტაციების ძალით აღკვეთას, საზოგადოება და „პირადად მე ამის, წინააღმდეგ გამოვალთ“-ო („ლს“ 1988:50).

თეატრისა და კინოს რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ბათუმსა და სხვაგან გამართულ მიტინგებს „არასერიოზულ, პრიმიტიულ თავყრილობებს უწოდებდა“ („კომ“ 1988:290).

რ. ჯაფარიძე რომ მოშიმშილეებსა და მათ თანამგრძნობებს „ლიანგად“ მოიხსენიებდა, ზემოთ უკვე ვთქვით. იმავე წერილში იგი ხაზს უსვამდა ქართული საზოგადოებრიობის არაერთსულოვნებას, მრავალი „პარტიისა“ და არაფორმალური ორგანიზაციის არსებობას, რომელთა ლიდერებს უფრო ამბიციური მისწრაფებები ამოძრავებთ და ჰგონიათ, რომ „ეროვნული პრობლემებისათვის ფიქრი და ბრძოლა მხოლოდ მათი პრეროგატივაა, რადგან ყოვლისმომცველი, ყოვლად უნაკლო აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგში ასული პლატფორმა მხოლოდ მათ გააჩნია“.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რ. ჯაფარიძე ამ წერილში მხოლოდ გადაკრული საყვედურებით არ კმაყოფილდება და მათ დამსახურებაზეც, მიუთითებს. „მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ქართველი ახალგაზრდობის არნახულმა გამოღვიძებამ, ერის ინტერესების დასაცავად დარაზმვამ, რაც პირველად როდი მომხდარა შეუპოვრობამ, ერთსულოვნებამ... ჩემი გული სიხარულით აღავსო“-ო, აღნიშნავდა იგი („კომ“1988:290).

ამავე გაზეთის 30 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ ელიზბარ ჯაველიძესთან. ვიდრე ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე გადავიდოდეს მას კორესპოდენტის შეკითხვის თანახმად საკუთარ თავზე უხდება საუბარი და თავმომწონედ ამბობს: „თანამდებობისაკენ მიდრეკილება არასოდეს მქონია, არც მაქვს და არც მექნება, კაცს არ უნდა გიზიდავდეს სავარძელი, პოლიტიკური იერარქიის საფეხურებზე ამაღლებული და ამით გამშვენიერებული, მით უმეტეს, თუ მისი (პოლიტიკური მოღვაწეობის) ნიჭი და უნარი არ გაგაჩნია“....

როგორ არ ჰგავს ეს ნათქვამი მის შემდეგ საქმიანობას, როცა იგი ჯერ „მაღალ, გამშვენიერებულ სავარძელზე“ წამოჯდა და შემდეგ მისი დაკარგვის გამო სამოქალაქო ომი წამოიწყო.

მცდარია მისი მოსაზრება ეკონომიკის განვითარების თაობაზეც.

„მავანი იმასაც კი ფიქრობს, რომ, თუ ჩვენ ეკონომიკურად მოვძლიერდებით და დამოუკიდებლად შეგვეძლება ფეხზე დგომა, ამით მეტ თავისუფლებას მოვიპოვებთ და ჩვენი ფსიქოლოგია გარდაიქმნება, სხვაგვარად შევხედავთ საგნებს და მოვლენებს“, ამბობდა იგი და იქვე უმატებდა: ეკონომიკური დამოუკიდებლობა კარგია, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ გვაზიარებს ჭეშმარიტ თავისუფლებას. ჯერ ადამიანის სული და ფსიქიკა უნდა გარდაიქმნას და მერე იფიქროს თავისუფლების სხვა მოდუსებზე“.

ამან რაც მოგვიტანა ახლა ცხადად ვხედავთ!

როგორც ნამდვილ მოძღვარს შეეფერება, გამოქვეყნებულ წერილებში, ყველაზე ბრძნული და კეთილგანწყობილი ტონითაა გამორჩეული თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ნოდარ ამაღლობელის პუბლიკაცია, იგი აღნიშნავდა, რომ სტუდენტთა მოძრაობა თავდაპირველად სტიქიური იყო, მაგრამ მწვავე საზოგადოებრივ, ეროვნულ და კულტურულ პრობლემებს ეხებოდა. ამჟამად ჩვენი ურთიერთობა, მიუთითებდა იგი, სულ უფრო მეტად ემყარება ურთიერთნდობის შეგნებას, ეთიკურ კულტურას. ეს არ ნიშნავს, რომ ამით სტუდენტთა პრინციპულობა თითქოს შესუსტდა. დაიხვეწა მორალი, ტონი, დაძლიეს ამბიციურობა. თუმცა არ შეიძლება უარვყოთ, რომ არის ცალკეული ცდები, ეროვნული მანტია გამოიყენონ საკუთარი შერყეული რეპუტაციის შესამოსად. არაა მოსაწონი, როცა ასეთი ლიდერები უღირსად იხსენებენ თავის ხელმძღვანელ-მასწავლებლებს. რექტორის სურვილია სტუდენტთა პოლიტიკურმა გააქტიურებამ ხელი არ შეუშალოს მათი სასწავლო-აკადემიური მოსწრების დონის შენარჩუნებას. მას, ასევე სამართლიანად, შეუწყნარებლად მიაჩნია გარეშე პირთა უნივერსიტეტში შეჭრა, სასწავლო პროცესის ჩაშლა, შეკრებებისა და მიტინგების გამართვა უნივერსიტეტის ეზოში (იქვე:292).

პარტიული აქტივისა და ინტელიგენციის მხარდაჭერით გამხნევებული ხელისუფლება ფიქრობდა, რომ მთავარი სიძნელეები ძველ, 1988 წელს თან გაჰყვა, ახალში კი თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდა, ლავირებისა და მოტყუების გზით ხელმძღვანელ სიმაღლეებს შეინარჩუნებდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა–წინ უფრო ძნელი 1989 წელი იდო.

თავი მესამე

1989 წელი

„ცვლილებები რომ ერთბაშად შეგვეწინა,
ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და
არავის დასჭირდებოდა ჯოჯოხეთის გამოგონება“.
კონსტანტინე გამსახურდია

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მასების იდეოლოგიურ დამუშავებას. ამ მიზანს ემსახურებოდა ვეებერთელა, კარგად ორგანიზებული სისტემა. იგი მიზნად ისახავდა ხალხის შემეცნების იმდენად დანაგვიანებას და გაბრუებას, რომ მისი ყურადღება სოციალური პრობლემებიდან ჩამოეცილებინა და სასურველი მიმართულებით წარემართა. იდეოლოგიური სამსახურები განსაკუთრებით მაშინ გააქტიურდებოდნენ ხოლმე, როცა სისტემას რეალური საფრთხე შეექმნებოდა. ასე იყო „გარდაქმნის“ დასაწყის ეტაპზეც. საქართველოში გაშლილმა სამიტინგო მოძრაობამ[1] საკავშირო მასშტაბის რეაქცია გამოიწვია. გამოგონილ თუ რეალურად არსებულ ფაქტებზე შეთხზული მასალებით ცენტრალური თუ ადგილობრივი პრესა საქართველოს სახით „მტრის ხატს“ ჰქმნიდა.

1989 წელს ამ საქმეში პირველი სამსახური ცენტრს გაუწია გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტმა საქართველოში გ. ლებანიძემ. დასახელებულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში („საჯაროობის გაკვეთილები“), რომელიც რესპუბლიკურმა პრესამაც გადმობეჭდა, ავტორი არ სჯერდება დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უარყოფით დახასიათებას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ მოძრაობას ქართველი ხალხი არ თანაუგრძნობს.

იგი აბრალებს გამსახურდიას, კოსტავას, ჭანტურიასა და სხვებს, რომ ისინი სარგებლობენ პრინციპით––„ყველაზე საშიში სიცრუე—ეს არის სიცრუე, რომელიც სიმართლის ელემენტებს შეიცავს“ და სინამდვილეში თვითონ იქცევა ასე. მისი სტატია არის ცდა „გაამართლოს“,

[1] 1988 წელს საქართველოში 38 მიტინგი ჩატარდა. მათგან ნებადართული მხოლოდ 4 იყო („კომ“ 1989:224).

ქართველი ხალხი, თითქოს და, ჩადენილ დანაშაულში, აჩვენოს, რომ ქართველ ინტელიგენციაში არიან ადამიანები, რომლებიც არ თანაუგრძნობენ „ექსტრემისტ“ ლიდერებს. ინტელიგენციის ეს წარმომადგენლები უფრო ავტორიტეტულნიც არიან და ხალხი მათ უფრო უჯერებს. გ. ლებანიძე ზოგიერთს ასახელებს კიდეც, მაგრამ ამჯერად მე მოვერიდები მათი გვარების განმეორებას, რადგან ღრმად მწამს, რომ ისინი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას არ დაპირისპირებიან. ხოლო, თუ ნოემბრის ამბების დროს საქართველოს ტელევიზიით გამოდიოდნენ, ეს გამოწვეული იყო მათი შეშფოთებით ახალგაზრდობის ბედით. ეს შეშფოთება რომ უსაფუძვლო არ იყო, სამწუხაროდ, ცხადად დაამტკიცა 9 აპრილის ტრაგედიამ.

გ. ლებანიძის მიერ ცენტრის წინაშე ქართველი ახალგაზრდობის დასმენა იქამდეცაა მისული, რომ იგი საკავშირო ოფიციოზში გაჰყვირის ისეთ ლოზუნგებს, რომლებიც ქართულ პრესაში არც კი გამოქვეყნებულა. კერძოდ, მის მიერ „არაადამიანურად და ავანტიურიზმად“ არის ჩათვლილი ისეთი კონსტიტუციური ნორმა, როგორსაც წარმოადგენდა „რესპუბლიკის გამოსვლა სსრ კავშირის შემადგენლობიდან“.

„პრავდის“ კორესპონდენტს მხედველობიდან არ გამორჩენია საკავშირო მკითხველისათვის შემაძრწუნებელ ტონში ემცნო მისთვის თავზარდამცემი ასეთი რამ: „საქმე იქამდეც კი მივიდა,—წერდა იგი,—რომ ვინმე გ. ისაკაძემ, კოოპერატივ „საბურთალოს“ მუშაკმა, შეაღწია მთავრობის სახლის სახურავზე და შებღალა საქართველოს სსრ დროშა“ („კომ“ 1989:3).

გ. ლებანიძის რა მოგახსენოთ და მე კი მგონია, რომ გ. ისაკაძის ეს საქციელი არაფრით ჩამოუვარდება (თუ უფრო დიდი მამაცობა არ არის!) რაიხსტაგზე დროშის აღმართვას. მარტოხელა კაცმა, ყველას დახმარების გარეშე, საბჭოეთს ამცნო, რომ მისი დღეები დათვლილია. მ. ქანთარიამ და მ. ეგოროვმა კი დიდი წინასწარი მომზადების შემდეგ არმიის რამდენიმე პოლკის, საარტილერიო და ავტომატტყვიამფრქვევების ცეცხლის მხარდაჭერით აიტანეს დროშა დამარცხებული ფაშიზმის შტაბის მთავარ შენობაზე.

გ. ლებანიძეს თითქმის 40 წელი ეჭირა საქართველოში „პრავდის“ კორესპონდენტის პოსტი. ცხადია, იგი ასე ხანგრძლივად ვერ დარჩებოდა ამ „თბილ“ ადგილზე, ეროვნული იდეები რომ ექადაგნა და ეკეთებინა. ამდენად, ეს კორესპონდენციაც მისგან მოულოდნელი და

არაჩვეულებრივი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ შეიძლება არც შევჩერებულიყავით ამ ნაცოდვილარზე. მაგრამ თუ ეს გავაკეთეთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავს ნებას აძლევს თავხედურად განაცხადოს: „როცა ყოველივე ამას ვამბობ, გამოვხატავ ჩემი თანამემამულეების უდიდესი უმრავლესობის გრნობებს"-ო. სინამდვილეში კი საქმე ცხადად საწინააღმდეგო პროცესთან გვაქვს, ისევე, როგორც დაქირავებული კორესპონდენტის მტკიცებისას: „საზოგადოებრიობამ ყველაფერი ცხადი გახადა, სასტიკად გააკრიტიკა დაუპატიჟებელი დამცველები (იგულისხმება ნოემბრის აქციის აქტიური მონაწილენი.–გ. მ.), დიდების შარავანდედი მოაცილა მათ" (იქვე).

როგორც ვნახავთ, მომდევნო მოვლენებმა საწინააღმდეგო აჩვენეს. აღმავალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ხალხის ფართო მასები ჩაერთო. მათი შთამაგონებელი სწორედ ზემოთ დასახელებული, „შარავანდედჩამოცლილი", „დაუპატიჟებელი დამცველები" იყვნენ.

ანტიქართული განწყობის შესაქმნელად იყენებდნენ ისეთ შედარებით არაკონფლიქტურ ფაქტებს, როგორიც შერეულ წყვილთა ქორწინებაა. პროვოცირებისათვის იაპონიიდან გამოძევებულმა საკავშირო ტელეეიზიის კორესპონდენტმა ვ. ცვეტოვმა პროგრამა „ვზგლიადში" დიდი ამბავი ატეხა ბათუმელი ლევან სულაბერიძისა და ელენა კარაულოვას ქორწინების გამო. მისი გადმოცემით, ამ ქორწინების ჩაშლა უცდია ლ. სულაბერიძის დედას თითქოს იმ მიზეზის გამო, რომ სასძლო ქართველი არ იყო. გაირკვა, რომ სადედამთილო ლ. კარაულოვას მსუბუქი ყოფაქცევის გამო იწუნებდა.

ამ პროვოკაციული გადაცემის საპასუხოდ „ვზგლიადში" მიიწვიეს გ. ლორთქიფანიძე და რ. ამაშუკელი. მათ ფაქტების მოშველიებით იძულებული გახადეს ვ. ცვეტოვი ბოდიში მოეხადა და ელიარებინა დაშვებული შეცდომა. ასეთი რამ იშვიათი შემთხვევა იყო საკავშირო ტელეგადაცემის პრაქტიკაში.

თუმცა, ვ. ცვეტოვმა თავის მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწია. გ. ლორთქიფანიძემ და რ. ამაშუკელმაც იმის მტკიცება დაიწყეს, რომ საქართველოში ბევრი ინტერნაციონალური ოჯახია. ვ. ცვეტოვს ეს „ზარია ვოსტოკიდანაც" შეუტყვია და მეტიც რა უნდოდა. ის ხომ თავისი გადაცემით ინტერნაციონალური (რუსული) ოჯახების გამრავლებისადმი ხელშეწყობას ესწრაფვოდა, მაშასადამე, მან იოლად წამოგვაგო მზაკვრულად დაგებულ ანკესზე, ჩვენ თვითონ გაგვაწევინა შერეული ქორწინების პროპაგანდა.

ქართული საზოგადოებრიობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ გამოქვეყნებულმა ე. ზეიმელის წერილმა–„რაზე ღაღადებენ ციფრები“. ერთი შეხედვით უწყინარ პუბლიკაციაში ავტორი ამოფარებულია მცირე ერების გაქრობის საწინააღმდეგო თეზისს. სინამდვილეში კი ეროვნულ საკითხში უცოდინარობას და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებს. იგი თითქოს უკმაყოფილოა, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს პატარა ერების გაქრობის პროცესი. მაგრამ იმ ეროვნებებზე კი არ წერს, რომლებიც რუსეთმა შეისრუტა, არამედ წუხს მეგრელებისა და სვანების გაქრობის საშიშროებაზე. და, თანაც, თურმე, ეს „გაუქმებული ეროვნებები“ უკვე ნახევარი საუკუნეა მოკლებულნი არიან მშობლიური ენის შესწავლას, ამ ენაზე გაზეთებისა და წიგნების კითხვას, რადიოგადაცემების მოსმენის შესაძლებლობას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ე. ზეიმალი განგებ ხუჭავს თვალს, თორემ ნახევარი საუკუნის კი არა, დასაბამიდან მეგრელები და სვანები, ისევე, როგორც სხვა ქართველი ტომები, მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლობდნენ მეტყველებასა და წერა-კითხვას, ეზიარებოდნენ ქრისტიანულ რწმენას.

ზეიმალის წერილი რომ „მცირე ერების“ შენარჩუნებისათვის კი არა ქართველების წინააღმდეგაა მიმართული, ამას მისი მოთხოვნაც ცხადყოფს. მისი აზრით, ახალი საკავშირო აღწერის დროს ცალკე ეროვნებებად უნდა იქნას აღრიცხული ისეთი მცირე ეროვნებები, როგორიც მეგრელები, ლაზები და სვანები არიან („ლ ს“ 1988:33).

აი, თურმე სადაა ძაღლის თავი დამარხული! ჯერ ერთი, ქართველთა რიცხვი შემცირდება; მეორე, ამ ხალხებს „თავის“ ენაზე სწავლის უფლება მიეცემა და, რაც მთავარია, მათი სეპარატიზმისათვის ალაყაფის კარები ფართოდ გაიღება. ქართველებს იმდენი ახალი საზრუნავი გაუჩნდებათ, რომ დამოუკიდებლობისათვის ფიქრის დროც კი აღარ ექნებათ.

ეროვნულ უმცირესობებზე შეტევის ერთ-ერთი მეთოდი იყო ორენოვნების დამკვიდრებისათვის ბრძოლა. მისმა ადაპტებმა კარგად იცოდნენ, რომ ორენოვნებისათვის დამახასიათებელ „მშვიდობიან“ შეჯიბრებაში გამარჯვებული მრავალრიცხოვანი ერის ენა გამოდის. ამიტომ ორენოვნება საბჭოთა კავშირში თითქმის სახელმწიფო პოლიტიკად იყო გამოცხადებული. ასეთ პირობებში ხელისუფლებას აშკარად უკარგავდა სიმშვიდეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებში სახელმწიფო ენად კონსტიტუციით მკვიდრი

მოსახლეობის ენები რომ იყო დაწესებული და არა რუსული. მოქმედი კონსტიტუციების მიღებიდან ათ წელზე მეტი დრო იყო გასული, მაგრამ დაშვებული „შეცდომის" გამოსასწორებლად ბრძოლა თანმიმდევრულად გრძელდებოდა.

ასეთ საქმიანობაში ჩვეულებრივ მოწინავეობდა გაზეთი „პრავდა". იგი სისტემატურად აქვეყნებდა ორენოვნების წამახალისებელ პუბლიკაციებს. მათ შორისაც გამოირჩეოდა 1988 წლის 25 აგვისტოს დაბეჭდილი ისტ. მეცნ. დოქტორის მ. გუბოგლის სტატია. მისი ავტორი ცდილობდა თავისი ნაკალმარისათვის მეცნიერულობის ელფერი მიეცა და ამტკიცებდა: „კაცს ორი ენა ისევე სჭირდება, როგორც ჩიტს ორი ფრთა"-ო. ამიტომ მოითხოვდა არარუსი ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლების, რაც შეიძლება, ადრე დაწყებას. ცხადია, „პრავდა" ავტორის არარუსულმა გვარმა მოხიბლა, თორემ მ. გუბოგლის მსჯელობა, რომ ლოგიკურობით არ გამოირჩევა, ამის შეტყობას როგორმე მოახერხებდნენ. ჩვენც მასზე ვრცელ მსჯელობას აღარ გამოვუდგებით. მხოლოდ სინანულს გამოვთქვამთ, რომ დემოკრატიისა და საჯაროობის აღმავლობის ეტაპზე მეცნიერების მანტიას ამოფარებული ასეთი განწყობის გარუსებული „ნაცმენი" შოვინისტები ძლიერ მომრავლდნენ.

ქართულ პრესაში კი გრძელდებოდა მთავრობის ხოტბისა და არაფორმალთა ლიდერების განმაქიქებელი მასალების ბეჭდვა. პირველთაგან ტიპურ მაგალითად გამოდგება „ლიტერატურულ საქართველოში" (№1, 1989) წარმოდგენილი კიმი ალიაშვილის ოპუსი. ავტორი ქებას ასხამს ჯ. პატიაშვილს, რომელმაც, თურმე, ნოემბრის დღეებში თავიდან აგვაცილა 1956 წლის ტრაგედიის განმეორება და ვინც დადებითად განსხვავდება ცეკას ყველა წინა მდივნებისაგან. მეხოტბის აზრით: „დადგა ისეთი პერიოდი, როცა შეგვიძლია ვთქვათ, მთავრობა და ხალხი, ერი და ბერი ერთსულ და ერთხორც არის შეკრული. როცა წაიშალა თანამდებობრივი, წოდებრივი ზღვარი, რასაკვირველია არა ყველაში, როცა ყველა ქართველი ერთნაირად ფიქრობს".

აგაშენა ღმერთმა! აქ კომენტარი, მართლაც, ფუჭსიტყვაობა იქნებოდა!

საპირისპირო მიზანს, ავტორის დისკრედიტაციას ემსახურებოდა გაზეთ „კომუნისტში" 23 იანვარს გამოქვეყნებული ზ. გამსახურდიას მიერ 1979 წლის 27 აპრილს დაწერილი „თხოვნა–განცხადება პატიების შესახებ". იგი დღემდე იწვევს მწვავე ვნებათაღელვას, თვით ექსპრეზი-

დენტი ამტკიცებდა, რომ მისი მონანიება წინასწარგანზრახული, მ. კოსტავასთან შეთანხმებული ნაბიჯი იყო და მიზნად ისახავდა ულიდეროდ დარჩენილი ქართული ეროვნული მოძრაობის გადარჩენას (ჩხეიძე 1998:53).

მონანიებაზე თანხმობა პატიმარმა მ. კოსტავამ წერილობითაც დაუდასტურა, მაგრამ საქმეს ეს ვერ შველოდა. ზ. გამსახურდია საერთაშორისო დისიდენტთა წრეებში დარჩა გამცემად და უცხოელი კორესპონდენტების (დეივიდ შიპლერის, პაიპერის და უიტნის) დამბეზღებლად. ხოლო ქართული ეროვნულ მოძრაობაში იგი ლიდერად კი არა, მონანიების მომდევნო 10 წელიწადს ახლოს არ გაიკარეს, მოღალატე-მშიშარად მიაჩნდათ და აგდებულად „წრუწუნ კონსტანტინოვიჩი“ შეარქვეს“ (დ. მჭედლური 1995:42).

ექსპრეზიდენტის მოპაექრენი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ სუკის არქივში მისი მაკომპრომენტებელი სხვა მასალებიც იყო, რომლებიც პრეზიდენტმა თავის ბინაში „კოლხურ კოშკში“ გადაიტანა და „თბილისის ომის“ დროს განადგურდა. რამდენად სწორია ეს ბრალდება ძნელი განსასჯელია. ის კი საეჭვოა, რომ „თხოვნა–განცხადებაში“ ზ. გამსახურდია ზოგიერთ ისეთ შემხვედრ ვალდებულებას იღებს, რაც მონანიებისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო. თანაც, ამ ეჭვს აძლიერებს პატიმარ ზ. გამსახურდიასათვის მამის საკმაოდ მდიდრული მემკვიდრეობის ყოველგვარი გართულების გარეშე დამტკიცების ფაქტი.

ჯერ კიდევ ნოემბრის ამბების შეფასებისას, ამ აქციასთან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა დამოკიდებულების შესახებ ინსტიტუტის პრორექტორი დ. ჩხეიძე აღშფოთებით წერდა: „იაფი პოპულარობის, თავიანთი ამბიციური მისწრაფებების განსახორციელებლად ეს მერამდენედ გამოიყენს ახალგაზრდობის კეთილშობილური პატრიოტული გრძნობა ეგრეთ წოდებული არაფორმალური გაერთიანებების ხელმძღვანელებმა“ („კომ“ 1988:300). თუმცაო, უმატებდა იგი, „არაფორმალურ გაერთიანებათა ბოლოდროინდელი აქციები აშკარად უარყოფით რეაქციას იწვევს ჩვენს ახალგაზრდობაში“, რის გამოც „სასწავლებლის ხელმძღვანელობას სადაეები არ წაგვრთმევია ხელიდან“-ო.

სულ მალე აღმოჩნდა რომ სპი-ის ხელმძღვანელობას მხოლოდ კომკავშირელ კოლაბორაციონისტთა ერთი ჯგუფი ჰყავდა დასადაევებული. სტუდენტთა დიდი ნაწილი კი მორჩილებიდან გამოსული იყო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა.

9 აპრილის ტრაგედიის წინ ერთ-ერთი გახმაურებული აქტი გახდა სტუდენტთა მიტინგის დარბევა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეზოში. ვითარება პრესის გადმოცემით ასეთი იყო: 16 თებერვალს სპი-ის ხელმძღვანელობას შეხვდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე ზ. ჭავჭავაძე და ინსტიტუტის თანამშრომელი რ. კუპრავა. მათ რექტორატს (რექტორი გოჩა ჩოგოვაძე, ამჟამად საქართველოს ელჩი საფრანგეთში) კატეგორიული მოთხოვნები წაუყენეს. რაში მდგომარეობდა ისინი, მაშინ არ გამოუცხადებიათ. შემდეგ კი გაირკვა, რომ მოითხოვდნენ ინსტიტუტიდან უკანონოდ გარიცხულ სტუდენტთა აღდგენას, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გადატანას ახალქალაქსა და ბოგდანოვკაში. ამით ემატებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში არსებული ინსტიტუტის ფილიალებისა და ფაკულტეტების გაუქმების შესახებ რექტორატის გადაწყვეტილებების სამართლიანობის გარკვევა. მოთხოვნების კატეგორიულობა იმათ იყო გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ 7 თებერვალს (როგორც ამას კანონი მოითხოვდა), მათ შეიტანეს მიმართვა მიტინგის ჩატარების თაობაზე, მაგრამ უარი მიიღეს. ახლა პირადად თხოვდნენ რექტორს გაეუქმებინა ბრძანება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დახურვის შესახებ („ა ხ კ ო მ ი" 1990:15). მაგრამ ასეთი თანხმობა არ იქნა მიცემული. ე. ი. მიტინგის ჩატარება გარდაუვალი გახდა. მისთვის, რომ ხელი შეეშალათ 18 თებერვალს, ადრე დილით, ი. ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერები თ. ჩხეიძე და ზ. ჭავჭავაძე ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში გამოიძახეს და იქ გვიან ღამემდე ჰყავდათ დაკავებული.

მიუხედავად ამისა, 18 თებერვალს სტუდენტთა მიტინგი მაინც მოეწყო. პრესაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში პრორექტორი დ. ჩხეიძე საყვედურობს მომიტინგეებს, რომ მათ არ შეისმინეს რჩევა დაშლის შესახებ. „დაბოლოს ვიწყინეთ,–ამბობს იგი,–რომ ყოველი ჩვენგანისათვის წმინდათა-წმინდა ადგილი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის ეზო გაიხადეს ადგილად, სადაც შეიძლება იყვიროს რაც ენაზე მოგადგება, ჩაიდინო უწესრიგობა". საერთოდ კი 18 თებერვლის მიტინგი იყოო „პროვოკაციული გამოსვლა", ასკვნიდა იგი („კომ", 1989:44).

როგორც შედეგებიდან ჩანს, სპი-ის რექტორატი და პატრიული კომიტეტი ასეთ გამოსვლას მოელოდა და მის წინააღმდეგ გამოიყენა ყველაზე საზიზღარი მეთოდი. მიტინგის დარბევაში გადაცმულ სამართალდამცავებთან ერთად ჩართეს „ერთგულ კომკავშირელთა"

წინასწარმომზადებული 100 კაციანი რაზმი. ე.ი. სტუდენტთა ორი ჯგუფი შეაჯახეს ერთმანეთს. მიტინგის დაშლისას დაშავდა 12 მოქალაქე. მონაწილეთაგან დააპატიმრეს 20 კაცი. მათ შორის არ იყო არც ერთი „აქტივისტი“ („ახ კომ“ 1990:15). მაგრამ ეს არ მიიჩნიეს დასჯის ერთადერთ ღონისძიებად. იმ მიზნით, რომ „პროვოკაციული“ გამოსვლები შემდგომში არ განმეორებულიყო მომიტინგეთა ერთი ნაწილი ინსტიტუტიდან გარიცხეს. ბრძანებაში კი მიზეზად „აკადემიური ჩამორჩენილობა“ ჩაუწერეს.

ამას მათი წარმოდგენით, სტუდენტთა მოძრაობის სადავეების ხელიდან გაუშვებლობა ერქვა.

მოვლენების განვითარებამ დაამტკიცა, რომ სწორედ ინსტიტუტის, რექტორატის მოქმედება იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ეტაპზე სპი-ის ფილიალები და ფაკულტეტები რამდენიმე რეგიონში აღადგინეს. სწავლის გაგრძელების უფლება მიეცათ 18 თებერვლის მიტინგში მონაწილეობისათვის გარიცხულ სტუდენტებსაც. ხოლო ახალქალაქში სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი დადებითად გადაიჭრა 8 წლის შემდეგ. 1997 წლის 1 სექტემბრიდან, როგორც სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში იუწყებოდა, აქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალში ლექციების დაწყების მაუწყებელი ზარი დაირეკა („ლს“ 1997:28). მაშასადამე, ახდენა მოელოდა ქართული საზოგადოებრიობის დიდი ხნის ოცნებას (რომელიც განსვენებულ ზურაბ ჭავჭავაძეს ულტიმატუმის სახით წარუდგენია სპი-ის ხელმძღვანელობისათვის) ჯავახეთში ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების თაობაზე.

1989 წლის 6 ივნისს შეიქმნა 18 თებერვალს სპი-ის შენობასთან მომხდარი ინციდენტის შემსწავლელი კომისია პ. მარგველაშვილის თავმჯდომარეობით, მისი მუშაობის შედეგების შესახებ მასალები არ გამოქვეყნებულა.

შედარებით ნაკლებ გახმაურდა საქართველოს გასაბჭოების 68 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებული მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის ფაქტი თბილისში 25 თებერვალს. პრესამ იგი მაშინ სასხვათაშორისოდ „გააშუქა“. გაზეთ „კომუნისტში“ კი მხოლოდ აპრილში იტყობინებოდნენ, რომ მოეწყო მასობრივი მსვლელობები ანტისაბჭოთა და ანტისოციალისტური ლოზუნგებით, რაც თითქოს საზოგადოების უმრავლესობამ არ შეიწყნარა და დაგმო (4. 4. 1989). ასეთი რამ იწერებოდა იმ დღეებში, როცა თბილისში მარ-

ტო „მასობრივი მსელელობები“ კი არა 10 ათასიანი მიტინგები და მრავალასეულიანი შიმშილობები იმართებოდა.

1988 წლის შემოდგომაზე სამიტინგო მოძრაობაში მიღწეულმა წარმატებებმა ოპოზიციურ ძალთა ერთგვარი ეიფორია გამოიწვია. ცხადი გახდა ისიც, რომ ასეთი მოქმედებებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაც შეიძლებოდა. რამდენადაც გამოცხადებული გარდაქმნა სოციალურ სფეროში არსებული წინააღმდეგობების სრულ აღმოფხვრასა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. ამ სფეროებში ხელისუფლებასთან დაპირისპირება სიმწვავეს იყო მოკლებული. ოპოზიციისათვის ყველაზე მიმზიდველი ხდებოდა ეროვნული საკითხი. ეს ხომ ისეთი რამაა, რომლისთვისაც ბრძოლაში არაა საჭირო დაპირდე ხალხს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სიმდიდრეს და ათასგვარ კეთილდღეობას. აქ მთავარი ლოზუნგია–ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლის მოპოვებასაც, იგულისხმება, მოჰყვება ყოველგვარი სხვა სიკეთე. თანაც, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისეთი კატეგორიის ოცნებაა, რომ მისი მოპოვებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად მთელი მასა ერთვება. ბევრს შეიძლება კარგად შეგნებული არც ჰქონდეს ამ კატეგორიების არსი, მაგრამ თავგამეტებით ეშვება ეროვნული მოძრაობის მდინარეში, რომ მას ვინმემ პატრიოტიზმში ინდეფერეტულობა, ან უფრო მეტი, სამშობლოს მოღალატეობა არ დააბრალოს.

ეროვნული საკითხის გამწვავება 80-იანი წლების მიწურულს იმანაც გამოიწვია, რომ სსრ კავშირი არანაკლები „ხალხთა საპყრობილე“ იყო, ვიდრე რუსეთის იმპერია. მართალია, კომუნისტური პარტია ყველა თავის ფუძემდებლურ დოკუმენტში, თუ ფორუმზე აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი ლენინური პრინციპებით ერთხელ და სამუდამოდაა გადაწყვეტილი. ხოლო ლ. ბრეჟნევი, რომელსაც სხვისი დაწერილი ტექსტების წაკითხვაც კი არ შეეძლო, ამტკიცებდა––განვითარებული სოციალიზმის პროდუქტი ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა საბჭოთა ხალხი ჩამოყალიბდაო, მაგრამ სინამდვილეში ამ სფეროში არსებულ წინააღმდეგობებს სხვა რომელიმე იშვიათად თუ შეედრებოდა, რადგან მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და, აგრეთვე, მთელ რიგ რეგიონებში არსებობდა მახინჯი სისტემა, სადაც ორმაგად უუფლებო ეთნოსებსა და ეროვნულ ჯგუფებს არავითარი, თვით მოჩვენებითი ავტონომიაც კი არ ჰქონდათ. ეროვნული საკითხი „საბოლოოდ გადაჭრილი“ კი არ იყო, არამედ ძველისძველ წინააღ-

მდეგობას წარმოადგენდა და იგი ქვეყნის მთელ სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძველში იყო მომწყვდეული. გარდაქმნის პერიოდში წარმოშობილმა ეროვნულმა მოძრაობებმა იგი პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენაზე გამოიტანეს.

თავდაპირველად მოჩანდა, რომ ეს მოძრაობები თავისი მიზეზებით ერთნაირი და მსგავსი იყო. მაგრამ სინამდვილეში მათ განსხვავება მეტი ჰქონდათ, ვიდრე საერთო. ამას განაპირობებდა ის, რომ „ერთგვარი არ ყოფილა არც ადგილობრივი ისტორიული ტრადიციები ძალთა კონსოლიდაციისათვის საჭირო საშუალებები, ლიდერთა ავტორიტეტი, მოძრაობების იდეოლოგთა ინტელექტუალური პოტენციალი. დასასრულ, ელემენტარულად ყოველ ხალხს ჰქონდა თავისი საკუთარი განუმეორებელი ბოლმა და წყენა... მოთხოვნები და პრეტენზიები ხელისუფლების, მეზობლებისა და ა.შ. მიმართ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ტაქტიკა, ფორმები, თვით პოლიტიკური კულტურა ეროვნული მოძრაობებისა სხვადასხვა რესპუბლიკაში შეუდარებლად განსხვავებული იყო“ (ჩერვონაია 1994:68-69).

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ იგრძნო რა საფრთხე, რომელიც მის ყოვლისშემძლეობას რეალურად ემუქრებოდა, მხოლოდ იდეოლოგიური სამსახურების მუშაობით არ დაკმაყოფილდა და პარტიული, საბჭოთა, სამხედრო–სამრეწველო კომპლექსზე, განსაკუთრებით კი, სუკზე დაყრდნობით შეეცადა ეროვნული მოძრაობებისათვის ადგილებზე შეექმნა დაპირისპირებული, გადამწონავი ძალა. იგი უმთავრესად არამკვიდრი, ე. წ. რუსულენოვანი მოსახლეობისაგან უნდა ყოფილიყო ორგანიზებული. მათ ძირითადად „ინტერფრონტები“ ერქვათ, თუმცა იყვნენ სხვა სახელწოდებანიც. მაგალითად, ლიტვაში—„Единство“, „აფხაზეთში—„აიდგილარა“ (ერთიანობა) და ა.შ.

მრავალეროვან რესპუბლიკებში „ცენტრი“ არ დასჯერდა ასეთი ორგანიზაციების შექმნას და ერთმანეთს ხალხები დაუპირისპირა. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ ყოფილა ის დამანგრეველი ძალა, რაც ასეთ დაპირისპირებებს მოჰყვება ხოლმე. სწორედ ყარაბაღში––აზერბაიჯანლებისა და სომხების, საქართველოში–– აფხაზებისა და ოსების ქართველებთან, მოლდავეთში—გაგაუზებისა და მოლდოველების, ლიტვაში—ლიტველებისა და პოლონელების, თათრეთში—თათრებისა და რუსების, ჩეჩნეთში—ჩეჩნებისა და რუსების და ა.შ. დაპირისპირებამ შეურყიეს საფუძველი სსრ კავშირს.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი პირველი მაგალითი მთიანი ყარაბაღის ავტონომიურმა ოლქმა მისცა. ჯერ იყო და იქ 1988 წლის თებერვალში ჩატარდა რეფერენდუმი სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ. მისი შედეგების მიხედვით მთიანი ყარაბაღის საოლქო საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანიდან გასვლისა და სომხეთთან შეერთების შესახებ. 15 ივნისს სომხეთის სსრ უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ეს შუამდგომლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 18 ივლისს მიღებული დადგენილებით მთიანი ყარაბაღის აო-ს შეუნარჩუნა უწინდელი სტატუსი და დატოვა იგი აზერბაიჯანის შემადგენლობაში, საკითხი მაინც ვერ მოგვარდა. აგვისტოში დაიწყო „ქვებით ომი" ყარაბაღის გზებზე. ნოემბერში ბაქოში მოეწყო სომეხი მოსახლეობის დარბევა. 24-25 ნოემბერს ბაქოსა და ერევანში „საგანგებო მდგომარეობა" გამოაცხადეს და საბჭოთა ჯარები შეიყვანეს. 1989 წლის 12 იანვარს სსრკ მთავრობამ შექმნა მთიანი ყარაბაღის აო-ის საგანგებო მმართველობის კომიტეტი ა. ვოლსკის მეთაურობით.

მთიანი ყარაბაღის ამბები, ის, რომ მისი მთავარი დამნაშავენი დაუსჯელნი აღმოჩდნენ, მაგალითად გამოიყენეს აფხაზმა და ოსმა მოფაშისტო ნაციონალისტებმა. 1988 წლის ზაფხულში მათ, 10 წლის შემდეგ პირველად, ახალი პოლიტიკური პროვოკაცია წამოიწყეს. 17 ივნისს აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა, მწერალ ალექსი გოგუას ინიციატივით, მომავალი XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის პრეზიდიუმს გაუგზავნა განცხადება, რომლითაც ითხოვდნენ „აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების" საკითხის გადაწყვეტას. ეს განცხადება მოიხსენიებოდა „აფხაზურ წერილად", მთლიანი სახით არ გამოქვეყნებულა და საფუძვლად დაედო ე. წ. „ლიხნის მიმართვას".

„აფხაზური წერილის" არსებობა საქართველოში კარგა ხანს არავინ იცოდა და (მიმინ. ფანჯ. 1990:10) აფხაზეთშიც იგი მაინცდამაინც გამხელილი არ ყოფილა. მას მხოლოდ პარტიულ და სახელმწიფო საიდუმლოებების მცოდნე პირები და მწერალთა და ჟურნალისტთა ვიწრო წრე გაეცნო. თავდაპირველად კრემლმა დუმილი ამჯობინა. XIX პარტიულ კონფერენციაზე მისი არსებობის შესახებ კრინტი არ დაუძრავთ. იგი შეიძლება საერთოდაც მივიწყებული დარჩენილიყო, მაგრამ საჭირო გახდა გაეხსენებინათ 1988 წლის ნოემბერში, საქართველოში მიტინგებისა და შიმშილობების აქციების გამო, რომელთაც

ლამის იყო წალეკა ხელისუფლება, რაც იქნებოდა ერთ უბანზე განხორციელებული დიდი გარღვევა იმ წრიული თავდაცვის სისტემისა, რომელსაც სსრ კავშირის ტოტალიტარული რეჟიმი წარმოადგენდა.

„აფხაზური წერილის“ უშუალო შედეგი იყო ე. წ. აფხაზეთის სახალხო ფორუმის—„აიდგილარას“ ჩამოყალიბებაც, სწორედ ნოემბრის ამბების მომდევნო დღეებში.

სვ. ჩერვონაიას გადმოცემით, ამ ორგანიზაციის „პირველი პროექტი, რომელიც მთლიანად გაჟღენთილი იყო არგუმენტებით სოციალისტური წყობისა და ერთიანი ურღვევი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ—კავშირისა, რომლის შემადგენელ ნაწილად უნდა ქცეულიყო ერთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის საფუძველზე შექმნილი სოციალისტური აფხაზეთი, მოსკოვში იქმნებოდა. ამ პროექტის ავტორი იყო სკკპ ცკ-ის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნებით აფხაზი ტარას მირონის ძე შამბა“ (ჩერვონაია 1994:79). მისი ძმა სერგეი[1] დამფუძნებელმა ყრილობამ თავმჯდომარედ აირჩია. „აიდგილარას“ მაშინვე გაუჩნდა რესურსები საკუთარი გაზეთის აფხაზურ და რუსულ ენებზე გამოსაცემად. სახალხო ფორუმის ხელმძღვანელობისათვის ფეშენებლური კაბინეტები გამოიყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს შენობასა და მისი შტაბისათვის მიცემულ სახლში. ასეთი პრეროგატივა „აიდგილარას“ უნდა ჰქონოდა კიდეც. ვინაიდან მისი საპროგრამო პოზიციები პრაქტიკულად თითქმის არ განსხვავდებოდა აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის ოფიციალური თვალსაზრისისაგან. იგი, ფაქტობრივად, ამ ხელმძღვანელობის დასახმარებლად იყო შექმნილი და მის იარაღს წარმოადგენდა.

„ინტერფრონტებისა“ და „სახალხო ფორუმების“ შემქმნელებს აღარ აკმაყოფილებდათ მათს პროგრამებში აღიარებული „ოქტომბრის იდეებისა“ და საბჭოთა კავშირის განმტკიცების შესახებ ფიცი და მათგან უფროფართომასშტაბიან და კონკრეტულად მიზანმიმართულ აქციებს მოითხოვდნენ.

„აიდგილარაც“ მაშინვე ამუშავდა, როგორც კი მუსიკის დამკვეთებმა „ცეკვის დაწყების“ ნიშანი მისცეს.

აფხაზეთის სახალხო ფორუმის აქტივისტებმა 1989 წლის 18 მარტს

[1] სერგეი შამბა 1997 წლიდან აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრია. გამოირჩევა შეურიგებელი პოზიციით.

გუდაუთის რაიონის სოფ. ლიხნში აფხაზთა 30 ათასიანი ყრილობა ჩაატარეს. მიტინგი არა მარტო „სანქციონირებული“ იყო, არამედ მას ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს შემდეგში „ლიხნის მიმართვის“ სახელით ცნობილი დოკუმენტი, რომელიც დაეგზავნა ყველას მთელ საბჭოთა კავშირში: სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებს, შემოქმედებით კავშირებს, სახელოვან ადამიანებს, აფხაზეთის კურორტებზე გაცნობილ, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან პიროვნებებს. ოღონდაც მისი ადრესატობის ღირსად საქართველოში არ ცნეს არავინ, ხელისუფლებიდან დაწყებული უბრალოდ იმ ნაცნობებამდე, რომელთაც აქამდე ძმობასა და მეგობრობას ეფიცებოდნენ.

ლიხნის თავყრილობა თხოვნით მიმართავდა სკკპ ცკ-ს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრკ მინისტრთა საბჭოს აღედგინათ აფხაზეთის სსრ-ის 1921-32 წლების სტატუსი, რომლის მიხედვითაც თითქოს იმხანად აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ იმყოფებოდა და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახით არსებობდა. ამით, ცხადია, ბუნებრივად, იცვლებოდა საქართველოს საზღვრები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თხოვნის შესრულების რეალობა მიმართვის ავტორებს ნაკლებად სჯეროდათ. ამიტომ ისინი არ ნიღბავდნენ მათი წერილის მთავარ მიზანს. „ლიხნის მიმართვას“,—წერს სვ. ჩერვონაია, — მისი ინიციატორების გულახდილი აღიარებით, დარტყმა უნდა მიეყენებინა „არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისათვის თბილისში და სხვა ქალაქებში“— ყველა იმათთვის, ვინც ცდილობს საქართველოს მოწყვეტას სსრ კავშირისაგან“ (იქვე: 83).

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიხნის მიმართვამ დიდად უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია მთელ საქართველოში. იგი ამისათვისაც იყო გათვლილი. მას დესტაბილიზაცია უნდა მოჰყოლოდა, რათა შემდეგ შესაძლებელი გამხდარიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებსა და აქტივისტებზე ანგარიშის გასწორება და ამ გზით ამ მოძრაობის თუ მთლიანად ჩახშობა არა, მისთვის თავის მოკვეთა მაინც.

„ლიხნის მიმართვის“ ეს ნაწილი მაშინვე გახდა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების განხილვის საგანი. მას მიეძღვნა ცალკე გამოცემები, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიები. და ეს არა იმის გამო, რომ „მიმართვა“ რაიმე დიდი ღირსების თხზულებას წარმოადგენდა, არამედ აქამდე აფხაზურ თემაზე წერის აკრძალვით პირწყალჩაგუბებულმა

ქართველმა მოაზროვნეებმა, როგორც იქნა, მიიღეს ჭეშმარიტებაზე ხმის ამოღების საშუალება.

რადგან „ლიხნის მიმართვაში“ ყველაზე უფრო გაყალბებული აფხაზეთის ისტორია იყო, ამიტომ კამათში მონაწილეებმაც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ისტორიულ ასპექტებს მიაქციეს. ეს პრობლემატიკა ჩვენ განხილული გვაქვს ამ წიგნის „შესავალში“ (გვ.16 და შმდ). ამჯერად კი „მიმართვის“ გამოქვეყნების მომდევნო მოვლენებზე შევჩერდებით.

მას შემდეგ, რაც ე.წ. „აფხაზური წერილი“ გუდაუთის რაიონულ გაზეთში დაიბეჭდა (1989 წ.თებ.), ხოლო „სოვეტსკაია აფხაზიასა“ და აფხაზეთის სხვა საოლქო და რაიონულ გაზეთებში 24 მარტს გამოქვეყნდა „ლიხნის მიმართვა“, მთელ საქართველოში გაჩაღდა საპროტესტო პუბლიკაციები და გამოხმაურებები. ხელისუფლება, ჯერჯერობით, თითქოს მართავდა ვითარებას, თუმცა 26 მარტამდე ძირითადი ყურადღება გადატანილი ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებზე. ამ დღეს ჩატარდა კენჭისყრა ეროვნულ და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქებში. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კი არჩევნები უკვე დამთავრებული იყო.

უკვე არჩევნების მეორე დღეს, 27 მარტს, საქ. კპ. ცეკას ბიუროს სხდომა მიეძღვნა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი ამბების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს „ლიხნის მიმართვაზე“ ხელი ჰქონდათ მოწერილი და, საერთოდ, ეს ფორუმი მათი აქტიური მონაწილეობით ჩატარდა (ჩერვონაია 1994:82), ბიუროს წევრებმა ვერ გაბედეს მათ მიმართ ორგანიზაციული ზომების გატარება. მხოლოდ აღნიშნეს, რომ უარყოფენ აფხაზეთის სტატუსის შეცვლის მოთხოვნებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა საკითხს კი მომავალში განიხილავენ („კომ“. 1989:72).

სამაგიეროდ, საკადრო ცვლილებები თავიდან ვერ აიცილეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში. 29 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია. მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს ოდიოზურ ფიგურად ქცეული პავლე გილაშვილი. ამ თანამდებობაზე აირჩიეს ოთარ ჩერქეზია, რომელიც აქამდე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. აქ იგი შეცვალა ზურაბ ჩხეიძემ.

სხდომაზე აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო სიტყვით გამოვი-

და ჯუმბერ პატიაშვილი. მან მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციასთან ერთად აღიარა, რომ „აფხაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოქმედებდა კოლექტიურად შემუშავებული გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ“. („ახკომი“ 1989:39). ორატორი შეჩერდა „ლიხნის მიმართვაში“ დასმულ რიგ საკითხებზე. ე. ეშბას, ნ. ლაკობას, გ შერვაშიძის და სხვა აფხაზი მოღვაწეების გამონათქვამების დამოწმებით, უარყო ისტორიული ფაქტების დამახინჯება „ლიხნის მიმართვის“ ავტორთა მიერ, დაასაბუთა სიყალბე მათი მტკიცებისა, რომ თითქოს აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოსგან გამოცალკევებული ქვეყანა. იქვე ჯ. პატიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა პრინციპულად ვერ დაეთანხმება აფხაზეთის სტატუსის შეცვლის მოთხოვნას.

მწვავე ეროვნულ საკითხებზე იმსჯელეს 31 მარტს საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში მოწყობილ თათბირზე. ქართული ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა ილაპარაკეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში შესული ქართული რაიონების მოსახლეობის პრობლემებსა და მასთან დაკავშირებით მეზობელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის საკითხებზე. ითქვა, რომ უნდა მოწესრიგდეს საინგილოს ქართული ძეგლების რეგისტრაციისა და ერთობლივი სამეცნიერო ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის საქმე. უნდა დამყარდეს საშეფო კავშირი ქართულ სკოლებთან და ალიბეგლოს სახალხო თეატრთან. მათ უნდა გაეწიოთ რეალური დახმარება.

დაწყებული ეროვნული მოძრაობიდან არც აფხაზეთის ქართული მოსახლეობა იყო გამოთიშული. 25 მარტს გალში მოეწყო 12-ათასკაციანი მიტინგი. მას მოჰყვა მიტინგები სოხუმსა და ლესელიძეში. „აიდგილარას“ აქტივისტები არ კმაყოფილდებოდნენ ამ ღონისძიებათა ინიციატორებისა და აქტივისტების სუკიში დასმენით. მათ 1 აპრილს ლესელიძეში გამართული მიტინგით გაღიზიანებულებმა მოაწყვეს თავდასხმა ქართველებით დატვირთულ ორ სამგზავრო ავტობუსზე. ერთ მათგანში გასვენებიდან დაბრუნებული მგზავრები იყვნენ. ბანდიტებმა ჩაამსხვრიეს მანქანების მინები, დაშავდა რამდენიმე კაცი („ახკომი“ 1989:41). დამნაშავეთა დაუსჯელობის გამო პროტესტის ნიშნად სოხუმის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობა 3 აპრილს ლექციებზე არ გამოცხადდა.

აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე რეაქციამ განსაკუთრებული სახე თბილისში 4 აპრილიდან მიიღო. ამ დღეს მთავრობის სახლთან დაიწყო მრავალათასიანი მიტინგები, რამდენიმე კაცმა კი შიმშილობა გა-

მოაცხადა. თბილისის მრავალ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობა შეწყდა. არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლები წარმოება-დაწესებულებების მუშებს გაფიცვების მოწყობისაკენ მოუწოდებდნენ. ზოგი ფაბრიკა და ქარხანა გაჩერდა კიდეც.

რიგი პროცესებისა უმართავი გახდა. მიტინგს თან დაერთო საზოგადოების ნორმალური ცხოვრების დარღვევა. შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა რუსთაველის პროსპექტზე, გამწვავდა სურსათით მოქალაქეთა მომარაგების საქმე. ხელისუფლება ამას ხსნიდა მისი კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობით და მომიტინგეთა თვითნებობით.

ნაწილობრივ მაინც, რომ შეეჩერებინა დაწყებული პოლიტიკური კრიზისი, 6 აპრილს მოიწვიეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი. საოლქო კომიტეტის პირველი მდივნობიდან გაათავისუფლეს ბ. ადლეიბა („კომ“ 1989:81). იგი შეცვალა ვლ. ხიშბამ. წინა დღით სოხუმში ჩატარდა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. გადაწყდა მტკიცე ორგანიზაციული ღონისძიებებისა და იდეოლოგიურ-განმარტებითი მუშაობის გაძლიერებით აღედგინათ ჯანსაღი ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის.

ამავე მიზანს ისახავდა აფხაზი და აფხაზეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართვა აფხაზეთის ყველა მოქალაქისადმი. აქ ნათქვამი იყო: აფხაზები და ქართველები ყოველთვის ერთად იყვნენ. მაშ, ახლაც მოვიქცეთ ისე, რომ გამოვნახოთ გამოსავალი ჩიხიდან, შევინარჩუნოთ ჩვენს მიწაზე ერთიანობა, მშვიდობა, მეგობრობა, რათა შთამომავლობა ჩვენით მადლიერი დარჩეს (იქვე: 80).

თბილისში კი ვითარება თანდათან რთულდებოდა, თუმცა მიტინგის მონაწილეთა მიერ თავიდანვე აღებულ მშვიდობიანი მოქმედების გზას ბოლომდე არ დაუკარგავს ასეთი ხასიათი. პირიქით, გამოცხადებული იყო პროტესტის უკიდურესი მშვიდობიანი ფორმა—შიმშილობა.

მიტინგის მონაწილეთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები წლების მანძილზე დაგროვილმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა გამოიწვიეს და, ამდენად, ხალხის საერთო-ეროვნული მისწრაფებების გამოხატულება იყო. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი კონსტიტუციურ უფლებებსაც კი შეესაბამებოდა. ასეთი გახლდათ, მაგალითად, მოთხოვნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ. ცხადია, იყო არაკონსტიტუციური და მკვეთრი ლოზუგ-

ნებიც: „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა“ და სხვა. მოითხოვდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომას, მაგრამ ისინი მომიტინგეთა ერთი ნაწილის შეფასებით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ და, რაც მთავარია, არ შეიცავდნენ არც მოქმედებისაკენ მოწოდებას და არც რაიმე კონკრეტული გზა ყოფილა დასახული მათ განსახორციელებლად.

მიტინგის მშვიდობიან ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ არ ყოფილა გამოყენებული ძალადობა, მოწოდება ძალადობისაკენ, საფრთხეში არ ჩავარდნილა მოქალაქეთა სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არ დაუზიანებიათ სახელმწიფო, საზოგადო ან პირადი ქონება, არ მოუწოდებიათ სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ გამოსვლისა ან მათზე ძალადობის გამოყენების თაობაზე, მომიტინგეებს არ ჰქონდათ ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი, ან ძალადობისათვის მომარჯვებული რაიმე საგნები („კომ“ 1989: 224).

გარეგნულად ხელისუფლებაც არ გამოხატავდა აგრესიულ დამოკიდებულებას მომიტინგეებისადმი. საქდესის ცნობითაც, რომელიც, ცხადია, საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში დგებოდა, შეშფოთება კი იგრძნობოდა, მაგრამ რა ზომების მიღებას აპირებდნენ, არ ჩანდა. მაგალითად, 8 აპრილის ცნობაში საერთო ვითარების გადმოცემის შემდეგ აღნიშნავდნენ, რომ მწვავე საკითხი ძლიერ დაგროვდა და ბევრია, მაგრამ • ისინი უნდა გადაიჭრას პოლიტიკური აზროვნების ამაღლებით, ძალადობამ არ უნდა გაიმარჯვოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, თორემ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოხდესო (იქვე:82).

იმავდროულად (7 აპრილს, 20 საათსა და 35 წუთზე) ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა, საქ. კპ ცეკას მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის მიერ შედგენილი, დეპეშა. მასში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვიძებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ. ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება“. იქვე ასეთ ზომებად მითითებულია: არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა; საგანგებო წესების (კომენდანტის საათის) შემოღება; მდგომარეობის

ნორმალიზაციისათვის პოლიტიკური, ორგანიზაციული და ადმინისტარციული ზომების განხორციელება და სხვ.

ორგანიზაციული ზომების მისაღებად ღონისძიებანი ადრევე იყო გატარებული. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დამატებითი ძალების გამოგზავნა. 7 აპრილს პოლიტბიუროს წევრების თათბირმა სკკპ ცენტ. კომიტეტის მდივნის ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ეს თხოვნა და საქართველოში გამოეგზავნა თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო ნაწილები. ეს ყველაფერი მკაცრად გასაიდუმლოებულ პირობებში მიმდინარეობდა. ცხადად კი საქ. კპ ცეკა თათბირებსა და აქტივებს თითქმის ყოველდღიურად ატარებდა, რათა თავისი საქმიანობისათვის საჯაროობის სახე მიეცა და მოსალოდნელ პასუხისგებაში შეხვედრებზე დამსწრენი მონაწილედ გაეხადა. ჯ. პატიაშვილის მხრივ ასეთის ცდას შემდგომში, მართლაც, ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთ სხდომაზე მან იქ მყოფებს უსაყვედურა: „თქვენ მირჩევდით მიტინგის ძალით აღკვეთას, მე კი წინააღმდეგი ვიყავი“-ო.

ტრაგედის წინ ასეთი სახის ბოლო პარტიული აქტივის კრება 8 აპრილს გაიმართა. კრებაზე განიხილეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციის საკითხი. მომხსენებელი იყო ჯ. პატიაშვილი. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და ფეთქებადსაშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

აქტივს ცეკას მდივანმა ნ. ფოფხაძემ გააცნო პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის მხოლოდ ნაწილი. ზოგიერთი პუნქტები კი კრების მონაწილეებს დაუფარეს. ასეთები იყო მე-17 და 21-ე პუნქტები. პირველის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლის ყველა კურსზე და საშუალო სკოლების უფროს კლასებში უნდა შექმნილიყო ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი აქტივისტთა ჯგუფები[1]. ხოლო 21-ე პუნქტი გულისხმობდა ნეგატიურ მოვლენეთა აღკვეთის მიზნით სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების მოქმედების

[1] როგორც ვთქვით, ასეთი პრაქტიკა აპრობირებული იყო 18 თებერვალს, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან ჩატარებული მიტინგის აღკვეთისას.

კონკრეტული გეგმის შედგენას. ე.ი, ფაქტობრივად, სამხედრო ოპერაციის დაგეგმვას.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნ. ფოფხაძის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებების გეგმის შინაარსი ცეკას ბიუროს წევრების უმრავლესობისთვისაც კი არ იყო ცნობილი. თუმცა იმ დროისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. ვინაიდან, აქტივის კრებაზე კი წაიკითხეს დადგენილების მე-20 პუნქტი, რომელიც არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისა და აქტივისტების სისხლის სამართლისა და ადმინისტარციულ პასუხისმგებლობაში მიცემის სანქციას იძლეოდა, მაგრამ იგი პოეტ ჯ. ჩარკვიანის გარდა ყველამ მოიწონა („კომ" 1989:224).

აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა საქართველოს კომუნისტების, მშრომელების, ახალგაზრდობისადმი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს".

ეს მიმართვა პრესაში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

აქტივის კრების მსვლელობის დროს ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. მას იქედან აცნობეს, რომ პოლიტბიუროს გადაწყვიტა ე. შევარდნაძისა და სკკპ ცეკას მდივნის გ. რაზუმოვსკის დასახმარებლად თბილისში გამოგზავნა. ჯ. პატიაშვილმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა. პოლიტბიუროს დაჰპირდა საქმის საკუთარი ძალებით მოგვარებას. მიზეზი ის გახლდათ, რომ ამ დროს გადაწყვეტილი ჰქონდათ სამხედროების გამოყენებით აღმკვეთი ოპერაციის ჩატარება და ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის ჩამოსვლის შემთხვევაში იგი ჩაიშლებოდა.

ჯ. პატიაშვილმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა: „თუ შეუძლებელი გახდება ხალხის დამშვიდება, მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა", რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში"-ო (იქვე: 83).

„სახელმწიფოებრივი მანქანა" უკვე ამოქმედებული იყო. თბილისში იმყოფებოდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი. მათ დავალებული ჰქონდათ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით ეჩვენებინათ „სახელმწიფოებრივი მანქანის" ძლევამოსილება. საბედისწერო როლს

ასრულებდა ბ. ნიკოლსკი. გარდა კრემლში გაგზავნილი განგებ დამძიმებული ინფორმაციებისა, მან 7 აპრილს დააყენა სამხედრო ძალის დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი. რასაც, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ი. როდიონოვმა ჩაატარა კიდეც ასეთი აქცია. 8 აპრილს დაახლ. 13 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, მომიტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის ცენტრს სამხედრო ვერტმფრენებმა გადაუფრინეს. ამ აქციას საპირისპირო შედეგები მოჰყვა. შექმნილი რეალური საფრთხისაგან ახალგაზრდობის დაცვის მიზნით მოსახლეობის დიდი რაოდენობა მოაწყდა სასახლისწინა მოედანს.

რამდენიმე საათით ადრე, 8 აპრილს, დილით, ი. როდიონოვმა არმიის გენერალ კ. კოჩეტოვის თანდასწრებით ჯ. პატიაშვილს განუცხადა, რომ იგი დანიშნულია მიტინგის აღმკვეთი ოპერაციის ხელმძღვანელად. მაშინ მას არ დაუზუსტებია, ვისი განკარგულებით მოხდა ეს. შემდეგ კი გაირკვა, რომ დანიშვნის ბრძანება გასცა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა დ. იაზოვმა. მაშასადამე, ზემოთ დასახელებული აქტივის კრების წინ მომიტინგეთა ბედი გადაწყვეტილი იყო.

კრების დამთავრებისთანავე მოიწვიეს სამხედრო პირთა თათბირი, რომელსაც შემდეგ იხსენებენ სამხედრო საბჭოდ, თუმცა ასეთი ორგანო, ფაქტობრივად, არ არსებობდა. მასზე გადაწყდა მთავრობის სასახლისწინა მოედნის მომიტინგეთაგან განთავისუფლებაში გამოეყენებინათ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალები. ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. მან იგი, თავის მხრივ, გადაულოცა ი. ეფიმოვს. როგორც ჩანს, მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა საერთოდ არ შეუდგენიათ. შეთანხმებული კი იყვნენ, რომ ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

8 აპრილს, 20 საათსა და 50 წუთზე, ე.ი. როცა მომიტინგეთა საწინააღმდეგო ოპერაციის ჩატარება გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილმა კიდევ ერთი დეპეშა გააგზავნა მოსკოვში. იგი იტყობინებოდა, რომ „მდგომარეობა თბილისში ისევ დაძაბული რჩება... საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტი და სხვა ხელმძღვანელი ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას. შემუშავებული და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში მართლსაწინააღ-

მდეგო მოქმედებათა აღკეთის კონკრეტული გეგმა (?). სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომეტნში საჭირო არ არის" (იქვე: 224).

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე და საერთოდ თბილისში, რაიმე არსებითი ხასიათის გამწვავება არ მომხდარა. პირიქით, მოსახლეობის რამდენიმე ჯგუფმა სცადა სიტუაციის განმუხტვა და სისხლისღვრის თავიდან აცილება. მაგალითად, ასეთი მოთხოვნით დედათა მანიფესტაცია მოეწყო ჯ. პატიაშვილის სახლთან; 500-მა ქალმა კი შიმშილობა გამოაცხადა კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლთან.

ამავე დროს მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა მოედანზე დიდად გაიზარდა. შეკრებილთა შორის უმრავლესობა ქალები იყვნენ. ამის გათვალისწინებით შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ აღკვეთის ოპერაციის ჩატარების გადადება ითხოვა. რის გამოც იგი და ქართული მილიციის ქვეგანაყოფები საერთოდ მოკვეთეს ოპერაციაში მონაწილეობისაგან.

მართალია, ჯ. პატიაშვილი ირწმუნებოდა, რომ იგი ოპერაციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დაუკავშირდა გენ. ი. როდიონოვს და მისგან მიიღო აღთქმა, მიტინგის დაშლას მძიმე შედეგები არ მოჰყვებაო, თორემ იგი რეალურ ძალაუფლებას ფლობდა და შეეძლო აღკვეთის ღონისძიების გადადება, მაგრამ ბევრი შიშობდა, რომ სისხლისღვრა გარდაუვალი იყო. ამის საფუძველს იძლეოდა არა მარტო სამხედროების მიერ მომიტინგეთა მოსალოდნელი დაუზოგველობა, არამედ მიტინგის ორგანიზატორთა მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები სიცოცხლისა და სისხლის ფასად თავისუფლების მოპოვების შესახებ.

ასეთი საფრთხის რეალურობით შეძრწუნებულმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადაწყვიტა პირადად ჩარეულიყო საქმეში. იგი გვიან ღამით მივიდა მომიტინგეებთან, მიკროფონით შეატყობინა მათ, რა საფრთხეც მოელოდათ. თხოვა შეეწყვიტათ შიმშილობა, დაშლილიყვნენ და მასთან ერთად გადანაცვლებულიყვნენ ქაშვეთის ტაძარში ღმერთისადმი ლოცვა-ვედრების აღსავლენად (იქვე: 89).

მაგრამ ერის მოძღვრის ეს გაფრთხილება არავინ შეისმინა. აქციის მომწყობი ზოგიერთი ლიდერი ადრიდანვე არ იყო მოყვრულად განწყობილი უწმინდესისა და უნეტარესის მიმართ. ახლა მათ კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლებისაგან მიგზავნილად ჩათვალეს. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირ. წერეთელი ისე

გათავხედდა, რომ მღვდელმთავარს მიკროფონი წარსტაცა. ილია II-მ თავი საფრთხეში ჩაიგდო. აქციის დაწყებამდე მიტინგზე დარჩა. იგი ატეხილი ხოცვა-ჟლეტიდან ფიზიკურად უვნებელი დიდი ძალისხმევის შედეგად გამოიყვანეს კათალიკოსის დასაცავად ცოცხალ კედლად აღმართულმა ახალგაზრდათა ერთმა ჯგუფმა („9 აპრ." 1990:385).

მიტინგი მხოლოდ მთავრობის სახლის წინ არ ტარდებოდა. ხალხმრავალი შეკრებები მიმდინარეობდა ტელევიზიასთან, უნივერსიტეტთან, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. აცხადებდნენ, რომ თბილისის გაფიცულ საწარმო-დაწესებულებათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

თბილისი მარტო არ იყო. გაფიცვებმა და დემონსტარციებმა მოიცვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქი და რაიონი. მომიტინგეებს უერთდებოდნენ რესპუბლიკის კუთხეებიდან ჩამოსული დელეგაციები. იგრძნობოდა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთო მთელი საქართველო.

მიტინგის აღმკვეთი სამხედრო ოპერაცია დილის 4 საათზე დაიწყო. ამ დროს სასახლისწინა მოედანზე 10 ათასზე მეტი კაცი იყო თავმოყრილი. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. მას ექვემდებარებოდა ყველა სახეობის სამხედრო ფორმირება, მისი მოადგილის გენ. ი კუზნეცოვისა და შინაგანი ჯარების გენ. ი. ეფიმოვის მეთაურობით. მათი ყველა მოქმედება შეთანხმებული და დასტურმიღებული იყო მინისტრის მოადგილის, არმიის გენერალ კ. კოჩეტოვის მიერ. როგორც საქართველოს უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ (ქვემოთ თ. შავგულიძის კომისია) დაადგინა რუსი სამხედროები ოპერაციის მიზნად თავიდანვე სახავდნენ მიტინგის დარბევას და არა დაშლას. ამის დასტურად კომისიის დასკვნაში დასახელებულია 7 გარემოება. მათ შორის ისიც კი, რომ დარბევის დაწყების წინ „სამხედრო ხელისუფალთ მომიტინგეთათვის არ წარუდგენიათ ულტიმატუმი მიტინგის დაშლის მოთხოვნით" (იქვე: 537). თანაც, ჩაკეტილი იყო მოედნიდან ყველა გასასვლელი, გარდა ერთისა. ე.ი. მომიტინგეებს, ფაქტობრივად, გასაქცევი გზა წინასწარ ჰქონდათ მოჭრილი.

ტრაგედიის მომდევნო შეხვედრებსა და სხდომებზე ჯ. პატიაშვილი თავს იმართლებდა: რამდენჯერმე მივმართე არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს შევხვედროდით და დიალოგით მოგვეგვარებინა საკითხები, მაგრამ მათგან უარი მივიღეთო („კომ." 1989:84). ეს

რომ სწორი იყოს, საქ. კპ ცეკას ბიურომ და პირადად მან მაინც დიდი შეცდომა დაუშვეს. თუ მომიტინგეები უარს ამბობდნენ დიალოგზე, ამასვე ხომ ვერ იზამდნენ დამრბევ ოპერაციაში მონაწილე ოფიცრები და ჯარისკაცები. მათ მაინც შეხვედროდნენ და განემარტათ, რა დავალებებს აძლევდნენ, როგორ მოქცეოდნენ მომიტინგეებს. ერჩიათ ჯარისკაცებისათვის, არ გამოეჩინათ სისასტიკე. ჯ. პატიაშვილმა და მისმა გუნდმა კი ყველაფერი იმ სამხედრო მეთაურებს მიანდვეს, რომელთა უმრავლესობა ნებაყოფლობით დაქირავებული იყო და გარდა ბრძანების უმკაცრესი შესრულებისა, არავითარი სხვა მოტივი არ ამოძრავებდა. ე.ი. პარტიულმა ხელმძღვანელობამ სამხედროებისათვის ინსტრუქტაჟის მიუცემლობით, ფაქტობრივად, უბიძგა მათ სისასტიკისა და დაუზოგველობისაკენ.

დამრბევი ოპერაციის შემსრულებული სამხედრო ნაწილები და ჯავშანტექნიკა ძირითადად ლენინის მოედანზე იდგა. ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს ანთებული ჰქონდათ ფარები და ჩართული ძრავები. მათ ირგვლივ ხდებოდა სამხედრო ქვეგანაყოფთა გადაადგილება. დ. მჭედლურს დაუნახავს, რომ, „მათი ნაწილი ფარებით იყო აღჭურვილი, ეხურათ მუზარადები და ხელკეტები ეჭირათ. ერთგან, 20-25 კაციანი მწყობრს ხელში მომცრო ნიჩბები ეკავა“ (მ ჭ ე დ ლ უ რ ი 1995:55).

იგივე ავტორი განაგრძობს, როცა მიკროფონში პატრიარქის ხმა შეწყდა, ერთხანს საერთი სიჩუმე ჩამოვარდა. „მალე ლენინის მოედნიდან ავისმომასწავებელი გუგუნი გაისმა“. ჯავშანტრანსპორტიორებმა გვერდზე გადაათრიეს გზის ჩამკეტი მანქანები. ხოლო ტანკების კოლონა სწრაფად გამოემართა ხალხისაკენ. ხალხმა მათ გასატარებლად დერეფანი გააკეთა, მაგრამ ტანკების უკან მწყობრად მოდიოდა ასობით ჯარისკაცი, ისინი „მთელ ფრონტზე კედლიდან კედლამდე „წმენდნენ“ დემონსტრანტებს“ (ი ქ ვ ე: 56-57).

ჯავშანტექნიკას შემოყოლილ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ქამარზე ეკიდათ მესანგრის ორლესული ხელბარები, რომელთაც ხელჩართულ ბრძოლაში ცივი იარაღის დანიშნულებით იყენებენ. შინაგანი ჯარების მებრძოლებს მილიციელთა ხელკეტები ეჭირათ. მათვე დაურიგეს მომწამვლელი აირის ბალონები[1].

იმის წარმოსადგენად, თუ რა ხდებოდა აღმკვეთი ოპერაციის ერთ

[1] შეიარაღებული ძალები და მზუთავი ნივთიერებანი რეფორმატორ საბჭოთა ხელმძღვანელებს მომიტინგეთა წინააღმდეგ თბილისში პირველად არ გამოუყენებიათ. საჯარისო ქვეგანაყოფებმა დაარბიეს მიტინგი 1988 წლის თებერვალში ერევნის „ზვარტოცის“ აეროდრომზე, იმავე წლის 3

უბანზე, მოვუსმინოთ მიტინგის დარბევის თვითმხილველს, გაზეთ „კომუნისტის“ თანამშრომელს ელგუჯა ბერიშვილს: „მე ვიდექი მთავრობის სასახლის წინ ტროტუარზე,—გვიამბობს იგი,— რუსთაველის გამზირისა და ჩიტაძის ქუჩის კუთხეში, როცა ტანკებმა ჩამოიარეს და ხალხი გადაჯგუფდა, განაპირა ხაზზე აღმოვჩნდი. ტანკები გამზირის სიღრმეში გაუჩინარდნენ და უმალ გამოჩნდა მშვიდობიანი მიტინგის „მშვიდობიან დამრბევთა“ მწყობრი სპეცრაზმი — ხელკეტებით, ნიჩბებით და ფარებით შეიარაღებული. მათ დაიკავეს გამზირი და ორივე ტროტუარი მთელ სიგანეზე. ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდნენ და 5-6 მეტრის მოშორებით შედგნენ. ჩვენ ჩავჯექით. რამდენიმე წამში ჯარი დაიძრა შემართული ხელკეტებით. დაგვიშინეს გამეტებით, არ ინდობდნენ არც ყმაწვილებს, არ ქალებს... ხალხი უკუიქცა რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით. ვიდრე მიწისქვეშა გადასასვლელთან მივაღწევდი, სამჯერ თუ ოთხჯერ წავიქეცი. მერეღა უკრაინკას ქუჩიდან დამატებითი რაზმი ჩამოდიოდა ფეხაკრებით. მომიტინგეთა ერთი ჯგუფი ალყაში მოექცა, წარამარა გამოჰყავდათ დასახიჩრებულები. საშინელი სანახავი იყო ეს ყველაფერი“ („კომ“. 1989:94).

სამხედროების გამხეცების დამადასტურებელია მომიტინგეთა ცემის დროს ყვირილითა და ბოღმით წამოსროლილი შეძახილები „ვოტ ვამ გრუზინსკიე, შლუხი“, „სმერტ გრუზინამ“, „ვი ვნუკი სტალინა, მი ვას უნიჩტოჟიმ“, "Вот тебе за сталина!", " чтоб ты болше не рождала", "Свободу; "захотела сука!" და სხვ. რომელთა მოტანა უწმაწურობის გამო არ შეიძლება („ახკომი“ 1989:5; შდრ „ლს“ 1989:22). გავეშებული ჯარისკაცები მოედნიდან გაქცეულ მოქალაქეებს დევნიდნენ და შენობებში თავშეფარებულებს დასარბევად უხტებოდნენ. თბილისის მხატვრის სახლის დირექტორი თემო გოცაძე მოგვითხრობს: „ჯარისკაცები შემოვარდნენ მხატვრის სახლში, დალეწეს პირველი და მეორე სართული, ნიჩბებით ჩეხეს ქანდაკებები. თავშეფარებულ, შეძრწუნებულ ქალებსა და ბავშვებს ცხვირწინ უტრიალეს ხელკეტები და ნიჩბები. უშვერი სიტყვებით ლანძღეს ყოველივე, რაც საფიცარია“ (იქვე) ანალოგიური სურათი იყო სხვა შენობებშიაც. ზოგ შენობაში (პირველი სკოლა, თეატრალური ინსტიტუტი და სხვ.) მათ დატოვეს არა მარტო ნგრევის კვალი, არამედ

ოქტომბერს, ქ. მინსკში, წინაპართა სულთან დღისადმი მიძღვნილი მიტინგის აღკვეთის დროს, გარდა ჩვეულებრივი პოლიტიკური ეკვიპირებისა, გაზიც გამოიყენეს. ორივე ეს შემთხვევა თბილისის ამბებამდე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. მათ შესახებ მხოლოდ 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გაიხსენეს. თუმცა სინამდვილე დაზუსტებული არ ყოფილა.

„სი-ესით“ და სხვა გაზებით მოწამლული ჰაერი, რასაც შედეგად მასობრივი დაავადებანი მოჰყვა. სამკურნალო კურსის გავლა დასჭირდა 4000-ზე მეტ მოქალაქეს, მათგან 500-ზე მეტს სტაციონარულისა („კომ“, 1989:224).

მაგრამ ყველაზე მძიმე გადასატანი მაინც მოედანზე დატრიალებული ტრაგედია აღმოჩნდა. დაიღუპა 19 ადამიანი. მათ შორის 16 ქალი (მათგან ორი არასრულწლოვანი და ერთი ორსული); დაშავდა 427 კაცი (იქვე: 299). მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ არა ქართული მილიციის თანამშრომლების თავგანწირული მოქმედება. ისინი, მიღებული დავალების თანახმად, 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ იმყოფებოდნენ, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. მათ სწორედ ამ საქმეში უნდა დახმარებოდნენ სამხედროები. „მოხდა პირიქით, სამხრედრო პირები თავს დაესხნენ მილიციის მუშაკებს და დაუზოგავად დაუწყეს მათ ცემა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სიკვდილის პირას მყოფი ახალგაზრდები, როგორმე სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიეყვანათ (იქვე). მილიციის 53 თანამშრომელი იმ ღამით სამხედროებისაგან მიყენებული სხეულის დაზიანების გამო სამკურნალო გახდა (იქვე: 84).

მართალია, კონსტიტუციის მიხედვით და ოფიციალური იდეოლოგიური სამსახურების აღიარებითაც, საბჭოთა ქვეყანა ყველაზე დემოკრატიული იყო მსოფლიოში, მაგრამ არც ერთი ხალხი არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ისე მოკლებული, როგორც საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო მასები იყო. ამის მიზეზი გენიალურად აქვს ახსნილი პოლიკარპე კაკაბაძის უკვდავი კომედიის გმირს „სოციალისტები იმას ეძახიან სიმართლეს, რასაც თვითონ ამბობენო“.

ტრაგედიის დღესვე ტელევიზიით, ხოლო 11 აპრილს პრესაში მომხდარის შესახებ გავრცელდა ოფიციალური ვერსია—სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იუწყებოდა: „8 აპრილს, ღამით ქალაქ თბილისში მთავრობის სახლის მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეული უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. წარმოქმინლი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი“. (იქვე).

შესაბამისი ქართული სტრუქტურები ხალხისადმი მიმართვაში

„ცხადყოფდნენ“ დამნაშავეებს, „ცხადია ერთი რამ,—იუწყებოდნენ ისინი,— პასუხისმგებლობა ამ უბედურებისათვის უპირველესად და უმთავრესად ეკისრებათ უკიდურესი მიმართულების არაფორმალური გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც თავიათნი მიუღებელი, აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით უაღრესად დაძაბეს ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება, აიყოლიეს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამოიყენეს მოზარდი თაობის გულწრფელობა, ემოციები, ისარგებლეს მისი ცხოვრებისეული გამოუცდელობით და კატასტროფამდე მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, მთელი ხალხი“ (იქვე).

ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი საკუთარ შეცდომებსა და დანაშაულზე, მოძრაობის გამომწვევ მიზეზებზე, სამხედროების მიერ ჩადენილ ძალადობაზე, ხალხის მესანგრის ხელბარებითა და ხელკეტებით აკაფვა-დაჟეჟვაზე, 19 კაცის მომწამვლელი გაზებითა და ცემით ამოჟუჟვაზე.

იმ მიზნით, რომ გამართლდეს მიტინგის აღკვეთაში სამხედრო ძალის გამოყენება, განგებაა გამუქებული და სუბიექტურადაა გადმოცემული მიტინგის მსვლელობა. მიმართავა სხვა დიდ სიცრუეებსაც შეიცავდა. კერძოდ, იქ წერია, რომ თითქოს „წესრიგის დამცველებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ“. სინამდვილეში ტყვიით დაიჭრა ოთხი ადამიანი, მათგან ერთი დაიღუპა („9 აპრ.“ 1990: 265).

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. პატიაშვილი ხოცვა-ჟლეტის ფაქტის შეტყობისთანავე, ფაქტობრივად, გადამდგარი იყო და თბილისში უკვე იმყოფებოდნენ ე. შევარდნაძე და გ. რაზუმოვსკი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ბ. ნიკოლსკის მეთაურობით, კვლავ განაგრძობდა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების ხალხისაგან იზოლირების აღებულ კურსს. თბილისის პროკურატურის 12 აპრილს გამოქვეყნებული ცნობით დააპატიმრეს —ვ. ხუხუნაიშვილი, მ. კოსტავა, გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი და ზ. გამსახურდია. დაეძებდნენ ი. წერეთელს („კომ“. 1989:85).

მოვლენების მომდევნო განვითარებამ დაადგინა, რომ ბევრი რამ რაც ცხადდებოდა და კეთდებოდა სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით მცდარი კურსი იყო. მათი დაწვრილებითი შეფასება მოცემულია თ. შავგულიძის კომისიის მიერ. რომლის დასკვნების სისწორე დაადასტურა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ ანატოლი სობჩაკის თავმჯდომარეობით შექმნილმა კომისიამაც.

დაშვებული შეცდომები ატარებდნენ პოლიტიკურ და სამართლებრივ ხასიათს. ასეთი იყო კომენდანტის საათის გამოცხადების არაკონსტიტუციურობა. მისი დაწესების უფლება ჰქონდა საკავშირო უწყებას რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოსთან შეთანხმების შემდეგ. მაშასადამე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, როცა თბილისში კომენდანტის საათი გამოაცხადეს („9 აპრ.“:550).

ამ დარღვევას მოჰყვა მომდევნოებიც. ბრძანებულება კომენდანტის საათის შემოღების შესახებ გამოქვეყნდა დაგვიანებით. თანაც, საკავშირო თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს სათანადო საფუძველი არ გააჩნდა და, მაშასადამე, უფლება არ ჰქონდა ქ. თბილისის კომენდანტად დაეინიშნა ი. როდიონოვი. ამ დანიშვნას არ უნდა დათანხმებოდნენ და ეს არ უნდა დაეშვათ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც. ვინაიდან 9 აპრილს მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის მთავარი ჯალათი სწორედ ი. როდიონოვი გახდა. გენერალს, რომელმაც არ შეასრულა ხელმძღვანელობისადმი არა ერთხელ მიცემული აღთქმა სასახლის მოედნის რაიმე ექსცესებისა და მძიმე შედეგების გარეშე გაწმენდის შესახებ, როგორღა შეიძლებოდა მინდობოდა მთელი დედაქალაქის მოსახლეობის ბედი. მოსახლეობისა, რომელიც მომხდარი ტრაგედიის გამო აღშფოთებული და აღზგნებული იყო.

უნდობლობის ეს ვარაუდი ი. როდიონოვმა საკუთარი გაამართლა. მან თავისი ფუნქციების შესრულება თავიდანვე დარღვევებით დაიწყო. კომენდანტის საათის შემოღებისა და თავისი ახალი დანიშვნის გამოსაცხადებლად ტელევიზიაში დაგვიანებით მივიდა. მისი გამოსვლა დამთავრდა კომენდანტის საათის დაწყებამდე 4 წუთით ადრე. ასეთ გამოსვლას არ შეიძლებოდა ეფექტი მოჰყოლოდა. ვინც ტელევიზორებს უყურებდა ის სახლში იყო და გაფრთხილება ქუჩაში გამოუსვლელობის შესახებ აღარ სჭირდებოდა, ხოლო გზაში მყოფები 4 წუთში ბინაში მისვლას ვეღარ მოასწრებდნენ. არსებობს ვარაუდი, რომ გენერალმა ეს განგებ ჩაიდინა („9 აპრ“. 1990:82). ამ ვერაგობას მაშინვე მოჰყვა ტრაგიკული შედეგები—კომენდანტის საათის გამოცხადების პირველსავე წუთებში კაპიტანმა ლოხინმა მოკლა მოქალაქე გია ქარსელაძე (იქვე: 361). სხვებმა დაჭრეს რამდენიმე გამვლელი. პირველსავე დღეს პატრულებმა დააკავეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცეს 464 კაცი („კომ“. 1989:89). მომდევნო დღეებში დაკავებულთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო.

თავდაპირველად კომენდანტის საათი დაწესდა 23-დან 6 საათამდე.

16 აპრილიდან იგი მოქმედებდა 24-დან 5 საათამდე. 18 აპრილს კი გაუქმდა.

ზემოთ ითქვა, რომ 4-8 აპრილის თბილისური აქციები არ ყოფილა ერთ ქალაქში განვითარებული ლოკალური მოვლენა. რადგან დედაქალაქში დაწყებული მანიფესტაციის შესახებ ოფიციოზი ინფორმაციას არ იძლეოდა, მოძრაობის აქტივისტებმა იზრუნეს გაეცნოთ იგი საქართველოს მოსახლეობისათვის. რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში გაიგზავნენ ინფორმატორები, რომელთაც ოფიციალურად გამოქვეყნებულ ცნობაში (იქვე: 84) „რადიკალურ არაფორმალურ გაერთიანებათა“ წევრებისაგან შემდგარი „დამკვრელური ჯგუფები“ ეწოდებათ. მოძრაობას ადგილებზე დიდძალი მხრადამჭერი აღმოუჩნდა. ზოგან ჩატარდა მასშტაბური ღონისძიებანი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვან იყო ქუთაისში ცენტრალურ მოედანზე პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტთა ინიციატივით მოწყობილი მიტინგი. მონაწილეობდა 800-ზე მეტი კაცი. აქციაზე იმდენად ბევრი სიმართლე ითქვა, რომ მისი რამდენიმე მონაწილე დააპატიმრეს. ამის საპროტესტოდ 50-ზე მეტმა კაცმა მჯდომარე გაფიცვა გამოაცხადა.

მიტინგები გაიმართა: სამტრედიაში, ლენინგორში, სოხუმში (სიტყვა წარმოთქვა ა. ბაქრაძემ), გაგრაში, ბორჯომში, რუსთავში მიტინგში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა კაცმა. წაიკითხეს მთავრობის სახლთან დაღუპულთა სია. ჩატარდა „ძაძით მოსილ ქალთა“ მანიფესტაცია. აქ მიტინგის ასე მრავალრიცხოვნობის მიზეზი იყო ის, რომ თბილისში კომენდანტის საათის გამოცხადების გამო, რაიმე შეკრება იკრძალებოდა. თბილისელთა ერთმა ნაწილმა ამ მიზნით რუსთავს მიაშურა. მოულოდნელი რამ მოხდა დუშეთში. არცთუ ისე ხალხმრავალ ქალაქში 1500 კაციანი მანიფესტაცია გაიმართა (იქვე).

ამავე დღეებში ხარაჩოებიანად დაწვეს თბილისი—მცხეთის გზაზე მშენებარე გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალი.

9 აპრილის ტრაგედიას, ადამიანთა მსხვერპლით გამოწვეულმა დიდი ტკივილისა და სევდის გარდა, მნიშვნელოვანი გარდატეხაც მოჰყვა საზოგადოების ქცევასა და აზროვნებაში. გარეგნულად კომენდატის საათით თითქოს დათრგუნულმა ადამიანებმა არაჩვეულებრივი ეროვნული ერთიანობა და თავშეკავება გამოამჟღავნეს. ყველაფერი მიმდინარეობდა დიდი მოთმინების ნიშნით და რაიმე მნიშვნელოვანი ექსცესების გარეშე. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ქართველობა წელ-

ში იყო გატეხილი და დუმილს აპირებდა. ემოციების ნაკადი ერთბაშად გადმოიღვარა ე. შევარდნაძესა და გ. რაზუმოვსკისთან მოწყობილ შეხვედრებზე. თანაც, შეხვედრიდან შეხვედრამდე ბუნებრივი ბორკილებისაგან თანდათანობით უფრო თავისუფლდებოდნენ და აღშფოთებას მეტად დასაბუთებულად გამოხატავდნენ.

შედარებით მშვიდი კამათი იყო 10 აპრილს ჯერ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივსა, ხოლო შემდეგ საქ. კპ. ცეკაში გამართულ რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. 11 აპრილს, უფრო მწვავე საუბარი გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მომდევნო შეხვედრაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა თითქმის ყველაფერი დაუფარავად თქვეს. მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მოწყობილი შეხვედრა იყო. იქ 9 აპრილს გამართულ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის ამსახველ ვიდეო-კადრებთან ერთად, საკავშირო და რესპუბლიკურ ხელმძღვანელებს დიდი საყვედური დაატეხეს თავს იმის გამო, რომ ისინი მფარველობდნენ ნამდვილ დამანაშაულებს, უარყოფდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას მომხდარი ტრაგედიის გამო და სურდათ ყველაფერი არაფორმალური გაერთიანებების ლიდერებისათვის გადაებრალებინათ. ასეთი გულახდილობა იმდენად მოულოდნელი და ისეთი ფორმით იყო გამოთქმული, რომ სიტყვის შეუბრუნებლობას მიჩვეული იქ მყოფი ხელმძღვანელობისათვის აუტანელი გახდა. ორიოდე დღის შემდეგ გამოსვლაში ე. შევარდანძემ ძირითადი აქცენტი კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძის გამოსვლაზე გადაიტანა და ასეთი რამ თქვა: „ერთ აუდიტორიაში საგრძნობლად მაკლდა ელემენტარული მზადყოფნა მომესმინა ოპონენტების აზრი. საკუთარი შეხედულებების ექსტაზური გამოთქმა ისტერიის მიჯნაზე იყო, ხოლო ყველაფერი ერთად ძლიერ ჰგავდა ქრესტომატიურ ფანატიზმს“ („9 აპრ“.:105). უსამართლობაა ყველასაგან ისეთი თავშეკავება მოითხოვო, როგორიც თავად გაქვს. მით უფრო თუ ამ თავშეკავების უკან უდიდეს ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობა დგას და იცი, რომ ასეთი ქცევით არაფერს დაკარგავ. პირიქით, თანამდებობის შენარჩუნებისათვის დამატებით ქულებს ჩაიწერ. რაც შეეხება „ქრესტომატიულ ფანატიზმს“ იგი სანაქებო თვისება არ არის, მაგრამ თუ შენი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულითაა გამოწვეული მაშინ სასაყვედურო არაფერი გჭირს. ამ სფეროში გადაჭარბებით მხოლოდ იმას მიაღწევ, რომ პატრიოტიზმის დეფიციტის მქონეთაგან არასასურველ ეპითეტებს დაიმსახურებ.

დასახელებულ შეხვედრებზე წარმოთქმული სიტყვების შინაარსის, მოყვანილი ფაქტებისა და შეფასებების გადმოცემას არ შევუდგები, რადგან მიმაჩნია, რომ მათ თავის დროზე ჰქონდათ ღირებული პოლიტიკური ჟღერადობა, წარმოადგენდნენ პასუხს მოცემული მომენტის მიერ დასმულ კითხვებზე, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვისაგან იცავდნენ ქართველ ხალხს. ახლა მათზე მსჯელობით კიდევ უფრო და უმართებულოდ გაიზრდება ეს ისედაც ვრცელი თხრობა.

13 აპრილს პირველად გამოკრთა პრესაში მომწამლავი გაზების ხსენება. 16 აპრილს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა დაადასტურა, რომ 9 აპრილს ღამით ჯარის ნაწილებმა მომიტინგეების წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერებები. მოწამვლა დაადასტურეს საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან გამოძახებულმა სპეციალისტებმაც. რა ნივთიერება იხმარეს უნდა დაესახელებინათ მათ ვინც გამოიყენა. სამხედროები ერთხანს გადაჭრით უარყოფდნენ ასეთ ფაქტს. 15 აპრილს საქ. კპ ცეკაში გამართულ თათბირზე გენერალმა ი. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ „ჯარის ქვეგანაყოფებს არ შეეძლოთ გამოეყენებინათ არავითარი ქიმიური საშუალება“, რადგან იგი საერთოდ არა აქვთ („9 აპრ.“: 131) ოთხი დღის შემდეგ თბილისის ტრაგედიის მეორე გმირს გენ. ი. ეფიმოვს, როგორც იქნა, წამოსცდა: გამოვიყენეთ ხანმოკლე მოქმედების ქიმიური საშუალებანი, ამის უფლება კი 1988 წლის 22 ივლისის ბრძანებულებით გვქონდაო. კიდევ ორი დღის შემდეგ მანვე დააზუსტა—ჯარისკაცებს მიცემული ჰქონდათ „ჩერიომუხის“ (რომელიც შეიცავს ქლორაცეტონფენონს) მხოლოდ 27 პატრონა, ისიც გამოყენებულ იქნა არა მოედანზე, სადაც ადამიანები დაიღუპნენ, არამედ რუსთაველის პროსპექტზე ორ ადგილას. „ჩერიომუხა“ გამაღიზიანებელი ნივთიერებაა და მოწამვლას არ იწვევსო (იქვე: 195) ამ დროს სტაციონარულ მკურნალობას ტოქსიკური გართულების გამო თბილისის საავადმყოფოებში გადიოდა 66 მოქალაქე. ხოლო საექსპერტო-სამედიცინო კომისიის დასკვნით პირველ ღამეს დაღუპული 19 ადამიანიდან თორმეტის სიკვდილი გამოწვეული იყო მხოლოდ გაგუდვით, რაც შედეგად მოჰყვა მომწამვლელი ნივთიერებების შესუნთქვას (იქვე: 541).

რომელიმე სხვა მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებას სამხედროები კვლავ უარყოფდნენ, რაც ართულებდა ავადმყოფების მკურნალობას. ამასობაში ნიადაგის ექსპერტიზამ დაადგინა, რომ უსარგებლიათ „სი-ეს“-ითაც (K-51). ეს ის გაზია, რომელსაც ამერიკელები ვიეტნამში იყენებდნენ. მისი მოქმედება ორგანიზმზე იმდენად სერიოზულ გარ-

თულებებს იწვევს, რომ აშშ იძულებული გახდა მოეხსნა იგი შეიარაღებიდან. მხოლოდ 3 მაისს იქნა აღიარებული „სი-ეს"-ის გამოყენება. ესეც იმის გამო, რომ ამ დღეს თბილისში ჩამოვიდა აკად. ა. სახაროვი და შეუძლებელი გახდა მისთვისაც დაეფარათ საერთაშორისო ექსპერტების მიერ უკვე დამტკიცებული ფაქტი.

ა. სახაროვმა და მისმა მეუღლემ ე. ბონერმა საავადმყოფოში მოინახულეს 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების დროს და შემდგომ მოწამლული ავადმყოფები. მათ იქ თქვეს: ჩვენ შევიტყვეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებმა გამოიყენეს ორი სახის გაზი. მათგან ერთი პოლიციური გაზი „სი-ეს"-ია. ამტკიცებენ, რომ გაზები გამოყენებული იყო მცირე დოზით. დოკუმენტებიდან კი ჩანს— ნორმა სამჯერ აღემატებოდა დასაშვებს, ამან განაპირობა მძიმე შედეგები, „სი-ეს"-ი გამოგონებულია აშშ-ი. მისი მკურნალობის შესახებ კონსულტაციებისათვის უკვე მივმართეთ აშშ-ის ელჩს. ვიმედოვნებთ 1-2 დღეში ჩამოვლენ ამერიკელი სპეციალისტები და ვითარება გაუმჯობესდება (იქვე: 338).

ერთ-ერთმა ამერიკელმა ტოქსიკოლოგმა ბარი რუმექმა „ჩერიომუხა-10"-ის სპექტრის შემოწმების საფუძველზე დაადასტურა, რომ 9 აპრილს, ღამით, თბილისში გამოყენებული იყო მხუთავი ნივთიერება ქლოროპირკინი, რომელიც ერთ-ერთ აგენტად შედიოდა „ჩერიომუხა-10"-ში (იქვე: 443).

ასე რომ, თბილისში 9 აპრილს მიტინგის დაშლის დროს გამოიყენეს სამი სახის მომწამვლელი ნივთიერება. ამის შედეგად დაავადება ხანგრძლივად გრძელდებოდა. 4000-მდე კაცი დაზიანდა. თვით სამხედროებს მიღებული ჰქონდათ მოწამვლის საწინააღმდეგო საშუალებები და ტოქსიკური მოვლენები არ განვითარებიათ.

საბჭოთა მთავრობას არა ერთ საერთაშორისო კონვენციაზე ჰქონდა ხელი მოწერილი, რომლებითაც იგი ვალდებულებას იღებდა ქიმიური იარაღის საბრძოლო ოპერაციებში გამოუყენებლობის, მისი წარმოების შეწყვეტისა და არსებული მარაგის განადგურების თაობაზე. ასეთი განცხადება ოფიციალურად გაკეთდა 1987 წელს. ლენინის მემკვიდრეებს არასოდეს არ რცხვენოდათ საერთაშორისო ვალდებულებების უგულველყოფისა, მაგრამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება თვით ფაშისტებმაც კი არ იკისრეს.

11 აპრილი საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა. დაღუპულთა დასაფლავება შედგა 15 აპრილს. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას შეეწირნენ: აზა ადამია (22 წლის) ნათია ბაშალეიშვილი, ეკა ბეჟანიშვილი (16), ნატო გიორგაძე (23), თამუნა დოლიძე

(28), ნინო დოლიძე (28), თინა ენუქიძე (70), ნინო თოიძე (25), ზაირა კიკვიძე (61), მანანა ლოლაძე (33), თამარ მამულაშვილი (50), მამუკა ნოზაძე (22), ნანა სამარგულიანი (41), მარინა ჭყონია--სამარგულიანი (25), ელისო ჭიპაშვილი (25), თამარ ჭოველიძე (16), ნოდარ ჯანგირაძე (40), მზია ჯინჭარაძე (43); მიღებული ტრამვის შედეგად მომდევნო დღეებში საავადმყოფოში გარდაიცვალნენ: მანანა მელქაძე (23), გია ქარსელაძე (25), შალვა ქვასროლიაშვილი (20).

9 აპრილის ტრაგედიას მოჰყა ცვლილებები პარტიისა და მთავრობის მაღალ ეშელონებში. როგორც ითქვა, ჯ. პატიაშვილმა ადრევე განაცხადა, რომ იგი გადადგა საქ კპ ცეკას პირველი მდივნის თანამდებობიდან. 14 აპრილს ცეკას პლენუმმა მისი განცხადება დააკმაყოფილა. იმავე სხდომაზე ე. შევარდნაძემ ჯ. პატიაშვილის საქციელს „ზნეობრივი მაგალითი" დაარქვა (იქვე: 103). ცეკას პირველი მდივანი გახდა გივი გუმბარიძე. როგორც ჩანს, უხერხულად ჩათვალეს, რომ საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარე აირჩიეს რესპუბლიკის უმაღლეს პოსტზე და ამიტომ მისი ბიოგრაფიიდან გაიხსენეს, რომ იგი ცოტა ხნით თბილისის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ამას გ. გუმბარიძისათვის ავტორიტეტი არ აუმაღლებია და მიუხედავად მალე მისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტის შეთავსებისა, ორივე თანამდებობებზე ყოფნის ბოლომდე უფერულ მარიონეტად დარჩა.

თანამდებობებიდან გადადგნენ: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე. ისინი ამ თანამდებობებზე 1989 წლის 29 მარტიდან მუშაობდნენ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ახლა ნოდარ ჭითანავა დაინიშნა.

მართალია, ოფიციალური წრეები აცხადებდნენ, რომ 1989 წლის 8 აპრილის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე თბილისის მოვლენებთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მაგრამ, ფაქტობრივად, საქმე სხვაგვარად იყო. ბრძანებულება რომ შაბათ დღეს მიიღეს და მაშინვე შევიდა ძალაში მიუთითებს, რომ მისი აუცილებლობა ცენტრს გაუჩნდა ჯ. პატიაშვილის შიფროგრამით შეშფოთების გამო და თანაც, ამ ბრძანებულების არსებობა რესპუბლიკაში აისახა ნ. ფოფხაძის 8 აპრილის გამოსვლაში, რომელიც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე

მოითხოვდა ექსტრემისტების პასუხისგებაში მიცემას. ასეთი კი მხოლოდ დასახელებული ბრძანებულებით დაწესდა. მიუხედავად აჩქარებისა, „ექსტრემისტი ლიდერები“ მაინც ბრძანებულების გამოქვეყნებამდე დააპატიმრეს, მაშინ მათ ყველაფერს და მათ შორის ხალხის გაწყვეტასაც კი აბრალებდნენ.

დაპატიმრებულთა დანაშაულის დაკონკრეტებას ისახავდა მიზნად ბ. ნიკოლსკის დაკვეთით გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ 14 აპრილს გამოქვენებული წერილი. მასში არის ასეთი ადგილი: "Но разве только этими измеряется ответственность лидеров-экстремистов — Костава, Церетели, Гамсахурдиа, Чантурия, Саришвили, Хухунаишвили и других? Нет, "национал-освободители" пошли дальше, калечили молодежь нравственно, навязали "клятву верности", поставили людей на колени, возбудили агрессивный фанатизм. Десятки молодых людей начали голодовку, повторив печально известные события ноября прошлого года в Тбилиси".

ეს წერილი შემთხვევით არ ყოფილა გამოქვეყნებული რუსულენოვან გაზეთში. მისი მიზანი იყო არა მარტო „ექსტრემისტ ლიდერთა“ დევნა, არამედ ანტიქართული ისტერიისათვის ფართო საინფორმაციო ასპარეზის მოპოვება. სწორედ ამისათვის გამოჰყავდათ დაპატიმრებული არაფორმალები ქართველი ხალხის მისწარფებათა გამომხატველად. ამავე გზით სამხედროების მიერ 9 აპრილს ჩადენილი სისასტიკის გამართლებასაც ცდილობდნენ. ასეთი მცდელობის ტიპური მაგალითი იყო მთავარი სამხედრო პროკურორის ა. კატუსევის გამოსვლა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე. სადაც მან ციტატები მოიყვანა ირ. წერეთელის გამონათქვამებიდან, რომ თითქოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი მოითხოვდა გაეროს ჯარების შემოყვანას საქართველოში, საქართველოს შესვლას ნატოში და, საერთოდ, საქართველოს ამერიკულ ორიეტაციაზე გადასვლას. ამ ციტატაში ჩანს პოლიტიკური უვიცობა და უსუსურობა მისი ავტორისაც და დამმოწმებლისაც. ა. კატუსევის გამოსვლის დროს ყრილობის მონაწილეთა ერთმა მესამედმა დარბაზი დატოვა. ხოლო დარჩენილები ისედაც ანტიქართულად იყვნენ განწყობილნი, სამხედრო პროკურორმა სწორედ მათ მოუხადა ხარკი და მოწონებაც დაიმსახურა.

რაც შეეხება არაფორმალ ლიდერებს, მათ გამო ასე დიდი ხმაურის ატეხვა ბელურისათვის ზარბაზნის სროლას ჰგავდა. ისინი თითქმის უსუსური ბრალდებებით დააპატიმრეს. მათ დაპატიმრების მომენტისათვის აღარავითარი ვნების მოტანა არსებული ხელისუფლებისათ-

ვის, ფაქტობრივად, აღარ შეეძლოთ. ისინი ხომ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, ჯარის ქვეგანყოფების მომიტინგეებზე თავდასხმისთანავე გაიპარნენ მოედნიდან და ამით თავისი პრესტიჟი მნიშვნელოვნად შეილახეს. დაპატიმრების შემდეგ კი ისინი მოწამებრივი შარავანდედით შეიმოსნენ და დაიწყო მოძრაობა მათი განთავისუფლების მოთხოვნით. თბილისსა და ქუთაისში ასეთი დევიზით ახალგაზრდების ჯგუფებმა შიმშილობაც კი გამოაცხადეს. ამ მოძრაობას შედეგი მაშინვე არ მოჰყოლია, მაგრამ მათ მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო პროკურატურა იძულებული გახდა ისინი სასამართლო განხილვის გარეშე გაეთავისუფლებინა.

განთავისუფლების წინ ისინი შეახვედრეს რესპუბლიკის პროკურორს. ვ. რაზმაძის შეფასებით, მათ წარმოუთქვამთ სიტყვები, რომლებიც ზუსტად ახასიათებს თითოეულ მათგანს. როცა მათ გააცნეს ტრაგედიის შედეგები „მერაბ კოსტავას უთქვამს—ჩვენ არა გვაქვს უფლება გარეთ გასვლისა, რადგან ეს უბედურება ჩვენ გამოვიწვიეთო.

—როგორ მეტი არ დაღუპულა?— გულუბრყვილოდ უკითხავს ირაკლი წერეთელს.

—თუ იმიტომ გვიშვებთ, რომ პოლიტიკური რწმენა შევიცვალოთ, მაშინ მირჩევნია ციხეში დავრჩე, უთქვამს გიორგი ჭანტურიას.

—ოღონდ გამიშვით და საქართველოში დღესვე წესრიგს დავამყარებ!—განუცხადებია ზვიად გამსახურდიას". (მ ჭ ე დ ლ უ რ ი 1995:60).

9 აპრილს მომხდარი მოვლენების შესასწავლად თავიდან ხელისუფლებამ შეადგინა სამთავრობო კომისია. მაგრამ რიგმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მოითხოვეს საზოგადეობრიობის წარმომადგენელთაგან შედგენილი კომისიის შექმნა. ასეთი წინადადებების გათვალისწინებით, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 17 აპრილს შეიქმნა თ. შავგულიძის[1] კომისია. მასში შევიდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სულ 37 კაცი („კომ" 1989:91). მათი მუშაობის პერიოდში ჩამოყალიბდა ხუთი ქვეკომისია.

კომისიამ და ქვეკომისიებმა დიდად შრომატევადი მუშაობა გასწიეს, თავდაპირველად მოძიებული მასალების კვალდაკვალ გამოქვეყნდა ქვეკომისიების ანგარიშები და დასკვნები. შემდეგ კი საზოგადოებრიობას გაეცნო კომისიის უფრო კომპაქტურად და დასაბუთებულად

[1] კომისიის თავმჯდომარე თამაზ შავგულიძე იყო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, იურიდ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

ჩამოყალიბებული დასკვნა, სათაურით —„ერის სამსჯავროზე“ (იქვე: 224).

დასკვნა შედგება შესავლისა და 6 განყოფილებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ იგი მიუკერძოებლად შედგენილი დოკუმენტია მას მაინც ჭარბად აძევს ეპოქის კვალი. იქ ბევრი რამ ახსნილი და გაანალიზებულია კომუნისტური პარტიის იდეოლოგიისა და საბჭოთა სამართლებრივი აქტების შესაბამისობის თვალსაზრისით. გადაცდომა თუ კანონიერება ამ გზითაა დადგენილი. შეფასებებიც მისადაგებულია საბჭოურ აზროვნებასთან და ქცევის წესებთან. მაშინ ეს მაღალი ობიექტურობის მაჩვენებლად იყო მიჩნეული. დღევანდელობის თვალსაზრისით კი ანაქრონიზმად გამოიყურება.

თბილისის აპრილის მოვლენები ფართოდ გახმაურებული ფაქტი გახდა. მან აშკარა და საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. კერძოდ, 9 აპრილს, საკვირაო ღამის გადმოცემაში რადიოსადგურ „ამერიკის ხმამ“ აუწყა, რომ 4 აპრილს დაიწყო არაფორმალურ გაერთიანებათა მასობრივი გამოსვლა, რომლის მონაწილენი მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას. 6 აპრილს გაფიცული იყო თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებელი. შიმშილობა გამოაცხადა 60-მდე კაცმა. ამავე დღეს თბილისში შეიყვანეს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. („კომ“ 1989:85).

ტრაგედიის შემდეგ საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებში საქართველოს თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა. გამოდიოდა, რომ თბილისის ამბებით დაინტერესება ევროპასა და ამერიკაში უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა ხელმძღვანელობასა და ოფიციალურ პრესაში. ამის გასანეიტრალებლად და საზოგადოებრიობის წინაშე ფორმალური ვალის მოხდის მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისია, ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ.ს. ტარაზევიჩის მეთაურობით. როგორც კი ეს კომისია მუშაობას შეუდგა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა ცენტრალური და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის მოქმედების გამართლებას, ანგარიშს არ უწევდა საზოგადოებრიობის აზრს და უფრო მეტიც, უგულვებელყოფდა ხელისუფლებისათვის არასასურველ ფაქტობრივ მტკიცებულებებს. ამის გამო გ. ტარაზევიჩის კომისიას უარყოფითი იმიჯი შეექმნა არა მარტო საქართველოში, არამედ ბალტიისპირეთის

ქვეყნებსა და მოსკოვის ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე წრეებშიაც კი[1].

25 მაისს გაიხნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობა[2]. სხდომა მხოლოდ იწყებოდა, რომ დეპუტატმა ლიტვიდან ვილენ ტოლპეჟნიკოვმა ისარგებლა პაუზით, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ფურცლებს აწყობდა, ტრიბუნაზე ავიდა და ყრილობას შესთავაზა ფეხზე ადგომით და წუთიერი დუმილით პატივი ეცათ 9 აპრილს თბილისში დაღუპულთა ხსოვნისათვის. დეპუტატის ეს ქცევა და თვით ცერემონია, ცხადია, არ იყო მხოლოდ ტრაგედიის მსხვერპლთა პატივისცემა, არამედ იგი მოასწავებდა უმაღლესი ხელისუფლებისადმი არანახულ დაუმორჩილებლობას, რომელშიაც ხელმძღვანელობამ უნებურად თავადაც მიიღო მონაწილეობა, რითაც თავისი მხოლოდ უზნეობა კი არა უსუსურობაც დაადასტურა.

მომდევნო სხდომებზე საქართველოს დეპუტაციამ ყრილობას წერილობით წარუდგინა წინადადებანი თავისი პოზიციის შესახებ: 1. 9 აპრილის ტრაგედია დანაშაულია და არა მარტო ქართველი ხალხის მიმართ, ამიტომ იგი ყრილობის განხილვის საგანი უნდა გახდეს; 2. დაიგმოს 1921 წლის 25 თებერვალს ჩადენილი დემოკრატიული საქართველოს ანექსიის აქტი; 3. ქართველმა ახლგაზრდებმა სამხედრო სამსახური უნდა გაიარონ თავისსავე რესპუბლიკის ფარგლებში.

30 მაისს ყრილობის სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ თ. გამყრელიძე, ი. როდიონოვი, ჯ. პატიაშვილი, ე. შენგელაია.

თ. გამყრელიძემ თავის გამოსვლაში დიდი ადგილი დაუთმო ცენტრალური და, განსაკუთრებით, სამხედრო პრესის მიერ გავრცელებული ჭორების უარყოფას. მან თქვა: წერენ თითქოს ქართველი მამაკაცები თავიანთ ქალებსა და ბავშვებს ხოცავდნენ, ხოლო ჯარისკაცები თურმე ცდილობდნენ გადაერჩინათ და დაეცვათ ისინი ამ გააფთრებული მამაკაცების თავდასხმისაგან. ასევე, სიცრუეა ის მტკიცება, რომ მსხვერ-

---

[1] თვით ტარაზევიჩის შესახებ მინსკიდან საქართველოს მწერალთა კავშირში გამოგზავნილი დეპეშით ბელორუსი მწერლები, მხატვრები და მეცნიერები იუწყებოდნენ, რომ იგი იყო ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე მინსკში 1988 წლის 30 ოქტომბერს მოწყობილი დემონსტრაციის დარბევისა, ხელს უწყობდა არჩევნების კანონის უხეშ დარღვევას და „დაბალი ადამიანური თვისებებით ხასიათდება" („ლს" 1989:31).

[2] სახალხო დეპუტატთა არჩევნები ჩატარდა ტერიტორიული (არჩეულნენ 750 დეპუტატს), ეროვნულ-ტერიტორიული (750) ოლქებსა და საერთო-საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (750) მიხედვით. ოლქებში კენჭისყრის პირველი ტური მოეწყო 26 მარტს. მომდევნო ტურების დეპუტატები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან აირჩიეს აპრილსა და მაისში. სულ 2249 კაცი გახდა სახალხო დეპუტატი. ვაკანტური დარჩა ერთი ადგილი. საქართველოდან დეპუტატთა კორპუსი შედგებოდა 91 დეპუტატისაგან.

პლი გამოწვეული იყო სრულიად გაუგებრად „წარმოშობილი ქლეტისაგან". სინამდვილეში კი ადგილი ჰქონდა დანაშაულს საკუთარი ხალხისა და, საერთოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია მომწამვლელი ნივთიერებების და, კერძოდ, „სი-ეს"-ის გამოყენების ფაქტი („კომ" 1989: 126).

თ. გამყრელიძის გამოსვლით შექმნილი პროქართული შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ ყრილობაზე გამოიყვანეს ი. როდიონოვი. ჯალათმა გენერალმა უხვად დაიმოწმა ციტატები გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" ბ. ნიკოლსკის შეკვეთით 14 აპრილს გამოქვეყნებული წერილიდან. 9 აპრილის ტრაგედია მან მონათლა ქვეყნის უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციად.

ჯ. პატიაშვილი ყრილობაზე თავის გამოსვლაში შეეცადა თავისი მოქმედებების გამართლებას. მაგრამ ამასთან ერთად დაასახელა რამდენიმე საყურადღებო ფაქტი, რომლითაც ცენტრალურ ხელმძღვანელობას დააკისრა პასუხისმგებლობა.

თბილისში 4-9 აპრილს განვითარებული მოვლენების მთავარ მიზეზად ჯ. პატიაშვილმა აფხაზთა მიერ ავტონომიის მოკავშირე რესპუბლიკით შეცვლისა და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნა დაასახელა. იქ დაწყებული მღელვარებების გამო მილიციის ძირითადი ძალები აფხაზეთში გადავისროლეთ და ამიტომ თბილისში წესრიგის დასამყარებლად დამხმარე ნაწილების შემოყვანა მოვითხოვეთო, განაცხადა მან (იქვე).

ჯ. პატიაშვილის გამოსვლის შემდეგ ა. ლუკიანოვმა წაიკითხა მის მიერ სკკპ ცეკაში გაგზავნილი შიფროგრამები[1]. მათში ყურადღება გაამახვილა იმ პუნქტებზე, სადაც ექსტრემისტების დასჯისა და სა-

[1] სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ლუკიანოვმა 5 დეპუტატს წაუკითხა. ორი ნოემბრის მოვლენების დროს გაგზავნილი და სამი აპრილის 7-9 რიცხვებში. ის ფაქტი, რომ ტექსტი ბ. ნიკოლსკის მიერ იყო შეღებილი, ჯ. პატიაშვილს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს. ყრილობაზე გამოსვლისას მან განაცხადა: როგორც კი ორი კაცის დაღუპვა გავიგე, თანამდებობიდან გადავდექიო. ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო დანაშაულებრივია მისი საქციელი, რადგან გამოდის, რომ მოსკოვში 9 აპრილს, 10 საათსა და 25 წუთზე გაგზავნილ დეპეშაზე მას გადადგომის შემდეგ მოუწერია ხელი. ეს დეტალები თავდაპირველად გამჟღავნდა არა ყოფილა, პატიაშვილის გადადგომა კეთილშობილურ ნაბიჯად ჩაეთვალეს და ზოგიერთის თვალში, ცოტა ხნით, სიმპათიაც კი მოიპოვა. მაგრამ თვითონ ხომ იცის, რაც აქვს ჩადენილი. ამიტომ, საკვირველია, სხვა რომ არა იყოს რა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ასეთი შიფროგრამების ავტორმა, როგორც მოინდომა 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. მას ამბიციურობას და კარიერისტობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ახლაც პოლიტიკურ ლიდერად მოაქვს თავი. ე. წ. „ბათუმური ალიანსს" შეკრა (თუმცა არავინ იცის რა პოლიტიკური ძალა დგას მის უკან) და 2000 წლის არჩევნებისათვის ლამობს მის მეორეჯერ ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაყენებული ხალხისა და ქვეყნის პრეზიდენტობას.

პეშპარიტად! ჰეპყანი სულის ადამიანებისათვის პოლიტიკა ბინძური საქმეა!

განგებო წესების (კომენდანტის საათის) შემოღების მოთხოვნაა დასაბუთებული, ხოლო დეპეშის ადგილი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისათვის მაკომპრემენტირებელი იყო, ა. ლუკიანოვმა ყრილობას არ გაუმჟღავნა.

ყრილობაზე დაისვა თბილისის 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი კომისიის შედგენის საკითხი. იგი დადებითად გადაწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო დეპუტატებს იმ ტრაგიკულ ღამეს გამართული ხოცვა-ულეტის ამსახველი თითქმის ერთსაათიანი ვიდეოფირი აჩვენეს. კომისიაში შევიდნენ საზოგადოებრიობის, სამხედროების, იურისტებისა და ეკლესიის მსახურთა წარმომადგენლები. თავმჯდომარედ აირჩიეს ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, სახალხო დეპუტატი ანატოლი სობჩაკი („კომ", 1989: 181).

ა. სობჩაკის კომისიამ მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, შეძლებისდაგვარად ობიექტური კვლევა ჩაატარა. ცხადია, მის მიერ მოძიებულმა მასალებმა და მათ მიხედვით გაკეთებულმა შეფასებებმა და დასკვნებმა ოფიციალური ხელისუფლებისა და, განსაკუთრებით, სამხედროების გულისწყრომა გამოიწვია. მათ ყველაზე უფრო აღაშფოთებდათ მესანგრის ბარების ხალხის ასაჩეხად და მზუთავი გაზების მშვიდობიან მომიტინგეთა მოსაწამლავად გამოყენების ფაქტის კომისიის მიერ ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად აღიარება. ასეთ დასკვნას შეეძლო შორსმიმავალი უარყოფითი რეზონანსი გამოეწვია. ამიტომ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამას დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა, 1989 წლის 24 დეკემბერს სობჩაკის შემდეგ სიტყვა მიეცა მთავარ სამხედრო პროკურორს ა. კატუსევს. მან თვით რეაქციონერი რადიკალების მოლოდინსაც კი გადააჭარბა, სასურველი მომხდარად გაასაღა[1]. ამას, როგორი რეაქცია მოჰყვა, უკვე ვთქვით. შემდეგ დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად თვით მ. გორბაჩოვის დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო. დასასრულს კი, როცა განხილვის შედეგებს კენჭი უყარეს, სხდომაზე დამსწრე 1928 დეპუტატიდან 1843-მა არ ირწმუნა სამხედრო პროკურატურის გამოძიების შედეგები.

რუსეთში თბილისის ამბებისადმი თანაგრძნობის გამომხატველი

[1] ცნობილი სამართალმცოდნის ა. შუშანაშვილის განმარტებით, ყრილობაზე ა. კატუსევის გამოსვლით უნიკალური და უარესი რამ მოხდა, რადგან პროკურორს და გამომძიებელს უფლება არა აქვს სასამრთლო პროცესამდე, მით უფრო გამოძიების დამთავრებამდე, გაამჟღავნოს გამოძიების შედეგები. სამართლებრივი ნორმის მიხედვით, საერთოდ, დაუშვებელია ასეთ საკითხზე ლექციებისა და მოხსენებების კითხვა („კომ". 1989:300).

წრეებიც ბლომად იყო. ამას მოწმობს ის გამოხმაურებანი, რომლებიც საქართველოში გამოიგზავნა და მოსკოვის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფორუმზე გამოითქვა. ასეთთა რიგს განეკუთვნება: მოძრაობა „მოსკოვის ტრიბუნის“ მიერ ქართული კულტურის სახლის „მზიურის“ წინ 16 აპრილს მოწყობილი მიტინგი; გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ (რედ. ე. იაკოვლევი) პუბლიკაციები; 21 აპრილს მოსკოვში, კინოს სახლში, მოწყობილი პრესკონფერენცია, რომელიც მიჰყავდა ე. შენგელაიას (სიტყვებით გამოვიდნენ თბილისში 9 აპრილის შემდეგ ნამყოფი სახალხო დეპუტატები: მ. ბელიკოვი, ბ. ვასილიევი, ა. გელმანი, დ. ლუნკოვი, ე. იაკოველევი და აჩვენეს ერთსაათიანი ვიდეომასალა); 20 აპრილს ჩატარებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენცია (მას ინფორმაცია გაუკეთა თ. გამყრელიძემ. გამოსვლას მხარი დაუჭირა ა. სახაროვმა, ა. თავხელიძემ) და სხვა ღონისძიებანი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველის იური როსტის ღვაწლი. იგი 9 აპრილის ღამეს სასახლისწინა მოედანზე იმყოფებოდა. თვითონაც ცრემლმდენი გაზის ზემოქმედება იწვნია, იგემა ხელკეტის დარტყმა ბეჭებში, მაგრამ მოახერხა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე ბუჩქებში შეეფარებინა თავი და ფოტო-აპარატი გადაერჩინა. ნახულის აღწერით მან მასალა მეორე დღესვე გააგზავნა „ლიტერატურნაია გაზეტაში“, მაგრამ არ გამოაქვეყნეს. 13 აპრილს ეს კორესპონდენცია და ფოტოსურათები დაიბეჭდა გაზ. „მოლოდიოჟ გრუზიიში“. სამხედრო კომენდანტურამ გაზეთი დააპატიმრა. მაგრამ შემდეგ ი. როსტის წერილი ფართოდ გახდა ცნობილი.

ი. როსტის „თავზარდამცემი, 9 აპრილის ამბების ამსახველი 50 ფოტოსურათიანი რეპორტაჟი“, 21 აპრილს გამოფენილი იყო მოსკოვის კინოსახლში („კომ“. 1989:95).

ასეთი მოქმედება იმ დროს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ცენზურა კრძალავდა სინამდვილის ამსახველი რეპორტაჟების გამოქვეყნებას. მაგალითად, ჟურნ. „ოგონიოკის“ რედაქტორი ვ. კოროტიჩი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში იტყობინებოდა, რომ მას აუკრძალეს თბილისის მოვლენებზე წერა და არ მისცეს უფლება გამოექვეყნებინა ჯანსულ ჩარკვიანის, გია ყანჩელისა და რობერტ სტურუას წერილები (იქვე: 126).

თბილისში მომიტინგეების ამოჟლეტიდან 10 დღის შემდეგ დიდი ტრაგედია დატრიალდა აჭარაში. მთიან რაიონებში 5-6 მეტრის სიმაღლის თოვლი მოვიდა. მისი დნობით წარმოშობილმა წყალუხვობამ

დიდი მეწყერები გამოიწვია. 19 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში სოლგომის მთიდან მოწყვეტილი მეწყერი მოპირდაპირე მთას მიაწყდა. ჩაიკეტა ჩხალთის ხეობა. წარმოიშვა 35 კმ სიგრძისა და 3 კმ სიგანის წყალსაცავი, რომელმაც დაფარა საცხოვრებელი სახლები. მიწის, ქვა-ღორღისა და ხე-ტყის უზარმაზარმა მასამ ქვეშ მოიყოლია შაინიძეების და დავითაძეების ოჯახები, აგრეთვე, სოფ. ხიხაძირიდან მომავალი სარეისო ავტობუსი. დაუზუსტებელი ცნობით, სტიქიამ 50 კაცის სიცოცხლე შეიწირა, 200 ოჯახი გაასახლეს („კომ" 1989:94).

ამავე რაიონის სხვა სოფლებში მეწყერმა დაანგრია და დააზიანა შენობები, გზები, ტყეები, სახნავები, ბაღები, გაანადგურა პირუტყვი. საგანგებო ვითარება შეიქმნა ვაშლოვანში, ღორჯომში, დიდაჭარაში, ღურტაში, ირემაძეებში, ჩათში, ფაცხაში, ფუშაურაულში, ბეღლეთში, თხილვანაში („ლს" 1990:17).

21 აპრილს, საღამოს 8 საათზე შუახევის რაიონის სოფ. დღვანში 30 მეტრის სიგანის ნაშალი სოფლის ცენტრისაკენ დაიძრა. მოსახლეობამ მოასწრო გახიზვნა. სოფ. ტბეთში დაინგრა საშუალო სკოლის, ფოსტის, ბიბლიოთეკის, მაღაზიის შენობები. 40-მდე ოჯახმა დატოვა სოფელი.

სტიქიური მოვლენები აჭარაში 25 აპრილსაც გრძელდებოდა. მარტო შუახევის რაიონში ამ დღისათვის დანგრეული იყო 573 სახლი, უვარგისი გახდა 635 ჰექტარი სავარგული. რაიონიდან გაიხიზნა 372 ოჯახი.

სულ კი ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ცნობით, აჭარაში საშიშ ზონაში ცხოვრობდა 2159 ოჯახი. გადასასახლებელი იყო—778. მთლიანად დაინგრა 44 სახლი, 1152 დაზიანებულ სახლში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. გამოუყენებელი გახდა 3250 ჰექტარი მიწა, რაც აჭარის სავაგრულების ნახევარს წარმოადგენდა. საჭირო იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასასახლებლად გადაეყვანათ: ხულოს რაიონიდან —685 ოჯახი, შუახევის რაიონიდან —565, ქედის რაიონიდან —69 („ახკომი" 1989:48).

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავდაპირველი გაანგარიშებით, დაზარებულთა ჩასახლება უნდა მომხდარიყო რვა რაიონში. ვანის რაიონში ჩასახლდებოდა —150 ოჯახი. წითელი წყაროსაში —100, თეთრი წყაროსაში—500, ხობისაში —50 („ლს" 1989:17). ეს მონაცემები, ცხადია, საბოლოო არ იყო, რადგან მათი გამოქვეყნების დროისათვის სტიქიური მოვლენები გრძელდებოდა. თანაც ამ პროცესს

ართულებდა საქართველოსათვის საერთოდ დამახასიათებელი მცირემიწიანობა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული საკითხის წინ წამოწევამ საბჭოური ცხოვრების წესში დამკვიდრებული ზოგიერთი ტრადიციის შეცვლა მოითხოვა. კომუნისტური ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო ქალაქების, სოფლების, დაწესებულებებისა და სხვა ობიექტებისათვის პარტიის დიდი თუ პატარა ბელადების, ყრილობებისა და მნიშვნელოვანი თარიღების სახელების მიკუთვნება. ზოგ შემთხვევაში ისინი სრულ ანაქრონიზმს წარმოადგენდნენ. მაგალითად, შესანიშნავი სახელის მქონე ქალაქ სენაკს რომ ცხაკაია დაარქვეს, ეს არ გახდა საკმარისი და იქაური რკინიგზის სადგურს ამშვენებდა წარწერა— „რკინიგზის სადგური ამხ. მიხა ცხაკაია". სხვათა შორის, არსებობს მომსწრეთა მიერ შემონახული გადმოცემა, რომ ეს მცირემცოდნე ფუნქციონერი უკმაყოფილო დარჩენილა შედარებით პატარა დასახლებული პუნქტისათვის მისი სახელის დარქმევით და უთქვამს: „მე დამსახურებული მქონდა ჩემი სახელი ქუთაისისათვის დაერქმიათო"?!

1989 წლიდან დაიწყო ამ მახინჯი რეციდივების გამოსწორება. ერთერთი პირველი სამართლიანი აქტი იყო 15 მაისს გამართულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ,თბილისის უნივერსიტეტისათვის მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭება.

მალე დაიწყო რაიონებიდან შუამდგომლობების წარმოდგენა თავიანთი ქალაქებისათვის ისტორიული სახელების აღდგენის თაობაზე. 1989 წლის 6 ივნისს გეგეჭკორის რაიონს აღუდგა მარტვილის სახელი, ორჯონიკიძისას— ხარაგაულის, ცხაკაიასას—სენაკის და წულუკიძისას—ხონის. ასეთი პროცესი დასახლებული პუნქტებისა და სხვა ობიექტების მიმართ შემდეგშიც გაგრძელდა.

დაახლოებით ამ ამბების სინქრონულად დაიწყო ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, ფრონტებისა და მოძრაობების ჩამოყალიბება. ჩატარდა უკვე არსებულთა ყრილობები და სხდომები.

21 მარტს შედგა რუსთაველის საზოგადეობის ყრილობა. საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აკაკი ბაქრაძე. გამოსვლა დაიწყო საზოგადოების ბიულეტენმა— „მამული," რედ. ტარიელ ჭანტურია.

25-26 ივნისს ჩატარდა საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობა. ფრონტის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოდარ ნათაძე. გაზეთს ერქვა „სახალხო ფრონტი", რედ. ჯ. ჩარკვიანი.

ივნისის შუა რიცხვებში საქართველოს მინისტრთა საბჭომ რეგის-

ტრაციაში გაატარა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო ორგანიზაცია (თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე) და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება (ლევან სანიკიძე).

ხელისუფლება იძულებული გახდა სადღესასწაულო თარიღად გამოეცხადებინა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე—26 მაისი. ამ დღეს მთელს საქართველოში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები. განსაკუთრებით გამორჩეულად ეს დღე აღინიშნა თბილისში. აქ მოწყობილ მიტინგებზე სჭარბობდა ზომიერება და გონიერება.

საბჭოთა ხელისუფლების დროს მრავალეროვნულ საქართველოში არაქართველი ეროვნებების უფლებების დაცვაზე გაცილებით უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე თავად ქართველებისა. ხელისუფლება, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებულ სხვა ტრადიციებს ნაციონალისტურად თვლიდა, ძველ საქართველოში დამკვიდრებულ სხვა ერებთან და რელიგიებთან ტოლერანტული დამოკიდებულების პრინციპებს კარგად იყენებდა ინტერნაციონალური, ფაქტობრივად, ერთა შერწყმის რუსოფილური პოლიტიკის გასატარებლად. ქართულ საზოგადოებაში ტოლერანტობას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა. ტოლერანტობის სხვადასხვაგვარად გაგებამ და საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეროვნებების ქართული თვითშეგნების გამოღვიძებით გამოწვეულმა გაღიზიანებამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ტოლერანტობის პრინციპის მიზანშეწონილობა. ამიტომ შევეცდები გავარკვიო, რას წარმოადგენდა ეს პრინციპი ძველ საქართველოში და რა დეფორმაცია განიცადა მან.

ტოლერანტობა მომთმინეობას, შემწყნარებლობას ნიშნავს. იგი ქართულ სამყაროში ძველთაგანვე დამკვიდრებული ტრადიციაა. ისტორიოგრაფიაში მის აუცილებლობას ლეონტი მროველი ქადაგებდა. მისი კონცეფცია ქართულ საზოგადოებაში ტოლერატობის არქაულობაზე მიუთითებს.

სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში შემწყნარებლობის ყველაზე ადრინდელი ფაქტები ვახტანგ გორგასლის მოქმედებაში მოჩანს. ეს ტრადიცია სახელმწიფოებრივ პოლიტიკად დავით კურაპალატის (966-1001) დროს იქცა, ხოლო დავით აღმაშენებლის ცხოვრების ავტორს, მისი ეპოქის სომეხ და მაჰმადიან ისტორიკოსებს ქართველი მეფის ტოლერანტობის კლასიკური ნიმუშები აქვთ აღწერილი.

რით იყო გამოწვეული ქართველთა ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობა? ამ კითხვაზე პასუხისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება და საისტორიო წყაროების მონაცემები. ერთი შეხედვით კი ცხადია, რომ ქართულ სინამდვილეში შემწყნარებლობა შემთხვევით წარმოშობილი და ჩამოყალიბებული მოვლენა არ არის. იგი არც რომელიმე მეფის, პოლიტიკოსის ან სასულიერო პირის მიერ ერისთვის თავსმოხვეული ნებასურვილი არ იყო. არამედ ეს გახლდათ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციათა გამო ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსი. უპირველეს ყოვლისა, მას განაპირობებდა ქართველი ხალხის საცხოვრისის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა. ეს საცხოვრისი განლაგებული იყო სამიმოსვლო მაგისტრალებზე. მას გარს ერტყა აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოები, მისგან აღმოსავლეთითა და სამხრეთით მცხოვრები ხალხები, არათუ დამცველ ფარს ჰქმნიდნენ საქართველოსათვის, არამედ აგრესორთა შემოტევის შემთხვევაში, საკუთარი სამშობლოდან ჩვენს ქვეყანაში გამორბოდნენ. ამან გამოიწვია ისედაც მცირემიწიან მხარეში მოსახლეობის დიდი ეროვნული და რელიგიური სიჭრელე. ასეთი სიჭრელის დროს წარმოიშობა დაპირისპირების საფრთხე. მსოფლიო ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი, როცა შემოსულთა მიერ აბორიგენი ერის ასიმილაცია მომხდარა და მთელ რიგ ხალხებს ამის გამო არსებობა შეუწყვეტიათ. უფრო ხშირი კი საწინააღმდეგო პროცესებია: ემირგანტები ხდებიან მკვიდრი ხალხების მსხვერპლნი. ისინი ენას, სარწმუნოებას, ეროვნულ მენტალიტეტს ჰკარგავენ და საკუთარ ეთნიკურ თავისთავადობას სამუდამოდ ემშვიდობებიან. ერთიც და მეორეც ტოლერანტობის საწინააღმდეგო პროცესებია. საქართველში ისინი არ განვითარებულა.

ქართველ ხალხს მხოლოდ მცირე ხნით ჰქონდა ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როცა მას აგრესიულობის გამოვლენა შეეძლო, მაგრამ ამით მაშინაც არ უსარგებლია. დავით აღმაშენებელმა ტოლერანტობა სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. ხოლო თამარის სახელმწიფოში არაქართველებს მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტები ეჭირათ. მაშასადამე, უცხო ელემენტების დათრგუნვა— ასიმილაცია— საქართველოს ძლიერების ხანაშიაც არ ხდებოდა, ხოლო დაშლილობის პერიოდში ეს, საერთოდ, შეუძლებელი იყო. არსებობდა მოქნილად მოქმედების გზა—ქვეყნის არაქართველი მოსახლეობის მიმართ გარკვეული დათმობების და ამის საშუალებით ქვეყნის სასარგებლო

პროცესებში ჩართვა. ქართველი პოლიტიკოსებიც ასეთ კურსს ახორციელებდნენ, რაშიაც მათ ხალხის სრული მხარდაჭერა ჰქონდათ.

ისტორიის გადასახედიდან ამ გზის სისწორის დადასტურება ძნელი არ არის. მაგრამ საუკუნეების წინათ მისი პოლიტიკურ კურსად მიღება და მასზე დადგომა დიდ პოლიტიკურ ალღოს და ნების სიმტკიცეს მოითხოვდა. ჩვენს წინაპრებს იგი აღმოაჩნდათ კიდეც. ისინი სავსებით რეალურ, მოქნილ და გონივრულ გზას დაადგნენ, ეთნიკურ-რელიგიური შემწყნარებლობა გამოიჩინეს და საბოლოო ჯამში ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი მიღწეული აღმოჩნდა—უცხო ტომელები საქართველოს სახელმწიფოს სასარგებლო საქმიანობაში ჩაერთვნენ.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უცხოტომელთა მიმართ ქართველთა ტოლერანტობას სხვა მიზეზიც ჰქონდა. კერძოდ, ჩვენში მცხოვრები არაქართველები (სომხები, ებარელები, ბერძნები) ქართველთათვის არატრადიციულ საქმიანობას ეწეოდნენ. ისინი უმთავრესად ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. სახელმწიფო კი დაინტერესებას იჩენდა ამ დარგების განვითარებით, ამიტომ უპირატეს პირობებს უქმნიდა მათ. არ ეხებოდა უცხოტომელთა რწმენას, ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად თვლიდა მათ და კრძალავდა ეთნიკური ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას (თ. ფანჯიკიძე).

საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ასეთი პოლიტიკური პროცესი გავლენას ახდენდა ქართველი კაცის ყოფაზე, ტრადიციებსა და ადათ-ჩვევებზე, აყალიბებდა მის მენტალიტეტს. უცხოტომელი ქართველისათვის უცხო სხეულად არ შეიგრძნობოდა, მით უფრო, მტრად არ ითვლებოდა, მისდამი ქართველს შურის გრძნობა არ ჰქონდა. ამის გამო მის ტერიტორიაზე, ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, ადგილი არ ჰქონია უცხოტომელთა დევნას და დარბევებს. თუმცა იყო ერთმორწმუნეობაზე გადაყვანის ცდებიც, მაგრამ მათ არასოდეს არ მიუღიათ რადიკალური ხასიათი. რაკი ერთმორწმუნეობა არ გამოდიოდა, ქართველი ხელისუფლები ტოლერანტობას არჩევდნენ. ამით თავის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა ხალხებს ქართველებთან დაპირისპირების საშუალებას უსპობდნენ, მეზობელთაგან იზოლირებასაც თავიდან იცილებდნენ.

რუსეთთან შეერთებამდე ტოლერანტობა და რჯულშემწყნარებლობა სწორი და გონივრული პოლიტიკა იყო. მან განაპირობა ქვეყნის შიგნით ეროვნული შუღლის აღკვეთა და ქართველი ხალხის ფიზიკური შენარჩუნების საფუძველი გაამყარა. მისი მეოხებით ქართველი

კაცი შოვინიზმიდან შორს აღმოჩნდა, არ გაბოროტდა და სხვა ტომთა მოძულე არ გახდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობა მოიშალა და რაიმე პოლიტიკური კურსის გატარების შესაძლებლობა ქვეყანას მოესპო. ცარიზმი კი, ხალხთა უკეთ დამორჩილების მიზნით, მათ ერთმანეთთან აპირისპირებდა, თვითონ მესამე ძალის მფარველის როლში გამოდიოდა. ფაქტობრივად კი თავის დიდმპყრობელურ, ასიმილატორულ ამოცანებს ახორციელებდა.

ამ საქმეში რუსიფიკატორებს ფართო სარბიელი ჰქონდათ საქართველოში, სადაც ქართველი კაცის ტოლერანტობით შექმნილი საუკეთესო პირობების გამო საუკუნეების მანძილზე შემოდიოდა მეზობელი ხალხების დიდი ნაკადები და კომპაქტურად სახლდებოდა. მათ მთავარმართებელ პასკევიჩის ძალისხმევით ქვემო ქართლსა და ჯავახეთში ჩასახლებული სომეხთა ახალი მრავალრიცხოვანი ნაკადი დაემატა რუსეთსა და თურქეთს შორის ანდრიანოპოლის ზავით გაფორმების (1829 წ.) შემდეგ.

ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის პირობებში თუ არაქართული მოსახლეობა შეგუებული იყო შექმნილ პირობებს, იმპერიის ქვეშევრდომებად გახდომის შემდეგ მათ დაივიწყეს, რომ სხვის მიწაზე ცხოვრობდნენ და აბორიგენ მცხოვრებთა შევიწროების ხარჯზე ქართული ტერიტორია თავისად ჩათვალეს. ამას ეროვნული დაპირისპირებულობის წარმოშობა მოჰყვა.

ამ პროცესებში კატალიზატორის როლი შეასრულა ერთად მცხოვრებ ხალხებს შორის ურთიერთობაში ქართული ენის ფუნქციის დაკარგვამ. მას ჩაენაცვლა რუსული, როგორც სახელმწიფო და, თანაც, მრავალრიცხოვანი ხალხის ენა. საქართველოში მცხოვრები, არაქართველი მოსახლეობა არათუ ქართულ ენას არ სწავლობდა, არამედ მშობლიურ ენასაც ივიწყებდა და, როგორც მას ახლა უწოდებენ, რუსულენოვანი ხდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებას, მართალია, „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“ კურსი ჰქონდა გამოცხადებული, მაგრამ ეს სოციალისტური რუსიფიკატორულს ნიშნავდა და კიდეც აღრმავებდა ეროვნული ენების გამოყენების სფეროს შევიწროების პროცესს. რუსული ენის ცოდნა, ამ ენაზე მიღებული განათლება პიროვნებას გარკვეულ პრიორიტეტს უქმნიდა. მისი მეშვეობით შეიძლებოდა მუშაობა ვეებერთელა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში, გაადვილებული იყო სამხედრო სამსახური, გადაადგილება ტრანსპორტის ყველა სა-

შუალებით და სხვ. ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ეროვნულ რესპუბლიკებშიაც კი რუსულენოვანი ხდებოდა. ამას მოჰყვა ეროვნული თვითშეგნების ნიველირება, ეროვნული საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად გამოცხადდა.

მაგრამ გარდაქმნის კურსის წამოწყების პირველსავე წლებში ცხადი გახდა, რომ თუ რაიმე იყო მოუგვარებელი საბჭოთა კავშირში, მათ შორის ყველაზე რთული სწორედ ეროვნული საკითხი გახლდათ. საქართველოში, სადაც, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ არასოდეს შეწყვეტილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მოხდა ეროვნული გამოღვიძების ახალი აღმავლობა. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ხელისუფლების დაკარგვის შიშით იძულებული გახდა მხარი დაეჭირა მიმდინარე მოძრაობისათვის. დაიწყო ეროვნული პროგრამების შედგენა-გამოქვეყნება. როგორც ვთქვით, 1989 წლის გაზაფხულისათვის რამდენიმე ასეთი პროგრამა იყო გამოქვეყნებული და, საერთოდ, ეროვნულმა მოძრაობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ამით საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ზოგიერთი ეროვნება ზომაზე მეტად გაღიზიანდა. მათ თავი შეევიწროებულად იგრძნეს და ახალ-ახალი მოთხოვნების წამოყენება დაიწყეს. მათ იმის აღიარებაც კი არ სურდათ, რომ ქართულ მიწაზე ცხოვრობენ და, როგორც ეკუთვნის, ფართო კულტურულ-ეროვნული ავტონომიის ყველა სიკეთით სარგებლობენ.

ამის გამო დადგა ქართველთა ოდინდელი ტოლერანტობის მართლზომიერების საკითხი. დაისვა კითხვა–– რამდენად სამართლიანია შემწყნარებლობა ისეთი ხალხების მიმართ, რომელთაც დაავიწყდათ, რომ ქართულ მიწაზე თავშეფარებულნი არიან და აგრესორობად გადაქცევისაკენ მიისწრაფვიან?

ამ კითხვაზე ასეთი პასუხი შეიძლება გაიცეს: პრაქტიკული ცხოვრება ყოველთვის წარმოშობს თეორიისაგან განსხვავებულ ნიუანსებს, მაგრამ ტოლერანტობა დამოუკიდებელ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში მომავალშიაც დარჩება აქ მცხოვრებ ეროვნებებთან ურთიერთობის განმსაზღვრელ პრინციპად. ქართველი ხალხი მათდამი შემწყნარებლობის კურსს არ უარყოფს, ხოლო ეროვნებები პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოში არასოდეს არ იგრძნობენ თავს შევიწროებულად და იზრუნებენ შეინარჩუნონ მისი ღირსეული მოქალაქის სახელი. ამის გარანტიას ისიც იძლევა, რომ ქართველთა და არაქართველთა ურთიერთობაში მესამე ძალა ვეღარ

ჩაერევა, ხოლო ხალხთა პირდაპირი დიალოგის კეთილისმყოფელი შედეგები საყოველთაოდ აღიარებულია.

მაგრამ 1989 წლის გაზაფხულზე საქართველო არც დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და არც დემოკრატიული, ამიტომ სსრ კავშირში დაწყებული სეპარატისტული პროცესები აქ განსაკუთრებული ძალით გაღვივდა. კერძოდ, ამ დროისათვის მწვავე პრობლემები გაჩნდა კახეთსა და ქვემო ქართლში.

პრესასა და ზოგიერთ საზოგადოებრივ შეკრებებზე ხშირად მოიხსენიებოდა კახეთის სოფლებში ჩამოსახლებულ დაღესტნელთა შესახებ. თანამდებობის პირთა ერთი ნაწილი, არცთუ უანგაროდ, ხელს უწყობდა ლეკებს საკარმიდამო ნაკვეთების მიღებასა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. მაჰმადიანი დაღესტნელები ინტენსიურად მრავლდებოდნენ, როგორც შობადობის, ასევე ნათესავ-მეზობლების კახეთში საცხოვრებლად მოწვევის გზით. მათ ზოგიერთ სოფელში არა მარტო რიცხობრივად გადააჭარბეს ქართველებს, არამედ, საერთოდ, გამოდევნეს ადგილობრივი მცხოვრებლები და მხოლოდ ლეკებით დასახლებული სოფლები შექმნეს.[1] ქართველმა მოსახლეობამ ხმა აღიმაღლა ასეთი პრაქტიკის წინააღმდეგ.

ამ საკითხს მიეძღვნა 14 მაისს ყვარლის რაიონის სოფ. ახალ სოფელში გამართული ყრილობა. აქ არაკანონიერი გზით ჩამოსახლებული ლეკები პრივილეგირებულად გრძნობდნენ თავს. ყრილობაზე ამხილეს ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, რომელიც ქართველთა შევიწროებას და ლეკების მათს ნაკვეთებზე დასახლებას უწყობდა ხელს. აღინიშნა ასეთი ფაქტიც—ლეკების 150-მა ოჯახმა გადაწყვიტა თავის ქვეყანაში დაბრუნება. მათი სახლების შესყიდვისათვის 2 მილიონი მანეთი სესხიც კი გაიცა, მაგრამ, როცა წარმომადგენლები დაღესტანში წავიდნენ, იქედან მათს მიღებაზე, მიწების სიმცირის მომიზეზებით, დაღესტნის მთავრობის უარი მოიტანეს. ლეკთა დაბრუნება შეჩერდა. ყრილობაზე ქართველთა ტოლერანტობამ კვლავ იჩინა თავი. მხარი დაუჭირეს ლეკების „მშვიდობიან გადასახლებას“, „დაღესტნელებთან ურთიერთობას ნუ გავიფუჭებთ, თანაც აქაურ მეზობელთა სიყვარული გავაყოლოთო„ („ახკომი“ 1989:58)

[1] 1989 წლისათვის ყვარლის რაიონში 4 წმინდა ლეკური სოფელი არსებობდა. მათში 830 კომლი, 3587 სული ლეკი, ცხოვრობდა. ლეკები საშინლად იქცეოდნენ. იყო კანიბალიზმის შემთხვევები. ეჭვსმი კაცმა ერთი გზააბნეული, უსინათლო კაცი დაიჭირა, დაკლა და შეწვა... („კომ“ 1990:207-208).

ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული ვითარება იყო ქვემო ქართლში. აქ ურთიერთობა გამწვავდა სტიქიური უბედურების გამო ჩასახლებულ ქართველებსა (სვანები, აჭარლები) და აზერბაიჯანლებს შორის. პრესა აქაურ ამბებზე წერის დროს თავდაპირველად სოციალურ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას. ხოლო ხელისუფლება, საერთოდ, დუმილით უვლიდა გვერდს განვითარებულ მოვლენებს. როცა საქმე შეტაკებებამდე მივიდა და ამის დაფარვა შეუძელებელი გახდა, არ ამხელდნენ გამომწვევ მიზეზებს. ყველაფერი ბრალდებოდა პროვოკაციას.

ასე იყო, მაგალითად, ცნობაში 26 მაისს ბოლნისში ქართველთა და აზერბაიჯანელთა შორის მომხდარი შეტაკების შესახებ. იუწყებოდნენ, რომ შეტაკების დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. დაჭრილია და ჰოსპიტალიზებული 22 კაცი. მათ შორის მილიციის ორი თანამშრომელი. დააკავეს 40 კაცი, დააპატიმრეს-8 („კომ“ 1989:148).

მეორე დღეს არ მუშაობდა ბოლნისის ბევრი საწარმო. მართლწესრიგის დამრღვევებმა გამოიყენეს ასაფეთქებელი ბოთლები და ცეცხლსასროლი იარაღი. დაპატიმრებულთა შორის გამოცხადებული იყო აზერბაიჯანული გვარის მოქალაქენი (იქვე:149).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეტაკებები გრძელდებოდა დმანისისა და მარნეულის რაიონებშიაც. ხოლო ივლისის პირველ რიცხვებში ქვემო ქართლში მდგომარეობა სტაბილიზაციისაკენ წავიდა. 5 ივლისს საქ. კპ ცეკაში ქვემო ქართლში შექმნილი მდგომარეობის შესახებ გამართულ თათბირზე კონკრეტული რა ითქვა, ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი დარჩა.

მარნეულში დაწყებული ექსცესების შესახებ უფრო ნამდვილი ინფორმაცია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 30 ივნისს მოათავსა გია თასოევმა. იგი წერდა: 23 ივნისს, საღამოს, ტაქსის რიგში აზერბაიჯანელმა ქართველი ახალგაზრდა შეურაცხყო. კამათი კონფლიქტში გადაიზარდა. სისხლისღერა მოხდებოდა, მაგრამ სვანები თავისიანს მიეშველნენ და თათრები განაიარაღეს. ღამით, 9-დან 4 საათამდე აზერბაიჯანელებმა რამდენჯერმე სცადეს ქართველთა საცხოვრებელ კორპუსში შეჭრა, მაგრამ 15-მა ქართველმა ვაჟკაცმა შეძლო მათი მოგერიება. განთიადზე მათ მიუსწრო თბილისიდან ჩასულმა მილიციის ქვეგანაყოფმა და ვითარება განმუხტა („ლს“ 1989:96).

მომდევნო მოვლენები და მომხდარის შეფასება მოცემულია 7 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სამართალმცოდნე ი. ფუტკარაძის წერილში. მასში ავტორი მიუთითებდა, რომ ქვემო ქარ-

თლში მომხდარ ამბებში მთავარი გახლდათ ეროვნებათაშორისი ურთიერთობა და არა ყოფითი საკითხები. თანაც, ეს იყო არა შემთხვევითი ექსცესები, არამედ საგულდაგულოდ მომზადებული და მიზანმიმართული აქცია.

24 ივნისს მარნეულის ცენტრში მოწყობილ ათიათასკაციან უსანქციო მიტინგის ორგანიზატორებმა მოითხოვეს: ქვემო ქართლის ავტონომიის შექმნა და მის ცენტრად რუსთავის გამოცხადება, ქვემო ქართლის რაიონებში ქართველი ხელმძღვანელი მუშაკების აზერბაიჯანელებით შეცვლა, სვანი მოსახლეობის ქვემო ქართლიდან გასახლება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის უფლება და სხვ. ფანატიკოსთა ბრბოს „დემოკრატიულ" აქციას, „ამშვენებდა" მუსულმანური მწვანე დროშები და ირანის იმამის ჰომეინის პორტრეტები. ე.წ. „ბორჩალოს ავტონომიის" მოთხოვნა მოამზადა მოსკოვში მოწყობილი „მრგვალი მაგიდის" სხდომაზე აზერებაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მ. ალისკეროვის გამოსვლამ. იგი ანტიკონსტიტუციური აქტი იყო და მაშინდელი საკავშირო ხელმძღვანელობის ოფიციალურ კურსსაც კი ეწინააღმდეგებოდა. მ. გორბაჩოვი ამბობდა: ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი გზა: „საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებული სტრუქტურის ფარგლებში უზრუნველვყოთ თითოეული ერისა და ეროვნების და საბჭოთა ხალხების მთელი გაერთიანების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. სხვა მიდგომა ჩვენს კონკრეტულ პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია, სხვა გზაზე დადგომის ნებისმიერი ცდა დამღუპველი იქნებოდა" („კომ" 1989: 152).

აზერბაიჯანელთა ავტონომიის შექმნის მოთხოვნას ჰქონდა შორსმიმავალი მიზანი, მისი მომავალში აზერბაიჯანის შემადგენლობაში გადასვლის სახით.

ავტონომიის მოთხოვნის ავტორები არა მარტო რეალურ სიტუაციას არ უწევდნენ ანგარიშს, არამედ არად აგდებდნენ ისტორიულ ფაქტორებსაც.

ქვემო ქართლი უხსოვარი დროიდან იყო ქართველთა ქვეყანა. იქ დემოგრაფიული ცვლილებები XVII საუკუნიდან დაიწყო. შაჰ-აბასმა აქაური ქართველები აყარა და მათ მაგივრად ბორჩალოს თურქმანული ტომი ჩაასახლა. ძნელბედობის გამო ქვემო ქართლიდან ქართველთა გამოძევების პროცესი XIX საუკუნეშიაც გრძელდებოდა. ასე იქცნენ ქართველები ეროვნულ უმცირესობად, ხოლო სტუმრად და ხიზნად მიღებული აზერბაიჯანელები—უმრავლესობად. ახლა მათ-

თვის ქართულ მიწაზე ცხოვრება საკმარისი აღარ იყო. მათ სურდათ ეს ტერიტორია საქართველოდან მოეწყვიტათ. სრულიად განსხვავებულია მათი მსოფლმხედველობა, როცა საკითხი უძველეს სომხურ მიწას და სომხებით დასახლებულ ყარაბაღს (ძვ. სივნიეთი) შეეხება. აზრებაიჯანლებს გაგონებაც კი არ სურთ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა. 10 წელია იქ სისხლისმღვრელი შეტაკებები ხდება. სამხედრო თვალსაზრისით, ეს ომი წააგეს, მაგრამ ყარაბაღის დაბრუნების იმედს არ ჰკარგავენ. ვიდრე მთიანი ყარაბაღის საკითხი საბოლოოდ არ გადაწყდება, ჩვენი მეზობლები ყუჩობენ, მაგრამ მომავალში ეს პრობლემა საქართველოსათვის ნაკლებ თავსატეხი არ იქნება, ვიდრე აფხაზეთის საკითხია. ამ საფრთხის საშიშროება მით უფრო იზრდება, რომ საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობა სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის გაფუჭების შიშით ბევრ რაიმეზე ხუჭავს თვალს და აცხადებს: ამ ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონებში ყველაფერი წესრიგშიაო. უფრო მეტიც, იქ მომხდარი ზოგიერთი არასასურველი ფაქტი პროვოკაციად მიიჩნევა. სახელდობრ, სწორედ ასე ითქვა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1997 წლის 25 იანვარს.

ქვემო ქართლში განვითარებული კონფლიქტური სიტუაციით გამოწვეული შოკისაგან ქართული საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, რომ უფრო მძიმე ტრაგედია დატრიალდა აფხაზეთში. როგორც ვთქვით, აპრილის მანიფესტაციები თბილისში უშუალოდ „აფხაზური წერილებით“ და მისგან გამოწვეული მოვლენების გამოხმაურებას წარმოადგენდა. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ აფხაზი ექსტრემისტები არ დასჯერდნენ ქართველი ხალხისადმი ცილისმწამებლური წერილობითი დოკუმენტების შედგენა-გავრცელებას და საგანგებოდ მომზადებული „ბოევიკების“ ჯგუფი 1 აპრილს თავს დაესხა ბზიფი–სოხუმის გზაზე მომავალ ავტობუსებს და სასტიკად სცემა ქართველ მგზავრებს.

თბილისში 4 აპრილს დაწყებული მიტინგი 9 აპრილს დიდი სისასტიკით დაარბიეს. აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნა და ეროვნული მოძრაობისადმი მხარდაჭერა მასობრივი მიტინგებითა და მანიფესტაციებით გამოხატა, რასაც აშკარად არ თანაუგრძნობდა აფხაზური ლობი.[1] პირიქით, იგი ხელი-

[1] ცხრა აპრილი აფხაზმა სეპარატისტებმა გუდაუთაში ზეიმით აღნიშნეს.. დაკლეს ხარები, გამართეს ღრეობა, სადაც საზღვარი არ ჰქონდა „ქართველთა მტარვალებას“ სადღეგრძელებს. ქართველთა ძალისხმევით გადაწყდა 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად ქ. სოხუმის ერთერთ სკვერში ობელისკი აღმართათ. მაგრამ ეს ადგილი აფხაზმა სეპარატისტებმა საგანგებოდ დაარბიეს. არანაკლებ ამაზრზენი ის იყო, როცა სოხუმის რაიონის სოფ. ახალდაბის ტერიტორი-

სუფლების იარაღი გახდა საქართველოს დასაჩოქებლად გამოყენებულ ღონისძიებათა არსენალში. საქმე ის იყო, რომ ცენტრს გამოჩენილი სისასტიკით სურდა თავისი სიძლიერე ეჩვენებინა და არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რეგიონებშიაც განმათავისუფლებელი მოძრაობისაკენ სწრაფვა ჩაეკლა. 9 აპრილის მოვლენებით გამოწვეულმა გამოხმაურებამ კი მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავა ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაული და მიანიშნა მთავარი დამნაშავეც—ტოტალიტარული კომუნისტური სისტემა. ეს სისტემა ჯერ კიდევ ახერხებდა წინააღმდეგობის გაწევას და არ სურდა რა ელიარებინა თავისი ნამდვილი ზრახვები, მრავალეროვან რესპუბლიკებში განმათავისუფლებელ მოძრაობას ეროვნულ უმცირესობებს უპირისპირებდა. აფხაზ ლობისტებს საქართველოს წინააღმდეგ გამოსასელელად დიდი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირვებიათ. პირიქით, თვითონ სიამოვნებით ჩაებნენ ამ ბინძურ საქმეში. ეს აქცია რომ წინასწარ მზადდებოდა, უნებურად „წამოსცდა" ვლ. არძინბას[1], სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 2 ივნისს წარმოთქმულ სიტყვაში.

აზე ამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ აფხაზმა ოტირბამ ქართველებს ადგილი გამოუყო 9 აპრილის მსხვერპლთა ობელისკისათვის. ოტირბა გუდაუთელმა აფხაზებმა გაბატაცეს და ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ იქიდან დაბრუნებულმა თავი მოიკლა. მან დატოვა ბარათი, სადაც ეწერა: აფხაზი სეპარატისტები თავიანთი უგუნური მოქმედებით საკუთარ ხალხს გააუბედურებენო (მიბჩუანი 1994:62).

[1] აქამდე ვ. არძინბა, მაინცდამაინც, არ იყო ცნობილი, მით უფრო, პოლიტიკურ წრეებში. იგი 20 წელი მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. მაგრამ იქაურმა „ძველმა მეგობრებმა" მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის ძიებაში მზარი არ დაუშვირეს. ეს წვენი სიამოვნებით იქნა კომპენსირებული თბილისში. 1985 წელს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ხელგაშლილად მიართვა დისერტანტს ნაბატარი დოქტორობა. 1988 წელს გარდაიცვალა ქართველებთან დამოკიდებულებაში მოსათმენი კურსის მომხრე პროფ. გ. ძიძარიაი და ვ. არძინბა მისი შემცვლელი გახდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე. მან ისე, რომ ჭერ გადმოსულიც კი არ იყო სოხუმში საცხოვრებლად, მოახერხა დაეწყო მისდამი რწმენებული ინსტიტუტიდან ქართველების გამოღევნა და მათი აფხაზებით შეცვლა. ამ საქმეში გამოჩენილი უნარისა და ენერგიულობის გამო (1989 წლის აპრილის მონაცემებით, ინსტიტუტის 102 თანამშრომლიდან მხოლოდ 7 იყო ქართველი, მათგან სამი მეცნიერ-მუშაკი. დანარჩენები მძღოლად, კურიერად, დამლაგებლად და ელექტრიკოსად მუშაობდნენ; „ლს" 1989:91) ვ. არძინბა დირექტორად დანიშვნიდან სამეითე თვის შემდეგ აღტაცებით აირჩიეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად; სგ. ჩერვონაია, რომელიც შესანიშნავად იცნობს ვ. არძინბას, ასე ახასიათებს მას: „არძინბას არანაირი მტკიცე იდეური რწმენა (არც პრო, არც ანტიკომუნისტური) ანდა ასე თუ ისე მაინც გამოკვეთილი არ გააჩნია. მას „ერთადერთი", მაგრამ მგზნებარე ჟინი ამოძრავებს..გაბედს შეთარი (სულერთია, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდენტი, მეფე, სულთანი, იმპერატორი) დამოუკიდებელი სახელმწიფოსი" (ჩერვონაია 1994:127). სხვა ადგილას იგივე ავტორი ასე სრულყოფს ვ. არძინბას პორტრეტს: „დიდად სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, თითქოს არძინბას „პათოლოგიურად სძულდეს" ქართველები ანდა რაღაც განსაკუთრებულად უყვარდეს თავისი თანამემამულე აფხაზები თუ მოძმე ადიღეელები", თბილი სიმპათიით იყოს გამსჭვალული რუსების ან თურქების მიმართ: მას ამგვარი გრძნობები არ გააჩნია. იგი ნებისმიერ ხალხზე წყავ ომით, თუ ეს ომი განმტკიცებს მის პირად ძალაუფლებას, და ნებისმიერ მოკავ-

ისტორიული რეალიების განმეორების თვალსაზრისით, ვ. არძინბას ეს სიტყვა წარმოადგენდა „ლიხნის მიმართვის“ კონსპექტს. ახალი მასში მოვლენების „პროგნოზირება“ იყო. აი, რა თქვა დეპუტატმა: „ექსტრემისტულმა ძალებმა გადაიტანეს დაძაბულობის ეპიცენტრი აფხაზეთში, რამეთუ, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, მოახდინონ ადამიანების ერთმანეთთან შეტაკების პროვოცირება, რომ შემდეგ ამაში ჩვენს ხალხს დასდონ ბრალი. ჩვენი გამოყვანა დამნაშავედ ძნელი არ იქნება, რადგან მასობრივი პროპაგანდის საშუალებანი იძლევიან ფართო ინფორმაციას, ხოლო აფხაზი ხალხის წარმომადგენლები მოკლებული არიან უფლებას გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი“ (,, კ ო მ “ 1 9 8 9 : 1 3 0).

ვ. არძინბას გამოსვლას I ყრილობაზე ქართულ პრესაში მაშინვე გამოუჩნდნენ ოპონენტები და მას საკადრისი პასუხი გასცეს, მაგრამ იმ დროს ისეთივე უტაქტობა იქნებოდა, როგორიც მან გამოიჩინა, თუ უსაყვედურებდნენ, თავს რატომ იზღვევ და წინასწარმეტყველებო. ამიტომ ზევით ციტირებული ტექსტიდან მას უფრო მეტად გაუკრიტიკეს დაძაბულობის ეპიცენტრის აფხაზეთში გადამტანის დაუსახელებლობა და მის მიერ ნათქვამი სიცრუე თითქოს აფხაზები მოკლებულნი არიან თავიანთი თვალსაზრისის გამოთქმის საშუალებებს. ფაქტობრივად, ვ. არძინბას ეს გამოსვლა თავად იყო პროვოცირება აფხაზეთში მომხდარი შეტაკებებისა. ისინი დაიწყო მისი გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, შეტაკებების ინსპირატორები ქართველები კი არა, აფხაზები იყვნენ. მათვე გამონახეს დაპირისპირების საბაბი, რომელსაც პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ აფხაზეთის უნივერსიტეტში[1] ქარ-

შორეს ჩაიკრავს გულში, თუ ეს მოკაშკაშე მხარს დაუჭერს მას შერყეულ სამეფო ტახტს... მისი პარტია, მისი ერი, მისი რელიგია--ეს არის ყოველშემძლე, „მე“ და იგი მზადაა ბოლომდე ითამაშოს „ბელადისა“ და „გმირის“ მისეული როლი“ (ი ქ ვ ე : 2 2 6).

სვ. ჩერვონაიას ასეთი დახასიათების ჭეშმარიტება საუცხოოდ დაადასტურა თვით ვ. არძინბამ, აგონიაში მყოფი ჰიტლერის გამონათქვამის აფხაზი ხალხის მიმართ პერეფრაზირებით. როცა ეროვნული სახელმწიფოს მეთაურობა სრულად შეიტყო, მან თავს უფლება მისცა განეცხადებინა, რომ მისი ხელმძღვანელობით შექმნილი ამ სახელმწიფოს გარეშე „აფხაზური ეთნოსის არსებობა აზრს კარგავს“. (ჰიტლერი: „გერმანელი ხალხი უნდა გაქრეს, თუკი ის ღირსი არ აღმოჩნდება თავისი ფიურერისა და ვერ შეინარჩუნებს ფიურერის შექმნილ სახელმწიფოს“).

[1] 1979 წლამდე იგი იწოდებოდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად. ამ დროიდან გარდაიქმნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტად. მაგრამ აფხაზთა ეროვნმა ჯგუფმა მოითხოვა მას აფხაზეთის უნივერსიტეტი დარქმეოდა. საქართველოს ხელისუფლებას ახალი გადატანილი ჰქონდა 1978 წლის დიდი მღელვარება აფხაზეთში და მისგან დაშინებული ძალუბული გახდა საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროში აღეძრა შესაბამისი შუამდგომლობა, რომელიც დააკმაყოფილეს კიდეც. მსოფლიო საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ასეთი რამ იშვიათია. არსებობს ბერლინის უნივერსიტეტი და არა გერმანიისა, ასევე, ლონდონისა და არა ინგლისისა,

თველი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა. მათი აფხაზებთან თანაცხოვრება შეუძლებელი გახდა, ქართველები იძულებული შეიქმნენ გაფიცვა გამოეცხადებინათ, მიეტოვებინათ უნივერსიტეტი და მისგან თბილისის უნივერსიტეტის ფილიალად გამოყოფა მოეთხოვათ. მათს მოთხოვნებს ფართოდ უჭერდნენ მხარს დემონსტრაციებითა და მსვლელობებით ქარხანა „სოხუმხელსაწყოს", სალოკომოტივო დეპოს და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, აგრეთვე, გლეხობის თავყრილობები ქართულ სოფლებში—კოჩარაში, ცაგერაში და სხვ. საქართველოს ხელისუფლებამ საკმაოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, 14 მაისს, დააკმაყოფილა ეს თხოვნა. ფილიალი განთავსდა სოხუმის პირველი საშუალო სკოლის შენობაში.

მრავალეროვნულ ქალაქში ახალი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისადმი მისალმების მაგივრად „აფხაზური მოძრაობის" ლიდერებმა ეს ფაქტი გამოიყენეს სოხუმში მასობრივი ანტიქართული გამოსვლების ორგანიზებისათვის. ამჯერად გამოსვლებს სათავეში ჩაუდგა პირადად პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხიშბა (ჩერვონაია 1994 :90).

აფხაზთა ექსტრემისტულად განწყობილმა ჯგუფმა მოითხოვა გამოყოფილი ფილიალი კვლავ უნივერსიტეტს დაქვემდებარებოდა. აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მოთავეობით 15 მაისს სოხუმში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. მოეწყო სხვა ობსკურანტული გამოსვლებიც. ისინი სვ. ჩერვონაიას დაკვირვებით, შეთანხმებული იყო შესაბამის საკავშირო სტრუქტურებთან. ამას ადასტურებს ისიც, რომ სოხუმში ფილიალის დაარსების შესახებ საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ოპერატიულად გააუქმა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. სუხარევმა (იქვე: 31).

უმოქმედოდ არც სოხუმის ქართული მოსახლეობა გახლდათ. სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრის შენობაში 8 დღე გრძელდებოდა ქართველი ახალგაზრდობის მჯდომარე გაფიცვა. იგი მიმართული იყო „ლიხნის წერილის" საწინააღმდეგოდ. გაფიცულები მხარს არ უჭერდნენ აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებას.

ჯუნისა და არა აფსტრიისა და ა. შ. დასახელებულ უნივერსიტეტებში სწავლება შესაბამისად იმ ენაზეა, რომელი სახელმწიფოებიც ჩამოთვალეთ. აფხაზეთის უნივერსიტეტში მხოლოდ რუსულ სექტორზე კი არა, თვით აფხაზურზედაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გამონაკლისს ქართული სპეციალობები წარმოადგენდნენ, სადაც ქართულ ენაზე მიჰყვებათ სასწავლო პროცესი.

გაფიცვამ მასობრივი ხასიათი მიიღო. აქციის მონაწილეთა დასახმარებლად შეიქმნა ეროვნული სამართლიანობის კომიტეტი. მან შეიმუშავა მოთხოვნების 13 მუხლიანი ტექსტი. მასში დასმული იყო აფხაზეთში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საკადრო პოლიტიკის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიისა და „ლიხნის წერილზე“ ხელმომწერთა პასუხისმგებლობის საკითხები. 15 მაისს მოთხოვნათა ზოგიერთი პუნქტის დაკმაყოფილების გამო მშიმარე გაფიცვა შეწყდა („ახკომი“ 1989:57). მაგრამ დაპირისპირება კვლავ გრძელდებოდა. აფხაზური ექსტრემიზმის ახალი ტალღა 26 მაისის ახლო ხანებში აგორდა. „აიდგილარას“ აქტივისტები გააფთრებით გამოდიოდნენ ქართველთა მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის წინააღმდეგ. 8 ივლისს მათ გამოაქვეყნეს მიმართვა მ. გორბაჩოვისადმი, რომლითაც მოითხოვდნენ მათ მიერვე შექმნილი დაძაბულობის აღსაკვეთად „აფხაზეთის მმართველობის განსაკუთრებული ფორმის დაუყოვნებლივ შემოღებას ცენტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარებით“ („ჩერვონაია 1994:91).

მ. გორბაჩოვი ასეთი ღონისძიების გატარებას არ ჩქარობდა, მაგრამ მან სოხუმში გამოგზავნა სახალხო დეპუტატთა კომისია, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გახსნა დროებით მოვლენად ჩათვალა და ახალი სასწავლო წლიდან მისი კვლავ აფხაზეთის უნივერსიტეტთან გაერთიანება მოითხოვა.

ასეთი დასკვნით ისარგებლეს ანტიქართულმა წრეებმა. რუსულ და აფხაზურ გაზეთებში ახალი სასწავლო წლისათვის მიღება გაერთიანებულად გამოაცხადეს. ქართულმა გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ განცხადება სამი დღის დაგვიანებით, 11 ივლისს, გამოაქვეყნა, თანაც კომენტარით და მოსკოვური კომისიის დასკვნის უარყოფით. აფხაზი მოსახლეობის პიკეტმა რედაქციას გაზეთის გამოცემის საშუალება რამდენიმე დღეს არ მისცა.

15 ივლისს აფხაზმა მოსახლეობამ დაიწყო მისთვის არასასურველი დაწესებულებების დარბევა. განცხადება თსუ-ის სოხუმის ფილიალში მიღების შესახებ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჯერ კიდევ 24 ივნისს იყო გამოქვეყნებული. მისაღები გამოცდები 16 ივლისს უნდა დაწყებულიყო. მოსალოდნელი არასასიამოვნო ექსცესების თავიდან აცილების მიზნით ფილიალში მიმღებ კომისიასთან ერთად იმყოფებოდა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი. აფხაზებისათვის ყველაზე მიმზიდველი იყო რუსთაველის სახელობის I საშუალო სკოლა, სადაც მიმღები კომისია იმყოფებოდა. მას ალყა შემოარტყა 5000-მდე კაცმა.

მათგან ერთმა ჯგუფმა პროვოკაციულად გამოიწვია არეულობა. შეიკრიბნენ სკოლის შენობაში, ვანდალურად დალეწეს სასკოლო ოთახები და რაც ხელში მოხვდათ. მიმღები კომისიის წევრებს რკინის კეტებით დაერივნენ და რომ არა ზუგდიდიდან და ოზურგეთიდან მოწვეული განიარაღებული ქართული მილიციის მუშაკთა თავდადება, სკოლის შენობაში მყოფი ქართველები სიკვდილს ვერ გადაურჩებოდნენ („ლ ს“ 1989:29).

„კომუნისტის სპეცკორესპონდენტები წერდნენ: „დღეს, ჩვენს განათლებულ საუკუნეში, იშვიათად შეიძლება იხილო რბევის ისეთი საშინელი სურათი, პირველი სკოლის შენობაში რომ დაგვხვდა. ამის წარმოდგენა ძნელია, ეს უნდა ნახო! დალეწილი ინვენტარი, დაჩეხილი კარები, დამტვრეული მოწყობილობა-დანადგარები, დაფხრეწილი წიგნები და ჟურნალები... შებილწულია ყველაფერი, რის პატივისცემასაც ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ, რასაც ვეთაყვანებოდით“ („კომ“ 1989:167).

როგორი გულისტკივილით ვკითხულობდით მაშინ ამ ალმაშფოთებელ სტრიქონებს. ეს ხომ პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. რა ვიცოდით, რომ სულ მალე თითქმის მთელი საქართველო ასევე უწყალოდ დაილეწებოდა და გავერანდებოდა. თანაც, ყველაზე სანუკვარ ლოზუნგებს––ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას––ამოფარებული ქართველების მიერ!

რუსი ჟურნალისტი ს. ლობანოვი კი, რომელსაც ვერაფრით ვერ დავწამებთ პროქართულ ორიენტაციას, იმ დღეს სოხუმში მომხდარ მოვლენებს ასე აღწერდა: „15 ივლისს ქალაქი ციებ-ცხელებას მოეცვა. აქა-იქ ატყდებოდა ხოლმე ჩხუბი. სოხუმში შესაშური გამართულობით ჩამოდიოდა ავტობუსები აფხაზეთის დაშორებული კუთხეებიდან... ავტობუსებიდან გადმოდიოდნენ კარგა მოსული, ჩასკვნილი ახალგაზრდები, რომელთაც ხელში ეჭირათ წითელი დროშები, ტრანსპარანტები, გორბაჩოვის პორტრეტები... ყველაფერი დაიწყო დაახლოებით საღამოს 6 საათისათვის რუსთაველის სახელობის პარკთან. საქმეში ჩაერია არმატურის ნაჭრები, ქვები, ხის კეტები. 10 საათზე მოედანზე გაისმა პირველი სროლის ხმა. მალე მთელი ქალაქი აზრიალდა. იმ საღამოს 14 კაცი მოკლეს—9 ქართველი და 5 აფხაზი. ერთ-ერთი პირველთაგანი დაიღუპა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სოხუმის განყოფილების ლიდერი ვ. ვეკუა“ (ციტ. ჩერვონაიას, მიხ. გვ. 92). საქინფორმი უმატებდა—ჰოსპიტალიზებულია 137 კაცი, აქედან 17 მძიმე მდგომარეობაშია („კომ“ 1989:164).

იმავე დღეს აფხაზთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა რუს-

თაველის პარკში შეგროვილ ქართველებს. აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო წესრიგს ვერ თუ არ იცავდა. მისმა ქვეგანაყოფებმა, რომელთაც ქართველი მილიციელებისაგან გამოსარჩევად თეთრი ფორმა ეცვათ, მხოლოდ ის მოიმოქმედეს, რომ არ ჩარეულან სროლასა და რბევაში. სახელმწიფო ავტოინსპექციისა და წყლის ტრანსპორტის მილიციის პოსტები ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ აფხაზი „ბოევიკებით" სავსე ავტობუსებსა და კატარღებს. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოწვეული მილიციის ნაწილების, ზემოქმედება მიზერული იყო, რადგან ვიღაცის განკარგულებით მათ იარაღი ჩამორთმეული ჰქონდათ.

16 ივლისს, დღისით, სოხუმის შესასვლელთან, გუმისთის ხიდის რაიონში, რამდენიმე საათს გრძელდებოდა სროლა აფხაზთა და ქართველთა შორის. ორივე მხრიდან შეტაკებაში მონაწილეობდა 400 კაცი, „16 ივლისი უიარაღო, წერდა გ. თასოევი, დაუცველი ქართველებისათვის „ბართლომეს ღამედ" გადაიქცეოდა, რომ არა სვანი მოსახლეობის გმირობა. სამოქალაქო ომის ცეცხლი ემუქრებოდა სოხუმს, შემდგომ უკვე მთელს აფხაზეთს" („ლს" 1989:29).

გალის, სოხუმის, გუდაუთის რაიონებსა და ტყვარჩელში მოეწყო თავდასხმები ასაფეთქებელი ნივთიერებების საწყობებზე, არასაუწყებო დაცვის საგუშაგოებზე. იტაცებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს. აფხაზებმა გუდაუთის რაიონის სოფ. ფსირცხასთან აყარეს ლიანდაგი 20 მეტრ რკინიგზის ვაკისზე („კომ" 1989:164).

ვანდალურ გამოსვლებს სარწმუნოებრივი ფანატიზმის ნიშნებიც ჰქონდათ. ბანდიტთა ჯგუფმა „რაფი" მიაყენა სოხუმის ხარების ეკლესიას და ავტომატის ტყვიებით დაცხრილა იგი („ლს" 1989:33).

მდ. ღალიძგასთან ატეხილი სროლის დროს დაიღუპა 4 ქართველი, დაშავდა 48 კაცი, სოფ. ტამიშთან გააჩერეს წყალტუბოში მიმავალი ავტობუსი. აიყვანეს მძევლები. სოხუმში აფხაზთა თარეში გრძელდებოდა. თავს ესხმოდნენ და ალყას არტყამდნენ სამკურნალო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ იქ ქართველი ავადმყოფები არ შეეშვათ.

სოხუმელ ქართველთა დასახმარებლად გალის რაიონიდან დაიძრა შეიარაღებულ ადამიანთა დიდი ჯგუფი. დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიაც იარაღდებოდა ახალგაზრდობა. მხარეების „დაშორიშორება" ამჯერად უმსხვერპლოდ შეძლო სსრ კავშირის შინაგანი ჯარების სადესანტო ჯგუფის სარდალმა გენ. ი. შატალინმა (ჩერვონაია 1994:93).

დამოწმებულ ავტორს უეჭველად მიაჩნია, რომ 15-16 ივლისის ამბები იყო უფრო მსხვილმასშტაბიანი ოპერაციების ჩატარების რეპეტიცია.

ამასთან, მას კვლავ მოაქვს ციტატა ს. ლობანოვის წერილიდან, სადაც ავტორი მომხდარი ამბების პირდაპირ დანიშნულებაზე მიუთითებს. იგი წერს: „შეიარაღებული დაპირისპირება და დაღვრილი სისხლი აფხაზეთის ხელმძღვანელებს სჭირდებოდათ, აეძულებინათ ცენტრი ავტონომიის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა“ (იქვე).

რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად სიმხნევეს არ ჰკარგავდა, ფაქტობრივად, უძლური აღმოჩნდა, ემართა პროცესები. შეზღუდეს აფხაზეთში ჩასვლა ახლობელი რაიონებიდან, 18 ივლისს მთელ აფხაზეთში გამოაცხადეს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული წესები. სოხუმში აიკრძალა ქუჩაში გამოსვლა საშვისის გარეშე, 23 საათიდან 6 საათამდე. სოხუმში ჩასულ გ. გუმბარიძეს, ო. ჩერქეზიას და ნ. ჭითანავას ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები სინამდვილეში აღარ ექვემდებარებოდნენ. ყველაფერი დამოკიდებული იყო გენ. ი. შატალინზე, რომელსაც, მისივე აღიარებით, ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოყვანილი ჰყავდა შინაგანი ჯარების 20 ათასი მოსამსახურე („კომ“ 1989:169).

მღელვარებები გრძელდებოდა გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში. მწვავე ვითარება შეიქმნა გალში. აქ შეიკრიბა 10 ათასი კაცი. ჩაამტვრიეს პარტიის გალის რაიკომის შენობის მინები, გატეხეს კარები და შეიჭრნენ შენობაში.

ი. შატალინის თქმით, რომელიც შეესწრო ღალიძგას ხიდთან მომხდარ შეტაკებას, „ეს იყო ნამდვილი ომი, რომლის მსგავსი მხოლოდ ავღანეთში მინახავს. ხიდის აქეთ-იქით ჩასაფრებული ხალხი (თითოეული მხრიდან 250-300 კაცი) ცეცხლის წვიმას უშენდა ერთმანეთს“ (იქვე).

აფხაზთა ჯგუფი შეიჭრა ენგურჰესის სამმართველოში, აიძულა მისი მუშაკები გაეშვათ წყალი წყალსაცავიდან და პრაქტიკულად გაეჩერებინათ ელექროსადგური. 19 ივლისს, დილით, მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობდა, ისიც არასრული დატვირთვით (იქვე: 166).

23 ივლისს ქართველთა 5000 კაციანი შეხვედრა გაიმართა სოფ. ბესლეთში. მსჯელობის ძირითადი თემა იყო იმის გარკვევა, თუ ვინ და რამ შეუწყო ხელი აფხაზებს მოეწყოთ მათთვის წარმატებული თავდასხმა ქართველებზე (იქვე: 170).

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მხარდასაჭერად მთელ საქართველოში მიმდინარეობდა მიტინგები და სხვა აქციები. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი არ კმაყოფილდებოდა მშვიდობიანი დემონსტრაციებით. თავს დაესხნენ და იარაღი გაიტაცეს ქუთაისის, მაია-

კოვსკის, წყალტუბოს და ხონის მილიციის განყოფილებებიდან (იქვე:166). სულ 23 ივლისისათვის დას. საქართველოს მილიციის ორგანოებზე თავდასხმის 28 შემთხვევა იყო აღრიცხული.

15-16 ივლისის მოვლენები რომ წინასწარ შემუშავებული სცენარით მიმდინარეობდა, ამას აჩვენებს ის ფაქტი, რომ თავდამსხმელი მხარე ყოველთვის აფხაზები იყვნენ, ხოლო დაზარალებული—ქართველები. თანაც, 27 ივლისის ცნობით, სამედიცინო სამსახურმა დახმარება გაუწია (დაჭრილ, დასახიჩრებულ და ნაცემ) 448 კაცს. მათგან 302 ქართველი იყო, 129 აფხაზი, 10 რუსი, 4 სომეხი, 2 ბერძენი, 1 აზერბაიჯანელი (იქვე: 173).

21 ივლისიდან დაიწყო ვითარების შედარებითი სტაბილიზაცია. ერთი კვირის წყვეტილის შემდეგ, სოხუმში განახლდა გაზეთების გამოსვლა. ჯერ კიდევ არ მუშაობდა საქალაქო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ეს ვითარება გამოსწორდა 1 აგვისტოდან.

უფრო ცუდად იყო მოსახლეობაში დაგროვილი იარაღის ამოღების საქმე. მიუხედავად ამ პროცესის დაწყებისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მოსახლეობაში ჯერ კიდევ დიდძალი საბრძოლო იარაღი რჩებოდა (იქვე: 235).

ქართულ და აფხაზურ წრეებშიაც იყო 15-16 ივლისის მოვლენების შეფასების რამდენიმე ცდა. მათ შორის ზომიერებით გამოირჩეოდა გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გიორგი გაჩეჩილაძის (1989:170), აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ანატოლი აქშბას (იქვე: 175) წერილები. დაუსჯელობის ეიფორიით შეპყრობილი ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი ექსრემისტები კი ჩადენილი დანაშაულის ქართველებისადმი გადაბრალებით იყვნენ გატაცებული. 24 ივლისის სატელევიზიო გადაცემაში ამ მხრივ თავი კვლავ გამოიჩინა გააფხაზებულმა ოსმალომ, პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველმა მდივანმა, კონს. ოზგანმა.

საქართველოს ხელისუფლება და ქართული საზოგადოებრიობა 15-16 ივლისის ამბების შემდეგაც შერიგებისა და პატიების პოზიციებზე დარჩა. აფხაზები კი დარწმუნდნენ, რომ ჯერჯერობით ვერც რუსეთის რეაქციულმა ძალებმა და ვერც კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეამ[1] ამჯერად მათ სრულფასოვანი დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ამის გამო

[1] 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში გაიმართა კავკასიის ხალხთა I ყრილობა, არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. გადაწყდა კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნა კავკასიის მთიელ ხალხთა სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადეს.

მზაკვრული გეგმა განუხორციელებელი დარჩათ. მათ თითქოს მონანიებისა და ლოდინის ტაქტიკა აირჩიეს. სინამდვილეში კი შეიარაღება და უფრო მომზადებული შეტევისათვის სამზადისი დაიწყეს.

პროფ. მიბჩუანი, რომელიც „აფხაზეთის საკითხის“ ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნეა, ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ამ ეტაპის შესახებ წერს: „ქართველებმა აფხაზ სეპარატისტებს ესეც (იგულისხმება 15-16 ივლისის ტრაგედია. —გ.მ.) ვაპატიეთ. მათთან ისევ ქრისტიანული მიმტევებლობით ტრადიციულ მეგობრობასა და ნათესაობაზე დავიწყეთ საუბარი, ავამოქმედეთ სახალხო დიპლომატია იმ მიზნით, რომ მომავალში ასეთი სამარცხვინო ფაქტი არ განმეორებულიყო“ (მიბჩუანი 1994:62).

რა მოჰყვა ყველაფერ ამას შედეგად. კარგად ვიწვნიეთ 1992 წლის მოვლენების დროს.

ზემოთ ჩვენ გაკვრით ვისაუბრეთ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე. იქ საგანგებო მმართველობის კომიტეტის შექმნამ საქმეს ვერ უშველა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ბლოკადა მაინც არ მოხსნა. ამის გამო სომხეთისათვის ერთადერთ არტერიად საქართველო რჩებოდა. აფხაზეთის ივლისის მოვლენებმა ამიერკავკასიის რკინიგზაზე დიდი შეფერხებები გამოიწვია. თანაც, გრძელდებოდა აზერბაიჯანლების მიერ სომეხთა რბევა. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მზადდებოდა მთიანი ყარაბაღის მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის საკითხი, რაც არ აწყობდა გარკვეულ ძალებს, რომლებიც კონფლიქტის კონსტიტუციური გზით მოგვარების წინააღმდეგნი იყვნენ. ეს ვითარება უარყოფითად მოქმედებდა საქართველოში მოვლენების განვითარებაზეც.

ქვეყნისათვის ასეთ რთულ პირობებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შესაფერხებლად საქართველოში ამ მოვლენების ერთდროულად „შემოაგდეს“ ე.წ. „მაჰმადიანი მესხების“ რეპატრიაციის საკითხი. მისი გამწვავება საეჭვოდ დაემთხვა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე თ. გამყრელიძის გამოსვლის შემდეგ 9 აპრილის ამბების შემსწავლელი კომისიის შექმნას. მაშინვე, 7 ივნისს, უზბეკეთის სსრ ფერღანის ველზე მოხდა ორგანიზებული მასობრივი დარბევა საქართველოდან 1944 წელს იქ ჩასახლებული მესხეთელი მაჰმადიანებისა.

ეს ამბავი შეიძლება მიჩუმათებულიყო, რომ არა უზბეკეთის კპ ცეკას პირველი მდივნის რ. ნიშანოვის ახალ თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებული პერიპეტიები. 7 ივლისს ნიშანოვს ირჩევდნენ

უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ. სხვა საკითხთა შორის მას სთხოვეს მოეთხრო, რა მოხდა იმ დღეებში ფერღანაში. თავმჯდომარეობის კანდიდატმა სურათი ისე დახატა, რომ უზბეკეთში ეროვნული საკითხის სიმწვავეზე არავის ეფიქრა და ამით კენჭისყრის დროს ხმები არ დაეკარგა. მან საქმე ასე წარმოადგინა: 45 წლის წინათ უზბეკეთში გადასახლებული თურქი-მესხები ძმებივით მიიღეს. ყველა პირობა შეუქმნეს ნორმალური ცხოვრებისათვის. უზბეკეთში ცხოვრობს 60 ათასი თურქი-მესხი. ამათგან 12 ათასი ფერღანის ველზე. ისინი წინა წლებში მოითხოვდნენ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ნებართვას. ბოლო დროს ეს მოძრაობა გააქტიურდა. ამჟამად შეტაკებები დაიწყო წმინდა ყოფით ნიადაგზე მარწყვის ფასის გამო. პირველი შეტაკების ჩაქრობა მოხერხდა. შემდეგ კი უზბეკი ახალგაზრდობის ჯგუფებმა დაიწყეს თავაშვებული მოქმედება. თავს ესხმოდნენ თურქ-მესხებს, სცემდნენ მათ, უწვავდნენ სახლებს. მოკლეს 50 კაცი. რამდენიმე ხანს მდგომარეობა უკონტროლო იყო. საქმეში ჩაერია საკავშირო ორგანოები და სიტუაცია სტაბილური გახდა. თურქი მესხების ნაწილი გახიზნულია საიმედო ადგილებში. უზბეკეთის კომუნისტებმა და მშრომელებმა გამოიტანეს საჭირო დასკვნები და ასეთი რამ მომავალში აღარ გამეორდება.

ასეთი პასუხი რ. ნიშანოვს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნიმუშად ჩაუთვალეს და ძიებულ თანამდებობაზე აირჩიეს. მაგრამ უზბეკეთში ისეთი მწვავე მდგომარეობა იყო, რომ იქ მღელვარების დასაწყნარებლად გაიგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რიჟკოვი და სუკის შეფი ვ. ჩებრიკოვი („კომ" 1989:132). ცხადი გახდა, რომ ეს ყველაფერი განზრახ მომზადებული პროვოკაცია იყო და მიზნად ისახავდა „მაჰმადიანი მესხების" უზბეკეთიდან გამორეკვას, რათა ისინი „მშობლიურ ადგილებში დაებრუნებინათ და ამით საქართველოში არსებული ვითარება კიდევ უფრო გაერთულებინათ.

უზბეკეთში დიდი თუ მცირე შეტაკებები ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩასახლებულთა შორის ადრეც ბევრჯერ ხდებოდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველთვის დეპორტირებულებს ადანაშაულებდა. მაშინ, როცა თვით ადიჟანელი უზბეკები მესხეთელ მაჰმადიანებს[1]

[1] რ. ნიშანოვის გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა ტერმინი „თურქი მესხები", რაც ორ ეროვნებას ნიშნავს--თურქს და მესხს (ქართველს). ასეთი შეუსაბამობის გამო ქართულ პუბლიცისტიკასა და ისტორიოგრაფიაში არჩიეს ეხმარათ „მესხეთელი თურქები". მაგრამ არც ესაა ზუსტი, ვინაიდან გადასახლებულთა შორის, თურქებს გარდა, ქართველებიც იყვნენ. რადგან მათი გადასახლება მესხეთიდან სარწმუნოებრივი ნიშნით მოხდა, ჩვენ ვფიქრობთ, უმჯობესია ვიხმაროთ--„მესხეთელი მაჰმადიანები".

„მშვიდობიან და გამრჯე ხალხად“ ახასიათებდნენ. ამ თვისებების მეოხებით მათ შუა აზიაში ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, აღგილობრივებზე უკეთესი ეკონომიკური პირობები შეიქმნეს, რაც „მოძმე მასპინძელთა“ შორის შურის საგნად იყო გამხდარი.

ახლანდელი შეტაკების დროს გამძვინვარებულმა ბრბომ სისასტიკით თემურის ურდოებს გადააჭარბა. მათი შეჩერება ვერავინ შესძლო. ნ. რიჟკოვი იძულებული გახდა, ეთქვა: „ცხოვრებაში ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ის, რაც გუშინ ვნახე თურქ-მესხთა ბანაკში ვერაფერს ვერ შეედრებაო“ (იქვე:139).

მესხეთელი მაჰმადიანების პრობლემის სირთულისა და აქტუალობის გამო საჭიროდ ვთვლი მოკლედ შევჩერდე საკითხის წარმოშობისა და შესაძლო მოგვარების ასპექტებზე.

ჯერჯერობით ისიც არაა დაზუსტებული, როგორი ეთნიკური წარმოშობისაა ეს მოსახლეობა. მესხეთ-ჯავახეთი, საიდანაც ისინი გაასახლეს, ოდითგანვე ქართველებით დასახლებული მხარე იყო. ასევე ცხადია, რომ მათს რწმენას ქრისტიანობა წარმოადგენდა. XVI ს-ის დასაწყისიდან ამიერკავკასიისათვის და განსაკუთრებთ საქართველოსათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახა ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს: შიიტური ირანისა და სუნიტური ოსმალეთის ინტერესები. ამ უკანასკნელმა შესძლო თავისი ხელისუფლების ქვეშ მოექცია საქართველოს ვრცელი ტერიტორია, მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი—სამცხე-საათაბაგო. დაპყრობილი ტერიტორიის უკეთ ასათვისებლად ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია მისი სარწმუნოებრივი და ეროვნული ასიმილაცია. სასულთნოში გამაჰმადიანებისა და გაოსმალების პოლიტიკა სახელმწიფოებრივ რანგში ჰქონდათ აყვანილი და თანმდევი სისასტიკით ხორციელდებოდა. ამ პროცესს ბევრი დამაჩქარებელი საშუალება გააჩნდა. მაგრამ ყველაზე ეფექტური იყო მიწის საკუთრების ოსმალური წესი. მისი ძირითადი პრინციპის მიხედვით მიწა ეკუთვნოდა მხოლოდ სამხედრო სამსახურში მყოფ პირს, ხოლო ასეთში არამაჰმადიანი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებოდა. ამან გამოიწვია მიწის მესაკუთრეთა დაჩქარებული გამაჰმადიანება. ჯერ ქართველი თავადაზნაურობა გახდა იძულებული მიეღო მუსულმანური სარწმუნოება, ხოლო შემდეგ სოფლების სხვა მცხოვრებნიც. გამაჰმადიანებას კი გაოსმალებაც მოსდევდა თან. იკარგებოდა ენა და კულტურა, ხდებოდა ქართული ეროვნული შეგნების გადაგვარება, ისპობოდა საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ეროვნული ტრადიციები, ჩვეები, მართლმსაჯულება.

მიუხედავად ამისა, პოლონელი მეცნიერის პ. ბორავსკის აღიარებით, მესხები XIX საუკუნეშიც კი „რჩებოდნენ ქართული ეთნოსის ნაწილად. მათ შორის ძნელი იყო ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ვერ ლაპარაკობდა ქართულად“ („ლ ს“ 1997:12).

როცა ანდრიანოპოლის ზავის (1829 წ.) შედეგად რუსეთმა ახალციხის საფაშოს 24 სანჯაყიდან 10 შემოიერთა, ეს ტერიტორია დასახლებული იყო მაჰმადიანი ქართველებით, რომლებიც არეულნი იყვნენ თურქ კოლონიზატორებში.[1] რა პროპორციისა იყო ეს მეტისიზაცია. ახლა შეუძლებელია დადგინდეს, რადგან იგი სწრაფად შეიცვალა.

XIX ს-ის 30-იან წლებში პეტერბურგში შედგა პროექტი საქართველოს სამხრეთ საზღვარზე, თითქოს მისი უკეთ დაცვის მიზნით, 80 ათასი უკრაინელი კაზაკისა და რუსი სტაროვერის ჩამოსახლების შესახებ. მათთვის ადგილების განათავისუფლების მიზნით სამცხე-ჯავახეთის მოსახლება აყარეს. ისინი იძულებული გახდნენ თურქეთის სიღრმეში გადასახლებულიყვნენ. მათგან გამოთავისუფლებულ ადგილებზე კაზაკობის ჩამოსახლება კლიმატური პირობების უვარგისობის გამო არ მოხერხდა. ამავე დროს ოსმალეთის, ყარსისა და ერზრუმის საფაშოებიდან საქართველოს საზღვარს, მათთვის უპირატესი პირობების შექმნის გამო[2], 90000-ზე მეტი ლტოლვილი სომეხი მოაწყდა. მთავარმართველი ფ. პასკევიჩი ენერგიულად უჭერდა მხარს მათს ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში ჩამოსახლებას. მათთვის ხელშესაწყობად დაარსდა საახალშენო კომიტეტი. მარტო ამ ორ მაზრაში 30 ათასი სომეხი ჩამოასახლეს (ჯავახიშვილი 1989:49). მესხეთ-ჯავახეთში დასახლებულები თანაბრად ფლობდნენ სომხურ და თურქულ ენებს. მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან თურქულ ენაზე ჰქონდათ ურთიერთობა და ერთგვარად შეუწყვეს ხელი ამ რეგიონის მოსახლეობის გათურქების პროცესს. არსებითად შეიცვალა ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დემოგრაფიული სურათიც. თითქმის განახევრდა მოსახლეობის რაოდენობა. 1832 წლის მონაცემებით ორივე მაზრაში 50000 კაცი ცხოვრობდა, მაშინ, როცა ოთხი წლის წინათ ამდენი მხოლოდ ახალციხეში მოითვლებოდა. თანაც ახლა უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ. მაჰმადიანურ მოსახლეობას რიცხვით მეორე ადგილიღა ეჭირა.

[1] ძირითადად ესენი იყვნენ თიმარებად წოდებული თურქული ტომი.

[2] სომეხ ლტოლვილებს რუსეთის მთავრობა სულზე 25 მანეთს ოქროთი დახმარებას აძლევდა და 6 წლით გადასახადისაგან ათავისუფლებდა.

თანაც, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით თანდათანობით გრძელდებოდა მესხეთელი მაჰმადიანების ქართული სამყაროდან გათიშვის პროცესი. რუსეთის მთავრობამ აქ დარჩენილი ბეგ-აღალარები ქართველებად აღარ ჩათვალა, თურქებად სცნო და თავადაზნაურობისათვის განკუთვნილი პრივილეგიები მოუსპო. ისინი იძულებულნი გახდნენ განათლებისათვის თურქეთისათვის მიემართათ. ამან მათი პანთურქებად ჩამოყალიბებასა და მშობლიურ კულტურულ წრესთან ჩამოცილებას შეუწყო ხელი.

ასეთ ვითარებაში თურქმა აგენტებმა ადვილად შესძლეს მესხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის ავჯანყების პროვოცირება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. ქრისტიანებთან ამ სამოქალაქო ომის საკომპენსაციოდ მესხეთის მკვიდრთ ჰპირდებოდნენ მაჰმადიანური სახელმწიფოს შექმნას („ლს" 1997:12).

გასაბჭოების შემდეგ საბოლოოდ დამთავრდა მესხეთელი მაჰმადიანების ქართველობისაგან გაუცხოების პროცესი. განურჩევლად იმისა ისინი თურქები იყვნენ თუ ქართველები, ყველას თურქებად თვლიდნენ. ქართული შთამომავლობის მქონეთ შეუცვალეს გვარები და სახელები. მიუხედავად მათი პროტესტისა, მოსახლეობის აღწერის დროს პასპორტებში ეროვნებად აზერბაიჯანელი ჩაუწერეს. მათ მიიღეს კულტურული ავტონომია. თურქულენოვანი მოსახლეობისათვის პრიორიტეტების მინიჭებას პ. ბორავსკი ქემალისტურ თურქეთთან საბჭოთა ხელმძღვანელობის შემწყნარებლური დამოკიდებულებით ხსნის (იქვე).

მესხეთელ მაჰმადიანებს ქართული სკოლების გახსნაზე უარი უთხრეს. მასწავლებლები აზერბაიჯანიდან ჩამოუყვანეს. ეუბნებოდნენ: „თქვენ თათრები ხართ და საკუთარ ენაზე უნდა ისწავლოთო" („კომ" 1989:147).

ასეთი ვითარება გაგრძელდა 1939 წლამდე. ამ წელს თურქეთთან ურთიერთობის გაუარესების შემდეგ, შეიცვალა დამოკიდებულება მესხეთელ მაჰმადიანებთან. მათი თხოვნით გაიხსნა ქართული სკოლები. რაიონებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქართველი კადრები მოვიდა. დაიწყო ქართული გვარების აღრიცხვა-აღდგენა („ახკომი" 1989, 26, VII).

დაწყებულმა ომმა ეს პროცესი შეაჩერა, ხოლო 1944 წელს მესხეთელი მაჰმადიანების ბედი სრულიად რადიკალურად შეიცვალა. 14-15 ნოემბერს ისინი პირუტყვის გადასაყვან ვაგონებში ჩასვეს და შუა აზიის გრძელ გზას გაუყენეს. ტანჯვისა და წამების აუტანელ ხვედრს

ვინც გაუძლო, მათი ძირითადი ნაწილი დაასახლეს უზბეკეთში, მცირე რაოდენობა კი—ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

უეჭველად არ არის დადგენილი, რა იყო ამ მეტად ანტიჰუმანური აქციის მიზეზი. გამოთქმულია შეხედულება და მას იმეორებს მწერალი რ. ჯაფარიძეც, რომ გასახლების მიზეზი „როგორც ჩანს ერთადერთი იყო: „სტალინს განსაზღვრული ჰქონდა თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა მის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული და სომხური მიწების დასაბრუნებლად და თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდოდა, არ უნდოდა, კომუნისტური იმპერიის სამხრეთ საზღვარზე სამცხე-ჯავახეთში საშიში პროთურქული ელემენტი ჰყოლოდა“ („კომ“ 1990. 1. IV).

უფრო დამაჯერებელია შ. ნოზაძის მოსაზრება, რომ ეს გასახლება მოხდა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს შუამდგომლობით, რაც საბუთდებოდა სამხრეთ საზღვარზე ჯაშუშურ-დივერსიულ მოქმედებათა გააქტიურებით,[1] რომელშიაც ადგილობრივი მოსახლეობა ქმედითად მონაწილეობდა (იქვე: 135-136).

სამხედრო საბჭოს ამ დოკუმენტის მიხედვით[2], თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1944 წლის 31 ივლისს მიიღო №6279 დადგენილება საქართველოდან 1556 ოჯახის (69869 სულის) გასახლების თაობაზე.

აზრთა სხვადასხვაობაა 1944 წლის 15-16 ნოემბერს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან გასახლებულთა რაოდენობის შესახებაც. სვ. ჩერვონაია აჩვენებს 115 ათასზე მეტ კაცს (ჩერვონაია 1994:240). პ. ბორავსკი დამოწმებულ წერილში ასახელებს 110 ათასს. მ. ნათმელაძე რამდენიმე დოკუმენტის ურთიერთშეჯერების საფუძველზე იძლევა იმავე რიცხვს, რასაც შ. ნოზაძე. მაშასადამე, მაშინ ეროვნული ნიშნის მიხედვით, „გასახლებული იქნა 15568 ოჯახი ანუ 69869 კაცი. მათ შორის: თურქების 13434 ოჯახი ანუ 59780 კაცი, ქურთების 1820 ოჯახი ანუ 1462 კაცი, ხემშილების 304 ოჯახი ანუ 1462 კაცი“ („სახ. განა“ 1989, 26, VII). ე.ი. გაასახლეს დადგენილებით გათვალისწინებულზე 16131 კაცით ნაკლები. ესენი იყვნენ პირები, რომლებმაც თავიანთი „აზერბაიჯანლობა“ დაამტკიცეს. ამ ეროვნებას კი გასახლება არ ეხებოდა.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ (1956 წ.) გაუქმდა მთელი რიგი სამთავ-

---

[1] მეორე მსოფლიო ომში თურქეთი გერმანიას უჭერდა მხარს. მას საბჭოთა საზღვართან 30-მდე დივიზია ჰყავდა დისლოცირებული (სახ. განათ“ 1989, 26 VII).

[2] ამასთან ერთად არსებობდა უფრო შთამბეჭდავი დოკუმენტი—ლ. ბერიას მოხსენებითი ბარათი, რომელიც ი. სტალინს გადაეცა 1944 წლის 24 ივლისს.

რობო დადგენილებანი, რომლებიც ხალხთა დეპორტაციას და რეპრესიებს ეხებოდა. საქართველოდან შუა აზიაში გასახლებულ პირებს შეეხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 28 აპრილის ბრძანებულება. ისინი გაათავისუფლეს ადმინისტრაციული ზედამხედველობისაგან, მაგრამ არ დართეს იმ ადგილებში დაბრუნების ნება, საიდანაც გადაასახლეს, ვინაიდან ეს ტერიტორია უკვე ახალმოსახლეებით დაკავებული იყო.

ზემოთ აღწერილი ტრაგედიის შემდეგ თითქმის 100 ათასმა მესხეთელმა მაჰმადიანმა დატოვა შუა აზია. 60-იან წლებში შექმნილი მათი საზოგადოება „ვათანი" („სამშობლო") დაბეჯითებით მოითხოვდა საქართველოში დაბრუნებას. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება, სავსებით დასაბუთებულად, ყოველთვის უარს აცხადებდა მათს მიღებაზე. ამჯერად კი, ეროვნული მოძრაობის გავლენით, ხელისუფლებამ მესხეთელი მაჰმადიანების ჩამოსახლების პირობად მათ მიერ ქართული წარმომავლობისა და ქართული გვარების აღიარება წამოაყენა. თანაც, მათ ჩაასახლებდნენ სხვადასხვა რაიონებში ცალ-ცალკე ჯგუფებად.

ჰ. ბორავსკის დაკვირვებით, საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ თურქი-მესხების ეთნიკური ჯგუფის დაშლას შეუწყო ხელი. დიდმა უმრავლესობამ განაცხადა თავისი თურქებისადმი მიკუთვნების შესახებ, მხოლოდ უმცირესობამ აღიარა, რომ ისინი წარმოშობით ქართველები არიან („ლ ს" 1990:12).

ფერღანის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი მესხეთელი მაჰმადიანების სასიკეთოდ შემობრუნდა. გაჩნდა წინადადებება მათი დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ლტოლვილებს არ სურდათ ქართველობის აღიარაება, მათ სასარგებლოდ ხმის ამოღებას ვეღარავინ ბედავდა. 1990 წლის 27 თებერვალს, თბილისში მესხეთელი მაჰმადიანების მომხრეთა წიგნების აუტოდაფე მოაწყვეს. და, თუმცა, ეს ფაქტი არავითარ ცივილიზაციის ნორმებში არ ეტევა, ვფიქრობთ, გასახლებულთა საქართველოში დაბრუნების საწინააღმდეგოდ რაღაც ფორმით გამოსვლა მაინც აუცილებელი იყო. საქართველოს ახლა 200 ათასი მაჰმადიანის შემომატება აღარ სჭირდება.

საზოგადოება „ვათანის" მეთაურობით მესხეთელმა მაჰმადიანებმა რამდენჯერმე მოსინჯეს საქართველოში „მშვიდობიანი" მსვლელობით შემოსვლა აზერბაიჯანისა და ადლერის მიმართულებებიდან. მაგრამ ყარაბაღსა და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტებმა მათი იმედის

გაცრუება გამოიწვია. ახლა დეპორტირებულთა დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლებას მიესწრაფება. ამით ისინი თავიანთ ეთნიკურად თურქობას ადასტურებენ.

მესხეთელი მაჰმადიანების საკითხი დროდადრო კვლავაც წამოტივტივდება ხოლმე პოლიტიკურ ასპარეზზე. მას საქართველოს მოძულენი ქართველთა სახელის გასატეხად იყენებენ. ჩვენი ხელისუფლების მიდგომა ამ პრობლემისადმი აისახა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 802-ე ბრძანებულებაში, რომლის მიხედვითაც მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის პირველი ეტაპი განხორციელდება 1997-2000 წლებში. ამ პერიოდში უნდა ჩამოსახლდეს 5 ათასი კაცი. მათი 15%—1997 წელს, 15—1998 წელს, 1999 წელს—25, ხოლო 2000 წელს 35 პროცენტი. დეპორტირებულთა მთელი რაოდენობა შეფასებულია 300 ათას კაცამდე („რეზონანსი" 1998:16).

1989 წლის შემოდგომაზე მბრძანებლურ-განმაკარგულებელი ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში კრიზისული მოვლენები დაიწყო. საკდესიც კი აღიარებდა რკინიგზის ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ქვანახშირის მრეწველობის, მეტალურგიისა და ნავთობის სფეროებში სახიფათო ზღვრამდე მისვლას და მას „პოლიტიკურ ვნებებსა და ეროვნულ ამბიციებს" აბრალებდა („კომ" 1989:230). საკავშირო მასმედია ცდილობდა ამ თეზისის გამართლებას და განაგრძობდა ეროვნული მოძრაობების დისკრედიტაციის ცდებს.

საქართველოში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ცენტრალური ტელევიზიის გადაცემამ, მიძღვნილმა ძერჟინსკის სახელობის დივიზიაში გამართული ბრიფინგისადმი, რომელშიც ნაჩვენები იყო, როგორ „დააზარალეს" ამ დივიზიის ჯარისკაცები თბილისში 9 აპრილს, მიტინგის გარეკვის დროს. სწორედ ამ გადაცემის შემდეგ გამწვავდა ვითარება ამიერკავკასიისა და აზერბაიჯანის რკინიგზაზე. აქ შლიდნენ ლიანდაგებს, აფეთქებდნენ ხიდებს, ცეცხლს უკიდებდნენ მატარებლებს. აგვისტოსა და სექტემბერში სომხეთში არ ჩასულა სურსათით, სათბობით და საშენი მასალებით დატვირთული 32 ათასი ვაგონი, აფხაზეთში განაიარაღეს რკინიგზის გასამხედროებული ქვეგანაყოფები (იქვე).

ეროვნული მოძრაობის დიდი აღმავლობა აღინიშნებოდა ბალტიისპირეთში. იქ უპირატესობას ანიჭებდნენ ბრძოლის მშვიდობიან ფორმებს. გრანდიოზული ღონისძიება მოეწყო 23 აგვისტოს. 600 კმ-ზე ტალინიდან ვილნიუსამდე ხელიხელჩაკიდებული იდგა ბალტიისპირ-

ეთის მოსახლეობის ყველა თაობის წარმომადგენელი. ეს იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების სოლიდარობის აქამდე წარმოუდგენელი ცოცხალი ესტაფეტა.

საქართველოში კი ეროვნული და სოციალური პრობლემების გარდა მიმდინარე საპროტესტო მოძრაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეკოლოგიურსა და მთიანი რაიონების საყოფაცხოვრებო საკითხებით წარმოშობილ უკმაყოფილებებს. 16-23 მაისს მესტიაში დიდი აქცია მოეწყო ხუდონჰესის მშენებლობის აღკვეთისა და მესტიის ეროვნულ პარკად გამოცხადების მოთხოვნით. („ახკომი“ 1989:61). ასეთსავე პრობლემებს მიეძღვნა მიტინგი ყაზბეგში 19 მაისს.

შეშფოთება გამოიწვია ახმეტის რაიონში ილტოს წყალსაცავის მშენებლობამ. პროექტის მიხედვით იგი დაფარავდა 360 ჰექტარ ფართობს. მთლიანი განადგურება ემუქრებოდა 260 ჰექტარ ტყეს. წყალსაცავი დაიტევდა 100 მილიონ კბმ წყალს. წყალი თითქმის კვეტარის ციხემდე მიაღწევდა. დიდ ზიანს მოუტანდა კახეთის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს—მევენახეობას (იქვე:62).

მიმდინარე აქციები ყოველთვის როდი გამოირჩეოდა გონივრულობით. მაგ., აგვისტოს შუა რიცხვებში, თბილისში ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა ჯერის წყალსაცავის დაცლისა და ენგურჰესის კასკადის გაჩერების მოთხოვნით! („კომ“ 1989:191).

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ „გულში დაჭრილი ბუნება“ ვერ ფარავდა და ულმობლად გამოხატავდა თავის აუტანელ სატკივარს. 20-21 აგვისტოს წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა რაჭას. დაინგრა წყალსადენები, გზები, სახლები. რამდენიმე კმ-ზე აიყარა ონიდან შოვში მიმავალი გზატკეცილი. ზარალი შეადგენდა 15 მილ. მანეთს (იქვე:194)

დეკემბრის დასაწყისში კოკისპირული წვიმებით წარმოშობილმა ღვარცოფებმა და მეწყერებმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ცაგერის რაიონს. ათიოდე დღის შემდეგ მეწყერი ჩამოწვა მდ. აჭარისწყლის ხეობაში. მიწის ზვავის სიმაღლე 1 კმ, ხოლო სიგანე 300 მეტრი იყო. მან ხეობა გადაკეტა. ხულოს, ქედასა და შუახევის რაიონები მოსწყდნენ საკომუნიკაციო ხაზებს.

იმ დროს, როცა მიწისძვრებისა და წყალდიდობის გამო აყრილი ქართული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი ფართობის გამონახვა ვერ ხერხდებოდა და, სადაც ჩაასახლეს, იქედანაც მათს გამოსახლებას მოითხოვდნენ. საქართველოს რიგ რაიონებში გრძელდებოდა მეზობელი

რესპუბლიკების მოქალაქეთა მიერ მიწების მიტაცებისა და საცხოვრებელი ფართის მიღების პროცესი.

ამ მხრივ საკმაოდ ხანგრძლივი „გამოცდილება“ ჰქონდათ კაზრეთის მადნეულის გამამდიდრებელ კომბინატში. ბინების განაწილების დროს აქ უპირატესობით არაქართველები სარგებლობდნენ. 1977-დან 1989 წლამდე აშენდა და გაიცა 2074 ბინა. მათგან ქართველებზე 719, არაქართველებზე—1355. 1991 წელს მარტო შს სამინისტროს მიერ გამოვლინდა 600-ზე მეტი მიწის ნაკვეთის არაქართველებზე გაცემის ფაქტი (,,კომ“1989:193).

განგაშის სიგნალები მოდიოდა ქვემო ქართლიდან და ჯავახეთიდან. იქ ჩასახლებულ აჭარლებს აიძულებდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. მათ დასახმარებლად საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა საქველმოქმედო საზოგადოება „ჯავახეთი“ დააარსეს (იქვე:162). ქართველთა გააქტიურებამ სწრაფი რეაქცია გამოიწვია. აგვისტოში დაიძაბა ვითარება ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში. აქ მიტინგებზე შეკრებილმა სომეხმა მოსახლეობამ სომხური ავტონომიის შექმნა და სტიქიით დაზარალებულთა ჯავახეთში ჩამოსახლების აკრძალვა მოითხოვა (ჩერვონაია 1994:96). ამჯერად საქმე კონფლიქტამდე არ მისულა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენები სპონტანურად წარმოშობილი არ იყო.

1989 წელს სასწავლო წელი განათლების ყველა საფეხურის სკოლებსა და სასწავლებლებში დაგვიანებით, 2 ოქტომბერს, დაიწყო. აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში კი კიდევ უფრო დაგვიანდა. მეცადინეობებს აქ შეუდგნენ 10 ნოემბერს. პარალელურად იმავე რიცხვიდან მიმდინარეობდა მისაღები გამოცდებიც. აფხაზეთის უნივერსიტეტში 19 სპეციალობაზე უნდა ჩაერიცხათ 600 სტუდენტი, თსუ-ის სოხუმის ფილიალში 15 სპეციალობაზე-310 (,,კომ“ 1989:260).

1989 წელს, 1921 წლიდან პირველად, ოპოზიციური პარტიებისა და მათი მხარდამჭერების ძალისხმევით, თბილისში ჩაიშალა ოქტომბრის რევოლუციის აღსანიშნავი მშრომელთა დემონსტრაცია და პარადი. ჩამოხსნეს სახელმწიფო დროშები, ქუჩების გაფორმებები და სხვა სიმბოლოები. 7 ნოემბერს, საღამოს, რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნა უწესრიგობის ატმოსფერო. მილიციის მეოხებით რაიმე მნიშვნელოვან ექსცესებს ადგილი არ ჰქონია (,,ЗВ“ 1989:257).

ოქტომბერში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა. ქუთაისიდან თბილისში მიმა-

ვალნი, საავტომობილი ავარიაში მოჰყვნენ, მერაბ კოსტავა[1] და ზურაბ ჭავჭავაძე.[2] საჭესთან იჯდა თამარ ჩხეიძე. მერაბი მაშინვე გარდაიცვალა. დაასაფლავეს მთაწმინდაზე 1989 წლის 21 ოქტომბერს. ზურაბ ჭავჭავაძემ 25 დეკემბრამდე იცოცხლა. იგი ყვარელში ჭავჭავაძეთა საგვარეულო სასაფლაოზე განისვენებს.

ოქტომბრის მიწურულს ორი აქცია მოეწყო 9 აპრილის მოვლენების შესწავლით და აფხაზეთში ივლისში ქართველების დარბევის დამნაშავეთა დაუსჯელობით გამოწვეული უკმაყოფილების გამო. 26 ოქტომბერს თბილისში სახვითი ხელოვნების მუზეუმთან გაფიცვა დაიწყო აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოსულმა ჯგუ-

---

[1] მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს. სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში. შემდეგ გადავიდა მუსიკალურ ათწლედში. 1956 წელს იგი დააპატიმრეს, როგორც მარტის დემონსტრაციების აქტიური მონაწილე. 1974 წელს მან ზ. გამსახურდიასა და ვ. რცხილაძესთან ერთად ჩამოაყალიბა „ადამიანის უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფი". მოგვიანებით იგი გარდაიქმნა „ჰელსინკის კავშირად". მონაწილეობდა თვითგამოცემების „საქართველოს მოამბესა" და „ოქროს საწმისის" გამოჭედებაში.

1977 წელს დააპატიმრეს და 10 წლით გადაასახლეს. დაბრუნდა სასჯელის მთლიანად მოხდის შემდეგ 1987 წელს.

უმრავი სიმწარე, ტკივილი და ტრაგედია (შვილის თვითმკვლელობა) განიცადა, მაგრამ არ გაბოროტებულა, ზნეობისათვის არ უღალატნია. მრწამსი არ შეუცვლია. პირიქით, უფრო მიმტკიცებელი და ღვთისნიერი გახდა. გარეგნულადაც სამაგალითო იყო. არწივივით ამაყი, ანტიკური აღნაგობისა, მთლიანად გაჩალარავებული, კლაპტარივით წმინდა, ბრგე, მიმზიდველი. მისი დასასიათების დროს მიუთითებენ, რომ „დარბაზის ორატორი არც მერაბ კოსტავა გახლდათ, მისი სტილიაც ქუჩის მრავალათასიანი მიტინგი" იყო (მჭედლური 1995:61).

ასეთ გამოსვლებში ფოლადივით მტკიცე და ხაფრდოვანი ხმით გამოირჩეოდა სხვა არაფორმალი ლიდერებისაგან, აშკარად ჯაბნიდა მათ.

გარდაცვალების დროს მერაბ კოსტავა იყო ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის წევრი და მასში შემავალი წმ. ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე. მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დაბმარების ფონდი.

მ. კოსტავა წერდა ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს, ფილოსოფიურ ნარკვევებს. ასანი ძირითადად მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. მათგან მთავარი ნაშრომია--„ფიქრები საქართველოს მისიაზე." ცხოვრების პირობებისა და, აგრეთვე, იმის გამო, რომ „შორს იყო თეორეტიკოსობისაგან, რაც ასევე სპირდებოდა მაშინდელ საქართველოს" (მჭედლური), უფრო მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია.

დაიღუპა 1989 წლის 13 ოქტომბერს.

[2] ზურაბ ჭავჭავაძე დაიბადა 1959 წელს. 1971-1972 წლებში სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ დაამთავრა იენის უნივერსიტეტი (გერმანია) ქიმიის სპეციალობით. ერთხანს თავისი სპეციალობით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. დამოუკიდებლად დაეუფლა ფილოლოგიასა და ეკლესიის ისტორიას. 1979-1980 წლებში იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II -ის პირადი რეფერენტი. 1981-1983 წლებში ზურაბ ჭავჭავაძე მეცნიერ-რედაქტორად მუშაობდა სამეცნიერო თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში. 1984 წლიდან იყო ამავე კოლეგიის სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანის განყოფილების გამგე.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია--„XII საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია". განსაკუთრებულია ის წვლილი, რომელიც ზ. ჭავჭავაძემ შეიტანა საზღვარგარეთ მოღვაწე მოძღვრის გრიგოლ ფერაძის შრომების შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

ზ. ჭავჭავაძე იყო ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი. მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. იგი გახლდათ ზომიერი და თანაც პრინციპული კურსის მომხრე. ქუჩო და შიდა ქართლში, აფხაზეთში, ყველგან იღწოდა კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი მოგვარებისათვის. დღითიდღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკოსი.

ფებმა. 29 ოქტომბერს ისინი შეუერთდნენ კინოს სახლთან სახალხო ფრონტის მიერ მოწყობილ ხალხმრავალ მიტინგს. ხელისუფლება იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მომიტინგეთა მოთხოვნა აღნიშნული საკითხების განსახილველად უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ. სესია დაინიშნა 17 ნოემბრისათვის.

სესიის ჩატარებამდე კიდევ უფრო გამწვავდა ვითარება სამხრეთ ოსეთში. ოლქში ოქტომბრის დასაწყისიდან მიმდინარეობდა არასანქცირებული მიტინგები, მჯდომარე გაფიცვები, პროტესტის სხვა აქციები. არ მუშაობდა ცხინვალის საწარმოთა უმრავლესობა. ამ ანტიქართული მოძრაობის საბაბად გაიხადეს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ 1989 წლის 15 აგვისტოს.

აქამდე ირწმუნებოდნენ, რომ სამხრეთ ოსეთში რაიმე ანტიქართული სულისკვეთება მხოლოდ ჭორებიაო. მაგალითად, 22 ივნისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში ლ. ჩიბიროვი წერდა: „მსოფლიო ისტორიაში ძნელია ორი სხვა მეზობელი ხალხის მოძებნა, რომლებიც ისე მჭიდროდ ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მოქმედებდნენ და აზროვნებდნენ ერთნაირი კატეგორიებით, როგორც ჩვენი ხალხები. ქვეყნის ვერც ერთ რეგიონში ვერ ნახავთ ისე ხშირ შერეულ ქორწინებებს, როგორც ქართველებსა და ოსებს შორის “.

იგი მიუთითებდა, რომ სამხრეთ–ოსეთის ინტელიგენცია მხარს უჭერს ქართველი საზოგადოებრიობის მისწრაფებას რესპუბლიკის სუვერენიტეტის გასაძლიერებლად, ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად და დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტად. „კარგად უნდა მოვზომოთ,—დაასკვნიდა იგი,—რათა მოუფიქრებელი მოქმედებით გამოუსწორებელი ზიანი არ მივაყენოთ მეგობრობის შენობას, რომელსაც საუკუნეობით აგებდნენ ჩვენი წინაპრები. ამას არ გვაპატიებს არც წარსულის ხსოვნა და არც მომავალი თაობები“ (,,კომ“ 1989:144).

თუ როგორი სიტყვის კაცია იგი, რა პატივსა სცემს „წარსულის ხსოვნას“ და როგორ პასუხისმგებლობას გრძნობს მომავალი თაობების წინაშე, კარგად ჩანს მისი ამჟამინდელი მოქმედებით, როცა ბ-ნი ლ. ჩიბიროვი თვითმარქვია სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის თვითმარქვია პრეზიდენტის როლში მოგვევლინა და ჩრდ. ოსეთთან შიდა ქართლის შეერთებისათვის თავგამოდებით იღვწის.

აფხაზეთის კონფლიქტის დღეებში სამხრეთ ოსეთში მიმდინარ-

ეობდა ქართველთა ყურადღების მოდუნებისა და მეგობრობის ყალბი ლოზუნგებით გაჟღენთილი ღონისძიებები. ოსების ქართველებთან დაპირისპირებას აცხადებდნენ უნიადაგო ჭორებად. საქინფორმი იუწყებოდა, რომ „ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, ოსებს მოძმე ქართველთა ხალხისათვის ეღალატოს, ისინი მუდამ ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში"-ო. ასევე ჭორია, თითქოს „ოსები იარაღდებიან და აფხაზების დასახმარებლად მიდიან"-ო. ასეთი ხმები მიიჩნეოდა „ყოვლად წარმოუდგენელ ბრიყვულ მონაჩმახად" (იქვე:171).

სინამდვილეში კი, სვ. ჩერვონაიას გამოკვლევით, „ახალი ანტიქართული გამოსვლის მზადებაში სიმძიმის ცენტრი სულ უფრო აშკარად ინაცვლებდა სამხრეთ ოსეთში" (ჩერვონაია1994:96). აქაური პროკომუნისტური ხელმძღვანელობა და სეპარატისტული ეროვნული ოსური მოძრაობა „ადამონ ნიხასი" („სახალხო ტაძარი") ცდილობდნენ მრავალეროვნული ანტიქართული ფრონტის შექმნას, რასაც მათ ცენტრი მოუწოდებდა და ამ მხრივ ეხმარებოდა კიდეც. ამ დროს ცხინვალიდან გაგზავნილი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს ურთიერთკავშირს საქართველოს აფხაზურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ რაიონებში ანტიქართულ გამოსვლებს შორის. მათი თითქოს ეროვნულ ნიადაგზე პროვოცირება კი ცხოვრების აუტანელი პირობებისა და მასების დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო ძალზე გაიოლებული იყო.

ექსტრემისტებმა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა" საბაბად გამოიყენეს და სამხრეთ ოსეთში მოვლენები „ადამონ ნიხასის" სცენარის მიხედვით წარმართეს. ამ არაფორმალურმა ორგანიზაციამ ოსეთის მშრომელების სახელით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცეკას გაუგზავნა მიმართვა, სადაც „ქართული ენის სწავლების პროგრამა" დახასიათებულია, როგორც ოსი ხალხის დისკრიმინაციული დოკუმენტი. ამის გათვალისწინებით მოითხოვდნენ აბსურდული პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტის ერთი ერის ორად გაყოფის გამოსწორებას და მათ გაერთიანებას ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელსაც უნდა ჰქონოდა მოკავშირე რესპუბლიკიდან თავისუფლად გასვლის უფლება. თანაც, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად უნდა გამოცხადებულიყო რუსულ-ოსური. ქართული ენა საერთოდ არ იყო ნახსენები.

მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საბჭოს სესიის მოწვევა ოფიციალურად იყო გადადებული, ოსი დეპუტატები მაინც შეიკრიბნენ და არაფორმალურ ორგანიზაციათა დაწოლით მიიღეს გადაწყვეტილება, მიემართათ საქართველოს უმაღლესი საბჭოსათვის სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის თაობაზე (,,ЗВ" 1989:260).

ეს იყო არაგონივრული, თვით ოსებისათვის ზიანის მომტანი და გამამტყუნებელი გადაწყვეტილება. ერთი წლის შემდეგ, როცა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი, როგორც ადმინისტრაციული წარმონაქმნი ლიკვიდირებულად გამოაცხადა, ამ აქციის კანონიერება იმითაც იყო დასაბუთებული, რომ ავტონომიური ერთეულის ასეთი სტატუსი საოლქო საბჭოს სესიამ თვითვე უარყო.

აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვავებით „აფხაზური წერილისა", რომელიც, გარდა ერთეული გამონაკლისისა, აფხაზთა წრეებში არ უარყვეს. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს ამ უაზრო გადაწყვეტილებას თვით ოსთა შორის გამოუჩნდა მრავალი კრიტიკოსი. მაგრამ საქართველოს დემოკრატიული ძალებისადმი ზურგში მახვილის ჩამცემი მანქანა ამუშავებული იყო და მისი შეჩერება გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ცხინვალსა და სხვა ადგილებში დაიწყო ანტიქართული გაფიცვები და მიტინგები. ჩვეულებრივი გახდა ლოზუნგები „ქართველებო, დატოვეთ ოსური მიწა": „ჩვენი საცხოვრისი ალანთა უძველესი ქვეყანაა" და სხვა. აგროვებდნენ სახსრებს და იარაღს თავიანთი სეპარატისტული ზრახვების განსახორციელებლად.

ამის საპასუხოდ საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარმა კომიტეტმა ქართველ მოსახლეობას მოუწოდა მთელ საქართველოსა და თვით ცხინვალში ჩაეტარებინათ მასობრივი მიტინგები და გამაფრთხილებელი გამოსვლები, ე.წ. სამხრეთ ოსეთის უკანონოდ შექმნილი ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით.

23 ნოემბერს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან, უმთავრესად კი თბილისიდან, ცხინვალის მიმართულებით, იქ ქართველი მოსახლეობის დასაცავად და მიტინგის ჩასატარებლად გაემართა მრავალრიცხოვანი კოლონები. სვ. ჩერვონაიას ჩვენებით–50 ათასიანი რაზმი (ჩერვონაია 1994:97). მშვიდობიან მომიტინგეებს ცხინვალის შესასვლელთან ოსთა პიკეტი და ბარიკადები დახვდა. „ადამონ ნიხასის" აქტივისტები იმუქრებოდნენ, რომ ქართველების ქალაქში შესვლის შემთხვევაში მათ ცეცხლს გაუხსნიდნენ. „მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა––საქართველოს ქალაქში ქართველები არ შეუშვეს". (მჭედლური 1995:64). დიდი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ ქართველები უკან გამობრუნდნენ, შეტაკება თავიდან იქნა აცილებული.

გამობრუნებულებმა მიტინგები ჩაატარეს გორსა და თბილისში (,,3В" 1989:270).

„ქართველთა ამ წარუმატებელმა აქციამ ოსებს უძლეველობის ილუზია შეუქმნა"(მჭედლური). „ადამონ ნიხასელები" კვლავ აღვირახსნილ ანტიქართულ ისტერიას აღვივებდნენ. 9 დეკემბერს ცხინვალში გამართულ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელობისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის შეხვედრაზე გააკრიტიკეს „ადამონ ნიხასის" საქმიანობა. ითქვა, რომ ამ ორგანიზაციამ, რომელიც თავდაპირველად მუცლის ტიფის ეპიდემიის საწინააღმდეგოდ შეიქმნა, ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და უნდა მოხდეს მისი „დემონტაჟი". ამავე შეხვედრაზე გამხილდა მანამდე „უცნობი საიდუმლო". რეგიონში ადგილი ჰქონია ისეთ შეტაკებებს, სადაც ყოფილან დაჭრილები და დასახიჩრებულები. ცხინვალიდან ლტოლვილი იყო რამდენიმე ასეული ადამიანი. ქართველები–საქართველოში, ოსები–ჩრ.ოსეთში (,,კომ" 1989:282-283).

სახალხო ფრონტის ლიდერი ნ. ნათაძე მართალი იყო, როცა მიუთითებდა ცხინვალში შექმნილი მძიმე მდგომარეობის თაობაზე, რაც გამოიხატებოდა ექსტრემისტების მიერ დიდი მასის აყოლიებაში. „ხდება ისტორიაში არნახული რამ: ხალხს სცემდნენ იმისათვის, რომ ქართველი რატომ ხარო",—შენიშვნავდა იგი (იქვე :294).

ცხინვალში მიმდინარე „უკანონო და ანტისამართლებლივი" მოვლენების მოსაგვარებლად შექმნილი იყო ოპერატიული შტაბი. მაგრამ ყველაფერი მთავრდებოდა „ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დამნაშავეთა დასჯის" მუქარით. „ადამონ ნიხასელები" კი თავიანთი ბნელი საქმეების კეთებას აგრძელებდნენ.

1989 წლის მიწურულს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნა. პირველი უნდა ჩატარებულიყო 1990 წლის 25 მარტს, მეორე კი—17 ივნისს. უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის დაწესდა საარჩევნო ოლქების შედგენის ნორმები, 11560 ამომრჩეველი ირჩევდა ერთ დეპუტატს (,,3В" 1989:271).

კალენდარული წლის დამთავრება ყოველთვის არ არის ის ნიშანსვეტი, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდეს წელიწადის განმავლობაში განვითარებული მოვლენების განმაზოგადებელი შეფასება. მაგრამ 1989 წლის მიმართ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახული აღმავლობის წე-

ლი, ხოლო, როგორი ნაკადებით იყო წარმოჩენილი ეს მოძრაობა, ანდა, როგორ უნდა შეფასდეს ისინი, ამისი თქმა ჯერ ნაადრევად მოჩანდა. რაიმე განმაზოგადებელი მეცნიერული ნაშრომი ამ თემაზე არც შექმნილა. დოკუმენტური მასალებიდან კი ძლიერ კარგი საქმე გაკეთდა გურამ გვერდწითელის მიერ შედგენილი კრებულის „9 აპრილის“ გამოცემით 1990 წელს.

რაც შეეხება მწერლების დ. მჭედლურისა და რ. ჩხეიძის ჩემ მიერ ზემოთ დამოწმებულ წიგნებს, პირველი, ალბათ, იმიტომ, რომ გაყალბებულად მიაჩნია მისი უმთავრესი პრინციპი, ეროვნულ მოძრაობას, ჩვეულებრივ ბრჭყალებში ჩასმით ხმარობს. ხოლო მეორეს, ძირითადად, ზ. გამსახურდიას უცოდველობის დამტკიცება აქვს მიზნად. ამდენად, გასაგებია, მათს შეფასებებს დასაბუთებულად ვერ ჩავთვლით და განზოგადებას ვერ ვუწოდებთ.

საკმაოდ მომარავლებულ გაზეთებში ამ თემაზე უამრავი ერთმანეთის გამომრიცხავი სტატია იბეჭდებოდა. მათში გადაჭარბებული დაპირისპირებულობით იყო წარმოდგენილი „მამებისა და შვილების“ მუდმივი დავა. მისი აღწერა ჩემს მიზანს არ შეადგენს. მაგრამ, 1989 წელზე თხრობის დასასრულს მინდა დავიმოწმო კამათში ჩაბმული მწერლის გ. ფანჯიკიძის ორიოდ წინადადება. არსებულ რადიკალიზმს იგი პოლიტიკური აზარტით ხსნიდა და შენიშნავდა: „რატომღაც ისე ვიქცევით, თითქოს ამ დაჯგუფებისათვის მთავარი საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა კი არ იყოს, არამედ რაღაც სპორტული შეჯიბრი, მხოლოდ პირველობის მოპოვების ჟინი და სურვილი“. და გულისტკივილით აგრძელებდა.: „ახალგაზრდობა მოწყდა უფროს თაობას, ე.ი. მოწყდა განათლებას, გამოცდილებას, მოწყდა იმ თვისებებს, რომლებმაც უნდა შეავსოს და დაამძიმოს ახალგაზრდული სიფიცხე და ენერგია“ (,,კომ“ 1989:171).

თავი მეოთხე

1990 წელი

„ფილონს გული აქვს და იმ ხომალდს „ხსნა“ ეწოდება, მაგრამ თვით ხუსიც ვერ შესძლებდა შიგ თავი ეხსნა“.

ნიკარქე.
ბერძენი სატირიკოსი.

ახალ წელში ძველი ის იყო, რომ გრძელდებოდა ოსური ექსტრემიზმი, ყველაზე ბინძური გამოვლინებით. „ადამონ ნიხასის“ აქტივისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმ მიზნით, რომ როგორმე მიეღწიათ ცხინვალის რეგიონში მმართველობის განსაკუთრებული ფორმის შემოღებისათვის. თუ ეს განხორციელდებოდა, მაშინ საქმეში ჩაერეოდა „მესამე ძალა“, რომელიც პროოსური, და ანტიქართველური იქნებოდა. ამიტომ ასეთ ცდებს მხარს უჭერდა და ფართო პროპაგანდას უწევდა საკავშირო პრესა და ინფორმაციის ელექტრონული საშუალებანი. მათ ოსური მხარე დაჩაგრულად გამოჰყავდათ, ხოლო ადგილობრივ და რესპუბლიკურ ხელმძღვანელობას მათდამი დახმარების გაწევის საქმეში უმწეოდ სახავდნენ. ასეთი რამ იწერებოდა იმ დროს, როცა გორის საავადმყოფოში მწოლიარე შეტაკების მონაწილე 21 დაჭრილიდან ქართველი იყო 19, ხოლო სამხრეთ ოსეთის გზებზე „ადამონ ნიხასის“ „ბოევიკებს“ ჰყავდათ ჩაყენებული პიკეტები და ქართველებს არ ატარებდნენ.

ცდილობდნენ ესარგებლათ შეთითხნილი პროვოკაციებითაც. მაგალითად, ცხინვალის რაიონის სოფ. ქურთის საბავშვო სახლის არაქართველმა აღმზრდელებმა სახალხო დეპუტატთა II ყრილობას გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც აუწყებდნენ, თუ როგორ მიუხდნენ ექსტრემისტი ქართველები მათს აღსაზრდელებს და მიაყენეს მათ ათასგვარი შეურაცხყოფა. სოფლის კრებაზე, სადაც ქართველებმა საპროტესტო განცხადება მიიღეს, დეპეშის ხელმომწერმა პედაგოგ-აღმზრდელებმა უსირცხვილოდ აღიარეს—ვიცრუეთო („ახკომი“ 1990:3). შემდეგში „ზარია ვოსტოკას“ კორესპოდენტი შეხვდა ზოგიერთ მათგანს. რესპოდენტებმა ვერ შეძლეს აეხსნათ, რა საჭირო იყო ასეთი დეპეშა („ЗВ“ 1990:3).

უფრო დიდი საზიზღრობა მოხდა ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში. 3 იანვარს ოსი ექსტრემისტები შეიჭრნენ ქართველი გლეხის ბინაში და აკვანში ავტომატის ცეცხლით დაცხრილეს 9 თვის ბავშვი, რომლის დედა ოსი იყო. ამ ფაქტმა აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია მთელ საქართველოში. 5 იანვარს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მომიტინგეებმა პირდაპირ დაადანაშაულეს მთავრობა და განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოები პასიურობაში, რასაც შედეგად ჰყვება ხოლმე მნიშვნელოვანი მსხვერპლი და დესტაბილიზაცია. მიტინგები მომდევნო დღეებშიაც გაგრძელდა. 13 იანვრის ცნობით, თბილისის, ცენტრალურ რაიონში არ მუშაობდა ტრანსპორტი, ბევრი საწარმო პიკეტირებული და გაჩერებული იყო. ასეთივე ბედი ემუქრებოდა საავადმყოფოებსა და კვების ობიექტებსაც კი.

შიდა ქართლში შს სამინისტროს დიდი ძალების შეყვანის მიუხედავად, ცხინვალისა და გორის გზაზე იდგა ორივე მხარის პიკეტები. მიმოსვლა შეჩერდა სამტრედიის რკინიგზის კვანძზე. 15 იანვარს ეს აქციები შეწყდა.

ეს იყო დროებითი შედეგი აზერბაიჯანის დედაქალაქში განვითარებული მოვლენებისა. 13 იანვარს ბაქოში მოხდა სომეხთა დიდი დარბევა. მთელი სომხური მოსახლეობა ქალაქიდან გამოდევნეს. დარბევები ერთ კვირას გრძელდებოდა. სომხური მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სომხეთს მიაშურა. მრავალრიცხოვანი მასა მიილტვოდა რუსეთსა და აღმოსავლეთ კასპიისპირეთშიაც. კრასნოვოდსკში მარტო 18 იანვარს გადაიყვანეს 700 ლტოლვილი. ძლიერ დაიძაბა მდგომარეობა მთიან ყარაბაღში. შეტაკებებში იყენებდნენ ავტომატებსა და ტყვიათმფრქვეველებს. სეტყვასაწინააღმდეგო ქვემეხებით ებრძოდნენ ავიაციას. კიროვობადში ჩამოიყვანეს შინაგანი ჯარების ახალი ქვეგანაყოფები. ორივე ეროვნების მხრივ მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა ათეულობით მოითვლებოდა. 14 იანვარს აზერბაიჯანში მომხდარი დარბევის საპასუხოდ 300 ათასიანი მიტინგი გაიმართა. მთიან ყარაბაღსა და მის მოსაზღვრე აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონებში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა („ЗВ" 1990:13-14).

ყველაზე მძიმე დღეები ბაქოში იყო 19 და 20 იანვარი. 20-ში შემოიღეს სამხედრო მდგომარეობა. შემდეგში თვით მ. გორბაჩოვმა აღიარა, რომ იგი უშედეგო გამოდგა. ბაქოს საქალაქო მეურნეობა და აზერბაიჯანის ხელისუფლება პარალიზებული იყო. ასიათასიან მიტინგებზე მოითხოვდნენ ჩრდილო (საბჭოთა) და სამხრეთ (ირანის) აზერბაიჯანის გაერთიანებას, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

აზერბაიჯანელი „ბოევიკები“, რომლებიც აქამდე სომეხთა ოჯახებს არბევდნენ საკუთარი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ახლა გადავიდნენ თვით სომხეთში. ისინი 70 კმ-ზე მიუახლოვდნენ ქ. ერევანს, აზერბაიჯანის რკინიგზაზე იდგა მატარებლის 143 შემადგენლობა. სომხეთი სურსათისა და საშენი მასალების გარეშე დარჩა. ერევნის თითქმის ყველა საწარმო გაჩერებული იყო. ამ ვითარებაში მეზობელ რესპუბლიკას დახმარება აღმოუჩინა საქართველომ. 18 იანვარს სომხეთში გაიგზავნა 14 მატარებელი (281 ვაგონი), რომლებიც ძირითადად საკვებით და საშენი მასალებით იყო დატვირთული.

სამხედრო მდგომარეობის დროს ბაქოში მოხდა შეტაკებები სამხედროებსა და აზერბაიჯანელ „ბოევიკებს“ შორის. 19 და 20 იანვარს დაიღუპა 83 კაცი. მათ შორის 14 სამხედრო მოსამსახურე (იქვე:21). აქაც სამხედროების მოქმედებას იმით ამართლებდნენ, რომ ისინი შეიარაღებული გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მსურველებს ებრძოდნენ. 20 იანვარს ა. ვეზიროვი განთავისუფლდა აზერბაიჯანის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობიდან. ბიუროს ხელმძღვანელობა დაევალა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. მუტალიბოვს[1] და მეორე მდივანს ვ. პოლიანიჩკს (იქვე:19). სისხლისღვრა შემდეგშიც გრძელდებოდა. 9 თებერვლისათვის დაღუპულთა რაოდენობა 170-ს აღწევდა, დაჭრილი იყო 370 კაცი, უგზო-უკვლოდ დაკარგული—321 („МГ“ 1991:4).

როგორც ვთქვით, ამ მოვლენებმა ნაწილობრივ შეაჩერეს მასობრივი მოძრაობები საქართველოში, მაგრამ თბილისში, მთავრობის სახლთან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობას აგრძელებდა 40-ზე მეტი კაცი („ЗВ 1990;16).

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აქამდე იდეოლოგიზირებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეროვნულ ორგანიზაციებად გარდაქმნას. 8 თებერვალს ჩატარებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაფართოებულმა სამეცნიერო საბჭოს სხდომამ საქართველოს ეს უპირველესი განათლების კერა ავტონომიურ დაწესებულებად გამოაცხადა. სხდომაზე მიიღეს ავტონომიის აღდგენის დეკლარაცია. არანაკლებ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო უნივერსიტეტის დეპოლიტიზებულ დაწესებულებად გამოცხადება.

[1] ა. მუტალიბოვი შემდეგში აზერბაიჯანის პრეზიდენტი გახდა. მაგრამ შეიარაღებულ ოპოზიციასთან ბრძოლაში ძალაუფლება შეიჭნა მოსკოვში გაჭიანურდა, 1997 წელს იგი დაასატიმრეს და გამოაცხადეს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას გადასცემდნენ.

ასევე არაორდინარულ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება 1990 წლის გაზაფხულიდან მონაწილეობა არ მიეღო საკავშირო ჩემპიონატებში და ჩაეტარებინა საკუთარი ეროვნული საფეხბურთო პირველობა. ასეთ ნაბიჯს წინ უძღოდა დიდი კამათი და დისკუსიები. ამტკიცებდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მას მოჰყვებოდა ქართული ფეხბურთის კლასის დაცემა. სხვა გუნდების კონკურენტუუნარობის გამო თბილისის „დინამოში“ აღარ აღიზრდებოდნენ საერთაშორისო აღიარების ოსტატები და სხვ. მაგრამ არაფორმალთა ლიდერებმა, რომლებიც მაშინ რუსეთისაგან ნებისმიერ სფეროში გათიშვას დიდ პოლიტიკურ გამარჯვებად მიიჩნევდნენ, თავისი გაიტანეს და 30 მარტს ჩატარდა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი მატჩი. გუნდებსაც გადაერქვათ სახელები. თბილისის „დინამო“, რომელსაც უკვე „იბერია“ ერქვა, ხვდებოდა ფოთის „ფაზისს“. ქუთაისის „ტორპედო“ კი ამ დროიდან „ქუთაისად“ იწოდებოდა.

ეროვნული მოძრაობის აღმავლობას შედეგად მოჰყვა რელიგიურ რწმენაზე ტაბუს ახსნა. ათეისტური საზოგადოება ერთბაშად გადაეშვა საყოველთაო მორწმუნეობაში. ასეთ რელიგიურობას უფრო რიტუალური, სანახაობითი სახე ეძლეოდა, ვიდრე ღმერთთან ჭეშმარიტი მიახლოებისა. მაგრამ ამ პროცესს მაინც უაღრესად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რელიგია ხომ უდიდესი მორალური ღირსების მქონე მოძღვრებაა და მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ამ მხრივ უნიკალურია. განსაკუთრებით ეს ითქმის მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე, რომელსაც არა მარტო ქართველობის ზნეობრივ აღზრდაში აქვს შესრულებული გადამწყვეტი როლი, არამედ ქართველი ხალხის ეროვნული გადარჩენაც არსებითად მასზე იყო დამოკიდებული. ჭეს კარგად ესმოდა ქართველი ხალხის მტრებს და ისინი, უპირველესად, ქართული ეკლესიის დასუსტებისა და, თუ მოახერხებდნენ, განადგურებისათვის ბრძოლით იწყებდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ თავიანთ აგრესიას.

როცა ქართული სახელმწიფოების მესვეურებმა პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე აიღეს, ამ ნაბიჯის ყველაზე მნიშვნელოვან არგუმენტად მათ ჩრდილოელი მეზობლის მართლმადიდებლური ქრისტიანობა მიაჩნდათ, მაგრამ რუსეთმა, როგორც საერო, ისე რელიგიურ სფეროში არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ქართველი პოლიტიკოსები ამყარებდნენ. თუ 1801 და 1810 წელს მან საქართველოში

აქამდე არსებული ორივე სამეფოს (ქართლ-კახეთისა და იმერეთის) ანექსია გამოაცხადა, 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოსპო, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე ნიჟნი ნოვგოროდში გაასახლა და საქართველოს ეკლესია სინოდს დაუქვემდებარა, რომელიც ამ ეპარქიას თავის მიერ დანიშნული რუსი ეგზარქოსის საშუალებით მართავდა.

ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისა და სამღვდელოების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1917 წლის 12 მარტს აღსდგა, მაგრამ იგი აღიარებული არ ყოფილა რიგი სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მიერ. 1990 წლის 23 იანვარს კონსტანტინოპოლის ეკლესიის მსოფლიო უწმინდესმა სინოდმა მიიღო დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და კათალიკოს ილია II-ის პატრიარქის წოდებაში ცნობის შესახებ. შესაბამისი სიგელები უწმინდესსა და უნეტარეს გადაეცა სტამბოლში 4 მარტს („ЗВ“ 1990:57). ამ საკითხზე საქართველოს ეკლესიასა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შორის ხუთმეტი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება. ასეთ წარმატებულ შედეგს ქართული საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა. უთუოდ დამსახურებული პატივია, რომ საქართველოს ეკლესია და მისი მეთაური ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიათა და მღვდელმთავართა შორის მეექვსე ადგილზე მოიხსენიება, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და რუსეთის პარტიარქების შემდეგ.

ქართველ მართლმადიდებელ მორწმუნეთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ ფაქტად შევა ბიბლიის (ძველი აღთქმა) ახალი თარგმანის გამოცემა 1990 წლის აპრილში. თარგმანი შეასრულა ცნობილმა ბიბლიოლოგმა ზურაბ კიკნაძემ. ბიბლიის ამ მშვენიერი გამოცემის ტირაჟი 50000 ეგზემპლარია.

ეკლესიის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის ხელშეწყობის ჟესტს წარმოადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს ეკლესიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და კულტის მსახურების საშემოსავლო გადასახადისა და სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლების შესახებ („КОМ“ 1990:81).

სკკპ თანდათან კარგავდა ავტორიტეტსა და მოვლენების განვითარებაზე კონტროლს. მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური

მდივანი უკვე აღარ ნიშნავდა უმაღლეს ხელისუფალს ქვეყანაში. აღარც ამ თანამდებობის დამჭერთა მიერ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობის შეთავსება უზრუნველყოფდა ვეებერთელა ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას, ვინაიდან მას აღმასრულებელი ხელისუფლება ფორმალურად არ უნდა ჰქონოდა. პარტიას კი ქვეყნის სადავეების ხელიდან გაშვება არ სურდა. ამიტომ გადაწყდა ცვლილებები შეეტანათ კონსტიტუციაში და დაეწესებინათ სსრ კავშირის პრეზიდენტის თანამდებობა. ეს ყველაფერი ითვლებოდა გარდაქმნის პროცესის შემადგენელ ნაწილად და შეიძლებოდა მას მართლაც ასეთი ინტერპრეტაცია მისცემოდა, ეს აქტი რომ დემოკრატიული გზით განხორციელებულიყო. მაგრამ იგი ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი სცენარით ჩატარდა: ცვლილებები კონსტიტუციაში პრეზიდენტის პოსტის დაწესებისა და არჩევის წესის შესახებ სახალხო დეპუტატთა III ყრილობამ შეიტანა 14 მარტს, არჩევნები კი ყრილობის სხდომაზე მეორე დღეს მოეწყო. ფორმალურად, პლურალიზმის მოსაჩვენებლად, წამოაყენეს სამი კანდიდატურა—მ. გორბაჩოვის, ნ. რიჟკოვისა და ვ. ბაკატინისა. ამ ორმა მოხსნა თავისი კანდიდატურა და პრეზიდენტად აირჩიეს მ. გორბაჩოვი. მისი არჩევის საკითხი საცილობელი არ გახდებოდა, ეს პროცესი, რომ საყოველთაო სახალხო კენჭისყრით მომხდარიყო, როგორც ამას დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები ითვალისწინებს.

პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებამ ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკასა და საქართველოშიაც ოპოზიციური გამოსვლები გამოიწვია. თბილისში შიმშილობა გამოაცხადა 18 ქალმა და 12-მა მამაკაცმა. მათი მოთხოვნით 9 მარტს თბილისში შედგა უმაღლესი საბჭოს სესია. მიიღეს დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ.“ უარყოფილ იქნა პრეზიდენტის თანამდებობის იმ სახით შემოღება, როგორც ამას სახალხო დეპუტატთა III ყრილობისადმი წარდგენილი პროექტი ითვალისწინებდა. ამავე დოკუმენტით 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრა და არსებული ხელისუფლების დამხობა გამოცხადდა ინტერვენციად და ფაქტობრივ ანექსიად.

უმაღლესმა საბჭომ ძალადაკარგულად სცნო საქართველოს სსრისა და რუსეთის სფსრ-ს შორის 1921 წლის 21 მაისის ხელშეკრულება და, აგრეთვე, ხელშეკრულება 1922 წლის 24 მარტისა, ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის

შესახებ. ასევე საქართველოს მიმართ უკანონოდ იქნა მიჩნეული 1922 წლის 30 დეკემბრის აქტი, რომლითაც სსრ კავშირის შექმნა გამოცხადდა. ამავე სესიაზე გადაწყდა დეპუტატებს საქართველოდან მონაწილეობა არ მიეღოთ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების დამტკიცებაში („ЗВ" 1990:63).

უფრო რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო ამ საკითხზე ლიტვის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც თავისი რესპუბლიკიდან არჩეულ დეპუტატებს საერთოდ ჩამოართვა უფლება, მონაწილეობა მიეღოთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტვის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაბიჯ–ნაბიჯ და დიდი ზომიერებით ატარებდა დამოუკიდებლობის მიღწევის კურსს, რესპუბლიკასა და ცენტრს შორის ურთიერთობა მაინც დაძაბული სახისა იყო. 1990 წლის 11 მარტს ლიტვის საბჭომ მიიღო დადგენილება ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ სსრ კავშირი ცნობდა ამ კანონიერ აქტს. მაგრამ „ბოროტების იმპერიად" წოდებულ ამ ქვეყანასთან საერთაშორისო სამართლის ენით საუბარი შეუძლებელი იყო. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა III ყრილობამ 16 მარტს ლიტვის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება დენონსირებულად გამოაცხადა, თანაც, ულტიმატუმური წესით მოთხოვა ლიტვას მორჩილება, დაემუქრა ეკონომიკური სანქციებით. დაიწყო ამ რესპუბლიკის საზღვარზე სასაზღვრო ჯარების დაჯგუფება. ლიტვაში შექმნეს სკკპ-ის პლატფორმაზე მდგომი კომუნისტური პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის აქტს რეაქციულ სახელმწიფო გადატრიალებად განიხილავდა. ცენტრის დავალებით ბელორუსიამ ტერიტორიული პრეტენზიები წარუდგინა ლიტვას.

ამის გარდა, ლიტვაში შეიქმნა ინტერფრონტი, რომელიც აქტიურად დაუპირისპირდა ეროვნულ მოძრაობა „საიუდისს". მათ მიერ მოწყობილ ხალხმრავალ მიტინგებზე გადაჭრით მოითხოვდნენ სახალხო დეპუტატთა III ყრილობის გადაწყვეტილებების რეალიზაციას („ЗВ" 1990:67).

ლიტვის უმაღლესი საბჭო თანმიმდევრულად ახორციელებდა აღებულ კურსს. ატარებდა ცვლილებებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში. მინისტრთა რაოდენობა 42-დან 19-მდე შემცირდა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს „საიუდისის" ლიდერი, მუსიკათმცოდნე პროფესორი ვ. ლადსბერგისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა დაავალეს კ. პრუნსკენეს. ორივენი კრემლისათვის არასასურველი პიროვ-

ნებები იყვნენ. ვ. ლანდსბერგისის განცხადებით, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა III ყრილობისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, როგორც სხვა ქვეყნისა ლიტვისათვის სავალდებულო არ არის. თავის მხრივ, იგი მზადაა, ამ საფუძვლებზე დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის ხელმძღვანელობასთან.

ლიტველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის გულწრფელად უჭერდნენ მხარს საქართველოში. 24 მარტს, თბილისში, კინოს სახლთან გაიმართა ლიტვის სოლიდარობისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. ამ საკითხზე მიიღეს რეზოლუცია 12 მუხლად („ა ხ კ ო მ ი“ 1990:32).

პროცესები მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა ლატვიასა და ესტონეთშიც.[1] სიმწარენაგემებმა ცენტრმა გადაწყვიტა ლატვიაში ნაწილობრივ მაინც შეეცვალა მოვლენების საბოლოო განვითარების მსვლელობა. რიგაში 15 მაისს გადაცმულმა საბჭოთა არმიის ოფიცრებმა და სამხედრო სასწავლებლების კურსანტებია, რომლებიც თავს ქალაქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებად აცხადებდნენ, შეეცადნენ შეჭრილიყვნენ პარლამენტის შენობაში და იძულებული გაეხადათ დეპუტატები, გამოეცხადებინათ ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა. მათ გაარღვიეს კიდეც მილიციისა და მოპიკეტეთა კორდონები, მაგრამ მალე ადგილზე მოვიდნენ მილიციის ახალი ძალები, რომლებმაც ოფიცრები და კურსანტები გაფანტეს. სესიამ ამ დროს საათნახევრით შეწყვიტა მუშაობა, სხდომის განახლების შემდეგ უზენაესმა საბჭომ მომხდარი ფაქტის შესაფასებლად კომისია გამოყო („ა ხ კ ო მ ი“ 1990:70).

„ბოროტების იმპერიის“ დედაქალაქშიაც არ იყო სიმშვიდე. 4 თებერვალს აქ მოეწყო დემოკრატიული ძალების გრანდიოზული მიტინგი. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „სკკპ და უშიშროების კომიტეტი მაფიაა“, „ვგმობთ საბჭოთა ფაშიზმს“, „მ. გორბაჩოვი მაფიის მფარველია“, „ნებით არ დაგვანებებთ, ძალით ავიღებთ ხელისუფლებას“, „კომუნიზმი ისტორიის სანაგვეზე“ („კ ო მ 1990:114). მიტინგში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენლებმა.

კიდევ უფრო რადიკალური იყო საპირველმაისო დღესასწაულის

---

[1] „ესტონეთის სახელმწიფო სტატუსის შესახებ“ დადგენილება რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო 1990 წლის 10 მარტს, ხოლო დეკლარაცია „ლატვიის დამოუკიდებლობის შესახებ“ გამოქვეყნდა 4 მაისს („კ ო მ“ 1990:115). პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა ბრძანებულება მათი გაუქმების თაობაზე გამოსცა 14 მაისს.

დროს გამართული მიტინგი. აქ გარდა ანტიკომუნისტური ლოზუნგებისა ხშირად გაისმოდა: „თავისუფლება ლიტვას“, „თავისუფლება მოსკოვს“.

დემოკრატიული პროცესები შეუქცევადი გზით მიემართებოდა საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებშიაც. განსაკუთრებული სიმძაფრით იგი წარიმართა რუმინეთში. ნიკოლაუს ჩაუშესკუ თავისი ოჯახით დიქტატურის არნახულ სახეობას წარმოადგენდა. რუმინეთის მართვას, ფაქტობრივად, ახორციელებდა ამ ოჯახის 40 წევრი და ნათესავი. დიქტატორის ცოლი, ელენე, ნამდვილი დედოფალი იყო. იგი ყოველგვარი დამსახურების გარეშე რუმინეთის აკადემიის წევრად გამოაცხადეს. დიქტატურით აღშფოთებულმა ხალხმა წალეკა ნ. ჩაუშესკუს ფაშისტური რეჟიმი. მოვლენების განვითარება დაიწყო 1989 წლის 15 დეკემბერს ბუქარესტიდან 500 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ტიმიშოარეში. რამდენიმე დღეში მთელი ქვეყანა დედაქალაქითურთ აჯანყებულთა ხელში იყო. დიქტატორი ოჯახიანად გაანადგურეს. მისი ცხედრის ფოტოსურათებმა ხუთივე კონტინენტის პრესა მოიარა. ეს იყო მკაცრი გაფრთხილება იმისა, რომ XX საუკუნის მიწურულს დიქტატურისათვის მსოფლიოში ადგილი აღარ არის.

ამის შემდგომ მალე დაემხო ტ. ჟივკოვის რეჟიმი ბულგარეთში. ე. ჰონიკერისა—აღმ. გერმანიაში. ამ უკანასკნელის პოლიტიკური აღსასრული 1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის აღებით დაიწყო, რასაც გერმანიის გაერთიანებისათვის მოძრაობის გაძლიერება მოჰყვა. დასავლეთის სახელმწიფოები ამით ორ კურდღელს იჭერდნენ—თავის მოკავშირე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აძლიერებდნენ და საბჭოთა კავშირს ასუსტებდნენ. ამ პოლიტიკური კურსის დემიურგი და ორგანიზატორი გახლდათ თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ფედერაციული გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი. მან შესანიშნავად ისარგებლა ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობით, მტერსა და მოყვარეს შეაგნებინა, რომ „გერმანიის გაერთიანების მატარებელი განრიგის გარეშე მოძრაობდა“. 1990 წლის 3 ოქტომბერს ბერლინის ფილარმონიის სააქტო დარბაზში ოფიციალურად გამოცხადდა გერმანიის გაერთიანების აქტი („კომ“ 1999:228). ეს იყო უ. ჩერჩილის მიერ 1946 წლის 5 მარტს აშშ-ის ქალაქ ფულტონში წარმოთქმული სიტყვით დაწყებული „ცივი ომის“ შეწყვეტის უმნიშვნელოვანესი შედეგი.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, რომ „ცივი ომის“ დამთავრებას გამარჯვებული ან დამარცხებული მხარე არ გამოუვლენიაო,

მაგრამ ამის დაჯერება მხოლოდ წარმოუდგენელი მიამიტობაა: „ცივ ომში“ სსრ კავშირი არათუ დამარცხდა, არამედ, საერთოდ, შეწყვიტა არსებობა.

სოციალიზმის ნეგაციის ერთ–ერთი გამოხატვა იყო მისი ბელადების ძეგლებისა და სიმბოლოების დემონტაჟი. საქართველოს ხელისუფლების დიდი შეშფოთება გამოიწვია ლენინის ძეგლის პიედესტალიდან ჩამოგდებამ ქუთაისში 1990 წლის 22 აპრილს. იმ დღეს იყო მცდელობა ასეთივე ბედისათვის გაეწირათ ილიჩის მონუმენტი თბილისიაც. მაგრამ ხელისუფლებამ იმარჯვა და კერპის ჩამოგდება 27 აგვისტომდე გადავადდა. ქართველი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები იმით იყვნენ შეცბუნებულნი, რომ საკავშირო ხელისუფლებისაგან დამსჯელ ღონისძიებებს მოელოდნენ და შეიძლებოდა დაუმარხავი მაოხრებელი მკვდრისადმი ხალხის მიერ სიძულვილის გამოხატვის გამო ვინმეს საკუთარი კარიერა გაფუჭებოდა. ბევრმა ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთი საშიშროების კოეფიციენტი ახლა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ამაში დასარწმუნებლად ქალაქ კრაკოვის მაგალითიც გამოდგებოდა. იქ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში, 1989 წლის 6 დეკემბრის შემდეგ, შეუტიეს ლენინის ძეგლს. პოლონეთის მილიციამ კერპის დასაცავად მეხანძრეთა წყალმფრქვევი მანქანები და ცრემლსადენი გაზები გამოიყენა. ხალხის გარეკვის შემდგ კი ობიექტს დამცველი რაზმები დაუყენეს („კომ“ 1989:281). მაგრამ მათ ილიჩს ვერ უშველეს. 10 დეკემბერს, მეოთხე ცდაზე მისი ძეგლი აიღეს. თანაც, აქციის ჩამფრთხობელებმა დასვეს საკითხი კრაკოვის ლენინის მუზეუმის გაუქმების თაობაზე.

ანტისოციალისტური პროცესები ყველგან მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და მიტინგების სახით როდი მიდიოდა. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანას მარიონეტ ნაჯიბულას რეჟიმის დაცემა მოჰყვა. მაგრამ ამ ქვეყანაში იმდენი ურთიერთდაპირისპირებული ძალა იყო, რომ ხელისუფლებისათვის მათმა ბრძოლამ 1990 წლის გაზაფხულზე სამოქალაქო ომი გამოიწვია. გარდა სამთავრობო ჯარებისა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ავღანეთის ისლამური რევოლუციის მოძრაობისა“ და „ავღანეთის ისლამური პარტიის“ ძალები. ამ უკანასკნელის ლიდერი იყო ხეკმატიარი. პირველად დასახელებულების „ბოევიკებმა“ მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 100 მეომარი. სამთავრობო ჯარებმა კი გაანადგურეს ექსტრემისტების 100-ზე მეტი მებრძოლი. („ЗВ“ 1990:89).

ავღანეთში მაშინ დაწყებული სამოქალაქო ომი ახლაც გრძელდება.

მებრძოლი მხარეების შემადგენლობაში მას შემდეგ ცვლილებები მოხდა და ძალთა თანაფარდობაც სხვა არის, მაგრამ ამით ავღანელ ხალხს შვება არ მიუღია. ორივე მებრძოლ მხარეში მისი შვილების სისხლი იღვრება, არაერთხელ აოხრებული ქვეყანა მერამდენეჯერ ნადგურდება.

1990 წლის გაზაფხულზე საქართველოში ერთდროულად მიმდინარეობდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისა და დიფერენციაციის პროცესი. მიუხედავად ამ ორი ფენომენის ერთმანეთისაგან დიამეტრალური განსხვავებისა, ეს პროცესი მაინც კანონზომიერი მოვლენა იყო. ეროვნულ მოძრაობას ერთი მიზანი—საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება ჰქონდა. მაგრამ ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი იდეოლოგიის დაუმუშავებლობის გამო ამ მიზნის მიღწევის გზები სხვადასხვა წრესა და ადამიანთა ჯგუფს სხვადასხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი. არ ჩანდა ერთი გამოკვეთილი პარტია თუ ლიდერი, რომლის ირგვლივ თავს მოიყრიდა და გაერთიანდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა რეალური ძალა. ამ ვითარებამ გამოიწვია მრავალი მცირეკონტინგენტიანი პარტიების შექმნა.

პატრიოტული ძალების კონსოლიდაციის ერთ–ერთ ცდას წარმოადგენდა პოლიტიკურ ბრძოლაში უფრო გამოცდილი და შედარებით მსხვილი პოლიტიკური პარტიების ინიციატივით თბილისში 1990 წლის 13-15 მარტს გამართული ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. შეკრებაზე მიღებული რეზოლუციის მიხედვით, საქართველოს უნდა განსაზღვროდა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი, 1990 წლის 25 მარტის არჩევნებში გამოცხადდებოდა ბოიკოტი, პარტიულ საწყისებზე შექმნილიყო ეროვნული ფორუმი, ყოველგვარ შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია, გამოცხადებოდა უნდობლობა ქართულ ემიგრაციას და ა.შ. („ახკომი“ 1990:30).

კონსოლიდაციისაკენ მოწოდებისაგან ბევრი არაფერი გამოვიდა. აპრილის მიწურულს ეროვნული ფორუმი დატოვეს: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, წმ. ილია მართლის საზოგადოებამ. ფორუმიდან გასვლის შესახებ განცხადებები გააკეთეს კერძო პირებმაც. მ. შ. ზ. გამსახურდიამ, ვ. ადამიამ, სულ 20-მა წევრმა (იქვე:48). ეროვნული ფორუმიდან თავიანთ გამოსვლას განმცხადებლები იმით ხსნიდნენ, რომ სხდომის მიმდინარეობის დროს ატყდა სროლა.[1]

[1] ახლა გარკვეულია, რომ იმ ღამეს შეჯახება მოხდა ზ. გამსახურდიასა და ჯ. იოსელიანის მომხრეებს შორის. მასში მონაწილეობდნენ „თეთრი გიორგი“ და „მხედრიონი“. პირველი ზ.

ასეთი ტერორისტული აქტები, მათი აზრით, ოფიციოზის მოწყობილია და ფორუმში მაფიის შეღწევაზე ლაპარაკობს. მაფიას მიზნად აქვს ტერიტორიული აქტებით სამოქალაქო ომის გამოწვევა და ქვეყნის საგანგებო წესების გამოცხადებამდე მიყვანა, რაც დასაგმობი პრაქტიკაა (იქვე:49).

1990 წლის 7 მაისს საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარიტამ, წმ. ილია მართლის საზოგადოებამ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ გამოაცხადეს „მრგვალი მაგიდის" ორგანიზაციის შექმნა. 15 მაისს მათ გამოაქვეყნეს „ მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური კონცეფცია. მასში აღიარებულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი, დემოკრატიული არჩევნების საშუალებით. კონცეფციას, ჯერჯერობით, გამართლებულად არ მიაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადება. ეს უნდა მომხდარიყო გარდამავალი პერიოდის შემდეგ (იქვე:52).

ეროვნულ ფორუმში დარჩენილი პარტიები განსხვავებულ პლატფორმაზე იდგნენ და თავიანთი პოზიციის შესაბამისად განაგრძობდნენ მოქმედებებსა და გზების ძიებას. მათ რიგებში რადიკალების მხარდამხარ მოღვაწეობდნენ შედარებით ზომიერი კურსის მომხრე პიროვნებებიც. მაგალითად, ფილოსოფოსმა მ. მამარდაშვილმა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების I კონფერენციის შემდეგ განაცხადა, რომ კონფერენციამ თავის მიზანს მიაღწია—ემოციების გარეშე დაისახა საერთო .ამოცანები. პოლიტიკური პარტიები უფრო ღრმად არიან გარკვეულნი ვითარებაში, ვიდრე აქამდე მეგონაო და თუ რაიმე კვლავ არ გახდის მღელვარეს აღებულ პოლიტიკურ ტონს, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ჯანსაღად განვითარდებაო („ЗВ" 1990:25).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 25 მარტის არჩევნების ჩატარებისათვის პოლიტიკური პარიტების მიერ ბოიკოტის გამოცხადებისა და მასში კომუნისტური პარტიის შესაძლო მარცხის გამო საქართვე-

---

გამსახურდიას ორგანიზაცია იყო. ამიტომ ისმება კითხვა: მაშ, ფორუმიდან მისი მომხრეთა გასვლა როგორღა უნდა ახსნას? საქმე იმაში იყო, რომ აქამდე ზ. გამსახურდია პარლამენტარი გზით გამარჯვებას სანგრძლივ პროცესად მოიაზრებდა და მიტინგების საშუალებით სურდა მოეღწია დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის. ამ ეტაპზე კი დარწმუნდა, რომ კომუნისტების მიერ მოწყობილ არჩევნებში გამარჯვება უფრო დაახლოებდა მიზანს. ფორუმში გაერთიანებული პარტიები არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდნენ. ამიტომ იგი და მისი მომხრეები გამოვიდნენ ფორუმიდან, შექმნეს „მრგვალი მაგიდა" და არჩევნებისათვის მზადებას შეუდგნენ. როგორც ჯაბათ, ეს სვლა ზუსტი აღმოჩნდა.

ლოს უმაღლესი საბჭოს სესიამ 20 მარტს დაადგინა: არჩევნები გადაეტანა 1990 წლის ოქტომბერ–ნოემბრისათვის (იქვე:67).

ახალ არჩევნებში ტაქტიკის შემუშავებისა და ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაციულად განმტკიცების მიზნით თბილისში 23 მაისს გაიმართა ეროვნული ყრილობა. მასზე წარმოდგენილი იყო 80 პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს 6020 დელეგატი. ყრილობაზე დაისვა ეროვნული კონგრესის, როგორც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ალტერნატიული წარმომადგენლობითი ორგანოს, არჩევნების ჩატარების საკითხი. 25 მაისს ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „საქართველოს ეროვნული კონგრესის შესახებ". დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად ამ მოძრაობას ესაჭიროება საერთო–სახალხო ძალისხმევა, ნდობის მანდატი. დღეს არსებული არც ერთი ორგანიზაცია უფლებამოსილი არაა ქართველი ხალხის ნების გამოხატვის პრეტენზია განაცხადოს. ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული ეროვნული კონგრესი. მისი არჩევნები ყრილობამ დანიშნა 1990 წლის 30 სექტემბრისათვის. („ახკომი" 1990:60).

ერთი დღე არჩევნების ჩასატარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. იგი გაგრძელდა 1 ოქტომბერსაც, რადგან ზოგიერთი საარჩევნო უბანი დაარბიეს და ბიულეტენების განმეორებით დაბეჭდვა გახდა აუცილებელი („კომ" 1990:226).

გ. ჭანტურია მეტად მაღალი აზრისა იყო საქართველოს წარმომადგენლობათა სისტემაში კონგრესის ფუნქციონირების თაობაზე. „ეროვნული კონგრესი აუცილებელია ჩვენი ერისათვის,—წერდა იგი,—რაც შეეხება უზენაეს საბჭოს „კარგი" შემადგენლობით, ის მხოლოდ სასურველი შეიძლება იყოს... ეროვნული კონგრესის გარეშე არავითარ „კარგ" უზენაეს საბჭოს აზრი არა აქვს... „კარგი" უზენაესი საბჭოს გარეშე კი ეროვნული კონგრესი მშვენივრად ინფუნქციონირებს" (იქვე:102). მომავალმა არ გაამართლა ეს იმედები, რადგან ეროვნულ კონგრესს საკანონმდებლო ხელისუფლება არ ჰქონდა, რეალურად ვერაფერი გააკეთა, ძირითადად ტემპერამენტიანი ზოგიერთი „ეროვნული მოღვაწის" რიტორიკული ვნებების დაცხრომის ასპარეზად გადაიქცა. მან ვერც უზანაესი საბჭოს გარეშე „იფუნქციონირა". 1992 წლის 6 იანვარს ზ. გამსახურდიას მიერ ხელისუფლების დაკარგვისთანავე ეროვნული კონგრესიც უილაჯო აღმოჩნდა.

9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი მთელ საქართველოში აღინიშნა. გაზეთების რედაქციებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა რესპუბლიკის გარედანაც მიიღეს თანადგომისა და გამამხნევებელი დეპეშები. მაგრამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მომხდარმა მოვლენებმა იმ დღეების სამგლოვიარო განწყობა კიდევ უფრო სამწუხარო გახადეს.

ცხინვალის ქართული საზოგადოებრიობა იტყობინებოდა, რომ მათ ოსმა ექსტრემისტებმა არ მისცეს 9 აპრილის ღირსეულად ჩატარების საშუალება. რამდენიმე შენობაზე გამოფენილი ქართული დროშები ჩამოყარეს და შეურაცხყვეს. შებილწეს ის ადგილიც, სადაც მემორიალისათვის სასაფუძვლე ქვის დადება იყო გადაწყვეტილი („ახკომი“ 1990:12).

მსგავსი ანტიქართული გამოხდომები განმეორდა 26 მაისს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნისას. ცხინვალში სანქცირებულ მიტინგზე თავი მოიყარა დაახლოებით 1700-მა კაცმა. მათ მიუხტნენ ოსები, დაუხიეს ლოზუნგები და წმ. გიორგის გამოსახულებიანი დროშები. ამას მოჰყვა ცალკეული შეტაკებანი და კონფლიქტი. მისი აღკვეთა მხოლოდ მილიციამ შეძლო („კომ“ 1990:125).

9 აპრილის ტრაგედიის დღეებთან იყო დაკავშირებული თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორის ფ. ტყებუჩავას მიერ 26 მარტს გამოცხადებული შიმშილობა. მართალია, მისი ძირითადი მოთხოვნა ფილიალისათვის შენობის გამოყოფა იყო, მაგრამ იგი აცხადებდა, რომ 9 აპრილისათვის მოსალოდნელია აფხაზეთში ანტიქართული აქციების დაწყება და თსუ-ის ფილიალის შენობის უქონლობის შემთხვევაში ქართველ–აფხაზთა ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა. შიმშილობა გაგრძელდა თითქმის 10 დღეს. უნივერსიტეტის ფილიალს თავისი ახლადაგებული კორპუსი (5 ათასი კვ მეტრი) იჯარით დაუთმო სოხუმის საწარმოო გაერთიანება, „ორგტექნიკამ“ (გენ. დირ. ალუ გამახარია).

როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით, სათანადო სამსახურებმა 9 აპრილის წლისთავის აღნიშვნის დღეებში აამოქმედეს რუსულენოვანი მოსახლეობის ანუ „ინტერფრონტის“ კოზირი. თბილისში გავრცელდა ანონიმური ფურცლები ინტერფრონტის შექმნის მოთხოვნით. მოსახლეობის არაქართულ ნაწილს მოუწოდებდნენ დამფუძნებელ მიტინგზე შეკრებილიყვნენ 9 მაისს ვაკის პარკში. ამ ფაქტმა უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ქართველებში, ისე არაქართველთა (მ.შ. რუსთა“) შორის („ЗВ“ 1990:76).

ეროვნული მოძრაობის მიღწევები აისახა უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების სფეროშიაც. ამაღლდა რიგი უმაღლესი სასწავლებლების სტატუსი. ახალი, 1990–1991 სასწავლო წელი უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყეს ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა. ამ ღონისძიების მნიშვნელობას ვერ აკნინებს ის ფაქტი, რომ ორიოდე წლის შემდეგ განათლების სამინისტროს მიერ ხელაღებით და უსაფუძვლოდ გაცემული ლიცენზიების მიხედვით, საქართველოში საერო (კერძო) უნივერსიტეტები, აკადემიები და ინსტიტუტები სასოფლო რაიონების ცენტრებშიაც კი გაიხსნა და მათმა რიცხვმა 200-ს მიაღწია. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების უპირატესობა ისაა, რომ მათ ათწლეულების მანძილზე შექმნილი მყარი სასწავლო–მატერიალური ბაზა აქვთ და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო პედაგოგიური კადრები ჰყავთ, რაც საერო უმაღლეს სასწავლებლებს არ გააჩნიათ. რის გამოც მათ მიერ კადრების მასობრივი გამოშვება დეფორმირებულ ხასიათს ატარებს. ამ, არცთუ ისე კეთილშობილურ, ბიზნესში კერძო უმაღლესი სასწავლებლების დამფუძნებლები სტუდენტებისა და მათი მშობლების „დიპლომანიით“ სარგებლობენ.

დასავლეთ საქართველოში სამეცნიერო–ტექნიკური დონის ზრდის მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1990 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, ქუთაისში შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის რეგიონალური ცენტრი ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განყოფილებებით („კომ“ 1990:104). ქალაქის ხელმძღვანელობის ძალისხმევით ცენტრს გადაეცა ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის[1] ყოფილი შენობა და იქვე მშენებარე ხუთსართულიანი კორპუსი.

იმავე წლის 31 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ყრილობა. ეს აკადემია არსებობდა 1957-1961 წწ., მაგრამ ნ. ხრუშჩოვის დროინდელი სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის ზეიმის პირობებში ცენტრმა იგი გააუქმა. ახლა აკადემიაში თავი მოიყარა მარცალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე კადრებმა, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდ იმედს იძლეოდა. სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნგრევის პირობებში ამ პოტენციალის გამოყენება, ჯერჯერობით, ნაკლებეფექტურია.

საქართველოს განათლების სამინისტრომ დააკმაყოფილა შესაბამისი

[1] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 7 სექტემბრის ბრძანებულებით ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნების რაიონები გაუქმდა („კომ“ 1990:207).

უწყებებისა და ადგილობრივი მართვის ორგანოების თხოვნა და დაამტკიცა, რომ 1990 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობას დაიწყებდა: 1.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი ქ. ახალციხეში; 2.თბილისის ს.ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი ქ. ბოლნისში; 3.თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტი ქ. ზუგდიდში; 4. საქართველოს სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტის სასწ.-საკონსულტაციო პუნქტი დაბა ვალეში. ამათ გარდა, აღდგა სპი-ის ფილიალი მარნეულში (კაზრეთში), ქ. მარნეულში მუშაობდა სასოფ.-სამ. ინსტიტუტის სასწ.–საკონს. პუნქტიც („ახკომი“ 1990:22).

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა 24 აპრილს დამტკიცებული „საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლების პოპულარიზაციის პროგრამა“. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და თსუ-ის შესაბამისი კათედრების მიერ დიდი ხნის მანძილზე მუშავდებოდა.

გრძელდებოდა ტოპონიმებისა და სხვა ობიექტებისათვის სახელების გადარქმევა. 8 ივნისის ბრძანებულებით თბილისის კალინინის რაიონს დაერქვა მთაწმინდის რაიონი, კიროვისას––კრწანისის, ორჯონიკიძისას—ვაკის, 26 კომისრისას—ისნის, პირველი მაისისას—დიდუბის, საქარხნოსას—სამგორის („კომ“ 1990:151).

იმავე წელს მოხდა კიდევ ერთი გადარქმევა, რომელიც სამწუხარო ფაქტთან იყო დაკავშირებული. 10 ოქტომბერს გარდაიცვალა ლეგენდარული ფეხბურთელი, „ფეხბურთის კარუზოდ“ წოდებული, უაღრესად კეთილშობილი და მომხიბლავი პიროვნება ბორის პაიჭაძე. მისი ხსოვნის აღსანიშნავად თბილისის „დინამოს“ სტადიონს ნაცვლად ვ. ი. ლენინისა დაერქვა “ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ სტადიონი“.

1990 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა რამდენიმე სტიქიურ მოვლენასა და დიდ ავარიას.

9-დან 16 მარტამდე კახეთის რაიონებში ბობოქრობდა ქარიშხალი. ჰაერის სიჩქარე წამში 35 მეტრამდე აღწევდა. ტემპერატურა დაეცა 9 გრადუსით. უვარგისი გახდა 1680 ჰექტარი სავარგული, მზესუმზირას ნათესები განადგურდა 20 ჰექტარზე. დაზიანდა საშემოდგომო ნათესები და საცხოვრებელი სახლები. („ЗВ“ 1990:67).

1 ივნისს რუსთაველის მოედან–მთაწმინდის საბაგირო გზაზე მოხდა ავარია. ადგილზე დაიღუპა 13 კაცი, დაშავდა—47. მათგან ორი საავადმყოფოში გარდაიცვალა („კომ“ 1990:129).

ჩერნობილის ავარიის შემდეგ აშკარა გახდა მცხეთის საკვლევი რეაქტორის მუშაობის ეკოლოგიური შედეგები. მარტის მიწურულს იგი გააჩერეს („ᲛᲒ“ 1990:76).

გარდაქმნის წამოწყებამ და მისგან მოულოდნელად წარმოშობილმა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა ღრმა კრიზისის წინაშე დააყენეს აქამდე ხელუხლებელი იმუნიტეტით დაცული და გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი კომუნისტური პარტია. დაიწყო ამ ორგანიზაციის კრიზისიდან გამოყვანის ცდები. მაგრამ ტოტალიტარიზმის შემოქმედი და მისით სულჩადგმული, დემოკრატიული ცენტრალიზმით მოქმედი პარტიის ადგილი დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ მიმავალ საზოგადოებაში თანდათან აღარ რჩებოდა. უჭირდა კომუნისტური პარტიის როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ ორგანიზაციებს. კრიზისიდან გამოსვლის მიზნით გადაწყდა პარტიის XXVIII ყრილობის მოწვევა. საკავშიროზე ადრე საქართველოს კპ XXVIII ყრილობა ჩატარდა. იგი 15 მაისს შეუდგა მუშაობას. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს კპ სტატუსის განსაზღვრა. მეორე დღეს ყრილობამ შეწყვიტა სხდომები. ამის მიზეზად გამოცხადდა ადგილობრივ ორგანიზაციებში საქ. კპ-ის პროგრამისა და ორგანიზაციულ სტრუქტურული აგებულების პროექტის განხილვა („ᲐᲮᲙᲝᲛᲘ“ 1990:53).

ამ საკითხებზე იყო დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებანი. მაგ., აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხიშბა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოითხოვდა საქართველოს კომპარტია დარჩენილიყო სკკპ-ის შემადგენლობაში. ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. შაშიაშვილმა კი განაცხადა: „მოსკოვში უნდა ჩავიდეთ ჩამოყალიბებული პოზიციით—საკავშირო კომპარტია დაიშალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებად.“ ეს, მისი აზრით, უკვე მიმდინარე პროცესის რეალობა იყო. ვინაიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის შექმნა სკკპ-ის დაშლას ნიშნავდა. მაგრამ ამის გამო კომუნისტების როლი არ უნდა დამცირდესო, ამბობდა იგი.

კომუნისტური პარტიის აგონიის შეჩერება შეუძლებელი გახდა. 2 ივლისს დაწყებულმა სკკპ XXVIII ყრილობამ ათდღიანი მუშაობის მანძილზე რიხიანი დადგენილებები და რეზოლუციები მიიღო, მაგრამ მათ განხორციელება აღარ ეწერათ.

რადგან ეროვნული მოძრაობის ძირითად მამოძრავებელ ძალას ახალ-

გაზრდობა წარმოადგენდა კრიტიკის უფრო დიდი ნაკადი კომკავშირისაკენ იყო მიმართული. მოითხოვდნენ უკვე დანიშნული კომკავშირის ყრილობაზე საქ. ალკკ ორგანიზაცია გაუქმებულად გამოცხადებულიყო. მაგრამ კომკავშირის ცეკას ხელმძღვანელები არ ჩქარობდნენ თვითლიკვიდაციას. 10–17 აპრილს მიმდინარე საქ. ალკკ ყრილობაზე მიღებული დოკუმენტებით საქართველოს კომკავშირი გამოცხადებული იყო სოციალისტური არჩევანის (მ. გორბაჩოვს უყვარდა ეს გამოთქმა) ორგანიზაციად („ЗВ“ 1990:89).

საქართველოს ახალგაზრდობის ცხოვრებაში მომხდარ ერთ–ერთ ცვლილებათა რიცხვს მიეკუთვნება 1990 წლის 20 მარტიდან (№31) გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ახალი სახელწოდებით „ახალგაზრდა ივერიელი“-ს გამოსვლა.

20 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების გადადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს სესიამ მომავალი არჩევნების საფუძვლად ისეთი პრინციპები გამოაცხადა, რაც, ფაქტობრივად, მრავალპარტიულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მოასწავებდა (იქვე:68).

ამის შესაბამისად და პრესაში გამოქვეყნდა სამი პროექტი. მათგან მიღებულ იქნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევნები საქართველოს“ (დასი) პროექტი, რომელიც გულისხმობდა ე.წ. არჩევნების შერეულ სისტემას. დადგინდა: 125 ერთმანდატიანი (მაჟორიტარული) ოლქი, სადაც კენჭი ეყრებოდა პირდაპირ წამოყენებულ დეპუტატობის კანდიტატს. ამდენივე დეპუტატი უნდა არჩეულიყო საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან პარტიული სიების მიხედვით. ადგილის მისაღებად პარტიას თუ საარჩევნო ბლოკს უნდა დაეგროვებინა არანაკლებ ყველა ამომრჩეველთა ხმების 4 პროცენტისა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების პირველი ტური დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის. საარჩევნო სიებში შეტანილი იყო 3444002 ამომრჩეველი. პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 2400742-მა . როგორც ვხედავთ, ამომრჩეველთა აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო. არჩევნები ხმის მიმცემთა მცირე რაოდენობის გამო არ შედგა მხოლოდ ტყვარჩელსა და გუდაუთაში.

არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაში გატარდა 14 საარჩევნო ბლოკი და პარტია, მათგან კენჭისყრაზე დაუშვეს თერთმეტი. მინიჭებული ნომრების მიხედვით, ესენი იყვნენ: 1. საარჩევნო ბლოკი

თავისუფლება, 2. საქართველოს სოციალ–დემოკრატიული პარტია, 3. საქართველოს კომუნისტური პარტია, 5. საარჩევნო ბლოკი თანხმობა, მშვიდობა, თავისუფლება, 6. საქართველოს სახალხო პარტია, 10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი, 7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება, 11. საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება", 12. საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო", 13. საქართველოს სახალხო ფრონტი, 14. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული საქართველო" („ახ. ივ. 1990:121).

არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა: 4. საქართველოს აგრარული კავშირი, 8. საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", 9. საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი.

არჩევნების წინ აშკარად გამოიკვეთა საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ლიდერობა. მის ყველაზე მნიშვნელოვან კონკურენტებად ჩანდნენ კომპარტია და ბლოკი „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება" (№5). კომუნისტებს ხელისუფლება ეკუთვნოდათ. ამასთან ეს პარტია, ჯერჯერობით, ყველაზე მრავალრიცხოვანი და უკეთ ორგანიზებული იყო. ამიტომ მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა არ წარმართულა. რაც შეეხება დასახელებულ ბლოკს, იგი „მრგვალ მაგიდელთა" ძირითად სამიზნედ გადაიქცა. ამ ბლოკში გაერთიანებული იყვნენ მეცნიერებისა და ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები და ქართველ ავღანელთა კავშირი. ამიტომ იყო საშიშროება, რომ მას ამომრჩეველთა ხმები წაერთმია ლიდერებად წარმოჩენილთათვის. პრესაში გამოქვეყნებული წერილებით (მაგ., ირ. გოცირიძის წერილი გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 25 სექტემბრის ნომერში) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაგზავნილი საჩივრებით „მრგვალი მაგიდა" შეეცადა ეს ბლოკი არ ყოფილიყო არჩევნებზე დაშვებული, მაგრამ ბოლო ხანებში იგი დაუშვეს კენჭისყრაზე. პირველი ტურის შედეგების მიხედვით გამოაცხადეს, რომ ბლოკმა გადალახა 4 პროცენტიანი ბარიერი. მაგრამ ახალი დათვლის დროს ასეთი კოეფიციენტი აღარ „აღმოაჩნდა".

ამომრჩევლებისათვის აქამდე სრულიად უცნობი იყო პარტიული სიების მიხედვით კენჭისყრის წესი. ამიტომ მათ ხმა მისცეს არა ბლოკს ან პარტიას, არამედ მის ლიდერს, როგორც ასეთ შემთხვევაში უწოდებენ „ლოკომოტივს". ასე მოხდა მრგვალი მაგიდის მიმართაც. აქ ხმები მიიღო ერთმა კაცმა—ზ. გამსახურდიამ, რომელიც მაშინ ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო საქართველოში და არა მისი

პარტიის წევრებმა (მაგ., გ. პეტრიაშვილმა, აეთ. რცხილაძემ და სხვ.). ასეთი ვითარების გამო 11 ბლოკიდან და პარტიიდან ყველაზე მეტი ხმები მიიღო „მრგვალმა მაგიდამ“ (53,35%), რაც მას უზენაეს საბჭოში 81 ადგილს აძლევდა. 44 მანდატი ხმების 29,57%-ის შეგროვებით შეხვდა საქართველოს კომუნისტურ პარტიას. სხვებმა ვერ შეძლეს 4 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

რაც შეეხება ერთმანდატიან კანდიდატებს, პირველ ტურში მხოლოდ 57 ადგილის ბედი გაირკვა. მათგან 33 „მრგვალი მაგიდისა“ იყო. კომპარტიიდან აირჩიეს 17 დეპუტატი. დამოუკიდებელი კანდიდატებიდან 4. მასაშადამე, პირველი ტურის შედეგების მიხედვით, უზენაესი საბჭოს 250 წევრდან აირჩიეს 182. ვაკანტური დარჩა—68 ადგილი („კომ“ 1990:255). მათ დასაკავებლად მეორე ტური ორი კვირის შემდეგ 11 ნოემბერს გაიმართა. ყველა ვაკანტური ადგილი შეივსო.

არჩევნების ასეთი შედეგები შემთხვევითობას არ წარმოადგენდა. აპრილის ტრაგედიის დროს მოხდა ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობა და ერის არაჩვეულებრივი კონსოლიდაცია. ეს ხელისუფლებისათვის დიდ დარტყმას წარმოადგენდა. ეროვნული მოძრაობის დაშინების წინასწარ დამუშავებული სცენარი დაირღვა. საჭირო იყო ეროვნულ კონსოლიდაციაში განხეთქილების მიღწევა. ამაზე ამუშავდნენ საკავშირო საიდუმლო სამსახურები. აფხაზეთის 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენებმა განხეთქილების ვაშლის როლი ვერ შეასრულა. ყველაზე უკეთესი პირობები ამისათვის 1990 წლის მარტის არჩევნების მზადების პერიოდში შეიქმნა. თითქოს გარედან ჩარევის გარეშე, მაგრამ სინამდვილეში „ვიღაცის“ ფარული ხელის მეშვეობით მოხერხდა პარტიათა ნაწილს ბოიკოტი გამოეცხადებინა, ხოლო ნაწილმა მხარი დაუჭირა მრავალპარტიულ, მაგრამ პრინციპში—საბჭოთა არჩევნებს. არც ერთი მხარე ამ შემთხვევაში ეროვნულ საქმეს არ აკეთებდა. არჩევნები რომ ჩატარებულიყო, საბჭოთა ხელისუფლება შეინარჩუნებდა მართვის სადაენებს. მას მაშინ ისე ჰქონდა სახელი გატეხილი, რომ ცენტრს ერჩია „ეროვნულ მოძრაობად“ წოდებული, მაგრამ მასზე დამოკიდებული, ხალხში ავტორიტეტის მქონე ძალებით ემართა საქართველო. ასეთ შემთხვევაში ხომ ეროვნული მოძრაობის გაღრმავება აღარ იქნებოდა საჭირო. თანაც, იმ მომენტში არჩევნებში გამარჯვების გარანტია ზ. გამსახურდიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში იგი 4 წელიწადს ხელისუფლების გარეშე რჩებოდა. არჩევნები ჩაიშალა. შემოდგომისათვის გადაიტანეს.

ამასობაში მოხდა განხეთქილება საბალხო ფრონტში, ეროვნული

ხსნის კომიტეტში, ეროვნულ ფორუმში. „ვიღაცის“ ფარული ხელით ეროვნული მოძრაობის ლიდერი გახდა „მრგვალი მაგიდა“. საოცრად დელიკატური ურთიერთობა დამყარდა მასა და კომპარტიას შორის. მათ, როგორც ვთქვით, წინა საარჩევნო პერიოდში ყველგან მიღებული ურთიერთკრიტიკისათვის არ მიუმართავთ. 400 ათას წევრიანი კომუნისტური პარტია საოცრად პასიური იყო. არადა მას ხელთ ჰქონდა დიდი ნომენკლატურული მანქანა, დაწყებული ქალაქკომებიდან და რაიკომებიდან, დამთავრებული საბავშვო ბაღის გამგეებითა და პიონერხელმძღვანელებით, რომლებიც მოწოდების შემთხვევაში უზრუნველყოფდნენ კომპარტიის გამარჯვებას არჩევნებში. მაგრამ ამ პარტიამ „ვიღაცის“ სურვილით ეს საოცრად არ მოინდომა.

რაც შეეხება „მრგვალ მაგიდას“, იგი თავგამოდებით ებრძოდა კომპარტიის სატელიტებს და არა თვით მას. მხოლოდ ბოლო დღეებში გაიხსენეს, რომ კომპარტიას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა, რადგან მისი ხელმძღვანელი ორგანოები მოსკოშია და არა თბილისში. როგორ შეიძლება გავიგოთ ასეთი ვითარება, თუ არა, როგორც ფარული ალიანსი „მრგვალ მაგიდასა“ და კომპარტიას შორის?

ყველაფერი ეს კარგად იყო დაგეგმილი იმავე „ვიღაცის“ მიერ და შესანიშნავად შესრულდა კიდეც. არჩევნებში „მრგვალმა მაგიდამ“ გაიმარჯვა. მაგრამ ეს არ იყო ეროვნული მოძრაობის გამარჯვება. ვინაიდან ქართველი ერი გახლეჩილი დარჩა, რასაც შედეგად მოჰყვა „თბილისის ომი“ და 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებული ხელისუფლების დამხობა, რაც დიდ სისხლისღვრად და უფრო საშინელ ეკონომიკურ განადგურებად დაუჯდა ქართველ ხალხს.

ახლადარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიმართა 1990 წლის 14 ნოემბერს. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, მ. მაჭავარიანის წინადადებით, აირჩიეს ზვიად გამსახურდია (1938-1993). გადაწყდა შეეცვალათ სახელმწიფოს სახელწოდება. ქვეყანას დაერქვა „საქართველოს რესპუბლიკა“. გამოცხადდა ახალი სიმბოლოების დაწესება. ფაქტობრივად, აღდგენილ იქნა 1919 წელს დამფუძნებული კრების მიერ მიღებული გერბი („თეთრი გიორგი“), დროშა (შინდისფერი, ზედა ნაწილში თეთრი და შავი არშიით) და ჰიმნი (კ. ფოცხვერაშვილის „დიდება“).

სესიამ დაამტკიცა ქვეყნისათვის აუცილებელი ფუნდამენტური კანონი—„საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“.

15 ნოემბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს თენგიზ სიგუა (დაიბ. 1934 წ.) საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაამტკიცეს აკაკი ასათიანი (1953), მოადგილედ—ნემო ბურჭულაძე (1946).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში დაასახელა საბოლოო მონაცემები არჩევნების შედეგების მიხედვით დეპუტატების ადგილების განაწილების შესახებ. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალ საქართველოს" ხვდა 155 ადგილი, კომუნისტურ პარტიას—64, სახალხო ფრონტს—12, „დემოკრატიულ საქართველოს"—4, რუსთაველის საზოგადოებას—1, ბლოკ „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინებას"—1, ამათ გარდა იყო 9 დამოუკიდებელი დეპუტატი („ახალი საქართველო"[1] 1990:1).

უზენაესი საბჭოს 21 ნოემბრის სხდომა მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაკომპლექტებას. მინისტრთა პორთფელები შემდეგნაირად განაწილდა: იუსტიციის მინისტრად დაინიშნა ჯონი ხეცურიანი, განათლებისა—ლია ანდღულაძე, კულტურის—ნოდარ წულეისკირი, მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის—ირაკლი ჟორდანია, კავშირგაბმულობის—ფელიქს ტყებუჩავა, ვაჭრობის—თამაზ გველესიანი, ფინანსთა—გურამ აბსნაძე, შინაგან საქმეთა—დილარ ხაბულიანი, საგარეო საქმეთა—გიორგი ხოშტარია, ტრანსპორტის—ალექსანდრე ჩხეიძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურიუზრუნველყოფის—ირაკლი მენაღარიშვილი, საქტელერადიოს თავმჯდომარედ—თეიმურაზ კვანტალიანი („ახ. საქ." 1990:9).

15 ნოემბრის სხდომაზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ზ. გამსახურდია. მან თქვა, რომ მიუხედავად არჩევნებში გამარჯვებისა, ეროვნული ოპოზიცია, ჯერჯერობით, საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებს. თანამედროვე პირობებში იგი მარტოოდენ ქაღალდზე დარჩება. რეალური დამოუკიდებლობისათვის მომზადებაა საჭირო. გარდამავალ პერიოდში მოქმედებაში დარჩება არსებული კონსტიტუცია, რომელშიაც შეტანილ იქნება ფუნდამენტური ცვლილებები და დამატებანი.

ცენტრის ყოველგვარ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით. საქართველოს კოლონიური სტატუსის ქვეყნად გამოცხადება არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ საჭირო აღარაა. იგი

[1] გაზეთი „კომუნისტი" 1990 წლის 14 ნოემბრიდან გამოდიოდა სახელწოდებით „ახალი საქართველო".

რომ აღარ იყოს ოკუპირებული ქვეყანა, საჭიროა აქედან საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნის დაყენება.

უზენაესი საბჭო ამიერიდან გახდება მუდმივმოქმედი საკანონმდებლო ორგანო. მისი მთავარი მიზანია საქართველოში ქართული მოსახლეობის უფლებრივი გარანტიების დაკანონება. ზღვარი უნდა დაედოს უკონტროლო იმიგრაციასა და უცხო ერთა დემოგრაფიულ ექსპანსიას საქართველოში. ამასთან, ჩვენ არ უგულებელვყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს. გადაწყვეტილი გვაქვს, შევინარჩუნოთ არსებული ავტონომიები. აჭარის ავტონომიის საკითხი უნდა გადაწყდეს რეფერენდუმის გზით.[1]

თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი ზ. გამსახურდიამ ეკონომიკაში, აგრო-სამრეწველო კომპლექსსა და საბინაო-საყოფაცხოვრებო სფეროში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას მიუძღვნა. შემდგომში ეს კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან, ფაქტობრივად, პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადება და იმავე ცენტრისათვის ნედლეულით, სურსათ-სანოვაგითა და საშენი მასალებით უზრუნველყოფის მოთხოვნა, შეუძლებელი გახდა შესაბამისობაში დარჩენილიყო. საკავშირო ხელისუფლება, რომელსაც საქართველო ხელიდან გაუსხლტა, მისი ეკონომიკური ბლოკადით კვლავ დაქვემდებარებას ცდილობდა. ასეთი პირობებში მისთვის მომარაგების ჩაშლაში პრეტენზიების წაყენება, როგორც ამას გამსახურდიას ხელისუფლება აკეთებდა, პოლიტიკურ ინფანტელიზმს წარმოადგენდა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ეს გამოსვლა ქვეყნის გარდამავალ პერიოდზე გადასვლისადმი იყო მიძღვნილი და თავადაც წარმოადგენდა დისიდენტობიდან სახელმწიფო მოღვაწეობაზე გარდამავალი პიროვნების აზროვნების ნიმუშს. მისი ავტორი გარდაცვალებამდე ამ დონეზე დარჩა.

საკავშირო ხელისუფლება სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცებით ცდილობდა საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას. საკანონმდებლო

[1] ამ გამოსვლამდე ზ. გამსახურდიამ, 11 ნოემბერს, გამოაქვეყნა „მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი". იგი წერდა: „ავტონომია, საქართველოში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ არაქართველ მოსახლეობას. ქართველთა ავტონომია საქართველოში, მკაცრად რომ არა ვთქვათ, დიდი შეურაცხმყოფელია. ამიტომ ის, რა თქმა უნდა, გასაუქმებელია. ჩვენი აზრით, მისი გაუქმების საკითხი თავად აჭარლებმა უნდა დააყენონ. მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გაუქმების ფაქტი სამართლიანი და ბუნებრივია, ჩვენ არ ჩავერევით აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხში" („კომ" 1990:255). მომდევნო ხანაში, ა. აბაშიძის აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ, კვლავ „ვეღარის" ჩარევით, იგი აჭარის ავტონომიის შენარჩუნების პოზიციაზე გადავიდა.

ორგანოები ღებულობდნენ დემოკრატიული სათაურების მქონე კანონებსა და გადაწყვეტილებებს, სინამდვილეში კი ისინი უნიტარული სახელმწიფოს განმტკიცებისადმი იყვნენ მიმართული. რესპუბლიკებისა და ხალხების უუფლებობა კი კვლავ გრძელდებოდა.

1990 წლის 3 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ“ („კომ“ 1990:85), რომელიც იმდენ შემაფერხებელ ბარიერს უქმნიდა გასვლის მოსურნე რესპუბლიკას, რომ დეპუტატმა საქართველოდან თ. ბუაჩიძემ მას იქვე „არ გასვლის“ კანონი უწოდა.

26 აპრილს, იმავე ორგანომ დაამტკიცა „კანონი სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ.“ ამ კანონის მიღების დროს კამათში გამოსულმა დეპუტატმა ვ. ადვაძემ განაცხადა–სსრ კავშირს იმდენი უფლებები შეუნარჩუნდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის აღარაფერი დარჩაო (იქვე:105). ხოლო დეპუტატმა თ. გამყრელიძემ თანასწორობის ნიშნად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გაეროს წევრად ყოფნის კანონზომიერება დაასაბუთა.

ყველაზე დიდი ენებათა ღელვა კი სამოკავშირეო ხელშეკრულებამ გამოიწვია. მ. გორბაჩოვი და პოლიტბიურო გააფთრებით იცავდნენ ფედერაციული სახელმწიფოს შენარჩუნების პრინციპს. რაც, როგორც აღმოჩნდა, უიმედო ცდა იყო და, ფაქტობრივად, სსრ კავშირის დაშლის მიზეზი გახდა. მომხრეთა წონადი რაოდენობა ჰყავდა სსრ კავშირის კონფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას. ვითარცა დროებით ღონისძიებას–კონფედერაციას მოკავშირე რესპუბლიკების რიგი პოლიტიკური ძალებიც არ უარყოფდნენ.

ცენტრმა თავისი გაიტანა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ფედერაციულ სახელმწიფო წყობაზე იყო აგებული. იგი სამართლებრივი თვალსაზრისითაც არასრულყოფილ დოკუმენტს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, 17 ნოემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას მ. გორბაჩოვმა მასზე ხელმოწერის სასარგებლო პროპაგანდა გააჩაღა. და ისიც კი თქვა: საქართველოდან მიღებული ინფორმაციით იქაური ხელისუფლების უარს მოსახლეობის აღელვება გამოუწვევიაო. ეს რომ სინამდვილეს არ შეეფერებოდა, თავის გამოსვლაში დაასაბუთა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ასათიანმა. მისი თქმით, საქართველო ხელს არ მოაწერდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რადგან

„იგი იურიდიულად არ შედის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში“, რაც შეეხება მეზობლურ კავშირებს, ჩვენ მათი შენარჩუნების მომხრე ვიყავით და ვართო („ახ. საქ“ 1999:5-6).

ამ გამოსვლას, ცხადია, ხისტად შეხვდნენ იმპერიის შენარჩუნების მოტრფიალენი. მათ ავანგრადში ჰყავდათ ვ. არძინბა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ჩეხოევი. უფრო აქტიურად ეს უკანასკნელი იხარჯებოდა, რადგან „მთავარი ცხელი წერტილი საქართველოში იმხანად იყო სამხრეთ ოსეთი, სადაც დაძაბულობა ტალღისებურად იზრდებოდა“. ახალი ტალღა კი სწორედ 1990 წლის დეკემბერსა და 1991 წლის გაზაფხულზე მოდიოდა (ჩერვონაია 1994:105). მაგრამ ამინდს მაშინ სხვა ძალები ჰქმნიდნენ.

მოსკოვში 17 დეკემბრიდან მიმდინარეობდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა IV ყრილობა. მან აჩვენა, რომ საკავშირო პარლამენტის, საბჭოთა მთავრობისა და პრეზიდენტისადმი ნდობის კრედიტი ამოიწურა. ყრილობას არ ესწრებოდა ლიტვის და სომხეთის დეპუტატები. დარბაზი დატოვა მოლდოვას დელეგაციამ. ამათ გარდა, 100-მა დეპუტატმა ადრევე განაცხადა უარი სხდომებში მონაწილეობაზე. სარეგიონთაშორისო დეპუტაციის წარმომადგენლებმა დააყენეს საკითხი საერთოდ არ განეხილათ, როგორც მიუღებელი, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმრავლესობის აზრი აისახა ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის გამოსვლაში. „ჩვენ რესპუბლიკები, ისევ ცენტრის უღელში ვართ. რაც არ გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიდეთ არსებული კრიზისიდან. სწორედ ამის შედეგია ეროვნული უთანხმოებანი, სისხლისღვრა, შიმშილი და, საერთოდ, ქვეყნის გაპარტახება“-ო, თქვა მან („სრ“ 1990:12).

სსრ კავშირს ამ დროს უკვე აზანზარებდა ეროვნული კონფლიქტები. შს სამინისტროს პრესცენტრის ცნობით 12 რეგიონში გახდა აუცილებელი საგანგებო წესების შემოღება.

საქართველოს ახალ ხელისუფლებასაც იმთავითვე გაუჩნდა ოპოზიცია. ნოემბრის მიწურულს, ოპერისა და ბალეტის თეატრის გვერდით შიმშილობდა 67 „მხედრიონელი“. მიზეზი აქციისა იყო ხელისუფლების მიერ მათთვის იარაღის ტარების აკრძალვა. „მხედრიონის“[1] ხელმძღვანელს ჯ. იოსელიანს მიაჩნდა, რომ ეს უსამართლობა

[1] „მხედრიონის“ ბაზაზე 1990 წლის 12 მარტიდან ჩამოყალიბდა საქველმოქმედო საზოგადოება „ქართველ მაშველთა კორპუსი“. იგი მინისტრთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა 17 სექტემბერს. მათ შტაბბინა ჰქონდათ ქ. შავნაბადაში, კანცელარია-ჟურის ბაღის აღპურ კლუბში („ახ. ივერ“ 1990:107). ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას „მხედრიონი“ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებად მიაჩნდა.

იყო. ვინაიდან „რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობის წარმომადგენლები და ჩვენ აქამდე ერთად ვიძენდით იარაღს, ერთი წყარო გვქონდა. ახლა ისინი იტოვებენ მისი ტარების უფლებას ჩვენ კი, ჩააბარეთო, გვეუბნებიან. პირდაპირ უნდა განვაცხადო ეს არ მოხდებაო", განაცხადა მან („ახ. საქ." 1990:16-17). აქცია 8 დეკემბერს შეწყდა.

გრძელდებოდა კოფნრონტაცია უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის. 8 დეკემბრის ინტერვიუში ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ ახლანდელი ხელისუფლება ეროვნულ კონგრესს არ სცნობს. იგი არაოფიციალური ორგანოა, ამიტომ არ შეიძლება შედგეს მისი წარმომადგენლების შეხვედრა პარლამენტის წევრებთან. რაც შეეხება 18 დეკემბრისათვის დანიშნულ შეხვედრას მას მხოლოდ პარტიათა შორის კონტაქტის ხასიათი ექნება (იქვე:11).

თავის მხრივ ეროვნული კონგრესის ერთ-ერთი მესვეური გ. ჭანტურია გაზეთ „რესპუბლიკა არმენიისათვის" მიცემულ ინტერვიუში, 22 ნოემბერს, ამბობდა: „მოსალოდნელია მკვეთრი კონფრონტაცია კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის... ჩვენ გვსურს შეძლებისდაგვარად უზენაესი საბჭოს კომპრომეტირება და მისი ასე ვთქვათ, საქართველოს გარეშე დატოვება", იქვე იგი განაგრძობდა: „კონსესუსი ჩვენს შორის შეუძლებელია, თუ ჩვენ კომპრომისზე წავალთ, უნდა დავუთმოთ მტერს, რაც არ მოხდება, ეს შეუძლებელია, ჩვენ არ წავალთ ასეთ ნაბიჯზე"-ო („სრ" 1990:12).

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს მიერ გატარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების დანიშვნა 1991 წლის 3 მარტისათვის. ეს იყო დემოკრატიული განვითარების გზაზე წინგადადგმული მეტად საჭირო ნაბიჯი; ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლების დანიშვნის პრაქტიკის შემთხვევაში უგულვებელყოფილია მართვაში ხალხის წარმომადგენლობითი მონაწილეობა, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ყოველგვარი კორუფციისა და სუბიექტივიზმისათვის, ხელს უწყობს კარიერიზმს და ახშობს დემოკრატიას. სახელმწიფო, რომელშიაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არჩევნების გზით არაა დაკომპლექტებული, დემოკრატიულ ქვეყნად არ შეიძლება ჩაითვალოს. ხელისუფლება, რომელიც თავს დემოკრტიულად აცხადებს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს ამუხრუჭებს, მხოლოდ დეკლარირებას უკეთებს ხალხის ხელისუფლებას, სინამდვილეში კი უგულვებელყოფს დემოკრატიას, რადგან ეშინია მისი.

1990 წლიდან „აფხაზეთის საკითხმა“ დროებით მეორე პლანზე გადაინაცვლა, მაგრამ ვითარება იქ მაინც რთული იყო. სეპარატიზმთან ბრძოლაში ქართული საზოგადოებრიობის უკეთ ორგანიზაციის მიზნით მარტში დაფუძნდა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი, რომელშიაც პარიტეტულ საწყისებზე გაერთიანდა აფხაზეთში მოქმედი ყველა ოპოზიციური ორგანიზაცია. მაგრამ ისევე, როგორც თბილისში, აქაც განხეთქილება მოხდა და რიგი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ეროვნული კომიტეტი დატოვეს („ახ. ივ.“ 1990:69).

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სოხუმში დანიშნული იყო სანქცირებული მიტინგი. აფხაზებმა გზა გადაუკეტეს მიტინგზე მიმავალ ქართველებს, ქვები და ბოთლები დაუშინეს მათ (იქვე:67).

იმავე დღეს სანქცირებული მიტინგი იყო დანიშნული გაგრაშიაც. დილის 8 საათზე სამიტინგო ტრიბუნა დაიკავა 20-მდე აფხაზმა. მათ მიტინგის ჩაშლის მიზნით მჯდომარე აქცია გამოაცხადეს. შუა დღისათვის სტადიონზე თავი მოიყარა 5000-მა ქართველმა და 1500-მა აფხაზმა, აფხაზები წინ აღუდგნენ მიტინგის ჩატარებას და ცდილობდნენ ქართველები არ შეეშვათ სტადიონზე. მოხდა ხელჩართული შეტაკება. დაშავდა 13 ქართველი და 4 აფხაზი მოქალაქე. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა გააცალცალკევეს მომიტინგენი („კომ“ 1990:125). ამ წელში აფხაზეთში ეს რიგით მეხუთე ვანდალური აქცია იყო. დამნაშავენი არც ერთში გამოვლენილნი და დასჯილნი არ ყოფილან.

ამით სარგებლობდნენ „აიდგილარას“ მესვეურები და ანტიქართულ აქციებს უფრო მიზანმიმართულ სახეს აძლევდნენ. 28 მაისს, სოხუმში გაიმართა აფხაზი ხალხის წარმომადგენელთა კრება, რომელმაც ახალი მიმართვები გააკეთა ცენტრალური ხელისუფლებისადმი. მათში უგულველყოფილი იყო 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადების გავრცელების შესაძლებლობა აფხაზეთის მიმართ. თანაც, აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მოითხოვდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის, ან საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებას („ახ. ივ.“ 1990:69).

ასეთი მიმართვები ცენტრში გროვდებოდა. მათზე პასუხები გაიცემოდა თუ არა, არ ვიცით, ყოველშემთხვევაში, არსად ქვეყნდებოდა. აფხაზი სეპარატისტების ფარული წაქეზება კი გრძელდებოდა.

25 აგვისტოს, აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო „დეკ-

ლარაცია აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“ და დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“. ქართველი დეპუტატები ამ სხდომას არ ესწრებოდნენ, ამიტომ ეს გადაწყვეტილებები, როგორც იუწყებოდნენ, მიიღეს „ერთხმად“ (იქვე:96).

მეორე დღეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა 25 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული აქციები.

31 აგვისტოს სოხუმში შეიკრიბა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 71 დეპუტატი. ასეთი რაოდენობა საკმარისი იყო შეკრების უზენაესი საბჭოს სესიის სხდომად ცნობისათვის. ასეც გამოცხადდა. დეპუტატებმა უკანონოდ ჩათვალეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს X სესია და ბათილად გამოაცხადეს მის მიერ მიღებული აქციები. ამასთან, დაგმეს დაუსაბუთებელი ბრალდებანი საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით, რაც 25 აგვისტოს სესიაზე გაისმა („კომ“1990:201).

აფხაზი სეპარატისტები ყველა სფეროში ეძებდნენ კონფლიქტის ჩამოგდების საბაბს. მათ გაღიზიანებას იწვევდა ქრისტიანული კაცთმოყვარეობის შთაგონებისათვის ეკლესიის მსახურთა ზრუნვაც კი.

გახშირებული ბანდიტიზმისა და მკვლელობების დაგმობის მიზნით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1990 წლის 28 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება, სადაც ნათქვამია: „ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად და მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნას საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში თაობიდან თაობაზე გადასაცემად“ (იქვე:250).

ვერ ვიტყვით, რომ უწმინდესისა და უნეტარესის ამ ბრძანებამ გარდატეხა მოახდინა ტერორიზმის აღკვეთაში, მაგრამ, ცხადია, მას მოწონებით შეხვდა ყველა კეთილმოსურნე ადამიანი, ხოლო მორწმუნე ქრისტიანისათვის იგი კიდევ ერთი მოწოდება იყო კაენის გზიდან აცდენისა და ცოდვებისაგან დასაზღვევად.

აფხაზთა შორის, რომელთათვისაც ქართველის მოკვლა აფხაზი ხალხის მჩაგვრელისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა, პატრიარქის ამ ბრძანებას დიდი წყენა გამოუწვევია. მათ თავიანთი გულის ბოღმა პირველსავე შემთხვევაში გამოავლინეს, როგორც ამის საბაბი გამო-

ნახეს. მათი აღშფოთების საწყაო იმანაც აღავსო, რომ ოქტომბერ-ნოემბრის არჩევნებში ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს და საქართველოს დამოუკიდებლობის ჭიშკარი ფართოდ გაიღო.

21-27 ნოემბერს, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის დავითის მიწვევით, აფხაზეთში იმყოფებოდა კათალიკოს-პატრიარქი ილია II. მისთვის აფხაზეთი ძლიერ ახლობელი მხარეა, იგი დიდხანს ედგა სათავეში აქაურ ეპარქიას. სოხუმში ყოფნის დროს მან რამდენჯერმე იქადაგა შერიგება, კაცთმოყვარეობა, შემწყალებლობა. მიუხედავად ამისა, აფხაზები წინააღმდეგნი წავიდნენ მისი გუდაუთასა და ლიხნში მიღებაზე. მარშრუტი შეიცვალა. კათალიკოსი გაგრაში ჩავიდა. უკან გამობრუნებისას სოფ. ლიხნის გზის გადასახვევზე პატრიარქსა და მის მხლებლებს დაუხვდა 2000 ეგზალტირებული აფხაზი. ისინი თავს დაესხნენ კათალიკოსს, წიხლები დაუშინეს მის მანქანას, უწმაწური სიტყვებით იხსენიებდნენ უწმინდესსა და უნეტარესს. მილიციამ და ქართველ ვაჟკაცთა ჯგუფმა შესძლეს ილია II სამშვიდობოზე გაყვანა. თავდამსხმელებმა დააზიანეს რამდენიმე ავტომანქანა და სცემეს ადამიანებს („ახ. საქ. 1990:14). ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები. მაგრამ ვინმეს დასჯის შესახებ ცნობები არ გამოქვეყნებულა. პროვოკაცია მოწყობილი იყო გუდაუთის რაიკომის პირველი მდივნის კ. ოზგანის მიერ და დამნაშავეებიც მისი მფარველობით პარპაშებდნენ.

აფხაზეთის ქართველობამ რეაქციის გარეშე არ დატოვა კათალიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფის მცდელობის ფაქტი. 29 ნოემბერს სოხუმში მოეწყო საპროტესტო მიტინგი. მიღებულ განცხადებაში უნდობლობა იყო გამოთქმული აფხაზეთის ხელისუფლების მოქმედებათა გამო (ი ქ ვ ე:16-17).

ეროვნულ ხელისუფლებას კი მიაჩნდა, რომ ცენტრმა ისე ვერ გამოიყენა აფხაზეთი, როგორც სამხარეთ ოსეთი. ეს ხელისუფლებაში მოსული პიროვნებების კრემლის ლაბირინთების საიდუმლოებათა უცოდინარობით იყო გამოწვეული. ისინი კარგად არც ვ. არძინბასა და „აიდგილარას" ლიდერებს, მათ მზაკვრულ მიზნებს იცნობდნენ. 8 დეკემბრის ინტერვიუში ზ. გამსახურდია ამბობდა: „მოსკოვი, როგორც ჩანს, სამაჩაბლოს იმედად დარჩა, ვინაიდან აფხაზეთში არ გამოუვიდა თავისი ხრიკები... არძინბა აღმოჩნდა ისეთი ფიგურა, რომელიც ჯერჯერობით მდგომარეობას არ ამწვავებს"-ო („სრ" 1990:11). მოვლენების ასეთი ანალიზი კეთდებოდა იმ დროს, როცა არძინბამ და მისმა ხროვამ წამოაყენეს წინადადება ავტონომიური რესპუბლიკის

უზენაეს საბჭოში ადგილების 50 პროცენტი აფხაზი ეროვნების დეპუტატებს დასთმობოდათ. მართალია, პირველად უარი ეთქვათ, მაგრამ შემდეგ სწორედ ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ დაუკანონა მათ აპარტეიდული არჩევნები. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ვერ ამოიცნო, რომ ვ. არძინბა კრავის ქურქში გახვეული მგელი იყო, რომელსაც ხელში მეცნიერის ავტოკალმის ნაცვლად რუსული ავტომატი ეჭირა. ზ. გამსახურდიას ასეთი პოლიტიკური ახლომხედველობა ძალიან ჩამოჰგავს გურული ფირალის—სიმონიკა დოლიძის სინდრომს, რომელიც გამცემ ბურჭულაძეზე ჩიოდა: „მე რა ვიცოდი ნამდვილი, თურმე მღალატობს ყმაწვილი“-ო.

საკავშირო ხელისუფლების გათვლების მიხედვით იგეგმებოდა აფხაზურ-ოსური ალიანსი, მაგრამ „მთელი ამ დროის მანძილზე ვერ მოხერხდა ვერც ერთი ერთობლივი, ანდა ერთდროული აფხაზურ-ოსური გამოსვლის მოწყობა ქართველი „არაფორმალების“,. მოგვიანებით კი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ; ამას აბრკოლებდა გეოგრაფიული სიშორე, ადგილობრივი პარტნომენკლატურის გათიშულობა და რიგი მყარი ეთნოფსიქოლოგიური კომპლექსები, რომლებიც ხელს უშლიდნენ გაერთიანებას“ (ჩერეონაია 1994:98).

1990 წლის დამლევისათვის უპირატესობა მიეცა სამხრეთ ოსეთში მოქმედებას. იგი გახდა მთავარი კოზირი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ. უზენაესი საბჭოც იძულებული გახდა ჩართულიყო თავდაპირველად, „კანონთა ომში“, რომელიც შემდეგ აშკარა საბრძოლო შეტაკებაში გადაიზარდა.

მართალია, თავის დროს, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ უკვე მოქმედად არ სცნო ეს დოკუმენტი, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბრის სესიაზე მაინც მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ“. დადგენილებაში განმეორებულია ადრე მიღებული გადაწყვეტილებანი 1990 წლის 20 სექტემბრის აქტის—„სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის თაობაზე, ხოლო საოლქო საბჭოს მიერ 16 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება 9 დეკემბრისათვის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოცხადდა გაუქმებულად („ახ. საქ.“ 1990:10-11). მიუხედავად

ამისა, 9 დეკემბერს, სამხრეთ ოსეთში ჩატარდა არაკონსტიტუციური არჩევნები. მთელ რიგ სოფლებში მოსახლეობამ მას ბოიკოტი მოუწყო.

სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობა ყრილობაზე შეიკრიბა ცხინვალში და ადგილობრივ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. მათ ზ. გამსახურდიას გამოუგზავნეს მიმართვა, რომელშიაც მოითხოვდნენ სამხრეთ ოსეთის საკითხი მიეჩნიათ პირველხარისხოვნად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დაესახა კონკრეტული ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლისათვის („სრ“ 1990:4).

11 დეკემბერს გამართულ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღეს კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. ამ დოკუმენტის მიღებისას ზ. გამსახურდიამ დაასაბუთა მისი აუცილებლობა. ჩვენ არა ერთხელ განვაცხადეთ,— თქვა მან. რომ ავტონომიურ ერთეულებს არ შევეხებოდით, მაგრამ ოსმა სეპარატისტებმა არ ისურვეს ჩვენთან მოლაპარაკება და მიუხედავად 22 ნოემბრის დადგენილებისა, ჩაატარეს არჩევნები, რაც, ფაქტობრივად, ნიშნავს ახალი პოლიტიკური ერთეულის შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ თანავუგრძნობთ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ასეთს ვაღიარებთ ოსი ხალხის მიმართაც, „მაგრამ ეს უნდა მოხდეს მათს ისტორიულ ტერიტორიაზე და არა შიდა ქართლის ხარჯზე, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ და, რომელიც წარმოადგენს სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს“.

მომხსენებლის სიტყვით, ავტონომიური ოლქის გაუქმება აუცილებელია, რამდენადაც „კანონთა ომის“ გაგრძელება აღარ შეიძლება. ეს ღონისძიება ტარდება სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისობით, რამდენადაც ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც იურიდიული უფლებით მაღლა დგას საკავშირო კონსტიტუციაზე, ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შექმნას მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციად თვლის.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის შსს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე გენ. გენრიხ მალიუშკინი. მან განაცხადა, რომ იწონებს მიღებულ გადაწყვეტილებას და მისდამი დაქვემდებარებული ნაწილები შეასრულებენ წესრიგის დაცვის ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთში.

სესიამ ერთხმად დაუჭირა მხარი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების დადგენილებას.

დეპუტატების, ხელისუფლების წარმომადგენელთა და ზ. გამ-

სახურდიას გარემოცვის უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება უფრო ნაკლებ სირთულეებს გამოიწვევდა, ვიდრე სეპარატიზმის ხელშემწყობი საოლქო ხელისუფლების მოქმედება წარმოშობდა. მაგრამ მოხდა პირიქით. ოს ექსტრემისტებს ოფიციალური საბაბი მიეცათ საქართველოს ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებისა. თანაც, მათ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე თავი დაჩაგრულად და თვითგამორკვევისათვის მებრძოლებად წარმოადგინეს, ვისაც საქართველოს „მცირე იმპერია“ ყოველმხრივ უხშობდა თავისუფლებისაკენ მიმავალ გეზს. ე. ი. საბოლოო ჯამში მომგებიან პოზიციაში აღმოჩდნენ. თუ ამას დავუმატებთ მათდამი საკავშირო ხელისუფლებისა და რუსეთის გარკვეული წრეების მხარდაჭერას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტონომიური ოლქის გაუქმება ყოველმხრივ გამართლებული ღონისძიება არ იყო. ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეცდომას წარმოადგენდა აფეთქებამდე მისული დაძაბული მდგომარეობის აფხაზეთიდან ცხინვალის რეგიონში გადატანა. ამას შედეგად მოჰყვა ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაცია არაქართულ მოსახლეობაში. გათვლილი ვერ იქნა, რომ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ხალხთა მეგობრობის ყბადაღებული ლოზუნგით ძალით თუ ნებით ინარჩუნებდა ეროვნულ თანხმობას, ხოლო „მრგვალი მაგიდის“ ლიდერების მიერ ცხინვალის რეგიონში, ლეკებით დასახლებულ კახეთის სოფლებში, ქვემო ქართლის სომხურ და თათრულ მოსახლეობაში სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებისადმი ხელშეწყობამ, რაც ეროვნულ დაპირისპირებულობაში გადაიზარდა, ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ ზიანი მოუტანა და სახელიც გაუტეხა მას.

როგორი გამართლებაც არ უნდა მიეცა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას ცხინვალის რეგიონში თავისი მოქმედებისათვის, იგი მაინც ვალდებული იყო გაეანგარიშებინა, რომ გადამწყვეტი ბრძოლის წინ ახალი მტრის გაჩენა სასურველი არ არის. პირიქით, საჭიროა მეზობელი შემოირიგო და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენო.

მიღებული დადგენილების შესახებ ასეთი მოსაზრება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ოსურ სეპარატიზმსა და ექსტრემიზმს რაიმე სერიოზული საფუძვლები შეიძლება მოეძებნოს. იგი ხომ იყო და არის ისეთი მოძრაობა, რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს არა მარტო ქართველი, არამედ თვით ოსი ხალხისათვისაც.[1]

[1] პროფ. ა. სალაგაძის შეკითხვით, არსებობს „ოსური“ იდეოლოგია--ანტიქართული და დემპყრობლური. იგი მაგნია არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ოსებისთვისაც. რადგან

ოსი სეპარატისტები სარგებლობდნენ იმითაც, რომ იმ პერიოდში სსრ კავშირში დაიწყო ე.წ. „სუვერენიტეტების აღლუმი“ და ავტონომიური რესპუბლიკები უფრო მაღალ სტატუსს უმიზნებდნენ და იჩემებდნენ. მაგრამ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა ერთ ერს ორი სუვერენული სახელმწიფოს შექმნა გამოეცხადებინოს. მით უფრო, არ შეეძლოთ ეს ოსებს, რომლებიც შიდა ქართლში ცხოვრობდნენ და ერს არ წარმოადგენდნენ, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით. ისინი აქ ეროვნული უმცირესობა იყვნენ. ასეთებს კი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სათანადო სტატუსი მიეკუთვნებათ. მათ შეიძლება მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომია ჰქონდეთ. ამის შესახებ ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლში წერია: „იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ასეთ უმცირესობებს, არ შეიძლება .უარი ეთქვათ უფლებაზე ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ისარგებლონ თავიანთი კულტურით, ეზიარონ თავის რელიგიას და შეასრულონ მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე, ისარგებლონ მშობლიური ენით“. ამის გათვალისწინებით, სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის მიხედვით, ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ავტონომიები ხელოვნურად წარმოშობილ სტრუქტურებს წარმოადგენდნენ. ისინი პრაქტიკულად მოკავშირე რესპუბლიკათა ბალკანიზაციას იწვევდნენ, ანგრევდნენ მის ტერიტორიულ მთლიანობას. ამ მხრივ ყველაზე უფრო საქართველო დაზიანდა.

რაც შეეხება ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას შიდა ქართლში მცხოვრები ოსებისათვის, იგი არავის შეუზღუდავს. პირიქით ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში ქართველი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებები იყო შეზღუდული და არა ოსებისა. 1929 წელს, ცხინვალში შედგენილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში პირდაპირაა ნათქვამი: „სამხრეთ ოსეთში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ: ქართველები, სომხები, ებრაელები, რუსები და სხვ“ („საქ. რეს.“[1] 1990:5-6).

„მან შეძლო ჩამოეშორებინა ოსი ხალხი, მისი ენერგია საკუთრივ ოსების საკეთებისაგან, ოსეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შენების ამოცანებისაგან“. ეს ახლა ჩასახული იდეოლოგია არ არის, XIX საუკუნეში ცარიზმმა ისარგებლა საქართველოს მრავალეროვნულობით, დაანგრია მისი ეროვნული ინფრასტრუქტურა, ხელოვნურად შექმნა ქართულ-არაქართული დაპირისპირებანი. ამ პროცესში ოსებმა თავიანთი კუთვნილი როლი შეასრულეს („სრ“ 1991:6).

[1] გაზეთი „ახალი საქართველო“ 1990 წლის 5 დეკემბრიდან გამოდის სახელწოდებით--„საქართველოს რესპუბლიკა“.

ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში ქართველი მოსახელობის შეზღუდვის სურათი მკაფიოდ ჩანს საკადრო პოლიტიკიდან, რომელიც იქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტარდებოდა. ქართული მოსახლეობის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აპარატში გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ეს მას ოლქის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობის მიხედვით ეკუთვნოდა. ამის გამო ეს ოლქი ოსური ეროვნების მოსახლეობის აშკარა ეთნოკრატიის ნიშნებს ატარებდა.

მაგ., 1989 წლის აღწერით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 29 პროცენტს შეადგენდნენ ქართველები, 66,2 პროცენტს—ოსები. ოლქის პარტიულ აპარატში 1990 წლის მონაცემებით 140 კაციდან ქართველი იყო 34, ოსი—85. თვით პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში 37 კაციდან ქართველი იყო 6, ოსი—29. სახელმწიფო აპარტში ოსებს 227 ადგილიდან ეკავათ 176, ქართველებს—49. მომსახურების სფეროში—2408 ადგილიდან ოსებს ეჭირათ 1500, ქართველებს—631. ვაჭრობის სფეროში—226 საშტატო ერთეული ასე ნაწილდებოდა: ოსი—174, ქართველი—32.

სამხრეთ ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შემადგენლობა ასეთი იყო: სულ იყო 109 კლუბი, 153 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი, 1 სამხატვრო სასწავლებელი, 2 სამუსიკო სკოლა, ოსური და ქართული დრამატული თეატრები, სამხატვრო-საგამოფენო გალერეა. ამ დაწესებულებების ხელმძღვანელ თანამდებობებზე 77,5 პროცენტი ოსი ეროვნების მუშაკებს ეჭირათ. იმავე 1990 წელს ყოფილ ოლქში ფუნქციონირებდა 145 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან 47—ქართული, 36—ოსური, 5—რუსული, 3—ქართულ-ოსური, 3—ქართულ-რუსული, 45—რუსულ-ოსური და 6—ქართულ-რუსულ-ოსური იყო (იქვე), ერთი შეხედვით თითქოს ქართული სკოლების რიცხვი მეტია ოსურზე (47 და 36), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი ოსი რუსულ და რუსულ-ოსურ სკოლებში სწავლას არჩევდა, გამოდის—ოსები შედიოდნენ 86 სკოლაში. თანაც, ოსურ სკოლებშიც ყველა საგანი მხოლოდ I-IV კლასებში ისწავლებოდა მშობლიურ ენაზე. ე. ი. ფაქტობრივად, 145 სკოლიდან 90-ზე მეტში ოსი ბავშვები განათლებას რუსულ ენაზე ღებულობდნენ. მაშინ, როცა არც ერთ ამ სკოლაში ქართული ენა სასწავლო დისციპლინადაც კი არ იყო შეტანილი. ეს ყველაფერი საქართველოს რესპუბლიკაში შემა-

ვალ ავტონომიურ ოლქში ხდებოდა. ოსები კი მაინც ქართველების მიერ მათი უფლებების შეზღუდვაზე გაჰყვიროდნენ.

სეპარატისტთა საკანონმდებლო მოღვაწეობამ და პრაქტიკულმა საქმიანობამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამწვავება გამოიწვია საქართველოში. ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში შეუძლებელია მოინახოს ეროვნული შუღლის გაღვივების ისეთი შემთხვევები, როგორიც აფხაზმა და ოსმა მოფაშისტო ექსტრემისტებმა მოაწყვეს 1989-1990 წლებში. ქართველი ხალხის ტრადიციულმა შემწყნარებლურმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა ტრადიციებმა ვეღარ იმუშავა, შეილახა ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნებების ადამიანთა ინტერესები.

ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს ცხინვალში დაიძაბა ვითარება. ქალაქის ცენტრში მოკლეს სამართალდამცავი ორგანოს 3 ქართველი თანამშრომელი, სამიც მძიმედ დაიჭრა. საქ. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გამოაცხადა საგანგებო წესები. კომენდანტად დაინიშნა შინაგანი ჯარების დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი ვ. პუზირნი, იმავე დღის 22 საათიდან დაიწყო კომენდატის საათის განხორციელება.

იმავე დღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დასმენითი სიტყვით გამოვიდა ა. ჩეხოევი. სხდომის თავმჯდომარემ ა. ლუკიანოვმა მაშინვე მოახდინა რეაქცია და განაცხადა: სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის გაუქმების აქტი „სსრ კავშირის კონსტიტუციით დაფუძნებული პრინციპების წინააღმდეგ მიმართული უაღრესად სერიოზული შეტევაა“-ო („სრ“ 1991 :8). სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან ა. ლუკიანოვი თვითონ კვებავდა და ზრდიდა აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, ცდილობდა რა ეს ძალები „ურჩი საქართველოს“ რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოეყენებინა (ჩერვონაია 1994:226).

ზ. გამსახურდიამ ა. ლუკიანოვის განცხადება შეაფასა, როგორც სსრ კავშირის ხელმძღვანელობასთან „ფაქტობრივად კონსტიტუციური ომის დაწყება“.

სამხრეთ ოსეთს საკავშირო ხელმძღვანელი ორგანოების გარდა სხვა დამცველებიც გამოუჩნდნენ. საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო აფხაზეთის უნივერსიტეტის კოლექტივის საპროტესტო დეპეშა, უკმაყოფილება ოფიციალურად გამოხატა ჩრ. ოსეთის უზენაესმა

საბჭომაც. მასში მიღებული გადაწყვეტილება მიჩნეული იყო „მცირერიცხოვანი ხალხების უფლებათა ფეხქვეშ გათელვის უპრეცედენტო აქტად“[1] („სრ“ 1990:9).

ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას ოპოზიცია თავიდანვე საყვედურობდა ცხინვალის კომენდატად რუსი ოფიცრის დანიშვნის გამო. (14 დეკემბერს ამის შესახებ დიდი საყვედური გამოთქვა ი. წერეთელმა). ეს ეროვნული ინტერესების შელახვად მიაჩნდათ. მაგრამ უმთავრესი კი ის იყო, რომ კომენდატის საათი საერთოდ არ სრულდებოდა. 15 დეკემბერს დაშვებული შეცდომის გამოსწორების მიზნით კომენდატად შს მინისტრის მოადგილე შალამბერიძე დანიშნეს.

ამან საქმეს ვერ უშველა, ვინაიდან შინაგანი ჯარების რუსული ქვეგანაყოფები ქართველ კომენდატს არ დაემორჩილნენ. სატელევიზიო გამოსვლაში ზ. გამსახურდია ამბობდა: „შეიძლება ითქვას, რომ შინაგანმა ჯარმა ჩვენ დაუმორჩილებლობა გამოგვიცხადა, ჩვენი მითითებები არ სრულდება, იმართება მიტინგები, ექსტრემისტები ჯავშანტრანსპორტიორებში სხედან ჯარისკაცებთან ერთად და ქალაქში დადიან“. რამდენიმეჯერ მათ ქართული მილიციის თანამშრომლებიც კი განაიარაღეს (იქვე:10).

ცხინვალში შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის ორიგინალური წინადადება წამოაყენა სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნ. ნათაძემ. მან უზენაესი საბჭოს სესიაზე მოითხოვა: სამაჩაბლოს გამო რუსეთს ოფიციალურად გამოვუცხადოთ ომი, რაც, ფაქტობრივად, უკვე მიმდინარეობსო. ზ. გამსახურდიამ ნ. ნათაძის მოთხოვნას შემდეგნაირი შეფასება მისცა: „ეს ან პროვოკაციაა, ან, მომიტევეთ და, ასეთი ადამიანის ფსიქიკის ნორმალურობაში შეიძლება, მე მგონი, ეჭვის შეტანა“-ო (იქვე). ამ სამართლიანი შეფასების მიუხედავად ნ. ნათაძე თავის აბსურდულ მოთხოვნას შემდეგშიაც დიდხანს იმეორებდა.

---

[1] ამას აცხადებდა ისეთი ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის სახელმწიფო, ფაქტობრივად, სხვის ტერიტორიაზეა შექმნილი. ოსები განგვებ თვეწყებენ, მაგრამ ისტორიას ახსოვს: ჩრ. ოსეთის დედაქალაქი ვლადიკავკაზი (მათ ეს რუსების მიერ შერკინული სახელწოდება არ მოშალეს, რადგან თვითონაც კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის ფლობის პრეტენზია აქვთ) 1933 წლამდე ქუთაისი იყო ანგუშეთის. იქიდან ანგუშები გარეკეს იმ მიზნით, რომ მათი სახელმწიფოებრიობა გაეუქმებინათ. 1944 წელს ანგუშები საერთოდ გაასახლეს შუა აზიაში. ხოლო, როცა 1957 წელს, მათი რეპატრიაციის შემდეგ ჩეჩენ-ანგუშეთის ასსრ შეიქმნა, ანგუშებს ჩამოაჭრეს მათი ძირძველი მიწები (ტერიტორიის 46%), იმავე ვლადიკავკაზითურთ და ჩრდილოეთ ოსეთს გადასცეს. სხვისი მიწების მიტაცებაში „დასჩაცალებული“ ოსი აგრესორებისათვის ეს არნახული წაქეზება იყო. 1990-1991 წლებიდან ანგუშები აბრძოლეს დაკარგულის დასაბრუნებლად, მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ ამას „მიაღწიეს“, რომ ათიათასობით ანგუშები გამოდევნილია ვლადიკავკაზის მიმდებარე ე.წ. საგარეუბნო რაიონიდან და ლტოლვილის ძაღლურ ყოფაში ლაფის სულს.

ცხინვალის კომენდატი მალე კვლავ შეიცვალა. ამ თანამდებობებზე დაინიშნა გენ. გ. კვანტალიანი. მან და შინაგან საქმეთა მინისტრმა დ. ხაბულიანმა შესძლეს ცხინვალში ქართული მილიციის შეყვანა. მინისტრის მოსკოვში ყოფნისას. მიღწეული შეთანხმების შედეგად რეგიონში განლაგებული შინაგანი ჯარების ნაწილები საქართველოს ხელისუფლებას დაექვემდებარნენ. ასეთმა ღონისძიებებმა დროებითი ეფექტი მოიტანა: 17 დეკემბერს კომენდატის საათის დარღვევისათვის დააკავეს ოსი ეროვნების 27 მოქალაქე. საერთოდ კი ვითარება კონფლიქტური რჩებოდა.

1990 წლის შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია უმაღლესი თანამდებობის ორი პოლიტიკური მოღვაწის გადადგომის შემთხვევამ. ნოემბრის მიწურულს თავისი პოსტი დატოვა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა კონსერვატორთა პარტიისაგან მარგარეტ ტეტჩერმა. იგი შეცვალა მისივე მთავრობის თანამეგობრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, 47 წლის ჯონ მეიჯორმა. მ. ტეტჩერი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე იყო უ. ჩერჩილის მომდევნო ინგლისის ისტორიაში. მისი გარემოცვის პოლიტიკოსები მარგარეტ ტეტჩერს ასე ახასიათებდნენ: „ იგი ამბობს იმას ხმამაღლა, რასაც დასავლეთ ევროპული ლიდერები თავისთვის ფიქრობენო". ამ და სხვა დიდი ღირსებების გამო მას, ჩვეულებრივ, „რკინის ლედის" უწოდებდნენ.

რომ არა მ. ტეტჩერის პიროვნული შთამბეჭდაობა, მისი გადადგომა რიგით ფაქტად ჩაითვლებოდა, რადგან ძველი დემოკრატიის ქვეყნებში ასეთი ქცევა პოლიტიკური ცხოვრების ორდინალური მოვლენაა. საბჭოთა სახელმწიფო კი გადადგომის ინსტიტუტს არ იცნობდა. ამიტომ დიდ სენსაციად იქნა აღქმული სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის განცხადება გადადგომის შესახებ 20 დეკემბერს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. დღემდე არაა ცნობილი ამ გადადგომის ზოგიერთი დეტალი. ე. შევარდნაძემ მიღებული გადაწყვეტილების მთავარ მიზეზად დიქტატურის დადგომის საშიშროება გამოაცხადა. „არავინ იცის, როგორი იქნება ეს დიქტატურა, როგორი დიქტატორი მოვა და რა წყობა დამკვიდრდება", თქვა მან („სრ" 1990:14).

ე. შევარდნაძეს არც პირადი ერთგულების აღთქმა დავიწყებია მ. გორბაჩოვისათვის: „დიდ მადლობას მოვახსენებ მიხეილ გორბაჩოვს, განაგრძობდა იგი,—მე მისი მეგობარი, მისი თანამოაზრე ვარ, ყოველ-

თვის მხარს ვუჭერდი და სიკვდილამდე მხარს დავუჭერ გარდაქმნის იდეებს“ (იქვე). „ამბობენ,—წერს დ. მჭედლური,—რომ იმპერიის სახელგანთქმული საგარეო საქმეთა მინისტრის თავგანწირულმა და უპრეცედენტო საქციელმა მაშინ მართლაც იხსნა მიხეილ გორბაჩოვი და კიდევ უფრო გააღრმავა იმპერიის დაშლის პროცესი, სამხედროებმა ვეღარ გაბედეს, აშკარა გამოსვლა და ეს საქმე აგვისტოსათვის გადადეს, მაგრამ, ეტყობა, მაშინ უკვე დაგვიანებული იყო და პუტჩი სამარცხვინოდ ჩაფლავდა“ (მჭედლური 1995:84).

მ. გორბაჩოვმა იმავე სხდომაზე ისე წარმოადგინა თავი, რომ თითქოს არა იცოდა რა მოსალოდნელი გადადგომის შესახებ. მე მინდოდაო, განაცხადა მან, ე. შევარდნაძე სსრ კავშირის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დამესახელებინა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე შესაფერი კანდიდატურაო. თუმცა არსებობს ბევრი დამაეჭვებელი გარემოება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მ. გორბაჩოვისათვის ეს ფაქტი მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ერთი ასეთის შესახებ მიუთითებდა თავის წერილში ირ. გოცირიძე. ჟურნალისტის გადმოცემით, ადრე აღებულ ინტერვიუში ე. შევარდნაძეს მისთვის უთქვამს, რომ პოლიტბიუროს მან 1989 წლის 25 დეკემბერსაც წერილობით თხოვა საგარეო საქმეთა მინისტრისა და პოლიტბიუროს წევრობიდან გადადგომა. ეს ფაქტი არ გახმაურებულა. იგი კი გორბაჩოვის თხოვნით დარჩენილა თანამდებობაზე („სრ“ 1990:14).

ე. შევარდნაძის გადადგომა „პერესტროიკისა“ და მის „არქიტექტორთა“ პოლიტიკური კურსის გაკოტრების შედეგი იყო. თუმცა, ისინი ჯერჯერობით მაინც არ ჰყრიდნენ ფარ-ხმალს და აშკარად არ აღიარებდნენ ამას. როგორც ჩანს, მაინც ჰქონდათ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის იმედი. მან ერთხელ კიდევ სუსტად გამოანათა ე. წ. „გკჩპ“-ს დამარცხების შემდეგ. 1991 წლის 21 აგვისტოს ყირიმიდან დაბრუნებული მ. გორბაჩოვი იმედოვნებდა, რომ ხელისუფლებას ხანგრძლივად დაეუფლა. მან დაიყოლია ე. შევარდნაძე და იგი 28 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო ურთიერთობათა მინისტრად დანიშნა. 11 დეკემბერს სსრ კავშირი დაიშალა. ყველაფერი ილუზია აღმოჩნდა.

ე. შევარდნაძის გადადგომას სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ბ. ელცინმა იგი შეცდომად გამოაცხადა (იქვე:16).

საქართველოში თავიდან ეჭვით შეხვდნენ ამ ფაქტს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, „ძნელია რაიმეს დაბეჯითებით მტკი-

ცება... ვინ იცის, იქნებ მორიგი პოლიტიკური სვლაც არის ყრილობაზე დატრიალებული ამბები"-ო (№14).

ზ. გამსახურდიამ თავიდან ასე ამოიცნო ე. შევარდნაძის გადადგომა—იმიტომ გადადგა, რომ კრემლის დავალებით საქართველოში ჩამოვიდეს და ჩვენს წინააღმდეგ იბრძოლოსო. შემდეგ მიხვდა, თუ ბრძოლა უნდოდა, ამას დიდ თანამდებობაზე მყოფი უფრო შესძლებდა და ცოტათი შეუმსუბუქა რისხვა. კითხვაზე, ხომ არ შეიძლებოდა სსრ კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჩართვა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, უპასუხა: „რაც შეეხება შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას–ვფიქრობთ, ის დაბრუნდება როგორც რიგითი მოქალაქე და თავს დაანებებს პოლიტიკას"-ო („ახ. ივ" 1990:145). ორიოდე თვის შემდეგ კი მან გაზ. „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპოდენტთან საუბარში ასეთი ბედი უწინასწარმეტყველა: „ თუ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდება, იგი კრემლის პოზიციას დაიკავებს და ხალხი, რომ გაიყოლიოს, არავითარი შანსი არ ექნება"-ო („სრ" 1991:36). სხვა უამრავ პროგნოზებთან ერთად, ზ. გამსახურდიას არც ეს ვარაუდი გამართლდა!

თავი მეხუთე

1991 წელი

„წესრიგის დამყარება მანამდეა საჭირო,
სანამ ჯანჯ ჯერ კიდევ არ დაწყებულა“.
ლაო-ძი

ჩვეულებრივი მოვლენაა: ახალ ხელისუფლებას ყოველთვის მრავალი საზრუნავი აქვს. მისგან ბევრსაც მოითხოვენ. მაგრამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წინაშე მდგომი ამოცანები განსაკუთრებულად რთული იყო. ყველა სფეროში მიმდინარეობდა ცვლილებები და ნგრევა, ახალ ხელისუფლებას კი პროცესის წასამართავად არც წინასწარ შემუშავებული პროგრამა გააჩნდა და არც ისეთი კადრები ჰყავდა, რომლებიც, თუ ნგრევის შეჩერებას ვერ შესძლებდნენ, მის შედეგებს სახელმწიფოსა და ხალხის სასარგებლოდ მაინც წარმართავდნენ. კომუნისტ ფუნქციონერებსა და მათი ხელისუფლების დროს სახელმწიფო ქონების „მარცხნივ“ გატანაში დახელოვნებულ პირებს შესანიშნავი ასპარეზი შეექმნათ ძარცვა-დატაცებისათვის. მათ დაემატათ ეროვნულ მოძრაობას მიკედლებული კრიმინალები და სისხლის სამართლის დამნაშავეები, რომელთაც ადრე ქურდბაცაცობაში კბილებამდე შეიარაღებული დაცვაც კი ვერ უშლიდა ხელს. როდესაც ჩამოყალიბების ფაზაში მყოფი პარტიები, ორგანიზაციები თავიანთი მასობრიობის მოსაჩვენებლად რაც შეიძლებოდა ცდილობდნენ, ხელოვნურად გაეზარდათ წევრთა რიცხვი, მათ დიდი სიამოვნებით ჩაიკრეს გულში ყველა, განურჩევლად მისი წარსულისა და სულისკვეთებისა. ახლა კი „ეროვნულ მოძრაობაში“ დამსახურების მქონე ეს „მოღვაწენი“ თანამდებობებს, რომლებსაც ისინი იოლად ღებულობდნენ, არ სჯერდებოდნენ და ყველაფერს ისაკუთრებდნენ, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა.

ჩამოყალიბდა არამზადა „არაფორმალის“ ტიპი, რომლის ყოვლისშემძლეობა განუსაზღვრელად გაიზარდა ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტებისა და ეროვნული ხელისუფლების დაცვის მოტივით დიდძალი შეიარაღების ამ ძალების მიერ ხელთგდების გამო.

უანგარო, დიდ პატრიოტ, მაგრამ კარიერის მოყვარულ ზ. გამ-

სახურდიას ამ პროცესის შესაჩერებლად საყრდენი ძალა არ გააჩნდა. 9 აპრილის შემდეგ ეროვნულად გადაქცეული მილიცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს თავადაც არ იყო გულგრილი სახელმწიფო ქონების დატაცებაში, ახლა სამაჩაბლოში ომით იყო დაკავებული და ამ მისთვის შეუფერებელ საქმეში ხარჯავდა კრიმინალურ სამყაროსთან საბრძოლველ ენერგიას. მთავრობას ისიც კი ვერ გაეთვალისწინებინა, რომ ომი მილიციის საქმე არ არის და ამდენად, იგი თავიდანვე წაგებული ჰქონდა[1].

ხელისუფლება შეეცადა ნაწილობრივ მაინც ემართა პროცესები. ეს კეთდებოდა ორი მიმართულებით. ერთი მხრივ, იგი ებრძოდა კრიმინალურ ფორმირებად გამოცხადებულ „მხედრიონს". მის საპირისპიროდ ჰქმნიდა ეროვნულ გვარდიას, ხოლო, მეორე მხრივ, ზრუნავდა ანარქიის აღმკვეთი სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად.

ზევით ვთქვით, რომ „მხედრიონი" შავნაბადაში იდგა. 18 თებერვალს იქ მოხდა შეტაკება არმიის ქვეგანაყოფთან. ორივე მხრივ იყვნენ დაჭრილები. შავნაბადა სამხედროებმა დაიკავეს. მეორე დღეს დააპატიმრეს, როგორც ოფიციოზი იუწყებოდა, „ორჯერ ნასამართლევი ქურდობისა და ყაჩაღობისათვის, საქართველოს მხედრიონის მეთაური—ჯაბა იოსელიანი" („სრ" 1991:34). იგი მარტო შავნაბადას ინციდენტისათვის არ დაუკავებიათ. ის საშიში იყო, როგორც პოლიტიკური ოპოზიციონერიც. ადრინდელ მის პოზიციაზე უკვე იყო ნათქვამი. 3 იანვარს ტელევიზიით გამოსვლის დროს კი მან ბრალი დასდო რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დემოკრატიისა და თავისუფლების აღკვეთაში, სურვილში, შექმნას საქართველოში დესტაბილიზაცია, რათა მიეცეს საშუალება კომენდანტის საათის შემოღებისა. და, რომ ეს ჰქმნის პირობებს უზენაესმა საბჭომ მოიხსნას პასუხისმგებლობა ეკონომიკური ქაოსისათვის (იქვე:4).

„მხედრიონისა" და ჯაბა იოსელიანისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. ზოგი მათ მძარცველებად და ბანდიტებად მიიჩნევდა, ზოგიც—ქვეყნის დამცველებად და „მაშველ კორპუსად". სამაჩაბლოს ქართველების მიერ გამოგზავნილ მიმართვაში

[1] რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტმა დაამტკიცა, რომ ომის მოგება მილიციის კი არა, სააქმიო შეიარაღებით გაძლიერებულ შინაგან ჯარებსაც კი არ შეუძლია, ვინაიდან „კონსტიტუციური წესრიგის" აღდგენისათვის ბრძოლა სხვაა და საომარი ოპერაციის მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩატარება სულ სხვაგვარ სამხედრო ხელოვნებას მოითხოვს. ამისათვის არმიებს ხანგრძლივად წვრთნიან და ამზადებენ, მაგრამ, თუ მთავარსარდლობა არ ვარგა, იგი მაინც შეიძლება წაგებულ იქნას, ამის გათვალისწინებით, რა უნდა შესძლებოდათ სხვადასხვა რაიონიდან შეგროვებულ მილიციის თანამშრომლებს, რომლებიც ხშირად ჭურდბაცაცებთან პირდაპირ შებმასაც კი მშვლურად გაურბოდნენ.

ნათქვამი იყო, რომ „მხედრიონელები“ ჯ. იოსელიანის მეთაურობით ქართულ სოფლებში ანტიქართულ საქმეს ეწეოდნენ, გამომთვრალები შეურაცხყოფდნენ ქართულ მოსახლეობას. მათმა ასეთმა მოქმედებამ და ირ. წერეთლის არაკვალიფიციურმა განცხადებებმა დაძაბა სიტუაცია. კეხვში, ქურთაში და ქემურეთში მოწვეულმა სოფლის ყრილობებმა ისინი სამაჩაბლოდან გამოაძევა (იქვე:35).

ზ. გამსახურდიამ მოსკოვში მიცემულ ინტერვიუშიც ვერ შეიკავა თავი და ჯ. იოსელიანი ასე დაახასიათა: „იგი დიდი დანაშაულებრივი შენაერთის, შეიძლება ითქვას, „არაოფიციალური არმიის“, ბანდის ატამანია. მისი წევრების უმრავლესობას დანაშაულებრივი წარსული აქვთ... მათ იარაღის საშუალებით საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურდათ. იგი პროფესიონალი ქურდია, ქურდობისათვის და ბანდიტობისათვის ოთხჯერ ნასამართლევი... მისი იზოლირება რომ არ მოგვეხდინა, ახლა საქართველოში ომი იქნებოდა. იმიტომ, რომ მას ჰყავდა 1200-იანი ჯარი, რომელიც მთელ საქართველოში საშინელებას ჩადიოდა“ (იქვე:135). ეს შეფასება მთლად საფუძველმოკლებული არ იყო. მომდევნო მოვლენებმა იგი დაადასტურეს.

საზოგადოების ერთ ნაწილს, განსაკუთრებით—ზ. გამსახურდიას ოპოზიციაში მყოფს, სხვაგვარი აზრი ჰქონდა ჯ. იოსელიანზე. ისინი მას საბჭოთა ხელისუფლების მიერ გზასაცდენილ კაცად მიიჩნევდნენ. ახასიათებდნენ, როგორც ნიჭიერ ხელოვნებათმცოდნეს, დრამატურგსა და პროზაიკოსს.

23 თებერვალს, ეროვნული კონგრესის მოწოდებით დიდი აქცია მოეწყო მთავრობის სახლთან. ისინი მოითხოვდნენ საოკუპაციო ჯარების გაყვანას და „მხედრიონელებისა“ და მათი მეთაურის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას (იქვე:38).

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 29 იანვარს მიღებული კანონით შეიცვალა არმიაში გაწვევის წესი. შეიქმნა შინაგანი ჯარები—ეროვნული გვარდია. გვარდიაში გაიწვეოდა 18-ისა და მეტი წლის ახალგაზრდობა. სულ ნავარაუდევი იყო 12 ათასკაციანი შინაგანი ჯარის შექმნა. ამ მეტად საჭირო პროცესს ხელისუფლებამ სათანადო ხელმძღვანელობა ვერ გაუწია. როგორც ჩანს, იგი შესაფერისად არ აფასებდა შეიარაღებული ძალის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის და მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის თვითდინებაზე მიუშვა. რაც ზ. გამსახურდიასა და მის გარემოცვას ძვირად დაუჯდა. არსებითად, ამან გამოიწვია მათ მიერ ხელისუფლების დაკარგვა.

როგორც ვთქვით, ხელისუფლება ყურადღებით ეპყრობოდა გარდამავალი პერიოდის სამართლებრივი ბაზის შექმნას. მისი არსებობის შედარებით მცირე პერიოდში რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საკმაოდ ბევრი შესწორება კონსტიტუციაში და ორგანული კანონი. ვერ ვიტყვით, რომ ყველა ისინი იურიდიული მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე დონის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდნენ, ანდა სრულყოფილებასთან ახლოს მაინც იდგნენ, მაგრამ მოცემული პერიოდისათვის მათი თუნდაც ამ სახით მიღება მაინც საჭირო იყო.

კანონების მიღების წესი რომ სრულყოფას საჭიროებდა, ეს უზენაესმა საბჭომ თვითონვე აღიარა. 14 ივნისის სხდომაზე აღინიშნა, რომ კანონებისა და სხვა პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ექსპრომტად, წინასწარი განხილვისა და კამათის გარეშე, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება—ამიერიდან კანონების პროექტებს წინასწარ გაცნობოდნენ დეპუტატები და მხოლოდ ამის შემდეგ გაეტანათ სესიაზე დასამტკიცებლად („ახ. ივ.“ 1991:70).

მიღებულ კანონთა შორის აღსანიშნავია: 14 ივნისს დამტკიცებული „კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის შესახებ“, „კანონი საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“, 25 ივლისს—„კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“, 8 აგვისტოს—„კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზირების შესახებ“, „კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ და სხვ.

ამ კანონების შინაარსის გადმოცემასა და ინტერპრეტაციას ჩვენ არ შევუდგებით, რადგან მათი მოქმედების ვადა ძლიერ შეზღუდული გამოდგა. ვფიქრობთ, ისინი საინტერესონი არიან, როგორც ეპოქის დოკუმენტები.

გადასაწყვეტთა შორის ერთ-ერთი მძიმე იყო მიწის საკითხი. ყოველგვარი მატერიალური დატაცების შედეგების გამოსწორებაა შესაძლებელი, მაგრამ, თუ მიწა დატაცების ობიექტი გახდა, ამან ქვეყანა გამოუსწორებელ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს. ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ ამ საკითხის მოუგვარებლობას. მიწის საყოველთაო-საკოლმეურნეო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა ერთბაშად გადასაჭრელი პრობლემა არ იყო. მას ხანგრძლივი დრო და სამართლებრივად კარგად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემა ესაჭიროებოდა. გაზაფხული კი ახლოვდებოდა და მიწას პატრონი არ უჩანდა. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, მთავ-

რობის ნებართვით, დაიწყეს მიწის იჯარით გაცემა. მაგრამ საკუთრების ეს ფორმა ყველასათვის ცნობილი და მისაღები არ იყო. ესეც სოფლად ანარქიის დაწყების მიზეზი გახდა. მიმდინარეობდა მიწებისა და საკოლმეურნეო ქონების მასობრივი განიავება. საკითხი იმანაც გაართულა, რომ ბევრგან გამოჩნდა მიწის ძველ მეპატრონეთა მემკვიდრეები, ისინი თავიანთი უფლებების აღდგენას ითხოვდნენ. ამას შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა. განსაკუთრებით იქ, სადაც ყოველთვის იგრძნობოდა მცირემიწიანობა. პრესის ცნობებით იანვარშივე დაიძაბა ურთიერთობა მოიჯარეებსა და ძველ მეპატრონეთა მემკვიდრეებს შორის ლენტეხის რაიონში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნგრევის პროცესი დაჩქარებით მიმდინარეობდა ზესტაფონის რაიონსა და ზოგიერთ სხვაგანაც („სრ“ 1991:7). ოპოზიცია მთავრობას ბრალდებად უყენებდა მიწის რეფორმის გაუტარებლობას. ზ. გამსახურდიამაც რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ მიწის გასახელმწიფოებრიობა და კერძო საკუთრებად გადაცემა „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციების საპროგრამო მოთხოვნა იყო, მაგრამ ამ საკითხზე საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნება მისმა ხელისუფლებამ ვერარ მოასწრო.

ეკონომიკური ანარქიის კერები მრავლად იყო. ვითარების დაძაბვით გამოირჩეოდა—სამტრედია, ზუგდიდი, ქუთაისი. აქ გახშირდა ტაქსების მძღოლების გატაცებისა და მოკვლის ფაქტები. 20 თებერვალს, მორიგი ასეთი ფაქტის შემდეგ, ქუთაისის მსუბუქი ავტომანქანების სატრანსპორტო საწარმომ გაფიცვა გამოაცხადა. მათ მხარი დაუჭირეს სხვა სატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებმაც. გაფიცულებს დიდი იმედები ვერ აღუთქვეს, რადგან ქუთაისის მილიციის პირადი შემადგენლობის უმთავრესი ნაწილი შიდა ქართლში იყო გაწვეული, რითაც კრიმინალები სარგებლობდნენ (იქვე:36).

ზ. გამსახურდია შექმნილ ვითარებას მარტო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით არ ხსნიდა. მართალია, ამბობდა იგი, ეს კონფლიქტი, ფაქტობრივად, არის ცენტრისა და ოსი ექსტრემისტების ომი საქართველოს წინააღმდეგ და იგი დიდ ძალებს მოითხოვს, მაგრამ ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ ეროვნული კონგრესი და მასში გაერთიანებული პარტიები მოღალატურ გზას ადგანან, რის გამოც დაძაბულობა კიდევ უფრო მატულობს. ამ მხრივ, მისი აზრით, გამოირჩეოდა „ჭანტურიას პარტია, რომელიც უკვე შეეზარდა მხედრიონს“. კრემლის სურვილია გამოიყენოს ადგილობრივი კოლაბორაციონალისტები, მოაწყოს შეიარაღებული აჯანყების იმიტაცია, ამ მიზეზით შემოიყვანოს

საქართველოში დიდი რაოდენობით ჯარი და დაამარცხოს ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (იქვე:38).

იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ მაინც შეესუსტებინა ცენტრის დაწოლა და ეგრძნობინებინა მისი ეკონომიკისათვის საქართველოს რკინიგზის მნიშვნელობა, 12 აპრილს, დასავლეთ საქართველოს რკინიგზაზე, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში დაიწყო გაფიცვა. ხელისუფლებას სურდა ამ გზით დამბლა დაეცა საბჭოთა კავშირის რკინიგზისათვის ადლერიდან როსტოვამდე (იქვე:71). მისი იმედები არ გამართლდა. გაფიცვამ ისედაც დაცემის გზაზე მდგომი საქართველოს ეკონომიკა უფრო დააზიანა, ვიდრე საკავშირო.

არც გამსახურდიას მიერ „მხედრიონთან" დაახლოებულად მოხსენებული გ. ჭანტურია დარჩა „უყურადღებოდ". მის მიმართ ისეთივე ილეთი გამოიყენეს, როგორიც თავის დროზე ზ. გამსახურდიას „მონანიების" პუბლიკაციით მოხდა. 1991 წლის 9 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა გ. ჭანტურიას მიერ 1985 წლის 18 აპრილს საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე მისი პატიმრობის დროინდელი №1083846 საქმიდან ამოღებული, საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება, სადაც იგი წერს: სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დაინტერესებული იყო ჩემი განთავისუფლებით (ისევე, როგორც 1979 წელს, როცა მე დამაპატიმრეს), რადგან მისი მუშაკები ზრუნავენ ქართველი ახალგაზრდობის ბედზე. ქებას ასხამს მათ და აღუთქვამს, რომ „იგი ჩამოყალიბდა საბჭოთა წყობილებასთან პოლიტიკურად სრულიად ლოიალურად განწყობილ პიროვნებად, რომელიც მხოლოდ რელიგიისა და ზნეობის პრობლემებითაა დაინტერესებული" მეორე განცხადებით (21.VI.85) გ. ჭანტურია ითხოვს მიიღონ იზოლატორის სამეურნეო ნაწილში მუშად, რაც მისთვის პირობების გაუმჯობესება იქნებოდა. იმავე დღეს მისი თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და ხელფასი დაუნიშნავთ 70 მანეთის ოდენობით (იქვე:27).

ათიოდე დღის შემდეგ იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ანალოგიური მასალა თამარ ჩხეიძის შესახებ. მის განცხადებაზე წარწერიდან ირკვევა, რომ იგი შეუწყალებია პ. გილაშვილს და ვადაზე ადრე გაუთავისუფლებიათ პატიმრობიდან.

გ. ჭანტურიამ და თ. ჩხეიძემაც უარყვეს მათი განცხადებების სინამდვილე. მაგრამ მასალის ქსეროქსით გადაღებული ასლები იყო გამოქვეყნებული და სიტყვიერი უარყოფა დამაჯერებლად არ გამოიყურებოდა. თანაც მოულოდნელი აქ არაფერი იყო. სტალინისა და

ძერჟინსკის მიერ შექმნილი „კგბ“ ისეთ მზაკვრულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომ 19-20 წლის გამოუცდელი ახალგაზრდები კი არა, ბუზარინი და ზინოვიევი გადაჰყავდა თავის ჭკუაზე და რასაც სურდა, იმას აწერინებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი ჯურღმულებიდან იშვიათად თუ გამოსულა ცოცხალი პატიმარი, რომელიც ამ ჯოჯოხეთური ორგანოს საიდუმლო აგენტი არ გამხმარიყოს. გ. ჭანტურია, თ. ჩხეიძე და თვით ზ. გამსახურდიაც, რატომ იქნებოდნენ ამ მხრივ გამონაკლისი. ღმერთმა ჰქნას, რომ ჰყოფილიყვნენ!

ხელისუფლება დაადგა ცენტრიდან იზოლაციის კურსს. 1990 წლის 31 დეკემბრიდან შეწყდა პროგრამა „ვრემიას“ ტრანსლაცია საქართველოს ტელევიზიით. შემცირდა ცენტრალური გაზეთების ბეჭდვა თბილისში, უარი ეთქვა სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერას. როცა ამ ხელშეკრულების ხელმომწერი რესპუბლიკების რიცხვი შემცირდა, მდგომარეობიდან გამოსასვლელად საკავშირო მთავრობამ, სსრ კავშირის შენარჩუნების მიზნით, გამოაცხადა რეფერენდუმის ჩატარება. იგი დანიშნული იყო 17 მარტისათვის. 25 თებერვალს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე, რეფერენდუმი არ ჩატარდებოდა („სრ“ 1990:43). ბოიკოტი არ შედგა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. აქ, ძირითადად, ქართულმა მოსახლეობამ შეიკავა თავი ხმის მიცემაში მონაწილეობისაგან. სხვებს კი, რეიტერის სააგენტოს ცნობით, სამხედროების თანდასწრებით აყრევინებდნენ ბიულეტენებს საარჩევნო ყუთებში (იქვე:53). დიდი დარღვევებით ჩატარდა 17 მარტის რეფერენდუმი აფხაზეთშიაც. რადგან ქართულმა და ნაწილობრივ არაქართულმა მოსახლეობამ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდის მიზნით, აფხაზთა დიდი ჯგუფები მანქანებით გადაჰყავდათ და ხმა ერთსა და იმავე ხალხს რამდენიმე საარჩევნო უბანში მიაცემინეს (იქვე).

11 მარტის დადგენილებით კი 31 მარტისათვის რეფედენდუმი დაინიშნა საქართველოს მასშტაბით, რომელსაც უნდა განესაზღვრა მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი (იქვე:48). რეფერენდუმის ჩასატარებლად საარჩევნო სიებში შეტანილი იყო 3657477 კაცი. მონაწილეობა მიიღო 3302572-მა. დადებითი ხმა („დიახ“) მისცა 3266286-მა ამომრჩეველმა. უარყოფითი პასუხი იყო მხოლოდ 17400. საყურად-

ღებოა, რომ მიუხედავად აფხაზეთის ხელისუფლების წინააღმდეგობისა, სოხუმსა და აფხაზეთის სხვა რეგიონების რეფერენდუმის სიაში შეყვანილი 340400-ზე მეტი ამომრჩევლიდან რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 62-მა პროცენტმა (იქვე:64).

ზ. გამსახურდია ცენტრისაგან მხოლოდ სახელმწიფოებრივი იზოლაციის კურსს კი არ იცავდა, არამედ თავმომწონედ აცხადებდა: „კრემლის ზღურბლს მხოლოდ მაშინ გადავაბიჯებ, როცა თავისუფალი საქართველოს მოქალაქე ვიქნებიო" („სრ" 1991:36). მაგრამ მას ამ სიტყვის გატეხვა არაერთხელ მოუხდა. ერთ-ერთი ასეთი განცხადებიდან მეხუთე დღეს, 1991 წლის 15 მარტს, მოსკოვის ამერიკის საელჩოში შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯ. ბეიკერს და იქ 10 წუთიანი სიტყვაც წარმოთქვა. გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" (№53) ამის დამადასტურებელი ინფორმაცია და ფოტოსურათიც კი გამოაქვეყნა. კვლავ ამერიკის საელჩოს მიწვევით, ახლა უკვე სამი დღით (2, 3 და 4 ივლისს), იგი მოსკოვში იმყოფებოდა შეერთებული შტატების თავისუფლების დღესასწაულთან დაკავშირებით. მან იქ პრესკონფერენცია მოაწყო. როცა ჰკითხეს, რატომ შეიცვალეთ პოზიციაო, განმარტა, რომ მას კრემლში შესვლაზე აქვს უარი ნათქვამი. ბევრისათვის გაუგებარი დარჩა—რა პრინციპული განსხვავებაა კრემლსა და მოსკოვს შორის.

რამდენიმე დღის შემდეგ, 9 და 10 ივლისს, ზ. გამსახურდია, ოფიციალურად, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, რუსეთის დედაქალაქს ეწვია ბ. ელცინის მიწვევით. იგი ესწრებოდა რუსეთის უზენაესი საბჭოს საზეიმო სხდომას, რომელზედაც პრეზიდენტად არჩეულმა ბ. ელცინმა ფიცი დასდო. ალბათ, არც ეს ითვლებოდა კრემლში ყოფნად.

ზემოთ ჩვენ უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივ აქტთა შორის არ დაგვისახელებია 29 იანვარს დამტკიცებული კანონი კონსტიტუციაში ადგილობრივი მმართველობის სისტემაში შეტანილ ცვლილებათა შესახებ. ამ ცვლილებებით სახალხო დეპუტატთა საბჭოების მაგივრად შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები—საკრებულოები. ეს ორგანოები ირჩეოდა 3 წლით. რაიონებისა და რესპუბლიკების დაქვემდებარების ქალაქების საბჭოებს სათავეში ედგა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული ძლიერ ფართო უფლებამოსილების მქონე პრეფექტი, ხოლო ქალაქის რაიონებს, თემებს, სოფლებს და დაბებს

გამგეობა ან გამგებელი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნები ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს.

31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, რომელსაც დეპუტატებმა საზეიმოდ მოაწერეს ხელი. ცერემონიული თვალსაზრისით, ეს იყო განმეორება 1918 წლის 26 მაისს ჩატარებული მსგავსი ღონისძიებისა, როცა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“. შინაარსობრივი და დანიშნულების თვალსაზრისით, ამ ორ დოკუმენტს შორის სხვაობა სათაურშიაც კი აისახა. 1918 წლის 26 მაისის აქტი უფრო საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე ვითარებით იყო განპირობებული. თურქეთის არმია თბილისიდან 60 კმ-ზე იდგა და მის შესაკავებლად ამიერკავკასიის მთავრობას სამხედრო ძალა არ გააჩნდა. ბათუმში მყოფ ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციას თურქებმა 26 მაისს სამდღიანი ულტიმატუმი წაუყენეს. ულტიმატუმს შეიძლებოდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობა დაპირისპირებოდა. ასეთსავე რჩევას აძლევდა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში მხარდაჭერას პირდებოდა მოლაპარაკებაში ქართველ მონაწილეებს გერმანიის დელეგაციის მეთაური ბათუმის კონფერენციაზე გენერალი ფონ ლოსევი, რომელმაც თურქებთან უთანხმოების გამო 25 მაისს დატოვა ბათუმი და ფოთში იმყოფებოდა. ასეთმა აუცილებლობამ განსაზღვრა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ მიღება. ეს ვითარება აისახა კიდეც ამ დოკუმენტში. კერძოდ, მის პრეამბულაში ნათქვამია: „ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოს შექმნას აუცილებელ საჭიროებას გადაჭრით უკარნახებს, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საფუძველი ჩაუყაროს“.[1]

რაც შეეხება 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ დოკუმენტს, იგი არის არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დეკლარაცია, არამედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მასში ხაზგასმულია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო „აღდგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღ-

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, 1990, გვ. 5.

დგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე" („სრ" 1991:70). ე.ი. წინამავალი დოკუმენტი გამოცხადებულია სამართლებრივ საფუძვლად. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ახალ აქტში საფუძველდამდებად ცხადდება. იქ ისიცაა ნათქვამი, რომ „საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად".

ამ დოკუმენტებში ის სხვაობაც არის, რომ თუ 1918 წელს მიღებულ აქტში XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტა ახსნილია საქართველოს თავისი ნებით რუსეთთან შეერთებით, 1991 წლის დოკუმენტი იმით იწყება, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად" (იქვე).

როგორც ვთქვით, ორივე აქტის სათაურებში არსებულ განსხვავებასაც კი გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. ახალი დოკუმენტი აღიარებს არა უბრალოდ დამოუკიდებლობას, არამედ იგი არის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დადასტურება, ე.ი. აქ მსჯელობა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას კი არ შეეხება, არამედ ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად გაუქმებული დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამიტომ აქ აღარაა განმეორებული ის პოსტულატი, რაც 1918 წლის აქტში პუნქტებადაა ჩამოთვლილი (მაგ., პოლიტიკური წყობილების სახე დემოკრატიული რესპუბლიკა, საერთაშორისო კონფლიქტებში ნეიტრალიტეტის დაცვა და სხვ.), მაგრამ მტკიცედაა გამოცხადებული ქართველი ერისათვის მუდმივად მტკივნეული ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. „საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია, ნათქვამია აქტში,—ყოველი მოქმედება მიმართული...ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად" (იქვე).

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი" შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, გაერთია-

ნებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის კონფერენციების საბოლოო აქტებს, და, როგორც საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული დოკუმენტი, სრულყოფილად გამოხატავდა ქართველი ხალხის ნებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ აქტის ხელმოწერის დღესვე მიიღო დადგენილება რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესების შესახებ. ამ გადაწყვეტილებამ ოპოზიციის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საყვედურები გამოითქმოდა იმის გამო, რომ პრეზიდენტს ჯერ უზენაესი საბჭო ირჩევდა და შემდეგ უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით არჩევნები. მაგრამ ყოველგვარი კრიტიკა უგულვებელყოფილ იქნა და 14 აპრილს უზენაესმა საბჭომ ერთხმად აირჩია ზ. გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად[1] („სრ“ 1991:73).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის განთავისუფლებული პოსტი დაიკავა აკაკი ასათიანმა.

პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები დაინიშნა 26 მაისისათვის. წამოყენებული კანდიდატებიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 6 პიროვნება: ზ. გამსახურდია, ვ. ადვაძე, ნ. ნათაძე, ირ. შენგელაია, ჯ. მიქელაძე, და თ. კვაჭანტირაძე. არჩევნების ბედი წინასწარვე იყო გადაწყვეტილი ზ. გამსახურდიას სასარგებლოდ. იგი, რომ უკვე მოქმედი პრეზიდენტი არ ყოფილიყო, მაინც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მოიგებდა არჩევნებს, ვინაიდან სხვა კანდიდატები, რაიმე პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ და ამომრჩეველთა შორის დასაყრდენი არ ჰქონდათ. ეს მათ თვითონაც იცოდნენ, მაგრამ მაინც ვარაუდობდნენ, რომ ხუთივე იმდენ ხმას მაინც მოაგროვებდა, ზ. გამსახურდიას პირველსავე ტურში გასვლას შეუშლიდა ხელს. ეს იმედიც ფუჭი აღმოჩნდა.

26 მაისს ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ასეთი იყო: საარჩევნო სიებში შეიტანეს 3604810 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობდა 2978247 კაცი (86,5%). ზ. გამსახურდიამ დააგროვა 2565362 ხმა (86,5%), ვ. ადვაძემ—240243 (7,8%), ჯ. მიქელაძემ—51717

[1] ზოგჯერ შეცდომით თვლიან და წერენ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია იყო. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. დემოკრატიულ საქართველოში არც ადრე და არც კონსტიტუციით პრეზიდენტის ინსტიტუტი დაწესებული არ ყოფილა. ნ. ჟორდანია მთავრობის თავმჯდომარე იყო, პირველ პირს წარმოადგენდა საბელმწიფოში და, რადგან ფრანგულ ენაზე თავმჯდომარე პრეზიდენტად ითარგმნებოდა, ნ. ჟორდანიასაც ზეპირ საუბარში პრეზიდენტს ეძახდნენ, რაც ამ შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარეს ნიშნავდა. ე.ი. საქართველოს ოფიციალური პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გახლდათ.

(1,6%), ნ. ნათაძემ—36268 (1,2%), ირ. შენგელაიამ 26886 (0,8%), თ. კვაჭანტირაძემ—8553 ხმა (0,3%). ე.ი. ყველა სხვა კანდიდატმა მოაგროვა ხმების მხოლოდ 13,5 პროცენტი. ზ. გამსახურდიამ, სპორტული ტერმინოლოგიით თუ შევაფასებთ, გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო მოწინააღმდეგეებს.

განდევნის შემდეგ „87 პროცენტით არჩეული პრეზიდენტის" დაბრუნება მისი მომხრეების ხელჩასაჭიდ და კანონიერების დამამტკიცებელ არგუმენტს წარმოადგენდა.

მაისის შუა რიცხვებში გადაწყდა აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების 23 ივნისისათვის ჩატარებაც. ამას წინ უძღოდა რამდენიმე ინციდენტი. 22 აპრილს გაიტაცეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აჭარის უზენაესი საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს თ. ხახვას. ეს აქცია აჭარის მოსახლეობის ერთ ნაწილში გაგებულ იქნა, როგორც ავტონომიის მომხრეთა დაშინების ცდა „ავტონომისტებმა" ისარგებლეს მდგომარეობის გამწვავებით და მომიტინგეთა ძალისხმევა აჭარის ავტონომიის შენარჩუნების მიმართულებით წარმართეს.

იმ დღეებში გამართულ უზენაესი საბჭოს სესიაზე დეპუტატმა თ. დიასამიძემ „მრგვალი მაგიდის" რეგიონალური ორგანიზაციები აჭარაში შექმნილ რთული ვითარებაში დაადანაშაულა. მისი თქმით: „წყალში ჩაიყარა უკანასკნელ 4 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგები, რის გამოც გაძლიერდა ავტონომისტური ტენდენციები" („ახ. ივ." 1991:30). ეს განცხადება არსებული ვითარების სწორ შეფასებას წარმოადგენდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აჭარის საზოგადოებრიობაში ავტონომიის შენარჩუნების მომხრე ძალები ისედაც ძლიერი იყო. ავტონომიის გაუქმება განსაკუთრებით არ აწყობდა რესპუბლიკის მმართველობაში მოკალათებულ მრავალრიცხოვან ფუნქციონერებს, რომლებიც ამის გამო უდიდეს პრივილეგიებსა და უზრუნველ ცხოვრებას უნდა გამომშვიდობებოდნენ.

23 ივნისს ჩატარდა დანიშნული არჩევნები აჭარაში. საარჩევნო სიებში შეიტანეს 228749 ამომრჩეველი. ხმის მიცემაში მონაწილეობდა 137817 კაცი (60,2%). შეჯამებული მონაცემებით „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველოს" ბლოკმა მიიღო ხმების 47,51%, „აჭარამ"—19,31%, საქართველს დამოუკიდებელმა კომპარტიამ—17,57% და ა.შ.

15 ივლისს გაიმართა ახლადარჩეული აჭარის უზენაესი საბჭოს პირველი სესია. მას ესწრებოდა პრეზიდენტი ზ. გამსახურდია. მისი მხარდაჭერით აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს

ასლან აბაშიძე, რომელიც ადრე ჯერ პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი იყო, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

ყოფილ სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა და „კანონების ომიდან" საომარ მოქმედებაში გადაზრდის საფრთხით იმუქრებოდა.

7 იანვარს სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება. მან ძალადაკარგულად ჩათვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ცხინვალისა და ჯავის რაიონებში საგანგებო წესების შემოღების შესახებ და დაავალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ხუთ დღეში გამოეყვანა საგანგებო წესების ზონის რაიონიდან თავისი შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ძალები, ეცნობებინა მისთვის ნორმალიზაციის მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ („სრ" 1991:5).

ამ მხარდაჭერით აღფრთოვანებულმა ოსმა ექსტრემისტებმა საგანგებო ვითარების ზონაში დესტაბილიზაცია წამოიწყეს, თავს დაესხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს. დაიჭრა 7 კაცი. მათგან ორი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა (იქვე).

მ. გორბაჩოვის ბრძანებულების საპროტესტოდ 8 იანვარს თბილისში მთავრობის სახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. 9 იანვარს კი საგანგებო სესიაზე შეიკრიბა უზენაესი საბჭო.

სესიამ მიიღო დადგენილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად სცნო სსრ კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება. ეს დოკუმენტი მიჩნეულია საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეში უხეშ ჩარევად. და, თუ სსრ კავშირის შინაგანი ჯარები შეეცდებიან ცხინვალის რეგიონში მოქმედი ქართული მილიციის ქვეგანაყოფების იქედან გამოძევებას, „ეს ქმედება შეფასებული იქნება, როგორც ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება", აცხადებდა უზენაესი საბჭო (იქვე:6).

მ. გორბაჩოვის საშობაო ბრძანებულების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა არა მარტო ქართველმა მოსახლეობამ, არამედ საქართველოში მცხოვრებმა ოსი ეროვნების მოქალაქეებმაც. მთავრობის სახლის პირველ სართულზე შიმშილობის აქცია მოაწყო 15 ოსმა მოქალაქემ. ქ. გორში, აღმასკომის შენობასთან შეიკრიბა 8 ათასზე მეტი კაცი. მათ

მხარი დაუჭირეს ოსი ეროვნების 12 მოქალაქეს, რომლებმაც უვადო შიმშილობა გამოაცხადეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებათა მხარდასაჭერად (იქვე:7).

ამავე მიზეზით, ასეთივე აქცია 10 იანვრიდან მიმდინარეობდა მოსკოვშიც, საქართველოს წარმომადგენლობაში. იქ შიმშილობდა 40 კაცი („სრ“ 1991:12). ცხინვალში კი აშკარად „შთაგონებული“ „ადამონ ნიხასის“ აქტივისტები 8 და 9 იანვარს განაგრძნობდნენ ქართულ მილიციასა და მოსახლეობაზე თავდასხმებს. არ ინდობდნენ ისეთ მშვიდობიან დაწესებულებებსაც კი, როგორიც სკოლებია. 8 იანვარს მათ დაწვეს მე-4 ქართული სკოლა. 11 იანვარს საქინფორმი იუწყებოდა: „ქალაქი თითქოს ჩამკვდარა. არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტროლეიბუსების ბარიკადებია აღმართული ქუჩაში, შეჩერებულია პრაქტიკულად ყველა საწარმოს, დაწესებულებების, სასწავლებლისა და სავაჭრო ობიექტების მუშაობა“ („სრ“ 1991:7).

12 იანვარს ქართულმა მილიციამ ისარგებლა შედარებითი სიმშვიდით და დაიწყო ბარიკადების დაშლა. ექსტრემისტებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. ქართველები ჯავშანტრანსპორტიორებით იყვნენ დაცულნი. ამიტომ უმსხვერპლოდ გადარჩნენ. ტრაგიკული შედეგებით დამთავრდა ქ. ცხინვალში ქართველ მილიციელებზე თავდასხმა. 17 იანვარს დაიღუპა ორგანოს ორი მუშაკი. სროლა და აფეთქებები გრძელდებოდა.

ქართველ მილიციელებს განიარაღება მოუნდომა სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანყოფმაც. ამ მიზნით ისინი შეეცადნენ ცხინვალის კომენდატის გენ. გ. კვანტალიანის იზოლაციას და პატრული დაუყენეს მას. ოპერაციას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ვ. პუზირნი, ქართველები არ დანებდნენ. ცდა უშედეგო გამოდგა (იქვე:35).

მიღწეული შეთანხმებების მიხედვით, 22 იანვარიდან ქ. ცხინვალში ბარიკადები უნდა აეღოთ. ექსტრემისტებმა სიტყვა გატეხეს. ამ დღეს, 4 საათზე, მათ ყველა კუთხიდან შეუტიეს მილიციელთა პოზიციებს. შეტაკებამ ნამდვილი სამხედრო ოპერაციის სახე მიიღო (იქვე:17).

17 იანვარს თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისია ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნიშანოვის მეთაურობით. კომისიაში შედიოდნენ სახალხო დეპუტატები—ვ. შეხოვცევი, ლ. გორშკოვი და ნ. ნიმბუევი. მათ დავალებული ჰქონდათ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობის შესწავლა. რ. ნიშანოვმა განაცხადა, რომ ავტონომიური ოლქის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომპეტენციაა

(იქვე:13). მიუხედავად ამისა, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 24 თებერვალს გადაწყვიტა საგანგებო მდგომარეობა შემოეღო სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე. იგი უნდა განეხორციელებინა საკავშირო შინაგან ჯარებს (იქვე:38).

საქართველოს ხელისუფლებამ უარყო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ცენტრის მხარდაჭერით გათამამებული ოსი ექსტრემისტები ცხინვალელი ქართველების აწიოკებას არ სჯერდებოდნენ და მეზობელ ქართულ სოფლებსაც ესხმოდნენ თავს. 8 თებერვალს შეიარაღებულმა 30-მა ცხინვალელმა ოსმა შეუტია სოფ. თამარაშენს. ქართული მილიციის ქვეგანაყოფმა მოიგერია ისინი (იქვე:28).

ცხინვალსა და სამაჩაბლოში გრძელდებოდა ნამდვილი საომარი მოქმედება. 7 მარტს ქართული მილიციის მუშაკებმა მოიგერიეს ოს ექსტრემისტა მორიგი შეიარაღებული თავდასხმა. ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს სოფ. აჩაბეთისა და მონასტრის მცხოვრებლებს. დაიღუპა რამდენიმე კაცი. ქართველი მოსახლეობაც უპასუხოდ არ ტოვებდა მომხვდურების თავდასხმებს. სოფ. კეხვის შეიარაღებულმა მოსახლეობამ, ქალმა და კაცმა ერთმანეთს შეფიცეს, ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ლულადამიზნებულ ჯავშანტრანსპორტიორს წინ გადაუდგნენ. ქვეგანაყოფის მეთაურმა მაიორმა ვერ გაბედა ესროლა მათთვის. კეხველებმა ოსებს წაართვეს იარაღი, ტყვია-წამალი და მანქანები. ჯავშანტრანსპორტიორებში ჩამალული ექსტრემისტები სოფ. თამარაშენში ჩააბარეს შტაბს („სრ“ 1991:50).

მაგრამ საქმე ყოველთვის ასეთი შედეგით როდი მთავრდებოდა. ოსი სეპარატისტების ქმედებით ყოფილ ოლქში მოშლილი იყო კავშირურთიერთობის საშუალებანი. მოსახლეობას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია და წყალი, არ მუშაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საწარმოები და ორგანიზაციები. მწვავე კრიზისი სუფევდა სურსათით მომარაგებაში. ლტოლვილები გარბოდნენ სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა რეგიონში. ამიტომ მათი რიცხვის დადგენა შეუძლებელი გახდა. მარტო ივ. მაჩაბლის საზოგადოებას თებერვლის პირველი დეკადისათვის აღრიცხული ჰყავდა 7000 ლტოლვილი ოჯახი (იქვე:28).

ოს ექსტრემისტებს ცენტრი ფარულ დახმარებას რომ უწევდა, ეს საეჭვო აღარ იყო, მაგრამ ზოგჯერ ასეთი დახმარება ცუდად იყო შენიღბული და ზედაპირულადაც კი ჩანდა. გატაცების რეალური საფრთხის გამო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ცხინვალის, ყორნისის და ახალგორის რაიონული ბანკებიდან ფულადი

ნიშნები თბილისში გადაიტანეს. ჯავის ბანკიდან კი არ მოხერხდა. აქედან რამდენიმე დღის შემდეგ, 25 მარტს, ოსეთის უფულობით შეშფოთებულმა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობამ ცხინვალში შემოიტანა 15 მილიონი მანეთი. ასეთი ზრუნვის შედეგი იყო, რომ ოსი ექსტრემისტები საუცხოოდ იყვნენ შეიარაღებულნი. აღჭურვილობის წყაროს დადგენა ძნელი არ იყო. მაგალითად, ოსები იყენებდნენ ტანკსაწინააღმდეგო უმართავ ჭურვებს („ნურსებს"), რომელიც მათ მხოლოდ ცხინვალში დისლოცირებულ ვერტმფრენთა პოლკიდან შეიძლება მიეღოთ.

ამ საქმეში სახელი გაიტეხა რუსეთის ჯარების ოპერატიული ჯგუფის უფროსმა პოლკ. ვ. პუზირნიმ. ეს იმდენად აშკარა იყო, რომ იგი შეცვალეს ვლ. ჟიბკოთი (იქვე:48). მაგრამ ამით რუსი სამხედროებისა და ქართველების დამოკიდებულებაში დადებითი ხასიათის გარდატეხა არ მომხდარა. ასეთი არც იყო მოსალოდნელი, რადგან რეფერენდუმის შედეგებით უკმაყოფილო ცენტრმა საქართველოს მიმართ დამოკიდებულება გაამკაცრა. ცხინვალში კი მიიღეს მ. გორბაჩოვის გამამხნევებელი დეპეშა. ამით აღფრთოვანებულებმა ოსებმა და რუსმა სამხედროებმა გაახშირეს თავდასხმები ქართულ სოფლებზე, მოსახლეობასა და მილიციაზე. მათი აგრესიულობის გაზრდას დიდად შეუწყო ხელი ცხინვალში საბჭოთა ჯარების დამატებითი კონტიგენტის შემოყვანამ. 4 აპრილს ცნობილი გახდა—შემოიყვანეს 1500 ჯარისკაცი და 51 ჯავშანტრანსპორტიორი (იქვე:66).

18 მარტს ხეით-ერედვის სათადარიგო გზაზე ოსი ტერორისტები თავს დაესხნენ თამარაშენის მცხოვრებლებს: მერაბ მინდიაშვილს, ვახტანგ ელბაქიძეს, ზვიად ხეთერელს. ხეებზე მიაკრეს ისინი, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს (იქვე:53).

მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორების ერთგვარი იმედი დაისახა ზ. გამსახურდიასა და რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ. ელცინის 23 მარტის შეხვედრის შემდეგ. ეს შეხვედრა შედგა ყაზბეგში. მიღწეული შეთანხმების მიხედვით: 1. რუსეთისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს 10 აპრილამდე უნდა შეექმნათ მილიციის გაერთიანებული რაზმები ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკანონო ფორმირებების განსაიარაღებლად; 2. შედიოდნენ წინადადებით სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში ყოფილი აო-ის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანის თაობაზე; 3. შექმნილი კომისიებისა და რაზმების

საბოლოო ამოცანად ითვლებოდა რეგიონში მშვიდობის დამყარება („სრ“ 1991:58).

ასეთ შეთანხმებას არ შეიძლებოდა კმაყოფილება არ გამოეწვია საქართველოში, მაგრამ თვით რუსეთში სხვაგვარად ფიქრობდნენ. რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობამ 31 მარტს მიიღო საქართველოს მიმართ დისკრიმინაციული დადგენილება. დოკუმენტი იმპერატიული კილოთი იყო დაწერილი და საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენდა.

ამ დადგენილების მიღების მეორე დღეს—1 აპრილს, სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ განიხილა საკითხი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“. მათი დადგენილებაც წამქეზებლურ სტიმულატორს წარმოადგენდა სამხრეთელი ოსებისათვის. ამ ორ დოკუმენტს შედეგად მოჰყვა ქართველთა მასობრივი გამოძევება სამაჩაბლოდან, რაც ხშირ შემთხვევაში ადამიანთა მსხვერპლით მთავრდებოდა.

10 აპრილს, ცხინვალში განლაგებული ქართული მილიციისა და მიმდებარე ქართული სოფლების მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს ჯავშანტრანსპორტიორებზე ამხედრებულმა სსრ კავშირის შინაგანი ჯარების მებრძოლებმა. მათ განაიარაღეს სოფლებში—ერედვში, თამარაშენში, აჩაბეთსა და კეხვში მყოფი მილიციის ქვეგანაყოფები. ცხინვალის სამხედრო კომენდანტს თენგიზ ეპიტაშვილს[1] განუცხადეს, რომ იმ დღიდან ისინი გააკონტროლებდნენ ქალაქში შესვლა-გამოსვლის მსურველებს, რასაც აქამდე ქართული მილიცია ახორციელებდა. ამ აქციით ფრთაშესხმული ოსი „ბოევიკები“ არნახულად გააქტიურდნენ. მაგრამ ისინი ჯერჯერობით ყოფილი ოლქის ტერიტორიას არ სცილდებოდნენ. საბჭოთა სამხედროები ყველგან აულაგმავად გრძნობდნენ თავს. 11 აპრილს ისინი 12 ჯავშანტრანსპორტიორით შეიჭრნენ ქარელის რაიონის სოფ. დვანში. სამოქალაქო დანიშნულების შენობებთან ერთად მათ დაანგრიეს და დალეწეს წმ. გიორგისა და წმ. სამების ეკლესიები (იქვე:71).

ასეთ სატანურ საქმეში სამხედროებს ოსი „ბოევიკებიც“ არ ჩამორჩნენ. მათ მიზანში უფრო მნიშვნელოვანი ობიექტი ამოიღეს. ეს გახლდათ მდ. ლიახვის შუა წელზე მდებარე მთელ საქართველოში

[1] მან, როგორც პროფესიონალმა სამხედრომ, ერთი თვის წინათ, სამხედრო კომენდანტის პოსტზე შეცვალა გ. კვანტალიანი („სრ“ 1991:51) ისიც დიდხანს არ დარჩენილა ამ თანამდებობაზე. აპრილის შუა რიცხვებში მას მაგიერად დაინიშნა პოლკოვნიკი შაქრო წინწკილაძე (იქვე:81).

სახელგანთქმული გერის წმ. გიორგის ეკლესია. მართლმადიდებელი რუსების მიერ წაქეზებულმა მართლმადიდებელმა ოსებმა იგი ააფეთქეს და მიწასთან გაასწორეს (იქვე:81).

ოსი ერისათვის თითქოს დამუქრებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ცხინვალში ცენტრის ძალისხმევით აპრილის შუა რიცხვებში შეიქმნა ე.წ. „ეროვნული ხსნის“ კომიტეტი. იგი აყალიბებდა ცალკეულ სტრუქტურებს და ნიშნავდა_თანამდებობის პირებს. ამ უკანონო კომიტეტის მიერ უკანონოდ დანიშნულმა პროკურორმა არონ ფუხაევმა დააპატიმრებინა 16 უდანაშაულო ქართველი მოქალაქე, ხოლო ადრე დაპატიმრებული 31 ოსიდან 30 გაათავისუფლა.

ამაზე ადრე ქართულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა დააპატიმრეს ოსური სეპარატიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ლიდერი ტორეზ ყულუმბეგოვი. იგი თბილისის იზოლატორში ჩასვეს (იქვე:49). ეს ოსი ექსტრემისტებისათვის დიდი ძალის გამოცლას წარმოადგენდა.

მიუხედავად ცენტრის მხარდაჭერისა, ოსმა სეპარატისტებმა ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გადაკეთებისათვის ბრძოლა პირწმინდად წააგეს. 1991 წლის ზაფხულში მათ ამ მხრივ ტაქტიკური მოქმედება ნაწილობრივ შეცვალეს—გააუქმეს თვითნებურად შექმნილი რესპუბლიკა და ახლებური ტიპის ოლქის შექმნა გამოაცხადეს. თანაც, იგი რსფსრ-ის შემადგენლობაში შეიყვანეს („სრ“ 1991:145).

საქართველოს ხელისუფლებისათვის საქმის ასეთი შემობრუნება სრულიად მიუღებელი იყო. მან ელცინ-გამსახურდიას ყაზბეგის შეხვედრის შესაბამისად, მიაღწია თვითგამოცხადებული ოლქის იურიდიული საფუძვლების დასადგენად, სსრ კავშირის, რუსეთისა და საქართველოს უზენაესი საბჭოების დეპუტატებისაგან შედგენილი კომისიის შექმნას. კომისიამ შეისწავლა საკითხის არსი და გამოიტანა დასკვნა, რომ ოლქის გაუქმების თუ აღდგენის პრეროგატივა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეკუთვნის (იქვე). ამის შემდეგ რეგიონში ერთგვარი სტაბილიზაციის იმედები გაჩნდა. თუმცა ოსი სეპარატისტები სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს კვლავ მიმართავდნენ ახალი კომისიის შექმნის მოთხოვნით. ოსური სეპარატიზმის მაშინდელი ლიდერი ზნაურ გასიევი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ მოწყობილ ტერორს „ოსურ ეროვნულ მოძრაობას“ უწოდებდა და მისი გაღრმავებით იმუქრებოდა. სეპარატიზმი იმის სეპარატიზმია, რომ მის ადეპტებს არ ესმით—ერთი ხალხის ექსტრემისტული ნაწილის ბრძოლა მეორე ხალხის მშვიდობიანი მოქალაქეების გასა-

ნადგურებლად, ეროვნული მოძრაობა კი არა, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია და საერთაშორისო სამართლით მკაცრად ისჯება. საბუთები კი სამსჯავროზე ამ დანაშაულის ჩამდენთა გასაყვანად საჭიროზე მეტი არსებობდა—ნ-თეიანი კონფლიქტის მანძილზე ცხინვალიდან, ყორნისიდან და სამაჩაბლოს სხვა ადგილებიდან თითქმის მთლიანად გამოდევნეს ქართული მოსახლეობა, უამრავი სოფელი დაარბიეს, მცხოვრებთა ნაწილი ამოჟლიტეს, ნაწილიც დაასახიჩრეს.

ვითარება კიდევ უფრო გაუარესდებოდა, მაგრამ სსრ კავშირში ზაფხულში განვითარებული ცნობილი მოვლენების (მათ შესახებ ქვემოთ მოგვიწევს საუბარი) გაელენით, ცენტრმა ვეღარ მოიცალა იმისათვის, რომ ძველებური დახმარება აღმოეჩინა ოსი ექსტრემისტებისათვის და სამაჩაბლოში დაძაბულობა ნაწილობრივ შენელდა.

კონფლიქტის ახალი ესკალაცია დაუკავშირდა საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ვითარების დაძაბვას. კვლავ შეუძლებელი გახდა შიდა ქართლის გზებზე მსუბუქი მანქანებისა და ავტობუსების მოძრაობა, თუ მათ არ აცილებდათ ჯავშანტრანსპორტიორები. ასეთი ესკორტის შოვნა საკმაოდ ძნელი იყო, თუმცა ესეც უსაფრთხოებას არ ნიშნავდა.

ოს ექსტრემისტებს ახალი დამცველი გამოუჩნდა რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რ. ხასბულატოვის სახით. იგი აცხადებდა, რომ ჩრდილოეთ ოსეთში სამხრეთიდან გადასულია 100 ათასი ლტოლვილი (რაც სრულიად წარმოუდგენელია. ასეთ შემთხვევაში შიდა ქართლში არც ერთი ოსი არ უნდა დარჩენილიყო. აქ კი მაშინ მოსახლეობის კლება არ შეიმჩნეოდა), რომელთა შენახვისთვისაც დახარჯულია ფანტასტიკური თანხა—80 მილიონი მანეთი და მოითხოვდა ეს ხარჯები საქართველოს აენაზღაურებინა (იქვე: 216).

რ. ხასბულატოვის წაქეზებით რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ 1 ნოემბერს წინადადება მისცა საქართველოს ხელმძღვანელობას „მიეღო სასწრაფო შეთანხმებული ღონისძიებანი“ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის გადასწყვეტად და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად, ე.ი. რუსეთის წარმომადგენლობითი ორგანო არ სთმობდა „უფროსი ძმისა“ და ჭკუისმასწავლებლის როლს.

ოსურ სეპარატიზმს კონფლიქტის მსვლელობაში რამდენჯერმე მოუხდა თავისი შეხედულებების შეცვლა. როცა შეუძლებელი გახდა, შიდა ქართლის მათ ისტორიულ სამშობლოდ აღიარება, ოსმა ექ-

სტრემისტებმა აიტაცეს აკადემიკოს ვასილ აბაევის თეზისი—„მიწა იმას ეკუთვნის, ვინც მასზე ცხოვრობს“. თავდაპირველად მათ ვერ განსაზღვრეს, რომ მათთვის არც ეს „თეორია“ წარმოადგენდა ხელსაყრელს, ვინაიდან ყოფ. სამხ. ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე თვით ოსები ქ. ცხინვალსა და ჯავაში იყვნენ თავმოყრილი. ცხინვალისა და ახალგორის რაიონებში მათ რიცხობრივად ქართული მოსახლეობა ჭარბობდა. ყორნისის (ყოფ. ზნაურის) რაიონში კი თანაბარი რაოდენობისანი იყვნენ. საკითხავია, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების შემთხვევაში სად უნდა გავიდეს ამ სახელმწიფოს საზღვარი საქართველოსთან? თვით ქ. ცხინვალიც ხომ 10-15 კმ-ის მანძილზე ქართული სოფლებითაა გარშემორტყმული. რა უნდა ვუყოთ ათეულობით ამ ქართულ სოფელს. ისინიც ჩრდილოეთ ოსეთს შევუერთოთ?

ამ კითხვებზე ოსმა სეპარატისტებმა ის პასუხი „გამონახეს“, რომ ქართველების გამოდევნა დაიწყეს მათი ოდინდელი საცხოვრისიდან და ამით დემოგრაფიული ვითარების შეცვლა მოინდომეს. ნაწილობრივ ეს მათ კიდეც შეძლეს. 1997 წლიდან კი დაიწყო ლტოლვილთა უკან დაბრუნების პროცესი. მართალია, დაბრუნებულთა რიცხვი ჯერჯერობით უმნიშვნელოა, მაგრამ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით, ეს პროცესი შეუქცევადი გახდება და იგი შიდა ქართლის საქართველოსათვის დაბრუნების საფუძვლად გადაიქცევა. დასანანია, რომ ეს ძლიერ მნიშვნელოვანი არგუმენტი ოსეთის თვითმარქვია ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროის ოფიციალურ მასალებში არ იხსენიება.

1991 წლის 26 ნოემბერს კვლავ ცვლილებები მოხდა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ მოწყობაში. ამ დღეს შედგა ე.წ. „უმაღლესი საბჭოს“ სესია. დაადგინეს თვითმარქვია სახელმწიფოს ახალი სახელწოდება—„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ (იქვე: 236).

2 დეკემბერს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ ბათილად გამოაცხადა ე.წ. „უზენაესი საბჭოს“ გადაწყვეტილებანი. მოითხოვა შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანა. ამ ბრძანებულებას დიდად არ შეუშფოთებია ოსი ექსტრემისტები. მათ თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ტორეზ ყულუმბეგოვი. (რომლის სასამართლო პროცესი იმჟამად თბილისში მიმდინარეობდა), ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გამოაცხადეს ზნაურ გასიევი (იქვე).

1991 წელს აფხაზეთი ცხინვალის რეგიონთან შედარებით მშვიდად გამოიყურებოდა. ამის მიზეზი ძირითადად ის იყო, რომ შექმნილი ვითარების შესაბამისად, აფხაზმა სეპარატისტებმა შეცვალეს ბრძოლის ტაქტიკა და, როგორც ახლა დოკუმენტურად მტკიცდება, საიდუმლოდ იარაღდებოდნენ ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ტაქტიკის შეცვლა იმაში მდგომარეობდა, რომ თავიანთი მოქმედების სამართლებრივი ბაზის შექმნისათვის დაიწყეს ზრუნვა. ამ მიზნით საჭირო იყო აფხაზოფილურად განწყობილი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც საკანონმდებლო გზით გააფორმებდა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოკვეთის ყოველ ნაბიჯს.

ამ ამბებთან თითქოს სრულიად დაუკავშირებელი ფაქტი იყო აღმოსავლეთ ევროპიდან შემოყვანილი 600 (ასახელებდნენ უფრო დიდ რიცხვისაც) მედესანტის სოხუმში დისლოცირება. ადგილობრივმა ოფიციოზმა გამოაცხადა, რომ ამას პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა შეცვალა „ჩვენება“ და ახსნა––აღმოსავლეთ ევროპიდან შემოყვანილ ჯარებს რუსეთში ვეღარ ვატევთ და რესპუბლიკებში ვანაწილებთო. („ლს“ 1991:25). ცხადია, მართალი პირველი განცხადება იყო. ამ მედესანტეებმა 1993 წელს გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ომში აფხაზების გამარჯვების საქმეში.

„აფხაზეთი ამ დროს შედარებით წყნარ რეგიონად გამოიყურებოდა,—წერს სვ. ჩერვონაია,—თუმცა შეტაკებები აფხაზურსა და ქართულ მოსახლეობას შორის ხდებოდა (ეს შეტაკებები შემთხვევითი კი არა, არამედ, როგორც წესი, მომზადებული და პროვოცირებული იყო „ბოევიკების“—აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ აქტივისტების მიერ). შინაგანი დაძაბულობაც აქ მუდამ შენარჩუნებული იყო (ჩერვონაია 1994:105). ამ საყურადღებო დაკვირვებას, ჩემი აზრით, უნდა დაემატოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რაც აფხაზ სეპარატისტებს აიძულებდათ შედარებით ზომიერად ემოქმედათ. ეს იყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილზე ზ. გამსახურდიას ავტორიტეტის გავლენა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეთა რიცხვი ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ მათთვის ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლებოდა.

ამის საპასუხოდ აფხაზეთში მოქმედი ანტიქართული ორგანიზაციები აყალიბებენ ერთიან ანტიქართულ ბლოკს. მათი სოლიდარობის პირველი გამოცდა მოეწყო 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმის წინ.

ამ რეფერენდუმის მხარდასაჭერად აფხაზეთის სახალხო ფორუმი—„აიდგილარა“, „სომხური საზოგადოება „კრუნკი“ (წერო), ე.წ. „დემოკრატიული კავშირი“, სულ 7 ორგანიზაცია შეიკრნენ ერთ ბლოკში. მათ 10 მარტს სსრ კავშირის შენარჩუნების მხარდასაჭერად სოხუმის სტადიონზე გამართეს მიტინგი („სრ“ 1991:49).

კონსოლიდაცია სწრაფად გამოამჟღავნეს ქართულმა ეროვნულმა ძალებმაც. აპრილში, აფხაზეთში შეიქმნა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი, რომელმაც ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია გააერთიანა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად კომიტეტი მაინც ახერხებდა შეთანხმებულად ემოქმედა. მაგრამ, როგორც კი შეიქმნა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკი, კომიტეტი დაიშალა. მისი უდიდესი ნაწილი „ჰელსინკის კავშირს“ შეუერთდა. სხვები კი მათ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. პირველნი თბილისიდან კარნახს უსმენდნენ. უმცირესობა კი, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩა, რადგან მას ხალხში მომხრეები აღარ ჰყავდა („ლს“ 1991:25).

როგორც ვიცით, ვ. არძინბა ადრეც თანახმა იყო სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა, ხოლო რეფერენდუმის შედეგებმა მას ფრთები შეასხა. იგი ამ საკითხზე საგანგებოდ გამოვიდა აფხაზეთის ტელევიზიით და გაიმეორა, რომ აფხაზეთი ხელს მოაწერდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ვინაიდან, როგორც მან თქვა, რეფერენდუმის მონაწილეთა 50 პროცენტზე მეტმა[1] მხარი დაუჭირა სსრ კავშირის შენარჩუნებას („სრ“ 1991:121).

ვ. არძინბას გამოსვლის საპასუხოდ გაგრაში გაიმართა ქართველი მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. მას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი თ. ნადარეიშვილი. ყრილობამ მოითხოვა: 1. ვ. არძინბამ უარყოს თავისი განცხადება სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესახებ; 2. მასვე სასწრაფოდ დაეწყო მოლაპარაკება საქართველოს ხელისუფლებასთან; 3. უმოკლეს ვადაში დანიშნულიყო აფხაზეთის ასსრ-ის უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები (იქვე:122).

არჩევნების დანიშვნისა და საარჩევნო კანონის თაობაზე საქართველოსა და აფხაზეთის ხელმძღვანელობას შორის ხანგრძლივი კამათი

[1] როგორც საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ საგანგებო გამოძიებით დაადგინა, აფხაზეთში 17 მარტს რეფერენდუმში სსრ კავშირის შენარჩუნების თაობაზე მონაწილეობდა არა გაყალბებული ცნობებით გამოცხადებული 166544 კაცი (ე.ი. ამომრჩეველთა 52,3%), არამედ 153495 ამომრჩეველი, რაც შეადგენს ამომრჩეველთა 48,3%-ს და საკმარისი არ იყო რეფერენდუმის კანონიერად ცნობისათვის („სრ“ 1991:178).

მიმდინარეობდა. ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს კონსენსუსს, რომელიც აშკარად დამამცირებელი იყო აფხაზეთის არააფხაზი მოსახლეობისათვის და, რაც საბოლოო ანგარიშით საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილების სანქცია გახდა[1].

9 ივლისს გაიმართა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია. მან მიიღო საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვითაც მთელი მოსახლეობის 17,2 პროცენტს—აფხაზებს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ეყოლებოდა 28 დეპუტატი. ქართველებს (47%)—26 დეპუტატი. სხვა ეროვნებებს (თითქმის 36%)—11 დეპუტატი. ამ აპართეიდულ კანონს პრესამ კონსტრუქციული და წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა. იუწყებოდნენ, რომ იგი „ორივე მხარის იურისტ-ექსპერტების მიერ ფართო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით დამუშავებულ და შეთანხმებულ პროექტს წარმოადგენდა (იქვე:135).

არჩევნების ჩატარებიდან ერთი წლის შემდეგ ე. შევარდნაძემ ამ კანონის შესახებ თქვა: „1991 წლის 9 ივლისის საარჩევნო კანონი მთლიანად უგულებელყოფს თანამედროვე პარლამენტარიზმის ნორმებსა და პრაქტიკას. რა არის ეს, თუ არა აპართეიდი დე-იურე, თუ არა უმცირესობის მისწრაფება, თავისი ნება უკარნახოს უმრავლესობას ეროვნებათაშორისი შეტაკებების მუქარის წინასწარი პროვოცირებით? ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვამ... მიიღო რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა ეთნოდიქტატურის დამყარებისადმი მკაფიოდ გამოხატული მისწრაფებით“ (ციტ. ჩერვონაია 1994:131-ის მიხედვით).

საქართველოს ხელისუფლებისა და მისი ექსპერტი-იურისტების ამ კანონით მოტყუების საფუძველი ის გახდა, რომ უზენაეს საბჭოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ დეპუტატთა ხმების 2/3-ით შეეძლო. ასეთი რაოდენობის ხმებს კი რომელიმე ორი ფრაქცია გაერთიანების შემთხვევაში ვერ მიაღწევდა. ასე რომ, ქართველი დეპუტატების მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება შეუძლებელი იყო. ასეთი ვარაუდი პოლიტიკურ მიამიტობას წარმოადგენდა. ყოველგვარი რეგლამენტი ცივილიზებული ადამიანებისათვის იწერება. უპატიოსნოებისათვის იგი მხოლოდ ფარატინა ქაღალდად რჩება. ვ. არძინბას არაერთხელ ოფიციალურად განუცხადებია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს,

[1] თ. ჭანტურიშვილის მტკიცებით, ზ. გამსახურდიამ ამ ნაბიჯით აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში ლორიკ მარშანიას ნაცვლად ვ. არძინბა მოაქცია. რაც გამოუსწორებელი და საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა („ლს“ 1998:28).

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების პრეზიდენტთა თათბირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, იურიდიული ძალის დოკუმენტებს არ წარმოადგენს; განა ასეთი კაცი პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას რწმუნებულის, პროფ. ლევან ალექსიძისადმი მიცემულ ლიტონ სიტყვას შეასრულებდა? მან ამ შემთხვევაშიაც ბრწყინვალედ გამოიყენა ქართველისათვის დამახასიათებელი რაინდული გულუბრყვილობა.

აფხაზეთში არჩევნები დაინიშნა 1991 წლის 23 სექტემბრისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სესიაზე, სადაც ამ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ, ქართული პრესის წარმომადგენლები არ დაასწრეს. აფხაზ ჟურნალისტებს კი ამ მხრივ შეფერხება არ ჰქონიათ (იქვე).

აფხაზთა მხარე რომ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებსაც კი არ იცავდა, ეს საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე გაირკვა. ქართველი ამომრჩევლის დისკრიმინაციის აღკვეთის მიზნით 6 აგვისტოს სოხუმში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. თბილისიდან მას ესწრებოდნენ: სადეპუტატო კომისიის თავმჯდომარე თ. ქორიძე და მინისტრები მ. ძოძუაშვილი, დ. ხაბულიანი. მიტინგზე წამოაყენეს ვ. არძინბას გადადგომის მოთხოვნაც საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციების უხეში დარღვევების გამო (იქვე:155-156).

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა უნდობლობას უცხადებდა ვ. არძინბას. მაგრამ ასეთი მოთხოვნის წამოყენებისას ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ მისთვის მხარდაჭერა გარკვეულწილად გარდატეხას წარმოადგენდა აფხაზთა ლიდერისადმი ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამოკიდებულებაში. მათს აქამდელ ურთიერთობას სვ. ჩერვონაია ასე ხსნის: „გარკვეულწილად გამსახურდიას რეჟიმმა შეიკედლა და გამოზარდა ის საშინელი ძალა, რომელშიც გადაიზარდა არაკომუნისტური ორიენტაციის აფხაზური სეპარატიზმი, ერთი მხრივ, ეს რეჟიმი იწვევდა შელახული ეროვნული თავმოყვარეობისა და წყენის მღელვარე ტალღებს... მეორე მხრივ, კი იგი ყურს უყრუებდა აფხაზეთში დემოკრატიული ნორმებისა და სამოქალაქო უფლებების ყველაზე აღმაშფოთებელ დარღვევებს, ყველაზე უტიფარ ქმედებებს, რაც კი ჩადენილი ჰქონდათ არძინბასა და მის გარემოცვას, რომლებიც დაუფარავად ამზადებდნენ და იღებდნენ აქ აპართეიდულ კანონებსა და სეპარატისტულ დეკლარაციებს, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ ქართულ ეროვნულ კადრებს,

რითაც საქმე ეთნოკრატიული დიქტატურის დამყარებისაკენ მიჰყავდათ“ (ჩ ე რ ვ ო ნ ა ი ა 1994:130).

ასეთ პირობებში ვ. არძინბა და მისი კლანი შეეზარდნენ რუსეთის რეაქციული ძალების ყველაზე უკიდურეს ნაწილს და მოუთმენლად ელოდნენ მომენტს მათს სამსახურში ჩადგომის მზადყოფნის გამოსახატავად. ამიტომ სრულიადაც არ იყო მოულოდნელი, რომ მოსკოვის აგვისტოს პუტჩს ვ. არძინბამ და მისმა ხროვამ ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი. 19 აგვისტოს აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება, ხოლო 21 აგვისტოს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ვ. მიქანბას ხელმოწერით გამოქვეყნებულ განკარგულებაში ნათქვამი იყო: „საგანგებო კომიტეტის ნომერ პირველი დადგენილების და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 19 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად... ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას საქალაქო (რაიონული) აღმასკომების დროებითი კომისიები“ („ს რ“ 1991:166). ე.ი. გულდაგულ სრულდებოდა „გკჩპ“-ს მოთხოვნა ძერჟისკისეული „ჩეკას“ ადგილობრივი პროტოტიპების შექმნის თაობაზე.

სექტემბერში ზ. გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციის აშკარა შეტევაზე გადასვლამ ძალთა პოლარიზაცია გამოიწვია აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაშიც. 10 სექტემბრისათვის სოხუმის ქართულ თეატრში დაინიშნა პარლამენტის ოპოზიციისათვის მხარდამჭერთა შეხვედრა, მათ მიზნად ჰქონდათ არჩევნების ბოიკოტი. ზ. გამსახურდიას მომხრეებმა ეს შეხვედრა ჩაშალეს.

17 სექტემბერს, აფხაზეთში შეიქმნა პარლამენტისა და პრეზიდენტის მხარდამჭერი კომიტეტი, რომელიც იმუქრებოდა, რომ თუ თბილისში არ შეწყდებოდა გადატრიალების ცდები, ოპოზიციის ასალაგმავად ისინი მოაწყობდნენ მსვლელობას მდ. ფსოუდან თბილისის მიმართულებით და თან გაიყოლებდნენ ამ გზაზე მცხოვრები მოსახლეობის წარმომადგენლებს.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დაპირისპირება არც გამსახურდიას ხელისუფლებას და არც ოპოზიციას არ გამოუყენებია. ამ პოლარიზაციით ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა და ურთიერთმოდავე ქართველები, მიუხედავად მათი პოზიციისა, აფხაზეთიდან გამოდევნეს.

29 სექტემბერს მოეწყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების პირველი ტური. 65 ოლქში კენჭს იყრიდა 233 კანდიდატი. ასეთი რიცხვმრავლობა იყო ქართველი ამომრჩევლებისათვის შექმნილ ოლ-

ქებში. 26 ადგილზე წამოყენებული იყო 138 კანდიდატი. ე.ი. დანარჩენ 39 ოლქში თავს იყრიდა 95 ასარჩევი.

არჩევნები პირველ ტურში ჩატარებულად ჩაითვალა 38 საარჩევნო ოლქში. მეორე ტური მოეწყო 13 ოქტომბერს. ამჯერად გაირკვა 14 დეპუტატის ბედი. სხვაგან ამომრჩეველთა გამოცხადება ძლიერ დაბალი იყო („სრ“ 1991:206). მესამე ტური შედგა 1 დეკემბერს.

პირველსავე სესიაზე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. არძინბა. მის პირველ მოადგილედ კი—თ. ნადარეიშვილი, მოადგილედ—ა. ტოპოლიანი. შეთანხმების მიხედვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ქართველი ეროვნებისა. მაგრამ აფხაზმა დეპუტატებმა წამოყენებული გ. ლომინაძის კანდიდატურა ჩააგდეს.

როგორც კი ვ. არძინბამ საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა მიიღო, მაშინვე დაიწყო კონფრონტაციული ღონისძიებების გატარება. 1991 წლის 22 ოქტომბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო „დადგენილება აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასსრ იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა—„აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ (იქვე:207).

24 ოქტომბერს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ გააუქმა ეს დადგენილებანი. მაგრამ მისი ბრძანებულებები ამ დროს აფხაზეთში კი არა, საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც აღარ მოქმედებდა მაინცდამაინც.

სვ. ჩერვონაია აფხაზეთის არჩევნების მომდევნო მდგომარეობის შესახებ წერს: „სასტიკად იხშობოდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს, ყველაზე ხშირად კი, პირადად არძინბას მითითებებითა და განკარგულებით აქ დამყარებულ ავტორიტარულ რეჟიმთან დაპირისპირებული დემოკრატიული ოპოზიციის ყოველგვარი გამოვლენა, პირველ რიგში, კი—ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა“ (ჩერვონაია 1994:132)

ვ. არძინბამ სარგებელი გამოიტანა იმ ქვეყნის დაშლიდანაც კი, რომლის შენარჩუნების ერთ-ერთ თავგამოდებულ მომხრედ დიდი სიამაყით აცხადებდა თავს. სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტის შემდეგ აფხაზეთი ვ. არძინბამ მის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა, რაც არა მარტო უფლებრივი ნონსენსი იყო, არამედ უზნეობასაც

წარმოადგენდა, ვინაიდან არც ერთ სხვა ავტონომიურ რესპუბლიკას ასეთი რამ არ გაუკეთებია და არც შეიძლებოდა ასეთის პრეტენზია ჰქონოდათ, რამდენადაც სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკები იყვნენ, რომლებისგანაც იგი შედგებოდა და არა ამ რესპუბლიკებში შემავალი ავტონომიები.

მაგრამ არძინბა არასოდეს სცემდა პატივს და არად დაგიდევდათ სამართლისა და ლოგიკის კანონებს. მან 1991 წლის 29 დეკემბერს, როცა საქართველო ხელისუფლების გარეშე იყო დარჩენილი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ორი ისეთი ბრძანებულება მიაღებინა, რომ ერთბაშად აფხაზეთის საკუთრებად გამოაცხადა საბჭოთა არმიის ქონების ნაწილი და დაიქვემდებარა მისი ოფიცრების მოზრდილი ჯგუფი.

ერთი ასეთი ბრძანებულების მიხედვით—ადგილობრივი სამხედრო კომისარიატები, სამოქალაქო თავდაცვა, სამხედრო-ტექნიკური საზოგადოებები, საბჭოთა არმიის 5482-ე, 3697-ე საჯარისო ნაწილები, მათი შენობები, ნაგებობანი და სხვ. ცხადდებოდა აფხაზეთის საკუთრებად. არც ერთი სამართლებრივი აქტით, ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოცემული, ამ დადგენილების შეცვლა არ შეიძლებოდა. ამის საფუძვლად მითითებული იყო რესპუბლიკის კონსტიტუცია, თუმცა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში მსგავსი არაფერი გახლდათ ნათქვამი.

არც იმავე დღეს მიღებული მეორე ბრძანებულება შეესაბამებოდა კონსტიტუციურ ნორმებს. მისი მიხედვით, აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან იქმნებოდა დროებითი საბჭო, რომლის კომპეტენციაში შედიოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაცია. საბჭოს თავმჯდომარე თვით ვ. არძინბა იყო. მასში არ შედიოდა არც ერთი თანამდებობის პირი—ქართველი, მაშინ, როცა შეყვანილი იყვნენ საბჭოთა არმიის ნაწილების მეთაურები, რომლებიც სამხედრო სუბორდინაციის გათვალისწინებით, არაფრით არ შეიძლებოდა დაქვემდებარებოდნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. ეს უბრალოდ სამხედრო ღირსებისადმი უპატივცემულობა იყო და თავის დროზე ასეთი ქცევა დუელით მთავრდებოდა. ახლა რუსი პოლკოვნიკები გოშია ძაღლებივით ელაქუცებოდნენ არძინბას და გემრიელი ლუკმის მოლოდინში გატრუნულნი იყვნენ. სვ. ჩერვონაია ვარაუდობს, რომ მათ ამისათვის „ზემოდანაც“ ჰქონდათ თანხმობა მიღებული (Червонаия 1994:138).

ასე წარმატებით დამთავრდა 1991 წელი ვ. არძინბასათვის, რომელიც მისი ხელშემწყობი ზ. გამსახურდიასათვის ესოდენ საბედისწერო აღმოჩნდა.

აფხაზი ექსტრემისტებისა და ვ. არძინბას სეპარატისტულ-რეაქციული საქმიანობა გაიშალა იმ დროს, როცა ყოფილ სოციალისტურ ბანაკად წოდებულ ტოტალიტარულ სამყაროში მიმდინარეობდა ჰუმანიზმის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დამამკვიდრებელი ფართო სახალხო მოძრაობა. ცხადია, ამ მოძრაობას დიდი წინააღმდეგობებისა და მსხვერპლის ფასად უხდებოდა გზის გაკაფვა.

1991 წელი იმით დაიწყო, რომ ტრაგედია დატრიალდა ლიტვაში. 13 იანვარს, გამთენიისას, საბჭოთა არმიის ტანკები და მედესანტეები დაიძრნენ ქ. ვილნიუსის სატელევიზიო ანძისა და ტელერადიოკომიტეტისაკენ. ამ ობიექტებს, ისევე როგორც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობას, იცავდა ასობით ლიტველი, ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან. ტანკებმა მონახეს შედარებით დაუცველი ადგილი, ახლოს მივიდნენ ხალხთან, მიმართეს მათკენ ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები. ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს სამხედროები თავდაპირველად ჰაერში ისროდნენ, როდესაც ხალხი დასხდა, რათა ტანკებისათვის გზა გადაეკეტა, რამდენიმე ტანკმა მათ გადაუარა. 14 იანვარს მოკლული იყო 13, დაჭრილი—144 კაცი („სრ“ 1991:10).

ლიტვაში დატრიალებულმა ამ ტრაგედიამ მსოფლიო საზოგადოებრიობის შეშფოთება გამოიწვია. თუ აქამდე დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური მოღვაწეები გადაჭრით უჭერდნენ მხარს მ. გორბაჩოვის კურსს[1], ახლა უკვე დაეჭვება დაიწყეს მის სისწორეში. ნათელი გახდა, რომ ხალხის ჟლეტა „პერესტროიკას“ არ შეესაბამებოდა. თანაც, ეს ფაქტი თვით პრეზიდენტის ლიტვის ხელისუფლების მისამართით გაკეთებულ დამუქრებას დაუკავშირდა. მ. გორბაჩოვმა სწორედ ასეთი მიმართვა გაუგზავნა ლიტვის უზენაეს საბჭოს. ამიტომაც ძველი დემოკრატიის სახელმწიფოებიდან კრიტიკულად გამსჭვალული განცხადებების ნაკადი წამოვიდა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩეინიმ აღნიშნა: „ლიტვის ამბებმა საფრთხე შეუქმნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სტაბილური გაუმჯობესების კურსს, რომლის მოწმენიც ამ ბოლო წლებში ვიყავითო“ („სრ“ 1991:11). თეთ-

[1] მ. გორბაჩოვის კურსის ერთ-ერთი მაღალი აღიარება იყო ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში გაწეული ღვაწლის გამო 1990 წლის 15 ოქტომბერს მისთვის ნობელის უმაღლესი საერთაშორისო პრემიის მინიჭება („კომ“ 1990:242).

რი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კი უფრო მეტიც თქვა: „საბჭოთა კავშირს ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერა დააკარგვინოსო“ (იქვე). ზოგიერთ ოფიციალურ განცხადებაში სსრ კავშირის მიმართ ეკონომიკური სანქციების მოთხოვნაც კი გაისმა.

ვილნიუსის ტრაგედიით შეშფოთებულთა რიცხვს შეუერთდა ბ. ელცინიც. მან მიმართვა გაუგზავნა ბალტიისპირეთში მცხოვრებ რუსულენოვან მოსახლეობასა და იქ დისლოცირებულ სამხედრო მომსახურეებს. ამ უკანასკნელებს იგი მოუწოდებდა, არ ეხმარათ იარაღი ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ (იქვე:11).

საბჭოთა ხელმძღვანელობას იმდენად არ ეთმობოდა ბალტიისპირეთი, რომ მიუხედავად საერთაშორისო პრესტიჟის დაკარგვის საფრთხისა, ვილნიუსის ამბებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 22 იანვარს, რიგაში ახალი ტრაგედია დატრიალდა. აქ კარგა ხანია დაძაბული ურთიერთობა იყო საკავშირო ომონსა და ლატვიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. ომონი გამოიყვანეს შს სამინისტროს დაქვემდებარებიდან. ხანმოკლე წონასწორობა დაარღვია ლატვიის კპ-ის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი პირის მიერ სროლის ატეხვამ. პასუხად ომონელებმა შტურმით აიღეს შს სამინისტროს შენობა. ამ ოპერაციის დროს 4 კაცი გარდაიცვალა და 10 დაიჭრა. გაჩნდა სამოქალაქო ომის დაწყების საშიშროება, ლატვიაში ყველგან ჰქმნიდნენ მოხალისეთა რაზმებს. ომონელები თავიანთ ჯაზარმებში ჩაიკეტნენ და მოაწყვეს მისი ყრუ დაცვა, სსრ კავშირის შს მინისტრი პუგო იძულებული გახდა გაეცხადებინა: ომონი ლიტვას დატოვებსო („МГ“ 1991:4).

საკავშირო ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას ზრდიდა არა მარტო ტოტალიტარიზმის ასეთი გამოვლინებანი ეროვნული საკითხების მოგვარების დროს, არამედ ეკონომიკურ პოლიტიკაში გატარებული მძარცველობითი ღონისძიებანიც. ჯერ იყო და მთავრობამ 1990 წელს გამოსცა 10 მილიარდი მანეთის უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაცია, რომლითაც მოსახლეობიდან ამოიღო ისეთი ოდენობის თანხა, რაც დაახლოებით საქართველოს სსრ-ის ერთი წლის ბიუჯეტს უდრიდა. ეს, ფაქტობრივად, კონფისკაცია აღმოჩნდა, რადგან ობლიგაციით გათვალისწინებული ავტომანქანებისა და სხვა ნივთების გაცემა აღარ მომხდარა. 1991 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით მ. გორბაჩოვმა ახალი მძიმე დარტყმა მიაყენა მოსახლეობას. ხმარებიდან ამოიღეს 1961 წლის ნიმუშის 50 და 100 მანეთიანი კუპიურები („სრ“ 1991:16).

მათი შეცვლა უნდა მომხდარიყო ძლიერ შემჭიდროებულ ვადებში. ეს თითქოსდა უმტკივნეულო ოპერაცია ძარცვისა და კორუფციის დამატებითი წყარო გახდა. გადაცვლისათვის რიგში დგომას ფულის მცირე მქონებლებმა არჩიეს მაღაზიებში ისეთი საქონელიც კი შეეძინათ, რაც მოცემულ მომენტში არ სჭირდებოდათ. დიდი თანხების მქონენი ზედმეტის გადახდის საშუალებით მას შემდეგაც ახერხებდნენ კუპიურების გადაცვლას, როცა ამის დრო უკვე გასული იყო. ბანკების არაკეთილსინდისიერი მუშაკები ზოგჯერ ერთსა და იმავე კუპიურებს რამდენჯერმეც კი ცვლიდნენ.

უვარგისმა ეკონომიკურმა და ეროვნულმა პოლიტიკამ ოპოზიციას აშკარა შეტევაზე გადასვლის საბაბი მისცა. 1991 წლის 19 თებერვალს საკავშირო ტელევიზიით გამოვიდა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი. მან აღნიშნა, რომ მ. გორბაჩოვმა თავი ვერ გაართვა მის მიერვე დასახულ კურსს და ამიტომ უნდა გადადგესო. თავისი განცხადების საბუთად მან დაასახელა ეკონ. პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები, მათ შორის, ქვეყნის ოქროს მარაგის განიავება. მისი თქმით, „სულ ახლახან სსრ კავშირიდან საზღვარგარეთ 200 ტონა ოქრო გავიდა. ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის“ (იქვე:35).

დასავლეთშიაც ღრმავდებოდა უნდობლობის ფაქტორი, თავდაპირველად იქაური ლიდერები მხარს უჭერდნენ სსრ კავშირის შენარჩუნებას, რადგან, ჯერ ერთი, მათ ერჩივნათ, ერთ ქვეყანასთან ჰქონოდათ ურთიერთობა, ვიდრე 15 დესტაბილირებულ რესპუბლიკასთან. მეორეც, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ ვეებერთელა ბაზრით, სადაც ყოველგვარი საქონელი შეიძლებოდა გასაღებულიყო.

მაგრამ დარწმუნდნენ რა „ბოროტების იმპერიის“ ნგრევის უკუშეუქცევადობაში, დასავლეთის ქვეყნებმა დააჩქარეს ამ პროცესიდან მათთვის სასარგებლო წილის მიღება. ასეთთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ცივი ომის საშინელი რეციდივის, 1956 წლის მაისში შექმნილი ვარშავის პაქტის გაუქმება. იგი 1991 წლის 25 თებერვალს გამოაცხადა საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტში შეკრებილმა თათბირმა (იქვე:130).

1991 წლის გაზაფხულიდან დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისა და აშშ-ის დამოკიდებულებაში სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებთან დაისახა ე.წ. „პარალელური დიპლომატიის“ პრინციპი. იგი ნიშნავდა ცენტრიდან დაუპირისპირებლად დამოუკი-

დებლობისაკენ მიმსწრაფი რესპუბლიკების ბრძოლის სამართლიანად გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში სსრ კავშირის ხელმძღვანელობა აშშ-ის ვეღარ დაადანაშაულებდა საშინაო საქმეების ჩარევაში, რადგან ამ რესპუბლიკებმა თვითონ წამოიწყეს სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლა, შეარყიეს სსრ კავშირი და ეს პროცესი გარედან არ იყო თავს მოხვეული.

„პარალელური დიპლომატია" გულისხმობდა „შეუპოვარი" რესპუბლიკების თანდათანობით გაძლიერებას დამოუკიდებლობის მოპოვების კუთხით. მათ უნდა შეექმნათ სუვერენული სახელმწიფოსათვის ყველა საჭირო სტრუქტურა, რაშიაც მიიღებდნენ დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერას. ეს, უპირველესად, გამოიხატებოდა იმაში, რომ კრემლი ვეღარ გაბედავდა უხეშ ჩარევას თვითგამორკვევის გზაზე მდგომი რესპუბლიკების საშინაო საქმეებში.

ასეთ კურსს აშშ უკვე პრაქტიკულად ახორციელებდა. ჯერ იყო და მოსკოვში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მოწყობილ შეხვედრაზე, სსრ კავშირის წარმომადგენელთათვის მოულოდნელად, ამერიკელებმა ბალტიისპირელებს დაუჭირეს მხარი. საბჭოთა დიპლომატია, რომელიც საწინააღმდეგოში იყო დარწმუნებული, საგონებელში ჩავარდა. მაგრამ მათ შემდეგშიც სრული იმედგაცრუება ელოდათ. პრეზიდენტმა ბუშმა 14 ივნისი ამერიკის შეერთებულ შტატებში ბალტიისპირეთის დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა. ბ. ელცინი კი მიიწვიეს ვაშინგტონში, რამდენადაც შეერთებული შტატების მთავრობას სურდა „პირდაპირი ფართო კონტაქტების დამყარება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის ლიდერთან", განაცხადა პრეზიდენტმა („აზ ივ". 1991:69).

მაგრამ „პარალელური დიპლომატია" სწორედ იმას ნიშნავდა, რომ, რადგან სსრ კავშირში შინაგანი ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, დასავლეთის ქვეყნები ცენტრთან კავშირებს არ სწყვეტდნენ და ურთიერთობის კონფრონტაციის გზით არ მიდიოდნენ. ამის ნიშანდობლივ გამოვლენას წარმოადგენდა მოსკოვიდან კიევში 1 აგვისტოს ჩასული იმავე პრეზიდენტ ბუშის რჩევა უკრაინელებისათვის სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შესახებ.

მაშინ ამ განცხადებამ ბევრი პოლიტიკოსის, მათ შორის, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას უკმაყოფილება გამოიწვია. მისი დავალებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საპროტესტო განცხადებაც კი გააკეთა, რომელშიაც ჯ. ბუშს, გ. ვაშინგტონისა და ფ. ჯეფერსონის იდეებისათვის ღალატიც კი დააბრალა და დამრიგებლური სენ-

ტენციები მისწერა. მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა უკეთ იცოდა რასაც აკეთებდა. ხოლო საქართველოს ხელისუფლების მოქმედება იმდენად არაკორექტული იყო, რომ, როცა ზ. გამსახურდიამ სხვა დროსაც გამოიჩინა, ჯ. ბუშის თქმით, „კავკასიური სიფიცხე", აშშ პრეზიდენტმა ხატოვნად დაასკვნა: „საქართველოს ლიდერი ცდილობს დინების წინააღმდეგ ცურვას"-ო („სრ" 1991:173).

ამ შემთხვევაში ჯ. ბუშს ზ. გამსახურდიას საკავშირო ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ ჰქონდა გაგებული დინების საპირისპირო ცურვად, არამედ მოვლენების განვითარებისათვის ალღოს აუღებლობა. სსრ კავშირი იშლებოდა და „პარალელური დიპლომატიის" მიხედვით, პროცესის დინების გაყოლა ჯობდა, მის საწინააღმდეგოდ ცურვას.

სოციალისტური სისტემის რღვევა რომ მარტივი პროცესი არ იყო, ამის შესახებ საგანგებო გაფრთხილება გააკეთა 1991 წლის მაისის ენციკლიკაში რომის პაპმა იოანე-პავლე II-მ. მისი აზრით, კომუნიზმის დასასრული მისასალმებელია, მაგრამ თუ დასავლეთის დემოკრატიებმა თვითკონტროლი დაკარგეს, შეიძლება უარესი შედეგები მივიღოთ. ვინაიდან სისტემა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოგებას, ე.ი. უაღრესად პრაგმატულია, გარკვეით უარყოფს ჰუმანიტარულ ტრადიციებს და ხელს უწყობს სულიერი ფაქტორების დაქვეითებას. დასავლეთში მკვეთრად ეცემა ლიტერატურის, მწერლის, ხელოვანისა და ჟურნალისტის გავლენა, კულტურულ-ისტორიული ცნობიერებაო, შეშფოთებით აღნიშნავდა პაპი („სრ" 1991:213).

ამ, მართლაც, საგანგაშო სიმპტომებს მაშინ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლიათ. ხოლო ჩვენში, სადაც კაპიტალისტურ ეკონომიკაზე მხოლოდ გარდამავალ საფეხურზე ვიმყოფებით, სავსებით და ცხადად გამოიკვეთა კულტურულ-ისტორიული ცნობიერების დაქვეითება. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს წიგნის უგულებელყოფასა და მასმედიის როლის დაკნინებაში. პრესა და ტელევიზია დღეს რას არ წერს და აჩვენებს, მაგრამ მასზე რეაგირების კოეფიციენტი ნულამდეა დასული.

კრიზისით იყო მოცული არა მარტო სსრ კავშირის პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური სისტემაც. საზოგადოებრივი წარმოების შემცირება, რომელიც 1986 წელს დაიწყო, თანმიმდევრულად გრძელდებოდა. 1991 წელს წარმოებული ეროვნული შემოსავალი წინა წელთან შედარებით 16,4%-ით შემცირდა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება კი—15,9 პროცენტით. კრიზისულმა მოვლენებმა მოიცვა ეკონომიკის

ყველა სფერო. დაირღვა სამეურნეო კავშირურთიერთობანი, საგრძნობლად შემცირდა ინვესტიციები, მოიშალა საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ბიუჯეტის 6 თვის შემოსავალმა გათვალისწინებული თანხის 63,3% შეადგინა. ღრმავდებოდა ფულის მიმოქცევის დესტაბილიზაცია („სრ“ 1991:158).

საკავშირო ხელისუფლება ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა მაგივრად სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით ცდილობდა მორჩილებაში მოეყვანა კავშირიდან გაქცეული რესპუბლიკები. 3 ივნისს საბჭოთა არმიის ჯავშანტრანსპორტიორებმა დაიკავეს ვილნიუსის აეროპორტი, ვაგზალი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქალაქის ხიდები. გარს შემოერტყნენ რესპუბლიკის პარლამენტს. მოსკოვმა გამოაცხადა, რომ ეს მათ გარეშე მოხდა. ხელისუფლებას არ სურდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე აშკარა დამნაშავის როლში გამოსულიყო. ლიტვის ხელისუფლების მხარდასაჭერად პარლამენტის შენობის შემოგარენში თავი მოიყარა 200 ათასმა კაცმა. ამან სამხედროები დააფრთხო და მათ დაკავებული ობიექტები დატოვეს. 13 იანვარს, ამ ქალაქში ჩატარებულ დარბევასთან შედარებით ეს მშვიდობიანი ოპერაცია აღმოჩნდა.

კონფლიქტური სიტუაციის კერები გაჩნდა რსფსრ-ის ტერიტორიაზეც, ჩრ. კავკასიაში. 19 აპრილს, ეროვნული დაპირისპირების ნიადაგზე, შეტაკება მოხდა ოსებსა და ინგუშებს შორის. მიზეზი კონფლიქტისა იყო ადრე ინგუშების კუთვნილი გარეუბნის რაიონი. ჩრ. ოსეთის უზენაესი საბჭო იძულებული გახდა ქ. ვლადიკავკაზსა და მის გარეუბნის რაიონში საგანგებო წესები გამოეცხადებინა (იქვე:78).

8 აგვისტოს ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნულმა კონგრესმა გადაწყვიტა ჩეჩნეთის ისტორიულ საზღვრებში არსებული სახელმწიფო ტერიტორიული ერთეულისათვის ეწოდებინა იჩკერიის რესპუბლიკა და მის მიზნად გამოეცხადებინა სუვერენული სახელმწიფოს შექმნა. ჩეჩენი ხალხის საერთო-ეროვნული კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს გენ. ჯოხარ დუდაევი (იქვე:185). თუ სხვა მოვლენების გადმოცემას გავუსწრებთ წინ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 6 სექტემბერს ჩეჩნეთმა დუდაევის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 27 ოქტომბერს იქ ჩატარდა არჩევნები. იჩკერიის პრეზიდენტად ჯ. დუდაევი აირჩიეს (იქვე:213). ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობამ საკავშიროდან რუსეთის ხელისუფლებაში გადაინაცვლა. 9 ნოემბერს პრეზი-

დენტმა ბ. ელცინმა ჩეჩნეთ-ინგუშეთში საგანგებო წესები შემოიღო. გროზნოში 20 ათასი ომონელი ჩავიდა, მათ დაიკავეს ქალაქის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები.

სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით მართვის კურსმა დიდი მარცხი იწვნია 1991 წლის 19-21 აგვისტოს პუტჩის შემდეგ. ამ დღეებში მომხდარი მოვლენების ყველა დეტალი დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. მაშინ კი თვით პოლიტიკურ ინტრიგებში გამოწრთობილ პიროვნებათა გაოცებაც კი გამოიწვია.

1991 წლის აგვისტოში მ. გორბაჩოვი შვებულებას ყირიმში (ფაროსში) ატარებდა. სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს ვიცე-პრეზიდენტი გ. იანაევი ასრულებდა. იგი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პავლოვი, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კრიუჩკოვი, თავდაცვის მინისტრი დ. იაზოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი პუგო და კიდევ რამდენიმე პირი შეთანხმდნენ, შექმნეს საგანგებო საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი („გკჩპ"), 19 აგვისტოს გამოსცეს მისი № 1 დადგენილება, რომლითაც მთელი ძალაუფლება ქვეყანაში თვით აიღეს ხელთ, ხოლო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვეს, შეექმნათ შესაბამისი საგანგებო კომიტეტები. არჩევითი და წარმომადგენლობითი ორგანოების მოქმედება კი შეეჩერებინათ. ზოგიერთ რაიონში 6 თვით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ე.ი. სსრ კავშირში, ფაქტობრივად, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ორი დღე უმაღლესი ხელისუფლება „გკჩპ"-ს ხელში იყო.

მოსკოვში ბ. ელცინის ხელმძღვანელობით დემოკრატიული ძალები დაირაზმნენ და პუტჩი დამარცხებულ იქნა. მცირე შეტაკებაში დაიღუპა მხოლოდ სამი კაცი. მ. გორბაჩოვი ამ სამი დღის განმავლობაში, როგორც შემდეგ თვითონ აცხადებდა, მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს და „გკჩპ"-ს წარმომადგენლები აძალებდნენ მათს მხარეზე გადასულიყო. ძნელი სათქმელია იგი, შეშინდა, თუ სიმტკიცე გამოიჩინა, მაგრამ თანხმობაზე უარი თქვა და პუტჩში მონაწილეობას გადაურჩა.

პუტჩმა ჩაშალა სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რომელიც 20 აგვისტოს უნდა შემდგარიყო. ხელმოწერას თავდაპირველად აპირებდნენ: რსფსრ, ყაზახეთი, შემდეგ კი შეუერთდებოდათ—უზბეკეთი, ბელორუსია და ტაჯიკეთი (იქვე:162).

მოსკოვში ჩამოყვანილმა მ. გორბაჩოვმა, ფაქტობრივად, დაჰკარგა

ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელის იმიჯი. ინიციატივა ბ. ელცინის ხელში გადავიდა. მან ერთ-ერთ პირველი ბრძანებულებით რსფსრ-ში კომუნისტური პარტია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოაცხადა.

პირველივე საერთაშორისო გამოხმაურება მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო უარყოფითი იყო. აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მეთაურებმა მას ანტიკონსტიტუციური აქტი უწოდეს. მისი შედეგების შეფასებასთან ერთად ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკა-სსრ კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის შესანიშნავი საფუძველი გახდება თუ ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს საბჭოთა ხელმძღვანელობა დამოუკიდებლობას მიანიჭებს. (იქვე:166).

ასეთი მხარდაჭერა გახდა საფუძველი, როგორც მაშინ უწოდებდნენ „სუვენერიტეტების პარადისათვის". მოკავშირე რესპუბლიკებმა ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. პირველი მათ შორის იყო ლიტვა. მალე მას მიჰყვნენ—ესტონეთი, უკრაინა და მოლდოვა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში უკრაინელებმა პრეზიდენტის არჩევნები ჩაატარეს. არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა ლეონიდ კრავჩუკი. 12 დეკემბერს უკრაინის უზენაესმა საბჭომ, პირველმა სცნო საქართველოს რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1991 წლის 8 დეკემბერს მინსკში (ბელოვეჟში) შეიკრიბნენ ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ს. შუშკევიჩი, რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი, უკრაინის პრეზიდენტი ლ. კრავჩუკი. მათ ხელი მოაწერეს კომუნიკეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ და გამოაცხადეს რომ თანამეგობრობა კარებგახსნილია სსრ კავშირის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის. ამით სსრ კავშირმა, როგორც იურიდიულმა ერთეულმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა (იქვე:212).

საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიებსა და ეთნიკურ კონფლიქტებს ბუნებრივმა სტიქიურმა მოვლენებმაც აუბეს მხარი. 1991 წლის 29 აპრილს, 13 საათსა და 13 წუთზე, როგორც ძველი ქართველი მემატიანეები იტყოდნენ—„საფუძვლითურთ იძრა ქვეყანა". ყველაზე ძლიერი მიწისძვრა აღინიშნა საჩხერის რაიონში, სადაც მისმა სიმძლავრემ რიხტერის ცხრილით 7-8 ბალს მიაღწია. იყო ადამიანთა მსხვერპლიც. დაზიანდა შენობა-ნაგებობანი. შედარებით მცირე ბიძგები იგრძნობოდა მომდევნო დღეებშიაც („სრ" 1991:83).

15 ივნისს ძლიერი მიწისძვრა განმეორდა შიდა ქართლში. გორის რაიონში აღინიშნა 6-7,5 ბალი, ხოლო ჯავასთან 8 ბალის სიმძლავრის

ბიძგები. დაშავდა და დასახიჩრდა 50-მდე ადამიანი. დაინგრა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა დიდი რაოდენობის შენობები (იქვე:118).

საქართველოს მთავრობამ მიწისძვრით დაზარალებულთათვის, შესაძლებლობის მიხედვით, გამოჰყო მედიკამენტები, საკვები პროდუქტები და საშენი მასალა. ცხინვალის, ჯავისა და ამ ზონის ზოგიერთ სხვა რაიონში მათ შეტანას ხელს უშლიდნენ ოსი ექსტრემისტები, რომელთაც ჩაკეტილი ჰქონდათ გზები და ტვირთს არ ატარებდნენ („ახ. ივ" 1991:51). მიწისძვრისაგან მიყენებულმა ზარალმა კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი. ამას დაემატა ცენტრის მიერ ეკონომიკური სანქციების გამკაცრება. ძარცვა-აწიოკება საქართველოსაკენ მომავალი მატარებლებისა და რესპუბლიკაში არსებულ სურსათ-სანოვაგეზე საძარცვავად რუსი სამხედროების მისევა. სამხედროები, რომელთაც თავაშვებულობის საუკეთესო პირობები შეექმნათ, კიდევ უფრო გათავხედნენ. 20 ივლისს სოხუმსა და 21 ივლისს თბილისში რამდენიმე ათეული სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა მასობრივ უწესრიგობებში. ისინი იჭერდნენ და სცემდნენ გამვლელ მოქალაქეებს. დააზიანეს ათეულობით ავტომანქანა, იჭრებოდნენ დაწესებულებებში, არბევდნენ მოქალაქეთა სახლებს. პრეზიდენტმა გამსახურდიამ სამხედრო ოლქის სარდალს ვ. პატრიკეევს მოთხოვა აღეკვეთა სამხედროთა გამოხდომები და დამნაშავენი პასუხისგებაში მიეცა („სრ" 1991:143).

19-21 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში სასინჯი ქვა აღმოჩნდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებისათვის. პრეზიდენტმა 20 აგვისტოს მიმართა დასავლეთის ქვეყნების ხალხებს და მთავრობებს, სადაც იგი თავს იკავებდა შეეფასებინა მომხდარი გადატრიალება „ვინაიდან, ჯერჯერობით, არ არის ნათელი ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება, თუ შოუ" („სრ" 1991:163).

წინა დღით მან შეასრულა საგანგებო კომიტეტის ზოგიერთი მოთხოვნა. კერძოდ, მისი 19 აგვისტოს ბრძანებით, ეროვნული გვარდია გადაკეთდა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფად. ხოლო ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა გაუქმდა. ეს ქვეგანაყოფი დაემორჩილა შს მინისტრის მოადგილეს. ერთი კვირის შემდეგ იგი წერდა ბ. ელცინს, რომ მას ბრალად სდებენ გვარდიის დაშლასა და პუტჩის მიმართ შემრიგებლურ დამოკიდებულებას (იქვე:167). მაშ, სხვაგვარად, როგორ უნდა გაეგოთ მისი მოქმედება? საგანგებო განცხადებაში პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ მას გვარდია არ დაუშლია, მაგრამ იქვე ამბობდა: „მოვუწოდებ გვარდიელებს გატარდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც შინაგანი ჯარის წარმო-

მადგენლები"-ო. თუ გვარდია არ დაშლილა „ხელახალი რეგისტრაცია რაღა საჭირო იყო, ამ ფორმირებას ხომ „შინაგანი ჯარები—ეროვნული გვარდია" ერქვა?

ეროვნული გვარდიისათვის სტატუსის შეცვლამ, უკვე ამ მიმართვის გამოქვეყნებამდე, გამოიწვია გვარდიელთა და მათი ხელმძღვანელობის დიდი უკმაყოფილება. გვარდია პროტესტისა და ხელისუფლებასთან დაპირისპირების ნიშნად რკონის ტყეში გავიდა. ზ. გამსახურდიამ კვლავ შეცვალა გადაწყვეტილება. ახალი ბრძანებულებით გვარდიას მოეხსნა განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი და იგი დაექვემდებარა თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. უზენაესი საბჭოს სესია დაეთანხმა პრეზიდენტის ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის დეპარტამენტის შესახებ" და რკონში გასულ გვარდიელებთან მოსალაპარაკებლად დელეგაცია შეადგინა (იქვე:167).

გვარდიასთან ზ. გამსახურდიას დამოკიდებულებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა პირადმა ურთიერთობამ თ. კიტოვანთან. ზ. გამსახურდიას უკმაყოფილება ეროვნული გვარდიის სარდალთან მოსკოვის პუტჩამდე დაიწყო. უზენაესმა საბჭომ თ. კიტოვანს ჯერ კიდევ 2 აგვისტოს მოუხსნა დეპუტატის უფლებამოსილებანი. 20 აგვისტოს ბრძანებულებით პრეზიდენტმა გააუქმა ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა. 23 აგვისტოს ბრძანებულებით მან ხელახლა გააუქმა იგივე თანამდებობა და პოსტიდან გაათავისუფლა თ. კიტოვანი (იქვე:166). ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა მის მიმართ მიღებულ ზომას და კვლავ განაგრძო გვარდიის ხელმძღვანელობა.

იმავე დღეებში პრეზიდენტმა კიდევ რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი დაიპირისპირა. მთავრობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა თ. სიგუა, მის მაგივრად დაინიშნა ბესარიონ გუგუშვილი, რომელსაც ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნისათვის საჭირო თვისებათაგან მხოლოდ ის ღირსება ჰქონდა, რომ საბჭოთა პერიოდში ცნობილი ეკონომისტის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის შვილი იყო. გადააყენეს საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ხოშტარიაც და ეს პოსტი ჩააბარეს ასევე არაკომპეტენტურ[1] პიროვნებას მ. ომა-

1 მწერალი ნ. წულუკიძე, რომელიც კარგად იცნობს ზ. გამსახურდიას კადრებთან მუშაობის სამზარეულოს, გაზეთ „ალაშ-დასავლეთში" (1997:23) წერდა, რომ ზვიადს თავდაპირველად გ. ხოშტარია კულტურის მინისტრად ჰყოლია გათვალისწინებული. მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის სხვა უფრო შესაფერის კანდიდატურა ჯერ მოძებნა და გ. ხოშტარია დანიშნა. ნ. წულუკიძის კი კულტურის მინისტრობაზე თანხმობა სთხოვა. ერთი ხანი მას უარი უთქვამს და ელდარ შენგელაიას კანდიდატურა შეუთავაზებია . ზ. გამსახურდიას უპასუხნია--მაგას მისი ძმა გიორგი აჭობებსო. დანიშვნით კი მაინც ნ. წულუკიძირი დაუნიშნავს. ცხადია, ასეთი პირობებში რაიმე კომპეტენტურობაზე საუბარი აბსურდია!

ნაძეს (რომელმაც შემდეგ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აფიორაში გამოიჩინა თავი). მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ახლადშექმნილ თანამდებობაზე დაინიშნა ბაკურ გულუა (იქვე:163). 1991 წლის 26 აგვისტოს ჩატარებულმა უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ საქართველოს მთავრობის ნაცვლად დააწესა მინისტრთა კაბინეტი (იქვე:167).

ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები გამოქვეყნდა თ. სიგუასა და გ. ხოშტარიას თანამდებობებიდან განთავისუფლების თაობაზე. გადაყენებულებმა გაზ. „დრონში" 30 აგვისტოს გამოაქვეყნეს წერილები, სადაც ირწმუნებოდნენ, რომ ზ. გამსახურდია მათ სდევნიდა, რადგან წინააღმდეგი იყო ხელმძღვანელობაში პროფესიონალური კადრების მოზიდვისა. გარდა ამისა, თ. სიგუა ემხრობოდა კოოპერატივებისა და მებაღეობის განვითარებას, ხელს უწყობდა უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს, რაც პრეზიდენტს არ მოსწონდა.

ამის საპასუხოდ პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, სადაც თ. სიგუა და გ. ხოშტარია გამოცხადებული იყვნენ პუტჩისტებად. მათ ბრალი ედებოდათ შეიარაღებული ძალის გამოყენებით ზ. გამსახურდიას გადაყენებისა და პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების ჩატარების მცდელობაში („სრ" 1991:171-172).

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა სოლიდარულად შეხვდა „გკჩპ"-ს შექმნას. 21 აგვისტოს ცენტრალური კომიტეტის ორგანოში (გაზ. „ცხოვრება") გამოქვეყნდა ცნობა ბიუროს სხდომის შესახებ, რომელშიაც იუწყებოდნენ, რომ ბიურო „დროულად და მიზანშეწონილად მიიჩნევს საგანგებო წესების შემოღებას" და მოუწოდებდა საქართველოს მოსახლეობას მხარში დადგომოდა „გკჩპ"-ს[1] (იქვე: 165).

ასეთი პოზიციის გამო 26 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ აკრძალა საქართველოს კომპარტია და შეაჩერა ამ პარტიისაგან არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებანი (იქვე:167).

8 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს სესიამ საქ. კომპარტიიდან არჩე-

[1] ადრე კი ქართული კომუნისტები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი რომის პაპზე უკეთესი კათოლიკეები არიან და ხალხის ინტერესებისათვის იბრძვიან. მათი ცქმას პირველი მდივანი ა. მარგიანი 1991 წლის 1 იანვარს, გაზ. „პრავდაში" წერდა: „პარტიის იდეალები და პრინციპები თავისი არსით არასოდეს არ დაშორებია ხალხის უმაღლეს ზნეობას"-ო და ამტკიცებდა--„გულუბრყვილობაა დაუპირისპირო ერთმანეთს კომუნისტური ზნეობა და ქრისტიანული მორალი. მათ საფუძვლად უდევს ისევ ის უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო ნორმები და პრინციპები"-ო. ასე მსჯელობა ხომ ქრისტიანობის მარტო სრული უგულებელყოფა კი არაა, მისი შეურაცხყოფაა. მას მიხედეთ გამოდის, რომ 19-21 აგვისტოს გადატრიალების მომწყობნი უზენაესი საკაცობრიო ზნეობისანნი ყოფილან.

ულ დეპუტატებს საერთოდ შეუწყვიტა უფლებამოსილებანი, გამოიყვანა ისინი თავისი შემადგენლობიდან (იქვე:196).

კომპარტიის ოპოზიცია აღარ იყო საშიში ზ. გამსახურდიას ხელისუფლებისათვის. არათუ საშიში, არამედ შეიძლება უმჯობესიც კი ყოფილიყო კომუნისტი დეპუტატების დარჩენა უზენაესს საბჭოში, ვინაიდან ბევრი მათგანი პრეზიდენტთან ლოიალურად იყო განწყობილი და კენჭისყრის დროს მის წინადადებებს უჭერდა მხარს.

ხელისუფლებას ოპოზიცია ჰყავდა პარლამენტშიაც და მის გარეთაც. არასაპარლამენტო ოპოზიციაში რადიკალობით და პოპულარობით გამოირჩეოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ზ. გამახურდიას მიერ მოსკოვური პუტჩის მხარდაჭერის მოტივით გ. ჭანტურიას პარტიამ 2 სექტემბერს თბილისში, კინოს სახლთან, მოაწყო დემონსტრაცია. ხელისუფლების მომხრე ძალებმა მანიფესტანტები დაარბიეს. დაჭრილები და დაშავებულები იყვნენ დემონსტრანტთა და სამართალდამცავთა შორისაც.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ორი ძალა, რომელიც ეროვნულობას იქადნიდა, ერთმანეთს შეეჯახა. დამოუკიდებელი საქართველოს ომონმა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი პარტიის დემონსტაცია გარეკა. ეს ფაქტი საკავშირო ხელისუფლებამ და საინფორმაციო საშუალებებმა გამსახურდიას წინააღმდეგ გამოიყენეს. მოსკოვის ტელევიზიის პირველი არხით ხშირად აჩვენებდნენ თბილისში ხალხმრავალ მიტინგს, როგორც ოპოზიციისას, სინამდვილეში კი იგი პრეზიდენტის მომხრეთა თავყრილობა იყო. ამით სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ზ. გამსახურდიას ოპოზიციაში მრავალრიცხოვანი მასა ედგა. ასევე ხელოვნურად ზრდიდნენ დაჭრილთა რაოდენობას. ასახელებდნენ 67 დაჭრილს, მაშინ, როცა ასეთთა რიცხვი სამს უდრიდა (იქვე:179).

2 სექტემბრის ამბები გამოიყენა საპარლამენტო ოპოზიციამაც. უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა (თ. პაატაშვილი, მ. ურიდია და სხვ) განაცხადეს, რომ ხელისუფლების დღევანდელი „მკაცრი“ კურსი არ ითვალისწინებს გლობალური პროცესების ძირითად კანონზომიერებას და ართულებს საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში გაბატონებულ მიმართულებებთან საქართველოს ეროვნული ინტერესების დაახლოებას. მათი აზრით, სწორედ ამან გამოიწვია 2 სექტემბრის ინცინდენტი (იქვე:173).

თავდაპირველად ზ. გამსახურდია ამართლებდა ომონელთა მოქმედებას 2 სექტემბერს. მიტინგის დარბევის მთავარ მოტივად ასახე-

ლებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ყოფნას თბილისში, რასაც უნდა მოჰყოლოდა აშშ-ის მიერ საქართველოს ცნობა. ოპოზიციას ეს არ სურდა და დესტაბილიზაციით იგი, თითქოს ჩაშალა. ცხადია, ამბობდა იგი, არავინ არ ცნობს ქვეყანას, რომელიც დემონსტრაციას ესვრის. შემდეგ, როცა ოპოზიციამ ვიდეოფირებით დაამტკიცა, რომ სროლა ომონელთა მხრიდან წარმოებდა, პრეზიდენტმა პოზიცია შეიცვალა და ამტკიცებდა: შს სამინისტროში ჩემი მტრები არიან შეპარული და მათ ასტეხეს სროლაო. ბოლოს კი ისიც თქვა: მომიტინგეთათვის პირდაპირ არ უსვრიათ, ისინი რიკოშეტით ასხლეტილმა ტყვიებმა დააზიანესო. მას არ დაუზუსტებია, როგორ მოხვდა პროვოკატორთა შორის პირადად მასზე დაქვემდებერებული მილიციის ქვეგანაყოფი და რატომ არ დაისაჯა ასეთი ქცევისათვის ერთი კაცი მაინც.

მიუხედევად თავის მართლების ასეთი ცდისა, პრეზიდენტს არ უცდია ოპოზიციასთან შერიგება. როცა 2 სექტემბრის შემდეგ თბილისში, ფაქტობრივად, დაიწყო დესტაბილიზაცია და ყოველდღიურად იმართებოდა ოპოზიციის ხალხმრავალი მიტინგები, ზ. გამსახურდიას ნებით, 7 სექტემბრიდან მათ დაუპირისპირდა ხელისუფლების მხარდამჭერი „საინფორმაციო მიტინგები“. მათი გამართვის აუცილებლობა პრეზიდენტმა იმით დაასაბუთა, რომ მას სურს პირდაპირ ესაუბროს ხალხს, როგორც ეს ჯერ კიდევ მის მაღალ პოსტზე არჩევამდე ხდებოდა, ამიტომ მიტინგები რეგულარული უნდა გახდეს, რათა ხალხმა პირველწყაროდან გაიგოს რა ხდება ქვეყანაში (იქვე: 175). დ. მჭედლურის დასკვნით, „ამიერიდან ქვეყნის მიტინგებით მართვა წესად იქცა“ (მჭედლური 1995:105).

9 სექტემბრის ბრძანებულებით პრეზიდენტმა შექმნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის მოვალეობის შესრულება დაევალა ნოდარ გიორგაძეს. იმავე დღეს საქ. რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ვახტანგ ქობალია („სრ“1991:176).

ამ ბრძანების საპასუხოდ თ. კიტოვანმა თავისი მომხრე გვარდიელები შავნაბადაზე შეკრიბა და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებაში გამოსაყენებლად ამზადებდა. პრეზიდენტის 10 სექტემბრის ბრძანებულებით გვარდიის ჯარისკაცებს და ოფიცრებს დაევალათ დაეტოვებინათ შავნაბადა და ყაზარმებს დაბრუნებოდნენ(იქვე:175). ეს მოთხოვნა არ შესრულდა. გვარდი-

ელებს არც ქალაქში დაბრუნების სურვილი გააჩნდათ და არც—ყაზარმებში.

მართალი არ გამოდგა უცხოელ ჟურნალისტებისათვის ნათქვამი—ოპოზიცია მცირერიცხოვანია, იგი არცაა ნამდვილი პოლიტიკური მიმდინარეობა და მხოლოდ უპრინციპო დაჯგუფებას წარმოადგენს, რომელიც ცდილობს სახელი გაუტეხოს საქართველოს ხელისუფლებასო. გაზეთზე, რომელშიაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდა, საღებავი არც იყო შემშრალი, რომ 10 სექტემბერს გადაიკეტა რუსთაველის პროსპექტი. ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებმა თავიანთ შტაბ-ბინებთან ბარიკადები ააგეს. გრანდიოზული მიტინგები იმართებოდა რესპუბლიკის მოედანზე. საპროტესტო აქციები დაიწყეს ტელევიზიის მუშაკებმა. ოპოზიციური მოძრაობის ეპიცენტრიც თანდათანობით ტელევიზიის შენობისაკენ ინაცვლებდა.

საქტელერადიოს თანამშრომელთა მჯდომარე აქცია მოითხოვდა მათი დეპარტამენტის გენერალური დირექტორისა[1] და მისი მოადგილეების გადაყენებას, დროებითი საკოორდინაციო საბჭოს შექმნას, საინფორმაციო საშუალებების მიერ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ობიექტურად გაშუქებას.

სამი დღით ადრე, თბილისის უნივერსიტეტის სკვერში ჩატარებული მიტინგის შემდეგ, დაიწყო ლიბერალური ოპოზიციის მჯდომარე აქცია. მონაწილეთა შორის იყვნენ: მიხ. თუმანიშვილი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, ჯანსულ ჩარკვიანი და სხვა. მათი მოთხოვნები ემთხვეოდა რადიკალური ოპოზიციისას—პრეზიდენტის გადადგომა, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა (იქვე:179).

„ზედა ფენების" კრიზისი აისახა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 15 სექტემბრის სხდომაზე. დეპუტატები მარტო რეგლამენტის შესახებ კამათს 5 საათს მოუნდნენ. სხდომა დატოვა 39 დეპუტატმა. თუ ამას დავუმატებთ 64 კომუნისტ-დეპუტატს, რომელთაც ჩამორთმეული ჰქონდათ სადეპუტატო უფლებამოსილება და კიდევ 10 დეპუტატს, ვინც სხდომაზე არ მოვიდა, გამოდის, რომ არჩეული 236 დეპუტატიდან სხდომას არ ესწრებოდა 113 პარლამენტარი. ასეთი შემადგენლობის (129 წევრი) მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძნელია კანონის უზენაესობის აღიარებისათვის ნიმუშად გამომდგარიყო. ეს ზ.

1 თ. ჭანტურიშვილის აზრით, რაც საფუძვლიანად არ არის, „ზ. გამსახურდიას ტელევიზიის ხელში სრულად ჩაგდება სურდა და ამიტომ იქ ხელმძღვანელად ჯალათის მანერების მჭონე ერთი ბრიყვი გაგზავნა" („ლს" 1998:28).

გამსახურდიამაც იგრძნო და იქვე განაცხადა, რომ მას „ძალიან წყინს და ტანჯავს“ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ სხდომის დატოვების ფაქტი. იგი ითხოვდა: „დავსხდეთ ერთად და განვაგრძოთ ამ პრობლემებზე ფიქრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მე, როგორც პრეზიდენტი, ვიხსნი სრულ პასუხისმგებლობას ყოველივე იმისაგან, რაც მოსალოდნელია“–ო (იქვე).

ასეთ განცხადებებს „თავისიანების“ დაშინების დანიშნულება ჰქონდა. შემდგომშიაც, წერს დ. მჭედლური, „გამოქვეყნდა ცნობები, რომ პრეზიდენტი სერიოზულად ფიქრობდა გადადგომაზე, მაგრამ მის გარშემო შემოკრებილმა კარიერსიტთა ხროვამ და ოჯახურმა წრემ აიძულა ხელი აეღო ამ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებაზე“ (მჭედლური 1995:116).

ზ. გამსახურდია ხშირად აცხადებდა, რომ ოპოზიცია გარედან იმართებოდა. ამიტომ, როცა შეიტყვეს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გ. ჭანტურია და ი. სარიშვილი მოსკოვს მიემგზავრებოდნენ, სადაც მათ ამერიკის საელჩოში ჰქონდათ შეხვედრა დანიშნული, 16 სექტემბერს, თბილისის აეროპორტიდან აფრენილი თვითმფრინავი 15-20 წუთის შემდეგ უკან დააბრუნეს, რითაც 170 მგზავრს საფრთხე შეუქმნეს, დასახელებული პირები კი დააპატიმრეს („სრ“ 1991:181). მალე დააკავეს გიორგი ხაინდრავა და მამუკა გიორგაძეც (იქვე, 1993:12). ოპოზიციური პარტიების მიერ ეს დაპატიმრებანი გამოყენებულ იქნა, როგორც პრეზიდენტის დიქტატორულ მისწრაფებათა და სრული უკომპრომისობის აშკარა გამოვლინება.

ზ. გამსახურდია მთლად მტყუანი არ იყო, როცა ამტკიცებდა, რომ ოპოზიციის მოთხოვნები პოლიტიკური სიმახვილითა და ორიგინალობით არ გამოირჩეოდა. იგი უფრო პოლიტიკური ინტრიგანობის იერს ატარებდა, მიზნად ყველა გზით დესტაბილიზაციასა და დაპირისპირებულობის მიღწევას ისახავდა. ამის გაკეთება ოპოზიციამ შესძლო კიდეც.

19 და 20 სექტემბერს მიმდინარე უზენაესი საბჭოს სხდომაზე ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ შექმნილია სამოქალაქო ომის საფრთხე. ამ დროს რესპუბლიკის მოედანზე ტარდებოდა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც გაისმოდა მოთხოვნები—შტურმით აეღოთ მთავრობის სახლი, საპყრობილეებიდან გაეთავისუფლებინათ პოლიტიკური პატიმრები და სხვ, პრეზიდენტმა მოითხოვა შეეწყვიტათ პარლამენტის სხდომა, რათა დეპუტატები წასულიყვნენ მიტინგზე, ეხსნათ ქვეყანა გაუთვალისწინებელი შედეგებისაგან (იქვე: 184).

21 სექტემბერს მდგომარეობა თბილისში უაღრესად დაიძაბა. მთავრობის სახლის ეზო და მისადგომები დაკავებული ჰქონდა პრეზიდენტის მომხრე ბრბოს. ტარდებოდა მიტინგი. დაახლ. 11 საათზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორმოცამდე წევრი, ირინა სარიშვილის მეთაურობით, შეიჭრა მთავარობის სახლისწინა მოედანზე და შეეცადა კიბის ერთ უჯრედზე გაეკეთებინა პლაცდარმი, რათა იქ შიმშილობის გამოსაცხადებლად დამსხდარიყვნენ. ეროვნული დემოკრატები მოითხოვდნენ გ. ჭანტურიას პატიმრობიდან განთავისუფლებას. ამ დროს გაისმა პრეზიდენტის მოწოდება ქართველი ხალხისადმი—დაეცვათ ეროვნული პარლამენტი. მილიციამ და ომონმა სასახლის კიბეებიდან გამოდევნა მოშიმშილეობის მსურველები და მათი მომყოლები. თითქოს ინციდენტი ამოიწურა, მაგრამ რადიოთი და ტელევიზიით განუწყვეტლივ იმეორებდნენ ზ. გამსახურდიას ფირზე ჩაწერილ მოწოდებას ქართველი ხალხისადმი—დაძრულიყვნენ მთავრობის სახლის ასაღებად შემომტევი ოპოზიციის შესაჩერებლად.

ოპოზიცია კი ნაშუადღევს ჯერ რესპუბლიკის მოედანზე შეიკრიბა მიტინგზე, შემდეგ უზარმაზარი მასა დაიძრა სასახლის მოედნისაკენ, აღგავა გზიდან გადამღობი ავტოტექნიკა და უშუალოდ მიადგა პრეზიდენტის „დამცველ“ მომიტინგეებს. შებინდებისას ამ უკანასკნელთ რაიონებიდან პრეფექტების მიერ გამოგზავნილი დიდი ძალები შემოემატნენ. დაპირიპირებულნი გვიან ღამემდე იდგნენ გვერდიგვერდ. დილის სამ საათზე კი მთავრობის ათიათასობით მომხრემ და გადაცმულმა პოლიციამ „მსელელობა-მანიფესტაცია მოაწყო რუსთაველის პროსპექტის გასაწმენდად“. ისინი შეესივნენ ოპერის თეატრისა და ყოფილი „იმელის“ შენობის წინ აღმართულ „ბარიკადებს“ და მიუხედავად ოპოზიციონერთა გაფთრებული წინააღმდეგობისა, მოახერხეს მათი აღება. პრეზიდენტის მომხრეებმა დაარბიეს ეროვნული დემოკრატებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების შტაბ-ბინები, დააზიანეს ავტომანქანები, შენობებში გააჩინეს ხანძარი. გამართულ ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ მძიმედ დაჭრილ-დასახიჩრებულები, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა. აღინიშნა გაზით—„ჩერიომუხა“ მოწამვლის შემთხვევები (იქვე:185).

აჯანყებული გვარდიის სარდალი თ. კიტოვანი ადრევე იმუქრებოდა, რომ მშვიდობიან მოპიკეტეებზე მთავრობის მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში გვარდია იმოქმედებს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით, რათა გაუწიოს სრული კონტროლი რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას. 21 სექტემბერს თ. კიტოვანმა

ჩათვალა, რომ ასეთი დრო დადგა. გვარდიამ დატოვა შავნაბადა და სრული სამხედრო აღჭურვილობით, ჯავშანტექნიკით, ქვემეხით დედაქალაქში შემოვიდა. მათ დაიკავეს საქტელერადიო დეპარტამენტის შენობა, მოაწყვეს მთავრობის სახლის ტერიტორიის ბლოკირება.

იმავე დღეს ტელევიზიით გამოვიდა და ეროვნული თანხმობისაკენ მოუწოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. 22 სექტემბერს ამ პროცესში შუამავლის როლი იკისრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა (იქვე).

21 სექტემბერს თბილისელები მოწმენი გახდნენ არნახული ტრაგიკული აქტისა, რუსთაველის პროსპექტზე თავი დაიწვა 35 წლის თბილისელმა ექიმმა გივი (გია) აბესაძემ. მან დატოვა ბარათი, რომ პროტესტის ამ უაღრეს ფორმას მიმართავს ქართველთა შორის კონფრონტაციისა და საქართველოში სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის გამო (იქვე). მეგობართა და თანამოსამსახურეთა გადმოცემით გია აბესაძე იყო მგზნებარე პატრიოტი, გულისხმიერი და ერუდირებული ექიმი. აღფრთოვანებული იყო საქართველოს მიერ დმოუკიდებლობის გზაზე გადადგმული ნაბიჯებით. საკუთარი თავგანწირვით მან სცადა ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება. ამით იგი ეროვნული გმირის დონემდე ამაღლდა. თუმცა იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც გ. აბესაძის საქციელს მისი ფსიქიკური არასრულყოფილებით ხსნიდნენ.

მდგომარეობა აშკარად არ ვითარდებოდა ზ. გამსახურდიას სასარგებლოდ. თბილისის მოსახლეობა პრეზიდენტის ვარაუდის საწინააღმდეგოდ ოპოზიციას უფრო უჭერდა მხარს. ამ ვაკუუმის შევსება მისმა გარემოცვამ რაიონებიდან ჩამოყვანილი, კომუნისტური მეთოდებით შეკრებილი ზვიადისტური მასების მოზიდვით მოინდომა. თბილისისაკენ იწყო დენა პრეფექტებისა და გამგებლების მიერ გამორეკილმა ადამიანთა ჯგუფებმა. მათ ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე აძლევდნენ იარაღს და ოპოზიციისაგან ეროვნული მთავრობის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. ამან კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული კრიმინოგენური ვითარება. სტიქიურად შეიარაღებული ხალხის წინაშე პოლიცია უძლური აღმოჩნდა. იგი კარგა ხანია ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციებს. უილაჯო პოლიციას ახლა უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს იარაღის დატაცების მიზნით. მოიერიშე ჯგუფები აჩერებდნენ დედაქალაქში მიმავალ ავტობუსებს, რომელთაც რაონებიდან მოჰყავდათ მთავრობის მიერ პრეზიდენტის მხარდასაჭერად მოხმობილი მოსახლეობა.

ამ მოძრაობას მახინჯი მიმართულება ჰქონდა იმიტომაც, რომ მან კუთხურობის დამღუპველი სახე მიიღო. პრეზიდენტის სიმპათიები

აშკარად იხრებოდა სამეგრელოსაკენ, ხოლო მის შინაგან საქმეთა მინისტრს დ. ხაბულიანს სვანეთის იმედი ჰქონდა. მოსახლეობის პოლიტიკურად გაუცნობიერებელი ნაწილი იოლად მიენდო ამ შხამიან მდინარეს. საქართველოს უმშვენიერესმა კუთხემ სამეგრელომ დაუმსახურებლად იწვნია მძიმე დღეები მოგონილ ცოდვათა მასზე გავრცელებისათვის.

23 სექტემბერს პრეზიდენტმა თავდაზღვევის კიდევ ერთ ღონისძიებას მიმართა—მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა „უშიშროების საბჭო". ისევე როგორც ბევრი სხვა სტრუქტურა, ეს ორგანოც ქმედითუნარიანი ვერ გამოდგა. ჩასაძირად განწირულ გემს სიმძიმის მომატება უფრო ჩქარა მიაქანებს სიღრმისაკენ.

იმავე დღის ბრძანებულებით პრეზიდენტმა თბილისში 25 სექტემბრიდან საგანგებო წესები გამოაცხადა. მისი განხორციელება დაევალა თბილისის სამხედრო კომენდატს ჯემალ ქუთათელაძეს (იქვე: 186).

25 სექტემბრის ბრძანებულებით პრეზიდენტმა გამოაცხადა „საყოველთაო მობილიზაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე". ამ ნაბიჯით, დ. მჭედლურის შეფასებით, „პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო და აამოქმედა ყველა საშუალება, რათა დაეთრგუნა და გაენადგურებინა ოპოზიცია" (მჭედლური 1995:115).

24 სექტემბერს, მოსახლეობის საფრთხისგან დაცვის მომიზეზებით, ფილარმონიის შენობასთან დაბანაკდა თ. კიტოვანის მომხრე გვარდიელთა ერთი ჯგუფი („სრ" 1991:186). მეტად გახმაურდა 25 სექტემბერს, დიდუბის რაიონში, ვანის ქუჩაზე მდებარე „თელასის" შენობასთან მთავრობის მომხრე და მოწინააღმდეგე გვარდიელთა შეტაკება. ოფიციოზი აცხადებდა, რომ 50 კაცი ოზურგეთის გვარდიის ოფიცრის ბადრი მახარაძის მეთაურობით თავს დაესხა „თელასს" ელექტროენერგიის ქალაქში რეგულირების პულტების ხელთგდების მიზნით, მაგრამ თავდასხმა მოიგერიეს. აღმოჩნდა კი, რომ ის შენობა ადმინისტრაციული დანიშნულებისა იყო და სამართავი პულტები იქ არ იმყოფებოდა. შეტაკების დროს მოიკლა 4 კაცი, ორივე მხრიდან იყვნენ დაჭრილები. შენობას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა.

30 სექტემბერს ცირკის მიდამოებიდან ქვემეხის ჭურვი ესროლეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობას, დაინგრა ერთი ოთახი. საპასუხოდ მოწინააღმდეგეს მთავრობის მომხრე მეომრებმა გაუხსნეს ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლი. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა.

28-29 სექტემბერს გაიმართა მოლაპარაკება ოფიციალური ხელისუფლებისა და მასთან დაპირისპირებულ ძალთა წარმომადგენლებს შორის. პირველნი მოითხოვდნენ თ. კიტოვანის გვარდიელთა განიარაღებას. მოწინააღმდეგენი—ზ. გამსახურდიას გადადგომასა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას. მოლაპარაკება უშედეგო გამოდგა (იქვე:190).

თითქოს ქართველთა შორის დაპირისპირება საკმარისი არ ყოფილიყოს, 2 ოქტომბერს საშიშროების კერა გაჩნდა რკინიგზის სადგურ დიდუბესთან. აქ გაჩერებულ საბჭოთა სამხედრო მატარებლის ერთ ვაგონს გაუჩნდა ხანძარი, დაიწყო აფეთქებები. დიდ მანძილზე გაიტყორცნა რაკეტები და ვაგონების ნამსხვრევები. „თორმეტი ვაგონი დატვირთული იყო „ჰაერი-ჰაერის“ ტიპის რაკეტებით. იგი რომ მთლიანად აფეთქებულიყო, გაუთვალისწინებელი შედეგები შეიძლება მოეტანა. ცეცხლი, გამოწვეული უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო, 4 საათის შემდეგ ჩააქრეს. 12 ადამიანი ჰოსპიტალიზებულ იქნა. 11-ს აღმოუჩინეს ამბულატორიული დახმარება. ერთი დამწვრობით დაილუპა (იქვე:191). საბჭოთა სამხედროებმა გამოაცხადეს, რომ უსაფრთხოების წესი დაცული იყო და ამიტომ ისინი ხანძარსა და ნგრევაზე პასუხისმგებელნი არ არიან. სჭირდება ამ განცხადებას კომენტარი?

3 ოქტომბერს, მიღწეული შეთანხმების შედეგად, ოპოზიციურ პარტიათა და გვარდიის ხელმძღვანელობამ, ძმათაშორის სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს გვარდია და ვაჟა ადამიას შეიარაღებული ჯგუფი ქალაქიდან გაეყვანათ. დათქმული პირობის თანახმად, თბილისიდან ასევე უნდა გასულიყო პრეზიდენტის შეიარაღებული ფორმირებებიც (იქვე:193).

თითქოს უნდა დაწყებულიყო დროებითი დამშვიდება მაინც. მაგრამ ხელისუფლებამ ოპოზიციის ეს ნაბიჯი თავის გამარჯვებად ჩათვალა და პრეზიდენტმა იმავე დღეს მიტინგზე გამოაცხადა—ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ოპოზიციის რაზმების განიარაღებაში და ეს საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლა იქნებაო. იყო კი საჭირო ჩაუქრობელი ხანძრის ხელახლა გაჩაღება? ხელისუფლებას ხომ იმდენი სამხედრო ძალა არ გააჩნდა, გვარდიელები რომ დაემარცხებინა?

იმავე გამოსვლაში ზ. გამსახურდია დასჯით დაემუქრა თავისი პარლამენტის ოპოზიციონერ დეპუტატებს, ე.ი. იწყებდა სრულ ანგარიშსწორებას „დამარცხებულ“ მოწინააღმდეგეებზე. 4 ოქტომბერს

იგი შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას. თავისი მომხრე შეიარაღებული ძალა მიუგზავნა თ. კიტოვანის გვარდიელებს, მათი განიარაღების მიზნით. ეს უკანასკნელნი თბილისის ზღვაზე იდგნენ. ცხადია, დანებებას არ აპირებდნენ. მოხდა შეტაკება. ორივე მხრიდან იყო მსხვერპლი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ამბოხებულებმა ადვილად უკუაქციეს პრეზიდენტის გვარდიელები. თბილისელები ინფორმირებულნი არ იყვნენ, ზღვაზე რა ხდებოდა. გავრცელდა ხმები—„მთავრობის ჯარებმა ჩეჩნეთიდან ჩამოყვანილ „ბოევიკებთან" ერთად ალყა შემოარტყეს თ. კიტოვანის გვარდიას და ერთიანად ანადგურებენო". ამან დედაქალაქში ახალი კონფრონტაცია გამოიწვია. რუსთაველის პროსპექტზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ორივე მხარის მომხრე მრავალათასიანი მომიტინგეები. ისინი შეურაცხმყოფელი შეძახილებითა და ანგარიშსწორების მოწოდებებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. ჰაერში მოსალოდნელი შეტაკების სუნი დატრიალდა.

ოცდაორი საათის შემდეგ მოსახდენი მოხდა, დაპირისპირებული ძალები შეეტაკნენ ურთიერთს. ძნელი დასადგენია, ვინ დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ოფიციოზი არ უარყოფდა, რომ პირველად მთავრობის სახლიდან გამოსულმა ორმა სახანძრო მანქანამ ოპოზიციონერებს, დაშლის მიზნით, ცივი წყლის ჭავლი მიუშვირა. ირკვევა—წყალში მხუთავი ნივთიერება იყო შერეული. ხალხმა სახანძრო მანქანებს ავტობუსებით გადაუკეტა გზა და შეეცადა მათში მსხდომები ძირს ჩამოეყარა. „მეხანძრეებმა" ამას სროლით უპასუხეს. „მოწინააღმდეგემ მათ ქვებისა და ბოთლების სეტყვა დააყარა. მათ შესაჩერებლად სასახლის მხრიდან ინტენსიური ცეცხლი გახსნეს. სროლა ისმოდა სხვა შენობების სახურავებიდანაც. ჩაიწერეს მედოლე-დეპუტატის რცხილაძის ხმაც. იგი მოუწოდებდა ოპოზიციისათვის ავტომატებიდან და ტყვიამფრქვეველებიდან მიეკრით ესროლათ. „დილამდე გაგრძელდა ხალხის რბევა და ცემა-ტყეპა" („ლს" 1998:29). ორივე მხრიდან ათეულობით კაცი დაშავდა. რიცხვი არ დაუზუსტებიათ. მოკლულთა შორის დასახელდა მხოლოდ ერთი კაცი.

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" მომხდარი დიდ ეროვნულ უბედურებად შეაფასა. 8 ოქტომბრის ცარიელგვერდებიან ნომერში წერდნენ, „ბოლო დროის ყველა ჩვენი უბედურების, გაუტანლობის, ღალატის, შურის, ურთიერთქიშპობის მომსწრე და მნახველმა რუსთაველის გამზირმა კიდევ ერთი ბაზალეთი იხილა—ძმათა მკვლელი, დაუნდობელი, ბოროტი შეტაკება... ეს სირცხვილი დიდხანს გაჰყვება საქართველოს, ჩვენ შეგვაჩვენებს შთამომავლობა".

8 ოქტომბერს გამართულ უზენაეს საბჭოს სხდომაზე, რომელიც დილის 4 საათამდე გაგრძელდა, პრეზიდენტმა მიაღწია მისთვის სასურველი რეზოლუციის მიღებას. მასში მომხდარი ფაქტი შეფასებული იქნა, როგორც შეიარღებული ძალით სამხედრო გადატრიალების ცდა („სრ“ 1991:196).

10 ოქტომბრიდან თბილისში შედარებითი სტაბილიზაცია იგრძნობოდა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობაც კი დაიწყო. იმის საჩვენებლად, რომ უმრავლესობის მხარდაჭერით მოქმედებს, ხელისუფლება განაგრძობდა „საინფორმაციო მიტინგების“ ჩატარებას! დიდი მიტინგი მოეწყო 18 ოქტომბერსაც.

მთავრობა შეეცადა ურთიერთობა მოეგვარებინა ტელერადიო დეპარტამენტის თანამშრომლებთან. მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ. გუგუშვილი. რამდენიმე საკითხზე მიაღწიეს კიდეც შეთანხმებას. მაგრამ მთავრობის მეთაური დემაგოგიურად იცილებდა თავიდან მთავარი საკითხის—დეპარტამენტის გენერალური დირექტორის კვანტალიანისა და მისი მოადგილეების გადაყენების საკითხს. ასეთი ვითარების გამო ყველა სხვა შეთანხმება აზრს ჰკარგავდა. ტელერადიოდეპარტამენტი კლავ რჩებოდა აფეთქების საშიშ კერად.

საკავშირო ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავების მიმართულებითაც გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი. პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ, 1991 წლის 7 ნოემბრის ბრძანებულებით, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შს სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად (იქვე:220).

ნოემბრის შუა რიცხვებისათვის შექმნილი ვითარება შემდეგნაირად ხასიათდებოდა: საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო ღრმა კრიზისმა მოიცვა. ერი გახლეჩილი იყო ორად. დანაშაულობამ და კორუფციამ არნახულ დონეს მიაღწია. ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დადგა. შეიარაღებული კონფლიქტი შიდა ქართლში შემდგომი ესკალაციის გზით ვითარდებოდა, არ ჩანდა პერსპექტივა საქართველოს საერთაშორისო აღიარების საქმეში.

აქედან გამოსვლის გზა შეიძლება შედარებით უმტკივნეულოდ მოძებნილიყო, რომ ხელისუფლების სათავეში არ მოსულიყო პრაქტი-

კულ პოლიტიკაში ახლადფეხადგმული, მმართველობის რეალურ უსაშველო ლაბირინთებში გამოუბრძმედელი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც აშკარად აკლდათ უშეცდომო სვლის, ტოლერანტობისა და დაღვინებული სიბრძნის ხელოვნება. საუბედუროდ, ამის ტიპურ მაგალითს მარტო გ. პეტრიაშვილი და თ. ქორიძე კი არა, ჩვენდა სავალალოდ, თვით პრეზიდენტიც წარმოადგენდა. მან თავისი მოღვაწეობით თვალნათლივ დაამტკიცა, რომ უანგარო და უსაზღვრო პატრიოტიზმი ქვეყნის მართვის საქმეში საკმარისი არაა. აქ ზოგიერთი ისეთი რაიმეცაა საჭირო, რასაც შინაგანი კულტურით, პოლიგლოტობით, ბევრი წიგნების კითხვით ან რუსთაველის სახისმეტყველების კვლევით ვერ ისწავლი. პოლიტიკა ულმობელი რამაა. მის ლაბირინთებში გარკვევა მაკიაველსა და ნაპოლეონსაც კი ეშლებოდათ. იგი ახლადგამომცხვარ წინმასწრია პოლიტიკური მამლაყინწებს ასპარაზზე დიდხანს არ აბოგინებს.

ხელისუფლების არაკომპენტენტურობას თან დაერთო ისეთი მძიმე სენი, როგორსაც დაწყებულ სოციალურ რევოლუციაში მონაწილეთა ხელისუფლებისა და გამდიდრებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა წარმოადგენდა. ამ შეგნებადაკარგულ მასას მოქმედების შეუფერხებელი პირობები შეექმნათ. „ეროვნული მოძრაობის უმნიშვნელო ფიგურა იქცა კერპად,—წერს დ. მჭედლური,—ხელშეუხებელ პიროვნებად, რომელსაც რა გინდა რა დანაშაული ჩაედინა უბატონოდ კაცი ხმას ვერ გასცემდა, გასცემდა და ინანებდა. მრავალათასიანი ბრბო შეესეოდა სამართალდამცავ დაწესებულებას. „პროვოკაციას“, „შანტაჟს“, „ინსპირირებას“ დასწამებდნენ თუნდაც დამტკიცებული დარნაშაულისას, დაარბევდნენ იქაურობას და თანამებრძოლს იხსნიდნენ. „ეროვნული მოძრაობის“ ბელადთა წრეგადასულმა რადიკალიზმმა დაუნდობლობის სინდრომით დამუხტა ახალგაზრდობა... ამ სინდრომით დამუხტული და მორალური კანონიერებისაგან განთავისუფლებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იქცა სასტიკ, დაუნდობელ, შურისმაძიებელ ძალად და მის ვნებებს დიდი გასაქანი მიეცა სრული ადმინისტრაციული უკონტროლობისა და სახელმწიფო მექანიზმის მოშლის კვალობაზე“ (მჭედლური 1995:126-127).

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტი კი მაინც საკუთარ კეთილდღეობასა და დიდებაზე ზრუნავდა. 1 ნოემბერს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა პრეზიდენტის ახალი პრივილეგიები. მას დაენიშნა 4 ათასი მანეთი ხელფასი თვეში, გამოეყო სასამსახურო ბინა თბილისში და ორი აგარაკი, სპეციალუ-

რი თვითმფრინავები და ვერტმფრენები, ჯავშნიანი საავტომობილო ტრანსპორტი. დაენიშნა თანხა ქვეყნის შიგნით და გარეთ ყოფნის დროს წარმომადგენლობითი ხარჯების ასანაზღაურებლად. პარლამენტმა იზრუნა პრეზიდენტის ოჯახის კეთილდღეობასა და გადადგომის შემდგომ საპენსიო უზრუნველყოფაზე.

არ ვდაობთ, რომ პრეზიდენტის ცხოვრება უკეთ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავისა, მაგრამ ზ. გამსახურდიას პარლამენტის დადგენილების გარეშეც არ აკლდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული კეთილდღეობა და კომუნისტური ფუნქციონირებისაგან ექსპროპრიირებული პრივილეგიები. თანაც, ეს ყველაფერი შეუფერებელ დროს ხდებოდა. სწორედ ასეთ მოვლენაზეა ნათქვამი—„Пир во время чумы“.

ხელისუფლებას კეთილდღეობა მოსდევს. კეთილდღეობას—სახელი და დიდება ამშვენებს. ზვიადიც ვერ ასცდა გაზვიადების ამ ადამიანურ სისუსტეებს. იმ დროს, როცა საჭირო იყო დაფიქრება პოლიტიკურ ოპონენტებთან და შეიარაღებულ ოპოზიციასთან დამოკიდებულების მეთოდების შემუშავებაზე, როცა საერთაშორისო აღიარებისა და მხარდაჭერისათვის ბრძოლაში მთელი ენერგია უნდა ჩაედო, პრეზიდენტმა თავისი ძირითადი პროფესია გაიხსენა და უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლების შარავანდი, არანაკლებ მაღალი სამეცნიერო ხარისხით დაიმშვენა. 26 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. გაზ. „საქ. რესპუბლიკა“ აცხადებდა, რომ მას „მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა“ (1991:233). ასეთი წოდება კი არ არსებობს. ცხადია, არ ვდავობთ, რომ მას ასეთი სამეცნიერო ხარისხი რუსთაველოლოგიური შრომებისათვის არ ეკუთვნოდა, მაგრამ განა გონიერებაა, როცა ქვეყანა თავზე გექცევა, ხელქვეითებისაგან სამეცნიერო ხარისხის მინიჭება მოითხოვო? ეს ხომ დაცვას კი არა, განკარგულებას ნიშნავს: გინდათ თუ არა მაქეთ და მადიდეთო!

საკითხის ასე დასმა რეტროსპექტული არ არის, ასეთი განწყობა მაშინვე არსებობდა ზ. გამსაუხრდიას მომხრეებშიაც და მოწინააღმდეგეებშიაც.

წლის დასასრულის ვითარების გადმოცემისათვის კვლავ დ. მჭედლურს მივმართოთ: „მთელი ნოემბერი და დეკემბრის პირველი ნახევარი ეროვნული ძალების შემდგომი გათიშვის, პრეზიდენტსა და ოპო-

ზიციას შორის უფსკრულის გაღრმავების პერიოდი იყო. ავტობარიკადებით ჩახერგილი ქუჩები, ადამიანთა ჯგუფების შეხლა-შემოხლა, „კარვის დიაცთა“ განუწყვეტელი, თავაშვებული თარეში, ემოციური კამათი და საყოველთაო „ეროვნული უსაქმურობა“ თბილისისა და, საერთოდ, საქართველოს ცხოვრების წესად იქცა. პარლამენტში თანადათან გაღრმავდა განხეთქილება და ჩამოყალიბდა ოპოზიციური ფრაქციები, რამაც ისედაც არაერთსულოვანი უზენაესი საბჭოს სრული პარალიზება გამოიწვია“ (მჭედლური 1995:122).

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მდგომარეობა თითქოს უნდა გაუმჯობესებულიყო. მოხდა კი პირიქით, პოლიტიკური დაპირისპირება შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა. მოვლენები 1991 წლის მიწურულს დაიწყო, მაგრამ აპოგეა და ტრაგიკული ფინალი ახალ წელს შედგა. ამიტომ ჩვენც მათ შესახებ თხრობას მომდევნო თავში გავაგრძელებთ.

თავი მეექვსე

1992 წელი

„მე მინდა ვემსახურო ჩემს სამშობლოს
და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას“.
მარკესი

1992 წელი ერთ-ერთი საბედისწერო იყო საქართველოს ახალ ისტორიაში. ამ წელს შეიცვალა სამი ხელისუფლება, სამხრეთელმა ოსებმა, ფაქტობრივად, დაიკანონეს დამოუკიდებლობა და აფხაზეთში ქართველთა აშკარა მარცხიც მაშინ გამოიკვეთა. ჩვენც ამ მოვლენების შესახებ მოგვიწევს საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის საკითხზე საზოგადოებაში დღემდე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს, მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნის ხანმოკლეობა სადავო არ არის.[1] ეს განპირობებული იყო შეუქცევადი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით.

მართალია, ზ. გამსახურდია ქვეყნის სათავეში არჩევნების გზით მოვიდა, მაგრამ მას ხელისუფლების შენარჩუნებისათვის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური საყრდენები არ გააჩნდა. ბლოკი „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ძალას, იმიტომ წარმოადგენდა, რომ მისი სპიკერი თავად ზ. გამსახურდია იყო. თანაც, მიტინგური მრავალსიტყვაობის გარდა ზ. გამსახურდიასთან დაახლოებულ პირებს ქვეყნის მართვის არავითარი ცოდნა არ გააჩნდათ და, როგორც პიროვნებები, იმით გამოირჩეოდნენ, რომ თავიანთი კერპის ბრმა თაყვანისმცემლები იყვნენ. მათი კერპი კი არჩევნების წინა ხანაში სრულიად შემთხვევითი გარემოებების გამო, მართლაც, არაჩვეულებრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს შემთხვევითობა იმით იყო გამოწვეული, რომ 9

[1] ამ მხრივ საინტერესოა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ხაბულიანის (რომელსაც, ფაქტობრივად, უნდა დაეცვა არსებული ხელისუფლება) მიერ მოგვიანებით გამოთქმული მოსაზრება: „არასოდეს არ ყოფილა 10 და 20 კაცს ხელისუფლება გადაეტრიალებინოს. იქ სხვა ძალა მოქმედებდა. ჩვენც ისეთ პოლიტიკას ვატარებდით, რომ გაზაფხულზე ისედაც კეტებით გამოგვყრიდნენ, სულაც არ დაჭირდებოდათ ავტომატები („სრ“ 1993:129:130).

აპრილის ტრაგედიამ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სანუკვარმა ლოზუნგებმა, საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილმა და კომუნისტის მტრის ხატად გადაქცევამ, ხალხი ახალი ბელადის ნოსტალგიამდე მიიყვანა. მართლაც, თავგანწირული მამულიშვილი მ. კოსტავა გარდაცვლილი იყო და თვით კომუნისტურმა რეჟიმმა ზ. გამსახურდია ეროვნულ გმირად აქცია. თორემ მისი ავტორიტეტი 9 აპრილამდე ი. წერეთლისა და ვ. ხუხუნაიშვილის დონესაც ვერ უახლოვდებოდა. მართალია, თავის ბიოგრაფიას, ზ. გამსახურდია თავისუფლებისათვის „წამებული რაინდის“ სიუჟეტებით ავსებდა, მაგრამ ყველაფერი ეს სინამდვილესთან დიდად დაშორებული იყო. მას ხშირად აყვედრიდნენ, რომ „მონანიების“ წინა სამწლიანი ცხოვრება ისე გაატარა, როგორც ნიკოლოზ I-ის დროს პოეტებს და არა რევოლუციონერებს ატარებინებდნენ—ყიზლარის მიდამოებში ფეშენებლურ შენობაში ცხოვრობდა და კულტურის სახლის დირექტორის მოვალეობისაგან თავისუფალ დროს ნადირობაში „ჰკლავდა“.

პოლიტიკაში ზ. გამსახურდია დილეტანტი იყო. მან კარგად უწყოდა, რა არ უნდოდა, ნაკლებად რა უნდოდა და სულაც არ იცოდა, როგორ უნდა განეხორციელებინა დასახული მიზანი. მისი პიროვნებისათვის ყველაზე დამახასიათებელი იყო თვითდაჯერებულობა და პატივმოყვარეობა. ე. კანტი ასეთებზე ამბობდა: „დიდ პატივმოყვარეობას ძველთაგანვე ბევრი გონიერი ადამიანი ჭკუიდან შეუშლია“-ო. კენიგსბერგელ ბრძენს აქ ლაპარაკი პირადპირ სიგიჟეზე კი არა აქვს, არამედ ზომიერების დაკარგვაზე.

თუმცა, ზ. გამსახურდიას ფსიქიკურ გაუწონასწორებლობასაც აბრალებდნენ. მაგ, გაზ „საქ. რეს.-ში“ გამოქვეყნდა საქართველოს ფსიქიატრთა და ნარკოლოგთა სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პასუხი ზ. გამსახურდიას წერილზე, სადაც ის მოითხოვდა, რომ, რადგან იგი „ყრმობის ასაკიდან საჭიროებდა ფსიქიატრიულ მეთვალყურეობას და მკურნალობას“, მოსკოვის სერბსკის სახელობის ინსტიტუტში ჩატარებოდა ექსპერტიზა. სათანადო პროცედურის შემდეგ ამ ინსტიტუტმა დიაგნოზი დაადასტურა და დაასკვნა: „ზ. გამსახურდია არის ღრმა ფსიქოპატური პიროვნება პარანოიალური წრისა“. ამასთან „განსაზღვრა, რომ პათოლოგიის ხარისხი არ აღწევდა იმ დონეს, როცა ადამიანი ვერ უწევს ანგარიშს თავის მოქმედებას და ზ. გამსახურდია მიიჩნიეს შერაცხად პიროვნებად“ (1992:126). საბჭოთა პერიოდში შედგენილ ამ დოკუმენტში სრული ჭეშმარიტების ძიება

გულუბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ ე. კანტის პროგნოზი, რომ აშკარად სახეზე გვქონდა, ესეც საეჭვო არ არის.

ამასთან, არც ის უნდა უარვყოთ, რომ ზ. გამსახურდიამ, როგორც დიდად ნიჭიერმა პიროვნებამ, შესანიშნავად იცოდა მასის ფსიქოლოგია. მან საუკეთესოდ აუღო ალღო 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შექმნილ ატმოსფეროს, როცა ხალხის ცნობიერებაში საბოლოოდ შეერწყა, ერთმანეთს ეროვნული მონობისა და კომუნისტური მონობის წარმოდგენები და მან ყველაფერი იღონა, რათა ნომერ პირველი ანტიკომუნისტი ჰგონებოდათ. მის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ძალზე ზუსტად და დროულად შენიშნა ხალხის ნოსტალგია ეფექტიანი ეროვნული ბელადისადმი. ნოსტალგია, რომელიც, გარდა ქართული არტისტიზმისა, სოციალისტურმა გამოცდილებამაც შვა, როცა ხალხი საბოლოოდ შეეგუა იმას, რომ ვიღაც აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს. როცა იოლად და ხალისით უკუაგდებენ საკუთარ პასუხისგმებლობას იმისათვის, რაც ხდებოდა და რაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ამ ტალღაზე მან შესძლო უდიდესი ნდობის მოპოვება. 28 ოქტომბრის, განსაკუთრებით კი, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თავი ყოვლისშემძლედ წარმოიდგინა. დაავიწყდა, რომ თუ მთელი ხალხი არა, მისი უახლოესი გარემოცვა მას კარგად იცნობდა, ერის ინტერესებსა და კანონიერებაზე მაღლა საკუთარის დაყენებას არ აპატიებდა.

დიდი გავლენა ჰქონდა პრეზიდენტზე ქუჩის დემოკრატიას. მას ბლიერ უყვარდა ე.წ. „საინფორმაციო მიტინგები". ეგზალტირებულ ბიტყვებს აფრქვევდა ამ მიტინგებზე. შეკრებილი მასა უმღეროდა: „ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო". მანაც ქართველი ხალხი თავის ქონებად წარმოიდგინა, ყოველ შემთხვევაში ფიქრობდა, რომ მას ისე გამოიყენებდა, როგორც თვითონ სურდა. თავისი მოქმედების სისწორეში იმდენად დაჯერებული იყო, რომ წამოსცდა კიდეც—„კანონი მე ვარო".

მისივე გარემოცვის აღიარებით, ზ. გამსახურდიაზე დიდი გავლენა ჰქონდათ ქალებს—ცოლისდას—ლელი არჩვაძეს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს—მანანა ძოძუაშვილს. მალემრწმენი პრეზიდენტი მათ ყველაფერს უჯერებდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა საკადრო საკითხების გადაწყვეტისას. მინისტრები და სხვა თანამდებობის პირები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ. თანაც, უზენაეს საბჭოსთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რ. გვენცაძის მოწმობით,

დეკემბერ-იანვრის ამბების დროს ოპოზიციის წინააღმდეგ სროლის დაწყების ბრძანების გაცემა ლელი არჩვაძეს ბრალდება („ა-ს“ 1997:5). თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნ. გიორგაძე აჩვენებდა: „ბუნკერში“ პარლამენტის „სხდომაზე“ ღალატში რომ ვერ დამადანაშაულეს და მიშვებდნენ, „მაშინ წამოხტა მანანა ძოძუაშვილი და იკივლა—ამ კაცს აქედან თუ ცოცხალს გაუშვებთ თავს მოვიკლავ და თქვენს ნამუსზე იქნებაო ჩემი სიკვდილი. ყველას შერცხვა, გურამ პეტრიაშვილსაც კი, მაგრამ ფავორიტის სიტყვას ვერ გადაუდგნენ და საწამებელ ოთახში შემაგდეს („სრ“ 1992:265).

ზ. გამსახურდიას პიროვნულ თვისებებს თან დაერთო უფრო ღრმა მიზეზებიც. ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო რაიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით. მის უმაღლეს წრეებში გადაწყვიტეს, რომ სსრ კავშირს უნდა გამოყოფოდნენ, მაგრამ იმავდროულად ცენტრიდან უნდა მიეღოთ სურსათი, ნავთობი, თანხები და ყოველგვარი ეკონომიკური სახსრები, რასაც საქართველო გეგმიური სოციალისტური მეურნეობის დროს ღებულობდა. სსრ კავშირის მთავრობა კი თავისი ინტერესების შესაბამისად, „ურჩი“ რესპუბლიკების მიმართ მკაცრ ეკონომიკურ ბლოკადას ახორციელებდა, რამაც მათი მეურნეობის ნგრევა და კრიზისი გამოიწვია.

გამოსავლის ძიებაში გაურკვეველი რეფორმატორული იდეების მქონე პრემიერი თ. სიგუა „სახელმწიფო კაპიტალიზმისა“ და კონვერგენციის თეორიის მოტრფიალე ბ. გუგუშვილით შეცვალეს. მისი ასეთი ეკონომიკური იდეები მძაფრი და პიროვნული თავდასხმების ობიექტი გახდა.

ზ. გამსახურდიას დიდი შეცდომები ჰქონდა ეროვნული პოლიტიკის სფეროშიაც. უფრო მოზომილი დამოკიდებულებით შეიძლებოდა ასე არ გამწვავებულიყო მდგომარეობა ოსებთან. ამავე დროს სრულიად გაუმართლებელ დათმობებზე წავიდა აფხაზ სეპარატისტებთან, დაეთანხმა რა მათ აპართეიდული საარჩევნო კანონის მიღებაში, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 17 პროცენტის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა, ფაქტობრივად, მიიღეს საშუალება გადაეწყვიტათ დანარჩენი 83 პროცენტის ბედი.

მაგრამ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ყველაზე დიდი, შეიძლება ითქვას, საბედისწერო შეცდომა იყო ქართული საზოგადოების შინაგათიშულობის პროცესისათვის ხელშეწყობა. იგი, როგორც პრეზიდენტი, ვალდებული იყო საწინააღმდეგო ეკეთებინა, ხელი შეეწყო ერის

გამთლიანებისათვის, მომთმენი ყოფილიყო არა მარტო განსხვავებული აზრის მქონეთა, არამედ ყველაზე მტრულად განწყობილი ოპოზიციონერების მიმართაც.

გვიხდება განმეორება, რომ განსაკუთრებით თვითდაჯერებული და პატივმოყვარე ზ. გამსახურდია პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გახდა. არჩევნებამდე იგი აცხადებდა: პრეზიდენტის საერთაშორისო ავტორიტეტისათვის საჭიროა ხმების 85-87 პროცენტიო. მასაც არჩევნებში 86,1 პროცენტი გამოუყვანეს. მაგრამ სინამდვილეში არჩევნებზე არ მოვიდა 626563 ამომრჩეველი, ხოლო მისულთაგან 412885-მა ხმა სხვა კანდიდატებს მისცა. სულ ეს შეადგენს 1039448 კაცს ანუ 28,83 პროცენტს, ე.ი. ზ. გამსახურდია სინამდვილეში პრეზიდენტად აირჩია ამომრჩეველთა 71,17 პროცენტმა.

პრეზიდენტმა თავის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად გაჰყო მთელი საქართველო. „ზვიადისტები“ და „არაზვიადისტები“ უბრალოდ კი არ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, არამედ სამტროდ გადაეკიდნენ კიდეც. გათიშულობა ქალაქებს, რაიონებსა და სოფლებს შორის კი არა ოჯახებშიაც თვალსაჩინო გახდა. უბედურება ისიც იყო, რომ, როგორც იზა ორჯონიკიძე შენიშნავს: „ეროვნული მოძრაობა დასაწყისშივე შავ სამყაროს დაუკავშირდა, ჭუჭყიანი ფული იშოვნა და ყველა მათგანი საეჭვო სახსრებით სულდგმულობდა“ („ა-ს“ 1997:5). ამასვე ადასტურებს ჯ. ღვინჯილიაც: „დაიხვიეს ირგვლივ ხელმოცარული ადამიანები. ხელმოცარულები სიყვარულში, სამსახურში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში და უდიდესმა უმრავლესობამ მოიწადინა მიტმასანებოდა მოძრაობას, რათა ქვეყნის გადაბრუნების შემთხვევაში, სარგებლისათვის გამოეკრა ხელი. მიცვივდნენ მოძრაობაში მკვლელები, ბანდიტები, ქურდები და არეულობის დროს დაიტაცეს მინისტრების, მინისტრის მოადგილეების სავარძლები, თანამდებობები, ბანკები, სესხები“... წერს იგი („სრ“ 1993:138).

ამ უკუღმართ პროცესს განსაკუთრებით აღრმავებდა ის, რომ, როცა აულაგმავი „ზვიადისტები“ თავს განუსაზღვრელად შეუზღუდავ შეღავათებში გრძნობდნენ, პრეზიდენტი და მისი იდეოლოგიური სამსახურები დაუზოგავად უტევდნენ ეროვნულ ინტელიგენციას. ამ ბრძოლამ აშკარად მახინჯი ფორმები მიიღო, როგორც საზოგადოების ყველა ფენა ინტელიგენციაც გაიყო ნამდვილ ეროვნულ და კრიმინალურ ნაწილებად. მეორენი თვისობრივადაც და რაოდენობრივადაც სჭარბობდნენ. მიუხედავად გამუდმებული ძაგებისა ხალხში ინტელიგენციის ამ ნაწილს მაინც მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა. სხვაგვარად

არც შეიძლებოდა, ვინაიდან ინტელიგენცია ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი გამარჯვების საწინდარია. თუ საერთო ეროვნულ საქმეებს ინტელიგენციია არ მიუძღვის ის საქმე თავიდანვე მკვდრადშობილია, ანდა მალე ჩაკვდება. ასეთი როლი ინტელიგენციას მიენიჭა თავისუფალი შრომის საზოგადოების—კაპიტალიზმის პირობებში. ამ დროიდან ინტელიგენციამ უფრო სულიერი პროფესიული და ზოგადკლასობრივი ცნების შინაარსი შეიძინა. გენეტიკურ საწყისებს ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. მას ყველა კლასი ავსებს და „ამარაგებს". ინტელიგენტი რომელი კლასიდანაც არ უნდა იყოს გამოსული, მაინც პროფესიონალურ საფუძველზე ყალიბდება, რის გამოც ჰკარგავს „მშობლიური წრიდან" გამოყოლილ თვისებებს და განსხვავებული პიროვნება ხდება. მისთვის დამახასიათებელია ახალი თვისობრივი წარმომადგენლობა და ინტელიგენტურობისადმი ერთგულება, რაც გაუცნობიერებელ კორპორაციულობაშია გადაზრდილი.

„სწორედ ამაში მდგომარეობს საფუძველი ინტელიგენციის მარადიულობისა,—შენიშნავს გ. ციციშვილი,—ამოუწურველობისა და ზოგადეროვნულობისა... ინტელიგენცია არა მარტო იყო და იქნება ყველაზე პროგრესული და რევოლუციური ძალა, არამედ ყველაზე მდგრადი წამყვანი ძალა ყოველი საზოგადოებისა. ინტელიგენციას ვერც ფაშიზმი მოერია, ვერც ბოლშევიზმი და ვერც მწიფე სოციალიზმი" („ლს" 1997:2).

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლება, მართალია, სწორედ ინტელიგენციის ოპოზიციურობის პროდუქტს წარმოადგენდა, მაინცდამაინც თავის ამ საყრდენს დაუპირისპირდა[1] და გადაჰყვა კიდეც ამ ბრძოლას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ვინაი-

[1] 1997 წლის მაისში პარლამენტის მიერ შედგენილი დროებითი საკანონმდებლო კომისიის მუშაობის პერიოდში გამოაშკარავდა, რომ 1991 წლის 19 ნოემბერს ზ. გამსახურდიას მაშინდელი საჭართველოს პროკურორის ვ. რაზმაძისათვის დაუკალებია: იმავე დღის 15 საათამდე გაეცა სანქცია 7 კაცის დაპატიმრებაზე, ხოლო კიდევ რამდენიმე პიროვნების საკითხი გადაეწყვიტა ორსამ დღეში. ვერ დადგინდა ვინ შეადგინა ეს „შავი" სიები, მაგრამ დაზუსტდა პირველ და მეორე რიგში დასაპატიმრებელთა გვარ-სახელები. „შედეულში" შედიოდნენ: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხოშტარია, ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე, ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია. სამი დღის შემდეგ მათ უნდა მიმატებოდნენ: ელდარ და გიორგი შენგელაიები, ლანა ლოლობერიძე, ვაჟა ადამია, გია ხუთასი, თენგო პაატაშვილი, გელა ჩარგოლაშვილი, მერაბ ურიდია, ირაკლი შელაშვილი, ჭანსულ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ავთანდილ ომნაძე, პაატა კოღუაშვილი, რევაზ ჩხეიძე, არჩილ გოგელია, ნოდარ გრიგალაშვილი, რომან გოცირიძე, დავით ბერძენიშვილი, აკაკი ბობოხიძე, თამაზ დასაშენძე, თამაზ კვაჭანტირაძე. ფიქრობენ, რომ სია სრული არ უნდა იყოს და მისი უფრო ვრცელი ვარიანტიც არსებობდა.

საგამოძიებო მასალების უქონლობის გამო ვ. რაზმაძემ დაპატიმრების სანქცია არ გასცა. პრეზიდენტის შეწოლის პასუხად გადადგა თანამდებობიდან (გაზ. „კაპიტალი", 1997:27).

დან ერის ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის მოძულებითა და მოკვეთით საქართველოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას გამოეცალა შინაარსი. „კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ერის სულია! თუ ეს სული ამოართვი ერს, დარჩება ხროვა“, სამართლიანად შენიშნავს ჯ. ღვინჯილია („სრ“ 1993:138).

ხელისუფლების ქრონიკული კრიზისი ღრმავდებოდა. პრეზიდენტს ოფიციალურად გადაუდგნენ არა მარტო ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, განათლების მინისტრი და სხვა პირები ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან, არამედ მას ფარულად ღალატობდა საკუთარ უახლოეს გარემოცვაში მყოფთა დიდი ჯგუფი. მოღალატეთა რიცხვი დაუჯერებლად გაბუმბერაზდა.

ოპოზიცია არ ფარავდა თავის ზრახვებს. მაგ., ირაკლი წერეთელი პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებდა ნებისმიერი შეიარაღებული ძალა გამოეყენებინათ რათა გამსახურდია იარაღის ძალით ყოფილიყო გადაყენებული. „მე და ჩემ პარტიას,—წერდა იგი,—მიღებული გვაქვს ასეთი გადაწყვეტილება—ან ჩვენ ვიქნებით საქართველოში ან გამსახურდია იქნება, ან ჩვენ დავიხოცებით, ან ის, რადაც უნდა დაჯდეს ეს... ჩემი აზრით, ეს არის აცილებელი, რომ გამსახურდია იქნეს ჩამოგდებული. ამაზე ორი აზრი არ არსებობს“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 25.IX 1991).

როგორც ვიცით, იარაღის გამოყენების გარეშე პრეზიდენტის გადაყენების რამდენიმე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. დეკემბრის მეორე ნახევარში კი ორივე მხარე პრობლემის ძალის გამოყენებით გადაჭრაზე გადავიდა. ქალაქი ამ დროს სავსე იყო შეიარაღებული, გაურკვეველი სამხედრო ფორმიანი ჯგუფებით. მთავრობის სახლის მისასვლელები ჩახერგილი იყო ავტობუსებით და ბეტონის ბლოკებით დატვირთული მძიმე მანქანებით.[1] ოპოზიციონერები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ამ „გალავანს“. ორიოდე დღე მის ირგვლივ იდგნენ.

ძირითადი მოვლენები დატრიალდა 22 დეკემბრიდან. რესპუბლიკის

---

[1] 15 დეკემბერს რუსთაველზე კვლავ გამოჩნდა მონუმენტური ბარიკადები. როგორც ოფიციოზი იუწყებოდა ამჯერად იგი ხელისუფლებამ თავდაცვის მიზნით და „მოსახლეობაში იარაღის დიდი კონცენტრაციის გამო“ ააგო („სრ“ 1991:248). ზ. გამსახურდიას რუსთაველის პროსპექტზე თავდაცვის განსაკუთრებული სისტემა ჰქონდა ჩაფიქრებული. რ. გვენცაძე იგონებს: „სწორედ ოპოზიციონერებთან ურთიერთობა იყო გამსახურდიას განსაკუთრებული შეცდომა. ერთხელ დამიძახა ზვიადმა და მითხრა--„პირველი სკოლიდან მხატვრის სახლამდე აგურის კედელი უნდა ავაშენოთო.“ მხოლოდ დეპუტატ ჭემალ გოლუთიანის ჩარევით მოხდა ამ გადაწყვეტილების შეცვლა“ („ა-ს“ 1997:5).

ბარიკადების შეგნით შეღმივად იდგა განსაკუთრებულად შეიარაღებული და გაძლიერებული დაცვა და „მედრიონის“ კარვები.

პროკურატურამ ლ. ქობალიას საქმის ძიების დროს დაადგინა, რომ 22 დეკემბრის შეტაკება პროვოცირებული იყო. იგი ახსნილია შემდეგნაირად: 21 დეკემბერს დაპირისპირებული მხარეების შეთანხმების მიხედვით რუსთაველის პროსპექტზე მოხსნეს ხელისუფლების მიერ აღმართული ბარიკადები. ქუჩაზე მოძრაობა აღდგა. 22 დეკემბერს, ნაშუადღევს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას რუსთაველის პროსპექტზე გაერთიანებული მიტინგი უნდა გაემართათ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა იმ დღეს თავი მოიყარეს ქაშუეთის ეკლესიასთან.

ვ. ქობალიამ, რომელიც მაშინ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სამმართველოს უფროსი იყო, ოპოზიციის დასაშინებლად შეთანხმებული მიტინგის ჩასაშლელად, უმაღლესი საბჭოს შენობის წინ დაიწყო შეიარაღებული ძალის დემონსტრაცია. თავის ხელქვეითებს უბრძანა გაეხსნათ ცეცხლი. თვითონ ტყვიამფრქვევიდან ისროდა.

ქობალიასა და მისი გვარდიელების სროლის შედეგად 21 დეკემბერს დილით დაიჭრნენ: შს მინისტრის მოადგილე რ. გვენცაძე, გ. ბერძენიშვილი, დ. აზარიშვილი, ზ. ჩიჩუა, თ. გოგუაძე, თ. მახარობლიძე, ი. სიხარულიძე („სრ“ 1995:182).

რ. გვენცაძისა და სხვა დამსწრეთა ჩვენებით, ლ. ქობალიასა და 70-ზე მეტ გვარდიელს ცეცხლის გახსნა აიძულა ზ. გამსახურდიას ცოლისდამ ლ. არჩვაძემ.[1] მაგრამ ეს ლ. ქობალიას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან.

ეს რომ არა რ. გვენცაძის აზრით, ომის, თავიდან აცილება შეიძლებოდა. სიგუა ტრიბუნასთან მისვლას და მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების მხილებას მოითხოვდა, მაგრამ როცა მოვიდა

[1] იგივე ფაქტი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ჯემი სხირტლაძეს ასე აქვს გადმოცემული: „22 დეკემბერს ორივე მხრივ მოსალაპარაკებლად იყვნენ მზად. შეიარაღებული პირები გაფრთხილებულნი იყვნენ არ ესროლათ. შტაბში მყოფები (რ. გვენცაძე, ლ. ქობალია, ბ. ქუთათელაძე და სხვ.). ცდილობდნენ მდგომარეობა გაეკონტროლებინათ. მათთან მოულოდნელად შემოიჭრა ლული არჩვაძე და ღია მაისურაძე. მათ წივილ-კივილით შემოკივნენ სხვა ქალებიც. მათ ბრალი დასდეს შტაბის წევრებს უშოკმედობაში. ლ. ქობალია თავის თანაარელებულ ხალხთან ერთად ქუჩაში გავიდა. ისინი კაბებებზე დაუშვნენ ბარაღის ჩაკუნთი და გინებით. პირველმა ლოთიმ გამოჰკრა თუ არა სასხლეტს ხელი არ დამინახავს, მაგრამ პირველმა, რომ მისმა ხალხმა დაიწყო სროლა კარგად დავინახე“. როცა კიტოვანის ხალხს რაციით ვთხოვე შეეწყვიტათ სროლა, შემაგინეს: „ჩვენ შევწყვიტეთ, თქვენ რატომღა ისვრითო“. უზენაესი საბჭოს მეორე და მესამე სართულებიდან მართლაც ისროდნენ. „პრეზიდენტის მისაღებში ფანჯარაზე იდგა ტყვიამფრქვევი და იქიდანაც ისროდნენ. უზენაესი საბჭოს შენობაში ჯავშანტექნიკაც შემოიყვანეს. შემდეგ ზ. გამსახურდიამ განაცხადა..50 ქართველიც, რომ დარჩეს საქართველოში მაინც პრეზიდენტი ვიქნებიო. ამის გამო 23 დეკემბერს მე მივატოვე სასახლე“ („ა-ს“ 1998:44).

ამ დროს მთავრობის სახლში თავმოყრილი იყო 3 ათასამდე მეომარი. ოპოზიციას კი 130 კაციანი შეიარაღებული რაზმი ჰყავდა (მჭედლური 1995:153).

ჯერი გაუხსნეს. მის დასახმარებლად ზღვიდან გვარდიელები მოვიდნენ. ვიღაც დაიჭრა. აგორდა ტალღა. „აგორდა და... არავითარ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან ტყვია არ უნად გავარდნილიყო“ („ა-ს“ 1997:5).

შეიარაღებულმა ოპოზიციამ 22 დეკემბრიდან განაახლა შეტევები მთავრობის სახლის ასაღებად. ნაშუადღევს მათ არტილერიაც გამოიყენეს. ქვემეხები სამხატვრო გალერეის წინ იდგნენ და სასახლეს ესროდნენ. ეს პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისათვის მოულოდნელი გამოდგა. მაგრამ შემდეგ მათაც გამოიყენეს არტილერია. პირველი იერიშები მოიგერიეს. 23 დეკემბერს დილისთვის დაღუპული იყო 17 და დაჭრილი 128 კაცი. დაიწვა პირველი საშუალო სკოლის შენობა და მხატვრის სახლი. მიმდებარე შენობები დაზიანდა.

იმავე დღეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბ. ქუთათელაძემ რამდენჯერმე სცადა კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტა. იგი მოელაპარაკა კიდეც თ. სიგუასა და პრეზიდენტს ცეცხლის შეწყვეტისა და პრეზიდენტის გადადგომის პირობებზე. ზ. გამსახურდია ერთხანს თანახმა იყო ქალაქიდან გასულიყო. მაგრამ შემდეგ, კვლავ ოჯახური წრის გავლენით, შეხედულება შეიცვალა და ბრძოლის გაგრძელების ბრძანება გასცა.

„გარეთ კი ომი მძვინვარებდა,—განაგრძობს ვითარების აღწერას დ. მჭედლური,—ჰქუხდა ქვემეხი, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები. ზედიზედ იხოცებოდნენ საუკეთესო ჭაბუკები ორივე მხრიდან. სისხლით ირწყვებოდა რუსთაველის პროსპექტი... დადგა მოკლე სუსხიანი დღეები და ყველაზე დიდი ღამეები. მოახლოვდა სისხლიანი ახალი წელი“... (მჭედლური 1995:157). ოპოზიციამ ტელეგრაფის შენობასთან ავტობარიკადებით გადაკეტა რუსთაველის პროსპექტი. ბლოკირებული იყო თავისუფლების მოედნის ყველა მისასვლელი.

ოპოზიცია იყენებდა ვერტმფრენსაც. ბომბი ჩამოაგდეს მთავრობის სახლის სახურავზე. შენობა თითქმის მთლიანად განადგურდა. მოწინააღმდეგე მხარე ამტკიცებდა, რომ მათი წარმატებები რუსეთის სამხედრო ოლქის სარდლობის მიერ გაწეული დახმარებით იყო განპირობებული.

27 დეკემბერს ოპოზიციის ხელმძღვანელობას ახალი ძალები შემოემატა. ამ დღეს გვარდიელებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს გ. ჭანტურია, ჯ. იოსელიანი, მ. გიორგაძე, გ. ხაინდრავა და სხვ.

ოპოზიციის ხელმძღვანელმა ჯგუფმა თავის თავს უწოდა სამხედ-

რო საბჭო (შემადგენლობა ცნობილი არ არის). მისი სახელით გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მიმართვაში ნათქვამია, რომ 2 იანვარისათვის ზვიად გამსახურდიას მიერ უზურპირებული ხელისუფლება დამხობილია და ძალაფულებას ხელთ იღებს სამხედრო საბჭო, რომელმაც დროებით შეაჩერა კონსტიტუციისა და პარლამენტის მოქმედება. გაუქმდა პრეფექტურები, დროებით შეჩერდა ყველა დონის საკრებულოების მოქმედება. ადგილებზე ძალაუფლება გადაეცათ სამხედრო საბჭოს დროებით რწმუნებულებს.

დროებით პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება დაევალა თ. სიგუას. მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებამდე ყველა ორგანო დაექვემდებარა სამხედრო საბჭოს, რომელიც უფლებამოსილებას მოიხსნიდა მთავრობის დაკომპლექტების შემდეგ.

1992 წლის 3 იანვრის 0 საათიდან ქ. თბილისში ცხადდებოდა საგანგებო მდგომარეობა. თბილისის კომენდანტად დაინიშნა გ. ყარყარაშვილი („სრ“ 1992:1).

სამხედრო საბჭომ შეიარღებული გამოსვლა ზ. გამსახურდიას დიქტატორული რეჟიმის დამხობის ერთადერთ გზად გამოაცხადა. მათი აზრით, ერის გადარჩენა და ქვეყანაში მშვიდობის დამყარება მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლებოდა.

სამხედრო საბჭო მიმართავდა შიდა ქართლის მოსახლეობასაც და მოუწოდებდა მათ შეეწვიტათ შეიარაღებული დაპირისპირება და სადავო საკითხების მოგვარებისათვის თბილისში გამოეგზავნათ თავისი წარმომადგენლები. ეს ღონისძიება გამოცხადებული იყო კონფლიქტის სამართლიანი გადაწყვეტის გზად. დაპირისპირება, მიმართვის ავტორთა აზრით, გამოწვეული იყო „გამსახურდიას ხელისუფლების მავნე პოლიტიკის შედეგად. მეოცე საუკუნის ბოლოს შეიარაღებული კონფლიქტისაკენ მოწოდება და სამოქალაქო ომის ინსპირირება ვანდალიზმია“ (იქვე).

სამხედრო საბჭოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ბევრი ადგილი იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ იოლია სხვისი საქმიანობის შეფასება, დამხობილი ხელისუფლების ათას ამქვეყნიურ ცოდვებში დადანაშაულება. ეს მით უფრო იოლია, თუ ძალაუფლება ხელში გაქვს ჩაგდებული და საკუთარ თავს საქვეყნო საქმისათვის თავშეწირულად აცხადებ.

ახალი ხელისუფლება, რომ თავის მიერვე გამოცხადებული მორალური პოსტულატების ერთგული არ იყო, მან ეს უფრო მოკლე დროში დაამტკიცა, ვიდრე ანალოგიური აქციებისათვის ზ. გამსახურდიას

ხელისუფლებას დასჭირდა. ასეთის არა ერთ მაგალითს ქვემოთ ვნახავთ. აქვე კი მათგან მხოლოდ ერთს და ყველაზე ტიპურს მოვიტანთ. 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში ძმათამკვლელი და სამარცხვინო ომი სწორედ იმ თ. კიტოვანმა წამოიწყო, რომელიც ჯ. იოსელიანთან ერთად საბჭოს სახელით აწერდა ხელს ზემოთ დამოწმებულ დოკუმენტებს.

მიუხედავად გამოცხადებულისა, ზ. გამსახურდია 6 იანვრამდე ინარჩუნებდა ხელისუფლებას. ამ დღეს ღამით, 4 საათზე პრეზიდენტმა ბუნკერში მყოფებს გამოუცხადა, რომ სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით ისინი ტოვებენ შენობას. მოალყეებს მათთვის დატოვებული ჰქონდათ გასასვლელი. შეთანხმების მიხედვით გამსახურდია ამბობდა—დასავლეთისაკენ უნდა წავიდეო. სინამდვილეში კი ბუნკერიდან გამოსვლის შემდეგ აღმოსავლეთით, სომხეთ-აზერბაიჯანის მიმართულებით გაემართა.

დაუზუსტებელი მონაცემებით, ე.წ. „თბილისის ომის“ დროს 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე დაიღუპა 107 კაცი, დაიჭრა 527. მათგან სტაციონარში მკურნალობდა 75 (იქვე: 7). ქალაქს მიადგა დიდი მატერიალური ზარალი. 100-ზე მეტი ოჯახი დარჩა უბინაოდ.

მომხდარის შეფასება მეორე დღესვე სცადა დროებითი მთავრობის პრემიერმა თ. სიგუამ. მან ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას „დეკემბრის რევოლუცია“ უწოდა. ამ აჯანყების დროს, მისი სიტყვით, ხალხი იბრძოდა ტოტალიტარიზმზე დემოკრატიის ზეიმისათვის (იქვე:1) გ. ჭანტურია ამ მოვლენებს „დემოკრატიულ რევოლუციას“ უწოდებდა და მისი სამხედრო გადატრიალებად მიჩნევის წინააღმდეგი იყო. იგი ამის დასამტკიცებლად ჩამოთვლიდა რამდენიმე არგუმენტს („სრ“ 1993:13). ჩემი აზრითაც, ეს ისედაც არაა სადავო. მაგრამ იმის მტკიცებაც არ შეიძლება, რომ რევოლუცია მოხდა და არა გადატრიალება. როცა კანონიერ ხელისუფლებას შეიარაღებული ძალით ამხობენ, გადატრიალებაა. მით უფრო, თუ საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტის მაგივრად სახელმწიფოს სათავეში სამხედრო საბჭოს მიერ დანიშნული მთავრობა, სახელმწიფო საბჭო მოდის, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება არ იცვლება.

ე. შევარდნაძემ საქართველოში დაბრუნების ახლო ხანებში განაცხადა, რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლება ხალხმა დაამხო. შემდეგ კი ამ ფაქტს პირდაპირ „სახალხო რევოლუცია“ დაარქვა.

არის შუალედური და სრულიად საპირისპირო შეფასებანიც. ამ

უკანასკნელის მომხრენი მას „პუტჩს“—სამხედრო გადატრიალებას უწოდებენ.

ძნელია განსაზღვრო, მომავალში რა სახელი დაერქმევა ამ მოვლენებს.[1] შინაარსობრივად კი ეს იყო ორი დაპირისპირებული ბანაკის ბრძოლა ხელისუფლებისათვის. თუმცა ორივენი ხალხის სახელით გამოდიოდნენ, როგორც ეს, ჩვეულებრივ, ხდება ხოლმე, მაგრამ მათ ამ შემთხვევაში ხალხი არ აინტერესებდათ. მთავარი იყო შეუნარჩუნებინათ ან მოეპოვებინათ ხელისუფლება. განა შეიძლება ხალხის ინტერესებით ახსნა თბილისის ცენტრში არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით ბრძოლის გამართვა? ანდა ათეულობით ადამიანთა მსხვერპლი და უშესანიშნავესი არქიტექტურული ნაგებობების დანგრევა-იაკარყოფა?

ისტორიკოსის საქმე არ არის მომავლის შესახებ მარჩიელობა, დეტალებში მტკიცება იმისა აუცილებლად მოხდებოდაო ასე თუ ისე, მაგრამ ამ შემთხვევაში იმის ვარაუდი კი შეიძლება, რომ აგონიაში მყოფი ზ. გამსახურდიას რეჟიმი დიდხანს ვერ გაძლებდა და მის დასამხობად ამოდენა მსხვერპლის გაღება არ ღირდა[2], ხოლო თუ იგი პრეზიდენტობას შეინარჩუნებდა, დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებობს ხელისუფლების შეცვლის სამართლებრივი წესი—საყოველთაო, ფარული და პირდაპირი არჩევნები. მაგრამ ეს წესი ოპოზიციისათვის სათუოა. ხოლო შეიარაღებული ძალის საშუალებით სუსტი მოწინააღმდეგის დამარცხება და ხელისუფლების მიღება თითქმის ასი პროცენტითაა გარანტირებული.

ხელისუფლებისათვის ბრძოლის შესახებ აუცილებელია ითქვას

---

[1] 1998 წლის მიწურულს ხელახლა აქტუალური გახდა „თბილისის ომის“ შეფასების საკითხი. ამას დაეთნებით მოითხოვდა „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციის გადარჩენილი ნაწილი. მათ მხარს უჭერს სახალხო მსაჯული დ. სარალიძე, რომლის აზრით, ვიდრე დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლიანი და სამართლებრივი შეფასება არ მოხდება. საქართველოში საზოგადოებრივი შერიგება შეუძლებელი იქნება.

პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ამტკიცებს, რომ ჯერჯერობით; დასახელებული მოვლენების შეფასებამ შეიძლება არასასურველი შედეგები მოიტანოს, რადგან გამტყუნებულ მხარეს უკმაყოფილების ახალ მიზეზებს გაუჩენს. ასე თუ ისე, ეს საკითხი არ შეიძლება მუდმივი დაეის საგნად დარჩეს.

[2] შეურიგებელი ოპოზიციაც ასეთივე აზრისა იყო. კერძოდ, გ. ჭანტურია წერდა: პასუხის გაცემა კითხვაზე აუცილებელი იყო თუ არა „გამსახურდიას შეიარღებული გზით დამხობა, ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. მაგრამ, ალბათ, რეჟიმი გაზაფხულამდე მაინც დაცემოდა.“ აქვე იგი დიდად საგულისხმო დეტალს უმატებდა--„სამხედრო ბიუროკრატიამ იჩქარა, რადგან სურდა ინიციატივის ხელში ჩაგდება“-ო („სრ“ 1993:13). ამ მოვლენების ერთი წლისთავზე გაზ. „მოსკოვსკუ ნოვოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ე. შევარდნაძე ამბობდა: „დღეს ბევრს კამათობენ საქართველოში გადატრიალება იყო თუ რევოლუციას არსი ეს როდია. ვითარება ექსტრემალური იყო. არსებითად მაშინ დამყარდა სამხედრო მმართველობა“-ო (იქვე:35).

შემდეგიც: ამ დროს ყოველთვის სრულიად უგულვებელყოფილია ადამიანი, მისი პიროვნება, უფლება-მოვალეობანი. ფაქტობრივად კი ყველაფერი მის ხარჯზე ხდება. ირღვევა ღმერთისაგან ადამიანისთვის მინიჭებული თავისუფლება; ხელყოფილი ხდება თვით ადამიანის მიერ შეძენილი მატერიალური თუ მორალური ფასეულობანი და ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეც კი. მებრძოლი მხარეები თავიანთი პატიჟმოყვარული მიზნებით ერთმანეთს უსევენ ადამიანებს, თავიანთ მომხრეებს აიძულებენ მოწინააღმდეგეებს ისე მოექცნენ, თითქოს მათ არსებობის ისეთივე უფლებამოსილება არ გააჩნდეთ, როგორიც თავად აქვთ. ადამიანურობა უწყალოდ უგულებელიყოფა. პიროვნებას, როგორც ადამიჯნს არავითარი ანგარიში არ ეწევა.

ეს საერთო-საკაცობრიო უბედურებაა. მიუხედავად ამისა, ჯერ ხელისუფლებისათვის მებრძოლი არც ერთი მხარე ამას არ შეუჩერებია. „ძლიერთა ამ ქვეყნისა“ ჰგონიათ: ადამიანებზე მათ ყოველგვარი უფლება აქვთ. რის გამოც გამოდის, რომ ისინი თავიანთ ყველაზე ერთგულ ადამიანებს უფრო დაუზოგავად ექცევიან, ვიდრე დაპირისპირებულ მხარეს. რადგან ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგეა და, თუ მისი დამარცხება—განადგურება მიზნის მიღწევის ინტერესებითაა გამართლებული, სრულიად ამორალურია თანამოაზრეთა განწირვა, რამდენადაც ბრძოლაში დანაკარგები მხოლოდ ერთ მხარეს არა აქვს. აქ იგულისხმება არა მარტო შეიარაღებული ბრძოლა, არამედ პოლიტიკურიც. რამეთუ პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებული უფრო იხრწნება მორალურად, ვიდრე დამარცხებული. ადამიანი კი მორალური არსებაა და არა მხოლოდ ფიზიკური.

ნათქვამი არ ვრცელდება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. სამშობლო („მამული“, როგორც დიდი ილია, ეძახდა), მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ადამიანურობის ერთ-ერთი უძვირფასესი კატეგორიაა, მისთვის ყველაფრის განწირვა ღვთისგანაა ნაკურთხი.

თბილისიდან გაქცეული ზ. გამსახურდია სომხეთში, ქ. იჯევანის მახლობლად დაბანაკდა. როგორც იტყობინებოდნენ, მას თან ახლდა 120-მდე კაცი. სომხეთში ყოფნის მეორე დღეს ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ არ აპირებს პრეზიდენტობიდან გადადგომას, თავს დამარცხებულად არ გრძნობს, მაგრამ საქართველოდან წასვლას სისხლისღვრის შეწყვეტის სურვილით ხსნის. მანვე უარყო სახელმწიფო ხაზინიდან თანხების წაღების ბრალდება. უარი თქვა „პუტჩისტების“

წარმომადგენლებთან შეხვედრა-მოლაპარაკებაზე („სრ“ 1992 :4).

სომხეთის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ექს-პრეზიდენტს სომხეთი არ უნდა დაეტოვებინა. მაგრამ მასპინძლებმა ეს პირობა არ შეასრულეს. ამ დროს სოხუმის აეროპორტი ზ. გამსახურდიას მომხმარეთა ხელში იყო. მათ გაუგზავნეს თვითმფრინავი, რომლითაც იგი 15 იანვარს ღამით სოხუმში ჩაფრინდა. აფხაზეთის ხელისუფლება კი იუწყებოდა, მისი ჩამოსვლის შესახებ არაფერი ვიცითო. ზ. გამსახურდიამ განაცხადა, რომ აქედან იგი შეუტევს თბილისს. ე.ი. იწყებდა სამოქალაქო ომს. ხოლო ჩეჩნეთთან მოლაპარაკების თანახმად, აარსებდა აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკას (იქვე:8). 16 იანვარს მას მოელოდნენ მიტინგზე ზუგდიდში, ამ აქტის გამოსაცხადებლად.

მაგრამ სამოქალაქო ომი ამჯერად არ გამოვიდა. მართალია, გრძელდებოდა რკინიგზის ბლოკადა სოხუმ-ინგირის მონაკვეთზე, იმართებოდა ხალხმრავალი მიტინგები ზ. გამსახურდიას მხარდასაჭერად სოხუმში, ზუგდიდში, ხობში, მარტვილში, ფოთში... ქუთაისში სიტუაციის ექს-პრეზიდენტის სასარგებლოდ შესაცვლელად სამეგრელოს რაიონებიდან გამოიგზავნა 200 კაციანი რაზმი, რომელთაც წინ ბავშვები და ქალები მოუძღვებოდნენ, მაგრამ ისინი კოპიტნართან შეაჩერეს და საერთოდაც, როგორც პრემიერი თ. სიგუა აცხადებდა: მისი მთავრობის სამსახურში მყოფი შეიარაღებული ძალები 10-ჯერ აღემატებოდა ექს-პრეზიდენტის მომხრეებისას და ამიტომ სამოქალაქო ომის დაწყება მხოლოდ ავანტურა იქნებოდა (იქვე).

ჩანს ეს ზ. გამსახურდიასაც ჰქონდა შეგნებული, ამიტომ ითხოვა წასვლა საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქვეყანაში. ამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე სამხედრო საბჭო თანახმა იყო, თუ ექს-პრეზიდეტი ამის შესახებ წერილობით დოკუმენტს წარმოადგენდა (იქვე:10). ეს ოფიციალური გადადგომის ტოლფასი იქნებოდა: ასეთი განაცხადი არ გაკეთებულა. 21 იანვარს ზ. გამსახურდია სოხუმიდან ჯ. დუდაევის მიერ გამოგზავნილი თვითმფრინავით მინვოდის მიმართულებით გაფრინდა და გროზნოში ჩავიდა (იქვე:12).

ძლიერ უმადური საქმეა დოკუმენტების გარეშე რაიმეს მტკიცება, მაგრამ მომხდარი ფაქტის შემდეგ ეჭვის გამოთქმის უფლება არავის აქვს წართმეული. თუ ექს-პრეზიდენტს რუსეთის საიდუმლო სამსახურებში მფარველები არ ჰყავდა, მაშინ, როგორღა მოხდა მისი ისე გადაფრენა ერევანი-სოხუმი-გროზნოს მარშრუტით, რომ ამის შესახებ „ვერაფერი შეიტყო“ ვერც სომხეთის მთავრობამ და ვერც რუსეთის

საჰაერო თავდაცვამ! რუსეთის საიდუმლო სამსახურების გარეშე ასეთი გაფრენის ჩატარება, სრულიად წარმოუდგენელია. სუკ-ი გულუბრყვილო ძიძების დაწესებულება როდი იყო!

სამეგრელოს რეგიონში „წესრიგის დასამყარებლად „სამხედრო საბჭომ „მხედრიონი" გაგზავნა. მის ხელმძღვანელს ჯ. იოსელიანს შტაბი სამტრედიაში ჰქონდა. დაუმორჩილებლობის კომიტეტის (თავრე ვალტერ შურღაია) ძალები „მხედრიონს" იარაღით დაუპირისპირდნენ. ჯ. იოსელიანის „ბიჭებს" აღვირახსნილი მოქმედების საშუალება მიეცათ. დაიწყო სამეგრელოს მოსახლეობის აწიოკება. ფრონტისპირა ქალაქს დაემსგავსა ქუთაისიც კი. იმატა გარდაცვლილთა და საავადმყოფოებში მოთავსებულ დაჭრილთა რიცხვმა. მთელ რესპუბლიკაში (გარდა ზუგდიდის და ფოთისა!) ვითარებას დროებითი მთავრობის ძალები აკონტროლებდნენ (იქვე:11).

სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის თაობაზე. 8 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ჯ. იოსელიანმა განაცხადა, რომ იგი და თ. კიტოვანი მხარს უჭერენ კონსტიტუციურ მონარქიას (იქვე:4).

თ. კიტოვანის თქმით, საქართველოს უზენაესი საბჭო უახლოეს დღეებში უნდა შეკრებილიყო სესიაზე, მასში მონაწილეობას მიიღებდნენ მაჟორიტარული წესით არჩეული კომუნისტი დეპუტატებიც.

13 იანვარს გამართულ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შეკრებაზე ა. ასათიანმა განაცხადა, რომ თავისი ფუნქციები, როგორც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა ამოწურულად მიაჩნია. შეკრებილებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, მოიწვიოს საქართველოს სახალხო კრება (იქვე:6).

სამხედრო საბჭო ჩქარა დარწმუნდა, რომ არჩეული ორგანოების გარეკვა ცუდად აღიქმებოდა საზოგადოების მიერ. მისი 10 იანვრის დადგენილებით, ყველა დონის საკრებულოები აღდგენილ იქნა. მათი გამგეობების დამტკიცებისთანავე უქმდებოდა სამხედრო საბჭოს რწმუნებულთა დროებითი თანამდებობები (იქვე:4).

თავისი მოქმედების პერიოდში სამხედრო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენა. ასეთი ღონისძიება ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ერთადერთ პირობად მი-

[1] სოხუმში ზ. გამსახურდიას მომხრეებს მხოლოდ ოროპორტი 24 იანვარსაც ხელთ ჰქონდათ.

აჩნდათ ეროვნულ კონგრესში გაერთიანებულ პარტიებს. ისიც წავიდა ამ დათმობაზე (იქვე:36). თუმცა ამ საკითხში თ. სიგუას პოზიცია უფრო სწორი იყო. პრემიერი აცხადებდა, რომ გადაწყვეტილება დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციის აღდგენისა მხოლოდ ახლადარჩეულმა პარლამენტმა უნდა მიიღოსო (იქვე:35). თანაც, 1921 წლის კონსტიტუცია საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებდა, ვინაიდან აღარ შეესაბამებოდა მსოფლიოსა და საქართველოში არსებულ ახალ რეალიებს. ამ აქტის ნაჩქარეობას ისიც ადასტურებს, რომ იგი კონფრონტაციის სამართლებრივ საფუძვლად გაიხადეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

მეორე, ასევე ნაჩქარევი ღონისძიება იყო ჯ. იოსელიანისა და თ. კიტოვანის მიერ სამხედრო საბჭოს სახელით გამოცემული „ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე ამნისტია", რომლითაც ციხეებიდან და შრომა-გასწორების ბანაკებიდან განთავისუფლდა 4 ათასამდე მსჯავრდადებული, ხოლო დარჩენილებს პატიმრობის ვადა გაუნახევრდათ (იქვე: 37).

როცა სამხედრო საბჭოს წევრებმა ამნისტიის აუცილებლობაზე წამოიწყეს საუბარი, პრესაში გამოქვეყნდა საფუძვლიანად დასაბუთებული საწინააღმდეგო წერილები. მაგრამ ისინი მხედველობაში არ იქნა მიღებული. საქმე იმაში იყო, რომ ამნისტიის გამომცემელნი ადრე თვით ეკუთვნოდნენ დამნაშავეთა სამყაროს და, გასაგებია, თავის თანამოძმეებს თანაუგრძნობდნენ. თანაც ამნისტიით განთავისუფლებულებმა მალე საკმაოდ მნიშვნელოვანი ხვედრითი ძალა შეადგინეს „მხედრიონის" კონტინგენტში.

ოპოზიცია ზ. გამსახურდიას მძიმე ბრალდებად უყენებდა მიწის საკუთრების საკითხის მოუგვარებლობას. ამიტომ 20 იანვარს დროებითმა მთავრობამ ნაჩქარევად გამოსცა დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ" (იქვე:9). ეს იყო მოუმზადებელი და იმპროვიზირებული გადაწყვეტილება, რომელმაც, ფაქტობრივად, არივ-დარია სოფლად მიწის საკუთრების გარკვევის საქმე, გამოიწვია კოლმეურნეობებისა და ყოფილი საბჭოთა მეურნეობების ქონების განიავება. სათანადო სამართლებრივი ბაზის უქონლობის გამო, გლეხობისათვის გაუგებარი იყო მიღებული მიწის ნაკვეთი მის საკუთრებაში რა ვადით იქნებოდა. უფრო მეტიც, დააცლიდნენ თუ არა მათ დათესილი ფართობიდან და მრავალწლიანი კულტურებიდან მოსავლის აღებას.

ეს მოუმზადებელი რეფორმა პოპულისტური დანიშნულებისა იყო

და სოფლის მოსახლეობის მთავრობის მხარეზე გადაყვანის დანიშნულება ჰქონდა. მან ეს ფუნქცია მნიშვნელოვანწილად შეასრულა.

ასეთივე რიგის ღონისძიებებს ეკუთვნოდა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1 თებერვლის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ" (იქვე:20). უფრო ადრე (17 იანვარს) მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებათაგან აღსანიშნავია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის თვითმმართველობის (ავტონომიის) მინიჭება (იქვე:12).

ექს-პრეზიდენტის მომხრეთა დაუმოჩილებლობის მოძრაობა კი გრძელდებოდა. ახალი ხელისუფლება მას ყველა საშუალებებით უსწორდებოდა. 21 იანვარს რუსთაველის პროსპექტზე, კინოს სახლთან, გვარდიელებმა აღკვეთეს ზ. გამსახურდიას მომხრეთა დემონსტრაცია. 2 თებერვალს გმირთა მოედნის მახლობლად მოხდა შეტაკება პრეზიდენტის მომხრეებსა და სამხედრო კომენდატურის წარმომადგენელთა შორის დაიღუპა 2, დაიჭრა 80 კაცი.

ზუგდიდსა და მის მიდამოებში იდგა ზ. გამსახურდიას 800-მდე მომხრე. მათთან შერიგების თაობაზე გამართული მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა. იანვრის მიწურულს დროებითი მთავრობის ჯარები გ. ყარყარაშვილის მეთაურობით შევიდნენ ზუგდიდში. ქალაქის დატოვებისას „ზვიადისტებმა" დაარბიეს პრეფექტურა, ცეცხლი წაუკიდეს ტელეცენტრს. შეეცადნენ გაეძარცვათ ბანკი.

ეს მოვლენები მიმდინარეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ვითარების დაძაბვისა და გამწვავების ფონზე.

სამხედრო საბჭოს მიერ ძალაუფლების ხელთგდების შემდეგ ცხინვალის რეგიონში ნაწილობრივი სტაბილიზაცია შეიმჩნეოდა. ამას ხელი შეუწყო პატიმრობიდან ოსი სეპარატისტების ლიდერის ტორეზ ყულუმბეგოვის განთავისუფლებამ. მაგრამ სულ მოკლე ხანში ვითარება საპირისპირო გახდა. ოსურმა მხარემ გამოაცხადა, რომ 19 იანვარს ატარებს რეფერენდუმს რუსეთთან შეერთების საკითხზე. სამხედრო საბჭომ ამის გამო პროტესტი გამოთქვა („სრ" 1982:8). ოსი ექსტრემისტების მოქმედება აშკარა მშვიდობის ჩაშლისა და დაძაბულობის ჩამოსაგდებად იყო გამიზნული.

აფხაზეთშიაც თავიდან შედარებით ჩვეულებრივი პროცესები ვითარდებოდა. 29 დეკემბერსა და 6 იანვარს გაიმართა აფხაზეთის ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს სესია. არჩევნები ჩატარებულად იქნა ცნობილი 65-დან 63 ოლქში.

იმავდროულად არძინბა თანმიმდევრულად ახორციელებდა „კონსტიტუციურ ომს“. მისი თავმჯდომარეობით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აფხაზურმა დეპუტაციამ (ქართველი დეპუტატები პროტესტის ნიშნად სხდომაზე არ გამოცხადდნენ), ნაცვლად ასსრ-ის ქვეყანას უწოდა „აფხაზეთის რესპუბლიკა“, მაგრამ აფხაზი სეპარატისტები მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ მომზადებულნი საქართველოს ხელისუფლებასთან შეტაკებისათვის, ამიტომ ზოგიერთ დათმობებზე მიდიოდნენ. მაგალითად, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ გრძელდებოდა ე.წ. „რელსების ომი“, ვ. არძინბამ შედარებით მშვიდად მიიღო სამხედრო საბჭოს ძალების მიერ გალის რაიონის დაკავება (იქვე:24). უფრო მეტიც, იგი დაეთანხმა პრემიერ თ. სიგუას და 6 თებერვალს ეროვნული გვარდიის ქვეგანაყოფები სოხუმში შევიდნენ. 10 თებერვალს კი ისინი გ. ყარყარაშვილის მეთაურობით გავიდნენ სასაზღვრო სოფელ ლესელიძემდე. ამაზედაც არსებობდა აფხაზეთის ავტ. რეს-ის მთავრობის თანხმობა (იქვე:27-28).

სავარაუდოა, ამ სამხედრო დემარშების გავლენით იყო, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭო კვლავ დაუბრუნდა ქვეყნის სახელწოდების შეცვლის საკითხს და, რადგან სხდომაზე კონსესუსამდე ვერ მივიდნენ, იგი გადასაწყვეტად გადაეცა შემთანხმებელ კომისიას (იქვე:34).

დროებით მთავრობასა და სამხედრო საბჭოში ეს ნაბიჯები ვ. არძინბას ლოიალურ პოლიტიკად მიიღეს და ეროვნული გვარდიის ნაწილებიც 1992 წლის თებერვლის უკანასკნელ დეკადაში აფხაზეთიდან გამოიყვანეს. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ეს გაუმართლებელი ნაბიჯი იყო.[1] ამის შემდეგ ვ. არძინბას ხელ-ფეხი გაეხსნა აგრესიის საფუძვლიანად მომზადებისათვის. სვ. ჩერვონაიას შენიშნული აქვს, რომ ვიდრე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი ადამიანთა მსხვერპლითა და ეკონომიკური ზარალით ძირს უთხრიდა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის სტაბილურობას, ულახავდა მას საერთაშორისო ავტორიტეტს, რითაც აუნაზღაურებელ ზარალს აყენებდა მას, „აფხაზეთის საკითხის“ გამწვავება შეიძლება არ ეჩქარათ.

„აჩქარება საჭირო შეიქნა 1992 წლის გაზაფხულიდან,—წერს იგი,—საქართველოში შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ. თუ გამსახურდიას მთელი თავისი უაზრო, ბეცი პოლიტიკით თვითონ მიჰყავდა

[1] ეს აღიარა 7 აპრილს მიცემულ ინტერვიუში თ. კიტოვანმა. მან დაუფარავად თქვა: „შევცდით, როცა მოვატოვეთ იჯაურობა (აფხაზეთი. გ.მ.) და გვარდია გამოვიყვანეთ“-ო („სრ“ 1999:58).

საქმე გაჭიანურებულ კრიზისამდე, როცა საქართველოს უხშობდა ჭეშმარიტი განთავისუფლების, იმპერიულ-კოლონიური წარსულის დაძლევისა და მსოფლიო ცივილიზაციურ პროცესში ჩართვის შესაძლებლობებს, შევარდნაძის მოსვლა ხელისუფლებაში სრულიად სხვა პერსპექტივებს სახავდა“ (ჩერვონაია 1994:157).

ვ. არძინბას თავისი მშობელი ქვეყნის წინააღმდეგ ზ. გამსახურდიაც აქეზებდა. 28 თებერვალს იგი აფხაზურ ენაზე გამოვიდა აფხაზეთის ტელევიზიით და მოუწოდა აფხაზ მოსახლეობას ჩაბმულიყო საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში („სრ“ 1992:41). ეს იყო ზ. გამსახურდიას, როგორც უპრინციპო პოლიტიკოსის, ქმედებათა კიდევ ერთი ნიმუში. აი, რას ამბობდა იგი თავისი პრეზიდენტობის დროს, ერთ-ერთ მიტინგზე, როცა ამავე თემას ეხებოდა: „აქ გამოითქვა რამდენიმე აზრი აფხაზების, როგორც ერის შესახებ. არის თვალსაზრისი ჩვენში, რომ არსებობს აფხაზი ერი. აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებულა. სახელწოდება აფხაზი არასწორად იხმარება აფსუა ტომთან დაკავშირებით. აფსუა ანუ აფხაზი ეს არის ჩრდილოეთ კავკასიური, ადიღეური მოდგმის ტომი, და ჩვენ არც ერთი ტომის თვითგამორკვევის წინააღმდეგი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს, მით უმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე—ჩრდილოეთ კავკასიაში. მე გთხოვთ აქ გამომსვლელებს, თუ ვინმე მოინდომებს ამ ჭეშმარიტების სხვაგვარად წარმოდგენას არ მოუსმინოთ! აფხაზი ერი არ არსებობს“ (იქვე:159).

ახლა კი მას ამ არარსებული ერის დახმარებით უნდოდა თავისი მოწინააღმდეგეების განადგურება. ანგარიშს არ უწევდა რა არც იმას, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მის მიერვე იყო ინსპირირებული და არც კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში ქართველი ხალხის მიერ გაღებულ მსხვერპლს დაგიდევდათ რაიმედ.

ვ. არძინბას ყველაზე დიდი ხელშეწყობა რუსეთის მხრიდან ჰქონდა. რუსეთის ხელისფლების წარმომადგენლებმა, ფორმალურადაც კი, ერთი სიტყვა არ თქვეს, როცა ვ. არძინბამ ისარგებლა თბილისში 22 დეკემბრიდან 6 იანვრამდე მიმდინარე მოვლენებით, რის გამოც საქართველოს ხელისუფლება პარალიზებული იყო და აფხაზეთის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს 1991 წლის 29 დეკემბერს მიაღებინა რიგი დადგენილებანი. მათგან ერთის მიხედვით: „საჯარისო ნაწილები დაწესებულებებით, სასაზღვრო, შინაგანი ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალები დისლოცირებულნი აფხაზეთის ტერი-

ტორიაზე... მთლიანად და სრულად შედის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში" (ჩერვონაია 1994:135). მეორე დადგენილებით— აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან იქმნებოდა დროებითი საბჭო მასში გარდა აფხაზეთის შს სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისა, ქ. სოხუმისა და გაგრის სამხედრო კომისრებისა, შედიოდნენ აფხაზეთში განლაგებული რუსეთის საარმიო და შინაგანი ჯარების ნაწილების მეთაურები.

სვ. ჩერვონაიას სამართლიანი შენიშვნით, ვ. არძინბა „უმაღლესი მთავარსარდლის სიმტკიცით და ესოდენი კადნიერებით ვერ დანიშნავდა საბჭოთა არმიის პოლკოვნიკებს და პოდპოლკოვნიკებს მისივე მეთაურობით შექმნილი „დროებითი საბჭოს" წევრებად, თუ ყველაფერი ეს მას მეთაურთა შემადგენლობასთან წინასწარ არ შეეთანხმებინა" (იქვე:138).

ეს ძალები აფხაზ სეპარატისტთა ზრახვების განსახორციელებლად არ კმაროდა, ამიტომ არძინბამ საბჭოური „საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის" შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს გამოაცხადა აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა არმიაში. გაწვევას ექვემდებარებოდნენ „მიღებული ფორმით" შედგენილ სიებში შეყვანილი მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. ე.ი. ეთნიკური ნიშნით დგებოდა არძინბას 500 კაციანი პირადი გვარდია, რომლის 366 დღეს სამყოფი სურსათი და საქონელი უკვე მომარაგებული ჰქონდათ (იქვე).

ვ. არძინბა თანმიმდევრულად ახორციელებდა ხელისუფლების უზურპაციასაც. 5 მარტს მან ერთპიროვნული ხელმოწერით გამოიყვანა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან და დაიქვემდებარა—უშიშროების, სახელმწიფო ქონების მართვის პრივატიზაციისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო კომიტეტები. პუტჩის მომზადებისათვის ვ. არძინბას ესაჭიროებოდა თანამოაზრეთა კარგად შეკრული გუნდი. მისი შემადგენლობის კანდიდატურების შერჩევა ხდებოდა არა პროფესიონალიზმის ნიშნით, არამედ თანამოაზრეობის, ეროვნული წარმოშობის, ნათესაური, მეგობრული კავშირების და ნაციონალისტური ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით. ქართული ეროვნების მუშაკები მეთოდურად იდევნებოდნენ თანამდებობებიდან და ყალიბდებოდა რუსულ-აფხაზური ხროვა (იქვე: 145; შდრ надарейшвили 1996:41).

არძინბას ასეთმა ნაბიჯებმა დაძაბა ურთიერთობა აფხაზეთის უზენაეს საბჭოში აფხაზ და ქართველ დეპუტატებს შორის. ქართვე-

ლები, რა თქმა უნდა, პროტესტით ხვდებოდნენ ყოველივე ამას. ვ. არძინბა კი მათ წინასწარგანზრახულ დეზინფორმაციაში ადანაშაულებდა. ერთ-ერთი ასეთი გამოხდომის შემდეგ, 8 აპრილს, ქართველმა დეპუტატებმა თ. ნადარეიშვილის მეთაურობით სხდომის დარბაზი დატოვეს („სრ“ 1992:54).

მომდევნო სხდომებზედაც ანალოგიური ვითარება მეორდებოდა. კვორუმის დაუსწრებლობის გამო სხდომები იშლებოდა ხოლმე. არძინბამ მალე გამონახა გამოსავალი. უზენაესი საბჭოს დადგენილებების მიღება დაიწყო უბრალო უმრავლესობით. ქართველი დეპუტატების მიერ სხდომების მიტოვება მცდარი ტაქტიკა გამოდგა.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ე. შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. ქვეყანას ახლა, როგორც არასდროს, ესაჭიროებოდა დიდი გამოცდილებისა და მაღალი ავტორიტეტის მქონე ხელმძღვანელი. მიუხედავად მისი კომუნისტური წარსულისა (რასთანაც დადებითთან ერთად, უარყოფითიც საკმაოდ იყო დაკავშირებული), ამ თვისებების მქონე უფრო შესაფერი პიროვნება ქართველთა შორის მაშინ არ მოიძებნებოდა.

რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელმძღვანელობის მოწვევით, ე. შევარდნაძე 7 მარტს თბილისში ჩამოვიდა[1]. მან აეროპორტში განაცხადა, რომ დაბრუნდა საქართველოში, როგორც პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მკლავდაკაპიწებული სამუშაოდ (იქვე:42).

10 მარტს, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, ძალაში შევიდა საქართველოს დემოკრატიული კავშირის პროექტი, რომლის მიხედვითაც, ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. მისი წევრები გახდნენ: თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი და თ. კიტოვანი. ამ დღიდან სამხედრო საბჭო წყვეტდა ფუნქციონირებას. სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრები გახდებოდნენ ფართო კოალიციური წარმომადგენლობით წამოყენებული კანდიდატები.

ე. შევარდნაძის ჩამოსვლას ექს-პრეზიდენტის მომხრენი პროტესტით შეხვდნენ. თბილისში ასეთი მიტინგი უკვე 9 მარტს მოეწყო. რიგი აქციებისა განახორციელეს ქ. ზუგდიდსა და მის მიდამოებში. ქალაქში ანარქია სუფევდა. 13 მარტს იქ მოსალაპარაკებლად გაემართა სახელმწიფო საბჭოს წევრთა დელეგაცია. დამოურჩილებლობის

[1] „მაშინდელი შს მინისტრის მოადგილის გენ. თ. ეპიტაშვილის მტკიცებით, პირველი ტერორისტული აქტი, ე. შევარდნაძის ლიკვიდაციის მიზნით ამ დღეს უნდა მოწყობილიყო, მაგრამ მან ეს დროულად შეიტყო. საფრთხე პირადად უგნებელყო („ა-ს“ 1998:10).

კომიტეტის ძირითადი მოთხოვნა იყო რეგიონიდან გვარდიისა და „მხედრიონის“ გაყვანა და მათი შეცვლა ქართული პოლიციის ქვეგანაყოფებით. სახელმწიფო საბჭომ ეს პირობები 18 მარტიდან დააკმაყოფილა. ამას რეგიონში სტაბილიზაცია არ მოჰყოლია. მარტის დამლევს სატელეეთერო გამოსვლაში ზ. გამსახურდიამ თავი შეურიგებლობის მოძრაობის ხელმძღვანელად გამოაცხადა და მოუწოდა დესტაბილიზაციის გაღრმავებისაკენ.

ამ დროს მთავრობის შეიარაღებული ფორმირებები თავმოყრილი იყვნენ სამტრედიაში. 3 აპრილს ეროვნული გვარდიის ნაწილები წინააღმდეგობის გაუწევლად შევიდნენ: აბაშაში, სენაკში, ხობში, ფოთში. მიადგნენ ზუგდიდს. და თუმცა აცხადებდნენ, რომ „გვარდიისა და მხედრიონის შესვლა ამ რეგიონში... დამსჯელი აქტი ან ექსპედიცია არ იყო“, მას სამეგრელოს მოსახლეობის მაინც დიდი გულისწყრომა მოჰყვა. ეს უსაფუძვლო არ გახლდათ, „მშვიდობისმოყვარე ქართველები“ ლაგამახსნილნი მოქმედებდნენ რეგიონში. ძარცვავდნენ და აუბედურებდნენ თანამემამულეებს. მათი აღვირახსნილობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა იმდენად ზიზღითა და მტრულად განეწყო ხელისუფლების მიმართ, რომ როცა ე. შევარდნაძემ 23-24 ივლისს ტურნე მოაწყო სამეგრელოს რეგიონში, მას წალენჯიხაში იმდენად არასტუმართმოყვრულად შეხვდნენ, იძულებული გახდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო თბილისში. სამაგიეროდ, იგივე მოსახლეობა მასობრივად გადავიდა ზ. გამსახურდიას მხარეზე, 1993 წლის სექტემბრის მიწურულს, მისი სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ.

ზუგდიდის რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციით, ისარგებლა აფხაზეთის ხელისუფლებამ და გადაკეტა რკინიგზა ენგურის მარჯვენა სანაპიროზე. მაგრამ სახელმწიფო საბჭოს ენერგიულ ღონისძიებებს მოჰყვა ნ. ლაბახუას ხელმძღვანელობით აფხაზეთის დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში. შეთანხმდნენ, რომ თუ აფხაზეთის ხელისუფლება უზრუნველყოფდა მაგისტრალებზე წესრიგის დაცვას, ქართული ნაწილები არ შევიდოდნენ აფხაზეთში. 8 აპრილიდან საავიაციო, საავტომობილო და რკინიგზის ტრანსპორტის მიმოსვლა აღდგა. ამ პერიოდისათვის საქართველოს მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი უდრიდა 6 მილიარდ მანეთს (იქვე:58).

1992 წლის გაზაფხულზე ხელისუფლების საქმიანობის ძირითად საკითხად მაინც ცხინვალის რეგიონის ვითარება რჩებოდა. ამ რეგიონში საქართველოს მთავრობის იურისდიქცია კარგა ხანია არ ერცელდებოდა. გორიდან მეოცე კმ-ზე, სოფელ ტყვიავთან რუსი მესაზ-

ღერეები და ოსი ავტოინსპექტორები თავგამოდებით იცავდნენ ფირნიშს წარწერით—„РСФСР“. მდ. პატარა ლიახვის ხეობაში 8 ქართული სოფელი ფაქტობრივ ბლოკადაში იმყოფებოდა (იქვე:66).

საგანგებო რწმუნებებით აღჭურვილმა პრემიერის მოადგილემ ს. კავსაძემ მოლაპარაკების გზით მიაღწია შეთანხმებას რუსეთის სამხედრო ნაწილების ცხინვალიდან გაყვანის თაობაზე, 25 აპრილს გამოცხადდა, რომ რუსეთის შინაგანი ჯარის ნაწილმა დატოვა დისლოკაციის ადგილი და კურსი ჩრდილოეთისკენ აიღო (იქვე:70). სახელმწიფო საბჭომ კმაყოფილებით აღიქვა ეს აქტი. გამოცხადდა, რომ იმედოვნებდნენ ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანობისა და კანონიერების აღდგენას. ამასთან, აფიქსირებდნენ ომისაგან მიყენებულ დიდ ზარალს. ამ დროისათვის ივარაუდებოდა 450-ზე მეტი დაღუპული, ასობით დაჭრილი და რამდენიმე ათეული უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანი. დანგრეული და დამწვარი იყო 5000-მდე სახლი, ათასობით მოსახლე განიდევნა საკუთარი კარ-მიდამოდან (იქვე).

რუსი სამხედროების მიერ დატოვებული დისლოკაციის ადგილები ოსმა „ბოევიკებმა“ დაიკავეს. ისინი განაგრძობდნენ საომარ მოქმედებას. 11 მაისს რუსეთის ვერტმფრენებით დაბომბეს სოფლები—აჩაბეთი და თამარაშენი. 12 მაისს—ერედვი და ფრისი. დაიღუპა 7 და დაიჭრა 26 კაცი. ქართული მხარე განაგრძობდა მოლაპარაკებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. 15 მაისს მიაღწიეს დროებით შეთანხმებას. კავშირგაბმულობის აღსადგენად, შეთანხმების თანახმად, 16 მაისს ცხინვალში ჩავიდა მინისტრი ოლეგ კეშელავა. იგი დაატყვევეს და მხოლოდ ტ. კულუმბეკოვის განკარგულების შემდეგ გაათავისუფლეს (იქვე:84).

26 მაისს კვლავ გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედებები. ოსთა მხარე იყენებდა მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს, რაკეტებსა და ნაღმტყორცნებს.

ივნისის დასაწყისში 4 დღიანი ბრძოლების შემდეგ ოსებმა აიღეს ქართული სოფელი მამისაანთუბანი. 8 ივნისს საპასუხო კონტრშეტევით ქართული გვარდიის ნაწილებმა გაათავისუფლეს სოფლები: მამისაანთუბანი, ერგეთი, ფრისი და ცხინვალთან შესასვლელი საგუშაგოები (იქვე:100). ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვა გამოიწვია 20 მაისს მომხდარმა ტრაგედიამ. რუსთავ-ძარი-გუფთას ტრასაზე მიმავალ ოსი მგზავრებით დატვირთულ ავტობუსს თავს დაესხნენ უცნობი შეიარაღებული პირები. დაიღუპა 32 მგზავრი. უმთავრესად ქალები და ბავშვები. იყვნენ დაჭრილებიც. მიუხედავად იმისა, რომ

გზის ამ მონაკვეთს ოსები აკონტროლებდნენ და იქ ქართველთა შეღწევა გამორიცხული იყო, ტრაგედია მაინც ქართულ მხარეს დაბრალდა. უფრო სწორი გახლდათ ასეთი ვარაუდი: იქ მოქმედ ოს ექსტრემისტებს აღიზიანებდათ დაწყებული მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი და მათ საგანგებოდ მოაწყვეს ეს პროვოკაცია, მოლაპარაკების ჩაშლის მიზნით (იქვე:88). ამასვე ასაბუთებდა სახელმწიფო საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში საზოგადოება „ცხინვალის" გამგეობა, რომელიც, ამასთან, გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ სახელმწიფო საბჭო ზრუნავს და თავგამოდებით იცავს ოსებს, შეწუხებულია ტრაგედიის დროს მათი დაღუპვით. ეს ჰუმანური ქცევაა, მაგრამ რატომ არავინ იმაღლებს ხმას ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის სისხლისაგან დაცლის თაობაზე. წერილში მოტანილია ამაზრზენი ფაქტები: ოსმა ექსტრემისტებმა „დრუჟბით" მოხერხეს თავი თამარშენელ ვ. დათაშვილს, ცოცხლად მოხარშეს დისეველი რ. ბოღაშვილი, ცოცხალს ამოაცალეს გული კუბითელ ა. ოქროპირიძეს, თავისავე სახლში გამოწვეს ცხინვალელი ა. ჭაია, გაუგონარი წამებით მოკლეს 32 წლის ვ. გაბუნია, ცხენის კუდს გამოაბეს, ათრიეს და ისე ამოაძრეს სული საცხენეთელ ე. ხადურს, ერედვი-სამაჩაბლოს გზაზე, ტყეში ცოცხლად დაწვეს 4 კაცი, მიმდინარე წლის 12 მაისს სოფ. ფრისთან 8 დაჭრილი ვაჟკაცი ერთმანეთს გადააბეს, ცეცხლი წაუკიდეს და ახლობლებს მათი დამწვარი ძვლებიც კი არ დაანებეს. ასობით ქართველი ვაჟკაცი შეეწირა ოსთა ბანდიტიზმს, ათიათასობით ქართველი გამოდევნილია საკუთარი სახლ-კარიდან და ა.შ. (იქვე:101).

20 მაისის ტრაგედიის თაობაზე იყო საუბარი 10 ივნისს ყაზბეგში გამართულ შეხვედრაზე. მას საქართველოს მხრივ ესწრებოდნენ: ე. შევარდნაძე, თ. კიტოვანი, ს. კავსაძე, ოსეთისა––ა. გალაზოვი, ხეთაგუროვი და სხვ. შეთანხმდნენ საომარი მოქმედების შეწყვეტაზე 12 ივნისიდან. გარანტიისათვის იქმნებოდა მეთვალყურეთა ორმხრივი კომისია. ხოლო ზემოთ თქმული დანაშაულის გამოკვლევაში ჩაერთვებოდა ერთობლივი ოპერატიულ-საგამომძიებლო ჯგუფი (იქვე).

ქართველებს ამ დროს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, წმინდა სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით. სამაჩაბლოში მოქმედმა გვარდიამ გ. ყარყარაშვილის სარდლობით გაათავისუფლა რიგი ქართული სოფლებისა, 100 მეტრზე იმყოფებოდა ყოფილი საოლქო კომიტეტის შენობიდან და, როგორც გ. ყარყარაშვილი ამბობდა, თუ ბრძანება იქნებოდა, მზად იყვნენ მთლიანად დაეკავებინათ ქალაქი (იქვე:101). მაგრამ მოხდა ის, რაც შემდეგში არაერთხელ განმეორდა აფხაზეთში,

როგორც კი ქართველები გადამწყვეტ წარმატებას მიაღწევდნენ, საქმეში ჩაერეოდა რუსეთი და აუცილებლად სეპარატისტების სასარგებლოდ შეცვლიდა სიტუაციას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პროვოკაციული როლი შეასრულა რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რ. ხასბულატოვის ულტიმატუმის შემცველმა განცხადებამ, სადაც იგი იმუქრებოდა: თუ ქართველები არ შეწყვეტენ ოსების გენოციდს, მაშინ რუსეთის უზენაესი საბჭო განიხილავს ოსი ხალხის თხოვნას სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღების თაობაზე.

ე. შევარდნაძემ ეს განცხადება შეაფასა, როგორც „პოპულისტური და დემაგოგიური, გაანგარიშებული ექსტრემისტების წისქვილზე წყლის მისაშვებად“ (იქვე:105-106).

რუსეთი შეფარულად ამარაგებდა ოსებს იარაღით. მაგ., ივნისის შუა რიცხვებში ცხინვალში ჩამოიტანეს თითქოს ჩრ. ოსეთში დისლოცირებული სამხედრო ნაწილიდან „გატაცებული“ დიდძალი სამხედრო ტექნიკა (8 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 5 ტანკი „ტ-72“ და სხვ.), რომელთაც ქართული სოფლების დარბევისათვის იყენებდნენ.

რ. ხასბულატოვის განცხადებით, აღფრთოვანებული რუსი სამხედროები და ოსი ექსტრემისტები 18 ივნისს სამი საბრძოლო ვერტმფრენით დაესხა გორი-ცხინვალის რაიონების საზღვარზე მყოფ ქართული გვარდიის საგუშაგოს. იმავდროულად ცხინვალის მხრიდან დაიწყო ოსი „ბოევიკების“ შემოტევა ტანკებისა და ჯავშანტექნიკის გამოყენებით. რუსმა სამხედროებმა განმარტეს, რომ ვერტმფრენებს თავდასხმის ბრძანება მისცა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გენ. გ. კონდრატიევმა. ცნობილი გახდა ისიც, რომ საქართველოს ჩრდ. საზღვართან ხდებოდა რუსეთის ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის თავმოყრა. ე.ი. კონფლიქტმა ცხინვალის რეგიონში ახალი ხასიათი მიიღო (იქვე:110). რუსეთი აღარ ფარავდა თავის განზრახვებს. 20 ივნისს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი ა. რუცკოი ტელეფონით საუბარში ე. შევარდნაძეს დაემუქრა: „ესკადრილიებს ავუშვებ და დავბომბავ თქვენს ქალაქებსო“. ა. რუცკოის ამ გამოსვლას, არა მარტო ვითარების ესკალაცია, არამედ ეკონომიკური ბლოკადაც მოჰყვა. 21 ივნისიდან საქართველოს მთლიანად შეუწყვიტეს გაზის მოწოდება როგორც ჩრ. კავკასიიდან, ისე აზერბაიჯანიდანაც.

რუსეთ-საქართველოს ასე დაძაბულ ურთიერთობათა პირობებში ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს კეთილი ნება და 24 ივნისს გაიმართა ბ. ელცინისა და ე. შევარდნაძის შეხვედრა დაგომის-

ში, ორივე ოსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სახელმწიფო მეთაურები აქ შეთანხმდნენ ყველა საკითხის მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე. 1 ივლისიდან მხარეები ერთმანეთთან ამყარებდნენ დიპლომატიურ ურთიერთობას. გამოითქვა მზადყოფნა ე.წ. „ჩარჩო ხელშეკრულების" პროექტის შემუშავების დაწყებაზე. დოკუმენტები უნდა მომზადებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნის ვადისა და სტატუსის განსაზღვრის შესახებ.

ბ. ელცინმა მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოს მიმართ ეკონომიკური ბლოკადის ყოველგვარი ღონისძიების აღკვეთის თაობაზე („ჩერვონაია" 1994:158).

დაგომისის პროცესის უშუალო გაგრძელება იყო 28 ივნისს, ცხინვალში, ვერტმფრენთა პოლკის ტერიტორიაზე, საქართველოსა და ოსების წარმომადგენელთა მოლაპარაკების დროს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევა და მისი რეალიზაციის გზების დასახვა. ქართული მხარე პირნათლად ასრულებდა ამ შეთანხმებას და ზონიდან გამოიტანა მძიმე ტექნიკა და არტილერია. ამით ისარგებლეს ოსმა ექსტრემისტებმა და 7 ივლისს „ალაზნის" ტიპის რაკეტებით დაბომბეს სოფლები–ვანათი და თამარაშენი („სრ" 1992:125).

შეთანხმების თანახმად, 14 ივლისს ცხინვალის რეგიონში შევიდნენ ქართველებისა და რუსების ბატალიონები. მეორე დღეს მათ შეუერთდა ორასკაციანი ბატალიონი ჩრ. ოსეთიდან. ქართველთა 300 კაციან ბატალიონს, რომელიც ცხინვალიდან 15 კმ-ზე განლაგდა სარდლობდა მაიორი ემზარ ჭოჭუა (იქვე: 130). სამშვიდობო ქვეგანაყოფების შესვლის შემდეგ, ცალკეული რეციდივის გარდა, ცხინვალის რეგიონში ერთი კვირის მანძილზე მშვიდობა სუფევდა. ამან გლეხობას საშუალება მისცა შედგომოდა მინდვრის სამუშაოებს.

კვლავ მწვავედ რჩებოდა ლტოლვილთა საკითხი. მარტო 28-30 ათასს ოს ლტოლვილს ასახელებდნენ. ქართული მხარე კი თვლიდა, რომ ნამდვილ ლტოლვილთა რიცხვი 11 ათასს არ აღემატებოდა (იქვე:94-95). ქართველ ლტოლვილთა რაოდენობა მათ აშკარად აღემატებოდა. მალე გაირკვა, რომ ოსებს დაბრუნების პრობლემა არ ჰქონდათ. 7 აგვისტოს ცხინვალში გამართულ შეხვედრაზე აღნიშნეს: ქალაქი აივსო ოსი მოსახლეობით, მაშინ, როცა არც ერთი ქართული ოჯახი ცხინვალში არ დაბრუნებულაო. ამ საკითხის მოსაგვარებლად ვლადიკავკაზში მოეწყო სამმხრივი შეხვედრა. საქართველოს წარმოადგენდნენ—თ. სიგუა და თ. კიტოვანი (იქვე:152).

1992 წელი კლიმატური მოვლენებითაც არ ანებივრებდა საქართველოს მოსახლეობას. თითქოს ბუნებამ შეიტყო, რომ გაზი და ელექტროენერგია არ გვქონდა და იანვარ-თებერვალში არაჩვეულებრივად უხვი თოვლით დიდი განსაცდელი მოგვიწყო.

ივლისის დამლევს ხანგრძლივმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია. ხობის რაიონის სოფლებში დიდძალი საქონელი დაიღუპა. დაზიანდა საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები. წყალმა წაიღო ორი ხიდი ჩხოროწყუსაკენ მიმავალ გზაზე და სოფ. ქვემო ჩხოროწყუსა და სოფ. ნაკიანის რაიონში. გაძნელდა მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდება (იქვე: 145-146).

23 ოქტომბერს მძლავრი მიწისძვრა მოხდა. განსაკუთრებით დაზიანდა დუშეთის რაიონის სოფლები. დაიღუპა ერთი გოგონა. დაინგრა საცხოვრებელი სახლები და ხიდები მლეთში, შატილში, გველეთში (იქვე:221).

არა მარტო სტიქიით დაზიანებულ რაიონებში, არამედ მთელ რესპუბლიკაში ეკონომიკური დეპრესია თვალნათლივ შესამჩნევი მოვლენა გახლდათ. სურსათის მრავალფეროვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, უაღრესად გაჭირდა მოსახლეობის პურით მომარაგებაც კი. დიდი რიგები პურის მაღაზიებთან ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ფქვილის უხარისხობის გამო ღამეთატეხის ფასად მოპოვებული პური საკვებად თითქმის უვარგისი იყო.

ეკონომიკის დამბლას ასახავდა სახელმწიფო საბჭოს მიერ 30 აპრილს მიღებული ბიუჯეტი. მისი საერთო მოცულობა უდრიდა 26,4 მილიარდ მანეთს. დეფიციტი 1 მილიარდ 300 მილიონ მანეთს (94,9%-ს) შეადგენდა (იქვე:73). კატასტროფული ინფლაციის პირობებს ეს ციფრები ვერ ასახავდნენ. თუ გვინდა გავიაზროთ უკვე რა დონეზე იყო მიღწეული ინფლაცია, გავიხსენოთ, რომ თბილის-მოსკოვის თვითმფრინავზე ბილეთი ნაცვლად 1990 წლის 35 მანეთისა, ახლა 1892 მანეთი ღირდა.

მომდევნო ხანში ინფლიაციის დონე ისე გაიზარდა, რომ სოციალური აფეთქების ამ ერთ-ერთი მიზეზის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ, 23 ივლისის დეკრეტით, მოსახლეობის მიერ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ყოველგვარი ანაბრების ნაშთები 100 პროცენტით გაზარდა (იქვე:136).

ეკონომიკური სირთულეების თანმდევი პროცესი იყო დამნაშავეობის ზრდა. ე. შევარდნაძე აღიარებდა, რომ დამნაშავეობამ ორგანიზებული მასშტაბები მიიღო და რესპუბლიკის მოსახლეობა პრაქტიკულად დააშინა დამნაშავეთა სამყარომ (იქვე:98).

უაღრესად მძიმე დასაძლევი გახდა „შეიარაღებული კაცის“ პრობლემა. მუდმივი კონფლიქტებისა და საომარი ვითარების გამო გაჩნდა მრავალი შეიარაღებული ფორმირება. ასეთი რაზმები ჰყავდათ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც კი. ეს რაზმები და ჯგუფები განუწყვეტლივ იქმნებოდნენ და ჩქარა იშლებოდნენ. ამან იარაღის უკონტროლოდ ტარება „დააკანონა“. მოსახლეობაში დიდძალი აღურიცხავი იარაღი დაგროვდა. ისედაც მძიმე კრიმინალური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. არნახულად მომრავლდნენ ქურდები, მძარცველები და ბანდიტები, ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებშიაც კი ლამობდნენ გაძრომა-დამკვიდრებას. რიგითი მოქალაქე დაუცველი დარჩა. შს ორგანოების ძალები საომარი მოქმედების რაიონებში იმყოფებოდნენ. რაიონებსა და ქალაქებში დარჩენილები უიარაღონი და უღონონი იყვნენ. სახელმწიფო საბჭო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იღებდა დადგენილებებს, მაგრამ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ან სრულიად არ სრულდებოდა.

ასეთ გადაწყვეტილებათა რიცხვს ეკუთვნოდა მაისის დასაწყისში გამოქვეყნებული დადგენილება ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც, უნდა გაერთიანებულიყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შეიარაღებული ფორმირება, დაჯგუფება და რაზმი (იქვე:75). სახელმწიფო საბჭოს 3 ივნისის დადგენილებით კი მთელი შეიარაღებული ფორმირებანი 15 ივნისამდე უნდა შესულიყვნენ ყაზარმებში. ნებისმიერი არაფორმალურ შეიარაღებულ ფორმირებას აეკრძალა იარაღის ტარება.

' ამის შესასრულებლად ჯ. იოსელიანმა „მხედრიონელებს“ უბრძანა გაერთიანებულიყვნენ ერთიან არმიაში, ხოლო მათ მიერ იარაღის ტარებაზე გაიცემოდა ახალი ნებართვის მოწმობები (იქვე:101). არც ერთი ეს გადაწყვეტილება არ შესრულებულა. ჯ. იოსელიანი და თ. კიტოვანი უკონტროლონი იყვნენ. ამიტომ მათზე დაქვემდებარებული ძალები სახელმწიფო საბჭოს დადგენილებათა იგნორირებას ადვილად ახერხებდნენ.

ასეთ ვითარებას ხელს უწყობდა სამეგრელოსა და ცხინვალის რეგიონებში მიმდინარე შეიარაღებული მოქმედებები. ამ ბრძოლებში გაგზავნილ გვარდიელთა და „მხედრიონელთა“ საბრძოლო მასალებით, სურსათით და ტანსაცმლით ცენტრალური მომარაგებისათვის სახელმწიფოს რეზერვები არ ჰყოფნიდა, ამიტომ მეომრები ყველაფერ ამას თვითონ „იპოვებდნენ“. „მოპოვების“ ძირითადი მეთოდი კი ძარცვა იყო. როცა საძარცვავი სახელმწიფოს შემოელია, ჯერი მოსახლეობაზე მიდგა.

ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ 15-მა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ გადაჭრით მოითხოვა ყველა შეიარაღებული ფორმირების ყაზარმებში 10 აგვისტომდე შეყვანა და სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებების გამიჯვნის მიზნით სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელთა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სახელმწიფო საბჭოს დატოვებით იმუქრებოდნენ.

14 აგვისტოს აფხაზეთში ომი დაიწყო და ამ ულტიმატიმური დემარშების შესრულებისათვის აღარვის ეცალა.

მართალია, მაშინ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ქართველი ხალხის მტრების საქართველოსადმი მოღალატურ გამოხდომად შეფასდა, მაგრამ ჯ. იოსელიანისა და „მხედრიონელთა" მოქმედებაზე რეაქცია იყო 13 ივნისის ტერორისტული აქტი. ამ დღეს ჩიქოვანის ქუჩაზე, ჯ. იოსელიანის სახლის ახლოს მოხდა აფეთქება. „მხედრიონის" მეთაურის მანქანამ გაასწრო, დაიჭრა მხოლოდ მისი ერთი დამცველი. დაიღუპა 5 მოქალაქე. მეზობელ სახლებს მიადგა დიდი მატერიალური ზარალი (იქვე:104).

არა მარტო „ზვიადისტების" კვალიფიკაციით, არამედ თვით შევარდნაძის არაერთი აღიარებითაც სახელმწიფო საბჭო არ იყო ლეგიტიმისტური ხელისუფლება. წინათ არჩეული უზენაესი საბჭო „თბილისის ომის" შემდეგ, ფაქტობრივად, უფლებააყრილი და გარეკილი აღმოჩნდა. ვითარების შეცვლა მხოლოდ არჩევნების ჩატარების გზით შეიძლებოდა. ხელისუფლება მის დანიშვნას საარჩევნო სისტემისა და არჩევნების წესის დამუშავებას უკავშირებდა. ეს, ასე თუ ისე, მოგვარებულად 30 აპრილისათვის ჩაითვალა. ამ დღეს სახელმწიფო საბჭომ საქართველოს პარლამენტის არჩევნები დანიშნა 1992 წლის 11 ოქტომბერს. დებულების მიხედვით, არჩევნები უნდა ჩატარებულიყო მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, პროპორციული სისტემით. სულ ირჩევდნენ 193 დეპუტატს (იქვე:87).

შემდგომში პოლიტიკური პარტიების, გამუდმებული მოთხოვნებისა და მწვავე კამათის შედეგად საარჩევნო დებულებაში შეიტანეს ცვლილებები. დადგინდა, რომ პარლამენტში აირჩევდნენ 234 დეპუტატს, 3 წლის ვადით. მათგან 150 პარლამენტარი პარტიული სიებით, ხოლო 84—მაჟორიტალური წესით, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში (იქვე:145-146).

1992 წელი საქართველოს საერთაშორისო აღიარების წელიწადი იყო. 30 იანვრისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო 24-მა ქვეყანამ (იქვე:16-17).

31 იანვრიდან 6 თებერვლამდე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში თ. გამყრელიძის მეთაურობით მყოფმა დელეგაციამ გააფორმა შეთანხმება ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და მრავალ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. განსაკუთრებული კმაყოფილებით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ირანის მიერ საქართველოსათვის 2 მილიარდი კუბ მეტრი ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ (იქვე:29-30).

17 აპრილს თბილისში მეგობრულ ვიზიტად იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დიტრიხ გენშერი.

25 მაისს საქართველოს ეწვია აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი. მას ახლდა გენერალი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი. დაიწყო ახალი ეტაპი ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში.

8 ივლისს, საქართველოს დელეგაცია ე. შევარდნაძის მეთაურობით მონაწილეობდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბოლოო აქტის ხელმოწერაში. ე. შევარდნაძე შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. კოლს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჯ. მეიჯორს, საფრანგეთის პრეზიდენტს ფ. მიტერანს, თურქეთის პრემიერ-მინისტრს ს. დემირელს და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს (იქვე:128).

30 ივლისს საქართველოში ვიზიტად იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან საქართველოსათვის ეს ასეთი სახის პირველი დოკუმენტი იყო. იმავდროულად გაფორმებულ სხვა შეთანხმებათა შორის ქართული ეკონომიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის ექსიმბანკის მიერ კრედიტად 50 მილიონი დოლარის გამოყოფას.

31 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ საქართველო მიიღო ამ ორგანიზაციის 179-ე წევრად. ეს აქტი განსაკუთრებულ გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან საქართველოს მაშინ არ ჰყავდა ლეგიტიმისტური ხელისუფლება. ე. შევარდნაძის შეფასებით, ამ აღიარებით, „ფაქტობრივად, 1992 წლის 31 ივლისს დაიბადა ახალი საქართველო“ (იქვე:144).

საქართველოს საერთაშორისო კავშირების თვალსაზრისით, საყურადღებო ფაქტი იყო შავი ზღვისპირა ქვეყნების ხელმძღვანელთა

უმაღლესი დონის შეხვედრა 25 ივნისს, სტამბოლში. ამ შეხვედრის ინიციატივა აიღო თურქეთმა. მონაწილეობდნენ: რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, საქართველოს, რუმინეთისა და ალბანეთის სახელმწიფოთა მეთაურები. შეხვედრაზე მიიღეს დეკლარაცია შავი ზღვის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ამ დროიდან ეს შეხვედრები რეგულარული გახდა და მასში მონაწილე სახელმწიფოთა შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის დიდი იმედების მომტანია.

შავი ზღვის აუზის თემაზე საუბრისას უპრიანად მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ ერთ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან საკითხზე.

1997 წლის 31 მაისს რუსეთმა და უკრაინამ ახალი შეთანხმება გააფორმეს შავი ზღვის ფლოტის გაყოფის თაობაზე, ხოლო საქართველოს წინადადებაზე მისთვის, როგორც სამხედრო ფლოტის მშენებლობაში მონაწილე შავი ზღვისპირა სახელმწიფოსათვის, ამ ფლოტის ნაწილის გადაცემის შესახებ, რუსეთის მხარემ უპასუხა, რომ 1992 წელს, როცა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის საკითხი წყდებოდა, საქართველოს მაშინ მონაწილეობაზე განაცხადი არ გაუკეთებიაო. ეს „საბუთი" რუსეთის ხელისუფალთათვის დამახასიათებელი გულმავიწყობის კიდევ ერთი მაგალითია. არამცთუ შესაბამისი უწყებების ოფიციალური დოკუმენტები, არამედ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიც კი საწინააღმდეგოს აჩვენებენ.

კერძოდ, როცა ბ. ელცინმა ქედმაღლურად განაცხადა შავი ზღვის ფლოტი „იყო, არის და იქნება რუსეთის ფლოტიო", (თუმცა მისი დაყოფა. 1991 წლის 14 იანვრიდან რუსეთსა და უკრაინას შორის უკვე დაწყებული იყო),. 23 იანვარს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყდა პროფ. ნ. კიკვაძის წერილი, სადაც იგი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდა ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა შავი ზღვის ფლოტის გაყოფისას საქართველოს წვლილის შესახებ. ავტორი სათანადოდ ასაბუთებდა კიდეც თავის წინადადებას.

საქართველოს ხელისუფლებამ შესაბამისი. ზომები მიიღო და 1992 წლის მაისში შავი ზღვის ფლოტის სარდლობის მიწვევით სევასტოპოლში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის პოლკ. თამაზ ცხაკაიას მეთაურობით. მოლაპარაკების შემდეგ შავი ზღვის ფლოტის სარდალმა ადმირალმა კასატნიკოვმა და შტაბის უფროსმა გ. გურიანოვმა თანხმობა გამოთქვეს ფლოტის გაყოფამდე (6 წელი) საქართველოს ტერიტორი-

აზე ბაზირებული ფლოტის გემები და ნაწილები დარჩენილიყვნენ წინანდელი დისლოკაციის ადგილებში. საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტის სტრუქტურების შექმნასთან ერთად განხორციელებულიყო აქ ბაზირებული გემებისა და ნაწილების საქართველოსათვის გადმოცემა. გადაცემამდე შენახვის ხარჯებს რუსეთი გაიღებდა („სრ“ 1992:100).

მაშასადამე, თავდაცვის სამინისტრომ დაუგეგიანებლად მიაღწია შესაფერის შეთანხმებას. სხვა საკითხია, რომ იგი რუსეთის სარდლობამ არ შეასრულა და ისე გაიყვანა გემები და ნაწილები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროდან, რომ ეს ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის არ შეუთანხმებია.

რუსეთის ხელისუფლება ამჯერადაც მისთვის დამახასიათებელი იმპერიული მენტალიტეტით იქცევა.

მღელვარე 1992 წელს საქართველოს მხარეთა შორის სტაბილურობით გამოირჩეოდა აჭარა. ამას მისი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. აბაშიძის სახელს უკავშირებენ. მაგრამ ამავე პიროვნებას მიეწერება აჭარაში „კლანების“ აღზევება და ბათუმის „საპოლიციო ყაზარმებად“ გადაქცევა („ა-ს“ 1997:48). ჩემს ამოცანას არ შეადგენს აჭარის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი. ეს ავტონომიური რესპუბლიკა იმდენად ჩაკეტილი მხარეა, რომ სურვილის შემთხვევაშიაც კი იქაურ მოვლენებში ჩაწვდომა, ჯერჯერობით, შეუძლებელია. ხოლო, რაც ხელმისაწვდომია, მათზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. შესამჩნევია ის ფაქტი, რომ აჭარაში და ა. აბაშიძის ირგვლივ ხდებოდა მოვლენები, რომელთაც აღიარებულ სტაბილიზაციის კურსის შემადგენლად ვერ მივიჩნევთ. თანაც, მათით, თითქმის ყოველთვის, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უფრო მოგებული რჩება, ვიდრე მისი ოპონენტები.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ა. აბაშიძის არჩევა არაორდინალურ პირობებში მოხდა. ამის შესახებ „პოსტ ფაქტუმ“ წერდა აჭარის უზენაესი საბჭოს 22 დეპუტატი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 1991 წლის 19 ივლისს ა. აბაშიძის დასახალებულ თანამდებობაზე არჩევა არაკონსტიტუციური აქტი იყო და განხორციელდა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას, შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ხაბულიანისა და იუსტიციის მინისტრის ჯ. ხეცურიანის ზეწოლითა და მუქარით. ასე არჩეულმა ა. აბაშიძემ მოახდინა ხელისუფლების

უზურპაცია და თანმიმდევრულად იღვწის აჭარის საქართველოდან განკერძოებისათვის (იქვე:47).

ამ წერილმა ვერავითარი უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა ა. აბაშიძისადმი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. პირიქით, მას უფრო მორიდებით დაუწყეს მოპყრობა. ბ-ნმა ასლანმა გამოაცხადა, რომ მას თბილისში ტერორით ემუქრებიან და დედაქალაქში მას შემდეგ აღარ ჩამობრძანებულა. როცა სახელმწიფოს მეთაურს რაიმე პრობლემა გაუჩნდება აჭარასთან დაკავშირებით, იგი სხვა რაიმეს მომიზეზებით, მაგრამ მაინც თვითონ ეწვევა ხოლმე აჭარის „მამა-მარჩენალს“.

დეპუტატები რომ ა. აბაშიძის არჩევის ფაქტს არ აზვიადებდნენ, ამას აჭარის უმაღლეს ეშელონებში მომხდარი ერთი გახმაურებული მკვლელობა ადასტურებს.—1991 წლის 30 აპრილს ბათუმში ა. აბაშიძის კაბინეტში იარაღით შეიჭრა მისი ყოფილი მოადგილე ნოდარ იმნაძე. მან ავტომატის ჯერი წრიულად გაუშვა ჰაერში და შეჰყვირა: ასლან აბაშიძევ, შენ უნდა მოკვდე! ამ დრამას ესწრებოდნენ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავ-ის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე, აჭარის უშიშროების მინისტრი ანზორ ჯაიანი. ნ. იმნაძე მათ არ ერჩოდა, ხოლო ა. აბაშიძის გამორჩევა მოსაკლავად ვერ მოახერხა. მ. ომანიძე წამსვე გადახტა ფანჯრიდან. გამოცდილმა ჯაიანმა, როგორც თვითონ აღიარებს, ჯერ ხელში ესროლა და ავტომატი დააგდებინა, შემდეგ კი ფეხში დაჭრა თავდამსხმელი. ხელ-ფეხში დაჭრილ, იატაკზე მფორთხავ ნ. იმნაძეს სასიკვდილო ტყვია თავად ასლან აბაშიძემ დაახალა, თუ მისმა დაცვამ, გარკვეული არ არის. მსუბუქად დაშავდნენ ა. აბაშიძე, მ. ომანიძე და ორი კაცი დაცვიდან („ა-ს“ 1998:5).

ინციდენტი იმით დამთავრდა, რომ თავდამსხმელი დიდი პატივისცემით დაკრძალეს. ა. აბაშიძე კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ზ. გამახურდიას აშკარა მხარდაჭერით და კონსტიტუციის დარღვევით (ნაცვლად ფარულისა, ღია კენჭისყრით) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს. მ. ომანიძეს ვიცე-პრემიერობაზე, მისთვის სრულიად უცნობი დარგი—საგარეო საქმეთა სამინისტრო მიუმატეს. ა. ჯაიანი, როგორც უშუალო მოწმე, თანამდებობიდან გაათავისუფლეს და აიძულეს საქართველო დაეტოვებინა („სრ“ 1992:57; შდრ ჩერვონაია 1994:129).

თბილისში დაწესებული კომენდანტის საათის მიუხედავად, ექსპრეზიდენტის მომხრეები მაინც აწყობდნენ ხოლმე მიტინგებს ქალა-

ქის ცენტრში, მაგრამ ხელისუფლებისათვის მოულოდნელი და საში-
ში გამოდგა 24 ივნისის აქცია. ამ დღეს, ზ. გამსახურდიას მომხრეებმა
განაიარაღეს შინაგანი ჯარების ერთ-ერთი ქვეგანაყოფი. დაიკავეს
საქტელერადიოს შენობა და სატელევიზიო ანძა. გააკეთეს განცხადება
შეიარაღებული გამოსვლების დაწყების შესახებ (სრ" 1992:114).
ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდა, რომელსაც, როგორც შემ-
დეგ გამოცხადდა, გროზნოდან ხელმძღვანელობდა ზ. გამსახურდია.
იმავე დღეს გამოსვლები მოეწყო: აბაშაში, მარტვილში, ხობში, სენაკ-
ში. ექს-პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგები ჩატარდა სხვა ქალაქებშიაც.

სვ. ჩერვონაიას დაკვირვებით, „ზვიადისტების" მიერ სახელმწიფო
გადატრიალების ცდასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული აფხაზ მე-
ამბოხეთა თავდასხმა იმავე დღეს, სოხუმში, აფხაზეთის შინაგან საქ-
მეთა მინისტრ გ. ლომინაძეზე.[1] ყველა ეს აქცია მიზნად ისახავდა
ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანი მორიგების პროცესის ჩაშლას
(ჩერვონაია 1994 158-159). მართლაც, ნიშანდობლივია, რომ 24
ივნისს დანიშნული იყო ბ. ელცინისა და ე. შევარდნაძის შეხვედრა
დაგომისში. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ამ
შეხვედრაზე წასვლა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც დარწმუნდა,
რომ მთავარმა საფრთხემ ფაქტობრივად ჩაიარა („სრ" 1992:114).

შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფებმა ალყა დაარტყეს მეამბოხეთა მიერ
დაკავებულ უბანს და ულტიმატუმი წაუყენეს მათ. ალყაში მოქცეულ-
ნი არ დათანხმდნენ და ცეცხლის გახსნა მაინც აუცილებელი გახდა.
დაიღუპა 5 კაცი, დაიჭრა—30-მდე. 13 საათისათვის ტელერადიო დეპარ-
ტამენტის შენობა აღებული იყო. დააპატიმრეს 65 კაცი. მათ შორის
ამბოხების ხელმძღვანელები ვ. შურღაია, ბ. დანგაძე, ბ. ჩოლოყაშვი-
ლი... (იქვე).

26 ივნისს უცნობი პირები კვლავ შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ტელე-
ანძა. ოპერატიულმა ჯგუფმა ისინი უკუაგდო. 25 ივნისს ექსპრეზიდ-
ენტის მომხრეებმა სადგურ ინგირთან გადაკეტეს რკინიგზა.

სახელმწიფო საბჭოს მიერ 24 ივნისის მოვლენები შეფასდა, რო-
გორც სახელმწიფო გადატრიალების ცდა, ხოლო გამსახურდიას ხელი-
სუფლება დაკვალიფიცირდა პროფაშისტურ რეჟიმად. აღინიშნა, რომ
ავანტიურის დროს შინაგანი ჯარების ზოგიერთმა ქვეგანყოფმა ღა-
ლატი ჩაიდინა. რამდენიმე ოფიცერმა და რიგითმა იარაღი და ტექნიკა
გადასცეს მეამბოხეებს (იქვე:122).

[1] ამ საკითხს ქვემოთ კლავ დავუბრუნდებით.

ექსპრეზიდენტის მომხრეთა ცენტრად რჩებოდა ზუგდიდი. ივლისის დასაწყისში ისინი ქალაქში ყოველდღე მართავდნენ მიტინგებს. მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ. ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა შეწყვეტილი იყო (იქვე: 118-119).

წალენჯიხაში „წესრიგის აღდგენის“ მიზნით და დივერსიული ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად „მხედრიონი“ ჩავიდა. მათი მოქმედებით აღშფოთებულმა მოსახლეობამ იარაღი აიღო ხელში. მომხდარი შეტაკების დროს დაიღუპა 20 და დაიჭრა 30 ადამიანი (იქვე: 122). ხელისუფლება მხარს უჭერდა ჯ. იოსელიანს. ამიტომ მას დამატებითი დამხმარე ძალები გაუგზავნეს. ოსეთის ქართველობა კი ამ დროს ბედის ანაბარად იყო მიტოვებული.

ახალი ძალების შემომატების შემდეგ „მხედრიონმა“ შეძლო წალენჯიხაში ვითარების ბატონ-პატრონი გამხდარიყო, მაგრამ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა ზუგდიდში, ხოლო ჩხოროწყუ, საერთოდ, ამბოხებულთა ხელში აღმოჩნდა. მათ სწრაფად გამოიყენეს მიღწეული წარმატება და ზუგდიდში შესასვლელი გზები გადაკეტეს. 8 ივლისს ააფეთქეს ხიდი და აყარეს ფოთისაკენ მიმავალი რკინიგზის ლიანდაგი (იქვე:123). მათი მთავარი მიზანი იყო თბილისისაკენ გაგზავნილი სურსათისა და სხვა ტვირთების შეჩერება და ამით დესტაბილიზაციის გამოწვევა.

ხელისუფლება ვითარების განმუხტვას მშვიდობიანი საშუალებითაც შეეცადა. ამ მიზნით რეგიონში გაიგზავნა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ს. კავსაძე. 9 ივლისს მას, ჩხოროწყუს გამგეობის თავმჯდომარეს, კანდიდ გაგუას და რაიონის მთავარ ექიმს ალ. მიქაიას წალენჯიხა-ჩხოროწყუს გზაზე, სოფ, ჯგალში, თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები. მძღოლი, ს. კავსაძე და ალ. მიქაია გაიტაცეს. კ. გოგუა კი ადგილზე მოკლეს. ალ. მიქაია 10 ივლისს გაათავისუფლეს, სხვები კი მძევლებად დაიტოვეს (იქვე:126).

დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი პრობლემების გასაცნობად 23 ივლისს რეგიონში გაემგზავრა სახ. საბჭოს თავ-რე ე. შევარდნაძე. მან ამ დღეს შეხვედრები მოაწყო მარტვილში, აბაშაში და ხობში. ოფიციოზი ირწმუნებოდა, რომ დიალოგი გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა. თუმცა ზოგიერთი ესკპრესულად აღგზნებული ქალბატონისაგან სალანძღავი სიტყვები არ მოკლებია სახელმწიფოს მეთაურს, მაგრამ მთავარი უსიამოვნებანი მას მეორე დღეს მოელოდა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მოსახლეობამ წალენჯიხაში, ფაქტობრივად,

არ შეუშვა. დაახლოებით იგივე განმეორდა სენაკში (იქვე:138). ე. შევარდნაძე იძულებული გახდა დედაქალაქში დათქმულზე ადრე დაბრუნებულიყო.

სამეგრელოს განაწამებმა მოსახლეობამ ძირითად მოთხოვნად კვლავ რეგიონიდან „მხედრიონისა“ და გვარდიის გამოყვანა დააყენა. ივლისის დამლევს ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად თბილისიდან მინისტრის რ. გვენცაძის მეთაურობით გაიგზავნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატის მუშაკები, შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები და პოლიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები. მოსახლეობამ ისინი შედარებით მშვიდად მიიღო (იქვე: 144).

მაგრამ შესაძლო სტაბილიზაცია არ აწყობდა დაუმორჩილებლობის ხელმძღვანელებს. 11 აგვიტოს ზუგდიდში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების საკითხებზე მოლაპარაკების დროს შეხვედრის მონაწილეებს თავს დაესხა 50 კაციანი შეიარაღებული რაზმი. მათ ტყვედ წაიყვანეს შს მინისტრი რომან გვენცაძე, მისი მოადგილე დავით სალარიძე და ზილბერტ ხაზალია, ამავე სამინისტროს სამმართველოს უფროსი ვალერიან როგავა და სხვ. სულ 12 კაცი.[1] მეორე დღეს გაათავისუფლეს მხოლოდ ერთი—მურთაზ ჩიქობავა (იქვე:153).

ყოველივე ეს ხდებოდა იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფო საბჭომ 4 აგვისტოს მიიღო შერიგების მანიფესტი, რომლითაც ეროვნული მშვიდობისა და თანხმობის დამკვიდრების მიზნით საქართველოს მოქალაქეთათვის ცხადდებოდა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა გარანტიები. თანაც, ამნისტირებულნი იყვნენ თითქმის ყველა ის პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში 6 იანვრიდან 24 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ჩათვლით და მიცემულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში (იქვე:147).

11 აგვისტოს აქტის შემდეგ კი სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა უფრო რადიკალური ზომები მიეღო ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად.

---

[1] 1995 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დაპატიმრეს წალენჯიხაში, ზუგდიდსა და სენაკში გ. ზარანდიას მეთაურობით მოქმედი 20 კაციანი ბანდა. მათ ბრალად ედებოდათ ს. კოჟაძის, დ. სალარიძის, დ. გვენცაძის და სხვათა გატაცება, ჩხოროწყუს გამგებლის კ. გოგუას მკვლელობა და ბევრი სხვა დანაშაული. იტყობინებოდნენ, რომ სამეგრელოში კიდევ არის თავშეფარებული სხვადასხვა ჯგუფი დაახლ. 100 კაცის ოდენობით („სრ“ 1995:106) ამ ცნობების სისწორეს დაადასტურა 1998 წლის 9 და 19 თებერვლის ტერაქტებმა.

გამოცხადდა, რომ ამისათვის ახლა „მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს, საკმაო იარაღიც აქვს“ (იქვე:153).

ხელისუფლების შეშფოთება მხოლოდ მძევლების აყვანით არ გახლდათ გამოწვეული. ყოველად მოუთმენელი ვითარება იყო შექმნილი რკინიგზაზე, საავტომობილო მაგისტრალებსა და სასაწყობო მეურნეობებში. 1992 წლის დასაწყისიდან განდევნილი ხელისუფლების მომხრეთა მიერ დაიგეგმა, მომზადდა და განხორციელდა დივერსიები სარკინიგზო ხიდების, ლიანდაგების და სხვა კომუნიკაციების სისტემატური აფეთქება-ნგრევის მოსაწყობად. პარალელურად ეწყობოდა თავდასხმები სახელმწიფო ქონების ხელში ჩასაგდებად. ყველაფერ ამას უმძიმესი შედეგები მოჰყვა.

საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას აღეკვეთა დანაშაულობანი მის ტერიტორიაზე. იანვარ-თებერვალში სოხუმში პრაქტიკულად შეწყდა რკინიგზის, საავიაციო და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა. რის შედეგადაც საქართველო და მეზობელი სომხეთი რეალური ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

1992 წლის თებერვალში, როგორც ვიცით, საქართველოში შეიარაღებულმა ძალებმა, გ. ყარყარაშვილის მეთაურობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილებით შეძლეს სატრანსპორტო არტერიების მუშაობის ნორმალიზება. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაპირდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ შემდგომ აღარ დაუშვებდა შეფერხებებს ტრანსპორტის მუშაობაში და ბანდიტური ჯგუფების საქმიანობას აღკვეთავდა.

მიუხედავად ასეთი დაპირებისა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. თებერვალ-აგვისტოში ჩადენილი დანაშაულობების შედეგად მარტო რკინიგზის მაგისტრალებზე სახელმწიფოს 197,3 მილიონი მანეთის ზარალი მიადგა. ამავე პერიოდში, ორგანიზებულმა ბანდიტურმა დაჯგუფებებმა აფხაზეთის რეგიონში რკინიგზის სადგურებზე შეიარაღებული თავდასხმების გზით გაიტაცეს საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკებისათვის კუთვნილი 11 მილიარდი მანეთის ღირებულების 1928 ვაგონი ტვირთი („სრ“ 1993:275“).

აფხაზეთის ტერიტორია და განსაკუთრებით გალის რაიონი ექსპრეზიდენტის მომხრეთა ბუნაგად და გატაცებულ მძევალთა გადამალვის ადგილად იქცა. ამის გამო 11 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება რკინიგზაზე საგანგებო წესების შემოღებისა და

წესრიგის დაცვის განსაკუთრებული ზომების შესახებ. სწორედ მის შესრულებას მოჰყვა შედეგად აფხაზეთში ომის დაწყება.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევჩერდეთ 1992 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის კონფლიქტის ერთ-ერთი საგანი იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა. საკანონმდებლო წესით ამ თანამდებობაზე ეროვნებით ქართველი უნდა დაემტკიცებინათ. ვ. არძინბა ხელოვნურად აჭიანურებდა ამ საკითხის გადაწყვეტას. ბოლოს და ბოლოს 5 მაისს უზენაესი საბჭოს სესიაზე წამოაყენეს გიგი ლომინაძის კანდიდატურა. მაგრამ იგი აფხაზმა დეპუტატებმა ჩააგდეს და ქართულ დეპუტაციასთან შეუთანხმებლად ვ. არძინბამ ეროვნებით აფხაზი ვაჟა ზარანდიას არჩევა უზრუნველყო. ამ კენჭისყრაში მხოლოდ 36 არაქართველი დეპუტატი მონიწალეობდა. ქართველებმა სხდომა დატოვეს („სრ“ 1992:76). გ. ლომინაძე კი ვ. არძინბამ შინაგან საქმეთა მინიტრის თანამდებობიდანაც გაათავისუფლა და მის ადგილზე აფხაზი ალ. ანქვაბი დანიშნა. რადგან ეს ცვლილებები შეთანხმებული არ იყო საქართველოს შს მინისტრთან, გ. ლომინაძე მაინც, განაგრძობდა მუშაობას (იქვე: 79).

აფხაზეთის ქართული საზოგადოებრიობა პროტესტს გამოთქვამდა მისი უფლებების ხელყოფის გამო. მაგრამ იგი ერთსულოვანი არ იყო საქართველოს ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში, რაც ასუსტებდა მის ძალისხმევას აფხაზ ექსტრემისტთა ნაციონალიზმის ასალაგმავად. ასეთი გათიშულობა გამოვლინდა 15 მაისს სოხუმში მოწყობილი ორი მიტინგის სულისკვეთებაში. ქართული ეროვნული ერთიანობის საბჭოს (იგი 19 ქართულ საზოგადეობას და ორგანიზაციას აერთიანებდა) მიერ მოწყობილ მიტინგზე მოითხოვდნენ აფხაზეთის პარლამენტისა და მთავრობის გადადგომას. ახალი არჩევნების ჩატარებას, ხოლო „ჰელსინკის კავშირისა“ და ილია მართლის საზოგადეობის მიტინგზე მთავარი მოთხოვნა კანონიერი ხელისუფლების დაბრუნების საკითხი იყო (იქვე: 84).

გათიშულობას შესანიშნავად იყენებდა ვ. არძინბა. როგორც ზემოთ ვწერდით, 24 ივნისს დაამთხვია მან აფხაზეთის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფების თავდასხმა საკუთარ მინისტრზე გ. ლომინაძეზე. მათ იერიშით აიღეს სამინისტროს შენობა. სცემეს მინისტრს. დააპატიმრეს იგი და მისი მოადგილეები— ალ. ლომინაშვილი და მ. გამზარდია. (იქვე: 115).

სვ. ჩერვონაიას აზრით, ეს აქცია რეაქციული ამბოხების პირველი რეპეტიცია იყო და მიზნად ისახავდა ვ. არძინბას მიერ იმ ერთადერთი ძალოვანი სტრუქტურის „ხელში ჩაგდებას, რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა მისგან უზურპაციის გარეშე (ჩერვონაია 1994: 160).

აფხაზეთის შს მინისტრზე თავდასხმის საპასუხოდ გამოცხდდა სამდღიანი გაფიცვა. მოიშალა ელექტრომიწოდებისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი. შეიქმნა სიტუაციის უმართავად გახდომის საფრთხე. სახელმწიფო საბჭოს ჩარევის შემდეგ ვითარების სტაბილიზაცია მოხერხდა. („სრ" 1992:118).

ერთი თვის შემდეგ არძინბა ცენტრალურ ხელისუფლებასთან აშკარა კონფრონტაციაზე გადავიდა. 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიამ კვლავ 36 დეპუტატის მონაწილეობით მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ ხმების 2/3-ით შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. სესიამ ძალადაკარგულად გამოაცხადა 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინა 1925 წლის კონსტიტუციის მოქმედება. სახელწოდება „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" შეიცვალა „აფხაზეთის რესპუბლიკით". დამტკიცდა ახალი გერბი და დროშა.

სესიის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში ვ. არძინბამ განაცხადა, რომ აფხაზეთი კი არ გამოდის საქართველოდან, არამედ ერთიანდება მასთან ახალი მოკავშირული ხელშეკრულებით, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში იყო (იქვე: 136).

29 ივლისს სოხუმში შეიკრიბა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 28 დეპუტატი. მათ გამოაცხადეს, რომ, რადგან ისინი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არიან არჩეულნი, ამიტომ უფლებამოსილება აქვთ თავიანთი სხდომა სესიად ჩათვალონ და დაადგინეს 23 ივლისის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი გაუქმებულად ცნონ (იქვე:142).

აფხაზ სეპარატისტთა 23 ივლისის აქცია წინასწარგანზრახულად ჩატარდა მაინცდამაინც ამ დღეს. 23-24 ივლისს ე. შევარდნაძე სამეგრელოს რაიონებში იმყოფებოდა. თ. სიგუა 24 ივლისს დილით თურქეთს გაემგზავრა. ე.ი. თბილისში, ვ. არძინბას აზრით, ხელისუფლების ფაქტობრივი ვაკუუმი სუფევდა. სვ. ჩერვონაიას ვარაუდით კი—ივლისის უკანასკნელ დეკადაში. „აფხაზეთის კარტის" გათამაშება რუსეთის რეაქციულ წრეებში მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით მოხდა. ამ ძალებს აღაშფოთებდათ მშვიდობიანი შერიგების პროცესის წარმატებანი სამხრეთ ოსეთში, დნეპრისპირეთში, ყირიმსა და აფხაზეთში. ვითარების გართულებით რუსეთის დემოკრატიულ ხელმძღვანე-

ლობასა (ელცინ-გაიდარის მთავრობა) და დამოუკიდებლობისაკენ მიმსწრაფ საქართველოს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ (ჩერვონაია 1994: 165).

მაგრამ არც ამ ძალების და არც არძინბასათვის მათი მიზნების მისაღწევად „კონსტიტუციური ომი" საკმარისი არ იყო. აფხაზეთის „აღიარების" თვალსაზრისით არძინბას ხელი მოეცარა თურქეთში ვიზიტის დროს (24-31 ივლისი). რუსეთმა და თანამეგობრობის ქვეყნებმა, ფაქტობრივად, უგულებელყვეს აფხაზეთის პარლამენტის 23 ივლისის აქტი. სვ. ჩერვონაიას ამ მოვლენების ანალიზის შედეგად ასეთი დასკვნა გამოაქვს: „არძინბას ერთი არჩევანიღა დარჩენოდა: ან უარი უნდა ეთქვა თავის განზრახვაზე, ანდა ძალით (ე.ი. სამხედრო ძალითა და საკუთარი ხალხის სისხლით) დაემტკიცებინა თავისი უფლება „დამოუკიდებლობაზე" ყველა თავისი ატრიბუტითურთ. რუსი მრჩევლებით გარშემოხვეულმა ვ. არძინბამ, რომელსაც წარმატებას ჰპირდებოდნენ, მეორე გზა აირჩია" (ჩერვონაია 1994: 170).

აფხაზ სეპარატისტთა გადამწყვეტ მოქმედებაზე გადასვლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიერ სამეგრელოს რეგიონში კონფლიქტის მოგვარების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა. სამეგრელო, როგორც ბუფერული ზონა, შეიძლებოდა ხელიდან გამოცლოდა ვ. არძინბას. კონფლიქტის გაჩაღების შემთხვევაში კი „ზვიადისტებთან" ალიანსის განმტკიცების პერსპექტივა იზრდებოდა. და არძინბა, რომელიც არაერთხელ იმეორებდა, რომ „აიძულებდა ქართველებს თვითონ დაეწყოთ ომი", ანდა „ქართველებს პირველებს ასროლინებდა" აფხაზებისადმი (Надарейшвили 1996: 63), ამჯერადაც ვერ აღმოჩნდა „სიტყვის კაცი". მისი ლოცვა-კურთხევით პირველი ტყვიაც აფხაზებმა გაისროლეს და ომიც მათ დაიწყეს.

ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის, ტერიტორიაზე სახელმწიფო საბჭოს ჯარების გადანაცვლებას ვ. არძინბა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აცხადებდა „აგრესიად მტრული სახელმწიფოს მხრიდან აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ" (ჩერვონაია 1994: 175). შემდეგ კი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოსატყუებლად, ომის დაწყების მიზეზად, საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთში ჯარების შეყვანას ასახელებდა და ამტკიცებდა: კონფლიქტები არ დაიწყებოდა, სამხედრო ნაწილები რომ აფხაზეთში არ შეჭრილიყვნენო.

ფაქტები კი საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ჯერ ერთი, არავითარი

აგრესია არ მომხდარა და საქართველოს შეიარაღებული ნაწილები საკუთარ ტერიტორიაზე გადაადგილდნენ. ამასთან, როგორც 18 აგვისტოს გამოქვეყნებულ სახელმწიფო საბჭოს აფხაზი ხალხისადმი მიმართვაში იყო აღნიშნული, ეს მანევრი აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხებით ხდებოდა და ქართულ ნაწილებს აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად უნდა ემოქმედათ ტერორისტებისა და ბანდიტების წინააღმდეგ („სრ“ 1992 156; შდრ. ჩერვონაია 1994: 180). მეორე, სოხუმში აფხაზები ომის დაწყებას მოელოდნენ. ამის შესახებ იუწყებოდა გაზ „საქართველოს რესპუბლიკა“ 11 აგვისტოს წერილში „ქარიშხლის მოლოდინში“, სადაც აღნიშნულია: მართალია, მსხვერპლი ჯერ არ ყოფილა, მაგრამ სოხუმის ქუჩებში სროლა ღამღამობით ჩვეულებრივი გახდა. თუმცა, ასეთ ფაქტებს ვ. არძინბა უარყოფს, მაგრამ აფხაზებს ბავშვები და ქალები გაჰ ყავდათ ქალაქიდან. ე.ი. იცოდნენ, რომ ომს იწყებდნენ და თავისიანებს არიდებდნენ საშიშროებას. მესამე, 13 სექტემბერს აფხაზები თავს დაესხნენ გუდაუთაში განლაგებულ რუსთა სამხედრო ნაწილს და გაიტაცეს 1000-ზე მეტი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი („სრ“ 1992: 156). ე.ი. ამ „ცუდადშენიღბული კომედიის“ (ჩერვონაია) დროს მათ ზუსტად იმდენი იარაღი წამოიღეს, რამდენიც ახლადგაწვეული ბატალიონის შესაიარაღებლად ესაჭიროებოდათ. ეს ქვეგანაყოფი კი სასწრაფოდ ჩაება საბრძოლო მოქმედებებში.

ომი რომ წინასწარ იყო მომზადებული აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ, ამის დასტურად სვ. ჩერვონაიას თავის თვალით ნახული ფაქტი მოაქვს. 14 აგვისტოს შუადღეს, როცა ქართული ნაწილები ჯერ კიდევ ოჩამჩირის რაიონს უახლოვდებოდნენ, „მთელი ავტომაგისტრალი სოხუმიდან რუსეთის საზღვრამდე თავდაცვითი ნაგებობებითა და ბარიკადებით იყო მოფენილი... შეიარაღებული რაზმები, რომელთაც წრიული თავდაცვითი პოზიციები ეჭირათ (ვისგან უნდა დაეცვათ?!—გარშემო ასობით კილომეტრზე ერთი ქართველი ჯარისკაციც კი არ იყო) სახავტოინსპექციის საგუშაგოებზე, ახალი ათონის შესასვლელთან, დაბა პრიმორსკიში—ავტობუსების გაჩერებასთან ჯავშანტრანსპორტიორები და ავტომაქანები ამოსაცნობი ნიშნების გარეშე უდიდესი სისწრაფით დაქროდნენ ტრასაზე, საგუშაგოებზე ჯგუფ-ჯგუფად მიჰყავდათ შეიარაღებული ხალხი... ჯავშანტრანსპორტიორებიდან ტვირთავდნენ ვაზნებითა და ჭურვებით სავსე ყუთებს... არმიას ამზადებდნენ ომისათვის და ამზადებდნენ კარგა ხნით ადრე“ (ჩერვონაია 1994: 180-181).

ვფიქრობთ, ყველაფერი ეს აჩვენებს, რომ ქართული ჯარის შესვლა აფხაზეთში მხოლოდ საბაბად გამოიყენეს აფხაზმა ექსტრემისტებმა. უფრო მეტიც, ვ. არძინბა სატელეფონო საუბარში სწორედ იმიტომ დაეთანხმა ე. შევარდნაძეს ჯარების შეყვანაზე, რომ იგი ომის დაწყების საბაბად გამოეყენებინა.

11 აგვისტოს ზუგდიდში მძევალთა გატაცებისა და მათი გალის რაიონის სოფ. კოჩარაში გადამალვის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება აფხაზეთის რკინიგზაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. მისი განხორციელება დაევალა თავდაცვის სამინისტროს. ამ მიზნით უნდა გაგზავნილიყო 1800 კაცი.

12 აგვიტოს თბილისში გაიმართა ასიათასკაციანი მიტინგი. მან მხარი დაუჭირა სახელმწიფო საბჭოს ღონისძიებებს. მომიტინგეებმა ულტიმატუმი წაუყენეს მძევლების გამტაცებლებს და მოითხოვეს ტყვეების დაბრუნება. 13 აგვისტოს ვადა ამოიწურა. მძევლები არ დაუბრუნებიათ. 12 აგვისტოს გამოქვეყნდა თავდაცვის მთავარი შტაბის მიერ შემუშავებული ბოროტმოქმედთა ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის, გზების დაცვისა და მძევალთა განთავისუფლების ჩასატარებელი ოპერაციის გეგმა („სრ“ 1992: 172).

13 აგვისტოს, ღამით, სადგურ ინგირთან ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი. თუ სამანქანო ხიდსაც ააფეთქებდნენ, კავშირი საზღვაო სანაპიროსთან მთლიანად გაწყდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. 14 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ნაწილებმა თ. კიტოვანის მეთაურობით მდ. ენგურზე გადასასვლელები დაიკავეს და შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

გალის რაიონის მაშინდელი გამგებლის რუდიკ ცატავას თქმით, ის არაერთხელ იყო მოწმე ვ. არძინბას თხოვნისა—სახელმწიფო საბჭოს აფხაზეთში დახმარებისათვის გამოეგზავნათ 500-600 კაცი შინაგანი ჯარი. 14 აგვისტოს, განაგრძობს იგი, ე. შევარდნაძის დავალებით, ზუგდიდ-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან დავხვდი დ. ზეიკიძეს და მის 150-200 თანამშრომელს. მათ გავყევი ოჩამჩირის რაიონის საზღვრამდე. იქედან სოხუმისაკენ გაეშურნენ, მე კი გალში დავბრუნდი. 12 საათზე ენგურის ხიდთან მოვიდა თ. კიტოვანის გვარდია (დაახლ. 350 კაცი). ისინი მივაცილე სოფ. ოხურამდე. შეთანხმების თანახმად იქ უნდა დამხვედროდა ოჩამჩირის გამგებელი იგორ გარგულია და მისთვის ჩამებარებია გვარდია, მაგრამ იგი არ გამოცხადდა. თ. კიტოვანი თავისი გვარდიელებით, 12 ჯავშანტრანსპორტიორითა და ერთი ტანკით სოფ. ოხურაში დარჩა. მე კი გალში დაბრუნებული შევეცადე

არძინბას დავკავშირებოდი, მაგრამ ამაოდ. ამიტომ კვლავ გავბრუნდი გვარდიელებთან და გარგულიას ველოდებოდით. მალე იქ მდებარე ტყეში ჩასაფრებულმა აფხაზურმა გვარდიამ ცეცხლი გაგვიხსნა, რამდენიმე კაცი დაიჭირა. ამის შემდეგ ქართველმა გვარდიელებმაც სროლით უპასუხეს. რამდენიმე წუთში 18 „ბოევიკი" ავიყვანეთ ტყვედ. ნახევარ საათში გარგულიაც მოვიდა. მან მოიმიზეზა, რომ არძინბას ჰყავდა გამოძახებული სოხუმში და ამიტომ დააგვიანა. იგი დავაპატიმრეთ და სხვა ტყვეებთან ერთად თბილისში გადავაგზავნეთ. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ იგი იყო ამ პროვოკაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და არძინბას დავალებით მოქმედებდა. იმავდროულად ოჩამჩირე-ტყვარჩელის გზაჯვარედინზე ცეცხლი გაუხსნეს ზეიკიძის პოლიციელებსაც. 4 კაცი დაიღუპა. როგორც თვითმხილველველი და რიგი მოვლენების მონაწილე, დაასკვნის რ. ცატავა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ჯარის შესვლა აფხაზეთში პროვოცირებული იყო („რეზონანსი" 1998: 147).

მოგვიანებით ე. შევარდნაძე ომის დაწყების შესახებ ამბობდა: 1992 წლის 11 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა ჯარების გადაადგილება დას. საქართველოში, სამტრედიიდან ლესელიძემდე. თავდაცვის მინისტრს დაევალა რკინიგზის დაცვა. ამ მიზნით დასახელებულ ტრასაზე უნდა მოწყობილიყო 2-3 ბანაკი, რათა გარანტირებული ყოფილიყო გამცილებელთა ცვლა. ბაზებზე განლაგებულ კონტინგენტს ექნებოდა კარგი ანაზღაურება, კვება, მომარაგება და ა. შ. არც ერთი წარმომადგენელი არ შევიდოდა ქალაქებში, სოფლებში. ყველა ბანაკი ქალაქებიდან იზოლირებული იქნებოდა. თავდაცვის სამინისტროს რაზმებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ შესულიყვნენ დასახლებულ პუნქტებში. ყველაფერი ეს შეთანხმებული იყო არძინბასთან. თ. კიტოვანს გეგმა უნდა გაეცნო მისთვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ სამხედრო ნაწილები და ტექნიკა გადაადგილდა, კიტოვანი კი სამი დღის განმავლობაში კავშირზე არ გამოვიდა. ამასობაში ეშელონები და სამხედრო ტექნიკა უკვე შევიდა გალის ტერიტორიაზე და ოჩამჩირეშიაც კი. ეს სურდათ სეპარატისტებსაც. მათ ცეცხლი გაუხსნეს ამ ნაწილებს. ასე დაიწყო ეს საშინელი და უაზრო ომი. ვინ არის ამაში დამნაშავე, ძნელი დასადგენი არაა[1].

[1] ამ მოვლენებიდან 7 წლის შემდეგ „სხვა აზრი" და ომის დაწყების სხვაგვარი ახსნა წამოაყენა ედ-პრეშეერმა თ. სიგუამ. მისი თქმით, აფხაზეთში შესვლა თავდაცვის სამინისტროს 19-20 აგვისტოსათვის ჰქონდა გადაწყვეტილი. მანამდე კი უნდა სერიოზულად მომზადებულიყვნენ. მაგრამ შევარდნაძემ სამჯერ დაურეკა კიტოვანს და იძულებული გახადა დაეჩქარებინა ოპერაცია. იგი დაიწყო 14 აგვისტოს. ე. ი. მას მხოლოდ სამი დღე ამზადებდნენ. ამასთან,

მაშასადამე, ომის პროვოცირებაში ვ. არძინბასთან ერთად წვლილი მიუძღვის თ. კიტოვანსაც. ამას ადასტურებს აფხაზეთის მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ოთარ ბენიძის მონათხრობიც. იგი გადმოგვცემს, რომ 14 აგვისტოს, მთავრობის აგარაკზე იმყოფებოდნენ თ. სიგუა, თ. კიტოვანი და აფხაზეთის ქართველი ხელმძღვანელები. ყოველ 10-15 წუთში რეკავდა შევარდნაძე. „ბოლოს მე მიეველი ტელეფონთან, ბატონმა ე. შევარდნაძემ გამიმეორა: —ყველაფერი იღონეთ, რომ სამხედრო ძალა არ შევიდეს სოხუმში, რომ ეს იქნება დამღუპველი, საქართველოსათვის გამოუსწორებელი შეცდომა". ამ და წინა საუბრების დროს ის ითხოვდა, რომ ტელეფონთან მისულიყვნენ ბატონები თ. სიგუა და თ. კიტოვანი, მაგრამ მათ არ ისურვეს ე. შევარდნაძესთან საუბარი. „ამის შემდეგ თ. კიტოვანმა გასცა ბრძანება და ჯარიც შევიდა ტექნიკით სოხუმში" („სრ" 1996:8).

14 აგვისტოს სოხუმში უნდა შემდგარიყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესია. მაგრამ იგი ომის დაწყების მიზეზით ჩაიშალა. თუმცა შეტაკებები ჯერ არ იყო დაწყებული. ცრუობდნენ სხდომის დაწყების წინ გამოცხადებულ ცნობაშიაც, რომ ქართულ ჯარს თითქოს დაკავებული აქვს გალისა და ოჩამჩირის რაიონები და უკვე შემოსულნი არიან სოხუმში (იქვე 1994: 155). იმავე დღეს, 11 საათზე ვ. არძინბამ ტელევიზიით და რადიოთი მიმართა მოსახლეობას. მოუწოდა „მოწინააღმდეგესთან" „სამამულო ომისაკენ". ხოლო აფხაზეთის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებს უბრძანა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ აგრესორისათვის. ამ მიმართვას ყოველ ნახევარ საათში იმეორებდნენ (ჩერვონაია 1994:175).

14 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე ე. შევარდნაძემ გამოაცხადა, რომ, რადგან საქართველოს ეროვნული არმიის ნაწილები მოქმედებენ საკუთარ ტერიტორიაზე, ამ ოპერაციაზე, როგორც ოკუპაციის შესახებ, ლაპარაკი უმართებულოა. მაგრამ მაინც „ოპერაციის მსვლელობის დროს მოხდა შეტაკება ეროვნული არმიის ქვეგანაყოფებსა და აფხაზეთის გვარდიას შორის, არის მსხვერპლი, არიან დაჭრილები". ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან.

სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა ერთპიროვნულად (პრეზიდიუმის წევრებთან შეთანხმების გარეშე) ბრძანა სოხუმში შესული ჩვენი ჯარი წან არ წასულიყო. „ახ, ამან გამოიწვია, ომის წაგება, თორემ 2-3 დღეში ჩვენი ჯარი უკვე ფსოუზე გავიდოდა და 16-ში ომიც გათავებული იქნებოდა..არძინბა ან გაიქცეოდა, ან..." (გაზ. „ა-ს" 1999:28).

იქვე იგი ე. შევარდნაძის მეორე დანაშაულსაც ამხელს. მას ასევე კიტოვანის, ოსელიანისა და სიგუასაგან ფარულად პ. გრაჩოვისათვის უფლება მიუცია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დისლოცირებული 345-ე. ავღანეთში ნაომარი, სადესანტო-შოიერიში პოლკი გადმოეყვანა აფხაზეთში. ხოლო, თუ რა როლი შეასრულეს მათ, საყოველთაოდ ცნობილია.

სოხუმში გაემგზავრნენ თ. სიგუა და ჯ. იოსელიანი. გაიმართება მოლაპარაკება. იმედი გვაქვს შეთანხმება მოხერხდებაო, დაუმატა მან („სრ“ 1992:155).

მაგრამ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს მშვიდობიანი მოლაპარაკება არ აწყობდა. მან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უარი თქვა. ასევე არაფერი გავიდა მასთან ე. შევარდნაძის სატელეფონო საუბრის მეოხებით. 14 აგვიტოს 11 საათზე ვ. არძინბამ სოხუმი დატოვა და გუდაუთაში გადაინაცვლა. წასვლამდე გამოსცა ბრძანებულება 18-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცების შინაგან ჯარებში მობილიზაციის შესახებ (ჩერვონაია 1994: 177).

18 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. მასში მოცემული იყო შექმნილი ვითარების ანალიზი. დახასიათებულია არძინბას პოლიტიკური კურსი და მის მიერ ომის ინსპირირების მიზნით გატარებული ღონისძიებანი. აფხაზ ხალხს აღთქმული ჰქონდა დემოკრატიული თავისუფლებანი, სტაბილიზაცია და ყველა სხვა სიკეთე, რაც, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობას ექნებოდა („სრ“ 1992:156).

ამ მიმართვასა და ტელევიზიით ე. შევარდნაძის გამოსვლაშიაც სჭარბობდა თავის მართლების ტენდენცია. მაშინ კი, რადგან ომი დაიწყო, აშკარად უფრო გადამჭრელი მოქმედებები იყო საჭირო. უნდა გვესარგებლა მოულოდნელობის ფაქტორით და პრობლემა სამხედრო გზით მანამდე გადაგვეჭრა, ვიდრე რუსეთი და ჩრ. კავკასია ჩაერეოდა კონფლიქტში. მე მესმის, რეტროსპექტულად ასეთი დასკვნის გაკეთება უფრო იოლია, ვიდრე იმ პოლიტიკურ სიტუაციაში შეიძლებოდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ, როგორც ალტერნატიული, ამგვარი მოსაზრება მაშინვე არსებობდა. სექტემბრის დასაწყისში მიცემულ ინტერვიუში ე. შევარდნაძე ამბობდა: „ახლა იმაზე დავა, თითქოს საქმე ბოლომდე უნდა მიგვეყვანა და არ უნდა შევჩერებულიყავით არ შეიძლება.“[1] დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ როდის უნდა შეჩერდე, როდის უნდა დასვა წერტილი, თუ რამდენად მართალი ვართ ჩვენ, ეს დაე, მომავალმა განსაჯოს“ („სრ“ 1992:172). ხოლო ახლა, როცა ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გაგვევითა-

[1] შემდეგში ე. შევარდნაძემ აღიარა, რომ შეტევის შეჩერებას იგი უპერდა მხარს და შეიძლება ბევრი რამ დაიბრალოს, „მაგრამ გასარკვევია რატომ დაყოვნდა ჩვენი ძალები სოხუმში და რას აკეთებდნენ ისინი იქ ოთხი დღის მანძილზე“ („სრ“ 1992:236). თ. კიტოვანი კი გარკვევით ამბობდა: „უმოკლეს ვადაში შევძელით აფხაზეთის ტერიტორიის 80-ზე მეტი პროცენტის გაკონტროლება და, რომ არა საბჭოთა საბჭოს ზოგიერთი წევრის მოთხოვნა შეგვეჩერებინა საბრძოლო ოპერაციები, წარმატებები უკეთესი გვექნებოდა, ზარალი კი ნაკლები“-ო (იქვე: 200).

რებინა, მიღწეული სამხედრო წარმატება სრული კრახითაა დამთავრებული, ზემოთ გამოთქმული ჩემი მოსაზრება სავსებით სწორი ჩანს. რაც შეეხება ასეთი თავშეკავების მიზეზს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ პიროვნული მოტივი მოქმედებდა. ასეთი საპასუხისმგებლო ოპერაციის მინდობა ისეთი სარდლისათვის, როგორიც თ. კიტოვანი გახლდათ, ორი გარემოების გამო იყო საშიში. კერძოდ, შეიძლება იგი მას არაპროფესიონალიზმის გამო' ჩაეშალა, ან, გამარჯვების შემთხვევაში, დაუმორჩილებელი გამხდარიყო.

თვითნებობის სინდრომი თ. კიტოვანის მოქმედებაში იმთავითვე შეიმჩნეოდა. გარდა ომის დაწყების მომენტში ჩადენილი თავხედობისა, იგი ულტიმატუმს უყენებდა არძინბას და მოითხოვდა მის გადადგომას. 18 სექტემბერს მიცემულ ინტერვიუში პასუხობდა: „მოლაპარაკების დროს ჩვენი წინადადება იყო უზენაესი საბჭოს მოწვევა და არძინბას გადაყენება. ჯერჯერობით ამაზე არ გვეთანხებიან“ (იქვე: 158).

ცხადია, თავის მოტყუება იყო, როცა არძინბას დამხობილად მიიჩნევდნენ. იგი მხოლოდ დროს იგებდა. თანაც, „სოიუზის“[2] დავალებებს ასრულებდა. მას ამისთვის დიდი სახსრებიც ჰქონდა— სახელმწიფო ბანკიდან გატაცებული 3,5 მილიარდი მანეთის[3] სახით (იქვე: 159). აფხაზეთში თანდათანობით იყრიდნენ თავს მისი მომხრე ძალები[4]. 20 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო ობიექტების დაცვის მომიზეზებით, სოხუმის მახლობლად შემოიყვანეს 345-ე სადესანტო-საპარაშუტო პოლკი, რომელიც შემდეგში, ფაქტობრივად, იბრძოლა აფხაზ-

[1] თ. კიტოვანი აღიარებდა, რომ 1992 წლის იანვარში სამხედრო გადატრიალების დროს სამხედრო სტრუქტურა არ არსებობდა და არც ხელმძღვანელები იყვნენ ამ დარგის პროფესიონალები („სრ“ 1992: 200).

[2] ბლოკი „სოიუზი“ აფხაზეთში ჩამოყალიბდა 1992 წლის გაზაფხულზე. მასში შევიდნენ პროკომუნისტური და ნაციონალურ-შოვინისტური ორგანიზაციები: „აიდგილარა“, „აფხაზეთის სახალხო პარტია“, „სლავური სახლი“, „კრუნკი“ და სხვ. სახელწოდება აღებული იყო ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემარჯვენე დეპუტატთა ჯგუფის ---„სოიუზისაგან“, რომლის წევრთა შორის აქტიურობით არძინბა მაშინაც გამოირჩეოდა.

[3] ამ თანხის ოდენობის წარმოსადგენად გაეიხსენოთ, რომ 1 ამერიკული დოლარი 1992 წლის აგვისტოს მიწურულს უდრიდა 162 მან და 50 კაპიკს („სრ“ 1992: 160).

[4] 1994 წლის 25 აპრილის რადიოინტერვიუში ე. შევარდნაძემ აფხაზეთში ომის დაწყება თვითნებობის შედეგად ჩათვალა, ამის შესახებ მე ბრძანება არ გამიცია, მაგრამ, რადგან აქ 10 დღე (?) შეყოვნდნენ შემდეგ გუდაუთაზე შეტევა აღარ შეიძლებოდა და იგი დამღუპველი შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან აქ დაცვის ზღუდეები იყო შექმნილი და შეტევას ორივე მხრივ უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვებოდაო. თანაც, ასეთი ნაბიჯი ნიშნავდა რუსეთთან ომის დაწყებას. ბომბორას ეროპოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობის იარაღი და მეომრები იყო თავმოყრილი („სრ“ 1994: 68). ვიმეორებთ, ომის საბოლოო შედეგების მიხედვით დიდი მსხვერპლი მაინც ვერ ავიცილეთ თავიდან. რუსეთთან გაბოუცხადებელი, მაგრამ, ფაქტობრივი, სამხედრო შეტაკება მაინც მოგვხდა.

თა მხარეზე. იმავე დღეებში კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულებით დაიწყო მოხალისეთა გადმოსროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, თბილისი გამოცხადდა უბედურების ზონად, საქართველოს ტერიტორიის გარეთ მყოფი ყველა ქართველი—მძევლად, მთელ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა დაწყებულიყო ტერორისტული აქტები და ასევე გატარებულიყო სხვა ანტიქართული ღონისძიებანი (იქვე: 161).

ეს რომ ლიტონი მუქარა არ იყო, ჩქარა დამტკიცდა. მთიელმა ექსტრემისტებმა ხელთ იგდეს ბიჭვინთა. თავს დაესხნენ სოხუმის რკინიგზის სადგურს. ქ. გაგრასთან იერიში მიიტანეს ქართულ გვარდიაზე. იგი მსხვერპლის ფასად იქნა მოგერიებული (იქვე: 163). დაუზუსტებელი ცნობებით აგვისტოს მიწურულს აფხაზეთში უკვე მოქმედებდა 2000-მდე ჩეჩენი და ადიღეელი „ბოევიკი". ბევრი მათგანი აქ ომამდეც იმყოფებოდა.

19 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ აფხაზეთის მთავრობის და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კომპეტენცია ხელუხლებელი რჩებოდა. თავდაცვის სამინისტროს შეიარღებული ნაწილები სოხუმიდან უნდა გამოსულიყვნენ და მისი მისადგომები დაეცვათ (იქვე: 160). თავდაცვის სამინისტროს ძალებმა 22 აგვისტოს სოხუმი მთლიანად დატოვეს. არძინბა მოლაპარაკებაზე მაინც არ თანხმდებოდა და ჯარის მთელი აფხაზეთიდან გამოყვანას მოითხოვდა. ე. შევარდნაძეს კი მიაჩნდა, რომ ამის გაკეთება არ შეძლებოდა, ვინაიდან რკინიგზისა და ავტომაგისტრალების დაცვის ამოცანა გადაუწყვეტელი იყო.

მართლაც, მიუხედავად ჯარის იქ ყოფნისა, 25 აგვისტოს ააფეთქეს 70 მეტრიანი ხიდი მდ. ენგურზე, იმავე დღეს ოჩამჩირე-ტამიშის გადასარბენზე დაანგრიეს რკინიგზის 11 მეტრიანი ხიდი.

ვ. არძინბა დაჟინებით უარყოფდა მოლაპარაკებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ომი თანდათან ფაროთ მასშტაბს იძენდა. 31 აგვისტოს შეტაკება მოხდა სოფ. კოლხიდასთან. ორივე მხრივ იყვნენ მოკლულები. სოფლების წითელი ჯვარი—იფნარის რაიონში გააფთრებული ბრძოლების დროს დაიღუპა 18 და დაიჭრა 12 ქართველი მეომარი. ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობდა ბზიფის ხეობაში, გაგრის ზონაში. მოწინააღმდეგე, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართული სამხედრო ნაწილები აღარ იყვნენ, ცეცხლს უშენდა სოხუმს. 1 სექტემბრისათვის დაღუპულთა რაოდენობა გადასცდა 100-ს, დაჭრილებისა —500-ს (იქვე:168).

ე. შევარდნაძე ომის შეწყვეტის საქმეში თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ფაქტორს. მიღწეული შეთანხმების თანახმად, 3 სექტემბერს, მოსკოვში შედგა ე. შევარდნაძის, ბ. ელცინის, ვ. არძინბას და ჩრ. კავკასიის რესპუბლიკების და მხარეების ხელმძღვანელთა შეხვედრა. მიიღეს შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი. მასზე ხელი მოაწერა ყველა დამსწრემ. ვ. არძინბა დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეასრულა ეს პროცედურა (იქვე: 170).

დოკუმენტის პირველი მუხლი იწყებოდა იმის აღნიშვნით, რომ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო". ასევე, მთავარ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა 5 სექტემბრის 12 საათიდან კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ძალების მიერ ცეცხლის შეწყვეტა და ერთმანეთის მიმართ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა. ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად იქმნებოდა კონტროლისა და ინსპექციის კომისია საქართველოსა, რუსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებისაგან (Надарейшвили 1996:261).

მოსკოვიდან დაბრუნებული ე. შევარდნაძე ოპტიმისტურად იყო განწყობილი და დიდ იმედებს ამყარებდა მიღწეულ შეთანხმებაზე, ხოლო ი. სარიშვილი, რომელიც მაშინ სახელმწიფო საბჭოს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების გამგე იყო, წერდა: „3 სექტემბრის დოკუმენტით ახალი ეტაპი დაიწყო „საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში", რომელსაც უნდა მოჰყვესო მშვიდობის მუდმივი დამკვიდრება („სრ" 1992: 173). ქ-ნი ირინას ეს პროგნოზი ისევე არ გამართლდა, როგორც ბევრი სხვა.

სულ სხვაგვარად უყურებდა შემაჯამებელ დოკუმენტს მისი „მთავარი შემსრულებელი" ვ. არძინბა. „იზვესტიის" კორესპონდენტთან საუბარში მან მოსკოვის შეხვედრას ელცინისა და შევარდნაძის მიერ გათამაშებული სპექტაკლი უწოდა (იქვე: 178). ასეთი დამოკიდებულების გამო მშვიდობისა და ცეცხლის შეწყვეტის პროცესი განწირული იყო ჩასაფუშავად და ჩაიფუშა კიდეც.

საქართველოს ხელისუფლება არძინბას ყოველთვის ისე ექცეოდა და ახლაც ექცევა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ვისთანაც მოლაპარაკება შეიძლება და რომელიც მიღწეულ შეთანხმებას შეასრულებს. იგი კი ხშირად სარგებლობს ამით და ყოველი შეთანხმების შემდეგ ახალ და თანაც ისეთ პირობებს აყენებს, რისი მიღებაც მეორე მხარის მიერ შეუძლებელია. არძინმას ეს პიროვნული მზაკვრობა ყველაზე კარგად იცოდნენ თ. ნადარეიშვილმა და გ. ლომინაძემ. მათ

არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ომის გამჩაღებელ და მძარცველთა წამახალისებელ არძინბასათვის მოლაპარაკებებს მხოლოდ დროის მოგებისა და ქართველებზე შეტევის უკეთ მომზადების მნიშვნელობა აქვს (იქვე:219). თ. ნადარეიშვილს ეს აზრი განსაკუთრებით განუმტკიცდა აფხაზთა მიერ გაგრის აღების შემდეგ. მაშინ მან განაცხადა—მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელია, „მოლაპარაკების ენა მხოლოდ ძალისმიერი, საომარი უნდა იყოსო" (იქვე: 244). მაშასადამე, თ. ნადარეიშვილის ახლანდელი პოზიცია —აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ძალისმიერი გზით უნდა მოხდეს, მისი თავდაპირველი მრწამსიდან გამომდინარეობს.

საქართველოს მხარე თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეკიდა 3 სექტემბრის გადაწყვეტილებათა შესრულებას. პრემიერი თ. სიგუა 6 სექტემბერს სოხუმში შეხვდა სეპარტისტთა წარმომადგენლებს ლაბახუასა და ანქვაბს. შეთანხმდნენ, დღის 9 საათიდან შეეწყვიტათ ცეცხლი, მაგრამ ბრძოლები მაინც გრძელდებოდა. 8 სექტემბერს თ. სიგუა კვლავ ჩავიდა სოხუმში. მან განაცხადა, რომ აუცილებელია მთიელ ხალხთა კონფედერაციის მეომრების გაყვანა რეგიონიდან (იქვე: 173). აფხაზთა მხარე კი, მიუხედავად მოსკოვის შეთანხმებით გათვალისწინებული ქართული ჯარის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც აფხაზეთში დარჩენისა, მაინც მოითხოვდა მათ მთლიანად გამოყვანას (Надареишвили 1996:262).

3 სექტემბრის შეთახმება ითვალისწინებდა აფხაზი ხელისუფლების 15 სექტემბერს სოხუმში დაბრუნებას, მაგრამ ისინი არც ამ პირობას ასრულებდნენ. ვითარებაში გასარკვევად ე. შევარდნაძე 17 სექტემბერს თავად ჩავიდა სოხუმში. აღმოჩნდა, რომ მთიელი „ბოევიკების" შემოტევის საშიშროების გამო აფხაზი მოსახლეობა სოხუმს ტოვებდა (იქვე: 185:186).

23 სექტემბერს მოსკოვის შეთანხმების მიხედვით შედგენილმა კონტროლისა და ინსპექციის კომისიამ გააფორმა ოქმები, ჯარების დაშორიშორებისა, აფხაზეთის პარლამენტის მუშაობის განახლებისა და გუდაუთაში ბომბორას აეროპორტში ქართული საკონტროლო პუნქტის შექმნის თაობაზე (იქვე: 191-192). აფხაზთა შეიარაღებული ძალები მაინც აგრძელებდნენ საბრძოლო ოპერაციებს. ამისათვის კატალიზატორის როლი შეასრულა რუსეთის უზენაესი საბჭოს 24-25 სექტემბრის სხდომაზე „აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით" მიღებულმა დადგენილებამ, რომელიც, ფაქტობრივად, 3 სექტემბრის შეთანხმებთა რევიზიას წარმოადგენდა.

ამას დაერთო ისიც, რომ 6 ოქტომბერს ბ. ელცინმა განაცხადა, არ დავუშვებო რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებათა შელახვას და რუსეთის არმია მთლიანად კისრულობსო „რუსეთ-აფხაზეთის საზღვრიდან აფხაზეთ-საქართველოს საზღვრის დაცვას“-ო (იქვე: 204) ეს კი 3 სექტემბრის დოკუმენტის პირდაპირი უგულებელყოფა იყო. რუსეთი არ ჯერდებოდა სიტყვიერ მხარდაჭერას. მისმა სამხედროებმა აფხაზებს გადასცეს უახლესი ტ-72 და ტ-80 ტიპის ტანკები და საჰაერო-საზენიტო კომპლექსები[1], რომლებიც საქართველოს ჯარებს საერთოდ არ გააჩნდათ (იქვე).

ყოველივე ამით აღფრთოვანებულმა ექსტრემისტებმა 1 ოქტომბერს შეტევა წამოიწყეს ბზიფის ხეობაში, ბიჭვინთის რაიონსა და გაგრის ზონაში. მათვე ისარგებლეს რა იმით, რომ ქართული სამხედრო ნაწილები გამოვიდნენ ეშერიდან და გამოიყვანეს იქედან ტექნიკა, მთიელთა კონფედერაციის ძალებთან ერთად შეაღწიეს ამ რაიონში (იქვე: 201-202).

ეს მიღწეული შეთანხმების აშკარად დარღვევა იყო. საკითხის გასარკვევად გუდაუთაში ჩავიდა კონტროლისა და ინსპექციის კომისია. ისინი ვ. არძინბასთან შეთანხმდნენ, რომ უნდა აღდგენილიყო სტატუს კვო —1 ოქტომბრის 12 საათამდე არსებული მდგომარეობა. არძინბამ ამ შემთხვევაშიაც ვერაგობა გამოიჩინა. 1 ოქტომბერს შუაღამისას კონტროლისა და ინსპექიის კომისიის ქართველ წევრებს ქ. გაგრაში ჩასვლისას ზღვიდან ცეცხლი გაუხსნეს. 2 ოქტომბერს დილით აფხაზურმა მხარემ შეგნებულად მიმართა საომარი მოქმედების ესკალაციას. მძიმე საბრძოლო ტექნიკითა და არტილერიის მხარდაჭერით იერიში მიიტანა გაგრაზე, რამაც დიდი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია. გაგრა დაეცა. დაქირავებული კავკასიელი მთიელები ქართველ მოქალაქეებს უცნობი მიმართულებით მიერეკებოდნენ (იქვე: 203).

აფხაზმა სეპარატისტებმა და ბარბაროსმა მთიელებმა გაგრის აღების დროს არაჩვეულებრივი ველურობა ჩაიდინეს. გამოვლინდა ქართველებისადმი უსაზღვრო სიძულვილი და ულმობლობა. ქალაქის სტადიონზე მოუყარეს თავი და გაწყვიტეს 1000-მდე ქართველი. არ დაინდეს ავადმყოფები და დაჭრილები. მოკლულებს თავებს სჭრიდნენ და

[1] ომის დასაწყისში აფხაზებს ჰქონდათ: 2 ჯავშატნასპორტიორი, 1 ქვეითთა ჯავშნიანი მანქანა. ჰყავდათ ერთი მფრინავი. კვალიფიცირებული არტილერისტები საერთოდ არ გააჩნდათ. 1 ოქტომბერს, გაგრაზე შეტევისას მათ გამოიყენეს დიდძალი ტანკები, ჯავშანტექნიკა, ჰაუბიცები, „გრადები“ და „იგლები“ (Надарейшвили 1996:50).

ფეხბურთს თამაშობდნენ (იქვე: 204). ცოცხლად დარჩენილი 17 ათასი ქართველი იძულებული გახდა მიეტოვებინა ქალაქი და გაურკვეველი მიმართულებით გადახვეწილიყო (Надарейшвили 1996:79). გაგრის აღების დროს მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუვარდა 28 მილიონი მანეთი, დიდძალი იარაღი და სურსათი. ეს იმის შედეგი იყო, რომ სამხედროები (საერთო ხელმძღვანელი დამცველებს არ ჰყავდათ. დისლოცირებულ ნაწილებს ხელმძღვანელობდა მირიანაშვილი) აცხადებდნენ —„გაგრაში ჩიტიც ვერ შემოფრინდება“-ო („სრ“ 1993:15).

3 ოქტომბერს, 18 საათხზე, გაგრის მიდამოებში თავს დაესხნენ ვერტმფრენს, რომელშიაც ე. შევარდნაძე იმყოფებოდა. ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლის აშკარა ხელყოფის ცდა მისსავე ქვეყნის ტერიტორიაზე.

6 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა ლესელიძე. დატყვევებული 50 ქართველი ბოძებზე ჩამოჰკიდეს. აფხაზეთის გაგრის ზონის უკანასკნელმა დამცველებმა (300-მდე მეომარი) გ. ყარყარაშვილის მეთაურობით ტყიან მთაგორებს შეაფარეს თავი („სრ“ 1992:204).

ექსტრემისტების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო შეშფოთებულმა გაეროს უშიშროების საბჭომ საგანგებო კომისია გამოგზავნა აფხაზეთში. თავის მოხსენებაში მათ დაადასტურეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკის ფაქტები (Надарейшвили 1996:79).

საქართველოში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის გამო სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო საბჭო. მისი პირველი სხდომა გაიმართა 14 ოქტომბერს. უპირველეს მიზნად დაისახა შეიარაღებული ძალების რიცხვობრივი და თვისობრივი გაუმჯობესების ღონისძიებანი. თბილისსა და სხვა ქალაქებში მიმდინარეობდა მიტინგები, სადაც მოუწოდებდნენ აფხაზეთის ქართველთა დასახმარებლად მოხალისეთა ნაწილების გაგზავნის თაობაზე.

არმიის პროფესიონალებით განმტკიცებას ისახავდა მიზნად საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ გენერალლეიტენანტ ანატოლი კამკამიძის დანიშვნა 1992 წლის 18 ნოემბერს („სრ“ 1992:236). ასეთსავე ღონისძიებათა ციკლში შედიოდა აფხაზეთში მოქმედი ყველა სამხედრო ფორმირების ერთ კორპუსად გაერთიანება. მას ჰყავდა თავისი სარდლობა (იქვე: 245).

მიღებულ იქნა ზომები აფხაზეთში ადგილობრივი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მას შემდეგ, რაც გუდაუთაში მოკალათებულმა არძინბას ხროვამ, არა ერთი თხოვნის მიუხედავად, უარი თქვა სოხუმში

სამუშაოდ გადმოსვლაზე, ამ ქალაქში 20 ნოემბერს შეკრებილმა საქართველოს და აფხაზეთის პარლამენტის წევრებმა შექმნეს აფხაზეთის მმართველობის ერთიანი ორგანო — ხსნის კომიტეტი და აფხაზეთის მინისტრთა საბჭო (თავ-რე თ. ნადარეიშვილი). მასში შევიდნენ აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლები. საქართველოს პარლამენტმა 26 ნოემბრის სხდომაზე ცნო ახლადშექმნილი მთავრობის უფლებამოსილებანი (იქვე: 244).

გაგრა-ლესელიძის ზონის ხელთგდების შემდეგ აფხაზი სეპარატისტების ძირითად მიზანს სოხუმის აღება წარმოადგენდა. ისინიც ცდას არ აკლებდნენ ამ ამოცანის შესრულებას და იყენებდნენ ყოველგვარ იარაღს, ქიმიურის ჩათვლით. სოხუმთან მათ მომწამლავი გაზები გაუშვებს ოქტომბრის მიწურულს. ამის გამო საქალაქო საავადმყოფოში მოხვდა 7 ქართველი გვარდიელი (იქვე: 221).

ნოემბრის პირველ ნახევარში აფხაზებმა წამოიწყეს სოხუმის მეთოდური დაბომბვა. განსაკუთრები ზიანდებოდა ახალი რაიონი, სადაც განლაგებული იყო რესპუბლიკური საავადმყოფო, ნეიროქირურგიული სახლი, სამშობიარო სახლი, პურის ქარხნები და სხვა მშვიდობიანი დანიშნულების ობიექტები.

24 ნოემბერს ტრაგიკული ამბები დატრიალდა ზემო ეშერის მიდამოებში. იქ აფხაზებმა მიიყვანეს ქართველი მოსახლეობა, გაათხრევინეს თხრილი და შემდეგში მასში ჩახოცეს ისინი.

3-4 დეკემბერს სოხუმის ძლიერი საარტილერიო დაბომბვის შემდეგ, ღამით, პროჟექტორების შუქზე წამოიწყეს სატანკო შეტევა. ქართველმა არტილერისტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს პროჟექტორები. შეტევა მოიგერიეს (იქვე: 249).

5-6-7 დეკემბერს გუმისთასთან გრძელდებოდა აქტიური პოზიციური ბრძოლები. ქართველთა წარმატება რამდენიმე მიმართულებით აშკარა იყო. მაგრამ საქმეში ჩაერია რუსეთის სარდლობა. მათ წამოაყენეს ულტიმატუმი, რომ თუ ქართველები ტყვარჩელის დაბომბვას არ შეწყვეტენ, რუსები სოხუმს დაბომბავენ. მათ ამის შესახებ მიღებული აქვთ ბრძანება გუდაუთიდან (იქვე). რუსი სამხედროების მზაკვრობა იმაშიაც გამოიხატა, რომ მათ უფლება მისცეს აფხაზებს ამოფარებოდნენ გუმისთასთან განლაგებული პოლკის პოზიციებს და იქედან გაეხსნათ ცეცხლი სოხუმისათვის. ქართველები ამის გამო მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას ესროლათ მოწინააღმდეგებისათვის.

9 დეკემბერს სწორედ ასე ამოფარებული ნაღმტყორცნების ცეცხლით ხანძარი გაუჩნდა სოხუმის რკინიგზის სადგურის მეორე სართულს.

მარჯვენა ფლიგელი მთლიანად დაზიანდა. საარტილერიო ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის შენობასაც (იქვე: 253).

მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ოჩამჩირის მიმართულებითაც. დეკემბრის პირველ რიცხვებში ქართული სარდლობა იძულებული გახდა ფაროთმასშტაბიანი ოპერაცია ჩაეტარებინა. მოწინააღმდეგე დაკავებული პოზიციებიდან განდევნეს.

7 დეკემბერს რადიოინტერვიუში ე. შევარდნაძემ აღიარა, რომ საკუთარ თავთან ბრძოლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე—აფხაზეთში გადამწყვეტი მოქმედება და ომის გამარჯვებით დამთავრებაა საჭირო. მან კვლავ გაუსვა ხაზი თავისსავე მიერ არაერთხელ ნათქვამს, რომ ეს არ გულისხმობს აფხაზთა განადგურებას (იქვე: 250).

ამ განცხადების შემდეგ რუსი სამხედროები დაფარულად თუ ცხადად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოსათვის დასახული მიზნის განხორციელებაში. დეკემბრის მიწურულს გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ქვეგანაყოფების სარდალმა გენერალმა სიგუტკინმა განაცხადა, რომ მას მიღებული აქვს დავალება „არავის დააჩაგვრინოს აბხაზები“ („სრ“ 1992:261). იმავე დღეებში გუდაუთაში ჩამოაფრინეს სუ-25 ტიპის 15-მდე თვითმფრინავი. აქვე ჩამოვიდა რუსეთის მაღალ სამხედრო მოხელეთა და სპეციალისტთა დიდი ჯგუფი.

უკანასკნელი 3 თვის მანძილზე რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 10-ზე მეტი საარტილერიო დარტყმა მიაყენეს ქართულ ქალაქებსა და სოფლებს. დაიღუპა ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქე, დაინგრა სახლები, ზარალი მიადგა ეკონომიკას.

დიდი ხმაური ატეხეს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა სოფ. ლაბრასთან რუსეთის ვერტმფრენის მი-8-ს ჩამოვარდნის გამო. აცხადებდნენ, რომ იგი ჩამოაგდო ქართულმა მხარემ, მაგრამ ეს შეუძლებილი იყო. ვერტმფრენი ჩამოვარდა ქართველების კონტროლქვეშ მყოფი ზონიდან 20 კმ-ის დაშორებით. მას ჭურვი ან სხვა რამ არ ჰქონდა მოხვედრილი. მისი დაღუპვის მიზეზი უნდა ყოფილიყო გადატვირთა (24-ის მაგივრად მიჰყავდა და 60-მდე მგზავრი). იგი არ მოხდებოდა, რომ ვერტმფრენის ეკიპაჟს გაევლო დაწესებული შემოწმება სოხუმის აეროპორტში (იქვე: 280).

1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსეთის რეაქციული ძალები არა მარტო საქართველოს, არამედ ბ. ელცინსაც უტევდნენ. შესაძლო მძიმე

შედეგების გამო პრეზიდენტმა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. ხასბულატოვს თხოვა დეკემბერში დანიშნული სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადადება, მაგრამ უარი მიიღო. საპასუხოდ ბ. ელცინმა დაშალა რ. ხასბულატოვზე დაქვემდებარებული 5 ათას კაციანი სპეცდანიშუნლების შეიარაღებული რაზმი და ამით დიდი ძალა გამოაცალა მას (იქვე: 224).

რუსეთს არც პროვინციებში ჰქონდა მშვიდი ვითარება. ნოემბრის მიწურულს შეტაკებები დაიწყო ინგუშებსა და ოსებს შორის. ამის გამო ორივე რესპუბლიკაში შემოიღეს საგანგებო წესები (იქვე: 246). დავის მიზეზი იყო ჩრ. ოსეთის დედაქალაქის მიმდებარე ე. წ. საგარეუბნო რაიონი. 1944 წელს ინგუშების გადასახლებამდე იგი ინგუშებით იყო დასახლებული, ხოლო ამ დროიდან გადაეცა ჩრ. ოსეთს. 1957 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტ. რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ საგარეუბნო რაიონი მას აღარ დაუბრუნეს. ახლა ინგუშები მოითხოვდნენ თავიანთი უფლებების აღდგენას. ამ ნიადაგზე დაიწყო შეტაკებები. ინგუშები განდევნეს კუთვნილი მიწებიდან. ორივე მხარეს თავი მართლად მიაჩნია. რუსეთის ხელისუფლება უძლურია მოაგვაროს ეს კონფლიქტი, ამიტომ შეტაკებები დროდადრო მეორდება. ახალი ესკალაცია მოხდა 1997 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ბ. ელცინმა ძლივს აღკვეთა ორმხრივი შეტაკებების ომში გადაზრდის შესაძლებლობა.

როგორც ვთქვით, ბ. ელცინის უფლებამოსილებათა შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო დეპუტატთა VII ყრილობას. მან მუშაობა დაიწყო 5 დეკემბერს. რ. ხასბულატოვსა და მის ჯგუფს პრეზიდენტის უფლებათა შეზღუდვის მიზნით 7 შესწორება ჰქონდათ. ყრილობამ მიიღო მხოლოდ 3. მთავრობისა და მისი თავმჯდომარის დანიშვნის პრეროგატივა პრეზიდენტს დაუტოვეს. პარლამენტს მთავრობის კონტროლის უფლება არ ჰქონდა. ბ. ელცინმა ვერ შეინარჩუნა მთავრობის თავმჯდომარედ თ. გაიდარი. პრემიერი გახდა ვ. ჩერნომირდინი (იქვე: 250).

რუსეთის ამბებზე ყურადღება იმიტომ შევაჩენეთ, რომ მათ უშუალო გავლენა ჰქონდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. რუსეთის მემარჯვენე ძალები ალიანსში იყვნენ სამხედრო-ეკონომიკურ კომპლექსთან. მათი ინტერესები საქართველოსა და განსაკუთრებით აფხაზეთში საყოველთაოდ ცნობილია. თვით ბ. ელცინიც კი მთლად სიმპათიურად არ იყო განწყობილი საქართველოს მიმართ, რადგან იგი უარს ამბობდა დსთ-ში შესვლაზე. უფრო მეტიც, ე. შევარდნაძე

აცხადებდა: „ის ფაქტი, რომ ჩვენ არ ვიჩქარეთ თანამეგობრობაში შესვლა, უთუოდ ჩვენი კურსის გამარჯვება იყო“-ო (იქვე: 233). ზემოთ დასახელებული VII ყრილობა კი არ ჯერდებოდა დსთ-ის არსებობას და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებს მიმართავდა კონფედერაციის შექმნის წინადადებით. ყოველივე ეს აფხაზეთში მყოფ რუს სამხედროებს ხელ-ფეხს უხსნიდა თავისუფალი მოქმედებისათვის. საქართველოს პარლამენტის 17 დეკემბრის განცხადებაში შეშფოთებით აღინიშნა: „აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარღებული ძალები გადაიქცნენ კონფლიქტში მონაწილე მხარედ, რომლებიც ახორციელებენო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას“ (იქვე: 257).

რადგან რუსეთი არ სწყვეტდა საქართველოსთან ძალის პოზიციებიდან კარნახის პოლიტიკას, ჩაიშალა რუსეთ-საქართველოს ე. წ. „ჩარჩო ხელშეკრულების“ შესახებ მოლაპარაკების მეორე რაუნდი, თუმცა დოკუმენტის ძირითადი პრინციპები კარგა ხანია უკვე შეთანხმებული იყო.

ზემოთ ვთქვით, რომ 31 ივლისს საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირველი გამოსვლა ამ ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომაზე მოხდა 1992 წლის 25 სექტემბერს. ე. შევარდნაძემ გაეროს საერთაშორისო ავტორიტეტისა და ქმედითუნარიანობის ზრდისათვის წამოაყენა 7 წინადადება. განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია მისმა ნათქვამმა ველური სუვერენიზმი უპირისპირდებაო სახელმწიფო სუვერენიტეტს. სეპარატიზმი შერწყმულია ექსტრემიზმთან და აგრესიულობასთან. იგი მხოლოდ სახელმწიფოებს კი არა, სამართლებრივ სისტემებსაც არღვევსო (იქვე: 195).

ნიუ-იორკში ყოფნის დროს ე. შევარდნაძეს ძლიერ მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ დარწმუნდა საქართველოს მიმართ აშშ-ის ადმინისტარციის კურსის უცვლელობაში.

გზად მომავალი ე. შევარდნაძე მოსკოვში შეხვდა ბ. ელცინს, რომელმაც დაუდასტურა სოჭისა და მოსკოვის გადაწყვეტილებათა ერთგულება (იქვე.)

საქართველოს დემოკრატიული მშენებლობის გზაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარლამენტის არჩევნები. ამით იწყებოდა ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

საარჩევნო დებულება გულისხმობდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არჩეული უნდა ყოფილიყო საყოველთაო პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ამ თანამდებობაზე წამოყენებულმა კანდიდატმა ე. შევარდნაძემ 1992 წლის 9 ოქტომბერს მეცნიერებათა აკადემიაში წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა.

არჩევნები ჩატარდა 11 ოქტომბერს. ე. შევარდნაძე დასახელებულ თანამდებობაზე პირველსავე ტურში აირჩიეს ხმების 95,9 პროცენტით. არჩევნებში მოსახლეობამ შესამჩნევი აქტიურობა გამოიჩინა. მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა სიით გათვალისწინებულთა 74,34%-ს. მიუხედავად საომარი მდგომარეობისა, სოხუმში აღრიცხული 63368 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 37284-მა კაცმა. ქალაქ გორის, გორისა და ცხინვალის რაიონების 107 ათასი ამომრჩევლიდან 86-მა პროცენტმა (იქვე: 215). პროპორციული წესით არჩევნებში მონაწილეობისას ამომრჩეველს უფლება ჰქონდა მონაწილე პარტიებიდან სამისთვის მიენიჭებია ადგილები. პირველი ადგილი იძლეოდა 5 ქულას, მეორე— სამს, მესამე—ერთს. 12-მა პარტიამ ვერც ერთი ადგილი ვერ მიიღო. თერთმეტმა პარტიამ 1 ან 2 მანდატი იკუთვნა, ხოლო 13-მა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა 4-დან 21 მანდატამდე[1].

ყველაზე მეტი ხმები მიიღო ბლოკმა „მშვიდობა“ (19,2%), ერგო 29 მანდატი, „11 ოქტომბერს“—18, „ერთობას“–14, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას––12, მწვანეთა პარტიას—11, დემოკრატიულ პარტიას—10 ადგილი (იქვე: 227). არჩეულთა შორის 14 ქალი იყო, 23—იურისტი, 54 ინჟინერი.

პარლამენტის პირველი სხდომა შედგა 4 ნოემბერს. იგი გახსნა უხუცესმა წევრმა ნიკო ჭავჭავაძემ. პარლამენტარები დალოცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

6 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. გადაწყდა პარლამენტის თავმჯდომარე ე. შევარდნაძე აერჩიათ საქართველოს სახელმწიფო მეთაურად (იქვე: 230). 8 ნოემბერს პრემიერ-მინისტრად დაამტკიცეს თენგიზ სიგუა. იმავე

[1] არჩევნების დროს რეგისტრაციაში გატარდა 43 ორგანიზაცია და 4 ბლოკი (ისინი 15 ორგანიზაციას აერთიანებდნენ). 23 ორგანიზაციისათვის არჩევნები სრული მარცხით დამთავრდა. 150 მანდატი 35-მა ორგანიზაციამ გაინაწილა. პროპორციული სიით არჩეული 150 დეპუტატიდან, 80 საკომპენსაციო სიით გავიდა. ამის გამო დაირღვა თანაბრობის პრინციპი.. ერთ შემთხვევაში თითო მანდატის მოპოვებას 103 ათასი ხმა დასჭირდა, მეორეში 190 ათასი („სრ“ 1994:60).

დღეს პარლამენტის სპიკერად, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ვახტანგ გოგუაძე. სპიკერის მოადგილეებად—რუსუდან ბერიძე და ვახტანგ რჩეულიშვილი (იქვე: 231).

19 ნოემბერს, სამდღიანი განხილვის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ". 25 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს მთავრობა. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილეების პოსტები დაიკავეს რ. გოცირიძემ, ა. მარგიანმა, ზ. კერვალიშვილმა. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დაამტკიცეს ი. მენაღარიშვილი, განათლების —კ. გაბაშვილი, კულტურის— დ. მაღრაძე, ფინანსთა —კ. პოპიაშვილი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის — გ. კვესიტაძე, ტრანსპორტის — მ. გურგენიძე, ეკონომიკის — მ. ჯიბუტი, საგარეო საქმეთა — ალ. ჩიკვაიძე, შინაგან საქმეთა—თ. ხაჩიშვილი, კავშირგაბმულობის — ფ. ინჯია, კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა რ. შავიშვილმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა—დ. დვალიშვილმა, გენერალური პროკურორისა— თ. ნინიძემ და ა. შ.

ახალ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას უამრავი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. თანაც შესაქმნელი იყო არა მარტო სამთავრობო სტრუქტურები, არამედ სრულიად ახლებული საკანონმდებლო ბაზა. ეს ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო მიმდინარე ომის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დეპრესიის, სახელმწიფო დისციპლინის მოშლისა და უმძიმესი კრიმინალური ვითარების პირობებში.

ფაქტოლოგიურ მასალას იმის შესახებ, როგორ წარიმართა ხელისუფლების შტოების საქმიანობა მკითხველს მომავალი წლების ქრონიკებში გავაცნობთ. რაც შეეხება გაწეული მუშაობის განმაზოგადებელ ანალიზსა და შეფასებას, ამას სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის ხანგრძლივი კვლევა დასჭირდება.

1992 წლის მიწურულის მოვლენებიდან მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით.

ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში. რესპუბლიკელი პრეზიდენტი ჯ. ბუში შეცვლა დემოკრატმა, 46 წლის უილიამ (ბილ) კლინტონმა. მან მოაგროვა 40910192 ხმა (იქვე: 227).

7 დეკემბერს გაიმართა ე. შევარდნაძის შეხვედრა თბილისის ხელმძღვანელობასთან. ითქვა, რომ ქალაქს ასეთი მძიმე დღეები არ

ახსოვს. უპურობას, უსინათლობას, ანტისანიტარიას ემატება ბანდიტიზმი. შენობებიდან ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელი გახდა.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რკინიგზაზე. ამის გამო ე. შევარდნაძის დავალებით გამოქვეყნდა მასალა რკინიგზისათვს 1992 წლის 11 თვეში მიყენებული ზარალის შესახებ. სულ იგი შეადგენდა 11 მილიარდ მანეთს. გაძარცვული და დაზარალებული იყო 356 ვაგონი. რკინიგზის ხიდები მარტო ოჩამჩირის რაიონში 12-ჯერ ააფეთქეს, ხოლო ლიანდაგები აყარეს სამჯერ. დიდი ზარალი იყო დაფიქსირებული ხაშურის რაიონში— 66986 ათასი მანეთი. თბილისის კვანძის ყველა საწარმო-დაწესებულებამ 52116 ათასი მანეთი დაკარგა (იქვე: 253). ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ შევარდნაძემ სინანულით თქვა: „მე მრცხვენია, რომ მოქალაქე ვარ იმ ქვეყნისა, რომელშიც ასე ბარბაროსულად ექცევიან ეროვნულ სიმდიდრეს"-ო (იქვე: 260).

პარლამენტის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაწესდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები: დავით აღმაშენებლის ორდენი, ვახტანგ გორგასლის ორდენი (I-II და III ხარისხის), ღირსების ორდენი; მედლები: „მხედრული მამაცობისათვის", „სამხედრო დამსახურებისათვის" და „ღირსების მედალი" (იქვე: 262).

1992 წელს გამართულ ბოლო რადიოინტერვიუში ე. შევარდნაძემ ეს წელი შეაფასა, „როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი წელიწადი ერთიანი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის გზაზე" (იქვე: 263).

თავი მეცხრამეტე

1993 წელი

„ერთი პარტია მეორეს ჰყოდის და საბოლოოდ ყველანი სამშობლოს ჰყოდიან, სამშობლოს ღალატი პატრიოტიზმის თავისებური ნაირსახეობაა, ოღონდაც ხელი მოითბონ“.

რემარკი

ახალი წელი ორივე სტილით აღინიშნა თითქმის ყოველგვარი იარაღიდან არნახული საზეიმო შედლუხით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დედაქალაქმა და ქუთაისმა. გაოცებას იწვევდა საიდან აღმოჩნდა ამდენი იარაღი მშვიდობიან ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ისეთ დროს, როდესაც აფხაზეთში ომს ვაგებდით ცოცხალი ძალისა და იარაღის უკმარობის გამო. ნუთუ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას უაზრო ხალისიანი ბათქაბუთქით გასართობად ჰქონდა საქმე? ცხადია, არა! და ისტორიამაც იძია შური ამ უზნეობისათვის. საქართველოს ახალ ისტორიაში იშვიათად თუ ყოფილა ისეთი მარცხიანი წელი, როგორიც 1993 გამოდგა.

ყველა მარცხი და უიღბლობა რიგით მოქალაქეს გადააქვს თავის მხრებზე. თუ პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში განცდილი წარუმატებლობა, ჩვეულებრივ, მის მიერ მთავრობის ძაგებით მთავრდება, ბუნების სტიქიური მოვლენების წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ და საყვედურსაც ველარავის ვეუბნებით. ასეთი ვითარება შეიქმნა უხვთოვლიან 1993 წელსაც, როცა თოვლის საფარი ზოგიერთ რაიონში 10 იანვრის ცნობით, 5 მეტრს აღწევდა. თოვა შემდეგშიაც გრძელდებოდა. 15 თებერვალს წიფაში თოვლის სიმაღლე 132 სმ-ს უდრიდა, ხაშურში—60 სმ-ს. შავი ზღვის სანაპიროზედაც კი 5 გრადუსი ყინვა იდგა. ამინდის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელი იყო მკვეთრი დათბობა, რაც გამოიწვევდა წყალდიდობასა და დიდი მოცულობის ტერიტორიების დატბორვას.

იმ წელს შედარებით უმნიშვნელო მიწისძვრებიც აღინიშნებოდა. 4 მაისს თბილისში დაფიქსირდა 3 ბალი მიწისძვრა. მისი ეპიცენტრი იყო დედაქალაქიდან 74-ე კმ-ზე, დუშეთის რაიონში.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეკონომიკური რყევები იყო.

მას, ცხადია, იწვევდა არსებული წარმოების წესის რღვევა და საკუთრების ახალ ფორმებზე გადასვლა. მაგრამ მოსახლეობისათვის არანაკლები ზიანი მოჰქონდა კომერციული საბანკო დაწესებულებების მიერ კლიენტების დიდი მასის მოტყუებასა და „იარაღიანი კაცის“ მიერ სახელმწიფო და ხალხის ქონების არნახულ დატაცებას, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების უილაჯობის გამო უმრავლეს შემთხვევაში დაუსჯელი რჩებოდა.

1992 წლის მიწურულს ჩატარებულ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე აღინიშნა: ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს სახელმწიფო რეზერვიდან გააქვთ სესხად და უკან აღარ აბრუნებენ საქონელსა და მასალებს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გატანილია—4880 ტონა ხორცი, 40 ათასი ქილა ხორცის კონსერვი, 8600 ტონა შაქარი, 4100 ტონა მცენარეული ზეთი, 20 ათასი პირობითი ქილა შედედებული რძე, ათი ათასი დეკალიტრი სპირტი, ავტოსაბურავების 7 ათასზე მეტი კომპლექტი და სხვ. („სრ“ 1993:1).

დროდადრო იფეთქებდა ხოლმე პურის კრიზისი. იგი განსაკუთრებით საგრძნობი იყო კონფლიქტის ზონაში და კერძოდ, სოხუმში. 1993 წლის 15 ივნისიდან გამოცხადდა პურის ფასების გაორმაგება. შესაბამისად სარგოები გაუორკეცდათ საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეებს, პენსიონერებსა და სტუდენტებს (იქვე:116). იმავე წლის 15 დეკემბრიდან პურის სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვის მიზნით (ასე გამოცხადდა!) შემოღებულ იქნა ნორმირება. თითოეულ მოქალაქეს თბილისში ეძლეოდა 300 გრ. პური და 150 გრ. ფქვილი. ქუთაისში გამომცხვარი პურის ნორმა 100 გრამით მეტი იყო (იქვე:262).

წლის დასაწყისიდანვე იგრძნობოდა ფინანსური კრიზისიც. სხვა პირობებთან ერთად მისი მიზეზი იყო ფულის ნიშნების ნაკლებობა. რუსეთის ცენტრალური ბანკი სისტემატურად ამუხრუჭებდა საქართველოსათვის განკუთვნილი თანხის გადმოცემას. ეს იყო პოლიტიკური შანტაჟი, რამდენადაც, წინასწარგანზრახული შეფერხებები გამოწვეული იყო საქართველოს მიერ დსთ-ში შესვლაზე უარის თქმით.

27 იანვარს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ქართული ფულის ნიშნების დაბეჭდვის შესახებ. ახალი ნიმუშების დასამტკიცებლად უნდა წარმოდგენილიყო ერთ კვირაში (იქვე:9). ფულის ნიშნების უკმარობამ კრიტიკულ ზღვარს მარტის დამლევს მიაღწია. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ კუპიურების

იგი მხოლოდ სესხად მოგვცებდა. ამის გამო 24 მარტს საქართველოს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, 5 აპრილიდან ხმარებაში შემოსულიყო ეროვნული კუპონი. იგი მიმოქცევაში იქნებოდა მანეთთან ერთად. შეფარდება უდრიდა ერთი—ერთს (იქვე:58). ირწმუნებოდნენ, რომ კუპონს გააჩნდა დამცავი მექანიზმი და იგი არ გაუფასურდებოდა. მაგრამ ეს დაიმედება არ გამართლდა. 7 აგვისტოსათვის 100 რუსულ მანეთს უკვე უდრიდა 500 კუპონი. შემდეგ კუპონის ინფლაცია კიდევ უფრო დაჩქარებულად ხდებოდა. ამ პროცესზე გავლენა ვერ მოახდინა იმანაც, რომ 15 ივნისიდან, პარლამენტის დადგენილებით, კუპონი ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად იყო გამოცხადებული (იქვე:125).

ქვეყანაში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი. მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას თანხების უქონლობის გამო მასში მონაწილეობის საშუალება არ ჰქონდა. თითქოსდა მათთვის დახმარების გაწევის მიზნით, მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 1 სექტემბრიდან გამოსცა და დარიგდა ე.წ. საპრივატიზაციო ბარათები. ამითვე უნდა დაჩქარებულიყო მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემა და სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია (იქვე:92).

საპრივატიზაციო ბარათების დარიგებამ ანუ, როგორც მათ უფრო ხშირად უწოდებდნენ, ვაუჩერიზაციამ ცხადყო, რომ იგი ხალხის მოტყუების მორიგი ფანდი იყო. „ვაუჩერი“, რომელიც მოსახლეობას 30 დოლარის ეკვივალენტად მიეცა, მისი რეალიზაციის ვადის დასასრულისათვის 3 ლარად იყიდებოდა. ზოგიერთმა კი იგი საერთოდ გადაყარა და ამით გამოხატა მისდამი თავისი დამოკიდებულება. ასე შეუწყო ხელი სახელმწიფომ ე.წ. „საშუალო ფენის“ შექმნას. ფენისას, რომელიც მომავალში საზოგადოების არსებობის საფუძველი უნდა გახდეს.

ინფლიაციის მაღალი დონის გამო რამდენჯერმე იყო ხელფასების მოწესრიგების ცდა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში. 10 მარტს მთავრობის სხდომაზე მინიმალური ხელფასი განისაზღვრა 2300 მანეთით (იქვე:50). პარლამენტის 30 აგვისტოს დადგენილებით იმავე კატეგორიის მუშაკების ხელფასი გაიზარდა 100 პროცენტით. მინიმალური ხელფასი განისაზღვრა 9200 კუპონით (იქვე:190). ეს ნიშნავდა, რომ ხელფასმა, ფაქტობრივად, დაჰკარგა რეალური ღირებულება. სექტემბრის დასაწყისში კვების პროდუქტების ფასები ასეთი იყო: კგ. ხორცი ღირდა 25-30 ათასი, ყველი—22-26 ათასი, რძე—6 ათასი, სიმინდის ფქვილი—7 ათასი, ლობიო 8-10 ათასი, კარტოფილი—3500-5000 კუპონი (იქვე:217).

ეკონომიკური ანარქია წლიური ბიუჯეტის შედგენის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომ გამოსავალი კვარტალების მიხედვით მის დამტკიცებაში გამონახეს. I კვარტლის ბიუჯეტი პარლამენტმა 28 იანვარს დაამტკიცა. კანონი გამოქვეყნდა 11 თებერვალს. შემოსავალი დაგეგმილი იყო 1 105 1036 ათასი მანეთის ოდენობით. გასავალი—4632099 ათასი მანეთისა (იქვე:28).

1993 წლის წინასწარი გაანგარიშებით რესპუბლიკაში შემოტანილი იყო 225 მილიარდი რუსული მანეთისა და 460 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია. გატანილი კი—130 მილიარდი მანეთის და 222 მილ. დოლარისა.

ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის რიცხოვნობაზე. გაიზარდა სიკვდილიანობის რაოდენობა. განსაკუთრებით ჩვილი ბავშვებისა. წინა წელთან შედარებით ასეთმა შემთხვევებმა 38%-ით იმატა და ყოველ 1000 დაბადებულზე 17,1 შეადგენდა.

სამუშაოს აქტიურად ეძებდა 220 ათასზე მეტი კაცი. უმუშევართა კატეგორიით აღრიცხული იყო 40 ათასზე მეტი. სიღარიბის ზღვარს მიღმა ითვლებოდა მოსახლეობის 93 პროცენტი. სამომხმარებლო კალათის ღირებულებამ 6 მილიონ კუპონს გადააჭარბა („სრ“ 1994:92).

მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებდა სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარება. ამ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის ხვედრითი წილი. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ამ ქვეყნის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა 100 ათასი ტონა ხორბალი, 10 მილიონი დოლარის ბავშვთა საზრდო და ერთი მილიონი დოლარის მედიკამენტები.

23 აგვისტოს, ვაშინგტონში აშშ-ის მთავრობასთან ხელმოწერილი სავაჭრო ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მიენიჭა ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის სტატუსი, რაც ნიშნავდა აშშ-ში საიმპორტო საქონლის დაბალი ტარიფებით დაბეგვრას (იქვე:187).

2-3 ივნისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით ჩინეთი საქართველოს გამოუყოფდა 30 მილ. იუანის ოდენობის კრედიტს (იქვე: 120).

ივნისის მიწურულს, ე. შევარდნაძის კიევში ყოფნის დროს, მან და პრეზიდენტმა ლ. კრავჩუკმა პოლიტიკურთან ერთად განიხილეს ეკონომიკური საკითხებიც. გადაწყდა—უკრაინა საქართველოს მიაწვდიდა ხორბალს, ხორცსა და რძის პროდუქტებს. სამაგიეროდ კი მიიღებდა—ჩაის, ღვინოსა და ხილს (იქვე:138).

საქართველოსათვის დახმარებისა და მხარდაჭერის აქციები, უცხოე-

თის სახელმწიფოთა და საქველმოქმედო ორგანიზაციათა მხრივ უფრო ინტენსიური გახდა სოხუმის დაცემისა და აფხაზეთიდან მკვიდრი მოსახლეობის ექსტრემისტთა მიერ გამოდევნის შემდეგ.

1993 წელი საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაში საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. მიღებულ კანონთა ერთ ნაწილს საფუძველდამდების მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის ძირითადი პრინციპების განსაზღვრისათვის. ამდენად ვერ დავეთანხმები დ. მჭედლურს, რომ, რადგან პარლამენტში დიდი რაოდენობით მოხვდნენ „ეროვნული მოძრაობის" მოღვაწენი და პროზვიადისტური პარტიები, ამან „ამორფულ და უსახო სალაყბოდ აქცია მეორე პარლამენტიც" (მ ჭ ე დ ლ უ რ ი 1995:187). მიუხედავად ბევრ სხდომაზე მართლაც ფუჭი კამათისა, ამ ორგანოს საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფიერების სრული უარყოფა რეალური ვითარების გაყალბება იქნებოდა. ამას მის მიერ მიღებულ კანონთაგან ზოგიერთის ჩამოთვლაც აჩვენებს:

წინა წელს ჩატარებულ სესიაზე, გარდა უკვე დასახელებულისა, მნიშვნელოვანთა რიგს განეკუთვნებოდა კანონები: „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის", „სამხედრო სასამართლოების", „სამხედრო პროკურატურის", „სამხედრო მდგომარეობის", „საქართველოს მოქალაქეობის", „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების" შესახებ და სხვ. ხოლო 1993 წელს მიღებულთაგან—„საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების და რატიფიკაციის", „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის", „საკუთრების უფლების", „პოლიციის", „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის" შესახებ და ა.შ. ცხადია, შეიძლებოდა უფრო მეტის გაკეთებაც, რასაც თვით სპიკერატიც არ უარყოფდა („ს რ" 1993:75). ე. შევარდნაძე კი მიუთითებდა: იმ კანონებისა და გადაწყვეტილებების გარეშე, რომლებიც პარლამენტმა მიიღო შეუძლებელი იქნებოდა ლაპარაკი ისეთი სახელმწიფოს ფუნქციონირებაზე, რომელიც ახლა იდგამსო ფეხს (ი ქ ვ ე:6).

უფრო ნაყოფიერი იყო პარლამენტის საკანონმდებლო მუშაობა 1993 წლის საშემოდგომო სესიაზე. ამ პერიოდში მიღებულ იქნა 48 კანონი და 303 დადგენილება (ი ქ ვ ე:271).

არსებული მრავალპარტიულობის გამო პარლამენტში პოლიტიკური ძალები დაქსაქსული იყო. ამ მიზეზით კონსესუსი ხშირად მხოლოდ ე. შევარდნაძის ჩარევის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი. ასე მოხდა

2-4 თებერვალსაც. დახურულ სხდომაზე იხილავდნენ აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას. ეს საკითხი გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ვითარების გარკვევაში. კამათი ისე გამწვავდა, რომ ე. შევარდნაძე იძულებული გახდა ხელისუფლებისადმი ნდობის საკითხი დაესვა. პარალმენტმა მხარი დაუჭირა ხელისუფლებას. მთავრობას და სხვა უწყებებს რწმუნება მიეცათ გაეგრძელებინათ მოლაპარაკება რუსეთთან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხებზე.

რადიკალურად განწყობილ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერთაგანაც კი უკომპრომისობით გამოირჩეოდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირ. წერეთელი.[1] 21 თებერვალს მისი თავმჯდომარეობით გამართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციაზე მან გაიმეორა თავისი აკვიატებული თეზისი რუსეთის საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გაყვანისა და 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შესახებ (იქვე:36).

ორივე ეს მოთხოვნა უაზრო პოპულისტიკა იყო. ვინაიდან, კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესადგენად პარლამენტმა უკვე 16 თებერვალს შექმნა საკონსტიტუციო კომისია ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით (იქვე:32). რაც შეეხება, რუსეთის ჯარების გაყვანას იგი დეკლარაციული განცხადებით არ გადაწყდებოდა, საკითხი უნდა მოგვარებულიყო ე.წ. „ჩარჩო ხელშეკრულების" ფარგლებში, რომელზეც მუშაობა რიგი სირთულეების გამო ჭიანურდებოდა.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები იყო თანამეგობრობის მიმართ საქართველოს ნეგატიური დამოკიდებულება და რუსეთის მიერ აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში აღებული შუამავლის როლის სისტემატური შეუსრულებლობა. უფრო უარესიც, ომის ზოგიერთ ეპიზოდში რუსეთი მონაწილედაც კი გამოდიოდა. ეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ყოველთვის მოეხსენებოდა. მაგრამ დიპლომატიურად არიდებდა თავს ამის ოფიციალურ გამოცხადებას. იგი ასეთ შემთხვევებში აქცენტს ზოგიერთ რუს სამხედროსა და რეაქციულ ძალებზე აკეთებდა. 16 მარტს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას კი მან თქვა: „ყოველთვის ფრთხილად ვიყავი არ მეხმარა ტერმინი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი... წუხანდელი მოვლენების შემდეგ უნდა გან-

[1] მისი მამისეული ალიარებით, ირ. წერეთელი შეურაცხადია. სიდამონ წერეთელი ახალგაზრდობას ურჩევდა: „თავი არ დაიღუპოთ შვილებო, არ გაჰყვეთ ჩემს შვილს, აყადა მყავს, ეს ესაა საავადმყოფოდან გამოვყვანე-ო" („სრ" 1994:117-118).

ვაცხადო, რომ ჩვენ პრაქტიკულად საქმე გვაქვს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან"-ო და დაუმატა—სოხუმზე თავდასხმა არის სერიოზულად დაგეგმილი აქცია. ყველაფერი იგეგმება რუსი სპეციალისტების მიერ. ქალაქის მისადგომებთან კონცენტრირებულია მძიმე ტექნიკა. არაფერი ამის მსგავსი აფხაზთა მხარეს არა აქვს და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. ჩრ. კავკასიიდანაც ვერ მიიღებდაო ასეთ თანამედროვე შეიარაღებას. (იქვე:54).

როგორც მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა ეს მწარე აღიარებანი გამოწვეული იყო აფხაზი სეპარატისტების მიერ სოხუმის ასაღებად 15-16 მარტს წამოწყებული ფართომასშტაბიანი შეტევით გამოწვეული დიდი შეშფოთების გამო. აქამდე აფხაზეთში მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები. მათ შესახებ ოფიციალური პრესა აქვეყნებდა თითქმის ყოველდღიურ ცნობებს, აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით. სხვადასხვა დღის ცნობები წყლის ორი წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს: დღე სიმშვიდეა. საღამოს მოწინააღმდეგე გამოიყვანს ერთ (ან ორ) ტანკს, ცეცხლს გაუხსნის სოხუმის უბნებს. ჩვენს მხარეზე დაღუპულები არ არიან. ქართველთა საარტილერიო ცეცხლი ყოველთვის ეფექტურია. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი აქვს...

ამ ინფორმაციებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საქართველოს შეიარღებული ძალების მთავარი სტრატეგიული საყრდენია არტილერია და კარგადაც იყენებენ მას.[1]

ომის მიმდინარეობის ზოგადი სურათი 1993 წლის თებერვლის დამდეგისათვის, გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების მიხედვით („სრ" 1993:26) ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედებები პოზიციური ბრძოლებისათვის საკმაოდ მაღალი ინტენსივობით წარმოებდა. 1992 წლის 2 სექტემბერს ქ. გაგრის აფხაზთა მიერ აღების შემდეგ დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო კონფრონტაციის ძირითადი ხაზები პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა. საქართველოს ჯარებმა ვერ შეძლეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ხოლო აფხაზებმა ვერ აიღეს სოხუმი.

1992 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან მოყოლებული საბრძოლო

[1] ამდენად, სწორია ნ. ნათაძე, როცა აფხაზეთში ჩვენი მარცხის ერთ-ერთ მიზეზად 27 თებერვლის (1993 წ.) შეთანხმების შემდეგ სოხუმიდან არტილერიის გამოყვანას ასახელებს (ვაზ. „საქ-ლო" 1997:109).

მოქმედება მიმდინარეობდა ორი მიმართულებით. ფრონტის ერთ-ერთი ძირითადი ხაზი გადიოდა მდ. გუმისთის რაიონში, სოხუმის ჩრდილოეთ მხარეს. მისი სიგრძე დაახლოებით 12 კმ უდრიდა და ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროდან სოფ. ახალშენამდე. 1992 წლის ნოემბრის მიწურულიდან ამ ფრონტზე იყო ინტენსიური სროლა, რომლის დროსაც გამოიყენებოდა არტილერია, მრავალ ლულიანი სარაკეტო დანადგარები, ნაღმტყორცნები და ტანკები. ინტენსიურ ცეცხლქვეშ იყო სოხუმი და მიმდებარე სოფლები. ორივე მხრივ ცოცხალი ძალის მსხვერპლი და მატერიალური ზარალი ძლიერ საგრძნობი გახლდათ.

4-5 იანვარს აფხაზთა ჯარებმა პირველად სცადეს მდ. გუმისთის მეორე სანაპიროზე გადმოსვლა. მათ დროებით შეძლეს კიდეც ეს. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ისინი უკუგდებულნი იქნენ. იანვრის შუა რიცხვებში აფხაზებმა საზღვაო დესანტის გადმოსხმა დაიპირეს. მათი კატარღები ქართველთა ცეცხლის ინტესივობის გამო ზღვაში მიიმალნენ.

აქტიურ საბრძოლო მოქმედებათა მეორე მიმართულება იყო ოჩამჩირესა და ტყვარჩელს შორის მდებარე ტერიტორია. ამ მთაგორიან ზოლში ფრონტის ხაზი მკვეთრად არ იყო მონიშნული. რელიეფი ხელს უწყობდა პარტიზანული ომის მსგავს საბრძოლო მოქმედებას. ქართველთა მხარემ კონტროლი დააწესა ოჩამჩირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე რაიონზე, რომელიც განლაგებულია 55 კმ-ზე სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით შავ ზღვაზე. მათვე დაკავებული ჰქონდათ სანაპირო ოჩამჩირესა და მდ. კოდორს შორის, დაახლ 20 კმ-ზე სოხუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აფხაზები ჰკეტავდნენ ქ. ტყვარჩელისაკენ მიმართულებას (აფხაზთა სარდლობა ამ პოზიციას „აღმოსავლეთის ფრონტს“ უწოდებდა).

მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ცენტრში აღმოჩნდა ოჩამჩირიდან 10 კმ-ზე მდებარე სოფ. ტამიში. ამ ბრძოლებში მეომარ მხარეთა ძირითადი მიზანი იყო ზღვისპირა ტრასების, განსაკუთრებით კი სოხუმ-თბილისის რკინიგზის გაკონტროლება. იანვრის პირველი ნახევრიდან ქართველებმა შესძლეს გაეფართოებინათ თავიანთი პოზიციები ოჩამჩირესა და კოდორს შორის.

მეტად საყურადღებო მოსაზრებებს შეიცავდა სოხუმში მოქმედი ეროვნული ერთიანობის საბჭოს 12 თებერვლის განცხადება. მისი ავტორების აზრით, გაგრისა და გუდაუთის დაკარგვის შემდეგ ჩვენი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური პოზიციები მნიშვნელოვნად დასუსტდა. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია სოხუმი. იგი

ყოველღიურად იბომბება. იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. ქალაქს არ გააჩნია საკვები, სათბობი და პარალიზებულია ტრანსპორტი.

აფხაზეთში წყდება საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, ვკითხულობთ განცხადებაში, ამიტომ ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინეთ „როდემდე უნდა იდგეს ქართული ჯარი ფეხმოუცვლელად გუმისთასთან და სოფ. შრომასთან" და რატომ არ ვაცხადებთ, რომ აფხაზეთში ეთნოკონფლიქტი კი არა „ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს ომი მიმდინარობს" (იქვე:30).

ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას იმ დროისათვის კონფლიქტის სამხედრო-სტრატეგიული გზით გარდაქმნისათვის საკმარისი ძალები არ გააჩნდა, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება კი შეეძლო. სხვა თუ არა, რუსეთთან დამოკიდებულების გარკვევა მაინც იყო საჭირო. ქვემოთ ვნახავთ, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ 27 ივლისს კვლავ გაიმეორა 1992 წლის 3 სექტემბერს დაშვებული შეცდომა. პირველს გაგრა-ლესელიძის დაკარგვა მოჰყვა, მეორეს კი—სოხუმისა და მთელი აფხაზეთის.

თვით ე. შევარდნაძე აღიარებდა, რომ გაგრის დაკარგვის შემდეგ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის შანსი მინიმუმამდე დავიდა. რაც შეეხება სოხუმის დაცვას, იგი გავაძლიერეთ, მაგრამ ძალები ჯერჯერობით საკმარისი არ არის. ამასთან სახელმწიფოს მეთაური კვლავ იმეორებდა თავის ადრინდელ თეზისს, რომ ქართველებს ომის მოგება აქამდეც შეეძლოთ და „ეს ახლაც შესაძლებელია, მაგრამ ეს ხომ ორივე მხარეს უდიდესი მსხვერპლის ფასად დაუჯდებოდა და ორივე მცირერიცხოვანი ხალხის უდიდესი ტრაგედია იქნებოდა" (იქვე:31).

ტრაგედია, როგორც ვიცით, მაინც შედგა და თანაც, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბისა, ვიდრე ეს კონფლიქტის დასაწყისში შეიძლებოდა მომხდარიყო. ვფიქრობთ, ასეთი მიზეზის დასახელება მხოლოდ მთავარი ფაქტორიდან ყურადღების მეორე ხარისხოვანზე გადატანის მცდელობით იყო განპირობებული. მთავარი ფაქტორი კი კვლავ რუსეთთან დამოკიდებულებაში მდგომარეობდა. თებერვლის მეორე ნახევარში ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობა წინანდელთან შედარებით უფრო დაიძაბა. ეს გამოიწვია თითქმის ერთდროულად მომხდარმა რამდენიმე მოვლენამ.

20 თებერვალს აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმის მორიგი სარაკ-

ეტო დაბომბვა მოაწყვეს. მნიშვნელოვნად დაზიანდა 8 საცხოვრებელი სახლი. დაიჭრა 50-მდე ადამიანი, დაიღუპა ერთი. იმავდროულად სოხუმი თვითმფრინავებიდან დაბომბეს რუსმა სამხედროებმა. მათ ეს ახსნეს, როგორც ქართველთა მიერ ქვემო ეშერაში განლაგებული ლაბორატორიის დაბომბვის საპასუხი აქტი. სინამდვილეში კი ასეთი რამ არ მომხდარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებულ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის მხრივ ასეთი საბაბის წამოყენება ცინიკურად ჟღერს და ააშკარავებს მის ავტორთა მოქმედების ნამდვილ მოტივს—აჭიანურებენ კონფლიქტის შუა ზონიდან თავისი ჯარის ნაწილის გაყვანას. ამით სურთ ობიექტის დაცვა გამოიყენონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმის გასამართლებლად (იქვე:36).

დაბომბვის მეორე დღეს სოხუმში ჩავიდნენ ე. შევარდნაძე და თ. სიგუა. მათ ოპერატიულად გადაწყვიტეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, მოგვარდა სოხუმის პურით მომარაგების საქმე. ე. შევარდნაძემ განაცხადა: რუსეთის თვითმფრანვის მიერ სოხუმის დაბომბვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავების მიზნით ჩადენილი ბარბაროსობა არისო (იქვე:36).

ასეთ მწვავე ვითარებაში რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პ. გრაჩოვმა განაცხადა ბათუმი, გუდაუთა და სხვა რაიონები საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და ისინი მას არ დატოვებენ, რამდენადაც ეს რუსეთისათვის შავი ზღვის დაკარგვა იქნებაო[1] (იქვე).

ამას დაემატა მოსკოვიდან ბათუმში დაბრუნებული ა. აბაშიძის მიერ 26 თებერვალს უზენაესი საბჭოს სესიაზე ნათქვამი, რომ იგი პ. გრაჩოვს მოელის აჭარაში. მინისტრს, დაუმატა მან, აქვს უფლება მოინახულოს თავისი ქვემდებარე სამხედრო ნაწილები (იქვე:41). ა. აბაშიძეს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ უცხო ქვეყნის მინისტრი საქართველოს ტერიტორიაზე ვოიაჟს აწყობდა ამ სახელმწიფოს მთავრობასთან შეუთანხმებლად.

ადრე თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვა აფხაზეთში მოქმედ ზოგიერთ რუს გენერალსა და მოსკოველ რეაქციონერ დეპუტატებს ბრალდებოდა, ახლა უკვე აღარც ოფიციალური ხელი-

[1] 25 თებერვალს, პარლამენტის სხდომაზე, ე. შევარდნაძემ პ. გრაჩოვის გამოსულის გამო განაცხადა: „ყოველგვარი განმარტება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოეთის სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების შესახებ მიუღებელია“-ო.

სუფლების წარმომადგენელთა მოქმედება იყო სუვერენულ სახელმწიფოსთან, როგორც თანასწორთან დამოკიდებულების შესაფერისი. ეს შეშფოთებას იწვევდა არა მარტო საქართველოს ხელისუფლებაში, არამედ შეუნიშნავი არ დარჩა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსაც, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აშკარა გაუარესების გამო, მხარდაჭერის საგანგებო ნოტა გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (იქვე:44-45).

ამერიკელთა ასეთი განსაკუთრებული ყურადღება გამოწვეული იყო მოსკოვში გამართულ „სამოქალაქო კავშირის" ფორუმზე 27 თებერვალს ბორის ელცინის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ რუსეთი საარსებოდ არის დაინტერესებული ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყველა შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტით და ამიტომ იგი მოითხოვს განსაკუთრებულ უფლებებს ამ რესპუბლიკებში (იქვე:45).

რუსეთის ხელისფლების მოუზომელი ნაბიჯებით ისარგებლა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა და 9 მარტს, პარლამენტის სხდომაზე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოითხოვა. ე. შევარდნაძემ ამის გამო განაცხადა, რომ მიუხედავად რუსეთის ხელისფლების მხრივ დაშვებული დიდი შეცდომებისა, რაც პ. გრაჩოვის საქართველოში მთავრობასთან შეუთანხმებლად ჩამოსვლასა და ბ. ელცინის მიერ რუსეთისათვის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებული მისიის მინიჭების შესახებ განცხადებაში გამოიხატა, ამ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა კატასტროფა იქნებოდა, რადგან ჩვენ ჯერჯერობით ძლიერ ვართ დაკავშირებული მასთან. სახელმწიფოს მეთაურის შეფასებით ყველაზე რთულად გადასაწყვეტი საკითხი არის საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანა. ეს მისი აზრით, უნდა გაკეთებულიყო თანდათანობით და დამთავრებულიყო 1995 წელს (იქვე: 48-49). ეს ვარაუდი შემდეგში რამდენჯერმე შეიცვალა. პრობლემა კი დღესაც მოგვარებული არ არის.

როცა საქართველოში ფრთხილად და მოზომილად მსჯელობდნენ რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებზე, იხილავდნენ მასთან გასაფორმებელი „ჩარჩო ხელშეკრულების" სხვადასხვა ვარიანტს,[1] რუს-

[1] 19 მარტს პარლამენტმა კენჭი უყარა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების 3 ვარიანტს („ჭარტია"-91-ის, სახელმწიფოს მეთაურისას და საგარეო საქმეთა კომისიისას). საჭირო ხმების ოდენობა ვერც ერთმა ვერ მიიღო. გადაწყდა მათგან შეემუშავებინათ ერთი („სრ" 1993:50).

ეთში იგეგმებოდა და მზადდებოდა აფხაზეთში ქართველთა განადგურების ახალი აქცია.

15-16 მარტს მოწინააღმდეგე, რუსი სამხედროების მხარდაჭერით, მასირებულად ბომბავდა სოხუმს. ამით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა ქალაქის ასაღებად. პირველ დღეს ქალაქში ჩამოაგდეს 130-ზე მეტი ბომბი. 16 მარტს მარტო რუსეთის თვითმფრინავებმა 12 ხუთასკილოგრამიანი ბომბი დაუშინეს სოხუმს. მათგან 9 არ აფეთქდა, მაგრამ ერთი ასეთი ბომბის გაუვნებელყოფის დროს დაიღუპა 12 კაცი (იქვე:53). აფხაზებმა ჩრდილოეთ კავკასიელებისა და რუსთა სპეცდანიშნულების ნაწილის „ტაპირის" დახმარებით შეძლეს ფრონტის გარღვევა, მაგრამ ქართულმა ქვეგანაყოფებმა 16 მარტის 5 საათისათვის კონტრშეტევით ფრონტის მთელ ხაზზე დაიბრუნეს პოზიციები (იქვე).

ნიღაბი მთლიანად ჩამოიძრო პ. გრაჩოვმა. საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებულ ცნობაზე–რუსეთის თვითმფრინავები მონაწილეობენო სოხუმის დაბომბვაში—მან განაცხადა: ქართველებს ჰყავთო რუსეთის სამხედრო ავიაციის ფერად შეღებილი 7 სუ-25 თვითმფრინავი და იმით ბომბავენო სოხუმს. ამ განცხადებამდე ორი დღით ადრე კი სოხუმის დაბომბვისათვის პასუხისმგებლობა, რუსეთისათვის ხელის დაფარების მიზნით, თავის თავზე აიღო აფხაზურმა მხარემ (იქვე:56).

თუ როგორი გააფრთებული იყო მოწინააღმდეგის შეტევა სოხუმზე 15-16 მარტს, ამის წარმოსადგენად მიემართოთ შემდეგ მონაცემებს: ბოლო სამი თვის მანძილზე წარმოებული ბრძოლების დროს დაიღუპა 110 ადამიანი, დაიჭრა 1000-ზე მეტი კაცი. დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა 800-ზე მეტი სახლი, ხოლო მარტო დასახელებულ ორ დღეს დაიღუპა 107 კაცი, დაზიანდა და დაინგრა 700 სახლი (იქვე:50).

დიდი ზარალის გამო, 18 მარტს მოწინააღმდეგემ სოხუმზე შეტევა შეწყვიტა. ქართული პრესა აცხადებდა, რომ ბრძოლების დღეებში განადგურებულ იქნა მოწინააღმდეგის 7 საბრძოლო მანქანა, ჩახშობილია 5 საცეცხლე წერტილი. დესანტითურთ ჩაძირეს 3 საბრძოლო კატარღა. მოწინააღმდეგე გადარეკილია გუმისთის გადაღმა. მოკლულია მისი 300 და დაჭრილი 500-ზე მეტი „ბოევიკი" (იქვე:56).

მოწინააღმდეგის მიერ საბრძოლო ინიციატივის დაკარგვის მიზეზი მისთვის სულისჩამდგმელ რუსეთში შინაპოლიტიკური ვითარების მკვეთრად დაძაბვაც იყო. რუსი სამხედროებისათვის გაურკვეველი

გახდა პოლიტიკურ მკლავჭიდში ვინ გადაძლევდა ბ. ელცინი, რომელიც ოფიციალურად საქართველოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე იყო, თუ მისი მოწინააღმდეგენი, რომლებიც აფხაზ სეპარატისტთა მიმართ სიმპატიებს არ მალავდნენ და თანაც, ფინანსურად და იარაღით ამარაგებდნენ მიმდინარე ომს.

ბ. ელცინს იმდენად გაუჭირდა, რომ ხელისუფლების შესანარჩუნებლად პლებისციტის ჩატარება მოითხოვა. 29 მარტს, გამართულ რუსეთის სახალხო დეპუტატთა IX ყრილობაზე კენჭი უყარეს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რ. ხასბულატოვის ნდობის საკითხს. 130 ხმით უპირატესობა მიიღო ბ. ელცინმა.

ორხელისუფლებიანობა რუსეთში ერთ თვეს გრძელდებოდა. აპრილის მეორე ნახევარში გამოჩნდა მესამე პოლიტიკური ძალაც—ვიცეპრეზიდენტი ა. რუცკოი. 29 აპრილს რუსეთში მოეწყო რეფერენდუმი. მისი შედეგები ბ. ელცინის სასარგებლო გამოდგა. მაგრამ ოპოზიციას იმდენად ბევრი მომხრე ჰყავდა, რომ პრეზიდენტი იაპონიაში მიმდინარე „დიდი შვიდეულის" შეხვედრაზედაც ვერ წავიდა. ე. შევარდნაძემ ამ მოვლენების დროს თავის გამოსვლებში რამდენჯერმე დაუჭირა მხარი ელცინს. სატელეფონო საუბარში ისინი შეთანხმდნენ 14 მაისს შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ამ შეხვედრის მოსამზადებლად 6 IV-ს, სოჭში მოეწყო საქართველოს (მეთაური თ. სიგუა) და რუსეთის (პ. გრაჩოვი) დელეგაციების მოლაპარაკება. პ. გრაჩოვმა დაადასტურა რუსეთის პოზიციის უცვლელობა აფხაზეთის საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარების თაობაზე და მხარი დაუჭირა ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობას. თ. სიგუამ შენიშნა, რომ რუსეთის პარლამენტის გადაწყვეტილება არ აწარმოონ მოლაპარაკება საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე, არის ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა. მოლაპარაკების მეორე დღეს, ქართულმა დელეგაციამ დააყენა აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისა და ეშერის სეისმური ლაბორატორიის დემონტაჟის[1] საკითხები. პ. გრაჩოვმა მოითხოვა აფხაზეთსა

[1] ეშერის სეისმური ლაბორატორია, რომელსაც ცალკე ბატალიონის სტატუსი გააჩნდა, რუსეთის მხარის გამუდმებული მტკიცებით არ წარმოადგენდა სამხედრო დანიშნულების ობიექტს. მაგრამ გაზეთმა „Аргументы и Факты" (№646) გამოაქვეყნა რადიო „თავისუფლების" მიერ გადმოცემული მასალა, სადაც ნათქვამი იყო: ეშერის საიდუმლო ობიექტი, რომლის გაყვანა საქართველოს პარლამენტმა მოითხოვა, წარმოადგენს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს №24 ლაბორატორიას და ეკუთვნის გენერალური შტაბის მე-12 სამმართველოს. ეს სამმართველო განაგებს ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეშერის ლაბორატორია აწარმოებს სეისმოლოგიურ დაკვირვებებს ნატოს სამხრეთ-აღმო-

და საქართველოში რუსეთის ჯარების 1995 წლის 31 დეკემბრამდე დატოვება, ეშერის ლაბორატორიის ხელშეუხებელ ზონად გამოცხადება, მოწინააღმდეგეების მიერ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და მათი 3 კმ-ით დაშორიშორება.

მოლაპარაკების ბოლო დღეს ხელმოწერილი ოქმის მიხედვით შეთანხმდნენ ცეცხლის უპირობო შეწყვეტაზე. ამით უნდა დაწყებულიყო გარდამავალი პერიოდი, რუსეთის მხარემ თანხმობა განაცხადა ეშერის 24-ე ლაბორატორიის სეისმური და სხვა სამეცნიერო მოწყობილობების კონსერვაციის თაობაზე. ლაბორატორის ტერიტორია, 200 მეტრის რადიუსით, აკრძალულ ზონად გამოცხადდა, მას დაიცავდნენ საინჟინრო და სამხედრო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით („სრ“ 1993:75).

შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბმჯერადაც ვერ „იმუშავა“. სოხუმის დაბომბვა გრძელდებოდა 12 და 13 აპრილსაც. 16 აპრილს, კი მან სრულიად გააფთრებული ხასიათი მიიღო. საარტილერიო ჭურვებმა დაანგრიეს ქალაქის საცხოვრებელი და ადმინისტრაციული უბნები. რუსეთის წარმომადგენლები უძლურნი აღმოჩნდნენ დროებით მაინც ჩაექროთ კონფლიქტი.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ადამიანის უფლებათა ხელყოფის ფაქტების დამდგენი კომისიის სხდომაზე (სოხუმში) აღინიშნა: 1993 წლის 1 აპრილის მონაცემებით დაღუპულია 331, დაჭრილია აფხაზეთის 1798 მცხოვრები. არის ადამიანთა ცოცხლად დამარხვის, ცეცხლზე დაწვის შემთხვევები. ძირითადად კლავენ ქართველებს. სავალალო მდგომარეობაა აფხაზთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ლესელიძესა და განთიადში გადამწვარია სახლების 40-45% (ყველა ქართველებისა). მთლიანად შეიწირა ხანძარმა ქართველთა სახლები სოფლებში: კოლხიდა, ხეივანი, სულევი, სალხინო (იქვე:89).

საველეთ ფრთაზე, ახლო აღმოსავლეთსა, შუა აღმოსავლეთის ნაწილზე და, აგრეთვე, აფრიკაზე ასეთ ლაბორატორიებში, რომლებიც მიწის ქვეშ 8-10 სართულიანი სახლის სიღრმეზეა განლაგებული, ეწყობა ექსპერიმენტული მართული ბირთვული აფეთქებები. ამ აფეთქებათა ტალღები ვრცელდება ვიწრო მიმართულებით, რაც იწვევს დედამიწის ქერქის რყევას, ზუსტად გათვალისწინებულ რაიონში. ეშერის ლაბორატორია არის ერთ-ერთი ობიექტი სსრ კავშირში 70-იან წლების შუახანებში შექმნილი ტექტონიკური იარაღის გამოსაყენებლად. მისი განადგურება რუსეთის ხაზინას მრავალი ასეული ათასი დოლარის ზარალს მოუტანდა. ამ ინფორმაციის შემდეგ, ვფიქრობთ, ცხადია, რატომ იცავდნენ რუსი სამხედროები ასე სათუთად ამ ობიექტს. არადა, იგი ასეთ ადგილზე მდებარეობდა, რომ აფხაზი „ბოევიკები“ მასზე ამოფარებით ქართველთა პოზიციებს თავისუფლად აზიანებდნენ. ხოლო ჩვენებს არათუ არტილერიის, არამედ ტყვიამფრქვევების გამოყენების საშუალებაც კი არ ჰქონდათ.

ომი აფხაზეთში მიმდინარეობდა შინაური შფოთისა და ცენტრალურ ხელისუფლებაში წამოჭრილი შეუთანხმებლობის პირობებში.

თებერვლის შუა რიცხვებიდან გახშირდა ექს-პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგები ზუგდიდში. აქაურები არ სჯერდებოდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკას და სამეგრელოს რაიონებში მომხდარი ფაქტების კონსტანტაციას. ერთი ხალხმრავალი მიტინგი მიეძღვნა აჭარის თემას. მიტინგზე მოითხოვეს საქართველოს მიერ აჭარის მომავალი ანექსიის(?) აღკვეთა (იქვე:29).

განსაკუთრებით გააქტიურდა ლოთი (ვახტანგ) ქობალია. იგი სერიოზულად ემზადებოდა პრეზიდენტყოფილის სამეგრელოში მისაღებად. მარტის მიწურულს თ. კიტოვანი შეხვდა ლ. ქობალიას. შეთანხმდნენ: აფხაზეთის ბრძოლებში სამეგრელოს რეგიონებიდან მებრძოლების გაგზავნაზე, მაგრამ თვითონ მოჯანყე პოლკოვნიკი, ვიდრე ე. შევარდნაძე და მისი პარლამენტი ხელისუფლების სათავეში იქნებოდა, აფხაზეთის ომში პირად მონაწილეობაზე უარს აცხადებდა (იქვე:67). ლ. ქობალია მზაკვრულად იქცეოდა. მან რამდენჯერმე შეიცვალა პოზიცია. ზემოთ ნათქვამი განცხადებიდან 10 დღის შემდეგ, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილესთან ვ. გვარამიასთან საუბარში მან თანხმობა განაცხადა აფხაზეთში წასვლაზე, თუ მის მებრძოლებს კომუფლიაჟით და სურსათით მოამარაგებდნენ. ეს იყო მთავრობისაგან იარაღის, ტანსაცმლისა და სურსათის მიღების მორიგი ხერხი. ლ. ქობალია ოჩამჩირეშიაც კი ჩავიდა. შერიგებით აღფრთოვანებული იყო ყველა და მათ შორის სახელმწიფოს მეთაურიც (იქვე:83). მისი ნამდვილი მიზანი მალე გამომჟღავნდა. მან მოიმიზეზა, რომ წალენჯიხასა და ჩხოროწყუში მოქმედი ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად შევიდნენ შინაგანი ჯარის ნაწილები, მიატოვა ფრონტის ხაზი და ზუგდიდში გამობრუნდა (იქვე:92). ე. შევარდნაძემ ეს უმნიშვნელო მოვლენად ჩათვალა. ლ. ქობალიას მისი თქმით, თან მხოლოდ 109 თუ 110 კაცი ახლდა და ეს უბედურებას არ მოასწავებდა (იქვე:91).

ლ. ქობალია კი განაგრძობდა „პოლიტიკურ და სტრატეგიულ მოღვაწეობას". აფხაზეთიდან წამოსვლამდე, 6 მაისს, იგი ყველასაგან დაუკითხავად შეხვდა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს სულთან სოსლანბეკოვს. გამოცხადდა, რომ მას მოელაპარაკა ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე (იქვე97). სინამდვილეში კი საქმე გვქონდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საიდუმლო შეთანხმებასთან,

რაც ლ. ქობალიას მთელ მომდევნო მოქმედებაში გამომჟღავნდა, თუმცა დიდხანს ბევრს არ სურდა დაეჯერებინა, რომ ეს უვიცი ავანტიურისტი თავისი ხალხის მოღალატე და სახელმწიფო დამნაშავე იყო.

1992 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში საკმაოდ არაორდინალური მდგომარეობა შეიქმნა. ნოემბერში პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის ყველა წევრი, გარდა თავდაცვის მინისტრისა. ზ. გამსახურდიასთან მისი კონფლიქტის შემდეგ, მეორედ დადგა თ. კიტოვანთან დაპირისპირების საკითხი. არჩევნებამდე თ. კიტოვანი ვიცე-პრემიერიც იყო. ახალი სტრუქტურით 4 ვიცე-პრემიერის თანამდებობა წესდებოდა. ოთხივენი დაამტკიცეს. მათ შორის თ. კიტოვანი არ მოხვდა. ქვეყანას უზურპატორი თავდაცვის მინისტრი ჰყავდა. თანაც მის „ანგარიშზე" იყო აფხაზეთში ომის უგნურად დაწყება და ამ ომის მარცხიანი გაგრძელება. გონიერი პოლიტიკოსი ასეთ პირობებში თუ თავს არ მოიკლავდა, თანამდებობიდან, მაინც გადადგებოდა. თ. კიტოვანი კი ჯიუტად ებღაუჭებოდა მინისტრის სავარძელს და თვითნებურად ერეოდა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მის კომპეტენციაში აღარ შედიოდა. ეს ნიშნავდა, რომ სამხედრო უწყება, რომელიც მოწესრიგებულ სახელმწიფოში დისციპლინისა და წესრიგის სიმბოლოდ ითვლება, საქართველოში ხელისუფლების ანტიპოდად გადაიქცა.

ე. შევარდნაძე აუჩქარებლად და მისთვის ჩვეული მოთმინებით ელოდებოდა საკითხის მომწიფებას. ცხადია, ეს ქვეყნისათვის საზარალო იყო, მაგრამ გადაწყვეტილების ერთბაშად და მკვეთრად მიღებას შეიძლებოდა 1991-1992 წლების მიჯნის „თბილისის ომის" განმეორება მოჰყოლოდა. რასაც ქვეყანა ვეღარ გადაიტანდა. ასეთი ვითარება 6 თვეზე მეტხანს გრძელდებოდა. კვანძის გახსნის ინიციატორი კვლავ არა სახელმწიფოს მეთაური, არამედ პარლამენტი აღმოჩნდა. მაისის დასაწყისში მის ერთ-ერთ სხდომაზე მწვავედ დაისვა საკითხი მინისტრთა კაბინეტის დაუმტკიცებელი წევრების, ე.ი. თ. კიტოვანის შესახებ. ე. შევარდნაძემ მზადყოფნა გამოთქვა კანდიდატურის წარდგენისა. თ. კიტოვანმა 3 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთში წარუმატებლობანი სახელმწიფოს მეთაურს გადააბრალა. თანაც განაცხადა, რომ იგი პარლამენტს არ ექვემდებარება (ი ქ ვ ე : 91).

6 მაისს პარლამენტის სხდომაზე თავდაცვის მინისტრად, პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, დაინიშნა გიორგი ყარყარაშვილი. საკითხის გადაწყვეტის წინ ე. შევარდნაძემ თქვა, რომ მან „მეგობრუ-

ლად, ძმურად და ოფიციალურად სთხოვა თ. კიტოვანს დარჩენილიყო ვიცე-პრემიერად". მაგრამ მისგან უარი მიიღო და იგი რჩება პარლამენტის წევრად. „მე,—დაუმატა სახელმწიფოს მეთაურმა,—ისე როგორც ჩვენი ხალხი, მადლიერი ვარ თ. კიტოვანისა, თუ საქართველოს უწერია გახდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული და დამოუკიდებელი ქვეყანა, ამ საქმეში თ. კიტოვანის წვლილი უდაოდ დიდი და წარუშლელი იქნება. ის რაც გააკეთა მან თავის თანამებრძოლებთან და იმათთან ერთად ვინც მხარს უჭერდა, დიდი ისტორიული ეტაპია საქართველოს მატიანეში[1]. თუ ის მოისურვებს კვლავაც შეუძლია ჩამთვალოს თავის მეგობრად და თანამებრძოლად საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლაში" (იქვე:94). ეს სიტყვები ძნელია ჩაითვალოს გულწრფელობის ნიმუშად. იგი უფრო „მოსროლილი კაცის" დასამშვიდებლად და ზედმეტი გამძვინვარებისაგან შესაჩერებლადაა ნათქვამი. თ. კიტოვანი მაშინ კიდევ წარმოადგენდა რაღაც ძალას და სახელმწიფოს მეთაური ანგარიშს უწევდა მას. თორემ ისინი შინაგანად უკვე კარგა ხანია იყვნენ ერთმანეთის მოძულენი. უმაღლეს ხელისუფლებას შეჩვეულ თ. კიტოვანს არ შეიძლებოდა ყვარებოდა მისი რიგით მოქალაქედ გადამქცევი. ხოლო ისეთი პოლიტიკური იმიჯის მქონე პიროვნებას, როგორიც ე. შევარდნაძეა, შეუძლებელია უყვარდეს კაცი, რომლის ერთ სიტყვაზედაც ბევრი იყო დამოკიდებული მისი სამშობლოში დაბრუნების, სახელმწიფოს მეთაურად გახდომისა და, მაშასადამე, პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელახლა დამკვიდრების ბედი. მით უფრო, რომ ამ კაცს თავისი ყოვლისშემძლეობა უზურპირებული ჰქონდა და სამშობლოს მატიანეში გმირის კი არა დამნაშავის შერცხვენილი სახელით უნდა შესულიყო. ყველაზე უკეთესად ე. შევარდნაძემ იცის, რომ თბილისის ცენტრში საარტილერიო ომის გამართვა არავითარი მიზნით არ შეიძლება იქნეს გამართლებული. თ. კიტოვანი და ზ. გამსახურდია მარად დარჩებიან საქართველოს ისტორიაში, როგორც ამ ომის ინსპირატორები და დამნაშავენი.

თ. კიტოვანმა, მიუხედავად ტრაბახისა, აფხაზეთის ომის ფინალურ ეტაპზედაც ვერაფრით გამოიჩინა თავი. ხოლო მოგვიანებით, 1995 წლის 13 იანვარს, ავანტურისტულად შეეცადა მის მიერვე წამოწყებული ომის გამო დაკარგული აფხაზეთის დაბრუნებას. ამჯერად უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის დააპატიმრეს,

[1] თ. კიტოვანს და ჯ. იოსელიანს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პარლამენტმა მადლობა გამოუცხადა, ხოლო სახელმწიფოს მეთაურმა ისინი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა („სრ" 1993:95-96).

გაასამართლეს და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს[1]. თითქოს „სამართალმა პური ჭამა“, მაგრამ განა შეიძლება რაიმე სასჯელით იქნას გამოსყიდული იმ ადამიანთა სიცოცხლე, რომელიც აფხაზეთის ომმა შეიწირა? ანდა როგორ შეუმსუბუქებს ვინმეს დასჯა ტანჯვა-წამებას მშობლიური მიწიდან გამოდევნილ ასიათასობით ლტოლვილს?

ომი ყოველთვის წარმოადგენდა საუკეთესო კატალიზატორს დამნაშავეობის ზრდისათვის. ასეთი იყო აფხაზეთის კონფლიქტიც. დამნაშავეთა სამყაროს შესანიშნავი პირობები შეექმნა თარეშისა და ძარცვა-რბევისათვის[2]. პოლიციას მათთან ბრძოლის ძლიერ შეზღუდული შესაძლებლობები ვააჩნდა. ჯერ ერთი, მისი ძირითადი ძალები აფხაზეთის საომარ მოქმედებაში მონაწილეობით იყო დაკავებული და მეორეც, 1990-1991 წლებში, ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეთა შეიარაღების საბაბით, პოლიციის განყოფილებებს თავს ესხმოდნენ და იარაღს ართმევდნენ. ასე, რომ მისი ბრძოლისუნარიანობა დაქვეითებული აღმოჩნდა. სათანადოდ ვერ იცავდნენ იზოლატორებსა და სასჯელის მოხდის კოლონიებსაც კი. იანვრის 20-იან რიცხვებში ქსანის კოლონიიდან გაიქცა 100-ზე მეტი მძიმე დანაშაულის მქონე ბანდიტი (იქვე:14). ამან კიდევ უფრო გაამწვავა თბილისში არსებული კრიმინალური მდგომარეობა.

ჩვეულებრივ ამბად იყო გადაქცეული მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქებები, ნავთობსადენი მილის დაზიანების გზით ნედლეულის დატაცება, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა ენერგეტიკულ კრიზისს. მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის გაუარესებას ისახავდა მიზნად გაზსადენის აფეთქებები. ვინაიდან, ასეთი ტრასის მწყობრიდან გამოყვანით ბუნებრივი აირის გარეშე რჩებოდა სომხეთი, ასე მოხდა 11 თებერვალსაც. გაზსადენი ააფეთქეს მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე. სომხეთში ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია. ეს აქტი ჩაითვალა „ზოგიერთი გარეშე და შინაური ძალების ცდად სომხეთში ვითარების დესტაბილიზაციის გამოსაწვევად“ (იქვე:30). იძულებულნი გახდნენ დაეწესებინათ გაზსადენის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი.

დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის ღინისძიებანი ქმედი-

---

[1] ცვდმყოფობის გათვალისწინებით (?!) თ. კიტოვანი პრეზიდენტის 1999 წლის 21 მაისის განკარგულებით შეიწყალეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

[2] 1992 წელს საქართველოში აღრიცხული იყო 21705 სისხლის სამართლის დანაშაული. მათგან 770 განზრახ მკვლელობა, 4750 ძარცვა-ყაჩაღობა, 10 ათასი ქურდობა. გაიტაცეს 3000-ზე მეტი ავტომანქანა („სრ“ 1993:24-25); 1993 წლის 8 თვეში აღირიცხა 12850 სისხლის სამართლის დანაშაული, აქედან 573 მკვლელობა (იქვე:200).

თი გახდა შოთა კვირაიას შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის (11. X. 1993) შემდეგ, პირველი ფართომასშტაბიანი ოპერაცია მისი ხელმძღვანელობით 5 დეკემბერს ჩატარდა მცხეთაში, სადაც აღკვეთეს ტატიშვილების მაფიოზური დაჯგუფება (იქვე:258). ათი დღის შემდეგ დააპატიმრეს ზესტაფონის რაიონში მოქმედ ე.წ. „სვირის საძმოს“ 10 წევრი. მათ აღმოაჩნდათ 25 ტონა შაქარი, ამდენივე სპირტი და რამდენიმე ერთეული საბრძოლო ტექნიკა. მომდევნო დღეებში განადგურებულ იქნა ბანდიტური ჯგუფები ქუთაისში (იქვე:265). ასეთივე ბედი ეწვია ზესტაფონის რაიონის სოფელ „კლდეეთის საძმოს“ (იქვე:273). კრიმინალურმა სამყარომ იგრძნო, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლამ შეურიგებელი ხასიათი მიიღო. თავდახსნის მიზნით მათ მეზობელ ქვეყნებს შეაფარეს თავი. დარჩენილთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა გრძელდებოდა.

იარაღის გატაცების მიზნით თავდასხმებს აწყობდნენ რუსეთის სამხედრო ნაწილებზედაც. 23 იანვარს ასეთი თავდასხმა მოხდა აეჭალაში მყოფ მესაზღვრეთა ჯგუფზე, 2 თებერვალს—ვაზიანში, 3 მარტს ქუთაისში. რუსი ჯარისკაცები არ ინდობდნენ მომხდურებს. თავდასხმები მათთვის ტრაგიკულად მთავრდებოდა. 10 მაისს ქუთაისში „მხედრიონელთა“ ერთი ჯგუფი, სამხედრო ქონების ხელში ჩაგდების მიზნით, შეიჭრა რუსეთის ჯარის 754-ე ბატალიონის ტერიტორიაზე. მომხდარი შეტაკების დროს დაიღუპა 7 და დაიჭრა 10 „მხედრიონელი“ (იქვე:98).

გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, ცხინვალის რეგიონში ანტიქართული საქმიანობა თანმიმდევრულად გრძელდებოდა. 6 მარტს, ჩრ. ოსეთის უზენაესმა საბჭომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით ცნო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა („სრ“ 1993:46). ეს იყო საქართველოს სუვერენიტეტის აშკარად ხელყოფის აქტი. მას ცხინვალელი ოსების ერთი ნაწილიც კი არ შეხვდა მოწონებით. მიიჩნია რა იგი შიდა ქართლში საომარ მოქმედებათა აღდგენის ხელშემწყობად. ქალაქში გახშირდა მიტინგები, სადაც აცხადებდნენ, რომ სურთ ქართველებთან დაბრუნება და მათთან მშვიდობიანი ცხოვრება (იქვე:67).

საღად მოაზროვნე ოსთა საზოგადოებისათვის სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და მით უფრო მისი ჩრდილოეთთან შეერთება არა მარტო არარეალური მოვლენა კი არა, უბედურებაც კი იქნებოდა თვით ოსი ხალხისათვის. სწორედ ასეა დასმული საკითხი

ვლადიკავკაზელი პროფესორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარიტონ ცალაევის სტატიაში, რომელიც გაზეთმა „დემოკრატიჩესკაია ოსეტიამ“ გამოაქვეყნა.

იგი პირდაპირ წერს: ცალკეული მოხელეები, ინტელექტუალები, ფარისევლები და ულტრაპატრიოტები ისევ ცდილობენ ააფეთქონ საზოგადოებრივი აზრი და აუცილებლად მიაჩნიათ „შეიქმნას ოსეთის ერთიანი სახელმწიფო სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსების გაერთიანების გზით, და ვერ შეუგნიათ თუ რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ გაუაზრებელ ჩანაფიქრს“.

უფრო მეტიც, მისი აზრით, სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა არ შედის ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის ფედერაციის კომპეტენციაში. ეს საქართველოს რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საქმეა, რომლის შემადგენლობაში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ სამხრეთელი ოსები.

ხ. ცალაევს მცდარად მიაჩნია გაერთიანების მომხრეთა მოსაზრება, რომ სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსები ერთი ხალხია, ერთი ენა აქვთ და ამიტომ ერთ სახელმწიფოში უნდა იცხოვრონ. ეს მტკიცება სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს, წერს იგი, რადგან ისტორიულ რეალობას არ ითვალისწინებს. მას მოჰყავს მაგალითები, როცა ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ხალხი ორ ან რამდენიმე სახელმწიფოშიაც კი ცხოვრობს, მაგრამ მათი გაერთიანება უზნეობა იქნებოდა და დიდ კატაკლიზმებს, გამოიწვევდა (მაგ., ავსტრიელებისა და გერმანელების).

ჩემთვის გაუგებარია, წერს ხ. ცალაევი, როგორ სურთ შეათავსონ ერთმანეთთან გაერთიანების მომხრეებმა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ყოფნა და ორი ოსეთის გაერთიანება. განა მათ არ იციან, რომ საქართველო თავის კუთვნილ ტერიტორიას არ დათმობს და ამას დაუსრულებელი ომი მოჰყვება, რაც სამხრეთელი ოსების ჩრდილოეთში გამოდევნას გამოიწვევს. ისედაც მცირემიწიან რესპუბლიკას ეს ხომ ტრაგედიას მოუტანს. ასეთ პირობებში ხ. ცალაევს ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია ჩრ. ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. ამით ხომ „ხალხის ინტერესები ეწირება ხელმძღვანელთა უმაქნის თამაშს“, სერიოზულად აძნელებს სამხრეთელი ოსების მოლაპარაკებას საქართველოსთან.

„ჩრდილოეთთან ტერიტორიით გაერთიანება გამორიცხულია,—დაას-

კვნის ავტორი,—მას გამუდმებული ომი მოჰყვება. საუკეთესო გამოსავალი იქმნებოდა სამუდამოდ მოგვეხსნა ეს საკითხი მსჯელობიდან, ხელოვნურად არ წარმოგვეშვა ეს პრობლემა".

ხ. ცალაევს ასევე საღი აზრი აქვს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებითაც. იგი მიუთითებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს თვითონ, გარედან ჩარევის გარეშე შეეძლოთ დაეძლიათ დაპირისპირება, რომლის მიზეზი აფხაზი ხელმძღვანელების სეპარატიზმი იყო, მაგრამ „სიტუაცია სერიოზულად გაამწვავა ჩრდილოეთ კავკასიელი მოსახლეობის აფხაზეთში გაგზავნამ". იგი კითხულობს: საერთოდ, რა სტატუსი აქვს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კონფედერაციას. იგი ხომ უკანონო და სრულიად გაუმართლებლად გამოცხადებული წარმონაქმნია! მაშ, „რატომ არ ჩაერივნენ ფედერალური ხელისუფალნი" და არ აკრძალეს აფხაზეთში მოძალადე კაცისმკვლელების გაგზავნა!

ხ. ცალაევის ეს კითხვები და ყველასათვის გასაზიარებელი დებულებები, ჩვენ განსაკუთრებით საყურადღებოდ იმიტომ მიგვაჩნია, რომ იგი ოსი მეცნიერის მიერაა გამოთქმული და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, თორემ ქართულ პრესასა და პუბლიცისტიკაში ამ თემატიკაზე უფრო უკეთ დასაბუთებული მსჯელობებიც მოიპოვება.

ამასთან, ოსი პროფესორის ეს წერილი დაიწერა იმ დროს, როცა ახალი გააქტიურებულ იყო მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი მუსა შანიბოვი. 15 თებერვალს, ბიჭვინთაში შეკრებილ კონფედერაციის წარმომადგენელთა სახელით იგი დაემუქრა საქართველოს, რომ მას კავკასიის მეორე ომის ინსპირირებას არ აპატიებენ. იგი ამ ომს ვერ მოიგებს. აფხაზები საჭირო დახმარებას მიიღებენ მთიელებისაგან („სრ" 1993:35). სეპარატისტებისათვის დახმარების გაწევაში დამსახურების გამო მ. შანიბოვი ვ. არძინბამ ლეონ II-ის ორდენით დააჯილდოვა. თვითმარქვია პრეზიდენტი ამის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. იგი რუსეთის მთავრობისათვის მითითებების მიცემასაც არ ერიდებოდა და მისგან მოითხოვდა ანგარიში გაეწია საქართველოს საწინააღმდეგოდ სამხრეთ რუსეთის ხალხთა ფორუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. (იქვე:75).

მიუხედავად ომისა და ქვეყანაში შექმნილი ყოვლისმომცველი კრიზისული მდგომარეობისა საქართველოს მთავრობა და სახელმწიფოს მეთაური ნაყოფიერ საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას განაგრძობდნენ.

მარტო იმ ვიზიტების ჩამოთვლაც საკმარისია, რომელიც ე. შევარდნაძეს ჰქონდა სხვა სახელმწიფოთა დედაქალაქებში:

13 იანვარს იგი იმყოფებოდა თეირანში. ხელი მოაწერეს დეკლარაციას ირანსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ (იქვე:12).

ე. შევარდნაძე მეთაურობდა დელეგაციას, რომელმაც 3-4 თებერვალს, ბაქოში გამართული მოლაპარაკების შემდეგ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების შესახებ“ (იქვე:23).

12-13 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მოლაპარაკებებს აწარმოებდა კიევში (იქვე:75).

17 აპრილს ე. შევარდნაძე ანკარას ეწვია თურქეთის პრეზიდენტის ოზალის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. იქ მან შეძლო ერთმანეთისათვის პირისპირ შეეხვედრებინა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ელჩიბეი და სომხეთისა—ტერ-პეტროსიანი (იქვე:83).

14 მაისს მოსკოვში მოეწყო ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის შეხვედრა. ვიზიტის მიზანი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობებში წარმოშობილი დაძაბულობის შენელებისათვის ზრუნვა და რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარება. ე. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი უარყოფითი „პოზიცია დსთ-სადმი არ შეცვლილა“ (იქვე:106). ბ. ელცინთან მოლაპარაკებისას მიღწეული პრინციპები საფუძვლად დაედო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 27 ივლისის შეთანხმებას. მათზე და მოსკოვში ე. შევარდნაძის 23 აგვისტოსა და 8 ოქტომბრის ვიზიტებზე ქვემოთ მოგვიწევს თხრობა.

19 მაისს საქართველოს დელეგაცია ე. შევარდნაძის მეთაურობით ეწვია ქ. ერევანს. ხელმოწერილ იქნა საქართველოსა და სომხეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეკრულება (იქვე:103).

1 ივნისს ე. შევარდნაძე იმყოფებოდა ალმა-ატაში. მან და ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა ხელი მოაწერეს მთელ რიგ დოკუმენტებს (იქვე:114).

ყაზახეთიდან იგი ეწვია პეკინს. მან და ჩინეთის რესპუბლიკის თავმჯდომარემ ძიან ძენმინმა გააფორმეს მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულებები. ცალკე ხელშეკრულება დაიდო საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორისაც (იქვე:120).

22-24 ივნისს ე. შევარდნაძე ვიზიტად იყო ბრიუსელში, იგი შეხვდა

ბელგიის პრემიერ-მინისტრს, სიტყვით გამოვიდა ნატოს წევრი სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინაშე (იქვე:134).

ე. კანტის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით, 24-29 ივნისს, გერმანიაში მყოფი ე. შევარდნაძე შეხვდა ამ ქვეყნის პრეზიდენტსა და კანცლერს. ჰელმუტ კოლმა და მან ხელი მოაწერეს დეკლარაციას ორი ქვეყნის ურთიერთობის პრინციპების შესახებ. ამის გარდა, ბონში გაფორმდა 8 სამთავრობო ხელშეკრულება (იქვე:138).

17 აგვისტოს ე. შევარდნაძე ხელს აწერს ხელშეკრულებას საქართველოსა და თურქმენეთის რესპუბლიკებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

აქტიურ საგარეო პოლიტიკურ კურსს აგრძელებდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ხშირად ამ პროცესში ჩართული იყო ხელისუფლების ზედა ეშელონების სხვა წარმომადგენლებიც. შედეგიც სახეზე იყო, 1993 წლის ივნისისათვის საქართველო ცნო 178-მა ქვეყანამ. მათგან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 80-ზე მეტმა (იქვე:125). თბილისში იხსნებოდა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობები. მათ შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაეროს წარმომადგენლობის გახსნას 1993 წლის 26 იანვარს. პირველი წარმომადგენელი იყო ფეოდორ სტარჩევიჩი (იქვე:16).

პროსაბჭოური საქართველოს ცხოვრებაზე არსებით გავლენას ახდენდა მეზობელ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის საშინაო მდგომარეობას, მაგრამ არანაკლები შედეგების მომტანი იყო სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები.

დაძაბულობა ჩრ. ოსეთსა და ინგუშეთს შორის გრძელდებოდა. ვითარების განმუხტვა არცთუ ისე ადვილი იყო. ვინაიდან ინგუშეთის მოსახლეობის ერთი მესამედი, 62 ათასი კაცი ლტოლვილს წარმოადგენდა. ასეთ სტატუსში მყოფ ოსთა რიცხვი კი 9600-ს უდრიდა.

კავკასიაში წარმოქმნილ კონფლიქტთა შორის ყველაზე ხანგრძლივსა და მასშტაბურს ყარაბაღის კონფლიქტი წარმოადგენდა. მისი მშვიდობიანი გზით მოგვარების არაერთი ცდა მარცხით დამთავრდა. რუსეთისა და სომხეთის მხარდაჭერით ყარაბაღელი სომხები გააგრძობდნენ ომს და მნიშვნელოვანი წარმატებებითაც.

პერმანენტული კონფრონტაციის ვითარებაში სტეფანოკერტში, ფაქტობრივად, გასამხედროებული სახელმწიფო შეიქმნა. ეს ძლიერ აწყობდათ მოსკოველ გენერლებს. გარდა ზოგიერთი სხვა მოგებისა,

მათ ამ გზით სურდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა აზერბაიჯანზეც და სომხეთზედაც. ამითაა გამოწვეული რუსეთის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა. იგი თვითმფრინავებს აწვდიდა სომხეთს, ხოლო არტილერიას აზერბაიჯანს.

ამასობაში ყარაბაღელებმა შეძლეს აზერბაიჯანის იმ ტერიტორიების ანექსირება, რომელიც ყარაბაღს არ ეკუთვნოდა. რაზედაც გაეროს უშიშროების საბჭომ კელბანჯარის რაიონიდან „სომეხთა ეთნიკური ძალების“ გამოყვანის გადაწყვეტილებით და ყარაბაღის და სომხეთის მიმართ ეკონომიკური ბლოკადის შესახებ რეზოლუციით უპასუხა.

რუსეთმა გაეროს რეზოლუციის განსანეიტრალებლად დააჩქარა შეთანხმება ამერიკასა და თურქეთთან აზერბაიჯანის კელბანჯარის რაიონიდან „სომხეთის ეთნიკური ძალების“ გამოყვანის, 60 დღით ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყების შესახებ (მაისი, 1993 წ). მაგრამ ყარაბაღმა ამ წინადადებების მიღებაზე უარი თქვა. ეს ნიშნავდა, რომ ყარაბაღის რესპუბლიკა გამოვიდა რუსეთის გავლენის სფეროდან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გადაიქცა. ასეთი „ურჩობა“ ყარაბაღის მხრივ მოსალოდნელი იყო. მათ კონფლიქტის ადრეულ სტადიაზეც რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების შესრულებაზე თქვეს უარი: 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გააწბილეს რუსეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები; ორჯერ (1991 წ. ნოემბერ-დეკემბერში და 1992 წლის ზაფხულში) ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივასაც ასეთივე ბედი ეწია; 1993 წლის დეკემბერში არ შეასრულეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს რომის კონფერენციის წინადადება—30 დღით ომის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ. ეს ყველაფერი რუსეთის პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა, მაგრამ ვინაიდან რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები 1993 წლის იანვარში შეთანხმდნენ რუსეთისათვის თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე ჟანდარმის ფუნქციების მინიჭების თაობაზე, რუსეთი ამ ფუნქციებს გადაჭარბებით ასრულებს აზერბაიჯანისა და საქართველოს მიმართ. სომხეთსა და ყარაბაღს კი ბევრ რაიმეს „პატიობს“, ცდილობს რა გამოიყენოს იგი მათი მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს ნაცვლად თანამეგობრობის განმტკიცებისა, რასაც რუსეთი ასე ესწრაფვის, ამ ხელოვნური სიმბიოზის დაშლის დაჩქარებას უწყობს ხელს.

ყარაბაღში განვითარებული პროცესების გამო აზერბაიჯანში იზ-

რდებოდა უკმაყოფილება პრეზიდენტ ა. ელჩიბეის მიმართ. 8 ივნისს, IV საარმიო კორპუსის ყოფილმა მეთაურმა სურეთ ჰუსაინოვმა მოაწყო ჯანყი სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. მომხდარ შეტაკებაში დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი. პრეზიდენტმა ამჯერად შეინარჩუნა ხელისუფლება, მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბაქო და ნახიჩევანისათვის შეეფარებინა თავი. კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ჰეიდარ ალიევი (იქვე: 130). სურეთ ჰუსიანოვმა ა. ელჩიბეის ულტიმატუმურად მოთხოვა თანამდებობიდან გადადგომა ორ დღეში. პრეზიდენტი უარს ამბობდა ბაქოში დაბრუნებაზე. ს. ჰუსეინოვი აცხადებდა, რომ მზად იყო ეკისრა მთელი უფლებამოსილება სახელმწიფოში. ჰ. ალიევი ამაზე უპასუხებდა: „მივიღებთ ყველა აუცილებელ ზომას, რომ ეს არ მოხდესო“ (იქვე:134). მომდევნო ხანში პრეზიდენტი ა. ელჩიბეი გადადგა. 3 ოქტომბერს აზერბაიჯანში ჩატარდა სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები. პრეზიდენტად აირჩიეს ჰეიდარ ალიევი (იქვე: 218).

რუსეთში ზემოთ აღწერილმა მოვლენებმა ასეთი განვითარება მიიღო. ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების მიხედვითაც პრეზიდენტის პოზიციები უფრო მტკიცე გახდა. აგვისტოს მეორე ნახევარში ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნებულმა ბ. ელცინმა უარყო პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი და განაცხადა, რომ დაითხოვდა პარლამენტს და მომავალ არჩევნებს ოქტომბერში დანიშნავდა (იქვე:181). სექტემბრის მიწურულს მან ეს მუქარა აღასრულა და არჩევნები 11-12 დეკემბრისათვის დანიშნა (იქვე:208). ამის საპასუხოდ რუსეთის პარლამენტმა ბ. ელცინს უფლებამოსილებანი ჩამოართვა და მისი მოვალეობის შესრულება ვიცე-პრეზიდენტს ა. რუცკოის დაავალა. მან პრეზიდენტის ფიცი დასდო. ეს ანტიკონსტიტუციური აქტი იყო (იქვე:209). ბ. ელცინს პირველმა გამოუცხადა მხარდაჭერა ე. შევარდნაძემ. მომდევნო ანალოგიური განცხადებები გააკეთეს ბ. კლინტონმა და ლ. ვალენსამ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კინკელმა და სხვ. 24 სექტემბრისათვის რუსეთის 64 რეგიონი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა ბ. ელცინისადმი ერთგულებას (იქვე: 212).

რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ხასბულატოვი და ვიცე-პრეზიდენტი რუცკოი, თავისი მომხრეებით „თეთრ სახლში“ გამაგრდნენ. ცდილობდნენ აფხაზეთში ნაბრძოლი ბოევიკებისა და დნეპრისპირელთა რაზმებით აეღოთ მოსკოვის მერიის შენობა. 3 და 4 ოქ-

ტომბერს ბ. ელცინის მომხრე ძალებმა იერიში მიიტანეს მოსკოვის „თეთრ სახლზე“. გამოიყენეს ტანკები და არტილერია. წარმოქმნილმა ხანძარმა დააზიანა შენობის ზედა სართულები. ა. რუცკოი და რ. ხასბულატოვი დააპატიმრეს. კონფლიქტის ბედი არმიამ გადაწყვიტა. აღირიცხა 526 დაზარალებული. მათგან 421-ს ჰოსპიტალიზება დასჭირდა. 46-ს ამბულატორიული მკურნალობა (იქვე: 219).

12 დეკემბერს რუსეთში ჩატარდა ფედერალური კრების არჩევნები და რეფერენდუმი კონსტიტუციის თაობაზე. მიიღეს კონსტიტუციის ახალი რედაქცია. არჩევნებზე მხარი დაუჭირეს ბ. ელცინის პოლიტკურ კურსს. პრეზიდენტმა კონსტიტუციით ფართო უფლებები მიიღო (იქვე: 262).

ძველის ნგრევა და ახლის დამკვიდრება ყველა დარგში რევოლუციის გზით არ მიმდინარეობს. ეს პროცესი, ჩვეულებრივ, რეფორმის საშუალებით ხორციელდება, მაგრამ მოუმზადებელი რეფორმა არანაკლები საშინელებაა, ვიდრე სისხლიანი რევოლუცია.

საქართველოში, როგორც ჩვენ ხშირად გვჩვევია, რეფორმების გატარება იმ დარგებში დაიწყეს, სადაც დანგრეული ეკონომიკის გამო, წინასწარ შეეძლოთ ევარაუდათ, რომ არაფერი გამოეიდოდა. ეს დარგებია ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. პირველი მათგანის რეფორმა მხოლოდ რეფორმატორებს მოსწონთ. მოსახლეობა განსაკუთრებით, მისი სოციალურად დაუცველი, მაშასადამე, აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი მკვეთრ უკმაყოფილებას გამოთქვამს მედიცინის დარგში გატარებული ღონისძიებებით შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო. რადგან ვისთვისაც რეფორმა ტარდება, იგი სამედიცინო დახმარების გარეშეა დარჩენილი და ავადმყოფობის შემთხვევაში უსახსრობის გამო გარდაუვალი სიკვდილისთვისაა განწირული.

თუ ამ შემთხვევაში მე, როგორც არასპეციალისტი, პრესიდან მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით ვმსჯელობ, უფრო ღრმად ჩახედულად შემიძლია ვილაპარაკო განათლების რეფორმის თაობაზე. ფაქტობრივად, ესაა რეფორმა რეფორმისათვის. არ არსებობს მისი განხორციელებისათვის საჭირო ეკონომიკური ბაზა, რის გარეშეც ყოველგვარი რეფორმა და, მით უფრო განათლებისა, თავიდანვე მკვდრადაა შობილი. საქმე იმაშია, რომ განათლების თვითდაფინანსება, განსაკუთრებით მის დაწყებით და საშუალო რგოლებში არ არსებობს. მაშინ, როცა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა მთლიანად ავადმყო-

ფის ხარჯზე იქნა გადაყვანილი. ეს კარგად იცოდნენ რეფორმატორებმაც. ამიტომ განათლების სფეროში, ხარჯების, შემცირების მიზნით სარეფორმო საკანონმდებლო აქტებში სავალდებულო ნორმად შეიტანეს მცირე და საშუალო კომპლექტიანი ჯგუფების გამსხვილება და მასწავლებელთა ატესტაცია. პირველმა უნდა მოიტანოს არა მარტო ჯგუფების, არამედ სკოლების რიცხვის შემცირებაც. თუ ქალაქებში ასეთი რამ როგორღაც ასატანია, სოფლებში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ამ ღონისძიებას შედეგად მასობრივი გაუნათლებლობა შეიძლება მოჰყვეს. კიდევ უფრო ზიანის მომტანია მაღალ კლასებში ფასიანი სწავლების შემოღება. სახელმწიფო, რომელსაც II კლასიანი განათლების უფასოდ მიცემა არ შეუძლია მომავალი თაობისათვის, რეფორმას არ უნდა ატარებდეს.

ორივე ეს ღონისძიება მასწავლებელთა რიცხვის შემცირებას ისახავს მიზნად. მაგრამ ამ გზით მიღებული ეფექტი საკმარისი შეიძლება არ გამომდგარიყო, ამიტომ სასკოლო რეფორმის შემადგენელ ნაწილად მასწავლებელთა ატესტაცია გამოცხადდა. იგი თითქოს „ნებაყოფლობითი“ ღონისძიება უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ფაქტობრივად, აუცილებლად გადაიქცა. ვინაიდან, დებულების თანახმად, ხელფასს გაუნახევრებენ იმათ ვინც ატესტაციაში არ მიიღებს მონაწილეობას. თანაც ატესტაციის პროცესში გადამწყვეტი ფიგურა იყო სკოლის დირექტორი. მისი მუშაობა კი იმის მიხედვით ფასდებოდა, რაც მის სკოლაში მასწავლებელთა დიდ რაოდენობას ჰქონდა გავლილი ატესტაცია.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საატესტაციო ტესტები. ისინი, ძირითადად, მასწავლებლის მეხსიერების უნარზეა გათვლილი და არა ცოდნის დონეზე. კითხვათა ერთი ნაწილი კროსვორდისთვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე სწავლა-აღზრდის წარმართველი პედაგოგისათვის. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ტესტები მასწავლებელთა „გამოჭერას“ ისახავდა მიზნად და არა კოლეგიალობას, ცოდნის გაზიარებაში თანამშრომლობას.

მასწავლებლებს ატესტაციას უტარებდნენ, მაგრამ ჩამტარებელთა მზადყოფნა ამ პროცესისთვის არავის შეუმოწმებია. მათ თავად ასეთისათვის ვარგისობის ატესტაცია არ გაუვლიათ. ატესტაციის მოთხოვნა, რომ პირნათლად შესრულებულიყო სკოლებში სასწავლო პროცესი ჩაიშლებოდა. თუ ეს არ მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პროცესმა ფორმალური ხასიათი მიიღო.

ჩემი აზრით, რეფორმატორებმა რეფორმა უკუღმა დაიწყეს. არ

მომზადებულა სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა, არ შედგენილა ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები და, რაც მთავარია, არ მომზადებულა კადრები რეფორმირებული სკოლისათვის. ასეთ პირობებში შეიცვალა სკოლებისა და სწავლების ორგანიზაციის ფორმები. ეს მხარე კი საბჭოთა სკოლას ყველაზე ძლიერი ჰქონდა. საჭირო იყო სწავლების შინაარსის შეცვლა და თუ ეს ახალი შინაარსი ვერ აიტანდა ძველ ფორმას, მაშინ უნდა შეცვლილიყო სწავლების ორგანიზაცია.

ცხადია, სწავლების შინაარსი გაცილებით უფრო რთული პროცესია. იგი ადმინისტრირებას არ ემორჩილება. მას დიდი შემოქმედებითი და ეკონომიკური პოტენციალი სჭირდება. ამიტომ რეფორმატორები შედარებით იოლი გზით წავიდნენ: სწავლების ორგანიზაციული სტრუქტურა შეცვალეს. ამის გაკეთებისათვის ადმინისტრაციული ღონისძიებანიც საკმარისია. ასეთის გამოცდილება კი როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას ჭარბად ჰქონდა.

ერთ-ერთი პირველ და ყველაზე მოწინავე რეფორმატორულ ცენტრად იმთავითვე იყო მიჩნეული ქ. ქუთაისი. აქ რეფორმა დაიწყო 1993 წლის გაზაფხულზე. დაახლოებით იმავე წლის აპრილის შუა რიცხვებში გამოცხადდა, რომ ქალაქის 40-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან აღარ იარსებებდა არც ერთი მეათე კლასი. მათი მოსწავლეთა მთელი კონტიგენტი უნდა შესულიყო სასწავლებლად 13 სპეციალურ ლიცეუმში, რომელთა დამთავრების შემდეგ მათ უფლება ექნებოდათ შესულიყვნენ უმაღლეს სასწავლებლებებში. ლიცეუმების გარდა, იმ წელს არც ერთი სხვა სახის საშუალო რგოლის ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლა ქალაქში არ გახსნილა. ლიცეუმების დაკომპლექტება ხდებოდა სათანადო ატესტაციის შემდეგ (გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს რ ე ფ ო რ მ ა ქ უ თ ა ი ს ი, ქ უ თ. 1995, გ ვ. 21-25).

ლიცეუმებს არ გააჩნდა არც პროგრამები, არც სახელმძღვანელოები. ამიტომ ისინი იყენებდნენ საშუალო სკოლის შესაბამის დოკუმენტაციას და ლიტერატურას. გამოსაძებნი იყო შენობები ლიცეუმებისათვის და შესარჩევი—პედაგოგთა კადრები. ასეთ პირობებში სასწავლო წელი დაგვიანებით დაიწყო.

მიუხედავად ამისა, ლიცეუმების ნაწილს სასწავლო პროცესის ახლებურად წარმართვაში ჰქონდა წარმატებანიც. ქალაქის მერის თ. შაშიაშვილის ძალისხმევით მოკლე ხანში მოხერხდა ლიცეუმების

სასწავლო-მატერიალური ბაზების ჩამოყალიბება, მათი აკადემიური ჯგუფების მოსწავლეთა შედარებით მცირე კონტინგენტით დაკომპლექტება. უთუოდ დადებით მოვლენას წარმოადგენდა მასწავლებელთა ხელფასის მნიშვნელოვნად გაზრდა. რამაც ლიცეუმებს არაერთი ღირსეული პედაგოგი შეუნარჩუნა. დასანანია, რომ ეს კეთილშობილური წამოწყება დაფინანსების გამო შეფერხდა.

ამ ღონისძიებას ზოგიერთი ნეგატიური შედეგიც მოჰყვა. მშობლების ერთმა ნაწილმა ბავშვები ქუთაისის შემოგარენის სოფლების სკოლებში გადაიყვანა. იქ „მოახერხა" პირველსავე წელიწადს მიეღო სიმწიფის ატესტატი და შვილი უმაღლეს სასწავლებელში შეეყვანა. ასეთ საქმეთა ზოგიერთი ნაწილი გაიხსნა და ატესტატის გამცემი დირექტორები სისხლის სამართლის პასუხისგებისაგან თავის აცილების მიზნით რესპუბლიკის გარეთ გაიქცნენ.

უკვე მომდევნო წელს გახდა ცხადი, რომ სკოლების მონიტარულმა სისტემამ არ გაამართლა და ქალაქში (უკვე რესპუბლიკაშიც) გაჩნდნენ გიმნაზიები, კოლეჯები და ფასიანი საშუალო სკოლები.

განათლების რეფორმის პროგრამა და მისი რეალიზაციის გეგმა მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის სექტემბერში დაამტკიცა („ს რ" 1995:115), ხოლო კანონი განათლების სისტემის რეორგანიზაციის თაობაზე პარლამენტმა 1997 წლის ივნისში მიიღო. ესეც მეტყველებს, რომ რეფორმა წინაუკუმოდ დაიწყო.

პროგრამა დამუშავებული იყო ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყების, მეცნიერებისა და განათლების საპარლამენტო კომისიის, პედაგოგიური საზოგადოებრიობის მონაწილეობით. მისი შედგენისას საფუძვლად აიღეს ევროპის მოწინავე ქვეყნებისა და აშშ-ის სასკოლო პრაქტიკა. იგი მოიწონეს იუნესკოს ექსპერტებმა.

განათლების რეფორმის პროგრამა მოიცავს დოკუმენტების პაკეტს. სისტემის კონსერვატულობისა და გარდამავალი პერიოდის რეალიების გათვალისწინებით გადაწყდა მისი ეტაპობრივი რეალიზაცია.

უწყვეტი განათლების პრინციპზე დაფუძნებული ახალი სისტემა თავისი შინაარსით გარკვეულწილად დამთავრებულ პერიოდებს ე. წ. განათლების საფეხურებს მოიცავს. ასეთი საფეხური ხუთია: 1. სკოლამდელი აღზრდისა და საბაზისო განათლების (1-6 კლასები); 2. ძირითადი განათლებისა (7-9 კლასები); 3. საშუალო განალების (გიმნაზიები, ლიცეუმები, პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები) 4. უმაღლესი განათლების (ინსტიტუტები, უნივერსიტეტები ორსაფეხური-

ანი სწავლებით); 5. უმაღლესი განათლების შემდგომი (ითვალისწინებს სამეცნიერო ხარისხის მიღების უფლებას).

განათლების III-V საფეხურები ძირითადად ფასიანია. ე. შევარდნაძემ პროგრამის განხილვის დროს განაცხადა, რომ უნდა ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ—სახელმწიფო უახლოეს 10-15 წელიწადში ვერ შეძლებს მთლიანად უზრუნველყო უფასო განათლება. ამიტომ დაფინანსების საკითხის მოგვარება პირველ ეტაპზე ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტის საზრუნავი გახდა („სრ“ 1995:115) ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირის გამო კი განათლების სისტემა, ფაქტობრივად, დაუფინანსებელი დარჩა.

პროგრამის მეცნიერული და მეთოდური უზრუნველყოფის საქმეში დიდ იმედებს ამყარებდნენ განათლების სამინიტროზე, მაგრამ იგი დარჩა საბჭოთა პერიოდის ბიუროკრატიულ უწყებად, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულს უახლოვდება. ამიტომ და სხვა მიზეზებითაც განათლების რეფორმის პროგრამა და მასზე დაყრდნობით პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, როგორც მ. გორბაჩოვი იტყოდა, უნუგეშოდ „ბუქსაობს“.

ომით განაწამები ადამიანებისათვის წყვდიადში გამკრთალი ნაპერწკალივით იმედის მომცემი იყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული ყოველი შეთანხმება. ასეთთა შორის ერთ-ერთ საიმედოდ მიაჩნდათ 14 აპრილს, მოსკოვში, ბ. ელცინსა და ე. შევარდნაძის მოლაპარაკებისას მიღებული გადაწყვეტილება—20 მაისიდან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მხარეებს არ უნდა გამოეყენებინათ საომარი მიზნებით ავიაცია და არტილერია-, შემდეგ კი კონფლიქტის ზონიდან უნდა გამოეყვანათ მძიმე სამხედრო ტექნიკა. დაჩქარებულიყო ამ შეთანხმებათა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პირობების შესახებ უმაღლესი დონის განმეორებითი შეხვედრისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება („სრ“ 1993:100).

მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, აფხაზები 20 მაისამდე და მის შემდეგაც განაგრძობდნენ სოხუმის დაბომბვას და არტილერიის გამოყენებას ფრონტის სხვა უბნებზე. მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოყვანას მაშინვე გაუჩნდა მოწინააღმდეგეები. თ. კიტოვანმა განაცხადა, რომ ეს სოხუმის დაკარგვას ნიშნავდა. ე. შევარდნაძე კი განმარტავდა: მძიმე ტექნიკას აფხაზეთიდან გაიყვანენო რუსებიც და აფხაზებიც. უფრო მეტიც, მიღწეულია შეთანხმება რუსეთის პრეზი-

დენტსა და თავდაცვის მინისტრთან ეშერის ლაბორატორიიდან რუსეთის სამხედრო ნაწილის გაყვანის თაობაზეო (იქვე:101).

ტექნიკის გამოყვანისა და დაშორიშორების ზონაში სამშვიდობო ჯარის ჩაყენების წინააღმდეგი იყო საქართველოს ერთიანობის საბჭოც. მის მიერ ამის თაობაზე გამოქვეყნებულ მიმართვაში შიშს გამოთქვამდნენ სადემარაციო ხაზის მდ. გუმისთაზე დაფიქსირების გამოც (იქვე:107). მომდევნო მოვლენებმა აჩვენეს, რომ სოხუმის დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იქედან სამხედრო ტექნიკისა და არტილერიის გამოყვანა გახდა. ხოლო სამშვიდობო ძალების ჩაყენებით საზღვარი გუმისთაზე კი არა ენგურზე დაფიქსირდა.

აფხაზმა სეპარატისტებმა ისარგებლეს 14 მაისის შეთანხმებით და კარგად მოემზადნენ სოხუმზე ახალი შეტევისათვის. თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით მათ შეისყიდეს 6 მილიონზე მეტი ვაზნა და 80 ტონაზე მეტი სამხედრო ტვირთი. დამატებით მიიღეს „გრადის“ ტიპის 12 დანადგარი, 26 საარტილერიო სისტემა, გუმისთის ხაზზე ააგეს ხანგრძლივმოქმედი საფორტიფიკაციო ნაგებობები. 3 ივნისის მდგომარეობით გაკეთებული ჰქონდათ 18 ასეთი საცეცხლე წერტილი და ტყვიამფრქვევის ბუდე.

გრძელდებოდა ჩრ. კავკასიიდან „ბოევიკების“ გადმოყვანა. 300 კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა გადმოიარა რიწის ტბა—ავადხარას უღელტეხილი. მოელოდნენ 1000 კაციან ფორმირებას ფსოუზე რუსეთის საზღვრის გადმოვლით. აფხაზთა მხარემ ისარგებლა ტყვარჩელში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანის დაშვებით და იქ იარაღი და ცოცხალი ძალა ჩაიყვანეს 24 ვერტმფრენით. ამ მიმართულების სოფლებში თავი მოუყარეს 2000-ზე მეტ დაქირავებულს. მარტო ტყვარჩელში ასეთი 1000 კაცი იდგა. განუწყვეტლივ იზრდებოდა რუსეთის ჯარების ოპერატიული ნაწილების დაჯგუფება საქართველოს მოსაზღვრე საგუშაგოებსა, საჰაერო ხიდებსა, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე.

იგრძნო რა ძალთა სიჭარბე ვ. არძინბა კიდევ უფრო შეუსმენელი და თავხედი გახდა. ახლოს არ იკარებოდა მშვიდობის შენარჩუნების თაობაზე მოსალაპარაკებლად მისულებს. ასეთ პირობებში ქართულ მხარეს 1992 წლის 3 სექტემბრიდან აფხაზეთში არც ერთი შეტევითი ოპერაცია არ განუხორციელებია. თავდაცვითი ბრძოლებითა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებით კმაყოფილდებოდა.

9 ივნისს თბილისში იმყოფებოდა რუსეთის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ა. კოზირევის მეთაურობით. იგი შეხვდა შევარ-

დნაძეს. ა. კოზირევის განცხადებით რუსეთი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მას გადაწყვეტილი აქვს, მკაცრად მოთხოვოს მხარეებს დაიცვან დაზავების პირობები. ჩვენ ამით დაინტერესებული ვართ, რადგან გაძლიერებით ვმუშაობთ „ჩარჩო ხელშეკრულების „გასაფორმებლად, რასაც ხელს უშლის აფხაზეთის კონფლიქტის მოუგვარებლობაო, აღნიშნა მან (იქვე: 122).

ივნისი ყოველმხრივ დაძაბული თვე აღმოჩნდა ქვეყნისათვის. ე. შევარდნაძე რადიოინტერვიუში აღნიშნავდა „ახლა ქვეყანაში საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია და ცხადია, სახეზეა ხელისუფლების კრიზისიც. მოითხოვენ მთავრობის გადადგომას, ჩემს გადადგომასაც. მაგრამ უნდა დავეკითხოთ ხალხს და თუ მას, საზოგადოებას ასე მიაჩნია, მე წავალ“ (იქვე).

18 ივნისს პარლამენტის სხდომაზე ე. შევარდნაძეს მიუხდა, თავი შეეკავებინა ფრაქცია „ეროვნული დემოკრატის“ წინადადებაზე შექმნილიყო საპარლამენტო უმრავლესობა, მაგრამ ამავე სხდომაზე მან პირველად განაცხადა თანხმობა ფედერალურ საწყისებზე მოწყობილ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის გაერთიანების თაობაზე.

ივნისის მესამე დეკადაში მოწინააღმდეგე გააფთრებით ბომბავდა სოხუმს. 26 ივნისს აფხაზებმა ჯერ დაბომბეს ახალი ათონი, შემდეგ ეცადნენ აეფრინათ ცეცხლი სოხუმის აეროდრომზე, რომ ეს თითქოს ქართველებმა ჩაიდინეს და „გრადის“ რეაქტიული ცეცხლი დაუშინეს სოხუმს (იქვე: 138). ქართველთა ძლიერმა წინააღმდეგობამ არძინბა აიძულა დათანხმებოდა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებაზე. ამ შეხვედრისათვის ქართული მხარე განსაკუთრებით ემზადებოდა. შეთანხმების პროექტი პარლამენტის დახურულ სხდომაზეც კი განიხილეს (იქვე: 163).

ქ. სოჭში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ა. კოზირევი, საქართველოს––ვ. გოგუაძე, აფხაზეთს––ს. ჯინჯოლია. 27 ივლისს მათ სასტუმრო „ჟემჩუჟინაში“ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის შესახებ“.

კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ცეცხლი უნდა შეეწყვიტათ 28 ივლისის 12 საათიდან, არ უნდა გამოეყენებიათ ერთმანეთის წინააღმდეგ არტილერია, ავიაცია, მცურავი საშუალებანი, ნებისმიერი სხვა ტექნიკა და იარაღი. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმზე კონტროლისათვის იქმნებოდა ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი ჯგუფები, 3-9 კაცის შემადგენლობით. 10-15 დღეში აფხაზეთიდან გამოყვანილი იქ-

ნებოდა საქართველოს შეიარაღებული ფორმირებანი. აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებანი უნდა გაერთიანებულიყვნენ შინაგანი ჯარის პოლკში და გადასულიყო ყაზარმულ ცხოვრებაზე. უნდა შექმნილიყო პირობები ლტოლვილთა დაბრუნებისათვის. აფხაზეთში დარჩენილ რუსეთის სამხედრო ნაწილებს მკაცრად უნდა დაეცვათ ნეიტრალიტეტი (იქვე).

ამ შეთანხმების შესაბამისად საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. აფხაზები კი გაანაგრძობენ სოხუმის დაბომბვას. სოფ. ტამიშზე იერიში მიიტანა 120 კაციანმა რაზმმა. ე. შევარდნაძე კვლავ გახდა იძულებული სოხუმს ჩასულიყო. იქ მას შეუერთდა გაეროს მისიის ხელმძღვანელი ედ. ბრუნერი (იქვე: 165). მათ იმედი ჰქონდათ, რომ ცეცხლის შეწყვეტას მიაღწევდნენ.

აფხაზეთში მშვიდობის შესაძლო დამყარებით საქართველოს მთავრობისათვის ამოსუნთქვის საშუალების მიცემამ შეშფოთება გამოიწვია ექს-პრეზიდენტის მომხრეებში. მოხდა მათი პოზიციის 180 გრადუსით შემობრუნება. თუ აქამდე ისინი თავგამოდებით იბრძოდნენ „შევარდნაძის მიერ წამოწყებული უაზრო ომის“ დაუყოვნებლივ დამთავრებისათვის, ახლა, როცა დაისახა ცეცხლის შეწყვეტის პერსპექტივა, მათ წამოიწყეს „ომის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ გაგრძელების უკომპრომისო კამპანია. ასეთი შემობრუნების მიზეზი ის იყო, რომ ექს-პრეზიდენტის მომხრეთა აზრით, მათთვის კარგია ყველაფერი, რაც ცუდია შევარდნაძის ხელისუფლებისათვის. ასეთი მიზნით სამოქალაქო ომის წამოწყებასაც არ მოერიდნენ. ლ. ქობალიამ გამოაცხადა, რომ ემორჩილება მხოლოდ კანონიერ პრეზიდენტს და 29 ივლისს მისი შეიარაღებული ფორმირებები შევიდნენ სენაკში. მეორე დღეს მათ ბლოკირება გაუკეთეს საგზაო-სატრანსპორტო მაგისტრალს (იქვე: 167). გაჩნდა საქარველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის კიდევ ერთი, თანაც ყველაზე საშიში, კერა. ამჯერად იგი დროებით აღკვეთილ იქნა. მთავრობის ჯარების სიმრავლით დამფრთხალმა ლ. ქობალიამ თავისი რაზმი სენაკიდან გაიყვანა. ისინი 4 აგვისტოს სენაკის მეზობელ სოფლებში მაინც იდგნენ. ქალაქი შინაგანი ჯარის ქვეგანყოფებმა დაიკავეს (იქვე: 170).

საქართველოს ხელისუფლებისათვის მაშინ უმთავრესი საკითხი იყო აფხაზეთში საომარი მოქმედებების შეწყვეტა. ამიტომ ქართულმა მხარემ ტექნიკის გამოყვანა 7 აგვისტოს დაიწყო. მოწინააღმდეგე კი

თავს უყრიდა ტექნიკას ეშერის ხიდის მახლობლად. რაც ნაცვლად გამოყვანისა ძალთა გადაჯგუფებას უფრო ჰგავდა (იქვე: 174).

ტექნიკის გამოყვანისა და ჯარების დაშორიშორების გრაფიკი ორივე მხრივ ირღვეოდა, მაგრამ რუს გენერლებს განსაკუთრებული პრეტენზიები ქართველთა მიმართ გააჩნდათ. ჩვენს სარდლობას კი პირობების შესრულებაში ხელს ლ. ქობალიას ფორმირებები უშლიდნენ. მათ ჩაკეტილი ჰქონდათ სამეგრელოს ძირითადი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, ამიტომ ქართულმა მხარემ მოითხოვა ტექნიკა გატანილი ყოფილიყო ზღვით ან შეექმნათ მეხანძრეთა რაზმები, რომლებიც მანქანებს ადგილზე გაანადგურებდნენ (იქვე: 187).

მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, 12 სექტემბრისათვის აფხაზეთიდან საქართველოში უკვე გამოყვანილი იყო 237 ერთეული მძიმე ტექნიკა და 4430 ჯარისკაცი. 30 მანქანა სოხუმის ნავსადგურში იდგა და მზადდებოდა გამოსაყვანად (იქვე: 200). გუდაუთის მხარეს ძალები დაჯგუფებული ჰყავდა ეშერაში. იმიზეზებდა ქართველთა მიერ შეთანხმების შეუსრულებლობას. სულ უფრო ხშირად არ ცხადდებოდა გაერთიანებული კომისიის სხდომაზე. შლიდა მშვიდობიანი შერიგების პროცესს და ემზადებოდა სოხუმზე შეტევისათვის. უკანასკნელი ასეთი აქტის პროვოცირება 15 სექტემბერს მოეწყო. მეორე დღეს მათ ისაგებლეს საქართველოში შექმნილი რთული შინაპოლიტიკური ვითარებით და სოხუმის აღების მიზნით შეტევა დაიწყეს (იქვე: 204).

5 აგვისტოს, ე. შევარდნაძის წინადადებით, პარლამენტის სხდომა შეიკრიბა ბიუჯეტის დასამტკიცებლად. ამ საკითხის გამო გამოიკვეთა სამთავრობო კრიზისი. სახელმწიფოს მეთაურმა სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით მოითხოვა მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლა. 6 აგვისტოს პარლამენტმა დააკმაყოფილა მთავრობის განცხადება გადადგომის შესახებ. 20 აგვისტოს მთავარობის ხელმძღვანელად დაამტკიცა ახალი პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია (იქვე: 184-185).

მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქუთაისის მერის თ. შაშიაშვილის თაოსნობით ქუთაისში, 28 აგვისტოს ჩატარდა ყოველთა ქართველთა შერიგების დღე. მაგრამ ზოგიერთი რეგიონებიდან ქალაქში წარმომადგენლები ვერ ჩამოვიდნენ. ამ დღეს ლოთი ქობალიამ ახალი ავანტიურა წამოიწყო. მისმა ფორმირებებმა დაიკავეს სენაკი, შეიჭრნენ ხობსა და აბაშაში და გავიდნენ ცხენისწყლის ხაზზე. იმუქ-

რებოდნენ ხონის აღებით. მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გ. ყარყარაშვილი, ჯ. იოსელიანი და ა. აბაშიძე („სრ“ 1993:190).

შეხვედრები უშედეგო გამოდგა. ზ. გამსახურდია ლ. ქობალიას მოუწოდებდა გაეფართოებინა საბრძოლო ოპერაციები, მოემზადებინა პირობები ექს-პრეზიდენტის საქართველოში ჩამოსასვლელად გაემკაცრებინათ ფოთის ბლოკირება, სადაც დიდძალი ხორბლეული იყო დაგროვილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის (იქვე: 192).

გამოცხადდა, რომ მთელ სამეგრელოში აღდგენილია კანონიერი ხელისუფლება. ზუგდიდში დაიწყო ყოფილი უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ფუნქციონირება. 2 სექტემბერს ჩატარებულ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მერაბ კიკნაძე. გამსახურდიას მთავრობის თავმჯდომარე ბ. გუგუშვილი შეუდგა განკარგულებებისა და მითითებების გამოცემას.

ე. შევარდნაძე მაინც აცხადებდა, რომ სამოქალაქო ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. მისი მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა სახალხო მოძრაობა „დემოკრატიული საქართველო“. 3 სექტემბერს პარლამენტის დაპუტატები შეიკრიბნენ და გამოაცხადეს საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა (იქვე: 194). მასში გაერთიანდა 132 დეპუტატი. პარალელურად მიმდინარეობდა ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების დაფუძნება. თუ ბ. გულუას ლიდერობით შექმნილი რეფორმატორთა კავშირი აშკარად არ წარმოადგენდა სახელმწიფოს მეთაურის პარტიას, 10 სექტემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში თბილისელი მოქალაქეების შეკრება, რომელსაც ე. შევარდნაძე ესწრებოდა, ახალი მოძრაობის მოქალაქეთა კავშირის დაფუძნების საწყისი შეხვედრა გამოდგა. ამ მოძრაობიდან წარმოიშვა მოქალაქეთა კავშირი, რომელიც 1995 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მმართველ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა და პრეზიდენტის პარტია გახდა.

6 სექტემბრის რადიოინტერვიუში ე. შევარდნაძემ აფხაზეთის კონფლიქტთან შედარებით „კიდევ უფრო საშიში და კიდევ უფრო ფეთქებადი“ უწოდა სამეგრელოში მიმდინარე პროცესებს. მაგრამ „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ერთი ერის შვილები ვართ... და შეუძლებელია ქართველებმა საერთო ენა ვერ გამოვნახოთ“-ო, დასძინა მან (იქვე: 195).

დასავლეთ საქართველოში შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარების შემსუბუქების მიზნით ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში ჩავი-

და ე. შევარდნაძე. დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუამავლის როლი იკისრა ა. აბაშიძემ. 8 და 9 სექტემბერს მოეწყო კიდეც მოლაპარაკება. იგი უშედეგოდ დამთავრდა. ამ დროს უკვე მოქმედებდა მზაკვრული შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ და „რუცკოი-ხასბულატოვ-არძინბა-გამსახურდიას ალიანსი" შევარდნაძის დასამხობად (მჭედლური 1995:193), რაც ქობალიასთან ყოველგვარ მოლაპარკებას დროის ფუჭად ხარჯვად აქცევდა.

სამოქალაქო ომის დაწყების პირველ სიგნალად იქცა 8 სექტემბერს ექს-პრეზიდენტის მომხრეთა თავდასხმა ლეხაინდრაოს საგუშაგოზე. ისინი იქ გამოცხადდნენ ვითომც მოსალაპარაკებლად, თეთრი დროშებით, მაგრამ ყუმბარები დაუშინეს პოლიციელებს—ქართველის მიერ დაიღვარა ქართველის სისხლი. თავდამსხმელთაგან ერთი მოკლეს, ერთიც დაიჭრა („სრ" 1993:197).

15 სექტემბერს ლ. ქობალიას ფორმირებებმა ჯავშანტექნიკის გამოყენებით შეუტიეს ჯაპანას საგუშაგოს. ამოწყვიტეს „მხედრიონელები" და ხელში ჩაიგდეს სამტრედია-ჯაპანას ავტომაგისტრალი. ქ. ფოთის სრული ბლოკადის პირობებში ეს ბათუმიდან მომავალი ტვირთისათვის გზის გადაკეტვას ნიშნავდა. ამ წარმატების შემდეგ 500 კაციანმა რაზმმა შეუტია დაფნარს. აქედან მზადდებოდა თავდასხმა ვანზე (იქვე: 202).

ქუთაისი, ფაქტობრივად, ფრონტისპირა ქალაქად გადაიქცა. 12 სექტემბერს მას კვლავ ეწვია ე. შევარდნაძე. ჩატარებულ შეხვედრაზე იგი საგანგებოდ შეჩერდა ქალაქის მერის თ. შაშიაშვილის მიერ გატარებულ, სასიკეთო ღონისძიებებზე. მართლაც, ქუთაისი, როგორც არაერთხელ ჩვენს ისტორიაში, ახლაც ხდებოდა ქვეყნისათვის თავს დამტყდარი უბედურების აღკვეთისათვის საჭირო ძალთა შეკრებისა და წარმართვის ცენტრად. მიუხედავად 14 სექტემბერს გადატანილი დიდი მღელვარებისა, 15 სექტემბერს ე. შევარდნაძე კვლავ ქუთაისში ჩამოვიდა.

წინა დღეს თბილისში მომხდარმა მოვლენებმა მთელ ქვეყანაში ფეთქებადსაშიში სიტუაცია წარმოშვა. იგი კარგა ხანია მზადდებოდა. როგორც ვთქვით, ჯერ მთავრობის კრიზისი გაჩაღდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრი დაინიშნა. მანაც სახელმწიფოს მეთაურს ახალი მინისტრთა კაბინეტი წარუდგინა. ე. შევარდნაძემ დანიშნა მთავრობა[1] და

[1] მთავრობის პერსონალური შემადგენლობა ასეთი იყო: ვიცე-პრემიერები: ზურაბ ჟვანიაშვილი, ამირან ჭადაგიშვილი, აფთანდილ მარგიანი, ირინა სარიშვილი, ნიკოლოზ ლეკიშვილი; მინისტრები: შრომისა და სოციალური დაცვის—ვ. გუჯაბიძე, იუსტიციის—თ. ნინიძე, თავდაც-

იგი უახლოეს ხანში უნდა დაემტკიცებია პარლამენტს. მაგრამ 14 სექტემბერს მოულოდნელი რამ მოხდა. ე. შევარდნაძემ მოითხოვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება, რათა ნაწილობრივ მაინც აღკვეთილიყო უწესრიგობა და ძარცვა-გლეჯა. სიტყვით გამოსულმა ჯ. იოსელიანმა სახელმწიფო მეთაურს მიმართა—„მეთოდები დაგიძველდაო“ და მის კურსს „ტოტალიტარული“ უწოდა, პირდაპირ დასდო მას ბრალი დიქტატორობაში. ეს უცნაურად გაისმა ე. შევარდნაძის „მეგობრისაგან“, თორემ ოპოზიციონერი დეპუტატები სახელმწიფოს მეთაურს ათას სხვა ცოდვაში სდებდნენ ხოლმე ბრალს. მათ ახლაც დრო იპოვნეს და მთელი ბოლმა გადმოანთხიეს.

სხდომაზე გამოსულმა ე. შევარდნაძემ განაცხადა: რუსეთთან ეკონომიკური კავშირის შენარჩუნება და ამის თაობაზე „ხელშეკრულების გაფორმება უალტერნატივო პროცესია, მაგრამ თქვენ შევარდნაძეს არ აპატიებთ ამას. სხვას შეიძლება მისცეთ ნება. ედუარდ შევარდნაძე გადამდგარია“ (იქვე: 201). კენჭი უყარეს გადადგომის წინადადებას. 150-დან წინააღმდეგი აღმოჩნდა 149 დეპუტატი. იმ ერთმაც თავი შეიკავა. პარლამენტარები მიეჯრნენ ე. შევარდნაძეს და დაბრუნებას სთხოვდნენ. დარბაზიდან არ უშვებდნენ. მან მაინც დატოვა დარბაზი და კაბინეტში ავიდა. დაცვა მასთან არავის უშვებდა.

იმავე დღეს პარლამენტის შენობის წინ სტიქიურად გაიმართა გრანდიოზული მიტინგი. ე. შევარდნაძეს სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დაბრუნების თხოვნით, სხვებთან ერთად, მიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. ხალხი მუხლმოყრით ელოდებოდა მის გადაწყვეტილებას. შეკრებილთადმი მიმართვაში სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა: თუ ყველაფერი იმის მიზეზი, რაც საქართველოში ხდება მე ვარ, მზადა ვარ გადავდგე, „მე არ შემიძლია ვიყო ხელისუფლების სათავეში და ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელსაც მკვლელებისა და ბანდიტების რეპუტაცია ექნება მსოფლიოში“. თანაც დაუმატა, რომ პარლამენტში საზღვარს გადავიდნენ და შეურაცხყოფას აყენებენ. აქვე დაბრუნების პირობად მოითხოვა—მეორე დღესვე შეკრებილიყო პარლამენტი, მიეღო დადგენილება საგანგებო

ვის--გია ყარყარაშვილი, კოშმარგაბმულობის--ფრიდონ ინჯია, მრევწყლობის--ვ. კერესელიძე, ჯანმრთელობის დაცვის--ირ. მენაღარიშვილი, განათლების--თამაზ კვაჭანტირაძე, კულტურის--დავით მაღრაძე, საგარეო საქმეთა--ალექსანდრე ჩიქვაიძე, გარემოს დაცვის--შ. ადამია, ეკონომიკის--მიხეილ ჯიბუტი, ფინანსთა--დავით დაკობიძე, სახელმწიფო ქონების მართვის--ავთანდილ სილაგაძე, ვაჭრობისა და მომარაგების--მურთაზ ხალვაში, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის--გიორგი კვესიტაძე, შინაგან საქმეთა (მოვალეობას ითავსებდა)--ე. შევარდნაძე.

ამათ გარდა, სტრუქტურაში ითვლებოდა--4 კომიტეტი, 16 დეპარტამენტი, 2 ინსპექცია და 5 კონცერნი (იქვე: 200).

წესების შემოღების შესახებ, ხოლო სესიის სხდომები შეეწყვიტა სამი თვით (იქვე).

15 სექტემბრის სხდომაზე პარლამენტმა მიიღო დადგენილება, ქვეყანაში საგანგებო წესების ორი თვით შემოღების შესახებ. ამ პერიოდში პარლამენტის სხდომები არ გაიმართებოდა. დეპუტატები იმუშავებდნენ კომიტეტებსა და კომისიებში (იქვე:202).

16 სექტემბერს, ნაშუადღევს, აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ისარგებლეს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომით, დაარღვიეს სოჭში მიღებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და განახორციელეს შეტევა ჯერ ოჩამჩირის რაიონში, სოფლებიდან—ტამიში, არადუ, ცაგერა. მოგვიანებით კი იერიში წამოიწყეს გუმისთის მიმართულებითაც. ორი ტანკისა და ორი საბრძოლო მანქანის თანხლებით სეპარატისტებმა გადმოლახეს გუმისთა, სოფლებიდან ქვემო ეშერა, ზემო ეშერა და შრომა. მოიწევდნენ სოხუმის ქუჩებში (იქვე:204).

მომდევნო დღეებში მოწინააღმდეგის შეტევა სოხუმზე გრძელდებოდა. იყენებდნენ მძიმე ტექნიკას, „გრადის" ტიპისა და სხვა სახის სარაკეტო დანადგარებს, რაც მათ თითქოს აღარ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ გადამალულს გარდა—მიიღეს რუსეთის სამხედრო ნაწილებისაგან. გუდაუთაში განლაგებული რუსეთის საჰაეროსადესანტო 345-ე პოლკის ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, რომ ისინი მკაცრად აკონტროლებდნენ. საზღვარს გუმისთაზე და ქალაქის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს, მაგრამ, ფაქტობრივად აფხაზთა მხარეზე მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში (Надарейшвили 1996:51) უფრო მეტიც, რადიოსადგური „თავისუფლება" ირწმუნებოდა, რომ საბრძოლო ოპერაციებს ქართველთა წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა რუსი გენერალ-ლეიტენატი ნ. სიგუტკინი. თ. ნადარეიშვილის მოწმობით კი დასახელებულის გარდა, გენერლების: კონდრატიევი, სოროკინი, ჩინდარევი; ადმირალი კოლესნიკოვი და ათეულობით მაღალი რანგის რუსი ოფიცრობა სისტემატურად იმყოფებოდნენ გუდაურში, კოორდინირებას უწევდნენ სეპარატისტთა შეიარაღებულ ძალებს და რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელობდნენ კიდეც სამხედრო ოპერაციებს (იქვე:50). გენერალმა გ. კონდრატიევმა რუსეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას რამდენიმე დღით ადრე ზუსტად „იწინასწარმეტყველა" სოხუმის დაცემის თარიღი. ოპერაცია მისი დაგეგმილი იყო და კარგად იცოდა როდის აიღებდა ქალაქს.

„სოხუმის შტურმის დამკვრელი ძალები კაზაკები იყვნენ—წერს თ. ნადარეიშვილი,—მათ მოჰყვებოდა აფხაზების, ჩეჩნების, ოსების, ადიღეელების 10 ბატალიონი“ (იქვე:130). ქართველმა ნაწილებმაც ხელახლა დაიწყეს თავმოყრა სოხუმში, მაგრამ ისინი თითქმის უიარაღოდ იყვნენ, არ ჰქონდათ ჯავშანტექნიკა და არტილერია. არ ხორციელდებოდა ერთიანი სარდლობა. ე. შევარდნაძე ახლაც სოხუმში იმყოფებოდა, მაგრამ „მან ვერ შეძლო თავდაცვის ორგანიზება დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება ჯარისკაცებსა და სამხედრო ხელმძღვანელობაში. ვერც გამარჯვების სტრატეგია შეიმუშავა, ვერც ტაქტიკური ღონისძიებანი განახორციელა, როგორც ამბობენ, იგი არავითარ გადაწყვეტილებებს არ ღებულობდა პირადად, როგორც შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი“ (მ ჭ ე დ ლ უ რ ი 1995:210). ომის ამ ეტაპზე სოხუმში ყოფნით იგი ამხნევებდა მეომრებსა და ქალაქის მცხოვრებლებს, ხშირად იყო მათთან უშუალო საბრძოლო შეტაკებების დროს. აკეთებდა პოლიტიკური ხასიათის განცხადებებს და აგზავნიდა მიმართვებს გაეროს უშიშროების საბჭოს, სახელმწიფოთა მეთაურებისა და ხალხებისადმი. მაგრამ საპასუხო გამოხმაურებანი ამ „განწირულ სულისკვეთებას“ არ მოჰყოლია.

პირველსავე გამოსვლაში იგი აღნიშნავდა—საქმე გვაქვსო „კარგად კოორდირინებულ და სინქრონიზებულ ერთობლივ შემოტევასთან“. მაგრამ მივიღეთ დამხმარე ძალები, ტექნიკა და სოხუმისა და ოჩამჩირის გადარჩენის გარანტიები გაჩნდაო („ს რ“ 1993:207). ეს სიტყვები სოხუმის დამცველთა და მოსახლეობის გასამხნევებლად იყო ნათქვამი, თორემ სახელმწიფოს მეთაურს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ საკუთარი ძალებით სოხუმის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

გამოსავლის ძიებაში იგი სოჭში შეხვდა პ. გრაჩოვს. შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. პ. გრაჩოვმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ მან ე. შევარდნაძეს წინადადება მისცა აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით რუსეთის ჯარების დამატებითი კონტიგენტის შეყვანის თაობაზე, მაგრამ მისგან თანხმობა ვერ მიიღო[1]. არძინბა კი ვერ აკონტროლებსო სიტუაციას, მას სოხუმზე შემტევი

[1] უფრო გვიან სახელმწიფოს მეთაურმა უარის მიზეზად ის დაასახელა, რომ ასეთ ნაბიჯზე წასვლა მას თავდაცვის მინისტრმა გ. ყარყარაშვილმა და უშიშროების სამსახურის უფროსმა ი. ბათიაშვილმა არ ურჩიეს. მათ მიაჩნდათ, რომ ეს იქნებოდა „რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია“, ასეთ „პატრიოტობას“ დამღუპველი შედეგები მოჰყვა.

ძალები არ ემორჩილებიან და თურმე ამის გამო რუსეთს ომის შეწყვეტის მექანიზმები ხელიდან გამოეცალა (იქვე).

სოხუმისათვის ბრძოლაში ჩაება ქალაქის ბრძოლისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. მშობლიური ქალაქის დაცვის მოტივს გარდა, ამ მოძრაობის მასობრივობის მიზეზი გაგრის მაგალითიც იყო—აფხაზთა ხელში ჩავარდნის შემთხვევაში მათ წამებით სიკვდილი მოელოდათ: ვაჟკაცობისა და გმირობის ფასად, მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩენილმა სოხუმის დამცველებმა შეძლეს მოწინააღმდეგის პირველი იერიშის მოგერიება და ექს-პრეზიდენტის მომხრეების განსაკუთრებით კი ლოთი ქობალიას მხრივ ღალატს რომ არ ჰქონოდა ადგილი, აფხაზი სეპარატისტები და მათგან დაქირავებულნი სოხუმს ამჯერადაც ვერ აიღებდნენ.

18 სექტემბერს ე. შევარდნაძემ საქართველოს ყველა მეგობარს მეომარი სოხუმიდან გაუგზავნა ტრაგიკული და ექსპრესიული ტონის მიმართვა, რომელშიაც სასოწარკვეთის ზოგიერთი მოტივიც იგრძნობა. იგი კიდევ ერთხელ სთხოვდა ბ. ელცინს, გაეროს გენერალურ მდივანს და ყველას, ვისაც ხელეწიფებოდა არ დაეშვათ საზარელი დანაშაული, შეეჩერებინათ უდანაშაულო პატარა ერის დასჯა, ეხსნათ საქართველო, მისი ხალხი „იმპერიული რეაქციის კოცონზე დაწვისაგან". მათვე იგი აცნობებდა თავის გადაწყვეტილების შესახებ: „რაც უნდა მოხდეს, მაინც არ დავტოვებ ქალაქს"-ო (იქვე).

ჭეშმარიტ პატრიოტ სოხუმლებს არასოდეს უნდა დაავიწყდეთ ის თავგანწირვა, რაც სახელმწიფოს მეთაურმა იმ ტრაგიკულ დღეებში გამოიჩინა, ის სიყვარული, რასაც იგი გამოხატავდა ყოველი სოხუმელისადმი, ქალაქის თითოეული სახლის, სკვერისა თუ ქუჩის მიმართ. ძნელი წარმოსადგენია მისი ტრაგედია იმის გამო, რაც ხდებოდა. უფრო რთული კი ის გულისტკივილი, იმედების გაცრუებამ რომ გამოიწვია. ყველა ადამიანი თანალმობის ღირსია, მაგრამ განსაკუთრებით ის პიროვნება, ვისაც გადამწყვეტ მომენტში ქვეყნის ბედი აბარია და ღალატის გამო დამარცხებული აღმოჩნდა, დაპირებულის შესრულება ვერ შეძლო. ასეთის გადატანა მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს შეუძლიათ.

მისი თანამებრძოლები გადმოგვცემენ (იხ. გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ" 1996:4)[1], შემდეგ კი ეს მან თვითონაც აღიარა („სრ"

[1] ლონდერ ცაავა იგონებს: „ედ. შევარდნაძემ გადაწყიტა საკუთარი სიცოცხლე დაედო სასწორზე", დაცვის თანამშრომელს აარაღი სთხოვა, მაგრამ „არ მისცეს, არც უნდა მოეცათ" (სრ" 1994:83-84).

1994:21), რომ ე. შევარდნაძე სოხუმის დაცემის დღეებში სიკვდილს ეძიებდა[1] და რამდენჯერმე სრულიად შემთხვევით გადარჩა, რაც არსთაგამრიგემ საქართველოს სასიკეთოდ ისურვა. მისი პიროვნება ხომ მსოფლიო საზოგადოებას ჩვენს ქვეყანასთან ჰქონდა გათანაბრებული და მხოლოდ ამის გამო სცნეს საქართველოს ბრძოლა სამართლიანად, სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის ბრძოლად. ე. შევარდნაძის ფენომენისადმი ნდობის გადატანამ მის სამშობლოზე განაპირობა, რომ საქართველოს მართალ საქმეებს ვერ მოერია დეზინფორმაციის ტალღა. მსოფლიო დარწმუნდა: ე. შევარდნაძე, პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სხვა ქვეყნებს თავისუფლების დაბრუნებაში შემწეობდა, სოხუმში ომს კი არ ეწეოდა, არამედ იგი, ქართველი კაცი, თავის ისტორიულ მიწას იცავდა. იმ დღეებში ამის გამო ზუსტად წერდა გ. მაიაშვილი—„ედუარდ შევარდნაძეზე ჩამოყალიბებული აზრი—ე. შევარდნაძე აგრესორი კი არა, სამშობლოს დამცველია—ყველა იმ ჯარისკაცზე გადადის, ვინც აფხაზეთში იარაღით ხელში დგას. გადადის მთელს საქართველოზე“ (იქვე 1993:245).

ერთხანს სოხუმის გადარჩენის იმედები გამოჩნდა. 19 სექტემბერს ბობოყვათში მთავრობის და ზუგდიდის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბრძოლების შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ. ლ. ქობალიას უნდა მოეხსნა ბლოკადა ყველა გზაზე და შეუფერხებლად გაეტარებინა მატარებლები და სამხედრო ტექნიკა ყველა მიმართულებით.

ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო ადლერშიაც. აფხაზურმა მხარემ პირობად წამოაყენა აფხაზეთიდან ჯარის მეორე დღესვე მთლიანად გამოყვანა (იქვე:208).

22 სექტემბერს ქართველ ქალთა მშვიდობიანი აქცია 7 ათასი მანდილოსნის მონაწილეობით, „თეთრი მანდილის“ მოძრაობის სახით, თბილისიდან სოხუმს გაემგზავრა. მათი მიზანი იყო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებისათვის, რათა იქ შეწყვეტილიყო სისხლისღვრა.

აქციის მონაწილეთაგან სოხუმისაკენ მიმავალ მატარებელში აღ-

[1] თავგანწირვის ასეთ შემთხვევებს, მართალია, ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც აღნუსხავენ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიები. მაგალითად, აკადემიკოსმა ე. ტარლემ დაადგინა, რომ რუსმა ადმირალმა პაულე ნახიმოვმა, 1955 წლის 28 თებერვალს ფრანგ სანაპირებს ძალად მოაკლევინა თავი (იხ. მისი, Соч. т.IX, М., 1959, Стр. 412). ასევე, მის მიერ წამოწყებულ ყირიმის ომში რუსეთის კატასტროფაში დარწმუნებულმა იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, ძალად გაიცივა თავი, ფილტვების ანთების საწამლავიც დაამატა და 1955 წლის 18 თებერვალს განისვენა (იქვე:320).

მოჩნდა 1350 ქალი. მათ აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს ქუთაისში, სამტრედიაში შეფერხდნენ. თ. კიტოვანი მათ არწმუნებდა: სენაკსა და ინგირის მიდამოებში ავტომატებით შეიარაღებული 300 მეგრელი ქალია გაწოლილი და საფრთხე მოგელითო. გზა მაინც განაგრძეს. გალში აქციას სანთლებითა და ყვავილებით შეხვდნენ. ჩააღწიეს ოჩამჩირემდე. იქ გაირკვა, რომ შემდგომი წინსვლა, გზის გაუწმენდლობის გამო შეუძლებელი იყო. იმავე კიტოვანის „მფარველობით" მატარებელი თბილისისაკენ გამოაბრუნეს (იქვე:217). „თეთრი მანდილის" აქცია (თაოსანი და ხელმძღვანელი ცნობილი რეჟისორი ქეთი დოლიძე) ქართველი დედების მშვიდობისმოყვარეობისა და თავდადების უმაგალითო გამოვლინება იყო.

ომის ბედზე გადამწყვეტი სიტყვა შეეძლო ეთქვა რუსეთს. ეს ოფიციალურად განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ლ. კრავჩუკმა. მან მოუწოდა ბ. ელცინს, როგორც გარანტი სახელმწიფოს მეთაურს აემოქმედებინა ყველა მექანიზმი აფხაზეთში სისხლისღვრისა და ძმათამკვლელი ომის შესაწყვეტად (იქვე:209). მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობამ იცოდა რუსეთის ნამდვილი ზრახვებიც. ფრანგული „ფიგარო" წერდა: რუსეთი ორმაგ თამაშს ეწევა—ერთი მხრივ ხელს აწერს 27 ივლისის შეთანხმებას ომის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სინამდვილეში მხარს უჭერს სეპარატისტებს. პ. გრაჩოვმა 17 სექტემბერს პირობა დასდო, რომ რუსეთის 300 ჯარისკაცს განალაგებდა გუმისთაზე და დააშორიშორებდა მეომარ მხარეებს, 20-ში კი იგი აშკარად დადგა აგრესორის მხარეზე და ურჩია ქართველებს წავიდნენ აფხაზეთიდან და მიუსხდნენ არძინბასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას.

ადლერიდან იტყობინებოდნენ, რომ ფსოუს მიდამოების გამოვლით აფხაზეთში შემოდიოდა უახლესი კომპიუტერული სისტემებით აღჭურვილი დიდძალი მძიმე სამხედრო ტექნიკა („სრ" 1993:207). მოწინააღმდეგემ ზედიზედ ჩამოაგდო 3 თვითმფრინავი. დაიღუპა 226 მშვიდობიანი მოქალაქე (იქვე:212). აფხაზები თავიანთი ძალებით ზედიზედ თვითმფრინავების ჩამოგდებას ვერ მოახერხებდნენ. მათ ამისათვის ტექნიკური საშუალებები არ გააჩნდათ. ყველაფერს ამას რუსეთიდან შემოტანილი იარაღი და რუსი სამხედრო სპეციალისტები აკეთებდნენ.

რუსეთის საქართველოს სასარგებლოდ შემობრუნებისათვის ერთადერთი გზა რჩებოდა—დსთ-ში შესვლა. ამას ე. შევარდნაძე პირველი ვერ განაცხადებდა. პასუხისმგებლობა იკისრა პარლამენტის სპიკერ-

მა ვ. გოგუაძემ. მან 21 სექტემბერს პრესაში გამოაქვეყნა თავისი დადებითი მოსაზრება ამ საკითხზე. სოხუმის შენარჩუნებაში იმედგაცრუებულმა ე. შევარდნაძემაც დსთ-ში შესვლაზე თანხმობის დეპეშა გაუგზავნა ბ. ელცინს. მაგრამ ამ ნაბიჯებს არავითარი შედეგი აღარ მოჰყვა.

23 სექტემბერს გრძელდებოდა ბრძოლები სოხუმის გარეუბანში შემოჭრილ მოწინააღმდეგესთან. მათ მოასწრეს რამდენიმე საცხოვრებელი უბნის დაკავება და საფრთხე შეუქმნეს სასიცოცხლო ობიექტებს. სოხუმს ბომბავდნენ ზღვიდანაც, მაგრამ მისი ბლოკირება ოჩამჩირის მხრიდან მოწინააღმდეგემ ვერ მოახერხა. ოჩამჩირის რაიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლის აღების შემდეგ ქართული ჯარი გაიჭრა მდ. კოდორისაკენ (იქვე: 210).

24 სექტემბერს სეპარატისტებმა და დაქირვებულებმა გააძლიერეს იერიში სოხუმზე. ისინი ცდილობდნენ მთლიანად დაუფლებოდნენ ქალაქს. მისი დამცველები დამხმარე ძალას მოელოდნენ კოდორის მხრიდან. აქ თავმოყრილი იყო მთავრობის ჯარების რაზმები გენერლების გ. ყურაშვილისა და ჯ. ჭუმბურიძის მეთაურობით, თ. კიტოვანი მის განკარგულებაში მყოფი ცოცხალი ძალით და ტექნიკით, ლ. ქობალია სამეგრელოს გვარდიით. ამასთან შედარებით აფხაზებს მცირე ძალები ჰყავდათ. სოხუმამდე აქედან 20-ოდე კილომეტრიღა რჩებოდა, მაგრამ სოხუმზე მიშველება მოღალატურად ყოვნდებოდა. ოპერაციის ჩატარება რომ მოსახერხებელი იყო ამის მაგალითი აჩვენა გ. ყარყარაშვილმა. იგი თავად გადავიდა კოდორზე, იქედან ბრძოლით გამოიყვანა 300-ზე მეტი მეომარი და სოხუმის დამცველებში ჩააყენა (იქვე: 213). ასე მცირე ძალას არ შეეძლო გარდატეხა შეეტანა ქალაქის შენარჩუნების საქმეში, მაგრამ ოჩამჩირის მიმართულებით თავმოყრილ სამხედრო ფორმირებებს რომ ფართომასშტაბიანი შეტევა განეხორციელებინათ, დროულად მიშველებოდნენ ქალაქს, მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა.

გენერლები ყურაშვილი და ჭუმბურიძე შემდეგ თავს იმართლებდნენ, რომ არ შეეძლოთ სოხუმის მისაშველებლად გამოსვლა[1], ვინაიდან

---

[1] ბატალიონ „ლაზის“ მეთაური რ. მაჭაკარია გვიამბობს: „რკინიგზისა და სატრანსპორტო მაგისტრალს უნდა გაჰყოლოდა გენერალი ყარყარაშვილი, სოლო მარჯვენა მხარეს, საავტომობილო გზას გენერალი ჭუმბურიძე. ისინი სინამდვილეში, კინდღის არ გამოსცილებიან და აქ სარეზი გაჩნდა“... („კვირის პალიტრა“, 1999: 25).

გ. ყურაშვილმა გენერლობა 1993 წლის 12 თებერვლის ტამიშთან გზის გახსნის ოპერაციისათვის მიიღო. აქამდე მის ბიოგრაფიაში არის საეჭვო ეპიზოდი. 1992 წლის 24 თებერვლის, გამთენიისას, ვიდრე ვალტერ შურღაიას „ბოევიკები“ ტელევიზიის მთავარ შენობას ალყებდნენ და სატელევიზიო ანძაზე შტაბის დაწყებდნენ, მათ შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკიდან, რომელსაც

ლ. ქობალია მათ ასეთ შემთხვევაში ზურგიდან დაარტყამდათ. ეს ვერსია გამორიცხული არ არის, მაგრამ განა არ შეიძლებოდა მებრძოლთა ერთი ნაწილის ქობალიას შესაჩერებლად დატოვება, ხოლო დანარჩენებით სოხუმზე შეტევა?

მოვლენების თვითმხილველის, უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის შ. კვირაიას გადმოცემით, ადგილი ჰქონდა მზაკვრულ ღალატს. ქობალიას და გუგუშვილს გროზნოდან ტელეფონით აძლევდნენ დირექტივებს, რომელიც მას თვითონაც მოუსმენია. „არსებობდა გეგმა,—განაგრძობს იგი,—რომელიც დამუშავებული იყო უცხო სპეცსამსახურების მიერ დიდ კაბინეტებში. ამ გეგმის მიხედვით ჩვენი ბიჭები კიდევ დიდხანს უნდა მდგარიყვნენ პოზიციებზე ქობალიას რაზმების მოლოდინში. ქობალია კი არც აპირებდა ჩვენს დახმარებას[1]. რაც უფრო მეტი ჩვენი მებრძოლი ჩაიხოცებოდა სოხუმში, მით უფრო გაუადვილდებოდათ ექს-პრეზიდენტის მომხრეებს გზა თბილისისაკენ—ასეთი იყო მათი გეგმა“ (გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1996:4). ასეთი გეგმის არსებობა მთლიანად შეესაბამებოდა ექს-პრეზიდენტის მომხრეთა პრაქტიკას. მათ ხომ ზ. გამსახურდიას რეჟიმის რესტავრაციის ძირითად ბერკეტად აფხაზეთში სამთავრობო ჯარების დამარცხება მიაჩნდათ. ეს თეზისი აიღეს ლენინური „გამოცდილებიდან“. პროლეტარიატის ბელადი, როგორც ცნობილია, ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირობად პირველ მსოფლიოში ომში რუსეთის დამარცხებას აცხადებდა.

ეს თავის პირველსავე გამოსვლაში დაადასტურა 24 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში დაბრუნებულმა ზ. გამსახურდიამ. მან თქვა, რომ მთავარია ე. შევარდნაძის რეჟიმის დამხობა, ამიტომ მან ომი უნდა წააგოს. ხოლო, როცა კანონიერი ხელისუფლება აღდგება, იგი აფხაზეთს დაიბრუნებს. ამ პოლიტიკურმა ინფანტელიზმმა გამხრწნელი გავლენა მოახდინა სოხუმის მოსახლეობასა და დამცველებზე, რომელთა შორისაც „ზვიადისტთა“ რიგებს მცირე როდი ეკუთვნოდა.

პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი სარდლობდა, წინააღმდეგობის გარეშე გადატაცეს ასობით ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი ტანკი და ჭაშნიანი სადაზვერვო მანქანა. 1999 წლის 22 მაისს გ. ყურაშვილი პრეზიდენტზე ტერორისტული აქტისა და სახელმწიფო გადატრიალების ცდის ბრალდებით დააპატიმრეს (იქვე). ეჭვი ჩნდება, ხომ არა აქვს ყველაფერ ამას კაშირი გ. ყურაშვილის მაშინდელ უმოქმედობასთან.

[1] არსებობს მონაცემები, რომ ლ. ქობალია მოსყიდული ჰყავდა მოწინააღმდეგეს. აფხაზთა ხელთგდებული რადიოგრამის მიხედვით ქობალია „ჩვენ კაცად“ იყო მიღებული სპარატისტთა წრეებში, როცა ერთ-ერთმა აფხაზმა ლიდერმა გუდაუთას ჰკითხა__ხომ არ იყო მოსალოდნელი მათზე ქობალიას თავდასხმა. უპასუხეს: „იმას იმდენი გადაუხადეს, ნაბიჯსაც არ გადმოდგამს ჩვენს წინააღმდეგო“ (მჭედლური 1995:199).

ეს ქართველთა მიერ ომის წაგების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. აფხაზეთის ტრაგედიის ყველაზე „მნიშვნელოვანი ფაქტორი,—თვლიდა რ. მიმინოშვილი—გახლდათ თვით ქართველთა გათიშულობა და ურთიერთადაპირისპირებულობა საკუთრივ აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს მიმდებარე რაიონებში“ („სრ“ 1994:21).

წრე სოხუმის დამცველთა ირგვლივ თანდათანობით ვიწროვდებოდა. 25 სექტემბერს მოწინააღმდეგეს დაკავებული ჰქონდა რკინიგზის სადგური და სხვა სასიცოცხლო ობიექტები. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი—ფუნიკულიორი ჯერ კიდევ ქართველთა ხელში იყო. მაგრამ სექტემბრისათვის უკვე ჩვეულებრივი შემთხვევა გახდა, როცა მეომრები ყოველგვარი ბრძანების გარეშე ტოვებდნენ საბრძოლო პოზიციებს და დეზერტირობდნენ (იქვე 1993:213).

ამ კრიტიკული მომენტის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ე. შევარდნაძე და მისი გუნდი დარწმუნდა, რომ სოხუმის გადარჩენა მხოლოდ რუსეთს შეეძლო, სახელმწიფოს მეთაურმა დახმარების საფასურად მიიღო გადაწყვეტილება დათანხმებულიყო საქართველოს დსთ-ში შესვლას და პ. გრაჩოვის წინადადებაზე აფხაზეთში საჯარისო ნაწილების შემოყვანის თაობაზე. ასეთი დათმობების მიუხედავად, რუსეთმა არ ისურვა დაპირების შესრულება.

27 სექტემბერს, 13 საათზე მოწინააღმდეგემ მიიღო ახალი დამხმარე ძალები. რუსმა, ჩეჩენმა და აფხაზმა ბოევიკებმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ტანკებით და ჯავშანტრანსპორტიორებით, დაიკავეს სოხუმი (იქვე). მოსახლეობის ევაკუაცია არ მოხერხდა. მათი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა.

იმ საბედისწერო დღეს სხვა გარეწრობასთან ერთად აფხაზურმა ფაშიზმმა თავის აქტივს კიდევ ერთი საზიზღრობა დაუმატა—ავაზაკების ტყვიას შეეწირა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, ნათელი პიროვნება და ეროვნული გმირი ჟიული შარტავა[1]. თბილისში

---

[1] ჟ. შარტავა დაიბადა 1944 წელს, სუნაში, პედაგოგ კოლისტრატე შარტავას ოჯახში. 1961 წელს ოჭხის შედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1960 წელს--წარჩინებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1973 წელს დაუსწრებლად დასრულა ასპირანტურის კურსი. იყო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. მიღებული ჰქონდა დიპლომატიური განათლებაც.

სხვადასხვა დროს მუშაობდა პედაგოგად, ხელმძღვანელ პარტიულ და კომკავშირულ თანამდებობებზე. 1985-1987 წწ. იყო რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

1993 წლის 16 თებერვალს ჟ. შარტავა დაინიშნა აფხაზეთის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მოუწია გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

ოგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა სოხუმის დაცვას. უარი თქვა

ჩამოსულმა ე. შევარდნაძემ განმარტა, რომ ჯერ კიდევ სოხუმში ყოფნის დროს იგი დაუკავშირდა ბ. პასტუხოვს და თხოვა ეზრუნვა ჟ. შარტავას გადასარჩენად. გამოეგზავნათ 4-5 ოფიცერი და მოეწყოთ დერეფანი. მაგრამ ეს არ გაკეთდა. ამიტომ „დატრიალებული" ტრაგედია არა მარტო აფხაზი სეპარატისტების, არამედ პასტუხოვის და მისი თანამზრახველების სინდისზეა" (იქვე:214). 28 სექტემბერს, მთავრობის სხდომაზე, ომის ბედის შესახებ მის მიერ გაკეთებული შეფასება კი ასეთი იყო: „რუსეთს განსაკუთრებული ზომების გარეშე შეეძლო გადაერჩინა სოხუმი, მაგრამ მოტყუებული აღმოჩნდით".

სეპარიტისტებისათვის ყველაზე ძვირფასი სამიზნე იყო ე. შევარდნაძე. ისინი მას განსაკუთრებული გაფაციცებით ეძებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ სოხუმიდან ვერ გამოაღწევდა.

24 სექტემბერს თბილისიდან სოხუმის აეროპორტში ჩააფრინეს 2 თვითმფრინავი (იაკ-40 და ტუ-134). აეროპორტის უფროსმა ზაურ ხაინდრავამ ისინი გადამალა და საწვავიც დაიმარაგა. მაგრამ ჰაერში აფრენა საშიში იყო. ამიტომ გადაწყდა სახელმწიფოს მეთაური უკრაინის კუთვნილი „ამფიბიით" გამოეყვანათ. გემმა მოსვლა დააგვიანა. ხოლო, როცა გამოჩნდა, სანაპიროს დამცველებმა ცეცხლი გაუხსნეს და უკან გაბრუნდა.

ე. შევარდნაძე, შოთა კვირაია, ირ. ბათიაშვილი, ს. კავსაძე, ო. ლითანიშვილი, ავ. ჯორბენაძე და სხვ. თვითმფრინავის ამარად დარჩნენ. 28 სექტემბერს ალიონზე გამოცდილმა მფრინავებმა მანქანას ისე სწრაფად ააღებინეს სიმაღლე, რომ მოწინააღმდეგემ მისი დაზიანება ვერ შეძლო. საწვავი ბათუმამდე ეყოთ. იქედან კი თბილისში მშვიდობით ჩამოფრინდნენ („ა-ს" 1997:50).

ჩამოსვლისთანავე გაკეთებულ მიმართვაში ე. შევარდნაძე წერდა: „იცის ღმერთმა, ყველაფერს ვაკეთებდი ამ საშინელი დღის თავიდან ასაცილებლად. ვერ შევძელი, დაე, მაპატიონ თანამედროვეებმა და შთამომავლობამაც" („სრ" 1993:213).

რამდენიმე თხოვნაზე დაეტოვებინა მინისტრთა საბჭოს შენობა. შ. კვირაია იგონებს--ჩემი ასეთი თხოვნის შემდეგ „შან განზე გამიყვანა და მითხრა: შოთა, ტელეფონი რომ დარეკოს და ყურმილს მე ავიღებ, მიხვდებიან რომ სოხუმი არ არის აღებული... მივხვდი რომ ქალი შარტავა მსხვერპლად სწირავდა თავს ქვეყანას.. ამიტომ არ დათანხმდა შენობიდან გამოსვლაზე" (ს ა ზ. „ს რ უ ლ ი ა დ არ ა ს ა ი დ უ მ ლ ო დ" 1996:4). აფხაზმა ფაშისტებმა იგი ტყვედ ჩაიგდეს, აწამეს და მუხანათურად მოკლეს, სოხუმის დაცემის დღეს--27 სექტემბერს. სეპარატისტები აცხადებდნენ რომ ქ. შარტავა შემთხვევით ნასროლი ტყვიით დაიღუპა, მაგრამ გარდა სიკვდილის გამომწვევი თავის ქალის გამჭოლი ტყვიისა, მას ორი სხვა არასასიკვდილო ნატყვიარიც ჰქონდა („სრ" 1993:264).

საქართველომ დაკარგა დიდი პატრიოტი, ბრწყინვალე პოლიტიკური პერსპექტივის მქონე კიდევ ერთი ღირსეული შვილი.

ბრძოლები სოხუმში გრძელდებოდა 28-30 სექტემბერსაც[1]. თითქოს აფხაზთა დასახმარებლად, სინამდვილეში კი ქალაქის გასაძარცვავად მოედინებოდა „ბოევიკთა“ ახალი ნაკადები და სამხედრო ტექნიკა. მარტო 29 სექტემბერს მდ. ფსოუზე ბანდიტებით დატვირთულმა 15-მა „იკარუსმა“ გადმოიარა. „დამხმარეთა“ ეროვნული კუთვნილების მაჩვენებლად გამოდგებოდა ის, რომ ბრძოლებში მოკლულთა შორის რუსი რიგითებისა და უმცროსი ოფიცრების გარდა პოლკოვნიკი ლებედიცაა აღრიცხული[2]. („სრ“ 1993.215).

სოხუმის დაცემის შემდეგ გაძლიერდა ქართველთა დევნა აფხაზეთში. რეგიონიდან ყველა მიმართულებით გარბოდა 100-120 ათასი ლტოლვილი. მათი ტრანსპორტირების არავითარი საშუალება არ არსებობდა. რუსეთმა ერთი კეთილი საქმე კი გააკეთა. მისმა გემებმა სამი დღის მანძილზე სოხუმიდან გამოიყვანა 14 ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი (იქვე).

29 სექტემბერს ზღვიდან რუსთა დაქირავებული დესანტის, მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოყენებით მოწინააღმდეგემ აიღო ოჩამჩირე. წინა დღით ქუთაისში ჩამოსული ვიცე-პრემიერი ა. მარგიანი ირწმუნებოდა, რომ ახდენდა ძალთა კონსოლიდაციას აფხაზებისაგან ოჩამჩირის დასაცავად. მაგრამ ქალაქი ისე დანებდა, რომ იქ მან ჩასვლაც ვერ მოასწრო.

ასევე ფუჭი ტრაბახი აღმოჩნდა გალის ხელმძღვანელობის დაიმედება, რომ ადგილობრივი ძალებით გამაგრებული ჰქონდა პოზიციები და მტერს რაიონში ტყვარჩელის მხრიდან არ შეუშვებდა (იქვე).

---

[1] 1993 წლის 28 სექტემბერს აფხაზთა სპარატისტებმა ჟერაგულად მოკლეს შეორე საარმიო კორპუსის 23-ე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური, სოხუმის გარნიზონის უფროსი გენო ადამია.

გ. ადამია დაიბადა 1936 წლის 8 მარტს სენაკში. 1955 წელს დაამთავრა სენაკის I საშუალო სკოლა. სწავლობდა მინსკის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში, მაგრამ 1956 წლის 9 მარტის ამბებში მონაწილეობის გამო უმაღლესი სასწავლებლიდან გარიცხეს. 1991 წლიდან გ. ადამია აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. მისი ადგილი თავიდანვე სამხედრო საქმიანობით განისაზღვრა. მისი ინიციატივით შეიქმნა სოხუმის სახალხო ლაშქარი, რომლის ბაზაზედაც ჩამოყალიბდა 23-ე ბრიგადა.

სოხუმისათვის ბრძოლებში, საქართველოსათვის ამ უმძიმეს დღეებში, სრულიად გამოვლინდა გენო ადამიას გმირული ბუნება. იგი ყოველი მებრძოლისათვის იყო არა მარტო მეთაური, არამედ უფროსი მეგობარი და საიმედო საყრდენი.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის გ. ადამია დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებით, მინიჭებული ჰქონდა გენერალ-მაიორის საპატიო წოდება.

[2] სოხუმის დაცვაში „ავღანელთა“ ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი ჭანიაშვილი ადასტურებს: „ქართველების წამებაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. ნაკლებ აქტიური იყვნენ აფხაზები, ჩეჩნები, საერთოდ არ მონაწილეობდნენ დახვრეტებში“ („სრ“ 1994:53).

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგე მდ. ღალიძგაზე ვერ შეაჩერეს. ზედიზედ დაეცა სოფლები: ცაგერა, არადუ, ბესლაბუხა, მერკულა. 30 სექტემბერს წინააღმდეგობის გაუწევლად გალი აფხაზებს ჩაბარდა. ეს ასე მოხდა: ოჩამჩირის ევაკუირებული მოსახლეობა გალს მოაწყდა. მათ და აქაურებსაც დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. საქმე ის იყო, რომ 27 სექტემბერს უმაღლესი მთავარსარდლის სტატუსით თვითაღჭურვილმა ზ. გამსახურდიამ თავის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა პოლკოვნიკ გურამ ლაკიას სარდლობით, ოჩამჩირის 7-10 კილომეტრიან ფრონტზე წამოეწყო შეტევა კოდორის გადასალახავად. მაგრამ ნაცვლად აფხაზებთან ბრძოლისა, „საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლის" ლ. ქობალიას მეთაურობით, მათ მთავრობის ჯარების ძალდატანებითი განიარაღება დაიწყეს (იქვე:216). მათვე ენგურსმომდგარი ლტოლვილები ზუგდიდში არ შეუშვეს და გაუბედურებული ხალხი იძულებული გახადეს დალის ხეობიდან ჭუბერზე მიმავალი საცალფეხო გზით სვანეთში გადასულიყვნენ. ე. შევარდნაძის განცხადებით, მათი რიცხვი 120 ათას აღწევდა. აქედან 58 ათასი ბავშვი, 45 ათასი ქალი, დანარჩენები კი, მოხუცები, ინვალიდები, დაჭრილები იყვნენ[1] (იქვე).

ყველა დროის უდიდეს ფილოსოფოსს არისტოტელეს მხოლოდ ერთი რამ აკვირვებდა—დრო. მართლაც, საკვირველია, იგი ყველაფრის წამლეკავი და ყოველივეს გადამსხვაფერებელი.

სოხუმის დაცემის დღეებში სახელმწიფოს მეთაურით დაწყებული და კედლის გაზეთების კორესპონდენტებით დამთავრებული, ყველა ქადაგებდა და წერდა, რომ ქართველთა გენოციდი აფხაზეთში იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსეთისა და არძინბას სისხლიანი ხროვის ფაშისტურ ქმედებათა შედეგს წარმოადგენდა. ე. შევარდნაძემ ჯერ კიდევ სოხუმში გაფრენის წინ 17 სექტემბერს პარლამენტის სხდომაზე გარკვევით განაცხადა: „ეს არის არა ქართულ-აფხაზური,

[1] 1994 წლის სექტემბერში საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, შეიარაღებული კონფლიქტის დროს 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრის დამლევამდე დაიჭრა 9252 კაცი, დაიღუპა 2236. დაჭრილთა შორის 1002 ქალია, დაღუპულთა შორის - 250 („სრ" 1994:169). სეპარატისტები ბოროტმოქმედებას შემდეგაც განაგრძობდნენ. საქართველოს პროკურატურამ დაუსტა: მათ მიერ ანექსირებულ ტერიტორიაზე 7 ათასი ქართველია მოკლული, ხოლო კონფლიქტით მიყენებული მატერიალური ზარალი 2,5 მილიარდ დოლარს აღემატება (ვაზ. „რეზონანსი" 1998:26).

აფხაზი ექსტრემისტების დანაშაულთა შესახებაა მოთხრობილი თ. ნადარეიშვილის ზემოთ დამოწმებულ წიგნში. ავტორს ნაჩვენები აქვს სოხუმში, მის რაიონში, გაგრის, გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის ზონებში სეპარატისტების მიერ სადისტურად გაჟღენტილ მშვიდობიან მცხოვრებთა სია მისამართის, ასაკისა, მოკვლის ადგილისა და თარიღის ჩვენებით (Надарейшвили 1996: 77-96)

არამედ ქართულ-რუსული კონფლიქტი"-ო (იქვე:217). აქამდე იგი ყოველთვის ერიდებოდა ასეთ გამოთქმებს. სოხუმისათვის ბრძოლებში დამტკიცდა, რომ ქალაქის აღებისათვის ოპერაციებში მონაწილეთა შორის 80-90 პროცენტი რუსი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ, რომ ოჩამჩირის გადაბუგვაში რუსეთის სამხედრო ხომალდებიდან გადმოსროლილი მრავალრიცხოვანი დესანტი მონაწილეობდა. და რომ მოწინააღმდეგე ისეთ ტექნიკას იყენებდა (მაგ., დისტანციურად სამართავი ტანკები, სითბური რაკეტები...), რომლის შესახებაც აფხაზებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

ეს სიმწარე მალე გადავყლაპეთ. ტრაგედიიდან ორიოდე თვის შემდეგ დსთ-ში შევედით, რუსეთს კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლობას შევეხვეწეთ და სოხუმის დაცემის ერთი წლის თავზე, რუსეთის არმიის 345-ე პოლკი, რომელიც გუმისთაში იდგა და სოხუმს ბომბავდა, რომლის მებრძოლებიც ქართველთა სისხლში ყელამდე იყვნენ ამოსვრილნი, „მშვიდობისმყოფელებად" გამოვაცხადეთ და ენგურზე აფხაზეთთან საზღვრის დაცვის ფუნქცია დავაკისრეთ. ყოველივე ამას და სხვა ბევრ ქართველისათვის დამამცირებელ მოვლენას ახლაც მშვიდად ვუყურებთ. დრომ დაგვაეიწყა, რომ დამარცხებული ქვეყანა ვართ და, რომ ჩვენს ეროვნულ ტრაგედიაში, როგორც მაშინ ტ. ჭანტურია წერდა, რუსული ფაშიზმია დამნაშავე (იქვე: 216).

ხალხური სიბრძნე ღაღადებს: უბედურება არასოდეს მოდის ეულად. აფხაზეთის მარცხიანი კონფლიქტის გაგრძელებად სამოქალაქო ომი მივიღეთ. პრეზიდენტყოფილის მომხრეებმა ომი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ წამოიწყეს. მაგრამ მთავრობას თავის შეიარაღებულ ძალებსა და სამართალდამცავ ორგანოებში, ჩვეულებრივ, იმ ხალხის შვილები ჰყავს, რომელ ქვეყანასაც უდგას სათავეში. ამდენად, სამოქალაქო ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომია. მასში ერი თავის თავს ანადგურებს, ამიტომ გამარჯვებული მხარეც დამარცხებულია. სამწუხაროდ, პოლიტიკოსები, როცა ომს აჩაღებენ, ამას ანგარიშს არ უწევენ, მათთვის მთავარია საკუთარი ამბიციები — უმაღლესი ხელისუფლების მოპოვება და მისი შენარჩუნება.

ზ. გამსახურდია, როგორც თანადამხდურნი მოწმობენ, დიდი აზარტით არ გადაშვებულა სამოქალაქო ომის ფერხულში. ჩანს, მას ნებისყოფა არ ეყო, ვაჟკაცობა გამოეჩინა და წაგებული პარტიის შემდეგ პოლიტიკური ასპარეზიდან წასულიყო. ექსტაზში შესული მისი მომხრეები კი მას ახალი დანაშაულისაკენ უბიძგებდნენ, თამაშიდან

გასვლის უფლებას არ აძლევდნენ და აიძულებდნენ ხელისუფლების დაბრუნებისთვის უიმედო ბრძოლაში ჩაბმულიყო. თანაც ნამდვილმა პოლიტიკურმა ძალებმა იგი დიდი ხანია მიატოვეს და მხოლოდ ავანტიურისტებისა და კრიმინალების სამყაროს ნაშთების ამარად დარჩა.

პრეზიდენტყოფილმა ისარგებლა იმით, რომ „მხედრიონმა“ და გვარდიამ ხუთჯერ ააოხრა სამეგრელო, შეურაცხყო და სულში ჩააფურთხა იქაურ თავმოყვარე ხალხს, რომელმაც თავისი გამაუბედურებელნი საქართველოს ხელისუფლებასთან გააიგივა და უსამართლობასთან ბრძოლის მოწოდებისთანავე მთავრობის საწინააღმდეგო მხარეს დადგა.

მიუხედავად იმისა, რომ „კანონიერი ხელისუფლების“ შეიარაღებული ფორმირებებს სამხედრო საქმისა და, საერთოდ, უვიცი ლ. ქობალია ხელმძღანელობდა, მოსახლეობის მხარდაჭერით მათ მაინც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. 2 ოქტომბერს ტერიტორიას, რომელსაც ისინი აკონტროლებდნენ, ფოთიც დაემატა. ქალაქის აღებისას გამოიყენეს „გრადის“ ტიპის დანადგარები და დამხმარედ ჰყავდათ მოყვანილი კაზაკები, ჩეჩნები და აფხაზები (იქვე:218).

ზ. გამსახურდიამ გამოაცხადა, რომ იწყებს ლაშქრობას ქუთაისზე. მის მომხრეებს მიმართა ე. შევარდნაძემ. იგი ითხოვდა სასწრაფოდ შეეჩერებინათ საომარი ოპერაციები ეროვნული უბედურების ზონიდან—სვანეთიდან, ლტოლვილების გამოყვანამდე და გაეხსნათ მათთვის ზუგდიდიდან გამომავალი გზა. დევნილთა მდგომარეობა კი მართლაც კრიტიკული იყო. ჭუბერში უკვე მოვიდა თოვლი. აშკარად არ კმაროდა ტექნიკა და საწვავი. ათობით ბავშვი, მოხუცი და ქალი იხოცებოდა სიცივისა და შიმშილისაგან. 5 ოქტომბერს ლტოლვილთა ცოცხალი რიგი გაჭიმული იყო კოდორის უგზო-უკვლო ხეობაში, სოფ. გენწვიშიდან 80 კმ-ის სიგრძეზე (იქვე:220). 3 და 4 ოქტომბერს ქუთაისის მერმა თ. შაშიაშვილმა ლტოლვილების გადმოსაყვანად ჯვარ-ხაიშის გზისაკენ გაგზავნა 40 ავტობუსი. ცაიშთან ავტობუსების კოლონას დახვდნენ ლ. ქობლიას რაზმის წევრები. ავტობუსების ნაწილი გაიტაცეს, მძღოლები სცემეს და უკან გამოყარეს. ამის შემდეგ ლტოლვილთა დასახმარებლად მანქანები მხოლოდ ლენტეხის შორი და დანგრეული გზით დადიოდნენ („სრ“ 1994:144).

ჰუმანიზმის ისტორიაში უკვდავსაყოფი, ქართველი ხალხისათვის დაუვიწყარი, დახმარება აღმოგვიჩინა უკრაინამ. მისმა პრეზიდენტმა ლ. კრავჩუკმა ლტოლვილთა გადმოსაყვანად 16 ვერტმფრენი გამოაგზავნა. 7 ოქტომბრიდან უკრაინელმა მფრინავებმა უბედურების ზონი-

დან ათასობით დევნილი გამოიყვანეს. საბედნიეროდ, ამას ამინდმაც შეუწყო ხელი. 10 ოქტომბრისათვის უღელტეხილი უკვე გადმოვლილი ჰქონდა 70 ათას დევნილს.

ზ. გამსახურდია „აღმოსავლეთისაკენ" ლაშქრობამდე დასავლეთ საქართველოში თავისი ხელისუფლების აღდგენით იყო დაკავებული. მძიმე გასაჭირის დროს, როცა სხვა ხალხების შვილები უანგაროდ გვეხმარებოდნენ, ლ. ქობალიას შენაერთები ქართული ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობას „გრადებით" და „ნურსის" ტიპის რაკეტებით ბომბავდნენ. 5-6 ოქტომბერს ისინი უტევდნენ სამტრედიას, ხონს, ოზურგეთსა და ლანჩხუთს („სრ" 1993:220). მათთვის აქტიური წინააღმდეგობის გასაწევად ქუთაისის, ხონისა და სამტრედიის დაცვისათვის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით შეიქმნა გვარდიის სპეციალური რაზმები და მათი სამმართველო. ამ სამმართველოს საპატიო უფროსად დაინიშნა თ კიტოვნი(?) ხოლო უფროსად ჯ. ჭუმბურიძე (იქვე).

8 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ოთხმხრივი მოლაპარაკება ბ. ელცინს, ე. შევარდნაძეს, ჰ. ალიევსა და ლ. ტერ-პეტროსიანს შორის. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა თანხმობა დსთ-ში შესვლის თაობაზე. შეთანხმდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვაში ოთხმხრივი ძალების მონაწილეობაზე (იქვე: 222).

მოსკოვიდან დაბრუნებულმა ე. შევარდნაძემ დაასაბუთა, რომ დსთ-ში შესვლა არავითარ საფრთხეს არ უქმნის საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ გადაწყვეტილებას ჯ. იოსელიანმა ვაჟკაცური ნაბიჯი უწოდა. მხარდამჭერთა შორის 12 ოქტომბერს ჩადგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 18 ოქტომბერს— მოქალაქეთა კავშირი, მალე პარლამენტის 132-მა წევრმა, ხელმოწერით დაადასტურა თავისი თანხმობა (იქვე:227).

თანამეგობრობაში შესვლა გაფორმდა 1993 წლის 9 დეკემბერს დსთ-ის აღმასრულებელი მდივნის ი. კოროტჩენიასა და ე. შევარდნაძის შეხვედრაზე. 24 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უკვე მონაწილეობდა თანამეგობრობის სახელმწიფოს მეთაურების თათბირში, როგორც სრულუფლებიანი წევრი (იქვე:271).

თანამეგობრობაში საქართველოს შესვლისა დ მონაწილეობის საკითხი დღემდე არის პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერების, პარტიებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის კამათის საგანი. ეს თემა ცალკე შესწავლას მოითხოვს. ამიტომ ამჯერად ფაქტის მხოლოდ კონსტანტაციით დავკმაყოფილდები. ვიტყვი მხოლოდ, რომ

ყველაზე მწვავე რეაქცია ამ მოვლენაზე ერთ-ერთმა გავლენიანმა პოლიტიკურმა პარტიამ—ეროვნულმა დემოკრატებმა გააკეთეს. ამ პარტიის თავმჯდომარემ გ. ჭანტურიამ მიატოვა ხონის დაცვის შტაბის ხელმძღვანელობა და თბილისში დაბრუნდა, მისი მეუღლე ი. სარიშვილი კი პროტესტის ნიშნად ვიცე-პრემიერობიდან გადადგა.

დსთ-ში შესვლის მთავარი მიზანი, ცხადია, სამოქალაქო ომში რუსეთის მხრიდან დახმარების აღმოჩენის იმედი იყო.

დამხარე ძალებს ეძიებდა ლ. ქობალიაც. 10 ოქტომბრის ცნობით, გუდაუთაში იგი შეხვდა არძინბას. ამით დადასტურდა, რომ სეპარატისტთა ლიდერი და საქართველოს ექს-პრეზიდენტი დიდი ხანია იყვნენ ალიანსში. ხოლო გუდაუთაში შეხვედრის შედეგად 12 ოქტომბერს სოფელ მარანთან უკვე გამოჩდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის „ბოევიკები" (იქვე: 224). აქედან ამბოხებულები ღამღამობით ბომბავდნენ სამტრედიას. შეტევაზე გადმოსვლას კი ვერ ბედავდნენ, რადგან ძალებში უპირატესობა, ჯერჯერობით, მთავრობის ჯარებს ჰქონდათ. მალე მათ შემოემატათ აფხაზთა და ჩეჩენთა რაზმები. 17 ოქტომბერს ამბოხებულებმა შეტევით აიღეს სამტრედია. ორიოდე დღის შემდეგ—ხონიც. 18 ოქტომბერს დაიკავეს ლანჩხუთი.

13 ოქტომბერს ზ. გამსახურდიამ ზუგდიდში მიტინგზე განაცხადა, რომ აფხაზებმა არ შეასრულეს შეთანხმება და გალის რაიონში შემოვიდნენ. მაგრამ სეპარატისტები ამასაც არ დასჯერდნენ და ისარგებლეს ლ. ქობალიას ძალების სამტრედიასა და ლანჩხუთისათვის ბრძოლებით, დაიკავეს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების რამდენიმე სოფელი. ისინი იქ ძარცვით არ დაკმაყოფილდნენ. გზების დანაღმვა და გამაგრებათა შენება დაიწყეს (იქვე. 228).

მძარცველები არ აკლდა ფოთსა და სენაკსაც. პირველში იდგა 150, ხოლო მეორეში –200 მთიელი „ბოევიკი". გაძარცვეს ფოთის ბანკი. წაიღეს 281 ათასი დოლარი (იქვე).

18 ოქტომბერს ექს-პრეზიდენტის შეიარაღებული ფორმირებები კოპიტნარს მოადგნენ, ე.ი. უშუალოდ ქუთაისს დაემუქრნენ. ომის ამ ეტაპის შესახებ დ. მჭედლური წერს: „სამტრედიის აღების შემდეგ, ექს-პრეზიდენტის ჯარებს რომ შეტევა განეგრძოთ, უეჭველად აიღებდნენ ქუთაისს, ალბათ, ლიხის ქედსაც გადალახავდნენ და დედაქალაქამდეც ჩააღწევდნენ, სადაც მათ ძირითადად პენსიონერთაგან შემდგარ „თბილისელმოქალაქეთა" უიარაღო ლაშქართან მოუწევდათ შებმა. მაგრამ დამხობილი პრეზიდენტი, თავისი პირადი თვისებებით არ იყო „გამარჯვების შემძლებელი", ვერ გამოიყენა აშკარა უპირა-

ტოსობა და მანამდე იცადა ერთ ადგილას, სანამ მის წინააღმდეგ თავი არ მოიყარეს მნიშვნელოვანმა სამთავრობო ძალებმა“ (მჭედლური 1995:220).

სამთავრობო ჯარებს დამხმარე ძალა გაუჩნდა რუს მეზღვაურთა სახით. ისინი ფოთის აკვატორიაში შემოვიდნენ ე. შევარდნაძის თხოვნით, რომლის მიზეზადაც დასახელებული იყო ფერადი ლითონების გატანის აღკვეთა.

მალე სამოქალაქო ომში გარდატეხა მოხდა. მართალია, 20 ოქტომბერს პრეზიდენტყოფილის მომხრეებმა აქტიური საბრძოლო ოპერაცია წამოიწყეს წყალტუბოსა და კოპიტნარის ასაღებად, მაგრამ მთავრობის ჯარებმა შეინარჩუნეს პოზიციები. შემდეგ კონტრშეტევაზეც გადავიდნენ, ამ მიმართულებებზე უკუაგდეს მოწინააღმდეგე, დაიკავეს ლანჩხუთი, მოიგერიეს შეტევა ვანზე (იქვე:229).

პირველი წარმატებებით გულმოცემულმა რესპუბლიკის პროკურატურამ გასცა ზ. გამსახურდიას და ლ. ქობალიას დაპატიმრების სანქცია. 27 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს პროკურატურის გადაწყვეტილება სამშობლოს ღალატისა და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების თაობაზე. იგი შეეხებოდა: ბ. გუგუშვილს, ნემო ბურჭულაძეს, ნუგზარ მოლოდინაშვილს, თამაზ ვაშაკიძეს, თ. ბარამიძეს, ზვიად ძიძიგურს, სოსო ჟღენტს, აკაკი ელიავას[1] (იქვე:233).

21 ოქტომბერს სამთავრობო ჯარები შევიდნენ ხონში, 22 ოქტომბერს—სამტრედიაში, 25 ოქტომბერს—ფოთში, 26 ოქტომბერს—სენაკში, 28 ოქტომბერს—ხობში და გავიდნენ ზუგდიდის მიმართულებით.

29 ოქტომბერს ლ. ქობალიამ დაიბრუნა სენაკი, ხოლო შემდეგ—ხობი. 31 ოქტომბრისათვის მთავრობის ჯარები იდგნენ: მარტვილში, ძველ სენაკსა და ახალ სენაკში. 4 ნოემბრისათვის კი ხობში[2] (იქვე:240). 5 ნოემბერს მათ დაიკავეს ჩხოროწყუ.

---

[1] ა. ელიავა შემდეგ შემოერიგეს, სამხედრო სამსახურში ჩარიცხეს, პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. 1998 წლის 19 ოქტომბერს მან სამხედრო პუტჩი წამოიწყო, მაგრამ დამარცხდა და კვლავ გაიქცა.

[2] ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების „დაკავება-განთავისუფლება“, რომ უმძიმესი შედეგებით მთავრდებოდა ეს თვალნათლივ ჩანს ხობის მაგალითზე, 1992-1993 წლებში იგი ოთხჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ეს ქალაქი ფოთისა და სენაკის შემდეგ ყველაზე უფრო დაზარალდა. კერძოდ, დაინგრა 3 სკოლა, 5 საბავშვო ბაღი, ორმოცამდე საცხოვრებელი სახლი 30 საავადმყოფო და საყოფაცხოვრებო ობიექტი, 6 ადმინისტრაციული შენობა, ხიდები. დაიტაცეს უამრავი საზოგადოებრივი და კერძო ავტომანქანა. გაძარცვა თითქმის ყველა საწარმო და მოსახლეობა (,,სარ“ 1994:68).

26 და 28 ოქტომბერს მოხდა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი მოვლენა: 1. სოხუმში გაიმართა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის სხდომა. მან ერთხმად დაუჭირა მხარი აფხაზ სეპარატისტებს, თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას მოეხსნა აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადა და გამოაცხადა, რომ იგი აფხაზეთში სტოვებს თავისი შეიარაღებული ძალის შეზღუდულ კონტინგენტს. 2. აფხაზეთიდან ზუგდიდში შევიდა 10 ავტობუსი, დატვირთული კავკასიის კონფედერაციის „ბოევიკებით" და საბრძოლო ტექნიკით (იქვე:236).

ამან დას. საქართველოში ისე გაამწვავა ვითარება, რომ ბრძოლისათვის კოორდინაციის გასაწევად 29 ოქტომბერს იქ გაემგზავრა ე. შევარდნაძე. მან მიმართა სამეგრელოს მოსახლეობას დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და ჩაებარებინათ იარაღი. ასეთ შემთხვევაში მთავრობის ჯარები აღარ შევიდოდნენ ქალაქებსა და სოფლებში.

30 ოქტომბრიდან რკინიგზას ფოთი-ქუთაისი იცავდა რუსეთის ჯარები. 4 ნოემბერს შავი ზღვის აღმოსავლეთ რაიონში მზადდებოდა დიდი დესანტი შავი ზღვის სამხედრო ფლოტისა ადმირალ ვ. ბალტინის მეთაურობით. მას უნდა დაეცვა საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალები, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურები (იქვე:237). მაშასადამე, რუსეთის სამხედრო კონტინგენტის დახმარებაზე საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ომის დროს, მაგრამ დიდი ხვეწნის შედეგად მოიხმეს ისინი საკუთარი ხალხის ამბოხებული ნაწილის „დასამშვიდებლად".

ჩხოროწყუს აღების შემდეგ, თუ მთავრობის ჯარები წალენჯიხას დაიკავებდნენ, ზუგდიდი ალყაში აღმოჩნდებოდა, ტყვედ ჩავარდნის შიშით დამფრთხალმა ამბოხებულებმა 6 ნოემბერს უბრძოლველად დათმეს ზუგდიდი. ექს-პრეზიდენტის შტაბი დროებით გალში გადავიდა, აფხაზებმა იგი ამჯერადაც უპროტესტოდ მიიღეს.

ე. შევარდნაძე 7 ნოემბერს ზუგდიდში ჩავიდა. 9 ნოემბერს იგი იქ შეხვდა ე. ბალტინს. რუსი მედესანტეები ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ქალაქში წესრიგის დამყარებაში ხელს უწყობდნენ ქართულ პოლიციას. 18 ნოემბერს ო. ფაცაცია შეუთანხმდა ე. ბალტინს, რომ საქართველოს სატრანსპორტო ობიექტების დასაცავად დარჩებოდა მხოლოდ 250 ქვეითი ჯარისკაცი და 3 ხომალდი (იქვე:248). 20 ნოემბერს საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად

და ვადაზე ადრე რუსმა მეზღვაურებმა დატოვეს ფოთი. დარჩა მხოლოდ მათი კომენდატურა (იქვე:251).

ზუგდიდის დაკავების შემდეგ დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი. საქართველოში ძირითადად აღდგა რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობა. ელექტროხაზების დაზიანების გამო იყენებდნენ თბომავლებს.

დასავლეთ საქართველოს უმთავრეს რაიონებში გრძელდებოდა გამოცხადებული საგანგებო წესების მოქმედება. ლ. ქობალიას მოწოდებით „ტყეში" გასული შეიარაღებული ჯგუფები დროდადრო ესხმოდნენ თავს მთავრობის მომხრე ნაწილებს. მთელ საქართველოში არაჩვეულებრივი მასშტაბები მიიღო მარადიორობამ და ბანდიტიზმმა. ხელისუფლებამ 20 დეკემბრიდან 20 იანვრამდე გააგრძელა საგანგებო წესების მოქმედება თბილისსა და ქუთაისში, კომენდანტის საათი—დასავლეთ საქართველოს ქალაქების უმრავლესობაში. საქმეს ესეც ვერ შველიდა. მძარცველები არ ზოგავდნენ ლტოლვილებსაც კი. მათი ჭუბერის ზონაში ყოფნის დროს იქ ჩავიდნენ კარგად ორგანიზებული ბანდები: დმანისიდან, ბოლნისიდან, მარნეულიდან, ზუგდიდიდან, გარდაბანიდან, წყალტუბოდან, მარტვილიდან და ზოგიერთი სხვა რაიონებიდან. მათ განაიარაღეს აფხაზეთიდან მომავალი მეომრები და უკანასკნელ პერანგამდე გაძარცვეს ისედაც გაუბედურებელი ლტოლვილები (იქვე:231).

თვით ე. შევარდნაძე ვითარებას ასე ახასიათებდა: როცა ფრონტისპირა ტერიტორიაზე ვიყავი ან სამტრედიიდან სამეგრელოს რაიონებისაკენ მივდიოდი, დავინახე გატაცებული საქონლისა და მანქანების მთელი წყება, „ვხედავდი ამ ფაქტებს, მაგრამ უძლური ვიყავი" (იქვე:246). მისივე შეფასებით, ამ დროისათვის მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია უფრო უარესი იყო, ვიდრე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე (იქვე:249). თუ როგორ დაიწყო კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლა, ზემოთ უკვე გავაცანი მკითხველს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლაზე საქართველოს მიერ თანხმობის გამოცხადების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ვ. არძინბამაც დაიწყო კონტრღონისძიებების ძიება. ნოემბრის შუა რიცხვებში „მოსკოვსკიე ნოვოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ აფხაზეთი არ აპირებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ისწრაფვის რუსეთის ფედერაციაში შესვლისათვის („სრ" 1993:249).

ქართული მხარე ყოველთვის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების წინადადებებით გამოდიოდა. მისი ინიციატივით და გაეროს ეგიდით 1993 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს ჟენევაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება. საქართველოს დელეგაციას მეთაურობდა დიპლომატიურ საქმიანობაში სრულიად გამოუცდელი და პოლიტიკურ კურსზე ზერელე წარმოდგენების მქონე ჯ. იოსელიანი. დელეგაციებმა ხელი მოაწერეს „გაგების მემორანდუმს". მხარეებს კი საკითხის არსი სხვადასხვაგვარად ჰქონდათ გაგებული. ჯ. იოსელიანის თქმით, აფხაზებმა ცნეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა (თუმცა ამის თაობაზე მემორანდუმში არაფერია ნათქვამი), აფხაზები კი აცხადებდნენ, რომ მათ ჟენევაში არავითარი, ვალდებულებანი არ მიუღიათ (იქვე:260).

დეკემბრის შუა რიცხვებში ქართულმა მხარემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია აფხაზეთის საკითხზე. მის მიხედვით აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში უნდა მინიჭებოდა ფართო ავტონომიის სტატუსი, დეტალურად გამიჯნული უფლებამოსილებით (იქვე:265).

ეს პოზიცია გამოიკვეთა 15-16 დეკემბერს მოსკოვში ჩატარებული კონსულტაციების დროს. აფხაზები ერთხანს ითხოვდნენ საკითხის გადასაწყვეტად რეფერენდუმის მოწყობას. ორიოდე დღის შემდეგ მათმა დელეგაციამ რადიკალური პოზიცია დაიჭირა, რომლის მიხედვითაც: აფხაზეთის სტატუსი საქართველოს გადასაწყვეტი არ არის და ლაპარაკიც კი არ შეიძლება აფხაზეთის რაიმე ფორმით საქართველოს შემადგენლობაში დარჩენაზე (იქვე). უფრო მეტიც, არძინბა იმუქრებოდა: თუ ქართველები კვლავ შეიარაღებული ძალით შემოიჭრებიან აფხაზეთში, მაშინ ომს საქართველოს ტერიტორიაზე გადავიტანთ და თბილისამდე მივალთო (იქვე:271).

ერთადერთი მიკრორაიონი, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შეინარჩუნა თავისი კარმიდამო, იყო კოდორის (ლათას) ხეობა. არძინბას მიერ გამოგზავნილი მკვლელები და მძარცველები იქ არ შეუშვეს. მომდევნო წლებშიც იყო რამდენიმე ასეთი ცდა, მაგრამ ამაოდ. დიდი გაჭირვების ფასად ხეობა დღემდე საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიად ითვლება.

რუსეთის მასმედია და სამხედროები ხშირად აცხადებენ, რომ ენგურისპირეთში „მშვიდობისმყოფელთა" ძალების ჩაყენებით მათ აქ მოახერხეს მოწინააღმდეგეთა დაშორიშორება და საომარ მოქმედებათა შეწყვეტა. ეს მტკიცება რომ სინამდვილეს არ შეეფერება, ამას ადასტურებს მათივე სააგენტოს „იტარ-ტასის" 1993 წლის დე-

კემბრის დასაწყისში გამოქვეყნებული ცნობა. იუწყებოდნენ, რომ აფხაზეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა დატოვეს ენგურის გასწვრივ გამაგრებული ხაზი და 25 კმ-ით უკან მდ. ღალიძგაზე, ქალაქ ოჩამჩირის განაპირას გადაინაცვლეს. ე.ი. ომის შეწყვეტა და ძალთა დაშორიშორება აქ რუს სამხედროთა მოსვლამდე კარგა ხნით ადრე მოხდა. ასე რომ, მდინარე ღალიძგის ნაცვლად ენგურზე საზღვრის დაფიქსირება და თორმეტკილომეტრიანი ზონის მდინარის აღმოსავლეთით გადმოტანა ბ. პასტუხოვისა და რუსი „მშვიდობისმყოფარეების“ დამსახურებაა.

დასასრულ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო: დსთ-ში საქართველოს შესვლის საპროტესტოდ შეიქმნა რამდენიმე ოპოზიციური პარტია. ამის გამო ე. შევარდნაძემ გადაწყვიტა გაეჩინა დასაყრდენი პოლიტიკური ძალა. 21 ნოემბერს თბილისში, დიდ საკონცერტო დარბაზში, გამოცხადდა ახალი პოლიტიკური პარტიის „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ შექმნა. დამფუძნებლები იყვნენ: თბილისის მოქალაქეთა კავშირი, მწვანეთა პარტია და მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა“. კავშირს სათავეში ედგა ე. შევარდნაძე. გენერალურ მდივნად აირჩიეს ზ. ჟვანია (იქვე: 251).

თავი მეოთხე

1994 წელი

„არ გქონდეს რაიმე იგივე როდია, რაც გაკლდეს რაიმე, თუ არა გაქვს ის, რაც არასოდეს არ გქონია და რასაც არ მიეჩვეოდართ, ეს ჯერ კიდევ არ არის გასაჭირი, მაგრამ თუ ჩვენ დაგვაკლდება ის, რასაც მიეჩვეოდართ, ჩვენ წინაა დანაკლისი, გასაჭირი“.

ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)

1994 წლის დასაწყისისათვის ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ასეთი სურათი აქვს წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის მაშინდელ სპიკერს—ვახტანგ გოგუაძეს: ჩვენ ომიდან გამოვედით, მაგრამ „დღეს ომმა სახე იცვალა, მან სოციალური გარდასახვა მიიღო. ჩვენივე თანამოძმე ცდილობს, საბოტაჟის ფორმით ყელი გამოღადროს მის სასიცოცხლო ძარღვებს, რაც ჯერ კიდევ ფეთქავს— მოშალოს ენერგოსისტემა, ხელში ჩაიგდოს საწვავი და არ მისცეს ქვეყანას სასიცოცხლო მოძრაობის საშუალება, ქვეყანას ულმობლად სპობს ავტომატიანი და ჰალსტუხიანი ყაჩაღი. განადგურდა ხაზინა. პრაქტიკულად ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც აღარ გააჩნია ფული. ხალხი წყდება, დასევდიანდა, გაუბედურდნენ ბავშვები და ქალები. დღითიდღე ეცემა შემაკავებელი, ჯერ კიდევ შემორჩენილი ნორმები ზნეობისა“ („სრ“ 1994:6).

ეკონომიკის ქოლაფსში ყოფნის დასტურად ერთი ასეთი მონაცემის დასახელებაც იკმარებს: საქართველოს ეროვნულმა პროდუქტმა 1993 წელს 1987 წელთან შედარებით 30-35% შეადგინა (იქვე: 76). ამ ვითარებიდან გამოსვლის ერთგვარ გზად მაშინ ვ. გოგუაძეს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება და სამანეთო ზონაში შესვლა მიაჩნდა. მაგრამ, როგორც მალე აღმოჩნდა, სახელმწიფოს მეთაური უფრო ეფექტური ზომების მიღებას ითვალისწინებდა. 8 თებერვალს გამოქვეყნდა მისი ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამისა და 1994-1995 წლებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების შესახებ“. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა საფუძვლიანი

დასაბუთებულობისა, პროგრამის განხორციელებას დიდი წინააღმდეგობები ეღობებოდა და ბევრი მათგანი შეუსრულებელი დარჩა. მოსალოდნელია, ეს ბრძანებულების ავტორებსაც კარგად მოეხსენებოდათ. მაგრამ მის გამოქვეყნებას, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გარდა, ის დანიშნულებაც ჰქონდა, რომ ოპოზიცია ე. შევარდნაძეს მუდმივად უკიჟინებდა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში პროგრამის უქონლობას და ახლა ასეთ საყვედურებს საფუძველი გამოეცალა, მისი არსებობა დოკუმენტურად დამტკიცდა.

თანამედროვე ეკონომიკის და მისგან გამომდინარე სოციალური ვითარების საფუძველთა-საფუძველს ენერგეტიკა წარმოადგენს. 1994 წლის დასაწყისში ამ სფეროში მთლად უნუგეშო მდგომარეობა როდი სუფევდა. ელექტროენერგეტიკაში ამინდს ენგურჰესი ჰქმნიდა. მისი ვარდნილი ქვესადგურები და მნიშვნელოვანი აგრეგატები გალის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. მაშასადამე, მათ აფხაზური მხარე აკონტრლებდა. მაგრამ, ჯერჯერობით, ხერხდებოდა მათთან შეთანხმებული მუშაობის განგრძობა, რაც სამეგრელოსა და მისი მეზობელი რაიონებისათვის ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდების საშუალებას იძლეოდა (იქვე:7). მომდევნო ხანებში აფხაზმა სეპარატისტებმა ენგურჰესის საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ბერკეტად გამოყენება დაიწყეს და ვითარება უარესი გახდა.

ცუდად მუშაობდა გარდაბნის თბოელექტროსადგურიც. თებერვლის მეორე ნახევარში ენერგოკრიზისი იმდენად გამწვავდა, რომ 19-დან 26 თებერვლამდე ოფიციოზის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემაც კი ვერ მოხერხდა.

ენერგოკრიზისის უმთავრესი მიზეზი იყო ბუნებრივი აირის უქონლობა. 1994 წლის მარტის დასაწყისში მთავარი მომწოდებელი თურქმენეთი საქართველოს ყოველდღიურად 19,5 ათას კბმ გაზს აწვდიდა. ათასი კბმ გაზი ღირდა 80 დოლარი. იმ დროს საქართველოს გაზის მომწოდებლის 200 მილ. დოლარი ვალი ჰქონდა (იქვე: 25).

ასეთ პირობებში აუცილებელი იყო კრედიტებისა ან ინვესტიციების მიღება. მაგრამ არასტაბილური მდგომარეობის გამო ეს გზები საქართველოს, ფაქტობრივად, გადაკეტილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ე. შევარდნაძის პირადი ავტორიტეტის გათვალისწინებით, მსოფლიო ბანკს ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში საქართველოსათვის 70 მილიონიანი კრედიტი შეუთავაზებია. ეს დოკუმენტი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს რეზოლუციით გადაუგზავნია ვიცე-პრემიერ რ. გოცირიძისათვის. მისგან კი კრედიტის მიღების საქმეს მომდევნო მსვლელობა აღარ ღირსებია (იქვე: 40).

უფრო ადრე გაცილებით მეტი ხმაური გამოიწვია 200 მილიონიანი კრედიტის თითქოს დაკარგვის ე. შევარდნაძეზე გადაბრალებამ. მას სახელმწიფო მეთაურს ყოფილი პრემიერი უყენებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ბანკის დოკუმენტისათვის თავად სიგუას არ მიუცია სათანადო მსვლელობა (იქვე: 19). თანაც, მიღებული საბუთი სულაც არ ნიშნავდა, რომ მსოფლიო ბანკი აუცილებლად მისცემდა საქართველოს 200 მილიონიან კრედიტს. ასე რომ, თ. სიგუას მიერ წამოწყებული დემარში პოლიტიკური შანტაჟი უფრო იყო, ვიდრე ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი ქვეყნის გადარჩენისათვის ზრუნვა. მართლაც, რეალური დახმარება გაცილები მცირე აღმოჩნდა. ევროკავშირმა საქართველოს პროდუქტების შესაძენად დამატებით გამოუყო 3,8 მილ ეკიუ (იქვე: 62).

დსთ-ში საქართველოს შესვლის პროცესი კი თანდათან სამართლებრივ სახეს ღებულობდა. 1 მარტს პარლამენტის დადგენილებით, საქართველო შეუერთდა თანამეგობრობის წესდებას. ე. შევარდნაძის თქმით, ეს პოზიტიური აქტი იყო, რადგან აქამდე ამ ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსი გვქონდა. ამიერიდან კი სრულად შეგვეძლება ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვა და თანამეგობრობის დიდი შესაძლებლობების საკუთარი პრობლემების მოგვარებისათვის გამოყენება (იქვე: 34).

დსთ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მომდევნო თათბირი შედგა 15 აპრილს. ხელი მოაწერეს 17 დოკუმენტს. მათ შორის ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ დადგენილებას: 1. „დსთ-ის მონაწილე სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ". 2. „ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების შესახებ". ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად 4 აპრილის შეთანხმებისა, კონფლიქტის ზონაში კვლავ გრძელდება შეტაკებანი და ვითარება საერთოდ რთულია, იმდენად, რომ შეიძლება საომარ მოქმედებაში გადაიზარდოს. თანაც, ყოვნდება ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი, საფრთხე ემუქრება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

შეხვედრის მონაწილენი მოუწოდებდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მიეღო გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების თაობაზე. თუ ასეთი ღონისძიება უახლოეს ხანში არ იქნება მიღებული, მაშინ კოლექტიური უშიშროების საბჭო აცხადებს, რომ მზად არის კონფლიქტის მონაწილე მხარეების

თანხმობით კონფლიქტის ზონაში შეიყვანოს ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ჯარის კონტიგენტისაგან შედგენილი სამშვიდობო ძალები. ასეთი აქცია განხორციელდება, მასზე გაეროსა და ეუთოს თანხმობის შემთხვევაში (იქვე: 63). ასეთი დადგენილების მიღების საფუძველი გახდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში იმ დროისათვის არსებული ვითარება და არძინბას შეურიგებელი პოზიცია.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გუდაუთის რადიოთი გამოსვლის დროს სეპარატისთა ლიდერმა განაცხადა, რომ აფხაზეთი ომში გამარჯვებულია და პირობებს იგი უნდა კარნახობდეს და არა საქართველო. მოლაპარაკება შეიძლება გაიმართოს აფხაზეთსა და საქართველოს შორის, როგორც ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტისა, ჩვენ მზად ვართ გავაფორმოთ ხელშეკრულება საქართველოსთან, ისევე როგორც რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. რაც შეეხება ლტოლვილებს, აფხაზეთში ის ვერ დაბრუნდება, ვინც საოკუპაციო ჯარებს პურმარილით შეეგება და მათ მხარეზე იბრძოდაო დაუმატა მან (იქვე:2). იგივე არძინბამ გაიმეორა არაერთხელ და შემდეგშიაც ეს ჯიუტი პოზიცია არ შეუცვლია. იგი არაფრად დაგიდევდათ, რომ საკითხის ასე დაყენება ეწინააღმდეგება ჟენევის მოლაპარაკებათა პრინციპს—ლტოლვილთა უპირობო დაბრუნების თაობაზე.

არძინბას ბევრი არაფერი ჰქონდა ომში გამარჯვების გამო სატრაბახო და საყოყლოჩინო: „ნეზავისიმაია გაზეტას“ კორესპონდენტს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ იგი თვითდაჯერებული პიროვნებაა. მაგრამ ძლიერ ეშინია ქართველთა მიერ ომის დაწყებისა. ამიტომ სოხუმში უამრავ მოხალისესა და დაქირავებულს აკავებს. ისინი, ფაქტობრივად, აღვირახსნილი მოთარეშენი არიან. კაზაკთა ერთმა მთვრალმა ატამანმა მესროლა კიდეცო, აღნიშნავდა კორესპონდენტი. მისი გადმოცემით, გალის რაიონი მკვდარი ზონაა. საკონტროლო გამშვები პუნქტის უფროსს ქიშმარიას მისთვის უთქვამს: ახლანდელი ტრაგედია შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, რომ გალის რაიონის მოსახლეობა არ აჰყოლოდა პროპაგანდას და არ გაქცეულიყო საქართველოშიო. ქ. გალში 30 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 100 მოხუცი და ავადმყოფი თუ იყო დარჩენილი[1] (იქვე: 14).

[1] სამწუხაროდ, ჭართული მოსახლეობის ტრაგედია ამით არ დამთავრებულა. მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურების გამო, გალის რაიონში ლტოლვილთა ერთი ნაწილი დაბრუნდა. 1998 წლის 19-25 მაისს აფხაზებმა მათ წინააღმდეგ აგრესია წამოიწყეს. არც რუსმა „მშვიდობისმყოფელებმა“ და არც საკუთარმა ხელისუფლებამ ასინი არ დაიცვა. იმ დღეებში გალის რაიონიდან ხელახლა გამოქცეულ 41676 მცხოვრები. დაიღუპა 61 კაცი. დაიჭრა 24, მძევლად აიყვანეს 45. გადაწვეს და გაანადგურეს 2106 სახლი („ლს“ 1998:21).

ქართული მოსახლეობის მიმართ დანაშაულებანი აფხაზეთში არნახული სისასტიკით გრძელდებოდა. ქართულმა მხარემ მათი შესწავლის მიზნით შექმნა კომისია, რომელმაც დიდძალი მასალა მოიპოვა. აფხაზი სეპარატისტების მიერ წამებით მოკლულ ქართველთა მხოლოდ ანკეტურ მონაცემებს რამდენიმე ათეული გვერდი უჭირავს (იქვე:9).

საქართველოს ხელისუფლება ასეთ მოქმედებათა საწინააღმდეგოდ ღებულობდა დადგენილებებსა და საკანონმდებლო აქტებს, მაგრამ მათ საზოგადოებრივი აზრის წინაშე ვალის მოხდის დანიშნულება უფრო ჰქონდათ ვიდრე ქმედითობა. ასეთი იყო, მაგალითად, პარლამენტის 10 მარტის დადგენილება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დათხოვნისა და პროკურატურისათვის დავალების შესახებ პასუხისგებაში მიეცათ აფხაზი დეპუტატები (იქვე: 39).

1994 წელს საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიან გზით მოგვარებისათვის ზრუნავს. 11 იანვარს ჟენევაში დაიწყო ქართველ-აფხაზთა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი. მასში მონაწილეობდნენ გაეროსა და რუსეთის წარმომადგენლებიც. მარტო ეს ფაქტიც კი საკმარისი გახდა, რომ ე. შევარდნაძეს გამოეთქვა იმედი კონფლიქტის ჩქარა დარეგულირების თაობაზე. „მისი მოგვარება იქნება კლასიკური მაგალითი იმისა,— ამბობდა იგი,— თუ როგორ შეიძლება მოკლე დროში გადაწყდეს კონფლიქტის მოგვარების საკითხი გაერთიანებული ძალისხმევით (იქვე: 11).

19 თებერვალს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა მიიღეს კომუნიკე. მასში აისახა აფხაზთა პოზიცია. ისინი მოითხოვდნენ სამშვიდობო ძალებად აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების გამოყენებას. ქართულ მხარეს კი მიაჩნდა, რომ კონფლიქტის ზონაში გაეროს „ცისფერი ჩაჩქანები“ უნდა ჩამდგარიყვნენ. კომუნიკეში ჩაიწერა: „მხარეებმა კვლავ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ კონფლიქტის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალების ან გაეროს მიერ სანქცირებული სხვა ძალების განლაგებას“. (Надарейшвили 1996:289).

ჟენევის მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ, რომ 10 თებერვლიდან დაიწყებოდა აფხაზეთში ხიზანთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თანდათანობით პროცესი. პირველ ეტაპზე ეს მოხდებოდა გალის რაიონში. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის

მიზნით შეხვედრა გაიმართებოდა 8 თებერვლიდან. გაერო, ევროთათბირი და რუსეთის ფედერაცია მხარეებს მოუწოდებდნენ ეხელმძღვანელათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესების უზრუნველყოფის პრინციპებით (იქვე: 220).

გუდაუთის რეჟიმი ასეთ მოლაპარაკებებს მხოლოდ შირმად იყენებდა, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას ყოველმხრივ აბრკოლებდა. თანაც აგრძელებდა ქართველთა გენოციდს და ეთნიკურ წმენდას. 7 და 8 თებერვალს მათ გალში დამსჯელი ექსპედიცია შეგზავნეს და ახალი უბედურება დაატრიალეს. ამის გამო ქართულმა მხარემ ჟენევის მოლაპარაკებათა მესამე რაუნდში მონაწილეობაზე უარი განაცხადა („სრ" 1994:10).

კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების განლაგების საკითხი განიხილეს ე. შევარდნაძის აშშ-ში 6-10 მარტს გამართული ვიზიტის დროს. იგი სიტყვით გამოვიდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე. პრეზიდენტმა კლინტონმა მხარი დაუჭირა გაეროს სამშვიდობო ძალების გამოგზავნას, მაგრამ მათში აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის გარეშე. გაეროს გენერალურ მდივანთან, ბუტროს გალისთან, შეხვედრაზე მას საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა გააცნო კონფლიქტის მოგვარების ძირითადი პრინციპები. იგი გულისხმობდა აფხაზეთში საერთაშორისო მმართველობის შემოღებას, არჩევნების ჩატარებას საერთაშორისო მეთვალყურეთა მონაწილეობით, აქამდე კი საერთაშორისო დირექტორატის შექმნას. აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო დროებითი შერეული ადმინისტრაცია.

მაგრამ ქართულ მხარეს რა კარგი პროექტიც უნდა ჰქონოდა, აფხაზები მისთვის ანგარიშის გაწევას არ აპირებდნენ. მათი მცდელობით უშედეგოდ დამთავრდა კიდევ ერთი მოლაპარაკება, რომელიც 7-9 მარტს მიმდინარეობდა (იქვე: 35).

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებაში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტებს. ერთში –„შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილგადანაცვლებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ" ნათქვამია, რომ მხარეები შეთანხმდნენ, ითანამშრომლონ და თანხმობით იმოქმედონ ლტოლვილთა და ადგილგადანაცვლებულ პირთა უსაფრთხო, მშვიდობიანი და ღირსეული დაბრუნებისათვის გარანტიების შესაქმნელად (Нададрейшвили 1996:269). ამ შეთანმხებათა კომენტირებისას ქარ-

თული მხარე აცხადებდა, რომ დაიწყო კონფლიქტის პრაქტიკული მოწესრიგების პროცესი. ყოველ შემთხვევაში ლტოვილთა გალის რაიონში დაბრუნებას თითქოს ხელს არაფერი უშლიდა. მაგრამ შეთანხმება შეიცავდა ისეთ მუხლს, რომელიც აფხაზებს საშუალებას აძლევდათ თავის სასარგებლოდ გაეკეთებინათ მისი ინტერპრეტაცია. კერძოდ, დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში სეპარატისტთა წინააღმდეგ.

ამ შენიშვნამ, ფაქტობრივად, ჩაშალა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი.

რაც შეეხება სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში განლაგებას, რომლის იმედიც ქართულ მხარეს და, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მეთაურს ჰქონდა, იგი შეიძლებოდა დადებითად გადაწყვეტილიყო მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილებით. ასეთის მიღებაზე კი ფინანსური მოსაზრებების გამო თავს იკავებდნენ („სრ" 1994:53). თუმცა, 25 მარტს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ მეათე რეზოლუციაში მხარეებს რჩევა ეძლეოდა გაენახლებინათ მოლაპარაკება მშვიდობიანი პროცესის სასარგებლოდ, ხელი შეეწყოთ ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნებისათვის და შეექმნათ პირობები აფხაზეთში სამშვიდობო ძალების განლაგებისათვის (იქვე: 49).

4 აპრილის შეთანხმებებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია საპარლამენტო ოპოზიციის მხრივ. მოითხოვეს მისი დენონსაცია და მთავრობის ნდობის საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. ოპოზიციონერი დეპუტატები ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის ამ დოკუმენტების მიმართ დამოკიდებულების შეფასებისას არ ერიდებოდნენ გამოთქმებს: „ანტიეროვნული", „ანტისახელმწიფოებრივი" და „დანაშაულებრივი" (იქვე: 58). ოპოზიციამ თავისი წინადადებები პარლამენტის სხდომაზე ვერ გაიტანა, მაგრამ 4 აპრილის დოკუმენტთა მართებური შეფასების დროს გამოთქმული ბევრი შენიშვნა, მართლაც, სწორი აღმოჩნდა.

აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა ს. შამბამ იმავდროულად განაცხადა, რომ 4 აპრილის შეთანხმებებზე ხელმოწერით ქართულმა მხარემ აღიარა აფხაზეთის კონსტიტუცია. სხვები კი მალავდნენ, რომ აფხაზთა მხარემ საქართველოს დელეგაციას შესთავაზა გალის რაიონის დათმობის ხარჯზე აფხაზეთის დამოუკიდებლობა ეცნო და ამის თაობაზე ფარული შეთანხმება შეიძლება კიდეც არსებობდეს.

13-15 აპრილს ჟენევაში გრძელდებოდა ქართველთა და აფხაზთა კონსულტაციები ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების საკითხებზე. ქართული მხარე მოითხოვდა სამშვიდობო ძალების განლაგებას მდ. ფსოუდან ენგურამდე. აფხაზები თანახმანი იყვნენ სასაზღვრო ზონად მხოლოდ ენგურის ორივე მხარის გამოყენებისა. გაეროს ექსპერტებმა შეიმუშავეს შუალედური პროექტი: ენგურის აფხაზურ მხარეზე შექმნილიყო დემილიტარიზებული ზონა, ქართული კი გამოცხადდეს შეიარაღების შეზღუდვის რაიონად, რომელსაც პატრულირებას ჩაუტარებდნენ გაეროს სამხედრო მეთვალყურეები. მხარეებისათვის ეს წინადადებანიც მიუღებელი აღმოჩნდა (იქვე: 62).

გაეროს გადაწყვეტილებათა ნაკლებეფექტურობის გამო ე. შევარდნაძემ 11 აპრილის რადიოინტერვიუში წამოაყენა აფხაზეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის პრინციპი (იქვე: 58). როგორც ცნობილია, საკითხის ასე დაყენება ძლიერ აქტუალურად და ახლებურ მიდგომად გამოცხადდა 1997 წლის შემოდგომიდან. გააქტიურებაზე რა მოგახსენოთ, ხოლო იგი რომ მოულოდნელად არ წამოჭრილა, ამაზე დასახელებული ფაქტიც მეტყველებს.

გარდა სხვა გამოგონილი მიზეზებისა, ლტოლვილთა საკითხის მოგვარებაში განხეთქილების ვაშლად აფხაზთა მხარე აყენებდა კოდორის ხეობაში შექმნილ ვითარებას. სეპარატისტები რამდენჯერმე შეეცადნენ აეღოთ ხეობაში განლაგებული სოფლები, ჩაეხშოთ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა. აფხაზი „ბოევიკების“ მორიგი გააქტიურება მოხდა 24 მარტს. ისინი არტილერიის გამოყენებით ბომბავდნენ ლათას ხეობის სოფლებს: ხუტიას, საკენს, გენწვიშს, აჟარას, გვინდრას და სხვ. დაიჭრა 22 და დაიღუპა 10 მშვიდობიანი მოქალაქე. მოსახლეობის მხარდასაჭერად ხეობაში იმყოფებოდნენ ო. ფაცაცია და ჯ. იოსელიანი. მოწინააღმდეგის რიცხვობრივი უპირატესობის მიუხედავად, ქართველები პოზიციებს მაინც არ თმობდნენ. აპრილის პირველ დეკადაში აფხაზებმა იქ თავი მოუყარეს 2000-მდე „ბოევიკს“ და დიდძალ ტექნიკას. ქართული მხარეც თავდაცვით ღონისძიებებს არ ზოგავდა. ხეობაში თითქმის მუდმივად იმყოფებოდა ვიცე-პრემიერი ა. მარგიანი (იქვე: 62).

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება დალის ხეობაში ქართველთა სასარგებლოდ შეიცვალა მაისის პირველ რიცხვებში. იქ ამ მიზნით გაიგზავნა ახალი ძალები (იქვე: 77). მომდევნო ხანებში აფხაზური მხარე დარწმუნდა, რომ შეიარაღებული ძალის გამოყენებით კოდორის ხეობაში გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწევდა, ამიტომ იგი

დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტას და აქაური სოფლების სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში ჩართვას, დათანხმდა რუსეთის დამატებითი კონტინგენტის შემოყვანაზე („СГ“ 1994:108). სამაგიეროდ, ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს უნდა დაეტოვებინათ ხეობა, გამოეტანათ ან გაენადგურებიათ ჯავშანტექნიკა და არტილერია. ეს პროცესი უნდა დამთავრებულიყო 30 ივლისისათვის. კონტროლისათვის ხეობაში შეიყვანეს ე. წ. „ცისფერიჩაჩქნიანთა“ ოცეულები. მიუხედავად ამისა, ქართული მხარე შეშფოთებული იყო, ვინაიდან აფხაზი ბანდიტების შეჭრის საფრთხე კვლავ რჩებოდა. მან შეთანხმების პირობები მაინც შეასრულა, რაც რუსმა სამხედროებმაც კი დაადასტურეს (იქვე: 162).

აფხაზეთში კონფლიქტის გამო შექმნილი არასახარბიელო საგარეო ვითარებასთან ერთად მძიმედ მიმდინარეობდა ქვეყნის შიგაპოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესიც. წინა წელს გამოცხადებული საგანგებო წესები რამდენჯერმე იქნა გაგრძელებული. პარლამენტის 17 იანვრის სხდომაზე მისი მოქმედების ვადა გადასწიეს 20 თებერვლამდე. ამავე რიცხვამდე გაგრძელდა კომენდანტის საათი დას. საქართველოს 24 ქალაქში („სრ“ 1994:15). 28 თებერვალს პარლამენტში ვერ შეთანხმდნენ მთელ საქართველოში საგანგებო წესების რეჟიმის შენარჩუნების თაობაზე. სხდომა ჩაიშალა. საგანგებო წესები ძალაში დატოვეს დას. საქართველოში (იქვე: 34). 22 მარტს იგივე რეჟიმი დასავლეთ საქართველოში ორი თვით გააგრძელეს (იქვე: 44).

ჭრელი პოლიტიკური მენტალიტეტის მქონე ქვეყანაში აზრთა დაპირისპირების ახალი საგანი გახდა ცნობა ექს-პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ. 5 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი მისი თვითმკვლელობის თაობაზე. მეუღლე, მანანა არჩვაძე აცხადებდა, რომ ეს მოხდა 1993 წლის 31 დეკემბერს და ოჯახის სურვილია გარდაცვლილი ქ. გროზნოში დაიკრძალოს. მეგობრის პატივსაცემად ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯ. დუდაევმა ამ ქალაქის ქუჩას და სკვერს მისი სახელი მიანიჭა (იქვე:8).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებამდე ზ. გამსახურდიას მოღვაწეობა „პროვინციულ ფაშიზმად“ შეაფასა (იქვე:3), მისი გარდაცვალების მიზეზების დადგენისა და გვამის იდენტიფიკაციისათვის მაინც შეიქმნა სამთავრობო კომისია ვიცე-პრემიერის ა. მარგიანის მეთაურობით. მიცვალებულის იდენტიფიკაცია კი მოხდა, მაგრამ ნეშტის გაკეთასა

და სამედიცინო შემოწმებაზე მ. არჩვაძემ კატეგორიული უარი განაცხადა. ამდენად სათანადო ექსპერტიზა არ ჩატარებულა და პრეზიდენტყოფილი მოკლეს თუ თვითმკელელობის მსხვერპლი გახდა, ზუსტად დადგენილი არ არის[1].

გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით გადმოგვცემენ შემდეგს: ზ. გამსახურდიას დაცვის უფროსს რ. მარგველანს ცხედარი მიუტანია ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხასკარში მცხოვრებ ვალიკო ზარანდიას ოჯახში. მასპინძლისთვის უთქვამს— ის ადგილი სადაც დაკრძალული გვყავდა გაყიდულია და სამი დღით დაიტოვეთო. შემდეგ სოფ. ობუჯიდან მოუტანია კუბო. ვ. ზარანდიას მიცვალებული თავის სახელოსნოში დაუკრძალავს („ა-ს" 1997:3).

ორმოცდაორი დღის შემდეგ 1994 წლის 17 თებერვალს, ნეშტი

---

[1] ეჭვ-პრეზიდენტის ჭკვრივში მ. არჩვაძემ შემდეგში ზ. გამსახურდიას მკვლელობაში მისი დაცვის უფროსი რობინზონ მარგველიანი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესო გუგუშვილი დაადანაშაულა. ამის სასასუბოდ რ. მარგველიანმა განმარტა: სამოჭალაჭო ომში დამარცხების შემდეგ პრეზიდენტყოფილი დათრგუნულ მდგომარეობაში იყო. სიკვდილისწინა ათი დღე შიშველობდა. იგი და მისი მხლებელი პირები მთიან სოფლებში ადგილს ყოველ 3-4 დღეში იცვლიდნენ, რადგან გრძნობდნენ რომ მდევრები სულ უფრო უახლოვდებოდნენ. მათ სცადეს ღლორიდან აფხაზეთში გაღწევა, მაგრამ აფხაზებმა არ მიიღეს.

30 დეკემბერს სოფ. ჯიხასკარში (გარდაცვალების 5 წლისთავზე დაზუსტებული ცნობით (გაზ. „რეზონანსი" 1999:21) ისინი ამყოფებოდნენ ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯში, კარლო ღურწკაიას ოჯახში) ერთ საიმედო ოჯახში იყვნენ. ეჭვ-პრეზიდენტი მუცლის ტკივილს ამიზეზებდა და საპელს არ ღებულობდა. იმ ღამეს გაგვაფრთხილა ხვალ ადგილი უნდა გამოვიცვალოთ, ამიტომ დაისვენეთო. დაწოლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სროლა მოგვესმა. ბ. გუგუშვილი, დაცვის მეორე წევრი ბაჩუკი გვანცელაძე და მე მივვარდით. „იგი ნახევრად გვერდულად იწვა. საფეთქელზე სისხლი ჰქონდა, ხოლო ხელში იარაღი ეჭირა". თავქვეშ ბიბლია ედო. ჩვენ მივითხოვდით ეჭსპერტიზის ჩატარებას, მაგრამ მეუღლემ სასტიკი უარი განაცხადა. ახლა კი იფენებს ეჭსპერტიზის ჩაუტარებლობას და ცილს გვწამებს. ჭერჭეროობით მე თავს ვიკავებ, თორემ შემიძლია პრეზიდენტთან მისი ურთიერთობის შესახებ ბევრი უსიამოვნო ფაქტი შევახსენო („ა-ს" 1998:24).

არსებობს ვერსია, რომელიც თითავითვე წამოაყენა ქართველთმოძულე ვ. ნოვოდორსკაიამ. მისი ნაბოდვრის მიხედვით, ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ არსებობდა შეთქმულება. იგი საქართველოში ჩამოიტყუეს და გაანადგურეს.

რუსეთში დაგეგმილი შეთქმულების მხვერპლად თვლის პრეზიდენტყოფილს რ. ჩხეიძეც. „მკვლელობა და არასდიდებით თვითმკელელობა", წერს იგი და ამატებს: ღვთისმოსავი იყო და რა სასოწარკვეთილებაშიც არ უნდა ჩავარდნილიყო „შიში ღვთის წინაშე, რელიგიური მოვალეობის შეგნება არ დაანებებდა საკუთარ სიცოცხლეზე ხელი აღემართაო" (ჩხეიძე 1998:178). მაგრამ ბ-ნ როსტომს კარგად მოესმენება, რომ ზ. გამსახურდიაზე უფრო ღრმად მორწმუნეებს დაუმთავრებიათ სიცოცხლე თვითმკელელობით, როცა დარწმუნებულან რა დიდი ცოდვები ჩაიდინეს თვით ღვთის და ერის წინაშე.

უფრო სწორი უნდა იყოს დ. მჭედლურის მოსაზრება—„სამართლიანი იქნება ვთვალაუდოთ, რომ ეჭვ-პრეზიდენტმა თავი მოიკლა უმძიმესი დეპრესის ქამს". თანაც, ამ ნაბიჯს მწერალი პოზიტიურად უთვლის მიცვალებულს და წერს: „მას, რომ ყველაფერი ეს (ჩამოთვლილია უბედურებანი რაც ამ ცოდვილმა ქვეყანასა და ხალხს დამართა—გ.მ.) მშვიდად გადაეტანა, უკანასკნელი არამშვიდი იქნებოდა, მაგრამ ამ ერთი გასროლით უამრავი ცოდვა და სირცხვილი ჩამოირეცხა" (მჭედლური 1995:229).

მიწიდან ამოიღეს. ამოცნობა ჩაატარეს მედიკოსებმა: თ. დეკანოსიძემ, ვ. ბოჭორიშვილმა, ზ. კაპანაძემ, საქართველოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის უფროსმა ზაზა ოქრუაშვილმა და სხვ. ესწრებოდნენ პროფ. გ. შარაძე, გარდაცვლილის მეუღლის ნათესავი, ჩეჩნეთიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები, ვიცე-პრემიერი ა. მარგიანი. ჩატარდა პროცედურის ფოტოფიქსირება. ნეშტი ვერტმფრენით გადაიტანეს გროზნოში და იქ დაასაფლავეს („სრ“ 1994:31).

ვ. ზარანდია, რომელმაც შესაძლოა ზოგი სხვა რაიმეც იცოდა, ზ. გამსახურდიას ცხედრის გადასვენების შემდეგ მალე გარდაიცვალა. თვითმკვლელობის დანარჩენი მოწმენი გულწრფელობით არ გამოირჩევიან ან საერთოდ დუმილს ამჯობინებენ.

ჯერ კიდევ პრეზიდენტყოფილის სიცოცხლეში მისი მომხრეები სამოქალაქო ომის გარდა აწყობდნენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს. ხელისუფლება შესაძლებლობებს არ ზოგავდა მათი აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯისათვის. უკვე 5 ოქტომბრიდან გრძელდებოდა სასამართლო პროცესი 1922 წლის 13 ივნისს, ჩიქოვანის ქუჩაზე, ჯ. იოსელიანის მოკვლის მიზნით ჩატარებული ტერორისტული აქტის მონაწილეებისა. მასთან გაერთიანებული იყო სამი საქმე. მათგან აზერბაიჯანის ტერიტორიიდან შემოჭრილი ბანდიტებისა, რომელიც „ყვარლის ტყის“ საქმედ იწოდებოდა (იქვე: 17).

თებერვლის მიწურულს დამთავრდა გამოძიება პრეზიდენტყოფილის მომხრეთაგან შემდგარი ჯგუფისა (მ. ღვინიაშვილი, ს. კუპრავა, გ. ჯორჯიშვილი, გ. სულავა, ო. ღუღუნიშვილი), რომლებიც, ძირითადად, ელექტროგადამცემ ხაზებს აფეთქებდნენ. კერძოდ, მათ ბრალად ედებოდა სხვადასხვა დროს დანაღმეა და აფეთქება ქვესადგურებისა: „ლისი 220“, „მთაწმინდა 110“, ელექტროგადამცემი ხაზების №35 და №21 ანძების, კასპის რაიონში განლაგებული თბილისი — დიდი ზესტაფონის „ქართლი 2-ის“ 500 ვოლტიანი ხაზის №44 ანძისა და სხვა ობიექტებისა (იქვე: 21).

სამოქალაქო ომისდროინდელი დანაშაულისათვის იანვრის მიწურულს დააპატიმრეს ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ვალტერ შურღაია; ლანჩხუთის რაიონის ყოფილი პრეფექტი ბიძინა გუჯაბიძე (იქვე: 18).

შს სამინისტრო განაგრძობდა ფართომასშტაბიანი ოპერციების მოწყობას დივერსანტებისა და კრიმინალების მოქმედებათა აღსაკვეთად. 1994 წელს პირველი ასეთი ოპერაცია ჩატარდა 7-9 იანვარს ქვემო ქართლში (ბოლნისისა და დმანისის რაიონებში). მასში მონაწილეობდა

1200 სამართალდამცველი. ოპერციის შედეგად მთლიანად გაიწმინდა სომხეთში გამავალი ტრასა. დამნაშავეებს ჩამოართვეს 81 ავტომატი, 47 მსუბუქი და 9 სატვირთო ავტომანქანა. 111 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, 450 ხელყუმბარა, 4340 სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 36 „ალაზნის" ტიპის რაკეტა, დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები და სხვა იარაღი (იქვე: 8).

24 იანვარს ასეთივე ოპერაცია ჩატარდა დედაქალაქში. 28 თებერვალს შს სამინისტროს 500-600 თანამშრომელი მონაწილეობდა გურიაში დაწყებულ ოპერაციაში. იგი რამდენიმე დღეს გაგრძელდა შედეგები ორივეგან ხელშესახები იყო.

10 მაისს შს სამინისტროს 300-მდე თანამშრომელი ბანდიტიზმის საწინააღმდეგო ოპერციას შეუდგა წყალტუბოში. დააპატიმრეს 20-ზე მეტი სისხლის სამართლის დამნაშავე, ამოიღეს დიდძალი საბრძოლო იარაღი (იქვე: 78).

12 ოქტომბერს დამნაშავეობასთან ბრძოლის ოპერაცია ჩატარდა გორის რაიონში. დააკავეს 21 დამნაშავე. მონახეს 12 გატაცებული ავტომანქანა. კონფისკაცია გაუკეთეს მრავალ სხვადასხვა სახის იარაღს („СГ1994:163).

დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა პოლიციის რიგების უღირსი პირებისაგან გაწმენდას. 5 თებერვალს გამოქვეყნებული ცნობით თბილისის პოლიციიდან გაათავისუფლეს 900 თანამშრომელი. მ.შ. 150 ოფიცერი („სრ" 1994:24).

სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიული და ორგანიზაციული ღონისძიებების შედეგად გაჩნდა მდგომარეობის სტაბილიზაციის ნიშნები. იკლო მძიმე კატეგორიის დანაშაულმა. მნიშვნელოვნად შემცირდა განზრახ მკვლელობები, ყაჩაღობა, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სხვა ბოროტმოქმედებანი, მყარდებოდა წესრიგი ავტომაგისტრალებზე. მაგრამ კრიმინალური ვითარება ქვეყანაში კვლავ მძიმე რჩებოდა. კორუფცია, ტერორისტული აქტები, ბანდიტიზმი, ორგანიზებული დანაშაულის სხვა გამოვლინებანი, ნარკომანია, ნარკობიზნესი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებას, აფერხებდნენ ეკონომიკის გაჯანსაღებას, მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს, ბოლომდე არ ყოფილა აღმოფხვრილი დაუსჯელობის სინდრომი. დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებლივი ბაზა ნაკლებად ითვალისწინებდა დამნაშავეობის ახალ ფორმებსა და მასშტაბებს.

არასტაბილური ვითარება განაპირობებდა ცვლილებების აუცილებლობას. 24 მარტს პარლამენტის სხდომაზე ვიცე-პრემიერებად დაამტკიცეს თამაზ ნადარეიშვილი, თემურ ბასილია[1] (იქვე:49); პირველ აპრილს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ავთანდილ ჯორბენაძე; 30 მარტს პარლამენტი დაეთანხმა უშიშროების სამსახურის უფროსად იგორ გიორგაძის დანიშვნას („სრ“ 1994:50).

აღმაშფოთებელი ინციდენტი მოხდა 31 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრად შოთა კვირაიას დამტკიცების დროს. კამათის დაწყებისას პარლამენტის სხდომაზე შეიჭრა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელთა დიდი ჯგუფი სამმართველოს უფროსის გენერალ დავით ზეიკიძის მეთაურობით და მოითხოვა არ დაემტკიცებიათ სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი. ეს ქმედება შეფასდა, როგორც სახელმწიფოსა და მისი ფუძემდებლური პირინციპების წინააღმდეგ ამბოხება. პარლამენტმა არ დაუშვა ინციდენტის გაღრმავება. დ. ზეიკიძეს მოუწოდეს თავადვე აღეკვეთა წამოწყებული პროვოკაცია. 14 საათისათვის კონფლიქტი ამოიწურა. შ. კვირაია მინისტრად დაამტკიცეს (იქვე:51).

ჯერჯერობით ვაკანტური რჩებოდა თავდაცვის მინიტრის პორტფელი. 11 თებერვალს ამ თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა გია ყარყარაშვილმა. მისი თქმით, ასეთი ნაბიჯის მიზეზი იყო სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის უქონლობა. თუმცა უფრო სწორი ისაა, რომ თავდაცვის სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს შორის 24 და 25 დეკემბერს რამდენიმე ინციდენტი მოხდა. პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით შედგენილმა კომისიამ გ. ყარყარაშვილის რამდენიმე თანამშრომლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა (იქვე 1993:272). მინისტრის გადაწყვეტილებას ამანაც უთუოდ შეუწყო ხელი. ეს თანამდებობა დროებით შეითავსა ე. შევარდნაძემ. 26 აპრილს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე.

1994 წლის 20 მარტს გამართულ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ გააკეთა მოხსენება–„სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა“. აქ მან პირველად დასვა საკითხი სახელმწიფოს მეთაურად პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ. ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პრეზიდენტი არ ვარგა, არ უნდა გახდეს

[1] უფრო ადრე, 22 მარტს, ვიცე-პრემიერად დამტკიცეს ობოლაძე მენალარიშვილი.

მიზეზი ამ პოსტის საერთოდ უარყოფისო, აღნიშნა მან. (იქვე 1994:43).

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინის ვიზიტი საქართველოში, 1994 წლის 3 თებერვალს. მან და შევარდნაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ".

ბ. ელცინმა ერთხელ კიდევ დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა. შეთანხმებები გაფორმდა ცალკეული უწყებების თანამშრომლობის შესახებაც. ადრე ხელმოწერილ 12 ხელშეკრულებას ახლა დაემატა 19 დოკუმენტი. ბ. ელცინმა შემოქმედებით ინტელიგენციასთან შეხვედრაზე აღიარა, რომ რუსეთი არ უარყოფს თავის წილ პასუხისმგებლობას აფხაზეთის კონფლიქტში მისი მოქალაქეების მონაწილეობის გამო (იქვე:23).

საქართველო-რუსეთის ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებამ შეშფოთება გამოიწვია აფხაზ სეპარატისტებში. მათ 7 და 8 თებერვალს დამსჯელი ოპერაცია მოაწყვეს გალის რაიონში. რვა სოფლიდან აყარეს 2000 მეტი მოსახლე და მთების გავლით წალენჯიხის რაიონისაკენ გამორეკეს. აფხაზთა მხრივ ოპერაციაში მონაწილეობდა 1000-მდე „ბოევიკი", 12-ზე მეტი ერთეული მძიმე ტექნიკა. აგრესიას 100-მდე კაცის სიცოცხლე შეეწირა (იქვე:26).

ამ ფაქტთან დაკავშირებით 10 თებერვალს გაეროში გაავრცელეს ე. შევარდნაძისა და ბ.ელცინის ერთობლივი განცხადება--წინადადებანი. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ისინი აყენებდნენ საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში კოორდინაციის მიზნით რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გამოყენების წინადადებას (იქვე:27).

უმთავრესად ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხებზე იმსჯელეს 14 თებერვალს, თბილისში გამართულ სომხეთის პრეზიდენტის ლ. ტერ-პეტროსიანის ხანმოკლე ვიზიტის დროს.

საქართველოს საერთაშორისო იმიჯის ამაღლებისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი 1994 წლის 18 მარტს.

ნატოს „მშვიდობისა და პარტნიორობის პროგრამასთან" საქართველოს ოფიციალური შეერთება გაფორმდა ბრიუსელში 1994 წლის 23 მარტს. ამ ნაბიჯის შორსმიმავალ იმედად ცხადდებოდა ალიანსის

მიერ ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა (იქვე:45).

4 აპრილის შეთანხმებანი იმთავითვე განიხილებოდა, როგორც არასასურველი და ქართული მხარისათვის დისკრიმინაციული, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების მთავრობა მას მაინც არ ასრულებდა. ამიტომ საჭირო იყო ქმედითი მექანიზმის შექმნა. ქართულმა მხარემ დააყენა საერთაშორისო მეთვალყურეთა და სამშვიდობო ჯარების აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ჩაყენების საკითხი.

ასეთი ოპერაციის ჩატარება საკმაოდ რთული პროცედურის გავლას მოითხოვს. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებიდან გამომდინარე ქართული მხარე საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედს არ ჰკარგავდა.

6 მაისს უშიშროების საბჭოსადმი წარდგენილ მოხსენებაში გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ პრობლემის მოგვარების შუალედური წინადადებანი წამოაყენა. აფხაზეთში გაეროს ძალების განლაგების პირობების უქონლობის გამო უშიშროების საბჭოს რჩევა ეძლეოდა განეხილა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების გაგზავნაზე თანხმობის მიცემის საკითხი. საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რუსეთი მზად იყო თავისი სამხედრო ნაწილების აფხაზეთში განსალაგებლად (,,სრ" 1994:36). რუსმა სამხედროებმა მოახსენეს ბ. ელცინს, რომ შეუძლიათ ოპერაციაში მონაწილეობისათვის გამოყონ 3-4 ათასი ჯარისკაცი და იგი დაიწყონ 1 ივნისს.

ქართულ საზოგადოებრიობაში იმთავითვე წარმოიშვა სკეპტიციზმი სამშვიდობო ძალებად რუსეთის სამხედრო კონტინგენტის გამოყენების გამო. და, თუ რამდენად სახიფათოა პოლიტიკური პროგნოზირება, ამის მაგალითად გამოდგება პოპულარული მიმომხილველის ს. ცინცაძის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შეყვანა საუკეთესო გამოსავალი იყო და, თითქოს სჯობდა კიდეც გაეროს „ცისფერჩაფხუტიანებს", რადგან ეს უკანასკნელი „მხოლოდ გამშველებლები" არიან, მაშინ, როცა „რუსეთისა და დსთ-ის ძალები ნაკლებ „დელიკატურობას" გამოიჩენენ თავიანთი მისიის შესრულებაში", რადგან რუსეთს თავად ესაჭიროება მისი ინიციატივით ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციის წარმატება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავდა საერთაშორისო არბიტრის როლზე პრეტენზიის უფლებას (იქვე:81).

ახლა ცხადია, თუ როგორ გამართლდა ეს ვარაუდი. რუსი „მშვიდობისმყოფელები" არძინბასთან ალიანსში შევიდნენ, ხელი შეუწყვეს

სეპარატისტებს თავიანთი ზრახვების განხორციელებაში, არ შეასრულეს თავიანთი ძირითადი ფუნქცია ლტოლვილთა დაბრუნებისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, რის გამოც ვერ მოხერხდა, დაბრუნების პროცესი გალის რაიონში მაინც დაწყებულიყო. მათ განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი“ 1998 წლის 20-26 მაისის ამბების დროს, როცა გალის რაიონიდან მთელი ქართული მოსახლეობა გამოდევნეს. მაშინ რუსი სამხედროების მხარდაჭერით შეიყვანეს აფხაზებმა უსაფრთხოების ზონაში 1500-ზე მეტი „ბოევიკი“, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები და არტილერია. რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პირები კი აცხადებენ, რომ მათ ჯარებს პოლიტიკური ფუნქციები არა აქვთ და ამიტომ არ ევალებოდა ამკრძალავი ღონისძიებების განხორციელება. ეს სრული სიცრუეა. „მშვიდობისმყოფელების“ მთავარი დანიშნულება, მათი მანდატის მიხედვით, მხარეთა შეიარაღებული ძალების დაშორიშორებაა და, როგორღა მოხდება ეს დაშორიშორება თუ სამხედრო ტექნიკასა და ბოევიკებს უსაფრთხოების ზონაში თავისუფალი თარეშის უფლებას აძლევენ?

სწორედ ამის საწინააღმდეგოა აღნიშნული ქართულ და აფხაზურ მხარეთა შორის მოსკოვში 1994 წლის 14 მაისს ხელმოწერილ შეთანხმებაში. მის მიხედვით იქმნებოდა უსაფრთხოებისა და შეზღუდული შეიარაღების ზონები. მათში არ უნდა ყოფილიყო მძიმე საბრძოლო ტექნიკა. ზონებში იმოქმედებდა ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლება, რომლის პოლიციასაც შეიძლებოდა ჰქონოდა პირადი სატაბელო იარაღი.

ძალთა დაშორიშორება დაიწყებოდა ხუთ დღეში. დსთ-ის შეიარაღებული ძალები და გაეროს მეთვალყურენი განლაგდებოდნენ უსაფრთხოების ზონაში. მათი „ფუნქციები იქნებოდა ის, რომ მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარონ ცეცხლის შეწყვეტის დაცვას და მისი განუხრელი შესრულების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, მათმა ყოფნამ ხელი უნდა შეუწყოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებას, უწინარეს ყოვლისა, გალის რაიონში“, ეწერა დოკუმენტში (Надарейшвыли 1996:275).

თავისთავად ეს შეთანხმება წარმოადგენდა ქართული დიპლომატიის მორიგ მარცხს. მას მოუხდა გაუმართლებელ დათმობებზე წასვლა. თუ ადრე შეთანხმების საგანი იყო სამშვიდობო ძალების მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგება, ახლა ქართული დელეგაცია (ხელ-ლი ჯ. იოსელიანი) დაეთანხმა მდ.ენგურის მარჯვენა მხარეზე უსაფრთხოების, ხოლო მარცხენაზე შეზღუდული შეიარაღების ზო-

ნების შექმნას. რაც ნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი თითქმის ქ. ზუგდიდის დასახლებასაც ეხებოდა. ჯ. იოსელიანმა, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე 12 კმ-იანი ზონის შექმნა, მხოლოდ პარლამენტის სხდომაზე გამართული კამათის დროს გაიცნობიერა. თუმცა „კანონიერი ქურდის" მიერ საქართველოს გეოგრაფიის წვრილმანებისა და დიპლომატიის ხვეულების უცოდინარობას ნურც გავიკვირვებთ, რადგან ვითარების შეფასებაში დიდად გამოცდილი პოლიტიკოსებიც ცოდავდნენ. კერძოდ, 23 მაისს რადიოინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა 14 მაისის შეთანხმებებს აფხაზეთის საკითხის რეალური გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმისტური ვარიანტი უწოდა. მისი თქმით, ამ შეთანხმებით დაიწყებოდა ლტოლვილთა დიდი ნაკადების დაბრუნება და ეს ძალიან მალე მოხდებოდა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის გადაწყვეტილება „აფხაზეთის დაბრუნებას და აფხაზეთში დაბრუნებას უკავშირდება"-ო, დაუმატა მან („სრ" 1994:91-92).

ოპერაციის დაწყებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ რუსეთში, მაგრამ ამ შემთხვევაში ბ. ელცინმა გამოიჩინა პრინციპულობა და 12 ივნისს გამოსცა ბრძანება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის თაობაზე. იგი უნდა დაწყებულიყო 16 ივნისიდან.

სამშვიდობო პროცესში რუსეთის მონაწილეობის წინააღმდეგ პარლამენტის 14 ივნისის სხდომაზე გამოვიდნენ ფრაქცია „რესპუბლიკელები". მათი წინადადება ოპერაციის შეჩერების თაობაზე არ გავიდა. ამ საკითხზე კამათის დროს ე. შევარდნაძემ თქვა: „ამ სამშვიდობო ოპერაციაზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი, აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობა ახლა და მომავალშიც"-ო და იქვე დაუმატა--„მადლობის სატყვებით მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, რომელმაც მნიშვნელოვანი და მისთვის ძნელი გადაწყვეტილება მიიღო" (იქვე:108-109).

ეს ყველაფერი იმ დროს, მართლაც, სინამდვილედ გამოიყურებოდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რჩებოდა მოწინააღმდეგე მხარის წინასწარ განზრახული მზაკვრობა. ვ. არძინბას და მის ხროვას უყურებდნენ, როგორც საიმედო პარტნიორს, რომელიც ხელმოწერილ შეთანხმებებს შეასრულებდა. ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს მაინც გაუწევდა ანგარიშს. არძინბა კი თანმიმდევრულად ახორციელებდა აფხაზეთის საქართველოდან გამოცალკავების დასახულ მიზანს. ამ უძველეს ქართულ მიწაზე შეკოწიწებული პოლიტიკური ერთეულისათვის სუვერენული სახელმწი-

ფოს ყველა ატრიბუტიკის მიკუთვნებას და ამ გზით საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის შესაძლო დამოუკიდებულებად გადაქცევას. ფაქტი ის არის, რომ, ჯერჯერობით, იგი თავის მიზნებს ასრულებს და მისგან წამოყენებული მოთხოვნების რეალიზაციას ახერხებს. ასეთი მაგალითები საკმაოა. ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ სამშვიდობო ძალების მხოლოდ ენგურის სანაპიროზე და არა მთელ აფხაზეთში განლაგების მისეულ მოთხოვნაზე, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა. კიდევ უფრო კატეგორიული აღმოჩნდა არძინბა ლტოლვილთა დაბრუნების საკითხში. ქართული მხარე ჯერ მთელ აფხაზეთში მათი უპირობო დაბრუნების მოთხოვნას აყენებდა. შემდეგ ეს მოთხოვნა მხოლოდ გალის რაიონით შეიზღუდა. არაერთხელ ოფიციალურად გამოცხადდა, სამშვიდობო ძალების შეყვანას იმიტომ ვეთანხმებით, ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენო. ბოლოს კი ისე გამოვიდა, როგორც გუდაუთელი ლიდერი ამბობდა: ვინც ჩემს წინააღმდეგ იბრძოდა, ან ქართული ჯარის შემოსვლას კმაყოფილებით შეხვდა, აფხაზეთში არ შემოუშვებო, ხოლო დანარჩენებს გალის რაიონში იმ შემთხვევაში მივცემ დაბრუნების უფლებას, თუ ისინი წერილობით გარანტიას მომცემენ, რომ დაიცავენ აფხაზეთის კანონებსო.

რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხს, მასზე ვ. არძინბას მსჯელობაც კი არ სურს. ეს მისი აზრით, აფხაზების გადასაწყვეტია და საქართველოსთან არავითარი შეხება არა აქვს, გარდა იმისა, რომ იგი მეზობელი სახელმწიფოა და მასთან, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შეიძლება სამოკავშირეო ხელშეკრულება გაფორმდეს.

ჩვენ გულს ვიკეთებთ აფხაზ სეპარტისტებს ასეთი თავხედობა არ შერჩებათო, მაგრამ ის კი აღარ ვიცით, ვინ არ უნდა შეარჩინოს. ძალის გამოყენებით არც გვინდა და არც შეგვიძლია, ვაიძულოთ ისინი, დამთმობნი გახდნენ. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (1999 წლის 31 იანვარს მე-19 ასეთი რეზოლუცია მიიღეს), დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტის გადაწყვეტილებები, დიპლომატიური აქტებით ზემოქმედება, მოლაპარაკებები და შეთანხმებები კი არ ჭრის, რაც დრო მიდის მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი თანდათან უფრო ქვეითდება და ნულს უახლოვდება. დრო სეპარატისტების სასარგებლოდ მუშაობს. ეს ფაქტორი მათ მოხერხებულად გამოიყენეს 20-26 მაისის მოვლენების დროს.

სამშვიდობო ოპერაციის დაწყების წინ საჭირო იყო უსაფრთხოების ზონაში განაღმვის ჩატარება. აღმოსაჩენი და გასაუვნებელი გახდა ათიათასობით ნაღმი და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამ მიზნით გუდაუთაში 16 ივნისს დაიწყო რუსეთის საინჟინრო-მეხანძრეთა ბატალიონებისა და კავშირგაბმულობის ქვეგანაყოფების სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩამოყვანა. მათ 20 ივნისიდან უკვე დაიწყეს მდ. ენგურის ორივე სანაპიროსა და ხიდის განაღმვა. აფხაზთა მხარე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვდა ხიდზე ამ სამუშაოების შეჩერებას. მიუხედავად ამისა, 24 ივნისის ცნობით, მათ გაწმენდილი ჰქონდათ 3 ათასი კვ მეტრი ტერიტორია (იქვე:115).

სამშვიდობო ოპერაცია ძვირადღირებულ აქციას წარმოადგენდა: რუსეთს მხოლოდ თავისი საჯარისო ნაწილების განლაგება 24 მილიარდი მანეთი უჯდებოდა. შეთანხმების თანახმად, ოპერაციაში მონაწილე ოფიცერს თვეში ხელფასად მიეცემოდა 1200000 მან. ჯარისკაცს 600000 (იქვე: 126). გაეროს უშიშროების საბჭოს 937-ე რეზოლუციით, სამშვიდობო ოპერაცია უნდა ჩაეტარებინა დსთ-ში გაერთიანებულ სახელმწიფოთა ერთობლივ კონტინგენტს, მაგრამ 18 და 19 ივლისს მოსკოვში მიმდინარე დსთ-ის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების თათბირზე გაირკვა, რომ, რუსეთის გარდა, მხოლოდ ტაჯიკეთი იყო თანახმა აფხაზეთში თავისი ძალების გაგზავნისა. ასევე არ მოხერხდა სხვა სახელმწიფოების თანხმობის მიღება ოპერაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ და ფინანსური დახმარების გაწევის საკითხშიც.

ე. შევარდნაძე მაინც იმედიანად იყო განწყობილი. 22 ივნისს გამართულ პრესკონფერენციაზე მან ხასგასმით აღნიშნა: „ჩემი ღრმა რწმენით, კონფლიქტის მოწესრიგებაში გადამწყვეტ სიტყვას, რა თქმა უნდა, რუსეთის სამშვიდობო შეიარაღებული ძალები იტყვიან. მათი როლი ამ საქმეში განუსაზღვრელია“ (იქვე:114).

რაც თქვეს და გააკეთეს, ახლაც ვიმკით. რუსეთისაგან სანამ იქ საქართველოსთან დიპლომატიური საკითხების მოგვარებას ბ. პასტუხოვი, ხოლო სამხედრო საქმეებისას, აფხაზეთის ომში ჩვენზე შეტევების ორგანიზატორი თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალი გ. კონდრატიევი განაგებდნენ, რაიმე სახეიროს მიღწევა მოსალოდნელი არ იყო. საქართველოს ხელისუფლება კი ყოველთვის იმედოვნებდა რომ გადამწყვეტ სიტყვას ბ. ელცინი ამბობდა. მაგრამ თავისი ლოთური სიჯიუტით და ამოკვეიატებული აზრების გადაუთ-

ქმელობით განთქმული რუსეთის პრეზიდენტი საქართველოსთან ურთიერთობაში კატეგორიული სიტყვის თქმას ერიდებოდა და თავის მოხელეებს, ნებისმიერი მოქმედების თავისუფლებას აძლევდა. დსთ-ის თათბირებზე იგი თითქოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს, ხოლო არძინბასთან შეხვედრებში სეპარატისტთა ლიდერს ისე ექცევა, როგორც სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენელს და საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. ამ მხრივ იგი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და გუდაუთის რეჟიმის ლიდერს ერთმანეთისაგან თითქმის არ ასხვავებს. მათ თანაბარი სიდიდის პოლიტიკურ ფიგურებად განიხილავს. ასე მოჩანს ეს გარეგნულად, ტელევიზორის ეკრანებიდან. სიღრმისეულად კი ვინ იცის, ნავთობის დასავლური მარშრუტის გამო, ე. არძინბას უპირატესობასაც კი ანიჭებს.

ადრე, ბ. ელცინს თავის წიგნში „პრეზიდენტის ჩანაწერები" ასეთი რამ წამოსცდა: „თავისი უბედურებით დაბრმავებული ქართველები ვერ ხედავენ იმ ფაქტს, რომ ეროვნულ კონფლიქტებში რუსეთი რომელიმე ერთ მხარეს ვერ ამოუდგებაო გვერდში" („სრ" 1998:114). მან „დაივიწყა", რომ ამ კონფლიქტში რუსეთს შუამავლის, არბიტრის როლი აქვს აღებული და სამართლიანობის მიხედვით უნდა მოიქცეს და არა კონიუნქტურულად. რუსეთის სამართლიანობისადმი მიუმხრომლობას პრეზიდენტი იმით ხსნიდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტში საქართველოს მხარეზე რომ დადგეს, აჯანყდება მთელი ჩრდილოეთ კავკასია, ომის ცეცხლი გადაედება ახალ რეგიონებს"-ო (იქვე). საინტერესოა, რატომ არ გაახსენდა ბ-ნ ელცინს ეს საფრთხე, როცა შეიარაღებული ძალები მიუსია ჩეჩნეთს, იქ მშვიდობიანი მოსახლეობა ამოწყვიტა, ქალაქები და სოფლები დაანგრია, ჩრდ. კავკასიელი ხალხები განა ჩეჩნეთს უფრო არ უნდა ამოდგომოდნენ მხარში, ვიდრე აფხაზეთს? რომელთანაც ომს რუსეთს არავინ სთხოვდა, მხოლოდ სამართლიანი საქმისადმი დიპლომატიური მხარდაჭერა იყო საჭირო.

სამშვიდობო ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის ნამდვილი ზრახვები ამოუცნობი იყო არა მარტო ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილისათვის, არამედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსათვისაც კი. ამიტომაც იგი 1994 წლის 21 ივლისს მიღებულ რეზოლუციაში „მიესალმებოდა რუსეთის ფედერაციის წვლილს" სამშვიდობო ოპერაციაში. თავის მხრივ რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ი. ვორონცოვმა მად-

ლობა მოახსენა საბჭოს წევრებს გამოჩენილი მხარდაჭერისათვის. მას ამის საფუძველი ჰქონდა კიდეც. სხვა პოლიტიკური ზრახვების განხორციელებასთან ერთად, რუსეთს საშუალება ეძლეოდა სამშვიდობო ოპერაციაში რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე დაესაქმებინა, უზრუნველეყო ისინი საცხოვრებელი პირობებით და მაღალი ხელფასით, რასაც რუსი ოფიცრები თავიანთ ქვეყანაში აბსოლიტურად მოკლებულნი არიან. ზღვისპირა სამოთხეში მათი ყოფნა კურორტზე ნებიერობას უფრო ჰგავს, ვიდრე ჯარში სამსახურს. აქ მათ გამდიდრების „მარცხენა“ გზებიც აითვისეს. დიდძალ ფულს აგზავნიან ოჯახებში და დემობილიზაციის შემდეგ ჯარისკაციც კი იშვიათად თუ ბრუნდება საცხოვრებელ ადგილებში მსუბუქი ავტომანქანა რომ არ ჰყავდეს პირად საკუთრებაში. ზოგიც საერთოდ უარს ამბობს აფხაზეთიდან წასვლაზე, აქ რჩება და ქირის ფასად ეხმარება აფხაზ „ბოევიკებს“ ქართველი მოსახლეობის ძარცვა-ამოჟლეტაში.

გაეროს უშიშროების საბჭო სრულიად როდი გამოთიშვია სამშვიდობო პროცესს. იგი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა 300 კაციან მისიაში 136-მდე ზრდიდა სამხედრო მეთვალყურეთა რაოდენობას (Надарейшвыли 1996:249) რამდენადაც სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში 6 თვე უნდა დარჩენილიყვნენ, მეთვალყურეთა მანდატის მოქმედებაც 1995 წლის 15 იანვრამდე იქნა გაგრძელებული (იქვე:252).

პ. გრაჩოვის განცხადებით, სამშვიდობო ოპერაციაში 1 ივლისისათვის მონაწილეობდა 2300 რუსი სამხედრო მოსამსახურე. გალის და ზუგდიდის რაიონებში შექმნილი იყო 24 საგუშაგო. რაც შეეხება სხვა ქვეყნების ჯარის ნაწილებს, მათი შემოერთების საკითხმა სექტემბრისათვის გადაიწია. („სრ“ 1994:118-119); მაგრამ შემდგომ საერთოდ აღარ ყოფილან შემოყვანილი.

სამშვიდობო ძალების უმთავრეს ფუნქციებს შეადგენდა მეომარ მხარეთა დაშორიშორება და ლტოლვილთა დაბრუნებისათვის ხელშეწყობა. მათი სარდლის გენ. ვ. იაკუშევის განცხადებით, 30 ივნისისათვის ორივე მხარის შეიარაღებული ფორმირებები 12კმ-იანი ზონიდან გამოყვანილი იყო. ბრძოლები შეწყდა კოდორის ხეობაშიც (იქვე:120). რაც შეეხება ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს, იგი აფხაზთა მხარის დანაშაულებრივ ქმედებათა გამო გაურკვეველი დროით იყო გადადებული.

ამ საკითხის დასაჩქარებლად რუსეთის საგარეო საქმეთა მინის-

ტრმა ა. კოზირევმა, რომელიც 1 ივლისს თბილისში იმყოფებოდა, გადაწყვიტა შეხვედროდა ვ. არძინბას, მაგრამ აფხაზთა ლიდერმა იგი არ მიიღო (იქვე) მისი მითითებით აფხაზეთის ქალაქებში აწყობდნენ მიტინგებს, ერთადერთი მოთხოვნით—არ დაეშვათ მშობლიურ ადგილებში ქართული მოსახლეობის დაბრუნება, რადგან ისინი ლტოლვილებს კი არა „აფხაზეთში შეიარაღებული ქართული მეხუთე კოლონის ნაწილს წარმოადგენდნენ". (იქვე:122). ამ აქციებში აქტიურად მონაწილეობდა პავლე ავიძბა, რომელიც 1998 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს სახელით მეთაურობდა ქართველ უხუცესებთან შეხვედრებს. იგი აფხაზეთის უნივერსიტეტის დოცენტია და გამოირჩევა თავისი ანტიქართულობით და მარაზმით.

გარდა მიტინგებისა, დაბრუნების პროცესის შესაფერხებლად, აფხაზეთის მხარე ლტოლვილთა დაშინების მიზნით გალის რაიონში აგზავნიდა მარბიელ ბანდიტებს. მოსახლეობის გენოციდის შემთხვევები სამშვიდობო ძალების შესვლის შემდეგაც გრძელდებოდა. 13 აგვისტოს სამშვიდობო ზონაში შევიდა ე.წ. აფხაზეთის მილიციის 200 კაციანი რაზმი. მათ იძულებით გამოიყვანეს 300-მდე ქართველი. გამოამწყვდიეს ისინი სოფ. ბარღების კულტურის სახლში. დაკითხვისა და წამების დროს რამდენიმე შემოაკვდათ. სამშვიდობო ძალების სარდლობის ჩარევის შემდეგ უმრავლესობა გაათავისუფლეს, 30-მდე დაიტოვეს (იქვე:143).

იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხის განსახილველად სოჭში 12 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებანი. აფხაზურმა მხარემ წამოაყენა ახალი პირობები. ისინი მოითხოვდნენ, ლტოლვილებს, გარდა ანკეტების შევსებისა, მის მეორე გვერდზე უნდა ეჩვენებინათ თავიანთი თავდაპირველი მისამართი, ხოლო დამატებით შეევსოთ დეკლარაცია. აფხაზეთის კანონების შესრულების გარანტიების შესახებ. ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება, ანკეტებისა და წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით, დაიწყებოდა 1 სექტემბრიდან („СГ" 1994:109). ამ პროცესის ორგანიზაციისათვის აშშ-ის მთავრობა 10 მილიონ 600 ათასი დოლარის გამოყოფას აპირებდა.

აფხაზთა მხარე განაგრძობდა ხელოვნური ბარიერების გამოგონებას. შევსებული ანკეტები გადაეცემოდა გაეროს მუდმივ წარმომადგენელს ზუგდიდში, იგი გადაუგზავნიდა აფხაზურ ადმინისტრაციას. ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში ლტოლვილს ეძლეოდა დაბრუნების ნებართვა. ოფიციალური სოხუმი აცხადებდა: იგი კვირაში

მხოლოდ 300 ანკეტას განიხილავდა. ეს ნიშნავდა რომ მხოლოდ გალის რაიონში დაბრუნების პროცესი 4-5 წელიწადს გაგრძელდებოდა. გაეროს წარმომადგენელმა ასეთი ქცევა შეაფასა, როგორც იმის დადასტურება, რომ აფხაზთა მხარეს რეალურად გალის რაიონშიც კი არ სურდა ლტოლვილთა დაბრუნება („სრ“ 1994:135).

1994 წლის 22 აგვისტოსათვის გაეროს ლტოლვილთა საქმის უმაღლეს კომისარს გადაეცა 4917 ანკეტა—განცხადება, რომლებშიაც რეგისტრირებული იყო გალის რაიონის 18968 მცხოვრები. სეპარატისტები არათუ მათს დაბრუნებაზე, არამედ ანკეტების მიღებაზედაც კი უარს აცხადებდნენ (იქვე:149).

თავის მხრივ, ლტოლვილებიც აწყობდნენ საპროტესტო აქციებს. 11 ივლისს მოეწყო 10 ათასი ლტოლვილის მსვლელობა ზუგდიდიდან ენგურის ხიდისაკენ. მოითხოვდნენ დაბრუნების პროცესის დაჩქარებას. სამშვიდობო ძალების სარდლობის მხრიდან დაპირებების ნიადაგზე აქცია დროებით შეჩერდა („სრ“ 1994:139). 23 აგვისტოს დევნილთა მრავალათასიანი მიტინგი ჩატარდა რუხში. აქციის მასშტაბურობის გამო მონაწილეებს შეხვდა ავადცნობილი გენერალი გ. კონდრატიევი. იგი იძულებული გახდა ელიარებინა: „არავის არა აქვს უფლება ხალხი გააძევოს მშობლიური მიწა-წყლიდან და დევნიდესო მას“ (იქვე:151).

ლტოლვილებმა განაცხადეს დაბრუნების პროცესის შეფერხების შემთხვევაში მასობრივ აქციებს სექტემბრიდან გააგრძელებდნენ. ასეც მოხდა. გარდა მჯდომარე აქციისა, 4 სექტემბერს რუხში შიმშილობა გამოაცხადა ლტოლვილთა დიდმა ჯგუფმა, იგი 7 დღის მანძილზე გრძელდებოდა („СГ“ 1994:41). მოშიმშილეებს აღუთქვეს, რომ დევნილთა დაბრუნება გალის რაიონში ოქტომბერში დაიწყებოდა.

ამ იმედის სითბოს კვლავ ვ. არძინბამ გადაასხა ცივი წყალი. 21 სექტემბრის სატელევიზიო გამოსვლაში მან განაცხადა, რომ ჭორია თითქოს ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება გალის რაიონში 1 ოქტომბრიდან იწყებოდეს. ამ დროს დაიწყება მხოლოდ მათი ანკეტების განხილვა, ვისაც დაბრუნება სურს. პროცესი არ დაჩქარდება და ოქტომბერში დაბრუნდება მხოლოდ 200 კაცი (იქვე:170). კიდევ უფრო ცინიკური იყო მისი მომდევნო გამოხდომა. ამჯერად მან თქვა: რუსეთის „მშვიდობისმყოფელნი“ აფხაზეთში დარჩებიან, ვიდრე ეს მათ სურთო. საქართველოს შეუძლია რუსეთის ჯარების გაყვანა ზუგდიდის რაიონიდან. გალში მათი ყოფნის საკითხის გადაწყვეტა ქართველთა კომპეტენციაში არ შედისო (იქვე:177).

მართლაც, რუსებს ისე მოეწონათ ზღვისპირეთში ყოფნა, რომ აქაურმა

სარდლობამ მოიმიზეზა შემოყვანილი კონტინგენტის სიმცირე და რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ შიდა რუსეთიდან დამატებითი სამხედრო ნაწილები გადმოიყვანა კონფლიქტის ზონაში. გაუგებარია რისთვის არ ყოფნიდათ ძალები. ლტოლვილებს არ აბრუნებდნენ, მხოლოდ საზღვრის დაფიქსირებას ახდენდნენ და ამისათვის რაღად იყო საჭირო კონტინგენტის გაზრდა!

ქართული მხარე მაინც ერთგული იყო სამშვიდობო პროცესისა. ე. შევარდნაძე იმაზედაც კი წავიდა, რომ ათონში ჩავიდა ვ. არძინბასთან შესახვედრად. მოლაპარაკება პ. გრაჩოვის მონაწილეობით შედგა 16 სექტემბერს. იგი ძირითადად ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს მიეძღვნა. მაგრამ რაიმე ხელშესახები შეთანხმება მიღწეული არ ყოფილა. გადაწყდა ერთი კონკრეტული საკითხი—ენგურზე სამშვიდობო პოსტების რაოდენობა გაიზრდებოდა 36-მდე (იქვე:169).

17 სექტემბერს ე. შევარდნაძე სოჭში ეწვია ბ. ელცინს. ამ შეხვედრის გამო მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა. მას ნამდვილად გასნაკუთრებული უწოდა. ორივე შეხვედრის ეფექტი მინიმალური გამოდგა.

ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაბალი ტემპის გამო უკმაყოფილებას სამშვიდობო ძალების სარდალი გენ. ვ. იაკუშევიც კი აღიარებდა. ოქტომბრის მიწურულს თბილისში ყოფნის დროს მან შენიშნა: ლტოლვილთა ასეთი რაოდენობით დაბრუნების პირობებში პროცესი სულ მცირე 50 წელი გაგრძელდებაო (იქვე:191).

საკითხის მოგვარებისადმი სკეპტიციზმი გაუჩნდა ე. შევარდნაძესაც. როცა სოჭში ორმხრივ შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ნოემბერში გალში მხოლოდ 1000 ლტოლვილი დაბრუნდებოდა, მან განაცხადა: ეს, ფაქტობრივად, პროცესის ჩაშლას ნიშნავს და თუ ასე გაგრძელდა „მოლაპარაკება დაკარგავს მნიშვნელობას და ძალას“-ო (იქვე:194).

ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკებების გარდა, იყო ცდები კონფლიქტის მოგვარებაში სახალხო დიპლომატიის ჩართვისა. ოქტომბრის მიწურულს შედგა სამოქალაქო დიპლომატიის მუდმივი საერთაშორისო მისიის წევრების შეხვედრა გუდაუთის ხელისუფლებასთან. მისიის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის კოორდინატორი ნიკოლოზ დიკო. ერთ-ერთი წევრი იყო საერთაშორისო მისიის საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსი გერასიმოვი. მისი გადმოცემით, აფხაზები თითქოს სიტყვით წინააღმდეგნი არ არიან ლტოლვილთა დაბრუნებისა, მაგრამ ყველაფერს

აკეთებენ ამ პროცესის ჩასაშლელად. სეპარატისტები ძალზე მტკივნეულად განიცდიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. მათ შეხვედრაში მონაწილე გენ. ვ. იაკუშევს ბრალდებად წაუყენეს—თქვენი უყურადღებობის გამო გალში 40 ათასი ქართველი დაბრუნდაო. გენერალმა უპასუხა, რომ იგი საზღვრებს არ აკონტროლებს, ხოლო დაბრუნებულთა რაოდენობა 20 ათასიც კი არ იქნებაო.

აფხაზეთის ვითარებაზე კი ა. გერასიმოვმა თქვა: ენგურიდან სოხუმამდე, ფაქტობრივად, მკვდარი ზონაა. ამხელა ტრასაზე სულ 4 მანქანას მოვკარი თვალი და გზის გასწვრივ 11 ადამიანი დავთვალე... დღეს აფხაზეთში ყველა არააფხაზი იდევნებაო (იქვე:201).

მოლაპარაკების პროცესი თანდათან ჩიხში შედიოდა. უპერსპექტივობის გამო ჯერ საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯ. იოსელიანმა განაცხადა უარი ჟენევაში 2-5 სექტემბრის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე („СГ" 1994:141), ხოლო შემდეგ, 15-18 ნოემბერს, იმავე ჟენევის ოთხმხრივი მოლაპარაკების დროს საქართველოს მხარემ გამოაქვეყნა მემორანდუმი, სადაც ნათქვამი იყო: „აფხაზთა მხარე და მისი მხარდამჭერი რეაქციული ძალები თანმიმდევრულად ფუშავდნენ და ფუშავენ კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაწყვეტის შესაძლებლობასო"-ო („სრ" 1994:205).

ვ. არძინბა კი თავს კვლავ ჰუმანისტ და ლოიალურ პოლიტიკოსად ასაღებდა, ცდილობდა, რაც შეიძლება, ფართო აუდიტორია დაერწმუნებინა ამაში. გაზეთ „პრავდის" 1994 წლის 2 დეკემბრის ნომერში მან გამოაქვეყნა წერილი „აფხაზეთი რუსეთიდან არასოდეს გამოსულა". იგი სავსე იყო სიცრუით და ინსინუაციებით, 4 აპრილის შეთანხმებათა არასწორი ინტერპრეტაციით და საკუთარ დამსახურებებზე ტრაბახით. იგი წერდა: „ჩვენ გამოვიჩინეთ ინიციატივა და დავიწყეთ ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება"-ო. ამას ამბობდა კაცი, რომელიც გამოგონილი მიზეზების წამოყენებით ხელოვნურად აფერხებდა დევნილთა დაბრუნების დაწყებას და საქმე პროცესის საერთოდ ჩაშლამდე მიჰყავდა. მეორე მხრივ, იგი და მისი ხროვა განაგრძობდნენ აფხაზეთის ვითომც და დამოუკიდებელი სახელმწიფოდ აღიარების მცდელობებს. 17 აგვისტოს, ყაზანში ხელი მოაწერეს „თათრეთის რესპუბლიკასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას", რომელშიაც მხარეები ერთმანეთს სცნობდნენ „საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად" (იქვე:147). მეორე დღეს, 18 აგვისტოს აფხაზეთმა ანალოგიური ხელშეკრულება გააფორმა ბაშკორტოსტანთანაც (იქვე:150).

ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა გამოაქვეყნეს თავიანთი უარყოფითი ხასიათის განცხადებანი. ისინი გამოაცხადეს ანტიკონსტიტუციურ აქტებად, რაც ფაქტობრივად მათ ბათილად ცნობას უდრიდა („СГ":1994:135). მაგრამ ვ. არძინბას ამაებისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია.

კიდევ უფრო ავანტიურისტული იყო აფხაზ სეპარატისტთა კონსტიტუციური პრაქტიკა. 26 ნოემბერს, აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, რომლის წევრთა ნახევარზე მეტი დევნილებაში იმყოფებოდა, მიიღო აფხაზეთის კონსტიტუცია. იგი აფხაზეთს სუვერენულ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აცხადებდა. ამ თვითმარქვია რესპუბლიკის პრეზიდენტად გამოაცხადეს ვ. არძინბა. ეს იყო სამშვიდობო პროცესის ჩაშლის კიდევ ერთი მცდელობა. აფხაზებმა ასეთი თვითნებური ნაბიჯი შეგნებულად გადადგეს, რადგან იცოდნენ, რომ სამშვიდობო პროცესის წარმატებით დამთავრება მათთვის სასარგებლო მოვლენა არ იქნებოდა („სრ" 1994:205).

ეს ავანტურა წარმოადგენდა საერთაშორისო გაერთიანების გამოწვევასაც, რამდენადაც, ჯერ კიდევ გაეროს გენ. მდივნის 1994 წლის 9 მარტის მოხსენებაში აღნიშნული იყო, „რომ აფხაზეთის მხარეს მკაფიოდ განემარტა იარაღის ძალით მოპოვებული დამოუკიდებლობის მიუღებლობა საერთაშორისო გაერთიანებისათვის". ახლა კი აფხაზი სეპარატისტების მიერ თავისი სახელმწიფოს სტატუსის შეცვლის მიზნით გატარებული ღონისძიებანი ოფიციალური განცხადებებით უარყვეს: გაეროს უშიშროების საბჭომ, რუსეთის ფედერაციის საბჭომ, აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის ელჩებმა საქართველოში (იქვე:206).

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე მთელი ყურადღების გადატანამ სიმწვავე დაუკარგა ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობის პრობლემებს. ამას ისიც განაპირობებდა, რომ არძინბას რეჟიმისაგან განსხვავებით ოსი სეპარატისტები შეიარაღებულ ძალდატანებას აღარ მიმართავდნენ. საქართველოს ხელისუფლება დროდადრო იხსენებდა ცხინვალს და ცდილობდა ადგილობრივი ხელისუფლების გაუღიზიანებლად მიეღწია საბოლოო მიზნისათვის, რაც რეგიონის კვლავ საქართველოსთან შემოერთებაში მდგომარეობს.

ერთი ასეთი ვოიაჟი წლის დასაწყისშივე მოეწყო. საახალწლოდ ცხინვალს ეწვია ო. ფაცაცია, რიგი უწყებების ხელმძღვანელებთან

ერთად. ომის შეწყვეტის შემდეგ ცხინვალში საქართველოს მთავრობის მეთაურის ეს პირველი ვიზიტი მიზნად ისახავდა არსებული ვითარების შესწავლას და მხარეთა პოზიციების დაზუსტებას. განიხილეს და გადაწყვიტეს ზოგიერთი ეკონომიკური საკითხიც („სრ“ 1994:2).

ამ შეხვედრიდან ორიოდე დღის შემდეგ ცხინვალში გამოქვეყნდა საარჩევნო კანონი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ადგილობრივი ნიხასის არჩევნებისა (იქვე:5). საქართველოს ხელისუფლებამ ამ არაკონსტიტუციურ აქტსაც წაუყრუა[1].

ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ეუთოს ეგიდით ელადიკავკაზში 14 ივნისს გამართული შეხვედრა. მან დადებითი როლი შეასრულა სამშვიდობო და შერიგების პროცესის შემდგომი გაღრმავების საქმეში. მხარეებმა ხელი მოაწერეს 11 მუხლისაგან შემდგარ შეთანხმებას. იგი ძირითადად კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ საკითხებს ეხებოდა (იქვე:110). ოქტომბრის მიწურულს ცხინვალის ხელისუფლებამ განახორციელა ორი სეპარატისტული, ანტიკონსტიტუციური და ანტიქართველური აქტი. ერთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფო ნიხასის თავმჯდომარემ ლ. ჩიბიროვმა და მოლდავეთის დნესტრისპირეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალ. კარამანმა ცხინვალში ხელი მოაწერეს სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ (იქვე:191).

მეორე, ზემოთ დასახელებული საარჩევნო კანონის მიხედვით, დაინიშნა არჩევნები. ცხინვალის ადგილობრივი სახელმწიფო ნიხასის არჩევნებისათვის შეიქმნა 18 საარჩევნო უბანი, რომლებშიაც კენჭს იყრიდა 28 კანდიდატი, მათგან არც ერთი არ იყო ქართველი. ასევე საარჩევნო სიებში არ შეუტანიათ 28 ქართული სოფლის მცხოვრებნი (იქვე). ცხადია ეს ფაქტი აპარტეიდის ოსური ვარიანტის გამოვლინებას წარმოადგენდა.

---

[1] ასეთი დათმობები მომდევნო ხანშიაც გაგრძელდა. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე ფრაქცია „ეროვნული დემოკრატიის“ თავმჯდომარემ შ. გიოგაძემ განაცხადა, რომ მას სწორად მიაჩნია გაფრცელებული სმები, რომელთა მიხედვითაც ელადიკავკაზში მოლაპარაკებისას საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე დათანხმა ოსთა ლიდერს ლ. ჩიბიროვს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თაობაზე და ამიტომ ეს არჩევნები მოლაპარაკების მეორე დღესვე დაინიშნა.

„სამხრეთ ოსეთში“ პრეზიდენტის არჩევნებამდე დაახლ. 10 დღით ადრე, ჩრ. ოსეთის პრეზიდენტმა ა. გალაზოვმა განაცხადა, რომ ცხინვალში პრეზიდენტად არჩეული უნდა იქნას ისეთი პიროვნება, რომელიც ხელს შეუწყობს ორი ოსეთის გაერთიანებას. პრეზიდენტად არჩიეს ლ. ჩიბიროვი. ამ ფაქტებს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია.

ორივე ამ მოვლენის გამო ქართული მხარის მიერ გამოთქმული პროტესტი ფარატინა ქაღალდად დარჩა.

1994 წელს საქართველოს ახლო და შორეულ მეზობლობაში მიმდინარეობდა პროცესები, რომელთა გათვალისწინება ქართული პოლიტიკის ცალკეული ასპექტების განსაზღვრისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა.

1997-1998 წწ. მიჯნიდან ოფიციალურ წრეებსა და მასმედიაში ხშირად გაისმის აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში ე. წ. „ბოსნიური ვარიანტის" გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. თანაც განმარტავენ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მშვიდობის დამყარებისათვის შეიარაღებული ძალების ზემოქმედებაზე. რატომ ჰქვია ასეთ ოპერაციას ბოსნიური ვარიანტი?

1994 წლის დამდეგს ქ. სარაევოს ბაზარში მოხდა დიდი სისხლისღვრა. რის შედეგადაც გაეროს გენმდივანმა წერილი გაუგზავნა ნატოს, რომელშიც გაეროს სახელით მოითხოვდა სარაევოზე საჰაერო დარტყმის განხორციელებას. ამ ღონისძიების მიზანი იყო ქალაქის გარშემო უსაფრთხოების ზონის შექმნა. გენმდივანმა შედარებით მოგვიანებით კვლავ მოითხოვა ნატოს ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარება ქ. გორაჟდესა და უსაფრთხოების სხვა ზონების დაცვის მიზნით.

ამ ოპერაციებმა კატალიზატორის როლი შეასრულეს და გამოჩნდა ყოფილი იუგოსლავიის პრობლემის[1] ფართომასშტაბიანი მოლაპარაკების გზით მოგვარების პერსპექტივა.

---

[1] პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები სლავი კათოლიკეები (ხორვატები) და სამხრეთსა და აღმოსავლეთში ბინადარი მართლმადიდებელი სლავები (სერბები) მორიგდნენ--სერბიის მართლმადიდებელი მეფის ალექსანდრეს მართველობით შექმნეს სლავთა კავშირი. ასე წარმოიშვა იუგოსლავია.

1939 წელს იუგოსლავიის ხორვატიულმა ნაწილმა ავტონომია მიიღო. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში ხორვატთა ერთმა ნაწილმა სერბების ხოცვა-ჟლეტა დაიწყო, ხოლო მეორე--ტიტოს შეურთდა და ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა. ომის დამთავრების შემდეგ ტიტოს კონსტიტუციის მიხედვით, იუგოსლავია 6 რესპუბლიკისაგან შედგებოდა. მათში ხუთი ეროვნება ცხოვრობდა. მათგან უმრავლესობა სერბები (9,8 მლ. კაცი) იყვნენ. მაგრამ ტიტოს სიცოცხლეში რომელიმე მათგანს ხელისუფლების მონოპოლიზების ნაკლები შესაძლებლობები ჰქონდათ.

1980 წელს, ტიტოს გარდაცვალების შემდეგ, ეროვნულმა ძალებმა განაახლეს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა. კომპეტენციურად მცხოვრები ეროვნული ჯგუფები ტერიტორიების განაწილებაში ვერ შეთანხმდნენ და მათ შორის აღსდგა ის იტორიული განხეთქილება, რაც საუკუნეების მანძილზე არსებობდა.

ჰაგის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებმა სლოვენებმა (ეთნიკური სერბები; დაახლ. 2 მილ კაცი) თვითანთი კათოლიკობის გამო დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერით, 1993 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მათი მაბაძვით ანალოგიურ ნაბიჯზე წავიდნენ ხორვა-

მაგრამ ბოსნიელი სერბები კვლავ ბომბავდნენ უსაფრთხოების ზონებად გამოცხადებულ სექტორებს. ამიტომ 16 აპრილს ახალი მოთხოვნის პასუხად გორაჟდეში მყოფ სამხედრო მეთვალყურეთა დაცვის მიზნით ნატოს თვითმფრინავებმა გაანადგურეს უსაფრთხოების ზონაზე თავდასხმაში დამნაშავე სერბების რამდენიმე პოზიცია. 18 აპრილს გაეროს გენმდივანმა კვლავ მიმართა ნატოს გენმდივანს მიეელინებინა უფლებამოსილი დელეგაცია ნატოს სამხრეთის სარდალთან, რათა მას გაეროს თხოვნის საპასუხოდ განეხორციელებინა საჰაერო დარტყმები გორაჟდესა და სხვა უსაფრთხო ზონების დასაცავად, როგორც ეს მოხდა სარაევოში. ძალის გამოყენების შესაძლებლობამ კვლავ დასახა სამშვიდობო მოლაპარაკების პერსპექტივა. მან კი არსებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკური კრიზისის დაძლევაზე იუგოსლავიაში. ასე გაჩნდა ახალი პოლიტიკური ცნება—„ბოსნიური ვარიანტი".

ზემოთ ვახსენეთ აფხაზეთის მიერ თათრეთისა და ბაშკორტისტანთან, ხოლო სამხრეთ ოსეთის მიერ დნესტრისპირეთის რესპუბლიკას-

---

ტებიც (4,7 მილ.კაცი). სერბებთან რამდენიმე თვის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ბელგრადის ხელისუფლება იძულებული გახდა, მათი დამოუკიდებლობა აღიარებინა.

მაგრამ სერბებთან დაძაბულობა გრძელდებოდა, რადგან ხორვატიაში 700 ათასი სერბი ეროვნულ უმცირესობაში მოჰყვა. სისხლისღვრის აღკვეთის მიზნით 1993 წელს ხორვატიაში გაეროს 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე შეიყვანეს. ამ დროს 10 ათასი სერბი გაქცევლი იყო და ისტორიული ძეგლები დანგრეულ-გაძარცული, მაგრამ მშვიდობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება გაეროს სამხედრო ძალების მეთვალყურეობით ასე თუ ისე სრულდებოდა.

როგორც ვთქვით, იუგოსლავიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი სერბიელებია. რუსეთის დახმარებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სერბია პრეტენზიას აცხადებდა შექმნა დიდი სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ სლავთა მიწა-წყალს გააერთიანებდა, მაგრამ, რაც შექმნილი ჰქონდა, ისიც თავზე ენგრევა.

სერბიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ნახევარმილიონიანი ჩრნოგორია, ასევე, სლავური ეთნიკური ჯგუფითაა დასახლებული და თავს სერბიის ნაწილად მიიჩნევს. იუგოსლავიის ყველაზე სამხრეთი რესპუბლიკაა მაკედონია. იქ ცხოვრობენ სერბები, ბერძნები და მუსლიმანები. ამ ტერიტორიას თავისად მიიჩნევს საბერძნეთი, მაგრამ მაკედონია, ჯერჯერობით, იუგოსლავიის შედარებით მშვიდ ნაწილად რჩებოდა, ვიდრე ამ რესპუბლიკის დასავლეთსა და ჩრდილოეთით მდებარე ავტონომიურმა მხარემ-კოსოვომ არ გააჩაღა ბრძოლა მუსულმანების დასაცავად. საქმე ისაა, რომ კოსოვოს მცხოვრებების 90% ალბანელი მუსლიმანები არიან.

ეთნიკურად სლავებთანაა დასახლებული ბოსნია და ჰერცოგოვინა. როცა ბოსნიაში ოსმალებმა შეაღწიეს, მათ დაითანხმეს მოსახლეობა და გაამაჰმადიანეს იგი. 1878 წლამდე ბოსნიას და ჰერცოგოვინას თურქეთი ფლობდა და მართავდა. ამ დროიდან იქ მათი გავლენა შემცირდა, მაგრამ 4,4 მილიონი მოსახლეობიდან 43,7% პროცენტს მუსლიმანები შეადგენენ.

1993 წლის შეორე ნახევარში სარწმუნოებრივ ნიადაგზე, სინამდვილეში კი ტერიტორიებისათვის სერბებმა ბოსნიელებზე სისხლიანი ომიშები დაიწყეს. მათთან ალიანსში აღმოჩნდნენ ხორვატებიც, რომლებიც ადრე სერბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მუსლიმანთა მხარდაჭერას ეძიებდნენ.

იუგოსლავიის კრიზისს 1995 წლის იენისათვის შეეწირა 100 ათასზე მეტი ადამიანი. ლტოლვილად იქცა 2 მილიონამდე მცხოვრები (,,სრ" 1995:68). კრიზისის მოუგვარებლობის მთავარი მიზეზია ის, რომ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს ზურგს უმაგრებენ სახელმწიფოთა გარკვეული დასები, რაც მათს ბრძოლას ახალ-ახალ იმპულსებს აძლევს.

თან გაფორმებული ხელშეკრულებები. სეპარატისტული რეჟიმებისათვის სერიოზული წამქეზებელი ამ შემთხვევაში იყო გაზეთ „იზვესტიაში“ 1994 წლის 2 ივნისს გამოქვეყნებული სტატია, რომლის ავტორი მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. კოჩარიანი (1998 წლის მარტში აირჩიეს სომხეთის პრეზიდენტად) აცხადებდა, რომ მალე შეიქმნებოდა არააღიარებულ სახელმწიფოთა კავშირი და მასში შევიდოდნენ: მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთის რესპუბლიკა და... აჭარა. ამ უკანასკნელის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. აბაშიძემ უარყო ასეთი ხმები, მაგრამ დანარჩენებისათვის ასეთი კავშირის შექმნა სანუკვარ ოცნებად და მნიშვნელოვან ურთიერთმხარდაჭერად აღიქმებოდა.

დსთ-ის ცალკეულ ქვეყნებთან საქართველოს კავშირურთიერთობაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოთა მეთაურების პირადი დამოკიდებულება და სიმპათია-ანტიპათიები. ამის გათვალისწინებით, ქართული საზოგადოებრიობა ინტერესით ელოდებოდა 1994 წლის 10 ივლისს უკრაინასა და ბელორუსიაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. უკრაინაში გაიმარჯვა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენელმა, ყოფილმა ვიცე-პრემიერმა ლეონიდ კუჩმამ. იგი ისევე, როგორც წინა პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი, საქართველოსა და ე. შევარდნაძის მიმართ კეთილგანწყობილი პიროვნებაა. რასაც ვერ ვიტყვით ბელორუსიაში პრეზიდენტად არჩეულ 40 წლის ალექსანდრე ლუკაშენკოს შესახებ. არჩევნებამდე იგი იყო ბელორუსის პარლამენტის დეპუტატი, კორუფციასთან ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე. თავს იმით იქებდა, რომ ერთადერთმა მისცა ხმა ბელოვეჟის პროცესის (ე.ი. სსრ კავშირის დაშლის) წინააღმდეგ. დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირებზე იგი არ ეთანხმება ხოლმე წინადადებებს აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო ძალების მანდანტის გაფართოებისა და გალის რაიონის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილთა დაბრუნების თაობაზე. ა. ლუკაშენკო ბელორუს-რუსეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ინიციატორია და დსთ-ის სხვა ქვეყნებსაც მგზნებარედ მოუწოდებს თანამეგობრობის კავშირად გარდაქმნისაკენ.

4 ოქტომბერს სახელმწიფო გადატრიალების ცდა მოეწყო აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სურქტ ჰუსეინოვის მომხრეებმა იგი დაიწყეს განჯაში. ამ ქვეყნის წინა

პრეზიდენტის საწინააღმდეგო მოქმედება სწორედ ამ ქალაქიდან წამოიწყო იმავე ჰუსეინოვმა და წარმატებასაც მიაღწია.

ამჯერად პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის მხარდამჭერებმა 5 ოქტომბერს, ბაქოში, ჩაატარეს 100 ათასიანი მიტინგი. ს. ჰუსეინოვის ავანტიურა ჩაიფუშა. მან დაკავებული თანამდებობაც დაკარგა. (,,СГ 1994:159).

1994 წლის მიწურულს ომი გაჩაღდა უშუალოდ საქართველოს მოსაზღვრე ჩეჩნეთში. მოვლენების განვითარება ამ რესპუბლიკაში, ასეთი მიმართულებით, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი თანმიმდევრულად ახორციელებდა თავისი ქვეყნის რუსეთისაგან გამოცალკავების პოლიტიკას. ქმნიდა მოსკოვისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, ჩამოაყალიბა და შეაიარაღა სახმელეთო სამხედრო შენაერთები და ავიაცია. ჩეჩნეთის პარლამენტს მიაღებინა სუვერენული სახელმწიფოს კონსტიტუცია და სამართლებრივი ბაზის დამამკვიდრებელი სხვა დოკუმენტები. ყველაფერი ეს განმტკიცებული იყო ისლამური ფუნდამენტალიზმით და მთიელთათვის დამახასიათებელი ფანატიზმით.

რუსეთის ხელისუფლება გარეგნულად თითქოს მშვიდად ხვდებოდა და უყურებდა თავისი ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტის ამ თავაშვებულობას. მაგრამ სპეცსამსახურები მათთვის დამახასიათებელი მზაკვრობით, ძირგამომთხრელი მუშაობით შიგნიდან აფეთქებას უმზადებდნენ ჯ. დუდაევის რეჟიმს. მოვლენების განვითარება 1994 წლის ზაფხულისათვის მომწიფდა. დადგა აქამდე ფარულად მოქმედი ძალების სააშკარაოზე გამოსვლის დრო. გამოიკვეთა ჯ. დუდაევის ოპოზიციაში მყოფი რამდენიმე ძალა.

ერთი, ეს იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ექსსპიკერი რუსლან იმრანის ძე ხასბულატოვი, შედარებით ზომიერი მიმართულებისა და შეიარაღებული გამოსვლის გარეშე პრობლემის მოგვარების მომხრე. მეორე, რუსლან ლაბაზანოვი, ის აპირებდა იარაღით გასწორებოდა ჯ. დუდაევს და იმუქრებოდა მისი განადგურებით. იგი თავისი მომხრეებით ჩაკეტილი იყო გროზნოს მახლობლად მდებარე არგუნში. შედარებით მცირე მხარდამჭერი ჰყავდა მესამე მეამბოხეს—უმარ ავტურხანოვს, რომელსაც რუსეთის მომხრეობაში სდებდნენ ბრალს (იქვე:135). რუსეთის ოფიციოზს იმედი ჰქონდა ოპოზიცია მისი დახმარებით დაამხობდა დუდაევის რეჟიმს. მაგრამ ჩეჩნეთის პრეზიდენტს მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს და მას თვით რუსეთის იარაღით კარგად აღჭურვილი ჯარი ჰყავდა. განსაკუთრებით გამაგრებული იყო გროზნო, რომელშიაც ისევე, როგორც მთელ ჩეჩ-

ნეთში, ტარდებოდა ხალხმრავალი მიტინგები ხელისუფლების სასარგებლოდაც და ოპოზიციის მხარდასაჭერადაც.

21 აგვისტოს გროზნოსთან გამართულ 100 ათასიან მიტინგზე რ. ხასბულატოვმა გამოაცხადა „ჯ. დუდაევის დღეების დათვლილია“-ო (იქვე:141).

ჩეჩნეთში საომარი ღრუბლები თანდათან მუქდებოდა. მოძრაობა შეწყდა ჩრ. კავკასიის რკინიგზაზე. ჯ. დუდაევმა შეძლო 25 აგვისტოსათვის დანიშნული მისი საწინააღმდეგო მიტინგის გადავადება. მაგრამ ოპოზიციამ შექმნა ჩეჩნეთის დროებითი საბჭო უმარ ავტურხანოვის მეთაურობით, რომელიც თანდათანობით აფართოებდა თავის გავლენას. ამ ძალებს ფარულად ეხმარებოდა რუსეთი. ძლიერ გააქტიურდა რ. ხასბულატოვიც, იმედი ჰქონდათ, რომ იგი შუალედურ როლს შეასრულებდა დაპირისპირებულ ძალთა შორის (,,სრ“ 1994:151).

24 აგვისტოს ოფიციალურმა პირებმა უკვე გამოაცხადეს, რომ რუსეთი იძულებულია მისი მომხრეების დასახმარებლად ჩეჩნეთში მიმართოს პრობლემის გადაწყვეტის ძალისმიერ მეთოდებს. 2 სექტემბერს ავტურხანოვმა დაიწყო ქ. გროზნოზე შეტევა. ამას მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრივ. 3 სექტემბერს რუსეთის ვერტმფრენმა რაკეტული დარტყმა მიაყენა გროზნოს. ჩეჩნეთის მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა თურქეთის პრეზიდენტს (იქვე: 145).

მიუხედავად რუსეთის მხრიდან აშკარა დახმარებისა, ოპოზიციამ ვერც სახელმწიფო გადატრიალების მოხდენა და ვერც ქ. გროზნოს აღება ვერ შეძლო. 11 დეკემბერს ბ. ელცინმა გამოსცა ბრძანება, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით შეეყვანათ შინაგანი ჯარები ჩეჩნეთში. პ. გრაჩოვი აცხადებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ დუდაევის რეჟიმი რამდენიმე საათში დაემხოთ. მაგრამ დაწყებული ომი ჩეჩნეთში თითქმის ორი წელი გაგრძელდა და რუსეთის დამარცხებით დასრულდა. ჩეჩნეთი, ფაქტობრივად, რუსეთს გამოეყო და დამოუკიდებელი გახდა.

14 დეკემბერს რუსეთის ტელევიზიის პროგრამა „ნოვოსტიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს მხრივ თავდასხმის საფრთხის გამო აფხაზეთის შეიარაღებული ძალები მოყვანილია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში. სინამდვილეში კი აფხაზმა ექსტრემისტებმა ძალები საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს ჩეჩნეთში დაწყებული ომის გამო („სრ“ 1994:211). ე.ი. რუსეთმა თავად დაიწყო ომი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება კი საქართველოზე გადმოჰქონდა, ბრალს სდებდა მას აგრესიაში.

ჩეჩნეთში დაწყებული ომი აფხაზმა სეპარატისტებმა ახალი პროვოკაციებისა და მოთხოვნების წამოსაყენებლად გამოიყენეს. მათ განაცხადეს, რომ ჯ. დუდაევის დასახმარებლად დამატებით (იქ უკვე იბრძოდა აფხაზეთში გამოცდილებამიღებული 1200 აფხაზი „ბოევიკი“) ძალებს ვერ აგზავნიან, რადგან ენგურიდან ქართველების შემოტევის საშიშროებას მოელიან. ამისვე მომიზეზებით, მათ მოითხოვეს ერთი თვით გადადებულიყო გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება (იქვე). სინამდვილეში აფხაზეთში მიმდინარეობდა ჩეჩნეთის მხარდამჭერი მიტინგები. 14 დეკემბრიდან ტარდებოდა ჩეჩნეთში გასაგზავნ მოხალისეთა ჩაწერა. გენ. გ. კონდრატიევი მიხვდა, რომ რუსეთს არ დაუფასეს აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნაში გაწეული ღვაწლი. მან აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს სოსნალიევს უსაყვედურა: უღირთ კი რუსებს უზრუნველყონ მშვიდობა აფხაზეთში, თუ მისი მოქალაქენი ჩეჩნეთის მხარეზე იბრძვიან რუსეთის ჯარისკაცების წინააღმდეგო? (იქვე:213).

ამაო გამოდგა მოლაპარაკებანი ჯ. დუდაევთან. მან უარი თქვა ჩეჩნეთის რუსეთის ფედერაციის სუბიექტად ცნობაზე და ოფიციალურად გამოუცხადა ტოტალური ომი რუსეთს (იქვე).

სტაბილურობით არ გამოირჩეოდა დასავლეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულება ჩეჩნეთის მოვლენებისადმი. თავიდან ისინი მას რუსეთის საშინაო საქმედ თვლიდნენ. მაგრამ საომარი ოპერაციების ესკალაციის შემდეგ, ბ. ელცინს, მოუწოდებდნენ მოლაპარაკების გზით მოეგვარებინა პრობლემა. ჯ. დუდაევი კი მოლაპარაკების დაწყების პირობად ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების მთლიანად გაყვანას აყენებდა (იქვე:215).

ჩეჩნეთის ამბებთან დაკავშირებით გაიზარდა საქართველოს საზღვრების დარღვევის შემთხვევები და ჩვენი ტერიტორიის გავლით ტერორისტთა შეგზავნის მცდელობანი. ჩეჩნეთიდან შემოდიოდნენ ლტოლვილებიც. მათ ყვარლისა და ახმეტის რაიონებში აძლევდნენ თავშესაფარს და შედარებით ასატან საყოფაცხოვრებო პირობებს უქმნიდნენ (იქვე).

1994 წელს გრძელდებოდა საქართველოს საერთაშორისო კავშირურთიერთობების განმტკიცება. სახელმწიფოს მეთაურისა და ქართველი დიპლომატების ძალისხმევით მსოფლიოს რიგი ქვეყნების პოლიტიკოსებსა და ბიზნესმენებში იზრდებოდა საქართველოთი დაინტერესება. ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების ვიზიტების საპა-

სუხოდ ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიოდნენ უცხოელი დიპლომატები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

საქართველოს მონაწილეობით ჩამოყალიბებულ ახალ საერთაშორისო სტრუქტურათა შორის მნიშვნელოვანი პერსპექტივები დაესახა შავი ზღვის აუზის ქვეყნების კავშირს. 16 მაისს თბილისში გაიმართა ამ კავშირში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მესამე სხდომა (იქვე:82).

31 ივნისს კი თბილისში შეიკრიბნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. მათ მიესალმა ე. შევარდნაძე. მისი თქმით, ალიანსის არსებობის 2 წლის მანძილზე (კავშირი არსებობს 1992 წლის 25 ივნისიდან) მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დარღვეული ეკონომიკური კავშირების აღდგენისათვის („СГ“ 1994:105).

1994 წლის ზაფხულში მკვეთრად შემცირდა ხორბლის მარაგი. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სექტემბრის მიწურულს გამართულმა გაეროს უშიშროების საბჭოში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის მადლენ ოლბრაიტის თბილისში ვიზიტმა. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ქვეყნის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და აეროპორტშივე თქვა: უფლებამოსილი ვარ გადავცე ქართველ ხალხს, რომ აშშ-ი გააძლიერებენ დახმარებას და დამატებით გადმოსცემენ საქართველოს 110 ათას ტონა მარცვლეულსო („სრ“ 1994:139).

1 ოქტომბერს თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი. „ჩამოვედი, რათა პირადი წვლილი შევიტანო საქართველოს აღმავლობის საქმეშიო“, თქვა მან. იგი თსუ-ის საპატიო დოქტორად აირჩიეს (იქვე:177).

31 ოქტომბერს საქართველოს ეწვია გაეროს გენერალური მდივანი ბუტროს გალი. მისი ვიზიტის მიზანი იყო გაეროსა და საქართველოს, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრის, კავშირების განმტკიცება. პრესკონფერენციაზე გენმდივანმა განაცხადა, რომ გაერო და იგი აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტის მოწესრიგების აღებული კურსის განსამტკიცებლად განზრახული აქვს გაეროს მეთვალყურეთა კონტიგენტის გაზრდა აფხაზეთში („СГ“ 1994:171).

15 ნოემბერს თბილისში იმყოფებოდა თურქეთის პრეზიდენტი ს. დემირელი. ეს იყო მისი და ე. შევარდნაძის მეოთხე შეხვედრა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. სტუმარმა განაცხადა, რომ თურ-

ქეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური პრობლემები არ არსებობს. (იქვე: 171).

1994 წელს მოეწყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რამდენიმე საზღვარგარეთული ვიზიტი. 12 იანვარს ანკარაში თურქეთის პრეზიდენტს დემირელსა და ეროვნული კრების თავმჯდომარესთან შეხვედრების დროს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებათა სრული პაკეტი. გამოინახა საქართველოსათვის ახალი დამატებითი კრედიტების გამოყოფის შესაძლებლობა („სრ“ 1944:9).

20 იანვარს მოეწყო ე. შევარდნაძის ვიზიტი საფრანგეთში. მას იქ ჰქონდა რამდენიმე ძლიერ მნიშვნელოვანი შეხვედრა. პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოს და საფრანგეთს შორის მეგობრობის და თანამშრომლობის შესახებ (იქვე:14). საერთაშორისო ორგანიზაცია „ერთად მშვიდობის დასამყარებლად“ (არსებობს 1988 წლიდან) ე. შევარდნაძეს „მშვიდობის დესპანის“ წოდება მიანიჭა (იქვე:17).

11 მარტს ამერიკაში ნამყოფმა ე. შევარდნაძემ მოკლევადიანი ვიზიტი მოაწყო კანადაში. ხელი მოეწერა კანადა-საქართველოს დეკლარაციას.

21 ოქტომბერს ე. შევარდნაძე მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების სამიტში. თათბირის დამთავრების შემდეგ იგი შეხვდა ბ. ელცინს („СГ“ 1994:165).

6 დეკემბერს ე. შევარდნაძე სიტყვით გამოვიდა ბუდაპეშტში გამართულ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე (ეუთო). მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპამ, მიუხედავად ცივი ომის დამთავრებისა, თავი ვერ დააღწია მისგან შემორჩენილ რეციდივებს. თათბირმა ერთხმად სცნო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ურყეობა (იქვე:179).

1994 წლის მეორე ნახევარში, ქვეყნის საწარმოო პოტენციალის უმოქმედობის გამო, გრძელდებოდა წარმოების მოცულობის დაცემა. ერთ სულ მოსახლეზე წლიურად იწარმოებოდა 400 დოლარი. წარმოების მოცულობის დაცემა დამღუპველად მოქმედებდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ზრდიდა დეფიციტს.

ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად დღითი დღე უარესდებოდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ვითარებას ამძიმებდა ჰიპერინფლიაცია. იგი 8500 პროცენტს უდრიდა, შესაბამისად, ინ-

ტენსიურად იზრდებოდა ფასები. მხოლოდ გასულ 6 თვეში იგი 13-ჯერ გაიზარდა, ანუ საშუალო თვიურმა ზრდამ 53% შეადგინა. ესეც მხოლოდ სახელმწიფოს მიერ რეგულირებად სფეროებში, რამდენადაც კუპონი, როგორც მიმოქცევის საშუალება, მხოლოდ აქ მოქმედებდა. რაც შეეხება ისეთ სფეროს, სადაც საბანკო სისტემის გვერდის ავლით მიმოიქცეოდა რუსული მანეთი და მყარი ვალუტა, იქ ფასების ზრდამ 40-50 პროცენტს გადააჭარბა და ეს მაჩვენებელი საქართველოში უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსეთში („სრ“ 1994:137).

ეს ფაქტი და ეკონომიკური ანალიზის სხვა მონაცემები ადასტურებდნენ რომ ფულის მიმოქცევის სისტემაში სრული ანარქია სუფევდა. საქართველოს ეკონომიკური და ფანანსური სივრცე მთლიანად ჰქონდა დაკავებული რუსეთის ფედერაციის ფულს. ეს მაშინ, როდესაც რუსეთი თავად განიცდიდა ფულის ნიშნების მწვავე დეფიციტს, რიგ საწარმოებსა და დარგებში თვეობით ხელფასებსაც კი ვერ იძლეოდნენ, საქართველოში, რომელიც სამანეთო სივრცეში აღარ შედიოდა, ფულის ეს ერთეული უხვად იყო მიმოქცევაში. თანაც, ჩვენს მოქალაქეებს პენსიების, სტიპენდიებისა და ხელფასების სახით აძლევდნენ კუპონებს, ხოლო ბაზარზე გადახდის საშუალებად რუსული მანეთი გამოდიოდა. ასე რომ, კუპონის განზრახ მიზანმიმართული სრული გაუფასურების პირობებში, მოსახლეობას დახარჯული სამუშაო ძალის საფასურად ღირებულების არმქონე შეღებილ ქაღალდს თავაზობდნენ.

15 სექტემბრიდან მინიმალური ხელფასი განისაზღვრა 1 მილიონი კუპონით. საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშუალო ხელფასი 2,5 მილიონი გახლდათ. ეს მაშინ, როცა ერთი კგ. პური 200 ათასი კუპონი ღირდა, ერთი კვტ საათი ელექტროენერგია—600 ათასი, ხოლო ერთი კბმ გაზი კი 200 ათასი კუპონი (იქვე:163).

ხელისუფლების ღონისძიებებმა კუპონის ერთადერთ სამომხმარებლო საშუალებად გადაქცევის მიზნით, მისი ინფლიაციის ნაწილობრივი შემცირება გამოიწვია[1]. 2 ნოებრის მონაცემებით ერთი დოლარი უდრიდა 2 მილიონ 30 ათას კუპონს. 15 ნოემბერს კი—1 მილიონ 835 ათასს. შესაბამისად, დაეცა მოთხოვნილება რუსულ მანეთზეც. საბანკთაშორისო ბირჟაზე გამოტანილი 23 მილიონი მანეთი აუთვისებელი დარჩა (იქვე:203).

[1] საფინანსო-ეკონომიკური სფეროს საჭიროებისათვის სახელმწიფო მიმართავდა სესხების აღების პრაქტიკას. 12 თვლის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერეს 10,9 მილიონი დოლარის ინსტიტუციონალური კრედიტის გახსნას („СГ“ 1994:110). 14 დეკემბერს ვაშინგტონში მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ანგარიში გაუხსნეს საქართველოს 40 მილიონი დოლარის სესხის გამოყოფის თაობაზე („სრ“ 1994:22).

წარმოების მოცულობის დაცემისა და ჰიპერინფლიაციის პირობებში ფორმალური ხასიათი ჰქონდა ბიუჯეტის დამტკიცებას. 1994 წლის ბიუჯეტი პარლამენტმა მხოლოდ ივნისის მიწურულს დაამტკიცა (იქვე:120). ორი თვის შემდეგ განიხილეს 6 თვის შესრულების შედეგები. აღმოჩნდა, რომ შემოსავლებმა 5,240 მილიარდი კუპონი შეადგინა. გათვალისწინებულს დააკლდა 4,145 მილიარდი კუპონი (იქვე:149).

რადიონტერვიუში ე. შევარდნაძის მიერ მოტანილი მონაცემების მიხედვით, ბიუჯეტს თანდათან გამოუჩნდა მუდმივი შემოსავლების წყარო. მესამე კვარტალში საგადასახადო შემოსავლებმა 10 ტრილიონ 500 მილიარდი კუპონი შეადგინა, ანუ 280 მილიარდი კუპონით გადააჭარბა ნავარაუდევს (იქვე:194).

1994 წლის IV კვარტლის ბიუჯეტი ცალკე იქნა დამტკიცებული. შემოსავლის ნაწილში იგი შეადგენდა 31.712.000.0 მილიონ კუპონს. გასავალიც ამდენივე იყო დაგეგმილი (იქვე:203).

ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისს ამწვავებდა სახელმწიფო ქონების მასობრივი დატაცება. კატასტროფული სახე მიიღო ნავთობსადენის ძარცვამ. მას მთელ სიგრძეზე ხვრეტდნენ და ასეულობით ტონა ნედლეული მიჰქონდათ კუსტარულ ნავთობსახდელებში გადასამუშავებლად. ეს იმდენად მასობრივი მოვლენა გახდა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა მის აღსაკვეთად საგანგებო ბრძანებულება გამოსცა. დაიწყო კუსტარული ნავთობსახდელების ჩამორთმევა-ლიკვიდაცია. ოქტომბრის მეორე ნახევარში საგარეჯოს რაიონში გაანადგურეს 35 ნავთობსახდელი, გარდაბანის რაიონში კი—48 (იქვე: 199). ანალოგიური ოპერაციები მიმდინარეობდა საქართველოს სხვა რაიონებშიაც.

ქვეყნიდან გაედინებოდა დიდი რაოდენობის ფერადი ლითონი და მანგანუმის სილიკატები. 30-31 ოქტომბერს ზესტაფონის რკინიგზის სადგურში მდგომ ვაგონებში ჩატარებული უნდა ყოფილიყო ფეროშენადნობთა ქარხნიდან გამოტანილი 2 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია. გადაწონვის შემდეგ დანაკლისი აღმოჩნდა 100 ტონა, ე.ი. 50 ათასი დოლარისა (იქვე:195). შემოწმებული 96 ცისტერნიდან ნავთობი აღმოჩნდა მხოლოდ ერთში.

22 დეკემბერს, საქინფორმი იტყობინებოდა, რომ გაძარცვეს რუსთავის „აზოტის" ქარხნის საამქრო. წაიღეს იმპორტული წარმოების პოლიეთილენ-პოლიტროპილუნით სავსე 100 ათასი ტომარა, რომელთა საერთო ღირებულება 2 მილიარდ კუპონს შეადგენდა (იქვე:213). ამ დროს 1400 ათასი კუპონი უდრიდა ერთ დოლარს. ამდენად დანაკლისი საგრძნობი იყო.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ძარცვა-დატაცების ყველა ფაქტის აღნუსხვა. ზემოთ მოცემული საერთო სურათის წარმოსადგენად მოვიტანეთ. ამავე მიზნით, კორუფციის მასშტაბების გასააზრებლად დავასახელებთ ერთ ფაქტს. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის დ. სალარიძის განცხადებით, საქართველოს საზღვაოსნოს ორთქმავალთა კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელის ი. მაღალაშვილის საქმის ძიების მსვლელობაში დადგინდა, რომ კომპანიის შორეული ცურვის ხომალდებს სრულიად არაფერი შემოუტანიათ სახელმწიფოსათვის. ამით გამოწვეული ზარალი 50 მილიონ დოლარს უდრის („СГ“ 1994:109).

ზემოთ ვთქვით, რომ ჭრელი შემადგენლობის გამო პარლამენტი თავის ძირითად ფუნქციას—საკანონმდებლო საქმიანობას დაბრკოლებებით ასრულებდა. უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ არსებობის 17 თვის მანძილზე 130 სხდომა გამართა და მხოლოდ 45 კანონი მიიღო. აქედან პირველ ხუთ თვეში—23 („სრ“ 1994:58).

პარლამენტარები არ ერიდებოდნენ არა მარტო უაზრო კამათსა და ინსინუაციებს, არამედ ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი. კერძოდ, 28 აპრილის სხდომაზე პარლამენტარმა ნ. ნათაძემ უცენზურო სიტყვებით მიმართა ვიცესპიკერ ვ. რჩეულიშვილს. საპასუხოდ მან შეურაცხმყოფელს ბორჯომის წყალი შეასხა სახეში. გაგრილებულმა ნათაძემ ვიცესპიკერს ტელეფონი ესროლა (იქვე:71).

დიდ პოლიტიკაში ხელმოცარული პარლამენტარების ერთი ნაწილი ყოველ შესაძლო მომენტში, თავისი შეურიგებელი ოპოზიციაში ყოფნის დასადასტურებლად და პოპულისტური გზით ქულების დასაგროვებლად დროდადრო აყენებდა ხოლმე ე. შევარდნაძის სახელმწიფოს მეთაურის პოსტიდან გადადგომის საკითხს. ამ მხრივ ყველაზე ტიპური იყო პარლამენტარ თ. ჟორჟოლიანის მოქმედება. რესპუბლიკის პროკურატურამ მოიპოვა მასალები პარლამენტარების ი. წერეთლისა და თ. ჟორჟოლიანის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. 13 სექტემბრის სხდომაზე გენერალურმა პროკურორმა, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ითხოვა მათთვის სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნა. 27 სექტემბერს პარლამენტარებმა, მიუხედავად სრული საბუთიანობისა, საკუთარი „მუნდირის ღირსება“ დაიცვეს, იმუნიტეტის მოხსნის პრეცედენტი არ შექმნეს და პროკურორს უარი უთხრეს. გულმოცემულმა თ. ჟორჟოლიანმა მაშინვე აიღო სიტყვა და „ქვეყნის კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიყვანის გამო“ ე. შევარდნაძის გადადგომა მოითხოვა (იქვე:173).

ე. შევარდნაძემ მეორე დღესვე განაცხადა, რომ იგი თანახმაა პარლამენტმა განიხილოს მისი თანამდებობიდან გადადგომის საკითხი.

ამ კოლიზიებს საზოგადოებაში ისეთი უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რომ 29 სექტემბერს თვით ჟორჟოლიანმა წერილობით თხოვა ე. შევარდნაძეს არ დაეტოვებინა თანამდებობა და გამგზავრებულიყო გაეროს გენერალურ ასამბლეის სხდომაზე დასასწრებად (იქვე:175).

სახელმწიფოს მეთაურს აქამდე ჰქონდა გადაწყვეტილი არ გამგზავრებულიყო ნიუ-იორკში, რაც გამოწვეული იყო ზვიადისტთა მიერ გრანდიოზული მიტინგის მზადებით და მოსალოდნელი დესტაბილიზაციის პირობებში ქვეყნის დატოვების მიზანშეუწონლობით (იქვე:177).

თ. ჟორჟოლიანი მაინც უკმაყოფილი დარჩა და სახელმწიფოს მეთაურთან ტელედებატები მოითხოვა. თავისი მიზნის მისაღწევად შიმშილობა გამოაცხადა. 31 დღის შიმშილობის შემდეგ, 8 ნოემბერს, მისი და ე. შევარდნაძის კამათი შედგა პარლამენტის სხდომაზე. ე. შევარდნაძემ უპასუხა მის მიერ შედგენილ 12 კითხვას. თავად ჟორჟოლიანის მოთხოვნით ამის შემდეგ მას უნდა გაეკეთებია მოხსენება, რომელშიაც წარმოადგენდა ქვეყნის ხსნის პროგრამას. ცხადია, ეს მან ვერ შეძლო და მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის პასუხების უსუსური კრიტიკით დაკმაყოფილდა. რაიმე პოზიტიური მას არ უთქვამს და არც პარლამენტის ამ სხდომას შედეგი არ მოჰყოლია (იქვე:200).

ე. შევარდნაძეს პარლამენტის სხდომაზე უხდებოდა მთავრობის ზოგიერთი წევრის დაცვაც. მაგალითად, თავდაცვის მინისტრის—ვ. ნადიბაიძისა, 20 დეკემბერს. განსაკუთრებით უტევდნენ უშიშროების სამსახურის უფროსს იგორ გიორგაძეს. სახელმწიფოს მეთაური კი მის შესახებ ამბობდა „წელიწადის განმავლობაში იგორ გიორგაძემ და მისმა კოლეგებმა დანგრეულ-გაჩანაგებული არქივებისა და დამწვარი ტექნიკის ბაზაზე შექმნეს ერთიანი მთლიანი სამსახური. დავრწმუნდი, რომ ამ სამსახურს შეუძლია დიდი ამოცანების გადაწყვეტა“-ო („სრ“ 1994:213). ცოტა ადრე, 12 დეკემბერს, ი. გიორგაძეს, რომელსაც ი. სარიშვილი გ. ჭანტურიას მკვლელობის მონაწილეობაში სდებდა ბრალს, გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. თუ როგორ გაამართლეს მათ ე. შევარდნაძის ასეთი დახასიათება და ნდობა გამოჩნდა—ი. გიორგაძისა, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის დროს, ხოლო ვ. ნადიბაიძისა 1998 წლის 20-26 მაისის გალის მოსახლეობის ტრაგედიისას.

1994 წლის მოვლენებიდან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ

კიდევ ორზე. ერთი, ესაა—თბილისში 10-16 ოქტომბერს ჩატარებული ყოველთა ქართველთა ფორუმი. რაც ნიშანსვეტი გახდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მცხოვრები ქართველების ერთი მიზნის ირგვლივ კონსოლიდაციისა. ფორუმის მუშაობის ფარგლებში თბილისში, 11 ოქტომბერს გაიხსნა ქართული ემიგრაციის მუზეუმი („СГ“ 1994:163).

ამ იმედის მომცემ და ამდენად სასიამოვნო ფაქტის ფონზე სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა 3 დეკემბრის ტერორისტული აქტი, რომელმაც შეიწირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურია.[1] მისი მანქანა დაცხრილეს, როცა დილით მეუღლესთან ერთად ბინიდან გამოვიდა. ი. სარიშვილი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ გადარჩა. მკვლელები მაშინ ვერ აღმოაჩინეს. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა დაკითხვის დროს დადგინდა, რომ გია გულუას, ს. ხაბეიშვილსა და გია ჭანტურიას მკვლელობა ერთი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენდა. მათი საერთო ხელმძღვანელები იყვნენ იგორ გიორგაძე, თემურ ხაჩიშვილი და გიგა თედიაშვილი. 1994 წლის 20 აპრილს ნიკა გედევანიშვილმა და გოჩა გელაშვილმა მოკლეს გია გულუა. 1995 წლის 19 ივნისს—გოჩა გელაშვილმა მოკლა ს. ხაბეიშვილის მძღოლი, ხოლო გოჩა თედიაშვილმა—ს. ხაბეიშვილი. 1994 წლის 3 დეკემბერს, ორი სხვა მკვლელობისაგან განსხვავებით, თ. ხაჩიშვილმა მკვლელთა ჯგუფი „მხედრიონელთა“ იქაური ხელმძღვანელის მოადგილის ვინმე ზურას (გვარს არ ასახელებენ) მეთაურობით

---

[1] გიორგი (გია) ჭანტურია დაიბადა 1959 წლის 19 აგვისტოს თბილისში. სწავლობდა და დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. ირიცხებოდა ასპირანტად თსუ-ის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრაზე.

1981 წელს გ. ჭანტურიამ თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ალაგდნინა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიის დამფუძნებელი კრება, ასევე არალეგალურად, ჩატარდა 1983 წლის თებერვალში. იმავე წელს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნის საწინააღმდეგო აქციის ჩატარებისათვის გ. ჭანტურია დაპატიმრეს და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ განაგრძო მუშაობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განმტკიცებისა და გააქტიურებისათვის. პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა 1988 წელს. მისი ინიციატივით მოეწყო 22-29 ნოემბრის აქციები თბილისსა და საქართველოში.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა 1989 წლის 4-9 აპრილის აქციების მოწყობაშიც. 10 აპრილს გ. ჭანტურია მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად დაპატიმრეს. მაგრამ მალე იძულებული გახდნენ გაეთავისუფლებინათ.

მომდევნო პერიოდში გ. ჭანტურია თანდათან იხვეჭდა ავტორიტეტს და შესამჩნევი პოლიტიკური პერსონა ხდებოდა. 1990 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ეროვნული კონგრესის არჩევის შემდეგ, იგი იყო ერთ-ერთი პირველი მომსჯელებელთაგანი ამ ორგანოს ამოცანებისა და მნიშვნელობის შესახებ.

„მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გ. ჭანტურია ზ. გამსახურდიას

რუსთავიდან ჩამოიყვანა. გამოცდილი მკვლელი გოჩა თედიაშვილი და ჯ. საყვარელიძე გ. ჭანტურიას მანქანის დაცხრილვისას მხოლოდ დაზღვევაზე იდგნენ („ალია“ 1998:3).

რადგან ბრალდებულებს სხვა დანაშაულობანიც დაემატათ, სასამართლო პროცესის შედეგების შესახებ ქვემოთაა მოთხრობილი.

გ. ჭანტურიას მკვლელობის წინ ყურადღებას იქცევს ზოგიერთი მოვლენა, რომელთაც ამ ტერაქტში მცირე როლი არ უნდა ჰქონდეთ შესრულებული. კერძოდ, 30 ოქტომბერს გ. ჭანტურიამ განაცხადა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისში მას უშიშროების სამსახურის უფროსის ი. გიორგაძის დავალებით მომსმენი აპარატი დაუყენეს („სრ“ 1994:193). უფრო მეტიც, მან განმარტა, რომ ეს მას კარგა ხანია შემჩნეული ჰქონდა. საქართველოს და რუსეთის დაზვერვის სამსახურებს ყალბ ინფორმაციებს აწოდებდა. ეს სამსახურები კი ამას სინამდვილედ ღებულობდნენ. ვფიქრობთ, ასეთი გაბედული და დამცინავი ქცევა მას სუკმა არ აპატია.

1994 წელს დაწყებულ სხვა პროცესებზე, რომლებიც ამ თავში არ შევიდა, ქვემოთ შევეცდებით ვისაუბროთ.

უპირველეს ოპონენტად გადაიქცა. 1991 წლის ოქტომბერში იგი კვლავ დაპატიმრეს. ცხრიდან განთავისუფლდა 27 დეკემბერს, „თბილისის ომის“ მსვლელობის დროს.

გ. ჭანტურია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო საბჭოსა და 1992 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად შექმნილ ხელისუფლებასთან, მაგრამ გადაწყვეტილება მიიღო მას დსთ-ში შესვლის საკითხის გამო.

1994 წელს გ. ჭანტურიას ინიციატივით შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, რომლის გენერალურ მდივნადაც იგი აირჩიეს. პოლიტიკური მოღვაწეობის ღმაღლობის ასეთი წარმატებების დროს იგი მოკლეს.

გ. ჭანტურიას კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური სტატიები და მხატვრული ნაწარმოებები--„ოჩოპინტრე“, თბ. ,1990; „მოსე“, თბ., 1993 და სხვ.

თავი მეცხრე

1995 წელი

„თავისუფლების ღირსი ის კი არ არის, ვინც მოიპოვა იგი, არამედ ის, ვინც დღენიადაგ და გამუდმებით იბრძვის მისი შენარჩუნებისათვის“

ჯორჯ ბაირონი

ქაროულ საზოგადოებას, განსაკუთრებით აფხაზეთიდან ლტოლვილების ნაწილს, იმედი ჰქონდა, რომ 1995 აღმოჩნდებოდა მშობლიურ კერებში დაბრუნების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წლად. მაგრამ ისტორიის მუზამ—კლიომ ისურვა, რომ იგი საქართველოს ისტორიაში შესულიყო დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების წლად და ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიც ამ წლისათვის განსაკუთრებულობის მისანიჭებლად საკმარისი გახდებოდა, ხალხის გულში მას რომ ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული ღრმა ჭრილობა არ დაეტოვებინა.

ამ წელმა ვერც სოციალურ და სამეურნეო სფეროში შექმნილი ვითარებით გაგვახარა. ქვეყანაში კვლავ ქვეითდებოდა ეკონომიკური პოტენციალი. ამ დაქვეითებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მრეწველობის სამინისტროს მონაცემებით, 1994 წლის 11 თვეში 1993 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 60 პროცენტზე მეტად შემცირდა („სრ“ 1995:2).

1993 წელს ქვეყნის ეროვნულმა პროდუქციამ 1988 წლის მოცულობის ერთ მეოთხედზე ნაკლები შეადგინა, ხოლო 1994 წელს 1993 წლის დონის 70%-მდე დაეცა. ერთ სულზე განგარიშებით იგი 400 დოლარს აღწევდა, 1990 წლის 2200 დოლარის ნაცვლად. გაეროს მიერ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით, საქართველოს მსოფლიოში 45-ე ადგილი ეჭირა. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული პროდუქციით კი—72-ე. 1993 წელს შესაბამისი მონაცემები 88-ე და 126-ე გახლდათ (იქვე:16).

უარესდებოდა ეფექტიანობის მაჩვენებლებიც. კერძოდ, წინასწარი შეფასებით, 1994 წელს შრომის ნაყოფიერება მცირდებოდა თითქმის 30, ფონდუკუგებისა—40 პროცენტით.

უარესი გახდა მდგომარეობა აგრარულ სექტორშიც. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, 1994 წელს პირველად აღინიშნა ჩაის მოკრეფა-დამზადების უმდაბლესი ნიშნული—60 ათასი ტონა. ეს თვით 1993 წლის დონეზეც 2,2 ჯერ უფრო დაბალს წარმოადგენდა. ამ ფონზე შედარებით უკეთესი მდგომარეობა სუფევდა კერძო სექტორში. აქ 1994 წელს წინასთან განსხვავებით 3,6 პროცენტით მეტი პროდუქცია იწარმოა. ეს იყო ყურძნის, ციტრუსების, ხილისა და კარტოფილის მოყვანის ხარჯზე.

უნუგეშო მდგომარეობა შეიქმნა კაპიტალურ მშენებლობაში. ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა განახევრდა. კიდევ უფრო გაღარიბდა სამომხმარებლო ბაზარი (იქვე:2).

ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მდგომარეობის კვალდაკვალ უარესდებოდა დემოგრაფიული სიტუაცია. წინა წელთან შედარებით 1994 წელს მოსახლეობა 29 ათასი კაცით შემცირდა და 1995 წლის პირველი იანვრის მდგომარეობიდან 5407400 კაცი შეადგინა (იქვე:23).

ახალ წელში ქვეყანა შევიდა დაუმტკიცებელი ბიუჯეტით. ოპოზიცია მის დამტკიცებას უკავშირებდა მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადებას. მაგრამ ე. შევარდნაძემ 11 იანვრის სხდომაზე განაცხადა, რომ ბიუჯეტის საკითხი დღეს წყვეტს ქვეყნის ყოფნა-არყოფნასო და ითხოვა მისი დროულად დამტკიცება. პარლამენტმა 112 ხმით 62-ის წინააღმდეგ ბიუჯეტი მიიღო (იქვე:5).

ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის შევსება ერთგვარად გაუმჯობესდა. თებერვალში საგადასახადო ინსპექციამ ამოიღო 14,5 ტრილიონი კუპონი, რაც 10 ტრილიონით მეტი იყო იანვრისაზე (იქვე:27). 11 თვეში კი საბიუჯეტო შემოსავლებმა ნაცვლად პროგნოზირებული 167 მილიონი ლარისა 179 მილიონი შეადგინა (იქვე:180).

სამომხმარებლო კალათას კი არაფერი ეშველა. 1 იანვრის მდგომარეობით 1994 წლის სექტემბერთან შედარებით მოსახლეობის ხელფასები 2,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო ფასები 15-ჯერ (იქვე:12). ხელფასების მსყიდველობითი უნარი შემცირდა 22 პროცენტით. მათი რიცხვი, ვისი მდგომარეობაც გაუარესდა უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე, 18 ჯერ და მეტად სჭარბობდა მათ რიცხვს, ვისი მდგომარეობაც გაუმჯობესდა (იქვე:23). თუმცა ამ დროს ინფლაციის პროცესი დაღმავალი გზით მიდიოდა. 13 იანვრისათვის 1260000 კუპონი უდრიდა 1 აშშ-ის დოლარს, რუსული მანეთი ღირდა 220 კუპონი (იქვე:6). წლის I ნახევარში მანეთი კვლავ რჩებოდა მიმოქცევის ძირითად საშუალებად.

1 ივლისიდან პურის საცალო ფასები 300 ათასი კუპონით გაიზარდა, ხელფასები 5-25 პროცენტით. ერთი კვტ ელექტროენერგია გახდა 25 ათასი კუპონი (იქვე:70). უვარგისობის გამო მთავრობამ ამოიღო ხმარებიდან 1-დან 300 ათასამდე ღირსების კუპონის ბანკნოტები.

ქვეყნის საგარეო ვალმა 1995 წლის 1 იანვრისათვის, პროდუქტების გარეშე, 1 მილიარდ 100 მილიონი დოლარი შეადგინა (იქვე:12). საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ვითარების რესრუქტურიზაციისათვის, ივნისში, საქართველოს გამოუყო 117 მილიონი დოლარის კრედიტი (იქვე:103).

1994 წლის სექტემბრიდან დაიწყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებანი. თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ფასების მოწესრიგების, საბიუჯეტო რეფორმის გატარების, საბანკო სისტემის გარდაქმნის, კუპონის საცვლელი კურსის გამყარებისა და სხვა მიმართულებებით. ამ პროცესების შემადგენელი ნაწილი გახდა ფულის რეფორმის გატარება. 1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში შემოდიოდა ერთადერთი საკალდებულო საგადამხდელო საშუალება, ქართული ვალუტა—ლარი. იგი იყოფა 100 თეთრად. კუპონი ძალაში რჩებოდა 2 ოქტომბრამდე. კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრებოდა შეფარდებით.—1 მილიონი კუპონი უდრიდა 1 ლარს. სახელმწიფო უზრუნველყოფდა შეუზღუდავი ოდენობით გადაცვლას. 1 ლარით და 25 თეთრით შეიძლებოდა 1 აშშ-ის დოლარის შეძენა (იქვე:123).

აღსანიშნავია, რომ ეს მეტად სარისკო ღონისძიება ხელისუფლებამ გაატარა არჩევნების წინ. გარკვეული თვალსაზრისით იგი მომგებიანი აქციაც იყო და წამგებიანიც. ლარის კურსი გამაგრებული არ იყო მეურნეობის კვლავწარმოებით, მაგრამ იგი საკმაოდ მყარი ვალუტა გამოდგა[1]. ინფლაციისაგან მისი დაცვა ხდებოდა საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარების საშუალებით. ამ მიზნით მსოფლიო სავალუტო ფონდმა ჯერ კიდევ კუპონის ინფლაცი-

[1] ლარის კურსის სტაბილურობა შენარჩუნებულ იქნა 1998 წლის სექტემბრამდე. ამ დროისათვის ერთ ამერიკულ დოლარს უდრიდა 1 ლარი და 27 თეთრი. პირველი საგანგაშო სიმპტომები გამჟღავნდა 5-6 სექტემბერს. როცა კურსი ავარდა 1,38 ლარამდე. მაგრამ ეროვნულმა ბანკმა დიდი რაოდენობის დოლარის სავალუტო ბირჟაზე გამოტანით შეძლო კურსი ერთხანს შეენარჩუნებინა. ასეთი ხელოვნური სიტუაცია გაგრძელდა 7 დეკემბრამდე. ამ რიცხვიდან ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა სავალუტო ბირჟაზე ინტერვენციები და ლარის კურსი ერთბაშად დაეცა--1 დოლარი--2,17 ლარამდე. რამდენიმე დღეში ლარი დროებით განმტკიცდა (1 დოლარი--1,70 ლარი), მაგრამ შემდეგ კვლავ გაუფასურდა და 1999 წლის იანვრის მიწურულს შეფარდება იყო--1 ლარი უდრის დაახლ. 2 ლარს. ამ გაანგარიშებით იქნა შედგენილი 1999 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ის სალიკვიდაციოდ 1994 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს გამოუყო პირველი ტრანში 40 მილიონი დოლარის ოდენობით. ლარის ამოქმედებამდე 3 თვით ადრე მასვე მიეცა მეორე ტრანში 44 მილიონი დოლარის ოდენობით და სტენდ-ბაის სარეზერვო კრედიტი 113 მილიონი დოლარის მოცულობით (იქვე:166).

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მიზნით, ხელისუფლება დაადგა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზას. ამ პროცესმა თავიდანვე მახინჯი სახე მიიღო და საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის გამდიდრების საშუალებად იქცა. რადგან საქართველოს მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს არავითარი საშუალება არ გააჩნდა საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტების შესაძენად. როგორც ითქვა, ხელისუფლებამ რუსეთის მთავრობის მიბაძვით, საშუალო კლასის შესაქმნელად, მიმართა საპრივატიზაციო ბარათების (ვაუჩერების) დარიგების პრაქტიკას, რაც საკუთარი მოსახლეობის ბინძური მოტყუება გამოდგა.

საპრივატიზაციო ბარათების გაცემა დაიწყო 1995 წლის 1 თებერვლიდან. იგი ეძლეოდა ამ რიცხვამდე დაბადებულ საქართველოს ყველა მოქალაქეს. მომდევნო ხანში დაბადებულები მას დამატებითი სიებით მიიღებდნენ. ერთი ასეთი ბარათი უდრიდა 30 ამერიკული დოლარის ნომინალს. ბოლოს და ბოლოს „ვაუჩერები" ისე გაუფასურდა, რომ მათი მოქმედების დროის დასასრულისათვის (1996 წლის 1 ივლისამდე).

ბევრი ასეთი ბარათი სრულიად მოუხმარებელი დარჩა. ამრიგად, მოგებული დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც ათასობით ვაუჩერი შეიძინა.

ქვეყნის ეკონომიკაში, ჩვეულებრივ, გადამწყვეტ როლს თამაშობს ენერგეტიკა. ამ სფეროში კი რთული ვითარება სუფევდა. 1992-დან 1995 წლის ივნისამდე საქართველოს ენერგოსისტემა 22-ჯერ გამოეიდა მწყობრიდან. რის გამოც ენერგომომარაგება უწყდებოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონს. ძირითადად ეს ხდებოდა მაღალი ძაბვის ელექტროხაზების აფეთქების გამო (16-ჯერ). ექვსჯერ მოხდა საქართველოსათვის საბაზისო თბილისის თბოელექტროსადგურის ავარიული გამორთვა. კერძოდ, 20 იანვარს ცეცხლი გაუჩნდა მეცხრე და მეათე ენერგობლოკებს, საკუთარი მოხმარების საკაბელო მეურნეობისა და მართვის ფარებს. ფიქრობდნენ, რომ ეს დივერსიის შედეგი უნდა ყოფილიყო. ხანძარმა მწყობრიდან გამოიყვანა მძლავრი ბლოკები. მათი შეკეთების დასაჩქარებლად გერმანიისა და ევრობანკებმა 1995 წლის თებერვალში გამოყო 18 მილიონი დოლარი (იქვე:20). ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო მე-9 ბლოკის რეაბილიტაციაზე. სამუშაოები აიღო გერმანულმა ფირმა „სიმენსმა". რამდენჯერმე გა-

დაიდო ბლოკის სამუშაოების ვადები. ბოლო თარიღად დაწესებულ 18-19 დეკემბერსაც ეს ვერ მოხერხდა. დეკემბრის ბოლო დეკადაში, როგორც იქნა მე-9 ბლოკი გაუშვეს, მაგრამ იგი სრული ძალით ამის შემდეგაც არ მუშაობდა[1].

ენერგოკრიზისი გამწვავდა იმის გამოც, რომ იმავე დროისათვის არ მოხერხდა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიის" საექსპლოატაციოდ გადაცემაც (იქვე:189). რესპუბლიკის ენერგოსისტემის გაუმჯობესებისა და მომავალი ზამთრის მზადების საქმეში ხელისუფლება საერთაშორისო კავშირებსაც იყენებდა. ასეთ საკითხებზე რიგი შეთანხმებები გაფორმდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკის მინისტრის ტიმ ეგარის ვიზიტისას, მაისის მესამე დეკადაში. (იქვე:57).

22 აპრილს თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე უაიტი. მასთან მოლაპარაკება, გარდა ენერგეტიკისა, მოეწყო საქართველოზე ნავთობსადენების გატარების თემაზედაც[2] (იქვე:46).

კრიზისული მდგომარეობა იყო გაზის მიწოდების საქმეშიც. იანვარში ვითარება იქამდეც კი გამწვავდა, რომ ხელისუფლებას ბრალად დასდეს, იგი გაზის მიწოდებას აფერხებს, რადგან მენავთობეებს დიდი რაოდენობით ნავთი და ბენზინი აქვთ შემოზიდული და მათ გასაღებას უწყობს ხელსო. ე. შევარდნაძემ კი განმარტა, რომ ეს კრიზისი ორი მიზეზით არის გამოწვეული. ჯერ ერთი, გაზსადენი ბევრი ქვეყნის ტერიტორიაზე გადის და შეფერხებები იქ ხდება. მეორეც, მომხმარებლები არ იხდიან დახარჯული აირის საფასურს, ამის გარეშე კი მომწოდებელი ქვეყანა ონკანებს კეტავს (იქვე:9).

---

[1] არასტაბილურად მუშაობდა და ხშირად ზიანდებოდა მე-9 ბლოკი მომდევნო წლებშიაც. 1998 წლის 20 დეკემბრიდან, დიდი ხარჯებისა და შეკეთებების შემდეგ, უნდა ჩართულიყო მე-10 ბლოკიც. 1999 წლის ზამთარში ამ ბლოკებს ნახევარი ძალითაც კი არ უმუშაიათ.

[2] ნავთობსადენების საკითხი უფრო აქტიური გახდა 1995 წლის შემოდგომიდან. 9 ოქტომბერს, ბაქოში აზერბაიჯანის ადრეული ნავთობის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიამ გადაწყვიტა მსოფლიო ბაზარზე მისი ნავთობის გატანა ორი მარშრუტით - რუსულით და ქართულით განხორციელებულიყო. პროექტი 300 მილიონ დოლარზე მეტი ჯდებოდა. ქართული მარშრუტი 5-ჯერ უფრო ძვირი იყო რუსულზე. ეს იმის გამო, რომ უკვე არსებობდა „ბაქო-გროზნოს" მილსადენი, მისი გაგრძელება „გროზნო-ტიხორეცკაია-ნოვოროსიისკის" ხაზით 55 მილიონი დოლარი დაჯდებოდა (იქვე:138). რუსეთის მარშრუტზე ნავთობის გადაზიდვა დაწყებოდა 6 თვეში. ხოლო ქართულზე 18-ში. ეს ვადები შემდგომში ორიენტირებულად შნიშნელოვნად გახანგრძლივდა. საქართველოს მარშრუტზე ნავთობი მხოლოდ 1999 წლის დასაწყისში შემოვიდა.

ამ დარგის მართვისათვის, ნოემბრის შუა რიცხვებში, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ნავთობის სერთაშორისო კორპორაცია (პრეზიდენტი გიორგი ჭანტურია).

ენერგეტიკული კრიზისის გამწვავების გამო დაიწყეს ადრე ჩადენილი შეცდომების გახსენება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში აკად. ვ. ჭიჭინაძე საკუთარი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულს უწოდებს ხუდონჯესისა და ნამოხვანჰესის მშენებლობის ჩაშლას და მის ინსპირატორებს ჟვანიას, წერეთელსა და ბარამიძეს ბრალად სდებს ხალხის სიცივესა და სიბნელეში დატოვებას. მისი აზრით, ეს მათ გააკეთეს პოლიტიკური ამბიციების გამო, თორემ არც ერთ ერს უარი არ უთქვამს მეორე ხალხისთვის მის ტერიტორიაზე ელექტროსადგურის მშენებლობაზე, როგორც ეს გააკეთა საქართველომ რუსეთის მიმართ, რომელიც დასახელებულ ორ ელექტროსადგურს უფასოდ გვიშენებდა. სიცრუეა, თითქოს ამ ელექტროსადგურთა მშენებლობას დიდი ეკოლოგიური და მატერიალური ზიანი მოჰქონდათო, რა უნდა აორთქლდეს ისეთი 9 კმ-იან დიამეტრის წყალსაცავზე, რომ კლიმატი გადაჭრით შეცვალოს. აქ ხომ ამინდის პირობების წარმოშობას ვეებერთელა შავი ზღვა კარნახობს, წერს იგი. რაც შეეხება მცირე ელექტროსადგურების აგების მომგებიანობას, ავტორი ამის საწინააღმდეგოდ იმოწმებს კომპიუტერულ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ასეთი ჰესების აგება საერთოდ ამოგდებული იქნა პროგრამიდან, რაც ნიშნავს, რომ მათი აგება უარსაყოფია (იქვე:49).

მართალია, 1995 წელს ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამართალდამცავ ორგანოებს ამით სამუშაო არ მოკლებიათ. ამ წელს მოხდა რამდენიმე ტერორისტული აქტი და გამოვლინდა ისეთი დანაშაულობები, რომლებიც სახელმწიფოს საფუძვლებსაც კი უპირებდნენ შერყევას.

წელიწადი დაიწყო თავდაცვის ყოფილი მინისტრის თ. კიტოვანის ავანტურისტული გამოხდომით. მან ყოფილ პრემიერ მინისტრთან თ. სიგუასთან და ასევე ყოფილ ვიცეპრემიერთან ირ. სურგულაძესთან ერთად შექმნა ე.წ. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი“, რომლის წესდების საფუძვლიანი განხილვის შემდეგ სასამართლომ „ფრონტი“ უკანონო ორგანიზაციად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, თ. კიტოვანი გარკვეული მომზადების შემდეგ, რაც გამოიხატა თბილისის ბაზრებში სურსათის დატაცებასა და შეიარაღების თავისი რაზმელებისათვის დარიგებაში, 13 იანვარს ძალით ხელში ჩაგდებული 20-მდე „იკარუსით“, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების მიზნით, გაემართა დასავლეთ საქართველოსაკენ.

თ. კიტოვანი აცხადებდა, რომ ეს აქცია შეთანხმებულია რუსეთის ხელისუფლებასთან და ამის ნიშნად მასთან იმყოფება რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი ვინმე ფისუნი. ეს ყველაფერი ბლეფი გამოდგა („სრ“ 1995:6). სათანადო ორგანოებმა რამდენიმე „იკარუსი“ თ. კიტოვანის „არმადას“ როკის უღელტეხილზე ჩამოაცილეს. თანაც ერიდებოდნენ შეიარაღებულ შეტაკებას. თერჯოლის რაიონის სოფ. სიმონეთთან კი ექსმინისტრი და მისი თანამზრახველები დააკავეს. მათ ჩამოართვეს: 2 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 4 ხელის ტყვიათმფრქვევი, 24 ავტომატი, 6 ათასამდე სამხედრო ვაზნა, 24 ხელყუმბარა და სხვა სახის საჭურველი („სრ“ 1996:8).

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ თ. კიტოვანი ისევე, როგორც 1992 წელს, საქართველოს მოუმზადებლად ითრევდა ახალ ომში. იგი აპირებდა ბაზების შექმნას სენაკში, ფოთში, ზუგდიდში. ფაქტობრივად, აქ შეიკრიბებოდნენ მძარცველთა და მოძალადეთა რაზმები, რაც ხელახლა გამოიწვევდა დესტაბილიზაციას სამეგრელოში და ქვეყნისთვის სასიცოცხლო არტერიების გადაჭრას. სათუო არ არის, რომ ექსმინისტრს მაფიოზურ კლანებთან კავშირი და მათი მხარდაჭერა ჰქონდა. რომელთა მიზანიც არეულობა და საომარი მოქმედებების დროს გამდიდრების ახალი წყაროს გაჩენა იყო. დრო ამისათვის საგანგებოდ იქნა შერჩეული. მაშინ ბიუჯეტის გამო მთავრობის კრიზისი იყო მოსალოდნელი და ძალოვან მინისტრებს ქვეყანაში კონტროლის დაკარგვა მოელოდათ.

თ. კიტოვანის ავანტიურაში მონაწილეთა შემადგენლობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაკავებული 382 კაციდან, მხოლოდ 70-ს აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა. დაკავებულები მალე გაათავისუფლეს. 1996 წელს ჩატარებული სასამართლო პროცესი შეეხო თ. კიტოვანს, ი. სურგულაძეს და ფისუნს. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. ი. სურგულაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. თ. კიტოვანს 8 წელი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ, როგორც ვთქვით, იგი პრეზიდენტმა შეიწყალა.

13 იანვარს, ავანტიურის აღკვეთის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალი ეტაპი. თავდაცვის სამინისტროში გაუქმდა სამხედრო პოლიცია. დაისახა შინაგანი ჯარების გაჯანსაღების ტენდენცია, სპეციალური ქვეგანაყოფები შეიქმნა უშიშროების სამსახურში (იქვე:11).

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო არმიაში გაწვევის საქმეში. საშემოდგომო გაწვევის დროს 74 რაიონული და საქალაქო

კომისარიატიდან გაწვევის გეგმა შესრულდა მხოლოდ 20-ში. თავდაცვის სამინისტროს შენაერთები და სამხედრო ნაწილები დაკომპლექტდა 60 პროცენტით, სასაზღვრო ჯარები 103, შს სამინისტრო—63, სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა—94 პროცენტით (იქვე:10). 20 იანვრისათვის აღრიცხვაზე ჰყავდათ 1665 დეზერტირი.

სამწუხარო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან 25 იანვარს, ქუჩაზე გადასვლის დროს მძიმედ დაჭრეს თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი, ხოლო სასიკვდილოდ—მისი ყოფილი მოადგილე პაატა დათუაშვილი (იქვე).

ერთ-ერთი მაშინ საიდუმლოებით მოცული და ამის გამო გახმაურებული საქმე გახდა „მხედრიონელთა" მიერ რუსთავში ჩატარებული „ოპერაცია". 3 მარტს 150-ზე მეტი შეიარაღებული „მხედრიონელი" თავს დაესხა რუსთავის მერიის შენობას და მისი ბლოკირება მოახდინა. მათგან 50-60 კაცი შეიჭრა ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის სამუშაო კაბინეტში. სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სცემეს ლევან მამალაძეს. დიდი მუქარით, გამარჯვებულის იერით გამობრუნდნენ უკან. „მხედრიონელთა" განრისხების მიზეზად ლ. მამალაძისა და მისი კოლეგების მიერ მათი მორიგი მძარცველობითი ოპერაციის გზის გადაღობვას მიიჩნევდნენ (იქვე:195). თავდასხმაში მონაწილეობდნენ: გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი, ბესო ჩხეიძე, თემურ ჯიშკარიანი და სხვ. გ. გელაშვილი ამ დროს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე იყო. ასე „შველოდნენ" „მხედრიონელები" საზოგადოებას. ისინი, ფაქტობრივად, მძარცველთა კორპუსად გადაიქცნენ. „იარაღიანი კაცი" ბოლო წლებში საქართველოს უბედურების გვირგვინად იქცა. მოქალაქეთა კავშირი მომხდარის შეფასებისას აცხადებდა: „ყოველმა ჩვენგანმა ან თავი უნდა დაუუხაროთ ავტომატებითა და რაციებით აღჭურვილ ყაჩაღებს და ვაღიაროთ, რომ ისინი არიან ქვეყნის ბატონ-პატრონები, ან მათს თარეშს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი (იქვე:24).

მაგრამ ნამდვილი დამნაშავეების დასჯამდე საქმე მაშინ არ მივიდა. მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურმა გაბედა და თქვა, რომ საქმე გვქონდა კრიმინალების პოლიტიზაციასა და პოლიტიკის კრიმინალიზაციასთან. შეაქო ლ. მამალაძე შს სამინისტროსთან ერთად, მარნეულის ტრასებსა და წითელ ხიდთან კრიმინალების წინააღმდეგ „ბრწყინვალედ განხორციელებული" ოპერაციისათვის. „მხედრიონელთა" საპატიო თავმჯდომარე ჯ. იოსელიანი კი ჯერ კიდევ მაგრად იყო და

ამაყად აცხადებდა: „ჩემს ნაბრძოლ ბიჭებს თუ ვინმე ზედმეტს გაუბედავს, ყველანი დავწვებითო“ (იქვე:195).

ინციდენტიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ გამოიცა სახელმწიფო მეთაურის განკარგულება მაშველთა კორპუსის წევრებისათვის იარაღის ტარების დროებით მიცემული უფლების ჩამორთმევის შესახებ. რაც შეეხება მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობას, მან განმარტა, რომ ისინი იმსახურებდნენ გადაყენებას. მაგრამ იგი პირადად შეხვდა გ. გელაშვილს, სხვა ხელმძღვანელებს და გადაწყვიტა მიეცა მათთვის გონიერი მოქმედების საშუალება. ე. შევარდნაძეს, როგორც ჩანს, „მხედრიონელთა“ გამოსწორების იმედი არ ჰქონდა, მაგრამ მათთან აშკარა კონფლიქტს ერიდებოდა, თვით ჯ. იოსელიანი აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მეთაურთან მას სერიოზული უთანხმოება არა აქვს. მხოლოდ ზოგიერთი საკითხის გამო ხშირად კამათობენ, რაც პოლიტიკურ დაპირისპირებას არ ნიშნავს. იგი მზადაა მხარი დაუჭიროს დემოკრატ ე. შევარდნაძეს. და, საერთოდ, მისი თქმით, „ოქროს დიქტატურას რკინის დემოკრატია სჯობია“ (იქვე:50). სამიოდე თვის შემდეგ მან გადაჭრით შეცვალა ტონი. 22 აგვისტოს გამართულ პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონის“ შეკრებაზე ჯ. იოსელიანი ამბობდა: „შევარდნაძე მე ჩამოვიყვანე“, ეს იყო დიდი შეცდომა, „ვინაიდან შევარდნაძემ ვერ გაამართლა“, იგი პარტიული მენტალიტეტის მქონე პიროვნებაა და უნდა წავიდეს პოლიტიკიდან. „მხედრიონმა“ ამისთვის ყველაფერი უნდა იღონოს, კონტაქტები უნდა დაამყაროს კომუნისტებთანაც კი. დღეს საქართველოში დიქტატორული რეჟიმია და საჭიროა მისი დამხობაო (იქვე:106). მიუხედავად პარლამენტის წევრის იმუნიტეტით აღჭურვისა მას არ ჰქონდა ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების უფლება. როგორც მალე გაირკვა, ჯ. იოსელიანი ასეთი გაბედული განცხადების გარდა, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ტერიტორსტულ გზაზედაც იყო დამდგარი[1].

[1] ადრე კი ჯ. იოსელიანის საწინააღმდეგოდ მოწყობილი ტერორისტული აქტებისათვის სხვებს ასამართლებდნენ. და თავისი ნამდვილი ზრახვების გამომჟღავნებამდე ჯ. იოსელიანს არც ჭილდოები და მხარდაჭერა დაჰკლებია. ამის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მარტის შუა რიცხვებში დამთავრებული სასამართლო პროცესი. გასამართლეს 1992 წლის 13 ივნისს ჯ. იოსელიანის წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტის მონაწილენი: ირ. დოკვაძე, პეტრე გელბახიანი... თანამონაწილენი--გ. გელბახიანი, ვ. დომუხოვსკი, გ. მახვილაძე, გელა მშვილიშვილი და კიდევ 11 პიროვნება. დამტკიცდა, რომ ისინი ამ და სხვა დიფერსიულ აქტებს ამზადებდნენ ქვეყნის გარეთ. იქვე ყალიბდებოდა და იწვრთნებოდა დიფერსიული ჯგუფები, შეიძინებოდა იარაღი. სასჯელის უმაღლესი ზომა--დახვრეტა სასამართლომ შეუფარდა ირ. დოკვაძეს და პ. გელბახიანს; ვ. დომუხოვსკის--14, გ. გელბახიანს--13, გოჩა მახვილაძეს--12, გ. მშვილიშვილს--10, სხვებს 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ („სრ“ 1995:28).

არსებითად „მხედრიონის“ წინააღმდეგ მიმართულ ფართომასშტაბიან ოპერაციას წარმოადგენდა „უდაბნო-95“, რომელიც აპრილის მიწურულს ჩატარდა კახეთში. პოლიციისადმი დიდი მხარდაჭერა გამოხატა მძარცველებისაგან შევიწროვებულმა კახეთის მოსახლეობამ. ამოღებული იქნა დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები, „ალაზნის“ ტიპის რაკეტები, ერთი ჯავშანსტრანსპორტიორი. ეს ღონისძიება ჩაითვალა კახეთში საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრების დასაწყისად. რეგიონში ხომ მაშინ „მხედრიონელთა“ გარდა 250 დამნაშავე იძებნებოდა (იქვე:50).

ამ ოპერაციის ერთ-ერთი შთამბეჭდავი შედეგი იყო „მხედრიონის“ მიერ იარაღის ჩაბარებაზე თანხმობის გამოცხადება. შედგა იარაღის მიმღები საპარლამენტო კომისია. სახელმწიფოს მეთაურმა გამოაცხადა, რომ „მაშველთა კორპუსმა იარაღი, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქოს ჩააბარა“ (იქვე:57). მაგრამ მომდევნო მოვლენებმა აჩვენეს—„მხედრიონელებს“ ჩაბარებულზე გაცილებით მეტი იარაღი საიმედოდ ჰქონდათ გადამალული.

23 ივნისს, რესპუბლიკაში დაიწყო მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ოპერაცია „ბადე-95“. პირველსავე დღეს დედაქალაქში გამოვლინდა ქურდობისა და ყაჩაღობის 11 ფაქტი. დააკავეს 13 ძებნილი, 49 სხვა დამნაშავე. ამოიღეს საბრძოლო იარაღი. 2 ივლისს ვახუშტის ხიდის აფეთქების ცდისათვის დააპატიმრეს დივერსანტთა ჯგუფი, სამტრედიის ყოფილი პრეფექტის ზ. ძიძიგურის მეთაურობით (იქვე:70–79) წინა დღეებში კი დამთავრდა დივერსიებში მონაწილე ზ. გამსახურდიას თანამზრახველთა სასამართლო პროცესი. გაასამართლეს ვალტერ შურღაია და მისი პირადი მცველი გ. ოთხოზორია. პირველს მიუსაჯეს 13 წელი, მეორეს—10. მათ ეპატიათ 1992 წლის 24 ივნისს ტელერადიოკომიტეტზე თავდასხმა, მაგრამ 1993 წლის აგვისტოდან ლ. ქობალიასთან ერთად შექმნეს შეიარაღებული ჯგუფები, აფხაზ, ჩეჩენ და ადიღეელ დაქირავებულებთან ერთად ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციები და ბანდური თავდასხმები გააჩაღეს. (იქვე:43).

სამეგრელოში კიდევ იყო დარჩენილი ზ. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული ჯგუფები. აგვისტოს შუა რიცხვებში დააპატიმრეს ვ. ზარანდიას მეთაურობით მოქმედი ასეთი 20 კაციანი ჯგუფი. მათ ბრალად ედებოდათ ს. კავსაძის, დ. სალარიძის, რ. გვენცაძის, დიდძალი იარაღის, სამხედრო ტექნიკის და ჩაის გატაცება. შს სამინისტროს ვარაუდით სამეგრელოში კიდევ მოქმედებდა ჯგუფები 100 კაცის საერთო ოდენობით (იქვე:106).

30 სექტემბერს, თბილისში პროფილაქტიკურ-ოპერატიული ღონისძიებების დროს გააჩერეს პარლამენტის წევრის თ. ჟორჟოლიანის ავტომანქანა. მას აღმოაჩნდა 4 ამპულა მორფინი და 12 აბი კოდეინი. იგი მიიყვანეს პოლიციის უახლოეს განყოფილებაში. ბინის ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს 2 ცალი „აკს“-ის სისტემის ავტომატი, ორი მჭიდით და ვაზნებით, პისტოლეტი „კ-38“, „ტტ-ს“ სისტემის პისტოლეტი. თ. ჟორჟოლიანი ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი იყო, იგი დააპატიმრეს. (იქვე:39).

ამ შემთხვევიდან ორიოდე კვირის შემდეგ, საქართველოს რკინიგზაზე კორუფციის აყვავებისათვის დააპატიმრეს რემი ვაშაკიძე. დაპატიმრებისას მას სამუშაო ოთახში აღმოაჩნდა 40 ათასი დოლარი, 3 მილიონი რუსული მანეთი, მრავალი ძვირფასეულობა. გაირკვა, რომ ჰქონდა ანტიკვარებით სავსე სამი სახლი თბილისში და აშენებდა მეოთხეს. მასთან ერთად თანამდებობიდან გაათავისუფლეს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები: ალ. ნოზაძე, გ. ასაშვილი, ვლ. ბუჩუკური (იქვე:143).

რ. ვაშაკიძის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურამ აღძრა 312 სისხლის სამართლის საქმე. პასუხისგებაში მისცეს 324 პირი. „ამოიღეს“ 7 მილიონზე მეტი ლარი (იქვე:171).

1995 წელს საერთაშორისო ორგანიზაციები და მეზობელი სახელმწიფოები განაგრძობდნენ ინტენსიურ კავშირებს საქართველოს ხელისუფლებასთან. 1995 წლის 7 თებერვლისათვის საქართველოს ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა 90 სახელმწიფოსთან. 22 ქვეყანასთან შექმნილი იყო სამართლებრივი ბაზა, ორმხრივ სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა დარგში განვითარებისათვის.

9 იანვარს თბილისს ეწვია უკრაინის პრეზიდენტი ლ. კუჩმა. მისი ვიზიტის შედეგების შესახებ გამოქვეყნდა დეკლარაცია, რომელშიაც გამოცხადებული იყო საქართველოსა და უკრაინას შორის თანამშრომლობის პერსპექტივები. გამოიცა საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზი. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ იმხანად უკრაინა შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას („სრ“ 1995:4).

10 თებერვალს, ალმა-ათაში ჩატარებულ დსთ-ის ქვეყნების მეთაურების თათბირზე მიიღეს ყაზახეთის პრეზიდენტის ნაზარბაევის მიერ შემოთავაზებული მემორანდუმი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თა-

ნამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების შესახებ. ამ დოკუმენტზე მაშინ დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მან, ფაქტობრივად, არ „იმუშავა“.

დსთ-ის მომდევნო სამიტი უმაღლეს დონეზე მოეწყო ქ. მინსკში. სამშვიდობო ძალებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში უფლებამოსილება კიდევ 6 თვით, 1995 წლის 31 დეკემბრამდე, გაუგრძელეს. გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ სამშვიდობო ძალებს, მოსახლეობის დაცვის მიზნით აქვთ იარაღის გამოყენების უფლება. ამ უფლებით მათ არასოდეს უსარგებლიათ ქართველთა დასაცავად. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობასაც არ შეუხსენებია რუსთა სარდლობისათვის ასეთი მოქმედების აუცილებლობა. იგი გამოყენებული არ იქნა 1998 წლის 20-26 მაისის ქართველთა მასობრივი გამოდევნის დროს გალის რაიონიდან. სრული გაუგებრობა აღმოჩნდა სამიტის გადაწყვეტილებათა ვ. ნადიბაიძისეული კომენტარიც, რომ თითქოს „აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია ამ დოკუმენტების მიხედვით სრულიად აღდგენილად უნდა ჩაითვალოს“ (იქვე:62).

19 ოქტომბერს შედგა დსთ-ის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს სხდომა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე. მან იქ „ყელი გამოიღადრა“ ე. შევარდნაძის ერთგულების მტკიცებით და მოითხოვა ტერორისტ ი. გიორგაძის დაპატიმრება-დასჯა(იქვე:151). მისი დიდი მცდელობით ასამბლეამ მიიღო განცხადება „თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე ტერორიზმის დაგმობის შესახებ“. ახლა კი ვ. გოგუაძე ე. შევარდნაძის წინააღმდეგ ალიანსშია საქართველოს გაერთიანებული კომუნისტური პარტიის პირველ მდივანთან პ. გიორგაძესთან, რომელმაც ტერორისტი ვაჟი თავისი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად შეიყვანა. ამას ჩვენში პოლიტიკა და პოლიტიკოსობა ჰქვია!

საქართველო-ირანის ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 19-21 აპრილს საქართველოში ირანის პრეზიდენტის ალი-აკბარ რაფსაჯანის ვიზიტს. იგი გაეცნო ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების ინფრასტრუქტურას. ბათუმში იყო მეჩეთში. თბილისის უნივერსიტეტში სტუმრობისას მას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. ირანის პრეზიდენტის სტუმრობის გამო გამოქვეყნდა კომუნიკე (იქვე:43).

5 მაისს თბილისს ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი მიშელ კამდესიუ. იგი შეხვდა ე. შევარდნაძეს და ო. ფაცა-

ციას. მისი დაპირების მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შემუშავებული სამწლიანი პროგრამის მიხედვით, კვლავ განაგრძობს საქართველოსადმი ფინანსურ დახმარებას (იქვე:50).

წარმატებით ვითარდებოდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობა. 31 ივლისს ახალციხეში გაიხსნა საკონტროლო-გამშვები პუნქტი. გახსნას დაესწრენ და სიტყვები წარმოთქვეს თურქეთის პრეზიდენტმა ს. დემირელმა და ე. შევარდნაძემ.

31 აგვისტო—1 სექტემბერს თბილისში სტუმრობდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი საპატიო დოქტორად აირჩია (იქვე:113).

1995 წელს შედგა სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის რამდენიმე ვიზიტი ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთში.

19 იანვარს ე. შევარდნაძე სოფიას ეწვია. ხელი მოაწერეს 14 დოკუმენტს საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობის სხვადასხვა დარგში, მათ შორის ჩარჩო ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. პრეზიდენტ ჟელიუ ჟელევის თქმით, ხელმოწერილ დოკუმენტთა ასეთი რაოდენობა რეკორდული იყო ბულგარეთისათვის (იქვე:8).

14 თებერვალს დაიწყო ე. შევარდნაძის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. მოლაპარაკების შედეგებზე გამოქვეყნდა დეკლარაცია მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. ხელი მოაწერეს შეთანხმებას კაპიტალდაბანდებათა თაობაზე.

მოეწყო სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრები ინგლისის ბანკში. იგი ბრიტანეთის მრეწველთა კონფერენციაში მოხსენებით გამოვიდა საგარეო და თანამეგობრობის ინსტიტუტში (იქვე:18).

17 თებერვალს ე. შევარდნაძე ბრიუსელში ევროკავშირის შტაბბინას ეწვია. ესაუბრა ევროკავშირის ახალ თავმჯდომარეს ჟაკ სანტანს. 1992-1993 წლებში საქართველომ კრედიტებისა და დახმარების სახით ამ ორგანიზაციისაგან მიიღო ნახევარი მილიონი ტონა ფქვილი, ასიათასობით ტონა კარაქი, მცენარეული ზეთი და მედიკამენტები. უკვე დადგა ვალების გადახდის დრო. ითხოვეს გადავადება 3-5 წლით. თხოვნას გაგებით შეხვდნენ. მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსათვის დამატებით 12 მილიონი ეკიუს გამოყოფის თაობაზე ხორბლისა და მედიკამენტების შესაძენად (იქვე:20).

10 მარტს სახელმწიფოს მეთაური იმყოფებოდა კოპენჰაგენში, სადაც მონაწილეობდა გაეროს ეგიდით მიმდინარე სოციალური განვი-

თარების საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტში. სიტყვაში მან 10 წლის წინათ დაწყებულ „პერესტროიკას“ „ჩვენი საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რევოლუცია“ უწოდა (იქვე:27).

18 ივნისს შედგა ე. შევარდნაძის ვიზიტი ისრაელში. მან და პრემიერმა იცხაკ რაბინმა ხელი მოაწერეს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (იქვე:69). ე. შევარდნაძე ისრაელში იმყოფებოდა 6 ნოემბერსაც. ამჯერად იგი ესწრებოდა პრეზიდენტ იცხაკ რაბინის დასაფლავებას, რომელიც თელავივში მიმდინარე 100 ათასკაციანი მიტინგის ბოლოს მკვლელობისას, 4 ნოემბერს, მოკლა უნივერსიტეტის სტუდენტმა იგალ ამირმა (იქვე:164).

29 ივნისიდან ბუქარესტში მიმდინარეობდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების თათბირი: მასში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური (იქვე:73).

4 სექტემბერს ე. შევარდნაძე ტაშკენტს ჩავიდა. მან და უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს და „საქართველოს რესპუბლიკასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას“. გაფორმდა კიდევ 20-ზე მეტი ხელშეკრულება და შეთანხმება (იქვე:116).

იმაში გასარკვევად, თუ როგორ აგვარებდა რუსეთი თავის ავტონომიებთან ურთიერთობას, მაშინ, როცა აფხაზეთის კონფლიქტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოყენების გამო საყვედურობდა, წინა თავში შევჩერდით ომის დაწყების შესახებ ჩეჩნეთში[1]. 1995 წელს კი მოვლენები ასე განვითარდა: წინა და ახალი წლის მიჯნაზე ჩეჩნეთის ძალაზე ბრძოლისუნარიანობას ავლენდნენ. 26 დეკემბერს რუსებმა ქ. გროზნოზე საარტილერიო შეტევა წამოიწყეს. დუდაევის მეომრებმა 35 ტანკი ააფეთქეს, 15 კი თავის ეკიპაჟიანად ტყვედ ჩაიგდეს (იქვე:5). ამის მიუხედავად, ფედერალურმა ჯარებმა წლის დასაწყისში ოთხქმის მთლიანად დაიკავეს გროზნო და აკონტროლებდნენ მას. ოფიციალური ცნობებით ფედერალურმა ჯარებმა 11 დეკემბრიდან დაკარგეს 553 კაცი და დაიჭრა 279 (იქვე:9). კონფლიქტის ზონიდან გადმოცვეულთა რიცხვმა 142 ათასს გადააჭარბა. 26 იანვრისათვის ჩეჩენთა დანაკლისი 4636 კაცს შეადგენდა. ჯ. დუდაევი მაინც იმუ-

[1] ცხადია, ამ ორი კონფლიქტის გაანგრიშება არ შეიძლება. ჩეჩნეთი რუსეთის შეურთებული (ფაქტობრივად დაპყრობილი) აქვს, ამიტომ მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათისაა, აფხაზეთი კი ყოველთვის იყო ქართული მიწა, ქართული მოსახლეობით და აუსუბას ცდა მისი საქართველოდან გამოყოფისა უსამართლო სეპარატისტული აქტია.

ქრებოდა საომარი მოქმედებების მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გადაიტანას (იქვე:18).

რუსეთისათვის არასასურველად განეწყო საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრიც. 1 აპრილს ევროკავშირის 15-მა სახელმწიფომ შეშფოთება გამოთქვა ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის დიდი მსხვერპლის გამო და რუსეთს მოუწოდა შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი (იქვე:36).

გაზაფხულზე ჩეჩნები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ამისათვის რუსეთის არმია სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. მარტო 18 აპრილს ორ სოფელზე—ორეხოვოსა და ბაგუტზე იერიშის დროს მათ 40 ტანკი და 17 სხვა სახის ჯავშანტექნიკა დაკარგეს (იქვე:43). ქ. გროზნოში, ქუჩების ბრძოლებისას იყო შემთხვევები, როცა რუსთა ბატარეიები ერთმანეთს უშენდნენ ყუმბარებს.

რუსებს რეალურად არ მიაჩნდათ მათს ტერიტორიაზე ბრძოლების გადატანის საფრთხე. მაგრამ შ. ბასაევმა ბუდიონოვსკის ოპერაციით აჩვენა, რომ ისინი მწარედ ცდებოდნენ. 14 ივნისს, იგი თავისი რაზმით შეიჭრა ქ. ბუდიონოვსკში, მძევლად აიყვანა 2000-ზე მეტი კაცი და გამაგრდა ქალაქის სავადმყოფოში. მან მთავრობას მოთხოვა ჩეჩნეთის საკითხზე რეფერენდუმის მოწყობა. ეს მოთხოვნა ჩერნომირდინმა უარყო. მაგრამ ბასაევს მისცეს ქალაქიდან გასვლის გარანტია, გაატანეს 150 მძევალი და გამოუყვეს ავტობუსები. 19 ივნისს ბასაევი მშვიდობით დაბრუნდა ჩეჩნეთში (იქვე:68). ჩეჩენთა სისასტიკეს ბუდიონოვსკში შეეწირა 45 კაცი. შემდეგში შ. ბასაევმა განაცხადა, რომ ბუდიონოვსკამდე მიღწევა არ გაჭირვებია, რადგან ფულის გადახდით ტრასებზე ვისაც და რამდენიც გინდათ მანქანას ატარებენ.

ამ მოვლენებს გადაყვა რუსეთის ვიცე-პრემიერი ეგოროვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ერინი, კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის უფროსი სტეპაშინი და სტავროპოლის გუბერნატორი მიხაილოვი. მხოლოდ ბ. ელცინის მცდელობით გადაურჩა გადაყენებას ვ. ჩერნომირდინი. ასე აჭამეს სირცხვილი რუსეთს აფხაზეთში მათ მიერვე გამოწვრთნილმა და თანამედროვე იარაღით აღჭურვილმა შ. ბასაევის მეომრებმა.

მომდევნო ხანებში რამდენჯერმე იყო ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკების ცდა. მაგრამ ჯ. დუდაევი ერთადერთ პირობად ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას და დამოუკიდებლობის ცნობას აყენებდა (იქვე:75).

მდგომარეობა კვლავ დაიძაბა 6 ოქტომბრის ტერორისტული აქ-

ტის შემდეგ. ამ დღეს დაიჭრა რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდალი ჩეჩნეთში გენ. რომანოვი. დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკება შეწყდა. დუდაევმა მათი განახლების პირობად კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა შემოყვანა მოითხოვა (იქვე:143).

1995 წლის მიწურულს რუსეთმა ჯ. დუდაევს დოკუ ზავგაევი დაუპირისპირა. მას გამოკითხვის შედეგად უფრო მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე ჩეჩნეთის პრეზიდენტს და რ. ხაზბულატოვს. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ჩეჩენი ხალხი მიემხრობოდა. ამას დ. ზავგაევმა ჯ. დუდაევის სიკვდილის შემდეგაც ვერ მიაღწია და ბოლოს ერთ-ერთ აფრიკულ „ბანანის" რესპუბლიკაში რუსეთის ელჩობას დასჯერდა.

რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ჩეჩნეთში ომის დაწყების წლისთავზე აღიარა, რომ ამ კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა შეუძლებელია, რითაც ცალსახად დაადასტურა თავისი შეცდომა საომარი ოპერაციის შესახებ ბრძანების გაცემის თაობაზე.

ომის მიმდინარეობის მთელ მანძილზე ორივე მხარე დაძაბულად აკვირდებოდა საქართველოს პოზიციას. ჯ. დუდაევისთვის აშკარა იყო, რომ სამხრეთელი მეზობლისაგან მხარდაჭერას მისი რეჟიმი ვერ ჰპოვებდა. აგვისტოს დასაწყისში მან გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც პროტესტს გამოთქვამდა საქართველოს „პრორუსული პოლიტიკის" გამო და გვაბრალებდა ქართველები ჩეჩნებს ბარბაროსებსა და მკვლელებს უწოდებენ, მაშინ, როცა ჩეჩნები ქართველების ძმები იყვნენ ყოველთვისო. ეს იყო ნამდვილი ინსინუაცია. ასეთი რამ ჩეჩენ ხალხზე ხელისუფლების მხრივ არ თქმულა. პირიქით, საქართველომ ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა ნაწილსაც კი გაუღო კარი. რაც შეეხება ძმობას, იგი განცხადების ავტორებს გვიან გაახსენდათ. მათ დაივიწყეს, რომ 1992 წელს ჩეჩნეთის ხელმძღვანელობამ პრაქტიკულად გამოუცხადებელი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ და განსაკუთრებული გულმოდგინებით უჭერდა მხარს ვ. არძინბას ხროვას. ბასაევის „ბოევიკები" არნახული სისასტიკით ანადგურებდნენ ქართულ მოსახლეობას. მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ჯ. დუდაევის მეურვეობით, საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი უბედურების ზონად გამოაცხადა, სოლო ყველა ქართველი მძევლად და დამნაშავედ.

საქართველოში ვითარების სტაბილიზაცია გარკვეულწილად იყო დამოკიდებული მეზობელ აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებზე. იქ კი დროდადრო ადგილი ჰქონდა კატაკლიზმურ მოვლენებს.

20 აპრილს ბაქოში მოეწყო სახელმწიფო გადატრიალების უშედე-

გო ცდა, დააპატიმრეს 361 კაცი. პროკურატურამ სულ გასცა დაკავების სანქცია 2115 პირზე (იქვე:43). 28 ოქტომბერს ბაქოს მეტროპოლიტენში მომხდარი ხანძრის შედეგად დაიღუპა 337 კაცი, დაშავდა 150-ზე მეტი (იქვე:157).

პრეზიდენტი ალიევი აზერბაიჯანელი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდა. კონსტიტუციის მიღებისათვის 12 ნოემბერს მისი ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი. პროექტს მხარი დაუჭირა მონაწილეთა 60-მა პროცენტმა, რაც მის ძალაში შესვლას ნიშნავდა (იქვე:166).

კავკასია მსოფლიოში კონფლიქტების ერთადერთი კერა როდი იყო. თანაც, ეს პროცესი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა. თუ 60-იან წლებში მსოფლიოში 16 საომარი მოქმედება იყო აღრიცხული. 1995 წლის ზაფხულში მათი რაოდენობა 34-ს უდრიდა. ლტოლვილთა რიცხვმა კი 26 მილიონს გადააჭარბა (იქვე:98).

ადრე მონათხრობიდან ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საომარი კონფლიქტი მიმდინარეობდა იუგოსლავიაში. აქაც ეპიცენტრი კვლავ ბოსნია იყო. მაისის მიწურულს აქაურმა სერბებმა „ცისფერი მუზარადების“ ნაწილებიდან მძევლად აიყვანეს 350-მდე პირი. მათი განთავისუფლების სანაცვლოდ ისინი მოითხოვდნენ „უშიშროების“ ზონების დემილიტარიზაციას და ნატოს ავიაციის რეიდების შეწყვეტას. ამან საპასუხო რეაქცია გამოიწვია. ბ. კლინტონმა იუგოსლავიის კონფლიქტის ისტორიაში პირველად განაცხადა თანხმობა კონფლიქტის ზონაში ამერიკის სახმელეთო ძალების გაგზავნაზე. იუგოსლავიაში დამატებითი ჯარი გადაისროლეს ინგლისელებმა (იქვე:61).

ამან მხოლოდ მცირე ხნით შეანელა ბოსნიელი სერბების აქტიურობა. მიუხედავად ნატოს მხრივ ავიაციის გამოყენებით დამუქრებისა, 10 ივლისს მათ შეტევით აიღეს მუსულმანური ანკლავი სერებრენიცა, რომელსაც გაეროს ეგიდით ჰოლანდიელთა ქვეგანაყოფი იცავდა. საპასუხოდ ნატოს ავიაციამ მათი პოზიციები დაბომბა. მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაიძაბა (იქვე:82).

დაბომბვის განმეორების შემდეგ ბოსნიის ხელისუფლება იძულებული გახდა სარაევოს ირგვლივ 20 კილომეტრიანი ზონიდან მძიმე ტექნიკა გაეტანა და მოლაპარაკება დაეწყო საერთაშორისო „საკონტაქტო ჯგუფის“[1] გეგმის მიხედვით (იქვე:128).

[1] ე.წ. „საკონტაქტო ჯგუფში“ შედის 6 სახელმწიფო--აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და რუსეთი.

ბოსნიის კრიზისმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დღევანდელ მსოფლიოში, უპასუხისმგებლო და აგრესიული სეპარატიზმის იდეით შეპყრობილ პიროვნებებს შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან საყოველთაო მშვიდობას და მშვიდობიან მოსახლეობას. ამის გათვალისწინებით გაეროს სამშვიდობო ძალების მხოლოდ ზავის ჩამოგდების ფუნქციით შემოფარგვლა საკმარისი აღარ არის. თვით მათი დაცვისათვისაც კი ნატოს თვითმფრინავების გამოყენება შეიქნა საჭირო. ბოსნიელი სერბები მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ მომსმენნი.

21 ნოემბერს პრეზიდენტმა: სერბიისა—სლობოდან მილოშევიჩმა, ხორვატიისა—ფრანიო სტუჯმანმა და ბოსნიისა აღა ისტბეკოვიჩმა პარაფირება გაუკეთეს სამშვიდობო ხელშეკრულებას. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბოსნია-ჰერცოგოვინის კრიზისის მოგვარების გზაზე.

დეკემბრის შუა რიცხვებში პარიზში შედგა დასახელებული ხელშეკრულების ხელმოწერა (იქვე:190). თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში ამ ხელშეკრულებას მიიჩნევენ კონფლიქტების მოგვარებაში პოლიტიკური და ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მაგალითად. ამ დროს ბოსნიაში უკვე იდგა მსოფლიოს 25 ქვეყნის ჯარების ნაწილები. სულ დაახლოებით 60 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მართალია, ამ სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი იყო რუსეთი, მაგრამ საბოლოოდ, იზოლაციის შიშით, ისიც თანახმა გახდა მონაწილეობა მიეღო მასში. ბ. კლინტონმა ამ აქტს „ისტორიული და გონივრული არჩევანი" უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ „სამხედრო პარიტეტი" ბოსნიაში უზრუნველყოფილი იქნებოდა (იქვე).

საბრძოლო შეტაკებანი ამის შემდეგაც გრძელდება,[1] მაგრამ ისინი მუდმივად საერთაშორისო თანამეგობრობის კონტროლქვეშ არიან.

---

[1] 1998 წლის გაზაფხულზე ახალი ფრონტი გაიხსნა კოსოველ ალბანელებსა და სერბებს შორის. კონფლიქტის მიზეზი გახდა კოსოველი ალბანელების (1700 ათასი კაცი) მზრდომოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა. მათ ავტონომია 1974-1989 წლებში. ახლა მათი მოძრაობის ჩაქრობას იუგოსლავიის ხელისუფლება შეეცადა შეიარაღებული ძალის გამოყენების გზით. ბრძოლების 11 თვის მანძილზე კოსოვოში დაიღუპა 2000 კაცი, 240 ათასზე მეტი გახდა ლტოლვილი ძალადმერი მეთოდების სერბიის მიერ გამოყენების წინააღმდეგ გამოდის ნატო. მათ „ბოსნიური ვარიანტზე" უფრო მკაცრი ოპერაცია გამოიყენეს სერბიის მიმართ მას შემდეგ, რაც 1999 წლის 19 მარტს უშედეგოდ დამთავრდა მოლაპარაკება „რამბუიე-2" კოსოვოს ალბანელებსა და სერბებს შორის. სვ. მილოშევიჩი არ დათანხმდა სამშვიდობო ძალების შეყვანას კონფლიქტის ზონაში. ულტიმატუმური მოთხოვნების უარყოფის შემდეგ ნატოს თვითმფრინავებმა დაიწყეს იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების დაბომბვა („სარ" 1999:78). გარაუდობდნენ, რომ ეგი სწრაფად დამთავრდებოდა. მაგრამ 77 დღეს გაგრძელდა ოპერაციაში მონაწილეობდა ნატოს 500-მდე თვითმფრინავი. საომარ ზონაში ჩამოაგდეს 15 ათასზე მეტი ბომბი და ფრთოსანი რაკეტა. კოსოვოდან ლტოლვილთა რაოდენობა ომის პერიოდში 250 ათასიდან 750 ათასამდე გაიზარდა. ჰააგის სამხედრო სასამართლომ სვ. მილოშევიჩი და იუგოსლავიის კიდევ რამდენიმე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სასინჯ ქვად კვლავ რჩებოდა აფხაზეთის საკითხი. და, მიუხედავად მისი მოუგვარებლობისა, ორ სახელმწიფოს შორის დამოკიდებულება მაინც კეთილმეზობლური გახლდათ. ამაში ლომის ხვედრი საქართველოს ხელისუფლების მხრივ უდიდესი მოთმინების გამოჩენას ეკუთვნოდა. რუსეთის მიერ განხორციელებული ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა ქართველი პოლიტიკოსებისათვის ამოუცნობი არ იყო, მაგრამ, რადგან, როგორც ე. შევარდნაძეს არაერთხელ განუცხადებია, აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გასაღები რუსეთში ძევს, ისინი ამჯობინებდნენ მოთმინებით მიჰყოლოდნენ რუსეთის ორმაგ თამაშს, იმ დრომდე, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის წამყვანი ქვეყნები, საქართველოს რუსეთის ორბიტიდან გამოხსნაში გადამჭრელ ნაბიჯებზე არ წავლენ. ამ პოლიტიკას, ალბათ, ალტერნატივა არცა აქვს, ომის გზით რუსეთის დამარცხება ჩვენ არ შეგვიძლია.

მიუხედავად წინა წელს მიღებული არაერთი გადაწყვეტილებისა, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი არ იძვროდა. თავისი პროტესტი ამის გამო საქართველოს დელეგაციამ კიდევ ერთხელ გამოხატა 14-16 თებერვალს ჟენევაში გამართულ ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე—როცა ხელი არ მოაწერა კომუნიკეზე, რადგან მასში აფხაზეთის დელეგაციის მოთხოვნით ნაჩვენები არ იყო ლტოლვილთა დაბრუნების თარიღი. ამ დოკუმენტს დაეთანხმა გენერალური მდივნის წარმომადგენელი ედ. ბრუნერი, რაც მან იმით ახსნა, რომ კომუნიკეში ჩაწერილი იყო აფხაზური მხარის თანხმობა საქართველოს ფედერალური მოწყობის შემთხვევაში მასში ფედერაციის სუბიექტად აფხაზეთის შესვლაზე („სრ“ 1995:18).

მაღალი თანამდებობის პირი სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადა და მათი დაპატიმრების სანქცია გასცა.

ე.წ. „დიდი რვეულის“ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბონში, 8 თვნის შეიღწიეს 7 პუნქტიან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც: ნატო წყვეტდა იუგოსლავიის დაბომბვას, კოსოვოდან გამოიყვანდნენ სერბიის ჯარებს, ამ მხარეში მშვიდობის დასამყარებლად შევიდოდნენ გაეროს (ძირითადად აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის) ჯარები, ასიათასობით ლტოლვილი დაუბრუნდება საკუთარ კარ-მიდამოს (იქვე:154). 10 თვნის ნატოს ავიადარტყმები შეწყდა. 21 თვნის დაიწყო ე.წ. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის განიარაღება. იგი უნდა დამთავრებულ 3 თვეში.

რუსეთი მოითხოვდა მისთვის ცალკე ზონის გამოყოფას. მან არ დაუცადა გადაწყვეტილების მიღებას და კვირას, 13 თვნის, ღამით თავისი 200 მეღესანტით მოულოდნელად დაიკავა კოსოვოს ადმინისტრაციული ცენტრის პრიშტინას ჰაეროდრომი. ამის შემდეგ მომდევნო საათებში ნატომ დაიწყო ჯარის ნაწილების გადაყვანა კოსოვოს ტერიტორიაზე. რუსეთის ცალკე ზონა მაინც არ გამოჰყვს. 8 თვნის, რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებაზე მიღწეული შეთანხმებით კოსოვოს სამ (აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის) ზონაში განლაგდება რუსეთის ჯარის 3600-იანი კონტინგენტი (იქვე:161).

ჟენევის მოლაპარაკებაზე აფხაზეთის დელეგაციის მეთაურის, სეპარატისთა ერთ-ერთი ლიდერის ნაქართველარი ს. ჯინჯოლიას განცხადებით, ისინი ლტოლვილთა დაბრუნებას მხოლოდ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ დაეთანხმებოდნენ. სტატუსი კი უნდა ყოფილიყო ფედერაციული მოწყობა. სეპარატისტებს ფედერაცია ესმოდათ, როგორც ორი სრულუფლებიანი სუბიექტის კავშირი.

რადგან ფედერალური მოწყობის საკითხი დიდად გახმაურდა და მისმა კონცეფციამ გარკვეული მეტამორფოზა განიცადა, საჭიროდ ვთვლი, მასზე საგანგებოდ შევაჩერო ყურადღება.

ე. არძინბა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აყენებდა საკითხს საქართველოსა და აფხაზეთს შორის ორმხრივი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ეს მან განაცხადა 1992 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. აქვე დაუმატა, რომ იგი ატარებს ღონისძიებებს აფხაზეთის საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობის მიზნით („სრ“ 1992:154).

საქართველოში კი მაშინ ფედერალური მოწყობის სასარგებლოდ არ იყვნენ განწყობილი. ე. შევარდნაძემ 2 სექტემბერს, „იზვესტიის“ კორესპონდენტის კითხვაზე შესაძლებელია თუ არა საქართველოს ფეოდალური მოწყობა, უპასუხა: „არაა შესაძლებელი. საქართველოს ფედერალური მოწყობა დიდად არ მჯერა“–ო (იქვე:170).

1993 წლის გაზაფხულზე გახშირდა წინადადებები ქართულ–აფხაზური ურთიერთობების ფედერალურ პრინციპებზე მოწყობის მოთხოვნით.[1] აფხაზ სეპატარისტებს ფედერაცია ესმოდათ, როგორც ორი სრულუფლებიანი პოლიტიკური სუბიექტის გაერთიანება. საყოველთაოდ კი მიღებულია, რომ ფედერაციის სუბიექტები საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით არ წარმოადგენენ სახელმწიფოებს, სუვერენულია მხოლოდ ფედერაციული სახელმწიფო და არა მისი შემადგენელი ნაწილები.

1787 წლის ამერიკის კონსტიტუციით, სრულიად მოგვარებულია ფედერაციულ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს (შტატებს) შორის ურთიერთობის საკითხი. მაგრამ გვიან წარმოშობილ ფედერაციებში შეინიშნება კლასიკურიდან ზოგიერთი გადახრები. ამის გამო საერთაშორისო სამართლის რიგი სპეციალისტები აღნიშნავენ,

[1] ამ პრინციპზე ქართველ პოლიტიკოსთა თანხმობა გამოწვეული იყო ქართული სახელმწიფოს ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობის პრაქტიკის გათვალისწინებით. შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო ფედერალიზმის ჭარბ დოზას შეიცავდა, იგი სეპარისთავოებად იყო დაყოფილი, რაც შეეხება მსოფლიო პრაქტიკას–დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 40% სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით ფედერაციაა ორგანიზებული.

რომ ბოლომდე არ არის გარკვეული სხვაობა ფედერაციულ სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებსა და უნიტარულ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის. ფაქტობრივად, განსხვავება დაკავშირებულია მხოლოდ დეცენტრალიზაციის მასშტაბებთან. ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციის ჩარჩოებში მისი შემადგენელი ნაწილები კონსტიტუციური ავტონომიით სარგებლობენ. ხსენებული ავტონომიის ფარგლები განსაზღვრულია ფედერალური კონსტიტუციით და სხვადასხვაგვარია ცალკეულ სახელმწიფოებში. ფედერაციულ სახელმწიფოსა და მის შემადგენელ სუბიექტებს შორის შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ სამართალს.

მიუხედავად ამისა, არსებობს საშიშროება ფედერალურ და ადგილობრივ სამართალს შორის წინააღმდეგობის წარმოშობისა. ასეთ შემთხვევაში უპირატესობის რომელიმესადმი მინიჭების საკითხი ცალკეულ კონსტიტუციაში სხვადასხვაგვარადაა გადაჭრილი.

საერთაშორისო სამართლის ეს პოსტულატები აქვთ მხედველობაში აფხაზ სეპარატისტებს, როცა ისინი წინასწარ იზღვევენ თავს და თანაბარ სუბიექტიან ფედერაციას მოითხოვენ, რაც, ფაქტობრივად, კონფედერაციას წარმოადგენს და არა ფედერაციას. ეს პრობლემა დილემადაა გადაქცეული ქართველ–აფხაზთა მოლაპარაკებებში. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს წინათ, მიღწეული შეთანხმებების დარღვევაში. სინამდვილე კი ასეთია: 1992 წლის 3 სექტემბრისა და 27 ივლისის შეთანხმებებისას აფხაზთა მხარეს არ წარმოუდგენია თანაბარსუბიექტიანი ფედერაციის შექმნის წინადადება. საქართველოს მხარე მაშინ აფხაზეთს განიხილავდა, როგორც უნიტარული საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიურ შემადგენელ ნაწილს და თავისი სახელმწიფოს ფედერაციულ მოწყობას საერთოდ არ აპირებდა. საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული სახელმწიფოებიც (თითქმის ყველა ვისთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული) სცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აფხაზეთს მიიჩნევენ მის განუყოფელ ნაწილად. ასე რომ, აფხაზი ექსტრემისტების მიერ ამოჩემებული სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე დამყარებული თანაბარსუბიექტიანი ფედერაცია გვიან გამოგონილი ქიმერაა და მასზე დათანხმება საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის დაკანონებას ნიშნავს.

მალე აფხაზი სეპარატისტებისათვის სახელწოდება ფედერაციაც არასასურველი გახდა. როცა ჟენევის მოლაპარაკების შემდეგ გერმანულ პრესაში გაჩნდა სტატიები, რომ აფხაზთა მხარის თანხმობა

ფედერაციულ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სუბიექტად შესვლაზე მის საქართველოსთან ტერიტორიულ ინტეგრაციას ნიშნავს, ს. ჯინჯოლიამ მაშინვე „გადაატრიალა ფირფიტა“ და განაცხადა რომ ისინი მხოლოდ ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ შედგენილი კონფედერაციის მომხრენი არიან. თანაც, ასეთ კონფედერაციას არ უნდა ჰქონოდა ერთიანი არმია, ერთობლივი ფულის ერთეულები და სხვა ატრიბუტები („სრ“ 1995:21).

პარალელურად ისინი განაგრძობდნენ სუვერენული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ კურსს. ახალი წლის დასაწყისში შემოიღეს რესპუბლიკის ვიცე–პრეზიდენტის თანამდებობა და მასზე დაამტკიცეს ვალერი არშბა (იქვე:4). მაისის შუა რიცხვებში მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ხელი მოაწერეს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას ყაბარდო–ბალყარეთსა და აფხაზეთს შორის (იქვე:57).

ივნისის დასაწყისში ვ. არძინბამ გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს რეფერენდუმის ჩატარება, რომელმაც უნდა გაარკვიოს აფხაზეთის მოსახლეობას საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა სურს თუ რუსეთთან მიერთება. იგი არად აგდებდა თავისი სახელმწიფოდან მოსახლეობის ორი მესამედის გამოდევნის ფაქტს და დარჩენილი უმცირესობით სურდა მოეწყო რეფერენდუმი.

რეფერენდუმის ჩატარებას აღარ მოუცადეს და 23 აგვისტოს აფხაზეთის პარლამენტის სხდომაზე მიღებული დადგენილებით უარყვეს საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოში აფხაზეთის შესვლის შესაძლებლობა, რადგანაც აფხაზეთი ამ დადგენილების მიხედვით, არის სუვენერული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი (იქვე:108). დადგენილების ავტორებს არ აინტერესებდათ ვინ და როდის აღიარა იგი ან ერთად ან მეორედ.

ქვეყნის შიგნით აფხაზ სეპარატისტებს მძიმე ეკონომიკური და კრიმინოგენური ვითარება ჰქონდათ. მოსახლეობა განიცდიდა სურსათისა და პურპროდუქტების მწვავე ნაკლებობას. არძინბას ხროვა ამის მიზეზად ასახელებდა რუსეთის საზღვარზე ეკონომიკური ბლოკადის დაწესებას და პროდუქტების შემოტანის აკრძალვას. სინამდვილეში ყველაფერი სეპარატისტული მთავრობის უგუნური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო. თორემ ბლოკადა არცთუ მკაცრად ხორციელდებოდა და თანაც, საქართველოს მთავრობა მზადყოფნას აცხადებდა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, როგორც თავისი მოქალაქეებისათვის,

მიეწოდებინა სურსათი და სხვა პროდუქტები, მაგრამ ამას ყოველმხრივ უშლიდა ხელს აფხაზეთის ხელისუფლება (იქვე:15).

რაც შეეხება კრიმინალურ ვითარებას, მის გამწვავებას სეპარატისტები შეგნებულად უწყობდნენ ხელს, რათა სანუკვარი მიზნის—ქართველთა გენოციდისათვის მიეღწიათ. კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის მიუხედავად, გრძელდებოდა ტერიტორიის დანაღმვა. აფეთქების შედეგად იღუპებოდნენ რუსი სამხედროები და მშვიდობიანი მცხოვრებლებიც. 12 მარტს ათასამდე „ბოევიკი", 22 „იკარუსით" შემოვიდა გალის რაიონის სოფლებში და დაიწყო ფართომასშტაბიანი დამსჯელი ოპერაციის ჩატარება. ოპერაციას ხელმძღვანელობდა სოხუმის ხელისუფლების შს მინისტრი გივი აგრბა. დახვრიტეს 30-ზე მეტი ქართველი მოქალაქე, 250 აიყვანეს ტყვედ, გადაწვეს ათობით საცხოვრებელი სახლი (იქვე:19). 13 მარტს სოფ. თამილონში აიყვანეს 43 მძევალი, 1000-მდე კაცი გამოამწყვდიეს გალის სტადიონზე და მოითხოვდნენ მათგან გამოსასყიდს. სოფელ ბარღებში დახვრიტეს 5 ქართველი. სხვა სოფლებშიაც მრავლად იყვნენ დაჭრილები და დასახიჩრებულები. თავდასხმის საშიშროებიდან დაზღვეული არ გახლდათ ზუგდიდის რაიონის მცხოვრებლებიც. 11 მარტს ამ რაიონის სოფ. შამგონაში შემოჭრილმა აფხაზმა „ბოევიკებმა" 15 მცხოვრები გაიტაცეს. მ.შ. ბავშვები და ქალებიც.

კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამხედროები ზოგჯერ თვითონაც არ ერიდებოდნენ დარბევებში მონაწილეობას. 14 აპრილს იმ ბატალიონის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ვოლკოვი მეთაურობდა, გადაკეტეს ზუგდიდის გზა, განაიარაღეს აღგილობრივი პოლიციელები, წაიღეს 4 ავტომატი და 2 პისტოლეტი (იქვე:42).

თუ ეს ცალკეული გამოხდომა იყო, საყოველთაოდ აღმაშფოთებელი აღმოჩნდა სამშვიდობო ძალების სარდლის ვ. იაკუშევის გამოსვლა ოთხმხრივ შეხვედრაზე 9 მარტს, ზუგდიდში, გენერალმა, რომელიც ხშირად ირწმუნებოდა, რომ თვითონ შეუძღვებოდა ლტოლვილებს გალის რაიონში, ამჯერად თქვა: მე ქართველების დაბრუნებას არ დავუშვებ, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს სისხლისღვრა. უფრო მეტიც, მან მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის პასუხისგებაში მიცემა, ვინაიდან ისინი აჩქარებენ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს (იქვე:28).

ამ განცხადებით გამოწვეული შემაშფოთებელი ემოციები ნაწილობრივ გაანელეს რუსეთის სასაზღვრო ჯარების სარდალმა გენ.

ნიკოლაევმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბ. პასტუხოვმა 10 მარტს, თბილისში ყოფნის დროს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები არ არის ქართულ–აფხაზური კონფლიქტი, არამედ იგი არის ერთიანი სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე უთანხმოება (იქვე:27).

20 მარტს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი. წყდებოდა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა–არყოფნის საკითხი. ამიტომ გენერალი ხელგაშლილი იძლეოდა დაპირებებს. მან ხელისუფლებას აღუთქვა, რომ რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს სამხედრო კადრების მომზადებაში. ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებისათვის მას ჩამოტანილი აქვს წინადადებათა პაკეტი (იქვე:30). 22 მარტს პარაფირება გაუკეთეს რუსეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას[1].

პარაფირების დროს საქართველოს მხარემ გამოხატა განსაკუთრებული პოზიცია, რასაც შემდგომ არაერთხელ იმეორებენ და რამაც ხანგრძლივად დააყოვნა ხელშეკრულების რატიფიკაცია. იგი ასეთია: სახელმწიფოს მეთაური ხელს მოაწერს ხელშეკრულებაზე თუ აღდგება საქართველოს იურისდიქცია მთელ მის ტერიტორიაზე და თუ რუსეთი კონკრეტულ ვალდებულებებს შეასრულებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში (იქვე:32).

ამავე არგუმენტებით პასუხობდა ე. შევარდნაძე ოპოზიციონერ პარლამენტარებს, რომლებმაც თავდაცვის მინისტრს დანაშაულად ჩაუთვალეს ხელშეკრულების პარაფირება. სახელმწიფოს მეთაურმა გან-

---

[1] ხელშეკრულების მოქმედების ვადა 25 წელია. ყოველ მომდევნო ხუთ წელში იგი ავტომატურად გაგრძელდება, სანამ რომელიმე მხარე არ გააკეთებს განაცხადს დენონსაციის თაობაზე. ასეთის შემდეგ ჯარები გაიყვანება 2 წლის ვადაში.

1998 წლის დასაწყისისათვის რუსეთს აქვს 4 სამხედრო ბაზა საქართველოში. ახალქალაქშია 62-ე სამხედრო ბაზა. იგი შედგება ორი მოტომსროლელი და ერთი საარტილერიო პოლკის, კაშხრგბმულობის ცალკე ბატალიონისა და ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო დივიზიონებისაგან. სულ მოითვლის 3000 კაცს, 41 ტანკს, 62 საარტილერიო ქვემეხს. მე-12 სამხედრო ბაზა დისლოცირებულია ბათუმში. იგი შედგება ორი მოტომსროლელი და ერთი საარტილერიო პოლკის, კაშხრგბმულობის და დაზვერვის ცალკე ბატალიონების, ტანკსაწინააღმდეგო..საარტილერიო დივიზიონებისაგან. აქაც 3000 კაცი, 41 ტანკი, 250 საბრძოლო ჯაჭვიანი მანქანა და 75 საარტილერიო ქვემეხია. 137-ე სამხედრო ბაზაა ვაზიანში. იგი შედგება: 1500 სამხედრო მოსამსახურის, 35 ტანკის, 60 ჯაჭვიანი საბრძოლო მანქანისა და 18 საარტილერიო ქვემეხისაგან.

ამათ გარდა, აფხაზეთში დგას რუსეთის სამშვიდობო ძალები, სულ..1500 ჯარისკაცი და ოფიცერი, 7 ტანკი, 127 საბრძოლო ჯაჭვიანი მანქანა, 16 საარტილერიო ქვემეხი.

გუდაუთაშია 50-ე სამხედრო ბაზა. იგი არ ეკუთვნებარება აბკაზიის სამხედრო დაჯგუფების რუსეთის სარდლობას. ამიტომ მონაცემები არაა ცნობილი („რეზონანსი“ 1998:63). ეს ბაზა, ფაქტობრივად, ემსახურება არძინბას რეჟიმს. ამის გამო 1999 წლის დამდეგიდან მწვავედ დადგა მისი საქართველოდან გაყვანის საკითხი.

მარტა, რომ ნადიბაიძე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოიქცა. თანაც, რუსეთის გარეშე ჩვენ არც შეიარაღებული ძალების შექმნა შეგვიძლია და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. პარლამენტი უფლებამოსილია რატიფიკაცია გაუკეთოს ან არ დაადასტუროს ხელშეკრულება. ამის შემდეგ გაირკვევა კანონიერია თუ არა იგი.

რუსეთის საკანონმდებლო ორგანოებმაც დროებით კეთილი თვალით შემოხედეს საქართველოს. ივნისის მიწურულს, სახელმწიფო სათათბიროში, 3 დეპუტატისაგან შემდგარმა ჯგუფმა შეიტანა კანონპროექტი „მდ. ფსოუს მონაკვეთზე რუსეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის აღდგენის შესახებ", რომლითაც ეჭვქვეშ იყო დაყენებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. ეს პროექტი სათათბიროშ უარყო, რაც დაასაბუთეს მოლაპარაკების პროცესის ინტერესებით (იქვე:72).

საქართველოს მიმართ უფრო გამოკვეთილი და რეალისტური პოზიცია გამოხატა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ვლ. შუმეიკომ. 11 ივლისიდან, იგი თბილისში იმყოფებოდა, ამ დროს აფხაზეთი ახალი დაზარალებული იყო სტიქიისაგან. ვ. შუმეიკომ განაცხადა, რომ სტიქიით დაზარალებულთ დახმარება გაეწეოდათ მხოლოდ საქართველოს მეშვეობით და ამისათვის გამოიყოფოდა 10 მილიარდი მანეთი. რაც შეეხება გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებას, ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებანი უახლოეს ხანში უნდა განხორციელდესო (იქვე:80-81).

. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან თქვა: აფხაზეთის მიმართ საქართველოს არავითარი აგრესია არ არსებობს. საქართველოში ყოფნის დროს ვ. არძინბას მოღვაწეობის უარყოფითად დახასიათების გამო მან გაიმეორა: „სეპარატიზმი არ შეიძლება იყოს კარგი". „პოლიტიკოსი, რომელმაც თავის მოღვაწეობად სეპარატიზმი და გენოციდი აირჩია, დამნაშავე პოლიტიკოსია. ასეთი პოლიტიკოსი საჭიროა იზოლირებული იქნეს", არძინბა „იქნება კარგი ადამიანი და მეოჯახე არის, როგორც პოლიტიკოსი კი დამნაშავეა" (იქვე:86).

ასე პირდაპირ და მიზანში მოხვედრილად ვ. არძინბა არც ერთ პოლიტიკოს, თვით შევარდნაძესაც კი, არ დაუხასიათებია. მალე გამოქვეყნდა ცნობა, რომ ვ. შუმეიკოს გონივრულ პოზიციას ვ. არძინბას შეფასებასთან დაკავშირებით მხარი დაუჭირა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კოზირევმა.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, 15 სექტემბერს საქართველოს

ეწვია რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ჩერნომირდინი. მასთან მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოაწერეს დოკუმენტების პაკეტს. მისი ვიზიტი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას ახლდნენ რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები და უწყებათა ხელმძღვანელები. პრესკონფერენციაზე ვ. ჩერნომირდინმა აღნიშნა: „რუსეთი ახლა უფრო მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას"–ო (იქვე:122). მიუხედავად გარეგნული გულახდილობისა, ვ. ჩერნომირდინმა პირდაპირ არ უპასუხა კითხვას ნავთობსადენის შესახებ. მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ექნება თავისი ნავთობი. რუსეთის ნავთობისა და გაზის მაგნატისაგან სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის საშუამავლო როლი კი ამ ვიზიტებისა და დაპირებების შემდეგაც არაპროდუქტული გახლდათ.

24 აგვისტოს პარლამენტის სხდომაზე ე. შევარდნაძემ განაცხადა: „სეპარატისტებმა პრაქტიკულად ჩაშალეს მოლაპარაკება მოსკოვში". 30 აგვისტოს, მოსკოვში განახლდა ოთხმხრივი შეხვედრები. რუსეთის დელეგაციის მეთაური ამჯერად თანამდებობრივად უფრო მაღალი პირით იყო წარმოდგენილი. ეს გახლდათ ვიცე-პრემიერი ბოლშაკოვი. გაეროსი—გენმდივნის სპეციალური წარმომადგენელი ე. ბრუნერი. მალე თვით აფხაზთა მოტრფიალე ბ. პასტუხოვი გახდა იძულებული აეღიარებინა, რომ ამჯერადაც „მოლაპარაკება უხეშად ჩაშალა აფხაზურმა მხარემ". მათ წინასწარ შემუშავებული არათუ ოქმის ხელმოწერაზე, არამედ განხილვაზედაც კი უარი თქვეს, თუ აღიარებული არ იქნებოდა აფხაზეთის სუვერენულობა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გამოცხადება (იქვე:114). ეს იყო არა მარტო საქართველოს, არამედ გაეროს და რუსეთისადმი სრული ანგარიშგაუწევლობა და უპატივცემულობა.

მომდევნო ხანებში რუსეთს საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელი გაუჩნდა. მოახლოვდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. არძინბა და მისი თანამზრახველები მოელოდნენ, რომ არჩევნებში აფხაზეთის რუსეთთან შეერთების მომხრე ძალები გაიმარჯვებდნენ, ამიტომ მათ კვლავ ჩაშალეს 2 ნოემბერს მოსკოვში დაწყებული ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ახალი რაუნდი.

1995 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს ორ დოკუმენტში აისახა აფხაზეთის საკითხი. ერთი წარმოადგენდა რეზოლუციას, რომელიც უშიშროების საბჭომ მიიღო 12 მაისს. მასში ეუთოს ბუდაპეშტის თათბირის შესაბამისად გაერო აღნიშნავდა ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდას აფხაზეთში (Надарейшвили 1996:253).

მეორე, 12 ივლისის დადგენილებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოში თავისი მისიის შესანახად, 1996 წლის 12 იანვრამდე, გამოყო 12 მილიონი დოლარი („სრ“ 1995:85). გავიხსენოთ: საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისია შეიქმნა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადგენილების შესამოწმებლად, უშიშროების საბჭოს 1993 წლის 24 აგვისტოს. 1995 წლის აგვისტოსათვის მისიაში შედიოდა 13 ქვეყნის 136 სამხედრო დამკვირვებელი. მათ მეთაურობდა გენერალი ჯონ ჰედეგარდი (დანიიდან).

მართალია, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გამოცხადდა დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, მაგრამ იგი აშკარად მიუსადაგებელი იყო თანამედროვე პირობებისათვის. ამიტომ მასში ცვლილებების შესატანად შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის მუშაობის პროცესში ცხადი გახდა, რომ, ფაქტობრივად, ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენა იყო საჭირო. რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს პროცესი გახანგრძლივდა და ე. შევარდნაძემ პირველად მხოლოდ 1995 წლის 29 მაისის რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ კონსტიტუციის პროექტი უკვე მზადაა და იგი განსახილველად წარედგინება საკონსტიტუციო კომისიასო („სრ“ 1995:59).

საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის სარეიტინგო განხილვა ერთ თვეში დაასრულა. თანხმობას მიაღწიეს 117 მუხლის ირგვლივ. სხვებზე მუშაობა გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, 3 ივლისს პროექტი განსახილველად გადაეცა პარლამენტს (იქვე:72).

პარლამენტში კონსტიტუციის განხილვა მწვავე კამათის პირობებში მიმდინარეობდა.[1] ზოგიერთ ძლიერ სადავო საკითხებზე კონსესუსის

[1] კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებდა მართვა-გამგეობის ფორმას, რომელსაც კონსტიტუციის თეორიასა და პოლიტოლოგიაში ზოგადად ეწოდება შერეული--ნახევრადსაპრეზიდენტო, ამ მოდელით გათვალისწინებულია სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა გაწონასწორებული სისტემა, რომელშიც საკანონმდებლო და უმაღლეს საკონტროლო ფუნქციებს ასრულებს პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლებას--უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო. ამ მოდელში რესპუბლიკის პრეზიდენტი ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ტრადიციულ უფლებამოსილებას. აგრეთვე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და მთლიანობა. ამას ითვალისწინებდა პროექტის 66-ე მუხლი. პროექტის განხილვის პროცესში გაჩნდა აზრი ე.წ. „გერმანული მოდელის“, ანუ საკანცლერო ქვეყნად საქართველოს გამოცხადებისა. ბოლოს კი შეთანხმდნენ ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე. თუმცა უარყვეს სახელწოდება რესპუბლიკა და არ დაწესდა ვიცე--პრეზიდენტის თანამდებობა. რის გამოც ვაკუუმი გაჩნდა აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებრივ (სამინისტროთა) მმართველობასა და სახელმწიფოს მეთაურს შორის. 1998 წლის თებერვალში ამ ხარვეზის გამო დაიწყო საუბარი საკონსტიტუციო რეფორმის გატარების აუცილებლობის შესახებ, მინისტრთა კაბინეტის შექმნის მიზნით.

მისაღწევად საჭირო გახდა შემთანხმებელი კომისიის შექმნა. მიუხედავად ამისა, 31 ივლისის დებატებმა პარლამენტში ცხადყვეს, რომ კონსტიტუციის რეფერენდუმის გარეშე მიღების საკითხი მოხსნილი არ იყო. შემთანხმებელმა კომისიამ განაგრძო მუშაობა და 8 აგვისტოს სხდომაზე 154-მა დეპუტატმა, 14-ის წინააღმდეგ მიიღო კონსტიტუციის მუხლი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იქნებოდა პრეზიდენტი (იქვე:98). იგი აირჩეოდა თავისუფალი, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო წესით, 35 წლის ასაკს ზევით საქართველოს მოქალაქეთაგან, რომელიც სულ ცოტა 15 წელიწადი ცხოვრობს საქართველოში.

დიდი კამათი გამოიწვია 69-ე მუხლმა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს უფლება არ ექნებოდა მონაწილეობა მიეღო პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში, მაგრამ შემდეგ ეს მუხლი ამოიღეს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციის თავის—„საქართველოს პარლამენტის" მიღებას. პროექტი ითვალისწინებდა ორპალატიან პარლამენტს. 16 აგვისტოს სხდომაზე, დიდი ხნის კამათის შემდეგ, შეთანხმდნენ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე საქართველოს ჰყოლოდა ერთპალატიანი პარლამენტი, რომლის 150 წევრი აირჩეოდა პროპორციული სისტემით, ხოლო 85—მაჟორიტარულით. ძალაში დარჩა პარტიული სიებისათვის 5 პროცენტიანი ბარიერი. დადგინდა, რომ პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს დაიკავოს სახელმწიფო სამსახურში რაიმე თანამდებობა. ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. სამაგიეროდ პარლამენტარებმა არ დათმეს თავიანთი სადეპუტატო იმუნიტეტი.

პარლამენტის 22 აგვისტოს სხდომაზე ე. შევარდნაძემ განსახილველად დასვა საკითხი რა ეწოდებინათ მიღებული დოკუმენტისათვის—კონსტიტუცია თუ კონსტიტუციური კანონი. ვითარება კვლავ შეიცვალა აჟიოტაჟით. საქმე იქამდეც მივიდა, რომ რესპუბლიკელთა ლიდერმა ნ. ნათაძემ განაცხადა—ამ პარლამენტს კონსტიტუციის მიღების მორალური უფლება არა აქვსო, ხოლო თამარ ჩხეიძემ პარლამენტის მთელ საქმიანობას უკანონო უწოდა. 23 აგვისტოს, მთელ დღეს კამათის შემდეგ რაიმე გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ.

24 აგვისტოს პარლამენტმა, 167 დამსწრიდან, 159 ხმით 8-ის წინააღმდეგ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, სადაც ჩაწერილია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელ-

მწიფო, რომლის პოლიტიკური წყობილებაა დემოკრატიული რესპუბლიკა („სრ“ 1995:109).

მიღებულ კონსტიტუციას ახასიათებს რამდენიმე ძლიერ მნიშვნელოვანი დემოკრატიული მონაპოვარი. ერთ–ერთი ასეთია ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი მუხლები. ისინი განამტკიცებენ ადამიანის, მოქალაქის პირად, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებამოსილებებს. მსოფლიო სტანდარტების დონეზეა დაცული ეროვნულ უმცირესობათა და ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ ან იცხოვრებენ.

კონსტიტუციის ქვაკუთხედია ხელისუფლების მოწყობის საკითხის განსაზღვრა. მართალია, პრეამბულაშივე არის ნათქვამი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და დამკვიდრების შესახებ. მაგრამ თითოეული მათგანის კონსტიტუციური დასაბუთება უნდა გადმოცემულიყო ცალ-ცალკე თავებსა და განსაზღვრებებში. დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტს პრაქტიკულად შეუზღუდავი საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს. აქ კონცენტრირებულია საფინანსო-საკრედიტო სფერო. ყველა ძირითადი საკითხი წყდება პარლამენტის თანხმობით. არსებითი საკადრო პრობლემები, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი—ყველაფერი ეს დაკავშირებულია პარლამენტის ნებასთან.

აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელია სახელმწიფოს მეთაური—პრეზიდენტი. როგორც კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დროს ვარაუდობდნენ მმართველობის სისტემა უნდა გამარტივებულიყო. კონსტიტუციით ეს ასეა, მაგრამ, როგორც ვთქვით, პრაქტიკაში იგი ნაკლებეფექტური აღმოჩნდა.

კონსტიტუციის ავტორები აცხადებდნენ, რომ „სამთავრობო და საპარლამენტო კრიზისები გამორიცხულია“ (ე. შევარდნაძე), სინამდვილეში კონსტიტუცია ამის გარანტი არ გამოდგა. რაც შეეხება პარლამენტის დათხოვნას, კონსტიტუციის მიერ მისი უარყოფა, მომდევნო ხანში ზოგჯერ სანანებელი გახდა და მოსალოდნელია სათანადო მუხლის შეცვლის საკითხიც კი დადგეს.

კონსტიტუციის სერიოზული შენაძენია საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა. ამით გადაიჭრა ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო აქტთა კონსტიტუციურობის დადგენის საკითხი.

1995 წლის კონსტიტუცია ნაკლულოვანი დოკუმენტია. მასში განსაზ-

ღერული არ არის ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების საკითხები. პირველი შეგნებულად გაკეთდა, რადგან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვის გამო და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელებამდე მისი კონსტიტუციაში დაფიქსირება პოლიტიკური პროვოკაციების საგანი გახდებოდა.

ადგილობრივ თვითმმართველობაზე საუბარი უფრო ვრცლად, ვიდრე ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილი, თავიდან აიცილეს და მოიმიზეზეს, რომ ამ საკითხებს შესაბამისი ორგანული კანონი განსაზღვრავდა. აქ ამოქმედდა საკუთარი ხელისუფლების სინდრომი—პარლამენტარებს თავიანთი არჩევნები და უფლებები აინტერესებდათ და არა სოფლისა და რაიონების თვითმმართველობისა. პროპორციული არჩევნების ძალაში დატოვებით ბევრს ეგონა, რომ მომავალი გაინაღდა. ხოლო, როცა საპარლამენტო არჩევნების შედეგად მხოლოდ ერთი პარტია აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში, მან თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მიღება, რადგან არჩევნებში გამარჯვების შანსი დაქვეითებული ჰქონდა, ხელოვნურად გააჭიანურა. ეს შიში საფუძვლიანი გამოდგა. 1998 წლის 15 ნოემბერს ჩატარებულ თვითმმართველობების არჩევნებში მოქალაქეთა კავშირი, ფაქტობრივად, წაგებული აღმოჩნდა და ოპოზიციური პარტიებისაგან შედგენილმა ბლოკებმა მას თბილისის, ქუთაისისა და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ქალაქის საკრებულოებში მმართველობის სადავეები დააკარგვინეს.

კონსტიტუციის მიღების გამო საზეიმო სხდომა და პარლამენტის წევრთა ხელმოწერა დანიშნული იყო 29 აგვისტოს, საღამოთი.[1] იმ დღეს, დაახლოებით 18 საათსა და 40 წუთზე, პარლამენტის ეზოში, როცა სახელმწიფოს მეთაურის ავტომანქანა გამოდიოდა ზეიმზე წასასვლელად, მოხდა აფეთქება. ე. შევარდნაძე მსუბუქად დაშავდა, ასევე მოუვიდათ ვ. რჩეულიშვილს, პ. მამრაძეს და მძღოლ თანდილაშვილს (იქვე:111).

უშიშროების სამსახურმა არაჩვეულებრივი ოპერატიულობა გამოიჩინა. მეორე დღესვე „დააზუსტა“, რომ აფეთქება მოხდა პარლამენ-

[1] ეს ცერემონია გაიმართა მოგვიანებით, 17 სექტემბერს. კონსტიტუციას ხელი მოაწერა პარლამენტის 150-მა წევრმა და არაღიარებულმა საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა. ამ სხდომაზე ე. შევარდნაძემ განაცხადა: „საქართველოს ახალი კონსტიტუცია...ეს არის ყველაზე დიდი ქმნილება, რასაც მე-20 საუკუნის საქართველო გადასცემს მესამე ათასწლეულის ქვეყანას, მომავალ თაობებს“ („სრ“ 1995:144-155).

სამწუხაროდ, ეს ქმნილება არც ისე მონუმენტური აღმოჩნდა. მიღებიდან მესამე წელს მასში არსებითი ცვლილებების შეტანის შესახებ ატყდა დისკუსია.

ტის ეზოში მდგომი „ნივიდან“, რომელიც დისტანციური პულტიდან იმართებოდა. დააპატიმრეს „ტეროტისტთა“ 10 კაციანი ჯგუფი, რომელთაც ჩამოერთვა ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი, ნარკოტიკები და სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია (იქვე:112).

შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს იყო ნამდვილი დამნაშავეებისათვის ხიფათის თავიდან აცილების მცდელობა. მაგრამ მან ამაოდ ჩაიარა. ძიების ინიციატივა ხელში აიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. კვირაიამ. განსაკუთრებული ნებართვით გაჩხრიკეს პარლამენტის შენობა. ჯ. იოსელიანის სეიფიდან ამოიღეს იარაღი, დიდძალი ფული, 500 აბი კოდეინი და 150 ამპულა მორფინი. „მხედრიონის“ ლიდერის პირადი დაცვის მუშაკთა ოთახებიდან—25 ავტომატი, ხელყუმბარები, ყუმბარმტყორცნები, დიდძალი ტყვია-წამალი და საბრძოლო მასალა (იქვე:113).

ჯ. იოსელიანის ირგვლივ წრე თანდათან ვიწროვდებოდა. ამიტომ იგი თავად გადავიდა შეტევაზე და შ. კვირაიას სისხლის სამართლის დანაშაულში—მოქალაქეთა მკვლელობაში დასდო ბრალი. რესპუბლიკის პროკურატურამ განაცხადა, რომ მისთვის ასეთი ფაქტები უცნობია. 7 სექტემბერს „მხედრიონის“ „მამა და მარჩენალი“ ამ ორგანოში დაკითხეს. დაკითხვის თემატიკა არ გამოუმჟღავნებიათ (იქვე:118).

18 სექტემბერის ტელეგადაცემაში 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორებად და შემსრულებლებლად დაასახელეს: უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე თ. ხაჩიშვილი, „მაშველთა კორპუსის“ თავმჯდომარე გ. გელაშვილი, უშიშროების სამსახურის ოპერატიული სამმართველოს უფროსი პოლკ. ი. გულიევი, სამეცნიერო ცენტრის უფროსის მოადგილე პოლკ. ედ. ნასყიდაშვილი, სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ მეთაური ვიცე-პოლკ. გ. პაპუაშვილი და სხვა.

რაც შეეხება ჯ. იოსელიანს, ჯერჯერობით, სადეპუტატო იმუნიტეტის გამო ხელშეუხებელი რჩებოდა, თუმცა ხელისუფლებასა (განსაკუთრებით სახელმწიფოს მეთაურსა) და მას შორის დაპირისპირების ფაქტები კარგა ხანია სახეზე იყო. ამ დაპირისპირების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა „მხედრიონის“ „მაშველთა კორპუსად“ გარდაქმნა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ გარდაქმნას წინ უძღოდა საპარლამენტო კამათები და შიმშილობანი. შემდეგ ჯ. იოსელიანის „ბიჭებს“ იარაღის ჩაბარება მოთხოვეს. მათაც გამოაცხადეს, რომ იარაღი მთლიანად ჩაბარებული აქვთ. 17 ივლისს უფრო უცნაური რამ მოხდა—შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონი“ პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოცხადდა (იქვე:85). ეს ფაქტი გაგებულ იქნა, როგორც „მაშ-

ველთა კორპუსის“ ასეთ ორგანიზაციად ჩათვლა. მისმა ხელმძღვანელობამ ასეთი რამ უარყო, რადგან „მაშველთა კორპუსი“ სახელმწიფო სტრუქტურაა და მისი პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთება შეუძლებელიაო. მათი თქმით, მხოლოდ „მხედრიონი“ აღსდგა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია (იქვე:87). ეს მტკნარი სიცრუე იყო, ვინაიდან „მხედრიონსა“ და „მაშველთა კორპუსს“ შორის სხვაობა არ არსებობდა.

იმავდროულად, თავის რადიო ინტერვიუში ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ შს სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების პასუხად მოხდა კრიმინალური ჯგუფების გააქტიურება. მაგრამ კახეთში, სადაც ადრე ისინი თარეშობდნენ, ათობით მკვლელი, მძარცველი და ბანდიტია დაპატიმრებული. სამტრედიაში, იმერეთის მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის თ. შაშიაშვილის ძალისხმევით, მოიშალა „მხედრიონელ“ დამნაშავეთა ბუდე. ხალხმა ამოისუნთქა. ამაზრზენი დანაშაული გამომჟღავნდა ბორჯომში. წყლის ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორის ოფისში, რომელიც იმავე დროს „მხედრიონელთა“ ამ რაიონის შტაბიც იყო, 1994 წლის 21 ნოემბერს დახოცეს: „თეთრი არწივის“ ხელმძღვანელი ი. მაღრაძე, მისი მოადგილე ედ. აკოფიანი, ახალციხის პროკურატურის გამომძიებელი ვ. სუხიშვილი და ქალები—ნინო კაციტაძე და ზაირა დარბაიშვილი, რომლებიც შეესწრნენ ფაქტს (იქვე:66). შემდეგ მათი გვამები წაიღეს და ჩააცემენტეს მიტოვებულ ბენზინის გასამართ სადგურში. დამნაშავეები, 15 კაცი, მათ შორის ქარხნის დირექტორი თამაზ კურტანიძე დააპატიმრეს. ეს დანაშაულიც გ. გელაშვილთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

ჯ. იოსელიანი მხოლოდ კრიმინალური გზით როდი იბრძოდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად. 1995 წლის აპრილის დასაწყისში მან შექმნა მოძრაობა „არჩევნები“, წამოიწყო აქციები საარჩევნო კამპანიის დიქტატურის წინააღმდეგ წარმართვის ლოზუნგებით. 14 ივლისს საზოგადოება „არჩევნების“ ყრილობაზე ჯ. იოსელიანმა მხარი დაუჭირა ეროვნული ყრილობის მოწვევას. მისი თქმით, ქვეყანა უბრუნდება ტოტალიტარულ რეჟიმს. ირღვეოდა კონსტიტუციის გარკვეული მუხლები. ეკონომიკა მოძალადე ეკონომიკად გახდა, სამხარეო მოწყობა ნამდვილი ფეოდალიზმია და სხვა. ამიტომ საზოგადოებას უფლება არა აქვს წინ არ აღუდგეს ამ პროცესს (იქვე:85).

ე. შევარდნაძის შეფასებით, ეს დემოკრატიისათვის ბრძოლა კი არაა, არამედ ბრძოლაა, მოძრაობაა კრიმინალთა სრული თავისუფლების მოსაპოვებლად. მაგრამ აქედან არაფერი გამოვა. კრიმინალთა

დრო წასულია, პოლიტიკის კრიმინალიზაციას და კრიმინალთა პოლიტიზაციას წერტილი დაესმება.

29 აგვისტოს ტერაქტის ძიების პროცესში თანდათან გამოიკვეთა ჯ. იოსელიანის კავშირი უშიშროების სამსახურის უფროსთან ი. გიორგაძესთან. ეს უკანასკნელი 29 აგვისტოს მოსკოვში იმყოფებოდა, მაგრამ ძიებამ დაადგინა, რომ თ. ხაჩიშვილი, გ. გელაშვილი და სხვა „მხედრიონელები" მისი დავალებით მოქმედებდნენ. 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა ი. გიორგაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა. იგი გაექცა ძიებას და რუსული სამხედრო თვითმფრინავით მოსკოვს შეაფარა თავი.

გახმაურებული ტერაქტის დეტალები საზოგადოებას გააცნო შ. კვირაიამ 1 ოქტომბერს თბილისში გამართულ ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირზე გამოსვლაში. მისი თქმით, ტერაქტი უშუალოდ ი. გიორგაძემ დაგეგმა, თ. ხაჩიშვილს, გ. გელაშვილს და სპეცრაზმ „ალფას" მეთაურის გ. პაპუაშვილის მონაწილეობით. გეგმა მუშავდებოდა გენ. პანტ. გიორგაძის ბინაში.

ტერაქტის ორგანიზაციულ საკითხებს ხელმძღვანელობდა უშიშროების დაზვერვის სამმართველოს უფროსი ი. გულიევი. ადგილზე ორგანიზაციასა და ასაფეთქებელი მასალით უზრუნველყოფას განაგებდა გ. პაპუაშვილი. პოლკოვნიკმა ე. ნასყიდაშვილმა დაამზადა დისტანციური მოწყობილობა და პულტი. გ. პაპუაშვილმა ავტომანქანა „ნივაზე" დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც მოქმედებაში მოიყვანეს გიგა გელაშვილმა და სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას" წევრმა ლეიტ. ავ. გოგიტაშვილმა (იქვე:133).

კვალის დაფარვის მიზნით კი ი. გიორგაძემ სხვები დააპატიმრა და გამოაცხადა დამნაშავეებად.

1 ოქტომბრის რესპუბლიკურ თათბირზე 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი შეფასდა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების ცდა. მის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, დაეკავებინათ პარლამენტის შენობა, ტელევიზია, ტელეანძა, აეროპორტი და შინაგან საქმეთა სამინისტრო. აქტის წარმატების შემთხვევაში შეიქმნებოდა ე.წ. „ეროვნული ხსნის კომიტეტი", პარალელურად ადგილებზე ჩამოყალიბდებოდა ამ კომიტეტის რეგიონალური სტრუქტურები. შ. კვირაიას განცხადებით, თავიანთ ბნელ ზრახვებზე მათ ე. შევარდნაძის გადარჩენის შემდეგაც არ აუღიათ ხელი. მაგრამ შს სამინისტროს მუშაკებმა საშიშროება აღკვეთეს.

გამოვლინდა მხედრიონის მიერ იარაღის ჩაუბარებლობის ფაქტები. 29 აგვისტოს შემდეგ, ერთი თვის მანძილზე, პოლიციამ მათგან ამოიღო 389 ატომატი, ათობით ტყვიამფრქვევი, ყუმბარმტყორცნი, მძიმე ტექნიკა, საზენიტო ქვემეხი, პისტოლეტები, ასობით ხელყუმბარა, ჭურვი, ნაღმი, 200 ათასზე მეტი საბრძოლო ვაზნა, დიდძალი სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალა და აღჭურვილობა. ეს მხოლოდ ნაწილი იყო იმ იარაღისა რაც მხედრიონს გააჩნდა (იქვე).

დადგინდა „მხედრიონელთა“ სხვა ტერაქტებში მონაწილეობის ფაქტებიც. 1994 წლის 20 აპრილს ამ ორგანიზაციის წევრებმა მოკლეს შს მინისტრის მოადგილე გია გულუა, მას 7 ტყვია დაახალა გ. გელაშვილმა.

1994 წლის 3 დეკემბერს თ. ხაჩიშვილისა და გიგა გელაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ტერორისტული აქტი გია ჭანტურიას წინააღმდეგ.

1995 წლის 19 ივნისს მათვე მოაწყვეს ს. ხაბეიშვილის მკლელობა. საკონტროლო გასროლა შეასრულა გ. თედიაშვილმა. ეს ტერორისტული აქტი გულისხმობდა მეორე საფეხურს. ს. ხაბეიშვილის პანაშვიდზე მისვლის დროს უნდა მოეკლათ სახელმწიფოს მეთაური. ამ მიზნით ლიფტში დამონტაჟებული ჰქონდათ ასაფეთქებელი მოწყობილობა. მაგრამ ე. შევარდნაძემ ლიფტით არ ისარგებლა.

თავისთავად ეს მკვლელობა წარმოადგენდა „მხედრიონელთა“მორალური გადაგვარების უთუო დადასტურებას. ტერორიზმისა და მკვლელობის გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, მაგრამ განსაკუთრებული საჩიზღრობაა, როცა საზოგადო მოღვაწეს კლავენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ მის დასატირებლად მისულ მეგობრებს ჩაუსაფრდნენ და სიცოცხლეს გამოასალმონ. განა ასეთ ორფეხებს შეუძლიათ თავს ადამიანი და ქართველი უწოდონ! თავი დიქტატურის წინააღმდეგ და სამართლიანობისათვის მებრძოლებად მოჰქონდეთ?

1994–1995 წწ. შს სამინისტროსა და რესპუბლიკის პროკურატურის მიერ 662 სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის 1 ოქტომბრამდე მხილებული იყო 421 „მხედრიონელი“. დააპატიმრეს 284. სხვები იძებნებოდნენ. იმავე დროისათვის დადგინდა, რომ მათ ჩაიდინეს 30-ზე მეტი განზრახ მკვლელობა, 120-ზე მეტი ყაჩაღობა, 50-ზე მეტი ადამიანის გატაცება; 6 ხელისუფლების ორგანოებზე, 30 პოლიციაზე თავდასხმა. 40-ზე მეტი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება და ა.შ. აი, როგორი პატრიოტი „ბიჭები“ იყვნენ „მხედრიონელები“. მაგრამ მთავარი მათ მიერ

მიყენებული მორალური ზარალი იყო და არა კონკრეტული დანაშაულობანი. საზიზღრობას წარმოადგენდა მათი ცინიკურად აბუჩადაგდებული დამოკიდებულება კანონისა და ზნეობრივი ნორმებისადმი.

რაც შეეხება მთავარ ტერორისტს—ი. გიორგაძეს, მას შემდეგ რაც იგი მოსკოვში გაიქცა მალე გამოვლინდა მისი კავშირი თანხების დიდი ოდენობით დატაცების საქმესთან. 1994 წლის თებერვალში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა მასალა გრადიოზული ფინანსური აფერის შესახებ. ფარდა აეხადა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის შალვა ფიჩხაძის და საერთაშორისო აფერისტის, იუგოსლავიელი პეტროვიჩის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისი პრეზიდენტის დ. დვალიშვილის გვერდის ავლით 25 მილიონი დოლარის მითვისებას.

გარდა თანხების დატაცებისა, ეს იყო ეკონომიკური დივერსია. შ. ფიჩხაძემ და ეროვნული ბანკის საკრედიტო სამმართველოს უფროსმა, ა. ცუცქირიძემ (ხაჩიროვმა), უაღრესად გაჭირვებულ 1992-1993 წწ., გასცეს ათეული მილიონობით მანეთის, შემდეგ კუპონის კრედიტი, რამაც არნახული ინფლაცია გამოიწვია. ამასთან, მის მიერვე გაცემულ კრედიტს შ. ფიჩხაძე ბანკს სადამფუძნებლო კაპიტალად უთვლიდა, ვინაიდან სწორედ იგი იყო ეროვნული ბანკის ის ვიცე-პრეზიდენტი, რომელსაც კომერციული ბანკების გახსნა, ლიცენზიის გაცემა და ზედამხედველობა ევალებოდა. ამ ხერხით შ. ფიჩხაძემ შექმნა კომერციული ბანკების ვეებერთელა ქსელი (დაახლ. 25 ბანკი).

ინფლაციური პროცესები მათ დიდ მოგებას აძლევდათ. მაგ:, 1992 წლის დეკემბერში სესხად გაცემული ერთი მილიარდი მანეთი ყიდულობდა 2 მილიონ დოლარს, ხოლო ამავე ბანკისათვის დასაბრუნებელ ერთ მილიარდს 1993 წლის დეკემბერში შეიძენდა 800 ათას დოლარად და დააბრუნებდა. ამ გზით შ. ფიჩხაძისა და მისი ამფსონების შემოსავალი შესაბამისად ასეულობით ათას დოლარს შეადგენდა. შ. ფიჩხაძის მიერ გახსნილ ბანკებს ფილიალები ჰქონდათ საზღვარგარეთ და სწორედ მათ ანგარიშებზე „ჯდებოდა" საქართველოდან გაზიდულ-გაყიდული სახალხო ქონებით მიღებული მილიონობით დოლარები.

შ. ფიჩხაძე 1994 წლის 5 მარტს დააპატიმრეს და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების იზოლატორში მოათავსეს. ძიების სათავეები ხელთ ჰქონდა ამ სამსახურის უფროსს ი. გიორგაძეს. იგი პარლამენტის წინაშე იფიცებოდა, რომ მიუხედავად ზეწოლისა უაღრესად მკაცრი იქნებოდა. მაგრამ 1994 წლის 10 აგვისტოს საშიშ ბოროტმოქმედს შ. ფიჩხაძეს პატიმრობა პირად თავდებობით შეუცვა-

ლეს, ხოლო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის (ვინაც ეს მაქინაციები გახსნა) დამუშავება დაიწყეს, მისთვის ყველაფრის გადაბრალების მიზნით . ეს კაცი, რომელიც შ. ფიჩხაძისა და ა. ცუცქირიძის ბრალდების ერთადერთი მოწმე იყო, იძულებული გახდა, 1994 წლის 9 სექტემბერს თავი მოეკლა (თუ მოკლეს). ხოლო ი. გიორგაძის ხელშეწყობით თავდებობით გამოშვებული შ. ფიჩხაძე საზღვარგარეთ წავიდა და მოუხელთებელი გახდა.

დადგენილია („სრ" 1995:127, გ. ლომაძის წერილი), მ. ფიჩხაძე და ი. გიორგაძე ჯერ კიდევ 1991 წლიდან იყვნენ ერთმანეთთან დანაშაულებრივ კავშირში. ამ წლის მიწურულს, ვითომც იშვიათი წიაღლითონების შესაძენად, აგრობანკიდან, რომლის საკრედიტო სამმართველოს უფროსი შ. ფიჩხაძე იყო, გამოიტანეს კრედიტი 173 მილიონი მანეთი. იგი მიეცა თავდაცვის სამინისტროს კოოპერატივ „ინტერგეზს", რომელსაც მაშინდელმა მინისტრთა კაბინეტმა დაავალა წიაღლითონების საზღვარგარეთ გატანა. ამ კოოპერატივს ხელმძღვანელობდა ი. გიორგაძე, რომელიც მაშინ, იმავდროულად, გვარდიის სამმართველოს კონტრდაზვერვის მეთაურიც იყო. საინტერესოა, რომ 1991 წელს აღებული 173 მილიონი მანეთი (უდრიდა 28 მილიონ დოლარს) „ინტერგეზმა" 1994 წელს 173 მილიონი კუპონის, ანუ 34 დოლარის, სახით დააბრუნა.

შ. ფიჩხაძესთან ტანდემში მყოფმა ი. გიორგაძემ თავისი დანაშაულობების კვალიც დაფარა, როცა პარტნიორის საზღვარგარეთ წასვლას შეუწყო ხელი. დამოწმებულ წერილში ისიც არის აღნიშნული, რომ ი. გიორგაძეს, უშიშროების სამსახურში მისი მუშაობის დროსაც, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია კომერციულ-საფინანსო საქმიანობა. იშვიათი პრეცედენტია, როცა სპეცსამსახურის პირველი პირი ასე აქტიურად და ღიად აწარმოებდა ფართომასშტაბიან დანაშაულებრივ ბიზნესს. სავარაუდოა, მას დიდი თანხები აქვს საერთაშორისო ბანკებში. მისი მოუხელთებლობა და ნებიერი ცხოვრებაც ამ კაპიტალს ეფუძნება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. იოსელიანის მონაწილეობა 29 აგვისტოსა და სხვა ტერორისტულ აქტებში გამოკვეთილად მოჩანდა, მას მაინც არ აპატიმრებდნენ. ჯაბაც ამით სარგებლობდა, იხტიბარს არ იტეხდა და ერთ დროს პრეზიდენტობის კანდიდატობისათვისაც კი უნდოდა გამოეკრა ხელი. მაგრამ ამ ორჭოფობაში გარკვეულობა შეიტანა შს სამინისტრომ. საზღვარგარეთ გაქცევის მიზეზით, რაც

შეუძლებელს გახდიდა გამოძიების გაგრძელებას, 15 ნოემბერს ჯ. იოსელიანი დააპატიმრეს.[1]

იმავე დღეს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება უკანონოდ დაპატიმრებული დეპუტატობის კანდიდატის ჯ. იოსელიანის დაუყონებლივ განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ეს პროტესტი არ იქნება შეწყნარებული, რადგან ჯ. იოსელიანის დაპატიმრება გაფორმდა, როგორც დანაშაულზე წასწრებულისა. ასეთ შემთხვევაში კი იმუნიტეტი აღარ მოქმედებს.

დანაშაული კი სხვა ფაქტებთან ერთად იმაში მდგომარეობდა, რომ პარლამენტის სარდაფში, მისი განკარგულებით, ინახებოდა ცეცხლსასროლი იარაღი. ჩხრეკის დროს აღმოჩნდა: 32 ცალი ავტომატი, ერთი ხელის ტყვიამფრქვევი, 82 ნაღმმტყორცნის ჭურვი, 1 ცალი ნაღმმტყორცნი, 2 ცალი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, 4 ყუმბარმტყორცნი ყუმბარითურთ, 24 ყუთი ავტომატური იარაღის ვაზნა და სხვ. აღჭურვილობა.

მართალია, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები პარლამენტმა 5 ნოემბრისათვის ჯერ კიდევ 6 ივლისს დანიშნა, მაგრამ შესაბამისი კანონები არც ერთი მათგანისათვის არ არსებობდა. პარლამენტმა ეს კანონები მიიღო 1 სექტემბრის სხდომაზე. მაშინვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცეს აკადემიკოსი ივანე კიღურაძე. პარლამენტის წევრობის უფლებამოსილებანი 4 წლით გაუგრძელდათ აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს („სრ“ 1995:114).

8 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებისათვის 85 საარჩევნო ოლქი შექმნა. წინასაარჩევნო კამპანიის დროს საბიფათო ინციდენტი შეემთხვა მოქალაქეთა კავშირს. კამპანიის მოგების მიზნით, ამ ორგანიზაციამ ბლოკი შეკრა ა. აბაშიძის მეთაურობით მოქმედ აღორძინების კავშირთან. თანაც დაიწყეს ჰუმანიტარული დახმარების გაცემა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის. ამან სხვა პარტიების მწვავე რეაქცია გამოიწვია. 21-22 სექტემბერს ქ. თბილისში ამ ნიადაგზე რამდენიმე ინციდენტი მოხდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 22-მა წევრმა ხმა მისცა

---

[1] ჯ. იოსელიანისა და სხვა „მხედრიონელი“ ბრალდებულების ე.წ. „საუკუნის პროცესი“ დამთავრდა 1998 წლის 9 ნოემბერს. ისინი წაყენებულ ბრალდებებში სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა: თ. ხაჩიშვილს პატიმრობა 25 წლით, გ. თედიაშვილს ამდენივე, გიგა გელაშვილს – 14, გოჩა გელაშვილს – 14, ნ. გელეგანიშვილს – 12, თ. ქურდიანს – 12, ჯაბა იოსელიანს – 11, გ. პაპუაშვილს – 10, ნ.კვეზერელს – 7 წელი პატიმრობა. მ. ობშნელს ჩაუთვალეს საკმარისად პატიმრობაში ყოფნის 3 წელი და 2 თვე და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს („სრ“ 1998:293).

საარჩევნო კამპანიიდან მოქალაქეთა კავშირის მოხსნას. ამ კომისიის თაემჯდომარემ ი. კილურაძემ გადადგომა ითხოვა (იქვე:128).

მოქალაქეთა კავშირის ლიდერები აცხადებდნენ, რომ ეს მოწყობილი პროვოკაცია იყო, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, მათ შეცდომა დაუშვეს.

11 ოქტომბრისათვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გაატარა 53 პარტია და ბლოკი (იქვე:139).

1995 წლის არჩევნების დროს ა. აბაშიძე თავისი პარტიის სახელით იფიცებოდა: „არც ერთი ჩვენი საქმიანი ნაბიჯი თუ წამოწყება, რა მასშტაბითაც არ უნდა იყოს ის, რეგიონალური ჩარჩოებით არ იფარგლება. იგი როგორც წესი, მთლიანად საქართველოზეა გათვლილი“-ო. ეს აღთქმა მათ მაშინვე დაივიწყეს, როგორც კი სეპარატისტულ „თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე“ უარი უთხრეს და ა. აბაშიძის კლანური ამბიციების მხილება დაიწყეს. 1998 წლის ივლისში ა. აბაშიძემ მდ. ჩოლოქის სამხრეთით ქართული სასაზღვრო დაცვის ხომალდები არ შეუშვა. მათ პირატები უწოდა და ამ მხრივ ვ. არძინბასაც კი გადააჭარბა. მათებურად ესაა „მთლიანად საქართველოზე გათვლილი“ ნაბიჯი!

28 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაამტკიცა: როინ ლიპარტელიანი (საქართველოს აგრარული პარტია), აკაკი ბაქრაძე (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება), ჯუმბერ პატიაშვილი[1] (საინიციატივო ჯგუფი), პანტელეიმონ გიორგაძე (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია), ედუარდ შევარდნაძე (მოქალაქეთა კავშირი, საქართველოს სოციალისტური პარტია) და ქართლოს ღარიბაშვილი (საინიციატივო ჯგუფი). საარჩევნო კამპანიის ბოლო ეტაპზე პ. გიორგაძემ კენჭისყრაზე უარი განაცხადა ჯ. პატიაშვილის სასარგებლოდ.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ე. შევარდნაძემ თავისი წინასაარჩევნო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე 2 ნოემბერს. ამ ვრცელ გამოსელაში შეჯამებულია განვლილი 3 წლის შედეგებიც და წარმოდგენილი იყო ქვეყნის განვითარების ვრცელი პროგრამაც. ცხადია, ამ პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებული რჩება, მაგრამ სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან დანგრეულ ქვეყანაში გაკეთებული გაანგარიშებანი თავიდანვე მოკლებული იყო რეალობას.

[1] პროგრამა „ალტერნატივა“ ჯ. პატიაშვილი 1995 წლის 4 ნოემბერს ტერორისტად გამოაცხადა. თქვა ისიც, რომ მას კავშირი ჰქონდა რუსეთის სპეცსამსახურებთან. ამათ გამო იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიაც კი მისცეს („ა-ს“ 1998:1).

საარჩევნო სიებში შეტანილი იყო 3180000 კაცი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2134308 ამომრჩეველმა. ე. შევარდნაძეს ხმა მისცა 1589909-მ (74,32%), ჯ. პატიაშვილს—406929-მ (19,1%), აკაკი ბაქრაძეს—30609-მ (1,4%). დანარჩენმა კანდიდანტებმა ხმების 1 პროცენტიც კი ვერ შეაგროვეს.

პარლამენტის არჩევნებში პარტიული სიებით 5 პროცენტიანი ბარიერი გადალახეს: საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა 494990 ხმა (23,35%), ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ 168360 ხმა (7,94%), სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა 149018 ხმა (7,3%).

მაჟორიტარული სისტემით 75 ოლქში ჩატარებული არჩევნებიდან მეორე ტური აუცილებელი გახდა 41-ში. 33-ში კი ჩატარებული არჩევნები კანონიერად ჩაითვალა (იქვე:166).

1995 წლის არჩევნები გაცილებით უფრო უმჯობეს პირობებში ჩატარდა, ვიდრე 1992 წლის 11 ოქტომრისა. სამი წლის მანძილზე შეუქცევადი გახდა არსებული სოციალ-ეკონომიკური წყობიდან ახლზე გადასვლის პროგრესული პროცესი. წინა არჩევნების დროს ქვეყანაში არ არსებობდა ლეგიტიმური ხელისუფლება. სახელმწიფო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების ტალღაზე შექმნილ ორგანოს წარმოადგენდა. მისი არსებობა სახელმწიფოს არსებობას არ ნიშნავდა. ქვეყანას არ გააჩნდა კონსტიტუცია. არსებობდა სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. არჩევნები კი ჩატარდა არცთუ სრულყოფილი საარჩევნო კანონის მიხედვით.

1995 წელს ეკონომიკაში სასურველი მდგომარეობა არ იყო, მაგრამ გარკვეულად იგრძნობოდა დაწყებული რეფორმებით გამოწვეული დადებითი ძვრები. კერძო საკუთრების სექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი ხდებოდა. ყალიბდებოდა მეწარმეთა ფენა. განხორციელდა ფულად—საკრედიტო სისტემის რეფორმა. იაფფასიან ქაღალდად ქცეული კუპონი შეცვალეს ეროვნული ვალუტით—ლარით.

რაც მთავარია, ჩამოყალიბდა სახელმწიფო ატრიბუტიკისათვის საჭირო ორგანოები—არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური და პროკურატურის ორგანოები. მათი საშუალებით დაიწყო შეტევა კრიმინალურ სამყაროსა და სახელმწიფო სტრუქტურებზე მიტმასნილ მაფიოზურ ჯგუფებზე. შეუქცევადი გახდა „თოფიანი კაცის“ სინდრომის დაძლევის პროცესი.

1995 წლის არჩევნების დროს სახელმწიფოს გააჩნდა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის მიღწევების გათვალისწინებით შექმნილი კონსტიტუცია.

1995 წლის არჩევნებს თან ახლდა საერთაშორისო ასპექტებიც. იგი ჩატარდა სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეთვალყურეობით. ეს იყო ახალი კონსტიტუციის, საარჩევნო კანონისა და ნორჩი ქართული დემოკრატიის გამოცდა.

5 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად პროპორციული სიებით აირჩიეს მოქალაქეთა კავშირიდან 91 დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან–31 დეპუტატი, საქართველოს აღორძინების კავშირიდან–21 დეპუტატი (იქვე:171).

ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა შედგა 25 ნოემბერს. იგი გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. კიღურაძემ. სხდომამ სცნო 211 დეპუტატის უფლებამოსილება. პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს მოქალაქეთა კავშირის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი ზ. ჟვანია (იქვე:175).

26 ნოემბერს მოეწყო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია. პრეზიდენტი დილით ეწვია მთაწმინდას. გვირგვინით შეამკო ი. ჭავჭავაძის საფლავი, პატივი მიაგო პანთეონში დავანებულ დიდ წინაპართა ხსოვნას.

შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ, ე. შევარდნაძემ ფიცი დასდო, სიტყვით მიმართა შეკრებილთ. ცერემონიალმა თბილისიდან მცხეთაში გადაინაცვლა. ბიბლიაზე ერთხელ კიდევ დაფიცების შემდეგ ე. შევარდნაძემ კვლავ წარმოთქვა სიტყვა (იქვე).

1 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს პარლამენტის კომიტეტების შესახებ". სულ დაწესდა 14 კომიტეტი. წინა დღეს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებად აირჩიეს: ელ. შენგელაია, ედ. სურმანიძე, გ. კობახიძე და ვ. ყოლბაია.

5 დეკემბერს კომიტეტების თავმჯდომარეებად დაამტკიცეს: საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ზ. სიორიძე; ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის—დ. ონოფრიშვილი; დარგობრივი ეკონომიკის—ზ. ცქიტიშვილი; იურიდიულ საკითხთა და კანონიერების—მ. საკაშვილი; საგარეო ურთიერთობათა—კ. ჩიტაია; აგრარულ საკითხთა—რ. ლორთქიფანიძე; ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა—დ. აბაშიძე; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის—რ. მიმინოშვილი; ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების—კ. კოკოევი; თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის—თ. ბოლქვაძე; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების—გ. გიგინეიშვილი; მიგრაციის, ემიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების—გ. შარაძე; საპროცედურო საკითხთა—რ. დოლიძე.

15 დეკემბერს დაიწყო და რამდენიმე დღე გრძელდებოდა მთავრობის დაკომპლექტება. პარლამენტმა თანხმობა მისცა პრეზიდენტს მინისტრებად დაენიშნა: საგარეო საქმეთა—ი. მენაღარიშვილი; ეკონომიკის—ვ. პაპავა; ფინანსთა—დ. იაკობიძე; თავდაცვისა—ვ. ნადიბაიძე; სახელმწიფო უშიშროებისა—შ. კვირაია; შინაგან საქმეთა—კ. თარგამაძე; სახელმწიფო ქონების მართვის—ა. სილაგაძე; სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების—თ. გაზდელიანი; ლტოლვილთა და განსახლების—ვ. ვაშაკიძე; იუსტიციის—თ. ნინიძე; კულტურის—ვ. ასათიანი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების—ნ. ჩხობაძე; სოფლის მეურნეობისა და სურსათის—ბ. გულუა; განათლების—თ. კვაჭანტირაძე; ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის—კ. ზალდასტანიშვილი; ჯანმრთელობის დაცვის—ა. ჯორბენაძე; კავშირგაბმულობისა და ფოსტის—ფ. ინჯია; ურბანიზაციისა და მშენებლობის—მ. ჩხენკელი.

ახალი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით ოფიციოზი აცხადებდა: „აღმასრულებელი ხელისუფლების ქართული მოდელის უპირატესობა მისი სიმარტივე და რაციონალურობაა“—ო („სრ“ 1995:192). ცხოვრებამ აჩვენა, რომ ამ უპირატესობამ „არ იმუშავა“.

1995 წლის სხვა მოვლენებიდან და ფაქტებიდან აღვნიშნავდით:

სახელმწიფოს მეთაურის 27 იანვრის განკარგულებით და მისი თავმჯდომარეობით მუშაობა განაახლა ქართული ენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ. იგი 5-6 წელია აღარ შეკრებილიყო.

17 მაისს გაიხსნა ქართველ მწერალთა ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და ე. შევარდნაძე. ყრილობამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩია გ. ფანჯიკიძე, მდივნებად—რ. ჭეიშვილი და დ. მჭედლური.

ივნისის დასაწყისისათვის დამთავრდა 1991–1992 წწ. მოვლენების დროს დანგრეული თბილისის პირველი საშუალო სკოლის აღდგენის სამუშაოები, რომელიც ძირითადად მოსკოვის მერიის დახმარებით ჩატარდა.

გრძელდებოდა მზადება იუნესკოს ეგიდით ჩასატარებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 1000 წლის იუბილესათვის . 17 მარტს სახელმწიფოს მეთაურთან გაიმართა სახელმწიფო კომისიის სხდომა. საიუბილეო დღესასწაული ქუთაისში დაიწყო ღვთისმშობლობის დღეს—21 სექტემბერს. იგი გაგრძელდა ჯვართამაღლებამდე (27 სექტემბერი). ამ დღეების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი გახდა ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი დავით აღმაშენებლის ძეგლის

(არქიტექტორი ვ. დავითაია) აღმართვა. ეს იყო წმინდანად შერაცხული მეფის პირველი ძეგლი მის ქვეყანაში. თანაც, იგი დაიდგა ქალაქში, სადაც მან მოღვაწეობა დაიწყო. საზეიმო სხდომაზე, რომელიც ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა სიტყვები წარმოთქვეს იუნესკოს გენერალური დირექტორის პირადმა წარმომადგენელმა ჯან კარლო რიჩიმ, ე. შევარდნაძემ, ამ საზეიმო დღეების ჩატარების ინიციატორმა და ორგანიზატორმა, ქუთაისის მერმა თ. შაშიაშვილმა და სხვებმა („სრ“ 1995:125).

დამოუკიდებლობის დღის წინა ხანებში საქართველოს პარლამენტმა გამოაცხადა ამნისტია. იგი შეეხო იმ პირებს, რომელთაც ჩადენილი არ ჰქონდათ საშიში დანაშაული. განსაკუთრებით კი—არასრულწლოვანებს, მოხუცებსა და ქალებს (იქვე:62).

1995 წლის 7 ივლისს გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო ბრძანებულება „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სრულყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.“ ამ დოკუმენტით გამოცხადდა ფასიანი სამედიცინო მომსახურების დამკვიდრება. ფასს სამედიცინო დაწესებულებები თვითონ აწესებდნენ (იქვე:77). კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მოსახლეობის სოციალურად დაუცავი ფენებისათვის სამედიცინო მომსახურება ხელმიუწვდომელი გახდა.

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით აღდგა თბილისობის დღესასწაულების ჩატარების ტრადიცია. პირველი თბილისობა 1979 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა. 1989 წლიდან მისი აღნიშვნა შეწყდა. ამჯერად სიახლე ის იყო, რომ ზეიმი დაიწყო კულტურული ღონისძიებებით 21 ოქტომბერს. ხოლო იმავე თვის 27 რიცხვში ძირითადი ღონისძიებები გაიმართა რიყეზე. ამ თბილისობის ერთ–ერთი მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგინა თბილისში, მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის მიერ შესრულებული იოანე პეტრიწის ძეგლის აღმართვა (იქვე:197).

ანტიკორუფციული ბრძოლა გრძელდებოდა 1995 წელსაც. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მეთაურმა ამ წლის გაზაფხულზე გამოაცხადა, რომ დაიწყო ორგანიზებულ დანაშაულებასთან ბრძოლის II ეტაპი, კორუფციის აღმოფხვრის საფეხური (იქვე:146). ამ მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო საგანგებო კომისია, რომელიც თითქოს წარმატებით მოღვაწეობდა, მაგრამ, როგორც ახალა ირკვევა, ასეთი ღონისძიებების შემდეგ კორუფცია ქვეყანაში კიდევ უფრო აყვავდა. პრეზიდენტი კატეგორიულად სვამს ანტიკორუფციული საპარლამენტო ორგანოს შექმნის საკითხს. ამ ტალღაზე 1998 წლის ივლისის დამლევს მთელი

მთავრობა გადადგა, რაც, ფაქტობრივად ქვეყანაში კორუფციის სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების დონეზე აყვავების აღიარებას ნიშნავდა. ღმერთმა ჰქნას ამას ახალმა ანტიკორუფციულმა უწყებამ უშველოს!

დეკემბრის დასაწყისისათვის დამთავრდა ვახტანგ (ლოთი) ქობალიას სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მასთან ერთად ბრალდებულნი იყვნენ და კიდეც დააპატიმრეს: ჯ. ბოკუჩავა, ს. ჟღენტი, ზ. ძიძიგური, ნ. მოლოდინაშვილი; ეძებდნენ—ბ. გუგუშვილს, ტ. გელანტიას, გ. აბსანძეს[1], ნ. ბურჭულაძეს, თ. ვაშაკიძეს, რ. ლაკიას და სხვ. სულ 40-ზე მეტ კაცს. მათ ბრალი ედებოდათ ზ. გამსახურდიასა და მის ოპოზიციას შორის შეიარაღებული შეტაკების პროვოცირებაში[2], სახელმწიფოსათვის მილიონობით დოლარი ზარალის მიყენებაში, საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ნგრევაში. ისინი იტაცებდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონებას, ტვირთს, სტრატეგიულ ნედლეულსა და შეიარაღებას. მწყობრიდან გამოჰყავდათ მაღალი ძაბვის ანძები, სარკინიგზო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები, აფეთქებდნენ სარკინიგზო და საავტომობლო გზებს, ხიდებს. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის მიზნით იტაცებდნენ მაღალი რანგის, თანამდებობისა და სხვა პირებს, ხელყოფდნენ ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა (იქვე:181).

გამოძიებამ დაადგინა ი. გიორგაძესა და ლ. ქობალიას შორის არსებული დანაშაულებრივი კავშირი, რომლის მიზანი იყო ქართველთა დამარცხება აფხაზეთის ომში.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ა. ბალუაშვილი ამის გამო ამბობდა: „ქობალია (და არა მარტო იგი) კონკრეტულად ასახელებდა დეპუტატყოფილებიდან, თუ ვინ ჩადიოდა მასთან ზუგდიდში და აქეზებდა, არ შეეწყვიტა შეიარაღებული კონფრონტაცია ხელისუფლებასთან. აფხაზეთის ფრონტზე მთავრობის ჯარების დამარცხებას ავტომატურად მოჰყვებოდა სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის გადადგომა და მათი მოსვლა ხელისუფლებაში (იქვე).

ვ. ქობალიამ თავად აღიარა ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშა-

---

[1] გ. აბსანძე დააპატიმრეს 1998 წლის 9 და 19 თებერვლის ტერაქტების დაფინანსებისათვის. საქართველოს გენერალური პროკურორის ჯ. ბაბალაშვილის თქმით, ზ. გამსახურდიას დროინდელმა ფინანსთა მინისტრმა გ. აბსანძემ საქართველოდან 180 მილიონი დოლარის ქონება გაიტაცა. მას მთერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი კი 980 მილიონ დოლარს შეადგენს („რეზონანსი" 1998:74).

[2] ამის შესახებ გადმოცემული გვაქვს 1991-1992 წლების „თბილისის ომზე" თხრობაში.

ული. მან აჩვენა: „როცა მე აფხაზეთში ჩავედი, ოჩამჩირეში 1993 წ. აპრილში შევხვდი ტყვარჩელის ფრონტის უფროსს ქიშმარიას, სოფ. აქუბარდიაში... ქიშმარიამ მითხრა, რომ დიდი დახმარება გაგვიწიეთო, ომის დაწყების შემდგომ თქვენებს, რომ არ აეფეთქებინათ რკინიგზის და საავტომობილო ხიდები, ჩვენი საქმე ცუდად იყო და საქართველოს სამთავრობო ჯარები დაგვამარცხებდნენო და ჩვენი ბრძოლა დამთავრებული იქნებოდაო“ (იქვე:187).

არანაკლები დანაშაული იყო სამხედრო ტექნიკისათვის გზების გადაკეტვა. მაგ., მარტო 1993 წლის 21 აგვისტოს ზ. გამსახურდიას მიერ რაციით მიღებული ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთში მებრძოლი ძალების მისაშველებლად არ გაუშვეს 29 ერთეული ჯავშანტექნიკა და მათი მხლებელი 300 შეიარაღებული მებრძოლი. ლ. ქობალიას და მის ბანდას ბრალი მიუძღვის ქვეყნის სამხედრო ტექნიკის გარეშე დატოვებაში. საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ მათ თხოვა აფხაზეთიდან ფოთში გადმოტანილი ტექნიკა გაეტარებინათ, მისი ქუთაისში კონცენტრაციის მიზნით. მაგრამ ქობალიამ ამისათვის ტექნიკის ნაწილის მისთვის დატოვება მოითხოვა (იქვე), ე.ი. სახელმწიფოს იგი უნდა შეეიარაღებინა თავის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზ. გამსახურდიას ზუგდიდურ „მთავრობას“ დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა გუდაუთის სეპარატისტულ ხროვასთან. ლ. ქობალიას ჩვენებით, მას გ. აბსანძე ახორციელებდა. მან მიაღწია, რომ სეპარატისტები შეიარაღებული ძალით დაეხმარებოდნენ ექსპრეზიდენტის მომხრეებს. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ სეპარატისტებმა სიტყვა შეასრულეს. 1993 წლის 26 ოქტომბერს აფხაზეთში ოჯახებით თავშეფარებულ ზ. გამსახურდიას, გ. აბსანძესა და ლ. ქობალიას შეუერთდა ტყვარჩელის ფრონტის სარდალი გ. ქიშმარია. მას ახლდა შეიარაღებული „ბოევიკები“ და მძიმე ტექნიკა. „მოწვეულებს“ ზუგდიდში გამოუძღვნენ გ. აბსანძე და ლ. ქობალია. 27 ოტომბერს ქიშმარიას „ბოევიკებმა“ ხობი და სენაკი დაარბიეს. მათი თარეში 4 ნოემბრამდე გრძელდებოდა. „მომწვევებმა“, გარდა აფხაზებისა, ზუგდიდში ჩამოიყვანეს ჩეჩენი, ოსი, ყაბარდოელი, მოლდოველი და რუსი „ბოევიკები“. თითოეულ „ბოევიკს“ დღეში 100 დოლარს უხდიდნენ (იქვე:189).

აქვე უნდა ვთქვათ, რომ, გარდა უამრავი სხვა დანაშაულისა, ლ. ქობალიას ბრალად ედებოდა რამდენიმე კაცის, მათ შორის ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის საკუთარი ხელით დახვრეტა. 1996 წლის 19 ნოემბერს სასამართლომ ლ. ქობალიას და მასთან მოქმედ ჯგუფს დაუმტკიცა მძიმე დანაშაულებანი. სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა

მიესაჯა ლ. ქობალიას. ხოლო ჯ. ბოკუჩავას—15, ზ. ძიძიგურს—13, ნ. მოლოდინაშვილს—7 წელი პატიმრობა მიესაჯათ. (გაზ. „7 დღე" 1996:47).

მაგრამ სიკვდილმისჯილის მიმართ სასჯელი სისრულეში არ მოუყვანიათ, რადგან მასზე ჯერ პრეზიდენტმა გამოაცხადა მორატორიუმი, ხოლო შემდეგ პარლამენტმა სასჯელის ეს ზომა, საერთოდ, ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან და იგი სამუდამო პატიმრობით შეცვალა.

13 ივლისს, თბილისში, მუშაობა დაიწყო საერთაშორისო ფორუმმა „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად". მისი იდეა ეკუთვნოდა და მოწვევისათვის დიდი მუშაობა ჩაატარა ს. ხაბეიშვილმა, მაგრამ თვითონ ვერ მოესწრო სხდომების გამართვას. თბილისში ფორუმზე დასასწრებად ჩამოვიდა 150-ზე მეტი გამოჩენილი პიროვნება 50 ქვეყნიდან. სიტყვები წარმოთქვეს იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ფ. მაიორმა, ე. შევარდნაძემ, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შუმეიკომ (იქვე:83).

ფორუმის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა პარლამენტების, მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი. მოუწოდებდნენ მათ შეუწყნარებლობის, შეურიგებლობის და სისასტიკის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

სახელმწიფოს მეთაურმა 10 სექტემბერს დაამტკიცა დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ". მან შეცვალა კონსტიტუციაში გამოტოვებული თავი ტერიტორიული მოწყობისა და თვითმმართველობის ორგანოების თაობაზე, დროებითი დებულება თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე განსაზღვრავდა და არეგულირებდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და რაიონის სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, განსაზღვრავდა მათი შექმნის წესს და კომპეტენციას. დროებითი დებულება ძალაში იყო სამ წელზე მეტხანს 1998 წლის 15 ნოემბრამდე.

ბოლოთქმა

უნდა გამოვტყდე: ამ წიგნისათვის დასკვნების დაწერა უფრო გამიჭირდა, ვიდრე მისი რომელიმე თავისა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა—ჯერ ერთი, დასკვნა მაინც შეფასებაა, განზოგადებაა და სულ ახლახან განვითარებული პროცესების შეფასება, მით უფრო, თუ იგი ჯერ არ დამთავრებულა, მეცნიერულად გამართლებული არ არის. მეორე და მთავარიც, ამ წიგნში ისეთი მღელვარე წლების ქრონიკებია გადმოცემული, როდესაც სულ ახალ-ახალი პროცესები ვითარდებოდა. ისინი ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულნი იყვნენ, რომ მათთვის ერთი მნიშვნელის მონახვა შეუძლებელია. დასკვნები კი, ჩემი გაგებით, საყურადღებო მაშინაა, როცა ისინი ერთმანეთს მიზეზშედეგობრივად უკავშირდებიან.

ამის გათვალისწინებით, წიგნს დავურთე „ბოლოთქმა", რომელიც დასკვნების მაგივრად თუ არა, განსჯისათვის ინფორმაციად მაინც გამოდგება.

1. ბოროტისა და კეთილის ბრძოლა ადამის გაჩენიდან მოდის. მანამდე ეშმაკი არ არსებობდა, რადგან არც ის იყო. ვისაც იგი შეაცდენდა. ორივე დაპირისპირებულ მხარეს თავისი საქმე ჰგონია სამართლიანი, ამიტომ მსხვერპლსაც არ ერიდება. ასეა პოლიტიკაშიც. ოპოზიცია უფრო ხმამაღლა გაჰყვირის კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ, ვიდრე ხელისუფლება. დაპირისპირებულთან ბრძოლაში მთავარი სისწორე–სიმრუდე კი არ არის, არამედ ქვეყნისა და ხალხისთვის გამოსადეგობაა. ზოგჯერ ოპოზიციურ პარტიებს შეგნებული არა აქვთ, რომ ისინი, როცა ხელისუფლებასთან ბრძოლაში მისი შეცდომების გამოსაელინებლად ყველაფერს ამბობენ, ამით ქვეყნის გარეთ არსებულ მტრულ ძალებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუფასებელ დახმარებას უწევენ. მათ წყინთ, როცა აგენტებს უწოდებენ, რადგან აგენტობა ისე ესმით, თითქოს ამისთვის კაბინეტებში დადებული თანამშრომლობის ხელწერილი და თანხის მიღება იყოს საჭირო. როგორც ჯ. ამირეჯიბი ამბობს—„ჩვენ სინამდვილეში არც ამგვარი აგენტურის ნაკლებობაა, მაგრამ საფიქრებელია, დღევანდელ საქართველოში აგენტის წოდებას იმსახურებს ყველა, ვინც ხელწერილით თუ უხელწერილოდ, შეგნებულად თუ უნებლიეთ თავისი აქტიური წინააღმდეგობით თუ ზოგჯერ გაუმართლებელი პასიურობითაც კი, მტრის წისქვილზე ასხამს წყალს".

ასე იქცეოდა საპარლამენტო ოპოზიცია აფხაზეთში ომის დაწყებისა და მისი მიმდინარეობის პერიოდში. იგი ე. შევარდნაძისა და მისი გუნდისათვის წაყენებული ბრალდებებით (რომელთა ტრანსლა-

ცია ტელევიზიითა და რადიოთი ხდებოდა), ფაქტობრივად, აჩვენებდა ვ. არძინბას იმ სუსტ მხარეებს, რაც საქართველოს გააჩნდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და არმიის ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დაკომპლექტების საქმეში. ხოლო პრესა ზუსტად აცხადებდა, თუ როდის რა რაოდენობის ჯარი და როგორი შეიარაღება გაემართა აფხაზეთში საბრძოლველად.

2. საბჭოთა ხელისუფლების 70 წლიანი მორჩილებისაგან თავდახსნისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ ქართველი ხალხის სწრაფვამ მოუმწიფებელი ეროვნული მოძრაობა წარმოშვა. სწორედ, რომ მოუმწიფებელი და არა სტიქიური. თუმცა მას არც ამ უკანასკნელის ნიშნები აკლდა. ეროვნული მოძრაობის ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ მას, გარდა ძლიერ მიმზიდველი ლოზუნგებისა, მყარი მეთოდოლოგიური ბაზა არ გააჩნდა და არც იდეალურად აღიარებული ბელადი ჰყავდა. ზ. გამსახურდია, რომლის შარავანდედი მხოლოდ ქართული პროზის დიდოსტატის ოჯახიდან წარმოშობას ეყრდნობოდა, პოლიტიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მოუმწიფებელი აღმოჩნდა მოძრაობის ლიდერის როლისათვის. ამასთან მან გვარიანად გაიტეხა სახელი თავისი ცნობილი „მონანიებით". ეროვნული მოძრაობის ლიდერობის სხვა მოტრფიალენი უფერული მოღვაწენი და ხალხისთვის უცნობი პიროვნებები იყვნენ. მათ შორის ყველაზე პოპულარული მ. კოსტავა მხოლოდ დისიდენტობისადმი ზ. გამსახურდიას ღალატმა აღამაღლა. თავისთავად არც გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩეოდა და არც ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნდა. მისი ბრძოლის მეთოდები შიმშილობის გამოცხადებასა და მიტინგურ სტიქიას არ სცილდებოდა. ამ მიტინგებზედაც იგი საკმაოდ გრძელ და დაბნეულ სიტყვებს ამბობდა.

ასეთ პირობებში ეროვნული მოძრაობა სამიტინგო დემოკრატიაში გადაიზარდა. მის გასრესას არსებული რეჟიმი ადვილად შეძლებდა, რომ იმხანად წამოყენებულ „პერესტროიკას" კომუნისტური პარტიის ყოვლისშემძლე დიქტატურა მიწის პირისაგან არ აღეგავა.

ეროვნული მოძრაობის მიზანი საბოლოო ჯამში ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის გზების ძიებაა. ამგვარი კონცეფციის შემუშავება გამსახურდიამ და მისმა გუნდმა ვერ მოახერხა. იგი მხოლოდ შიშველ ემოციებს და მიტინგებს დაეყრდნო. შეცდომები იქნა დაშვებული ეროვნულ საკითხშიც. აქ „მრგვალ მაგიდას" მემარჯვენე კონსერვატორული კურსი ჰქონდა აღებული, რადგან ქართული ეროვნული სახელმწიფოს ფორმა და შინაარსი გაურკვეველი დარჩა. იგი უცხო გახდა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის. ზ. გამსახურდია ქადაგებდა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ

დამდგარიყვნენ ქართველი ერის გვერდით, მაგრამ ისეთ პირობებში, როცა თვით ეს ერი დაცალკევებული იყო და მმართველ პარტიას რაიმე კონცეფცია არ გააჩნდა, როგორღა უნდა მოქცეულიყვნენ არაქართველები?

ამგვარი ვითარებით ისარგებლა „მესამე ძალამ“ და ოსები და აფხაზები იოლად გადაგვკიდა.

3. მართალია, ორივე შემთხვევაში მოვლენები გარედან ჩარევის თვალსაზრისით თითქმის მსგავსი სცენარით ვითარდებოდა, მაგრამ პროცესი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. აფხაზეთში მოვლენების მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის არაერთსულოვნებამ. როცა მისი ერთი ნაწილი ომის დროს თავგამოდებით იბრძოდა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ, მეორე მხსნელად მოელოდა ზ. გამსახურდიას, შეგნებულად თუ უნებლიეთ ხელს უწყობდა მოწინააღმდეგის გამარჯვებას. ამან გადამწყვეტი გავლენა იქონია ომის ბედზე, იგი სამარცხვინოდ წავაგეთ.

ამიტომ სინამდვილეს შეესაბამება ნ. ლომოურის მიერ ჯერ კიდევ 1993 წელს წარმოდგენილი დაკვირვება: „აფხაზეთის ქარველობამ უნდა შეიგნოს, რომ ის, რაც აფხაზეთში ხდება, მნიშვნელოვან წილად მათი ბრალია, მათ წლების მანძილზე გულგრილად მიუშვეს აფხაზობის ერთი ნაწილი სათვითნებოდ; დაუთმეს მათ პოზიციები, შემდეგ ყველაზე საპასუხისმგებლო დროს ყოფილი პრეზიდენტის თავგამოდებული მომხრეობა დაიწყეს, დღევანდელ ხელისუფლებას დაუწყეს ბრძოლა“ (,,სრ“ 1993:79).

ასეთი მოქმედებით წაგებული აღმოჩნდა მთელი ქართველი ხალხი, მაგრამ ყველაზე უფრო თვით აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, რომელიც ლტოლვილად იქცა საკუთარ სამშობლოში და ცხოვრების აუტანელი პირობების გამო განადგურებამდეა მისული.

მეორე არანაკლებ დიდ შეცდომას ოჩამჩირისა და გალის რაიონების მოსახლეობის მიერ თავიანთი სახლ-კარის მიტოვება და მასობრივი გამოქცევა წარმოადგენდა. მართალია, ამას ხელი დიდად შეუწყო ხელისუფლების მიერ დაიმედებამ, რომ ისინი მალე და ღირსეულად დაბრუნდებოდნენ აფხაზეთში, მაგრამ მაინც საჭირო იყო მთელი მოსახლეობა არ გამოქცეულიყო მშობლიური კერიდან, წინააღმდეგობის ჯგუფები, პარტიზანული რაზმები შექმნილიყო და დაეწყოთ ბრძოლა სეპარატისტების წინააღმდეგ. ცხადია, ამას მსხვერპლი მოჰყვებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, სამშობლოს დაცვა მსხვერპლის გარეშე არ ხდება. თანაც, გონიერული მოქმედების შემთხვევაში იგი ისეთი ოდენობისა შეიძლება არც იქნებოდა, რაც მასობრივ გამოქ-

ცევასა და ხანგრძლივ ლტოლვილობას მოჰყვა. მეორე, პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოებისთვისაც კი ხშირად მარცხით მთავრდება, ხოლო არძინბას რეჟიმი ამისათვის მოუმზადებელი იყო. ამასთან, არ მოხდებოდა აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების სეპარატისტთა სასარგებლოდ შეცვლა[1] და ვ. არძინბას აღარ მიეცემოდა ისეთი პრეტენზიული მოთხოვნების წამოყენების საშუალება, როგორიც მას ახლა აქვს, აცხადებს რა თავს არა მარტო აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის წარმომადგენლად, არამედ მის მიერ კანონიერად არჩეულადაც.

ოპონენტებს შეუძლიათ გვითხრან, რომ ასეთი მსჯელობა მხოლოდ ვარაუდია და არა მეცნიერული არგუმენტაციით დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ არსებობს ვარაუდები, რომლებიც ფაქტების ლოგიკიდან გამომდინარეობენ.

4. ამ წიგნის წერის პერიოდში აფხაზ სეპარატისტებთან მოლაპარაკებაში მთავარი პრობლემაა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი. რაც შეეხება ლტოლვილთა დაბრუნებას, რომელზედაც უფრო ხშირადაა ხოლმე მსჯელობა სხვადასხვა დონის შეხვედრებზე, იგი აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ გადაწყდება და კიდეც რომ დაიწყოს დაბრუნების პროცესი, დაბრუნებულებს მშვიდობიანი ცხოვრების გარანტიები მაინც არ ექნებათ.[2] ამიტომ ვთვლი სტატუსის საკითხს მთავარ პრობლემად.

აფხაზი სეპარატისტები ხშირად გაიძახიან, რომ გაეროს დოკუმენტები აღიარებენ ხალხთა თანასწორუფლებიანობას და თვითგამორკვევის პრინციპს. ისინი ამ პრინციპს განგებ და შეგნებულად ამახინჯებენ. ვინიდან თვითგამორკვევა აღიარებულია არა ერის, არამედ ხალხის უფლებად და იგი ეკუთვნის თვითგამომრკვევის ტერიტორიის მთელ მოსახლეობას (ხალხს), არა მხოლოდ მკვიდრ ან თუნდაც მრავალრიცხოვან ეროვნებას. ე. ი. აფხაზეთის თვითგამორკვევა ნიშნავს მთელი მისი მოსახლეობის ნების განხორციელებას. მაშასადამე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, შეიძლება გადაწყდეს იქედან გამოდევნილი მოსახლეობის დაბრუნების შემდეგ. უთუოა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფას არ დაეთანხმება. ამიტომაცაა—აფხაზი სეპარატისტები ლტოლვილთა მშობლიურ ად-

[1] 1989 წლის აღწერით გალის რაიონში მხოლოდ 627 აფსუა ცხოვრობდა. ქართველთა რაოდენობა კი 74120-ულრიდა.

[2] 1998 წლის 20-26 მაისს გალის რაიონიდან ქართული მოსახლეობის ხელახლა გამოდევნის დროს სიცოცხლეს გამოასალმეს 770 მშვიდობიანი მცხოვრები. გაანადგურეს და გადაწვეს თითქმის მთელი რაიონი. 40 ათასამდე ქართული კერა გახდა ლტოლვილი (,,ლ" 1998:35).

გილებში დაბრუნებას, რომ არ ეთანხმებიან და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას იქ დემოგრაფიული ვითარების შეცვლამდე ესწრაფვიან.

აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა ა. სილაგაძემ. მისი აზრით, იგი არ უნდა იყოს ავტონომია მხოლოდ აფხაზებისათვის, რადგან იქ ცხოვრობს მეორე და უფრო მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა. ამიტომ საქართველოში შემავალ ამ ავტონომიას უნდა ერქვას „ქართველთა და აფხაზთა ავტონომიური რესპუბლიკა“ (,,სრ“ 1992:264). თუ ოდესმე ვეღირსეთ აფხაზეთის დაბრუნებას მისი პოლიტიკური ერთეულისათვის სახელის დარქმევისას ამ მოსაზრების გათვალისწინება ურიგო არ იქნება.

5. რაც შეეხება ყოფილ სამხრეთ ოსეთს, აფხაზეთთან შედარებით განსხვავება აქ სწორედ დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბების ისტორიაში მდგომარეობდა. ოსები ამ რეგიონში მოსულნი არიან. ოღონდაც, აფხაზებისაგან განსხვავებით, მათი ძირითადი ნაწილი თავის სამშობლოშია დარჩენილი და იქ საკუთარი სახელმწიფოც აქვთ. აფხაზებს კი, საქართველოს გარდა, სხვა საცხოვრისი არ გააჩნიათ, ე. ი. საქართველოში ოსები ისეთივე ეროვნული უმცირესობაა, როგორიც სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და სხვა. ამიტომ მათ ჩვენს მიწაზე სახელმწიფო წარმონაქმნის (ავტონომიური ერთეულის) დაფუძნების უფლება არა აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედებს ორი გარემოება. ერთი ესაა, საბჭოთა პერიოდში დაშვებული შეცდომა—1921 წლის 31 ოქტომბერს რკპ (ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა. ამას, როგორც ცნობილია, მოწინააღმდეგეები მაშინვე გამოუჩნდა. საქმე ის იყო, რომ ოსები ადრევე გეგმავდნენ ე.წ. „ოსეთის მაზრაში“ (მათი გეგმით ასე ეწოდებოდა ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს და არა ავტონომიური ოლქი) შეეყვანათ ქართული ქალაქი ცხინვალი და 40–ზე მეტი ქართული სოფელი. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა არ დაეშვათ ისტორიული უსამართლობა და ქართველი მოსახლეობა სხვა ეროვნულ-ავტონომიურ ერთეულში არ შეეყვანათ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონ. 141 საქმე 276, ფურ. 10–14).

მაგრამ ავტონომიური ოლქი, ცენტრით ცხინვალში, საქართველოს ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის აპრილის გადაწყვეტილებით მაინც გამოცხადდა შექმნილად. იგი 1990 წლის დეკემბრამდე არსებობდა. ეს აძლევს საფუძველს ოს სეპარატისტებს და მათ მხარდამჭერებს, მოითხოვონ საქართველოს ტერიტორიაზე

ჰქონდეთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მათი აზრით, ეს უნდა იყოს დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც საბოლოო ჯამში ჩრდილოეთ ოსეთთან, ე. ი. რუსეთთან გაერთიანება. საქართველოს ხელმძღვანელობა კი, როგორც ამას პრეზიდენტი შევარდნაძე მორიდებულად აცხადებს ხოლმე, ალბათ, დათანხმდება მათი ავტონომიის აღდგენას.

მეორე გარემოება გახლავთ რეგიონის დემოგრაფიული სიტუაცია. თუ აფხაზ სეპარატისტებს ომის გადახდისა და იარაღის გამოყენების გზით მოუხდათ ქართველთა გამოდევნა და ისე მიაღწიეს აფხაზეთში თავის სასარგებლო დემოგრაფიული სიტუაციის შექმნას, ყოფილ სამხრეთ ოსეთში ასეთი რამ მოხდა თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე, ჩრდილოეთიდან მიგრაციის გზით და საბჭოთა ხელისუფლების ხელშეწყობით. მთავარი სტატისტიკური მონაცემების დინამიკა ასეთი სახისა იყო: 1604–1605 წლებში საქართველოს ეწვია რუსეთის მეფის ბორის გოდუნოვის ელჩი. მან ზემო ლიახვისა და თერგის ზემო წელში მხოლოდ ორი ოსური სოფელი მოითვალა. 1770 წელს ნაანგარიშევია, რომ საქართველოში დაახლოებით 20 000 მდე ოსი ცხოვრობდა (ჯაოშვილი1984:32). მე–19 საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა აღემატებოდა 29 ათასს და შეადგენდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 3,7 პროცენტს. 1832 წლის მონაცემებით ოსთა რაოდენობა 32 300 მცხოვრები იყო, რაც ქვეყნის მოსახლეობის 3,6 პროცენტს უდრიდა (იქვე:79). 1865 წელს კი იგივე მონაცემები 45 500 მცხოვრები და 3, 6 პროცენტი იყო. (იქვე 113).

ჩრდილოეთიდან ოსთა ჩამოსახლება საგრძნობი გახდა გასული საუკუნის მიწურულს. 1897 წლის აღწერით საქართველოში 81 500 ოსი მოითვლებოდა (იქვე). 1926 წელს მათი რიცხვი 113 500-მდე ავიდა, ე.ი. 31,8 პროცენტით გაიზარდა. 1989 წლისათვის ოს მცხოვრებთა რაოდენობა გახდა 164 ათასი. აქედან სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდა 65 232, მთელი მოსახლეობის 66,2 პროცენტი, ქართველები კი ოლქში იყვნენ 28544, ე. ი. 29,0 პროცენტი (,,კომ 1990:68).

კონფლიქტის შემდეგ ეს შეფარდება კიდევ უფრო გაიზარდა, ოსთა უპირატესობით. სარგებლობენ რა ამით ოსი სეპარატისტები, უფრო კატეგორიულ სახეს აძლევენ თავიანთ მოთხოვნებს. მათ არ სურთ გაიგონ, რომ ეროვნულ უმცირესობას, მცხოვრებს სხვა სახელმწიფოში, საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, მხოლოდ ეროვნულ-კულტურული ავტონომია ეკუთვნის და არა სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევა.

6. აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოგვარებაში არსებითი, თითქმის გადამწყვეტი, მნიშვნელობა აქვს რუსეთ–საქართველოს ურთიერთობას. ეს ისევე, როგორც ყოველგვარი პოლიტიკა და მისი

სწორად წარმართვა არა მარტო დიპლომატიურ ალღოს, არამედ დიდ შორსმჭვრეტელობის უნარსაც მოითხოვს, რადგან რუსეთი ამოუცნობი ქვეყანაა და იმის პროგნოზირება, თუ როგორ განვითარდება იქ მოვლენები თითქმის შეუძლებელია. ჩვენი მასთან ურთიერთობა იმითაცაა განპირობებული, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საუკუნეობრივმა ყოფნამ საქართველოს მასთან მრავალმხრივ დაკავშირება გამოიწვია. ამ კავშირების საფუძველი უმთავრესად მჩაგვრელ-ჩაგვრულის ურთიერთობა იყო. ამიტომ მათს შეფასებაში ძირითადად უარყოფითი მუხტი ჭარბობს. აქედანაა წარმოშობილი ჩვენი სწრაფვა, რაც შეიძლება ჩქარა ჩამოვიცილოთ რუსეთის გავლენა და შევბრუნდეთ დასავლეთისაკენ. ამას დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითი მომენტიც ახლავს. კერძოდ, იზოლაცია ნეგატიური მოვლენაა საერთოდ და მათ უმეტეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ხანგრძლივად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებში.

არც რუსები არიან ჩვენდამი კეთილად განწყობილნი. ეს დაავადებაც საბჭოთა პერიოდიდან მოდის. კომუნისტურ ხელისუფლებას ყოველთვის ესაჭიროებოდა ჰყოლოდა ვინმე მტერი, რათა მასთან ბრძოლა სამართლიანად აღქმულიყო. ამ ბრძოლას ხომ იგი ვითომდა მშრომელთა სახელით და მათი ინტერესებისათვის ეწეოდა. ამით იგი ხალხის ფართო მასების მხარდაჭერას და თანადგომას მუდმივად ეძიებდა. ამ მიზნით საბჭოთა მმართველი ზედაფენა განუწყვეტლივ ჰქმნიდა მტრის სახესხვაობებს. ასეთებს წარმოადგენენ: „ექსპლოატატორი კლასები", „წვრილბურჟუაზიული კონტრრევოლუცია", „ხალხის მტრები", მემარჯვენე და მემარცხენე ბლოკები, მეზობელი ბურჟუაზიული სახელმწიფოები, „ნატოს ბლოკი" და სხვა.

საბჭოთა სახელმწიფოსათვის უცხო არ იყო თვით მის შემადგენლობაში გაერთიანებული ხალხის, ერის მტრად გამოცხადება და მათი ისტორიული საცხოვრისიდან გადასახლება. ასეთი რამ სხვათა დაშინებას ისახავდა მიზნად. ხოლო ზოგიერთის მორჩილებისათვის წინასწარგამიზნული ეთნო და რელიგიური კონფლიქტების კერები ყალიბდებოდა. ამ მხრივ სხვა ხალხებთან შედარებით წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართველი ხალხი. განსაკუთრებით კი, მას შემდეგ, რაც ნ. ხრუშჩოვმა ი. სტალინისადმი ზოოლოგიური სიძულვილი ქართველობაზე გადმოიტანა.[1] ქართველი კაცის რუსისადმი „მტრის ხატად" გადაქცევას ხელი შეუწყო მწერალ რ. თვარაძის მიერ 1997

[1] როგორ ახირებდა ნ. ხრუშჩოვი ქართულთა აყრას და სამშობლოდან გასახლებას იხ. დ. სტურუას წერილი გაზ.„თბილისი" 1991:153; შდრ მისივე, Сталин, Хрущев, Брежнев, გვ. 47.

წლის 11 მაისს ტელევიზიით გამოსვლისას დასახელებულმა ფაქტორმაც. მან თქვა: „სსრ კავშირის არსებობის დროს ჩვენ—ქართველები ყოველთვის და თითქმის ყველა სფეროში ვჯაბნიდით სხვა ერებისა და მათ შორის, რუსების წარმომადგენლებსაც". ასეთი რამ კი შურის გრძნობას იწვევს და არა სიყვარულს.

კამათი იქის თაობაზე, რომ არსებობს ორი რუსეთი, დემოკრატიული, რომელიც ქართველობასთან ლოიალურადაა განწყობილი და რეაქციული—ჩვენთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფი, ამაო გარჯაა. როგორც კი ქართველთა დამოუკიდებლობაზე, ანდა, თუ გნებავთ, რუსეთთან თანასწორუფლებიან ურთიერთობაზე მიდგება საქმე, ორივე რუსეთი არაჩვეულებრივ მონოლითურობას იჩენს და აშკარად გამოხატავს თავის დიდმპყრობელურ ამბიციებს.

რუსეთმა გაამწვავა ჩვენი ურთიერთობანი აფხაზებთან და ოსებთან და საომარ კონფლიქტამდეც კი მიიყვანა პრობლემები, რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს საშინაო საქმე იყო და მათს მოგვარებას ჩვენ შევძლებდით, მოწინააღმდეგეები რომ რუსეთს არ წაექეზებინა.

ორი მაგალითი ოსებთან კონფლიქტის ისტორიიდან: 1. „ნეზავისიმაია გაზეტამ" 1997 წლის 28 მარტის ნომერში გამოაქვეყნა დოკუმენტი ჩრ. ოსეთში გამოცემული კრებულიდან. აქ გარკვევით წერია: „Сегодня не для кого не остается секретом, что грузино-осетинский конфликт на юге Осетии был спровоцирован Кремлём с целью недопущения выхода Грузии из состава СССР".

2. უფრო ადრე, 1991 წლის მარტში მიცემულ ინტერვიუში ზ. გამსახურდია ამბობდა: „მე პირადად გორბაჩოვმა წამომიყენა ეს ულტიმატუმი, ძართალია, ზეპირი, მაგრამ ეს მაინც ულტიმატუმია: ხელი მოაწერეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, თორემ ის, რაც სამხრეთ ოსეთში ხდება, უარეს ფორმებში გაგრძელდებაო. აი, ასე მოკლედ და ნათლად" („სრ" 1991:52).

აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით კი მკითხველს შევახსენებთ რუსეთის შედარებით არააგრესიულ, მაგრამ მაინც მცდარ ნაბიჯს. რუსეთის საზოგადოებრიობის იმპერიულად განწყობილი ნაწილი ზემოქმედებას ახდენდა ხელისუფლებაზე, რათა მას ქმედითი ზომები არ გაეტარებინა აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების მიზნით. ეს ასლომხედველური პოზიცია იყო, რადგან, როდესაც რუსეთის აშკარა სამხედრო დახმარებით აფხაზი სეპარატისტები მშვიდობიან სოხუმს ბომბავდნენ და ქართველებს მშობლიური მიწიდან ერეკებოდნენ, მაშინ რუსეთში არ დაფიქრებულან, რომ ამით ისინი სტრატეგიულ მოკავშირეს, საქართველოს ჰკარგავდნენ, რასაც საბოლოოდ კავკასი-

აში მათი პოლიტიკის კრახი მოჰყვებოდა. ახლა კი რიგ სამეცნიერო ინსტიტუტებშიაც დაიწყეს იმის დასაბუთება, რომ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხში საქართველოსათვის მხარდაჭერით მოსალოდნელია რუსეთმა კავკასია დაჰკარგოსო. საოცარია პირდაპირ: რუსეთისათვის კავკასიის დაკარგვის საფრთხე არ იქმნებოდა, როცა მისი სახელით ტანკები შეუსიეს ბაქოს, ხელბარებით აჩეხეს მშვიდობიანი აქციის მონაწილენი თბილისში, არნახულ ეთნიკურ წმენდასა და ქვეყნის გაჩანაგებას შეუწყვეს ხელი აფხაზეთში, ხოლო, როცა საკითხი შეეხო ლტოლვილთა დაბრუნების ჰუმანურ აქციას, თურმე, ამის გამო, რუსეთმა შეიძლება კავკასია დაკარგოს.

7. აფხაზეთთან დაკავშირებით მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. ესაა საქართველოს ხელმძღვანელობის მერყეობა ომის წარმოების ტაქტიკურ სფეროში. როგორც ზემოთ ვწერდით, ე. შევარდნაძემ მხოლოდ 1992 წლის 7 დეკემბრის რადიოინტერვიუში აღიარა, რომ საკუთარ თავთან ბრძოლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე—აფხაზეთში გადამწყვეტი მოქმედება და ომის გამარჯვებით დამთავრებაა საჭირო. მან კვლავ გაიმეორა თავისი არაერთხელ ნათქვამი, რომ ეს არ გულისხმობს აფხაზთა განადგურებას (,,სრ" 1992:250).

მეც კვლავ უნდა გავიმეორო, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება თავიდანვე იყო აუცილებელი. მაგრამ სახელმწიფოს მეთაური დიდი ხნის მანძილზე სიფრთხილეს იჩენდა. ასეთი ტონის შემცველი იყო მისი მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე, როცა იხილავდნენ „აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის" საკითხს. მაშინ მან აფხაზეთში კონფლიქტის წარმოშობისა და ომის გაჩაღების ისტორიულ ასპექტში გაანალიზებასთან ერთად აჩვენა, რომ ექსტრემისტთა მთავარ ამოცანას აფხაზეთში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა წარმოადგენდა და მათ ამას კიდეც მიაღწიეს. აფხაზეთიდან გამოდევნილიაო 57 ათასი ქართველი. მიუხედავად ამისა, მაინც თქვა: ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის ძალისმიერი გადაწყვეტა წარმატებებს ვერ მოგვიტანსო. ე. ი. იმ დროს ნავარაუდევი იყო, რომ კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტა წარმატებას მოწინააღმდეგეს მოუტანდა. თანაც, სახელმწიფოს მეთაურის მოსაზრებით, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველებს არ აპატიებდა აფხაზთა მიერ ბრძოლებში გაღებულ მსხვერპლს და ამის გამო ქართველები მორალურად დამარცხებულნი გამოვიდოდნენ, მაგრამ ომი ომია და მასში ორივე მხრიდან იღუპებიან ადამიანები. თავდაცვითი ბრძოლებით მოწინააღმდეგის მსხვერპლს ვერ შეამცირებ. პირიქით, შეიძლება გაზარდოს კიდეც. მერედა რა მეომრობაა, როცა იბრძვი და თანაც ცდილობ, მოწინააღმდეგეზე არ გაიმარჯვო, რადგან მას ამის გამო

დიდი მსხვერპლი ექნება. თუ არძინბა არ ერიდებოდა თავისი ხალხის სიცოცხლეს (და მით უფრო, ქართველებისას), ჩვენ რატომ უნდა მოვრიდებოდით?

ცხადია, სახელმწიფოს მეთაური ვერ დაიწყებდა აფხაზების განადგურების პროპაგანდას იმდენად, რამდენადაც ისინი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, მაგრამ გადამწყვეტ წარმატებებს არ მიეაღწიოთო, ამის ცდაც არ შეიძლებოდა.

რაც შეეხებოდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, ახლა როცა 300 ათასი ქართველი თავისი საცხოვრისიდან გამოდევნილია და სიდუხჭირეში ღაფავს სულს, იგი ჩვენს მხარეზეა, მაგრამ ამით არავის არავითარი შეღავათი არა აქვს. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების ათეულობით დადგენილებისა, ვ. არძინბა ლტოლვილებს საკუთარ სახლებში არ უშვებს, ხოლო უნებართვოდ დაბრუნებულებს სამხედრო ტრიბუნალზე გადაცემით ემუქრება. ზოგსაც აფხაზი „ბოევიკები" ხოცავენ. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ამის გამო, კანტი–კუნტად გამოთქვამს უკმაყოფილებას და საქმე ამით მთავრდება. ვ. არძინბა მოქმედებს დევიზით—გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! ჩვენც გვექნებოდა შესაძლებლობა მის მიხედვით გვემოქმედნა, უფრო გადამწყვეტნი რომ ვყოფილიყავით. ეს, ალბათ, შევარდნაძემ 1992 წელსაც იცოდა, მაგრამ მაშინ რუსეთის ფაქტორი მოქმედებდა და „ჩრდილოეთის დათვის" გაღიზიანებას ერიდებოდა, ყველაფერს არ ამბობდა. მართალიც იყო: იმ დროს საქართველოს რუსეთთან, როგორც სწორთან, დიალოგის შესაძლებლობა არ ჰქონდა. რუსეთი კი გაუბრაზებლადაც აკეთებდა თავის საქმეს. ასე რომ, როგორ მოიქცეოდი, სულერთი იყო მისთვის.

8. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პიკზე ჩვენ დავივიწყეთ ილიას შეგონება: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი, იმ· ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში—ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე" ხშირია და „ჩვენ"– იშვიათი" (თხზ. ტ. III, გვ.76). არადა, ამასვე ჩაგვაგონებდნენ ჩვენი ძველი წინაპრები. „ქართლის ცხოვრების" ავტორთა უმრავლესობა ხომ გარეშე მტერში არ ხედავდა იმდენ საშიშროებას, რამდენსაც საკუთარში. მაგალითად, „ახალი ქართლის ცხოვრების" შემდგენლები პირდაპირ მიუთითებდნენ—მთელი საქართველო კი არა, ქართლის თავადები რომ ერთად ყოფილიყვნენ, მტერი ვერაფერს დაგვაკლებდაო. ლ. ტუხაშვილი სწორად შენიშნავდა: ქართველთა ეროვნულ ხასიათში ღალატი არ ზის, გამონაკლისები მხედველობაში მისაღები არ არისო („სრ" 1991:50). მაგრამ დასაზუს-

ტებელია მისივე ნათქვამი, რომ ჩვენ საშიშროებას ორი თვისება გვიქმნიდა. 1. თანდაყოლილი ამბიციურობა („უჩემოდ ვინ იმღერეთა"). 2. გარემოების გამო შეძენილი „უცხოთა სამსახურისადმი" მიდრეკილება. ამას უნდა დაემატოს უფრო საშიში და მეტი ზიანის მომტანი ერთიანობის უქონლობა, რომელიც ყოველთვის ამბიციურობიდან როდი გამომდინარეობს.

აი, რამ შეუწყო ხელი იმას, რომ ბევრი დავაშავეთ, დავანგრიეთ, მოვსპეთ, სიხარბისა და მოძულეობის გამო ბევრს დაუბნელეთ მზე. ერთმანეთს დაუპირისპირდით, დაუსრულებელ ბრალდებებს ვუყენებთ პარტია–პარტიას, პიროვნება–პიროვნებას, კუთხე–კუთხეს. ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, საქმეს ნაკლებად ვაკეთებთ. დრო კი ულმობლად მიდის, ხელში გველევა. ხელს ვუშლით მუშას, გლეხს, ინტელიგენციას, ახალგაზრდებს, იმუშაონ, ისწავლონ, დოვლათი შექმნან, დანგრეული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა ფეხზე დააყენონ, ადამიანებმა ნორმალური ცხოვრება დაიწყონ.

გამოვლინდა ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის ადრე უცხო კიდევ ერთი თვისება—ვაჭრუკანები გავხდით. საბაზრო ეკონომიკა გაბაზრებულ ცხოვრებად გავიგეთ. საქართველოში ახლა იმდენი დუქანია, დავით აღმაშენებელს ჯარისკაცი რომ არ ჰყოლია. ამ დუქნებში ჩვენი დედები და დები დგანან და იხვეწებიან რამე იყიდეთო. „ქართვლის დედები, ძუძუ ქართვლისა", უწინ რომ „მამულს უზრდიდა შვილსა", ჰყიდიან კაცმა არ იცის საიდან ჩამოტანილ საეჭვო ღირსების საქონელს, რომელშიაც ქართული პროდუქცია 5 პროცენტსაც კი არ შეადგენს. ცხონებული თ. ბუაჩიძე 1991 წელს გაოცებული წერდა, რამდენი ვაჭარი გვყოლიაო, აბა, ახლა ენახა?

ჩვენი ხელმძღვანელი კადრების დიდი ნაწილი ყოფილი პარტიული ფუნქციონერებიდანაა დანიშნული. მოსწრებულად აქვს ნათქვამი თ. ჭილაძეს: „ჩვენი ახალი ნომენკლატურა ქსეროქსზე გადაღებული ასლივით ჰგავსო კომუნისტურ ნომენკლატურას" (,,ლს" 1997:4). არჩევითობის დეფიციტის გამო მათ დიდი დოზით აქვთ შემორჩენილი მუშაობის მბრძანებლურ-ავტორიტარული მეთოდები. მათი ჩვეულებრივი გამოთქმაა: „მე გავაკეთე", „მე მოგცემთ", „მე თქვენ ამდენი ხელფასი დაგინიშნეთ"... ვიდრე დამნიშნავის მფარველობას გრძნობენ, მათ თავი ლაღად უჭირავთ, პირადი ცხოვრების მოწყობაზე ზრუნავენ, შემდეგ კი დაგროვილი სიკეთით იოლად გადიან ფონს. აი, ტიპური მაგალითიც, 1997 წლის მაისის დასაწყისში ფინანსთა მინისტრად დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინეს ბ-ნი მიხ. ჭკუასელი. იმთავითვე გაკეთდა შენიშვნა, რომ მას ფინანსების დარგში მუშაობის არანაირი გამოცდილება არა აქვს. იგი უპრეტენზიოდ დაამტკიცეს. მის ადგილ-

ზე რწმუნებულად 7 მაისს დაინიშნა ნიკოლეიშვილი. მან 9 მაისს მასმედიას უკვე განუცხადა, რომ გურიის მხარეში ეკონომიკური, სოციალური და სამეურნეო მუშაობა, ფაქტობრივად, ჩაშლილია და მძიმე კრიზისულ ვითარებაში იმყოფება. თუ ბ-მა მ. ჭკუასელმა ასე „კარგად მოაგვარა“ საქმე გურიაში, რა მოელოდა მის ხელში ჩვენს ისედაც განადგურებულ ფინანსებს? მართლაც, წლინახევრის მუშაობის შემდეგ მან „შესძლო“ მთლიანად ჩაეგდო 1998 წლის ბიუჯეტის შესრულება, გაუცემელი დარჩა 6-8 თვის პენსიები, საბიუჯეტო დაწესებულებების ხელფასები, სტუდენტთა სტიპენდიები, არმიის, პოლიციის, განათლების სფეროს, ჯანმრთელობის დაცვისათვის კუთვნილი ხარჯები, 75-80 პროცენტით გაუფასურდა ლარი და გაუარესდა დამოკიდებულება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან. დამტკიცდა, რომ პირადი მოხმარების „ჯიპში“ მინისტრმა 70 ათასი დოლარი გადაიხადა. მ. ჭკუასელი გაათავისუფლეს და როგორც იტყობინებიან, „მოქალაქეთა კავშირის“ ოფისში შეაფარეს. არავითარი პასუხისმგებლობა ჩაშლილი მუშაობისათვის!

ასეთი მოვლენები მარტო კადრების დაწინაურებაში ჩადენილი შეცდომის გამო არ ხდება. მას სხვა მიზეზებიც აქვს. ერთ-ერთი ასეთია პროფესიონალ პოლიტიკურ კადრთა უკმარობა. XIX საუკუნეში, როცა სახელმწიფო არ გვქონდა, პოლიტიკოსის ფუნქცია თავის თავზე აიღო ინტელიგენციამ, კერძოდ, მწერლობამ. კარგია თუ ცუდი, ამის პასუხს თვით ფაქტი იძლევა. სახელმწიფო რომ გვქონოდა, ასეთი რამ არ მოხდებოდა. მაშასადამე, იგი იძულებითი მოვლენა გახლდათ. იძულებით მიღებული კი არა შეიძლება სანიმუშო იყოს. გამოდის, რომ აქ უარყოფითი მომენტი ჭარბობს. აქედანვე წამოვიდა არასახარბიელო ინერცია. საკუთარი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ ინტელიგენციამ შეინარჩუნა პოლიტიკოსის იმიჯი და ახლაც მას დიდი გავლენა აქვს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. თუ გარდამავალ პერიოდში ეს კიდევ ასატანია, შემდეგში ამ მოვლენას შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს, ვინაიდან დილეტანტი ინტელიგენტ-პოლიტიკოსები რთულ პოლიტიკურ მოვლენებს მხოლოდ თავიანთი პროფესიის თავისებურებების მიხედვით მიუდგებიან და პროცესის არსი გაუგებარი დარჩება. ეს კი არსებითის მეორეხარისხოვანისაგან გამოურჩევლობის გამო მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეცდომად (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) განიხილება.

ის ნეგატიური მოვლენები, რომლებზედაც ამ პარაგრაფში შევაჩერეთ ყურადღება, მრავალი ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი. გარდამავალ პერიოდში ისინი ასე არ გაღრმავედებოდნენ და მათი

დაძლევა არ გახანგრძლივდებოდა, რომ საქართველოში მათ არ დამატებოდა ყველაზე მძიმე და დიდ ზიანთან დაკავშირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დაკარგვა. რაც მარტო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას კი არ ნიშნავს, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას.

9. თანამედროვეობის გამოჩენილი ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი გავითარების უკეთესი ფორმა კაპიტალიზმია. იგი დაპირისპირებულთა საზოგადოებაა. მას, მართალია, დემოკრატიულს უწოდებენ, მაგრამ ჰუმანურობა აშკარად აკლია. ის, რაც კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჰუმანიტარული იყო, ასეთად შეუსაუკუნეობრივი სქოლასტიკისა და ასკეტიზმის დაძლევის ფონზე გამოჩნდა. ახლა კი ტექნიკური სასწაულებით უაღრესად ცივილიზებულ საზოგადოებაში საკმარისი აღარ არის. თუ თანამედროვე კაპიტალიზმმა ჰუმანური იერი არ მიიღო, იგი სოციალიზმზე უფრო საშინელი წყობილება შეიძლება გახდეს. ჰუმანურობა კი მარტო ადამიანის წარუვალ ღირებულებად აღიარებაში კი არ უნდა გამოიხატოს, არამედ ქონებრივ და უფლებრივ თანასწორობაშიც.

საქართველოსათვის ამ პრობლემების მოგვარებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, ჩვენ კაპიტალიზმის ყველაზე „ველურ" ფორმაში, თავდაპირველი დაგროვების ხანაში ვიმყოფებით. ეს ეტაპი კაპიტალიზმის განვითარების საფეხურებს შორის ყველაზე არაჰუმანური და მტაცებლურია. თუ მის ასეთ შეფასებაში კ. მარქსს არ ვენდობით, ო. ბალზაკსა და ჯეკ ლონდონს მაინც უნდა დავუჯეროთ. მათ კი თავდაპირველი დაგროვების ისეთი პერსონაჟები ჰყავთ გამოყვანილი, რომ „ახალი ქართველები" მათ შეგირდებადაც კი არ გამოადგებიან. თუ გვინდა, რომ ეს უძნელესი ხანა ნაკლები დანაკარგებით გავიაროთ, სხვათა ამ გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და გათვალისწინებაა საჭირო, რასაც ჩვენ მაინცდამაინც არ დავწაფებივართ.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა გარდამავალ პერიოდში შევიდა. მისი მთავარი ამოცანა გახდა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრა. მოდერნიზაციის გზით უნდა მომხდარიყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ურთიერთობების დემოკრატიული განვითარება. ამის მიღწევა კი პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას მოითხოვდა. საზოგადოების აღმავალი განვითარება პოლიტიკური პროცესების რაციონალურ თავისებურებას უნდა განეპირობებინა, მაგრამ არც ასეთ პროცესებში და არც პარტიული პლურალიზმის პირობებში მონაწილეობის გამოცდილება ქართულ საზოგადოებას არ ჰქონდა.

ამან საუკეთესო პირობები შექმნა გარდამავალი პერიოდის შინაგანი კონფლიქტების წარმოშობისათვის. ეს კი დესტაბილიზაციის ერთადერთი მიზეზი არ იყო, საზოგადოებას არანაკლები და შეიძლება ითქვას, უფრო მეტი საშიშროება გარედან თავსმოხვეული კონფლიქტების გამო გაუჩნდა. მხედველობაში მაქვს ეთნოკონფლიქტები, რომლებიც საზოგადოებას პერმანენტულ საფრთხეს უქმნიან, ამის გარდა, მათი დამღუპველი შედეგია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ეს პროცესები მეტნაკლები განსხვავებით მიმდინარეობდა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში. „პოსტსაბჭოური სივრცე კი მხოლოდ გეოგრაფიული ცნება როდია,—განმარტავდა ე. შევარდნაძე,—იგი, უწინარესად, მოდერნიზმის, ერთობლივ და კერძო პრობლემათა თანაფარდობის გათვალისწინებას გვაიძულებს. ეს საერთო და გადმოყოლილი სივრცე არის ჩვენი რეალური დამოუკიდებლობის დროში შემზღუდველიც და კონფლიქტთა მიზეზიც. ამ ისტორიულად იძულებითი სივრციდან ერთბაშად გამოსვლა მარტო საკუთარ ნებას აღემატება“ („სრ“ 1998:187).

თავისთავად ეს სწორი თეზისია, მაგრამ ფაქტის კონსტატირების გარდა, პოლიტიკოსის ხელოვნება ისიც არის, რომ არსებული ვითარებიდან გამოსავალიც მოძებნოს, „გადაადგილების“ უკეთესი გზები გამონახოს და პროცესი დროში არ გაწელოს. სტაბილიზაციის ყველაზე საუკეთესო პირობა ხომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაა, რაც აუცილებლად აღმოფხვრის შინაგანი და გარედან თავსმოხვეული კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლებს, ხელს შეუწყობს რეალური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრას.

ჩვენ რომ ღრმად ვართ „გაჭედილი“ პოსტსაბჭოურ სივრცეში, კიდევ ერთხელ დამტკიცდა 1998 წლის 17 აგვისტოს შემდეგ რუსეთში მომხდარი მოვლენებით. რუსული მანეთის გაუფასურებამ ანალოგიური პროცესები გამოიწვია მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში. მან მძიმე დარტყმა მიაყენა ქართულ ლარსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი შეფარდება აშშ დოლართან 1=1,27 ერთბაშად დაეცა 1=2,37-მდე, ე. ი. მოხდა ფინანსური დესტაბილიზაცია, რაც ყველა ქვეყნისათვის ძნელად გადასატანი პროცესია, მაგრამ განსაკუთრებით ისეთი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსათვის, როგორიც საქართველოა. ვარაუდობენ, რომ ამ მოვლენის მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელი იყო, მაგრამ ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ გონიერული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, მისგან გაცილებით ნაკლები დანაკლისით გამოსვლა კი მოხერხდებოდა.

10. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და მთელი

ქართველი ხალხისათვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. სამშობლოს ბედით დაინტერესებული მტანჯველი კითხვაა—დავიბრუნებთ კი აფხაზეთს? (ამაზეა დამოკიდებული ცხინვალის რეგიონის დაბრუნებაც). ანალიტიკოსთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა იმის გამო, რომ არ სურთ საზოგადოების თვალში წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ, ამ კითხვაზე ოპტიმისტურ პასუხს იძლევიან. თანაც დასაბუთება იმისა, თუ რითაა გამოწვეული ეს ოპტიმიზმი, მრავალგვარია. ზოგი ამისათვის მცირე ვადას ასახელებს, ზოგიც—ხანგრძლივს. ერთნი ამბობენ, ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებულიო, მეორენი კი გაეროზე ამყარებენ მთელ იმედებს. ბევრიც—კომპლექსურ მიზეზებს მიუთითებს. რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის გზებს, აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. უფრო მეტია მშვიდობიანი მოგვარების მომხრენი, ნაკლებნი—ძალისმიერისა.

უნდა ვთქვა, რომ ეს არაა საკითხი, რომელზედაც ერთმნიშვნელოვანი და პირდაპირი პასუხის გაცემა შეიძლება. ბევრი რამ დროში მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული. ამიტომ პროგნოზირება შეიძლება ფუჭი თავისტეხა გამოდგეს.

მე არც ვაპირებ ასეთ უსიამოვნო საქმეში გარევას, მაგრამ ის კი საჭიროდ მიმაჩნია ვთქვა, თუ რას ვფიქრობ ამ თემაზე.

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნო, რომ მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარების მომხრენი ან საერთოდ არ ითვალისწინებენ მოწინააღმდეგის პოლიტიკური ხელმძღვანელების ფაქტორს, ანდა ვ. არძინბას მხოლოდ კარიერისტად და პოლიტიკურ დემაგოგად მიიჩნევენ. თავიდან იმასაც კი თვლიდნენ, რომ იგი პოლიტიკაში გამოუწრთობი კაცი იყო და მხოლოდ რუსი დიდმპყრობელების კარნახით მოქმედებდა.[1] მისდამი ყოველგვარი კეთილგანწყობის გარეშე უნდა ვთქვა, რომ ვ. არძინბა საკმაოდ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი გამოდგა. სხვადასხვა დონის მოლაპარაკებებზე აფხაზეთის დელეგაციის, ანდა თვით ვ. არძინბას მიერ წამოყენებული წინადადებანი მის ავტორთა პოლიტიკურ ლოგიკას მოწმობს. ხოლო შედეგები ამ მოლაპარაკებებისა აფხაზთა მხარეზეა. ამის მაგალითები არაერთია და ზოგი მათგანი ამ წიგნშიაც გვაქვს აღნუსხული. რაც შეეხება რუსთა მიერ არძინბას თავის სასარგებლოდ გამოყენებას, აქ, ვფიქრობთ, პირიქით მოხდა. აფხაზ სე-

[1] ამ ფაქტორის საფუძველზე გამორიცხავ რომ აშკარა შეცდომა იქნებოდა, ეს კარგად ჩანს გაზ. „Свобод. Груз"-ში გამოქვეყნებული მოსკოველი ავტორის წერილის შემდეგი ადგილიდან: „ოთხმოციან წლებში, მოსკოვში სწავლისას, აუტანელი ხასიათის მეტისმეტად ნერვიულ არძინბას სპეციალისტურები შეურვეობდნენ. ყოველნაირად მფარველობდნენ და სწორედ მაშინ დაიწყო მისი სწრაფი და წარმატებული კარიერა" („ლს" 1999:38).

პარატისტთა ლიდერმა შესანიშნავად გამოიყენა რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ. ხოლო იმაზე საუბარი, რომ მას ამისათვის კარგი საშუალებები გააჩნია, ძლიერ სუსტი არგუმენტია. მთელ საქართველოსთან შედარებით, აფხაზეთის შესაძლებლობანი სალაპარაკოც არ არის. აქ მათ გამოყენებაზეა საქმე. აფხაზებმა ისინი უკეთ მოიხმარეს, ჩვენ კი საერთოდაც არ გვიცდია. ასე რომ, მოლაპარაკების პროცესში საქართველოს საქმე აქვს არამარტო ვერაგ, არამედ ჭკვიან მოწინააღმდეგესთან, რომლის პოზიციას ომში გამარჯვების ფაქტორიც ამაგრებს. ამდენად, აქედან მნიშვნელოვანი სასარგებლო შედეგებს არ უნდა მოველოდეთ. რა თქმა უნდა, უფრო მომგებიანი აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ძალისმიერი გზაა. მაგრამ საქართველო ამისათვის არც სამხედრო და არც საზოგადოების შინაგანი სიმტკიცის თვალსაზრისით მზად არ არის. თანაც, ომის შემთხვევაში ქვეყანა დაჰკარგავს იმ საერთაშორისო სიმპათიებსა და მხარდაჭერას, რომელიც ახლა აქვს. განსაკუთრებით, ჩვენს წინააღმდეგ ამოქმედდება რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და ჩრ. კავკასიის ხალხთა კონფედერაცია. ჩვენ ამ ომს ვერ მოვიგებთ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი დემიურგი ბ. პასტუხოვი ხომ არა ერთხელ დაგვმუქრებია––„რუსები ქართველებს აფხაზებზე არ გაამარჯვებინებენო“. რუსეთის ომში დაჯაბვნას კი საქართველო ვერასოდეს ვერ შეძლებს. ხოლო თუ ხელმეორედ დავმარცხდით არათუ აფხაზეთს დავკარგავთ სამუდამოდ, არამედ, საერთოდ, ყველაფერი გამოგვეცლება ხელიდან.

ამდენად ჩვენ გვრჩება აფხაზეთის პრობლემის, მართალია, გახანგრძლივებული, მაგრამ შედეგიანი გადაწყვეტის ორი გზა. ერთი ესაა, საქართველოს ეკონომიკის იმ დონემდე განვითარება, რომ აფხაზეთის მოსახელობა რუსეთთან შედარებით ჩვენთან ურთიერთობის უპირატესობაში დარწმუნდეს. ეკონომიკური ბერკეტები ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება გადამწყვეტი ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებაში. პოლიტიკური ზემოქმედება მხოლოდ დროებითი გავლენის მქონე ფაქტორია, ეკონომიკური კი––თითქმის მუდმივმოქმედი. არც ერთ არძინბასა და შამბას მისი გავლენის არათუ აღკვეთა, არამედ უგულვებელყოფაც კი არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში ხალხი თვითონ წალეკავს იმ ხელისუფლებას, რომელიც მის ეკონომიკურ კეთილდღეობას წინ აღუდგება.

მაშასადამე, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება ჩვენი მთავარი საზრუნავი მუდმივად უნდა იყოს არა მარტო, როგორც საზოგადოების განვითარების უპირველესი ფაქტორი, არამედ ვითარცა ეთნოკონფლიქტების მოგვარების ყველაზე უტყუარი იარაღიც.

მეორე გზა, რომელმაც უნდა დაგვიახლოვოს აფხაზეთის დაბრუნება, არის პარტიზანული მოძრაობა. ასეთი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერ ძნელია. იგი არ გამოუვიდა ნაპოლეონს ესპანეთში. ჰიტლერს უკრაინასა და იუგოსლავიაში, რუსეთს—ჩეჩნეთში. აფხაზეთში ასეთი ბრძოლისათვის საუკეთესო პირობები არსებობს. მას ხელს უწყობს რელიეფი, პარტიზანული რაზმებისათვის ბაზების ახლოს შექმნის საშუალებანი და, რაც მთავარია, აფხაზეთში ისეთი მოსახლეობის სიმცირე, რომელზედაც რეპრესიების გავრცელება შეეძლება ექსტრემისტთა ხელისუფლებას. ასე რომ, ამ გზით შეიძლება შედარებით ნაკლები დანაკარგებით მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდეს სეპარა-ტისტული რეჟიმი, იგი იძულებული შეიქნეს დათმობებზე წავიდეს და უფრო მომსმენი გახდეს.

ცხადია, ხელისუფლება ვერ დაიწყებს პარტიზანული ომის პროპაგანდას და ვერც ოფიციალურად დაუჭერს მხარს ასეთ მოძრაობას, მაგრამ ის მაინც არ უნდა ქნას, რომ წარმოშობილი წინააღმდეგობის მოძრაობის ხელშემშლელი გახდეს, როგორც ეს გამოვიდა 1998 წლის 20-26 მაისის გალის მოვლენების დროს.

მას ვინც გამუდმებით ამტკიცებს, რომ მოლაპარაკებათა პროცესს ალტერნატივა არა აქვს, უნდა შევახსენოთ: ამ პროცესის შედეგები არაფერზე არაა დამოკიდებული ისე, როგორც პარტიზანულ მოძრაობაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საომარ პირობებში ვიმყოფებით და ომის დროს ყველა ის მეთოდი გამართლებულია, რაც გამარჯვებას მიგვაღწევინებს. მოვიგონოთ, ი. სტალინმა, ვინც აქამდე კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ყველაზე დიდი ომი მოიგო, ამისათვის მარტო არმია საკმარისად არ მიიჩნია და პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი შექმნა, რათა გერმანელებს თავიანთი ფრონტის ზურგში პარტიზანული ფრონტი ჰქონოდათ. ფაქტობრივად, ეს იყო მოკავშირეების მიერ მეორე ფრონტის გახსნამდე არსებული ყველაზე ძლიერი მოძრაობა, რომელმაც ფაშისტების დამარცხებაში უფრო ნაკლები წვლილი როდი შეიტანა, ვიდრე გერმანიის დასავლეთში 1944 წლის ივნისიდან მოქმედმა მეორე ფრონტმა.

მართალია, ის, რაც აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გზების შესახებ ვთქვი, არც ორიგინალურია და არც დიდი სიბრძნე, მაგრამ მე მათი განმეორებით მსურს მოვიახლოვოთ ჩემი ხალხისა და ჩემი ყველაზე სანუკვარი საწადელი—აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება, მოვესწრო ერთიან და მთლიან საქართველოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ასავალ-დასავალი“, 1997-1998 წლების ნომრები.
2. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990-1991 წლების ნომრები.
3. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988,1989, 1990 წლების ნომრები.
4. „ახალი საქართველო“, 1990 წლის №№1-16.
5. „კომუნისტი“, 1988, №№111-300; 1989, №№1-300; 1990, №№ 1-255.
6. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №№ 1-52; 1990, №№ 1-52; 1991, №№ 1-52; მომდევნო წლების ცალკეული ნომრები.
7. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990, №№ 1-18; 1991, №№1-251; 1992, №№ 1-265; 1993, №№1-275; 1994, №№ 1-265; 1995, №№ 1-197.
8. „Заря Востока“, 1989, №№22-204; 1990, №№ 4-99.

ამათ გარდა, გამოყენებული მაქვს 1989-1998 წლების ცალკეული ნომრები ჟურნალებისა—„დრონი“, „რეზონანსი“, „სახალხო განათლება“, „ქუთაისი“, „7 დღე“, „Молодеж Грузий“, „Свободная Грузия“.

უ. ბლუაშვილი, პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 988-1991 წწ., თბ., 1994.

ჯ. გამახარია, აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბ., 1998.

ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991.

განათლების რეფორმა ქუთაისში, ქუთ., 1995.

დ. გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბ., 1995.

თ. გოთუა, ა. გოთუა, თავგადასავალი ლევან გოთუასი, თბ. 1995.

ნ. გუგუნავა, მემედ აბაშიძე—განმანათლებელი, ბათ., 1997.

ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალ-ეკონომიკური შედეგები, თბ., 1998.

გ. ერაძე, აფხაზი და საქართველო, თბ., 1994.

გ. ერაძე, „კავკასიის“ თავდაცვითი სისტემა და „აფხაზოლოგია“, ჟურნ. „რიწა“, 1996, №3-4.

ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.

ა. ვასაძე, ყინულის მარწუხებში, თბ., 1989.

ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.

ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.

ა. თოფურია, სინდისის ღმერთების ბარიკადებზე, თბ., 1995.

ს. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1920.

ვ. კიკნაძე, წამებული რაინდები, თბ., 1992.

ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთ., 1996.

ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.
გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
ლ. მარშანია, აფხაზეთის ტრაგედია, თბ., 1995.
ალ. მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი, 1938.
ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991.
ი. მეგრელიძე, სიძველიანი ლიახვის ხეობაში, თბ., 1984.
ა. მენთეშაშვილი, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (რუს. ენაზე). თბ., 1990.
შ. მესხია, ძლევაჯ საკვირველი, თბ. 1972.
რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
თ. მიბჩუანი, აფხაზეთის მეფეები და მთავრები, თბ., 1997.
თ. მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994.
თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, სიმართლე აფხაზეთზე, თბ., 1990.
გ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთ., 1996.
დ. მჭედლური, თავისუფლების სახელით, თბ., 1995.
თ. ნადარეიშვილი, აფხაზეთი ომში და ომის შემდეგ, თბ., 1998.
ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
შ. ნოზაძე, ტრაგიკული 9 მარტი, თბ., 1992.
გ. ოდიშარია, სოხუმში დაბრუნება, თბ., 1995.
ოსთა საკითხი, გორი—თბ., 1996.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970; ტ. VII, 1976; ტ. VIII, 1980.
ავ. სონღულაშვილი, 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია, თბ., 1999.
ალ. სულხანიშვილი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1990.
ა. სურგულაძე, ცხოვრება და ღვაწლი ჰაიდარ აბაშიძისა, ბათ., 1989.
ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991.
ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959.
ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა), თბ., 1991.
გ. ფანჯიკიძე, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, თბ., 1991.
შევარდნაძე, კრებ. თბ., 1998.
მ. ცოტნიაშვილი, ოსური სეპარატისტული მოძრაობა და მისი არსი, თბ., 1998.
მ. ცოტნიაშვილი, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და ოსი სეპარატისტების ბრძოლა მის წინააღმდეგ (1918-1921) თბ., 1998.

სვ. ჩერჯონაია, აფხაზეთი, 1992 პოსტკომუნისტური საქართველოს ეანდეა, თბ., 1994.

ო. ჩხეიძე, არტისტული ტადატრიალება, თბ.,1994.

რ. ჩხეიძე, ბედი პაელე ინგოროყვასი, თბ., 1994.

რ. ჩხეიძე, დაწყეელილი თაობა, თბ., 1992.

რ. ჩხეიძე, დაწყეელილი თაობა, თბ., 1995.

რ. ჩხეიძე, თუ საწუთრომან დამამხოს, თბ., 1998.

გ. ჯორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1996.

გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ., 1991; წიგნი II, 1993; წიგნი III, 1993.

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, კრებ. ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.

ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984.

ჯვარცმული საქართველო (რუს. ენაზე), კრ. პეტერბ. 1995.

Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI--XVII вв), Сух., 1959.

Калоев Б. А., Осетины, М., 1967.

Жоржолиани Г., Лекишвили С., Тоидзе Л., Хоштариа-Бросее Э., Исторические и политико-правовые аспекты конфликтов в Абхазии, Тб., 1994.

Ментешашвили А., Сургуладзе А., Только факты и документы, Жур. Литературная Грузия, 1989, №11.

Надарейшвили Т., Геноцид в Абхазии, Тб., 1996.

Стуруа Д. Г., Сталин, Хрущев, Брежнев, тб., 1996.

Чабукиани Р., Прелюдия трагедии Абхазии", Кут., 1995.

ძირითადი შემოკლებანი

„ა-ს“—გაზეთი „ასავალ-დასავალი“.
„ახ. იერ“.—გაზეთი „ახალგაზრდა იერიელი“.
„ახკომი“—გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“.
„ახ. საქ“—გაზეთი „ახალი საქართველო“.
„კომ“—გაზეთი „კომუნისტი“.
„ლს“—გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.
„სრ“—გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
„სახ. გან“—გაზეთი „სახალხო განათლება“.
სინ—„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“.
ქსე—ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
„ქუთ“—გაზეთი „ქუთაისი“.
„ЗВ“ გაზეთი—„Заря Востока“
„МГ“ გაზეთი—„Молодеж Грузии“
„СГ“ გაზეთი—„Свободная Грузия“
„СИЭ“ —„Советская Историческая энциклопедия“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 3
შ ე ს ა ვ ა ლ ი 9
ტერიტორია და მოსახლეობა (გვ. 9-11); „პერესტროიკის" დასაწყისი და მისი მიმართებანი ეროვნულ მოძრაობებთან (11-16); „ლიხნის მიმართვა", ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ისტორიიდან (16-40); ოსებთან ურთიერთობის საკითხი, მისი ისტორიული ასპექტები (40-58); ინტელინგენციის როლის შესახებ (58-65); მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (65-73).

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა ნ ი ..... 74.
ვითარება გასაბჭოების შემდეგ, ოპოზიციური პარტიები და „დამკომის" შექმნა, 1922 წლის აჯანყება მთიანეთში (74-87); 1924 წლის აჯანყება (87-98); „ნაციონალისტ-უცლონისტები" და 30-იანი წლების რეპრესიები (98-101); 1942 წლის შეთქმულება (101-107); ორგანიზაცია „სამანი" (107-112); მცირემასშტაბიანი ჯგუფები (112-113); ლევან გოთუა და სხვანი (113-114); ჭაბუა აძირეჯიბისა და ოტია პაჭკორიას „შეცოდებანი" (114-115); 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია (115-121); 1978 წლის 14 აპრილის აქცია (121-126); დისიდენტური მოძრაობის საწყისები, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დაარსება (126-127).

თ ა ვ ი მ ე ო რ ე — 1 9 8 8 წ ე ლ ი 128
მოძრაობა გარეჯის პოლიგონისა და ვარდნილჰესების მშენებლობათა ასაკრძალავად (128-130); ტრანსკავკასიის რკინიგზა (130-132); ჰუჯაბის მონასტრისა და სხვა ძეგლების პრობლემები (132-136); ნოემბრის აქციები (136-144); „არაფორმალთა" საქმიანობა და აქციები წლის მიწურულს (144-147).

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — 1 9 8 9 წ ე ლ ი 148
იდეოლოგიური დამუშავების რეციდივები (148-153); პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მიტინგის დარბევა, ეროვნული საკითხის გამწვავება (153-161); 4-9 აპრილის აქციები (161-169); 9 აპრილის ტრაგედია (169-175); ტრაგედიის ეჭო შეხვედრებზე (175-179); არაფორმალ ლიდერთა დაპატიმრება და განთავისუფლება (179-182); 9 აპრილის რეზონანსი საზღვარგარეთ და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე (182-186);
ტოლერანტობის ზოგიერთი ასპექტები (189-194); შეტაკებები ქვემო ქართლში (194-197); მეწყერები აჭარაში, ტოპონიმიკური ცვლილებები (186-189); დაძაბულობის ეპიცენტრის აფხაზეთში გადატანა (197-206); რეპატრირებული მაჰმადიანების საკითხი (206-213); ეკოლოგიური გართულებანი, მ. კოსტავას დაღუპვა (213-217); ექსტრემიზმის პირველი ნიშნები ცხინვალის რეგიონში (217-221).

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — 1 9 9 0 წ ე ლ ი 222
იანვრის ამბები აზერბაიჯანში (222-225); საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება (225-226); სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის შემოღება და კერპების მსხვრევა (226-232); უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტი, ეროვნული კონგრესის შექმნა, სიახლენი უმაღლესი სკოლისა და მეცნიერების სფეროში (232-238); უზენაესი საბჭოს არჩევნები (238-242); „მრგვალი მაგიდა" ხელისუფლებას ღებულობს (242-244); სსრ კავშირის განმტკიცების ღონისძიებანი, ურთიერთობა უზენაეს საბჭოსა და ეროვნულ კონგრესს შორის (244-247);

ვითარება აფხაზეთში (248-251); სამხრეთ ოსეთის აო-ს გაუქმება (251-258); ორი გადადგომა (258-260).

თავი მეხუთე—1991 წელი 261

ზ. გამსახურდიას ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი (261-269); ,,საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი'' (269-273); კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში (273-280); აპარტეიდული არჩევნები აფხაზეთში (281-288); ხალხთა ბრძოლა საბჭოთაიდან თავდახსნისათვის, ,,პარალელური დიპლომატია'' (288-294); ,,გკჩპ''-ს ავანტიურა, მისი გამოძახილი საქართველოში (294-306); მჟუჟუ ზაური (306-308); კრიზისის ახალი ესკალაცია (308-311).

თავი მეექვსე—1992 წელი 312

,,კრიზისი ზედაფენებში'', ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა (312-324); ,,სამხედრო საბჭო'' ხელისუფლების სათავეში (324-332); ე. შევარდნაძის დაბრუნება, ომის შეწყვეტა ოსებთან (332-337); ეკოლოგიური და ეკონომიკური ვითარება წლის დასაწყისში, საქართველოს საერთაშორისო აღიარებანი (338-343); ტერორისტული აქტი აჭარაში, მძევლების გატაცებანი სამეგრელოში (343-348); ომი აფხაზეთში (348-366); პარლამენტის არჩევნები, ახალი აღმასრულებელი ხელისუფლება (366-369).

თავი მეშვიდე—1993 წელი 370

ეკონომიკური კრიზისის ახალი გამოვლინებანი (370-374); თებერვალ-მარტის სამშარი მოქმედებანი აფხაზეთში (374-384); თ. კიტოვანის კაზუსი (384-387); კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის დასაწყისი, ერთი ანტისეპარატისტული მოსაზრების შესახებ (387-390); ე. შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური ვიზიტები (390-392); ვითარება მეზობელ რეგიონებში (392-395); ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგების რეფორმები (395-399); აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის წლები (399-403); სამოქალაქო ომის პირველი ნიშნები, ე. შევარდნაძის გადადგომა (403-407); სოხუმის დაცემა (407-418); სამოქალაქო ომი დას. საქართველოში (418-424); ,,გაგების'' გაუგებარი მემორანდუმი (424-426).

თავი მერვე—1994 წელი 427

სოციალ-ეკონომიკური ვითარება წლის დასაწყისში, დსთ-ს სახელმწიფოთა სამიტი (427-431), დიპლომატიური გზებით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ცდები (431-435); პრეზიდენტყოფილის გარდაცვალება, ბრძოლა კრიმინალებთან გრძელდება (435-440); ბ. ელცინის ვიზიტი, ე.წ. ,,სამშვიდობო ოპერაციის'' მზადება (440-444); ,,სამშვიდობო ოპერაციის'' დაწყება, ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გამწვავება (445-452); არჩევნები ცხინვალში (452-454); ვითარება შორეულ და ახლო საზღვარგარეთ (454-459); საერთაშორისო კავშირურთიერთობანი (459-461); ჰიპერინფლაციის პერიპეტიები, პარლამენტის საქმიანობა, გ. ჭანტურიას მკვლელობა (461-467).

თავი მეცხრე—1995 წელი 468

ეკონომიკური დაიჯესტი (468-473); თ. კიტოვანის ავანტიურა, შსს ფართომასშტაბიანი ოპერაციები (473-478); ე. შევარდნაძის საზღვარგარეთული ვიზიტები, ომი ჩეჩნეთსა და იუგოსლავიაში (478-485); წინადადებანი საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, პ. გრაჭოვისა და ვ. შუმეიკოს ვიზიტები თბილისში (486-494); კონსტიტუციის მიღება, 29 აგვისტოს ტერაქტი (494-504); პარლამენტის არჩევნები (504-508); წლის ზოგიერთი სხვა ფაქტი და მოვლენა (508-812).

ბოლოთქმა 513

გამოყენებული ლიტერატურა 530

ძირითადი შემოკლებანი 532

შინაარსი 533

გიორგი მჭედლიძე



დაიბადა 1928 წელს, ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ორი წელი მუშაობდა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. 1950-1952 წლებში მსახურობდა არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზეა. 1954-1967 წწ. იგი იყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი და საღამოს სწავლების პრორექტორი, 1972-1978 წწ. ამავე ინსტიტუტის სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გახლდათ, ხოლო 1998 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეა. 1991 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის ცენტრის ისტორიის ლაბორატორიას.

გ. მჭედლიძემ 1964 წელს მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, 1994 წელს კი—დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; 1998 წლიდან არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გ. მჭედლიძე 100-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორია. მათგან 18 ცალკე წიგნად და ბრიშურადაა გამოცემული. მისი მეცნიერული კვლევის ინტერესებში შედის საქართველოსა და რუსეთის ისტორიის პრობლემების ვრცელი სპექტრი. ნაყოფიერად იმუშავა მან უკანასკნელ ათწლეულში. 1993 წელს გამოსცა მონოგრაფია—„ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები“ (546 გვ), 1996 წელს—„ბაგრატ მესამის საქართველო“ (614 გვ.), ამჯერად კი იგი მკითხველს თავაზობს წინამდებარე წიგნს.